

1965/4



מכון הלימודים
לארץ ישראל

מכתבים

114/4

1965

3

5

ენათობი

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივი-პოლიტიკური მუშაკების

წელიწადი 42-ე

№ 5

მაისი 1965 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნიმონ ჩიქოვანი — მოგონება. ლექსი	3
ვიორჯი ნატროშვილი — მოთხრობები	5
რევაზ მარგვიანი — ისალი ლექსები	20
თენგიზ ბუაჩიძე — ომისდროინდელი ქრონიკები	22
ჯანო ჭანელიძე — ლექსები	56
ოთარ ჩხეიძე — კვერნაჭი. რომანი. გაგრძელება	58
ბორის შატბერაშვილი — სიცოცხლის ნაკადი. მოთხრობა.	97
როდიონ ქორჭია — დღიურიდან	106

ხეობით და კალმით

ნ. მიქავა — პოეტის უკვდავება	109
არჩილ კოკილაშვილი — პოეტი — ჭარისკაცი	116
სერგო თურნავა — ნახტომი უკვდავებისაკენ	125

ფაბრიკი, მოგონებანი

ა. სტუღენკო — სანატრელი ჩვენი ბედი	131
მიხეილ კვესელავა — ათასი ფუთი ბრალდება	145
ნიკოლოზ ჭაში — კიევი — გმირი ქალაქი	181

გამოსათხოვარი

ვიორჯი შატბერაშვილი	188
---------------------	-----

წიგნების მიმოხილვა

გ. კაჭაბიძე — წიგნი ქართული სოფლის გმირ ადამიანებზე
ბ. ვარეშაძე — საინტერესო მონოგრაფიული ნაშრომი



9905

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
ე. მაღრაძე, ბ. ულენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. უიფიანი,
ს. შანშიაშვილი, გ. ჯიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 68. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/V-65 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწეობის ზომა
7¹/₄×12¹/₂ ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
№ 03224, ტირაჟი 6500. შეკვეთა № 1259.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

სიმონ ჩიქოვანი

მ ო ზ ო ნ ე ზ ა

მტრის მფრინავეებმა დამეხეს დაბა,
ზღვის პირას ციდან დაცხრილეს მიწა.
საფარში ვიყავ ბალახზე დაბლა,
ახლოს პატარა ვოგონა იწვა.

ირგვლივ ისმოდა ვაი და ვიში,
სამარეს გავდა მიწური ღია.
ბავშვს აღბეჭდოდა თვალეზში შიში
და ჩამძახოდა: „მიშველე, ძია“!

ქურემა ნაპირთან დაშალა ქავლი,
თვითელ უბანს დაეცა ზაფრა,
სადღაც გაისმა ყვირილი მამლის,
მერმე შეწყდა, თუ ხმაურში ჩაქრა.

ბავშვი ტიროდა: „მიშველე, ძია“!
კანკალებდა და უთრთოდა მკლავი.
თვალეზი ჰქონდა ტბებივით ღია
და არსით სჩანდა მასველი ნავი.

ბავშვი ტიროდა: „ძია, მიშველე“!
როგორ მეშველა, უძლური ვჩანდი.
ხელი შაშხანით ვერ დავემშვენე,
ვერ მოვაშორე სიკვდილის ლანდი.

ვიფიქრე, ჩუმაღ ვუამბობ ზღაპარს,
გავართობ, შესცვლის ღიმილი
ტირილს,
მაგრამ ბელტები დაეცა საფარს
და მეზი მოხვდა მახლობელ ტირიფს.

ციდან მფრინავი გვითხრიდა საფლავს,
მკიდა სიცოცხლის სანატრელ წამებს.
დღისით აქრობდა უჩინარ
ვარსკვლავს,
ჩვენ გვიმზადებდა გაუვალ ღამეს.



ირგვლივ მეფობდა ვაი და ვიში,
სამარეს გაედა მიწური ღია.
ბავშვს აღბეჭდოდა თვალეზში შიში,
მე მეძახოდა: „მიშველე, ძია“!

ღიღხანს არ შეწყდა ტყვიების
დეღემა,
როგორ შევძლებდი ზღაპრის
მოყოლას.
იმ დღიდან განვლო მრავალმა წელმა
და ვერ ვივიწყებ მტირალ გოგონას.

ავდივარ მთაზე, ვეშვები ბარში,
მხიბლავს გვირილით შემკული
ჩრდილი,
ყველგან მიმყვება ტირილი ბავშვის,
მე მათხიზლებს და მიტყდება ძილი.

როცა თბილისშიც იშლება ია,
თოვლი შორდება დაღლილ მთა-
გორებს,
ყურში ჩამესმის: „მიშველე ძია“!
და ეს ხმა ომის წყლულებს მაგონებს.



ბიოგრაფიული

მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი

ჟამიჯ-ბურუნდი

გვიანი საღამოა. ტელევიზორს მართო მოხუცი გიგო და მისი შვილიშვილი ზურიკო უსხედან.

—ეს ჰოკეია, შაიბიანი ჰოკეი!—უხსნის მოხუცს პატარა ბიჭი.

—ვიცი,—ამბობს გიგო,—ოდესღაც მეც მითამაშვნი.

ბიჭმა გაოცებით შეჰხედა ბერიკაცს, ხუმრობს თუ არაო. არა, არ ელიმება. რამდენი რამ უამბვნი პაპას, ამაზე კი ჯერ ხმა არ ამოუღია. ამიტომ ეგონა ზურიკოს—სად რა ნაბიჯი გადაუდგამს მოხუცს, ყველაფერი ვიციო. მართლაც იცოდა, იცოდა, რომ მთელი სიცოცხლე მესტამბე იყო პაპა—ქართულ ანბანს ჩასცქეროდა, მრავალ ათეულ უჯრაში ჩალაგებულს და განაწილებულს — ისე ნაცნობს, სინათლეს რომ ჩამქრალიყო, ბნელში მოძებნიდა, ზეპირად იცოდა, სად ეწყო ანი და სად ზენი, მოძებნიდა ტყვიის იმ პატარა ნამცეცებს და სიტყვად აქცევდა, წიგნად, „დედაენად“, მთელი ქვეყნის სიხარულად. რამდენი ხანია უკვე პენსიაზეა ბერიკაცი და მინც აქამდე იმ სტამბიდან გამოყოლილი სუნი ასდის მის პალტოსა და კოსტუმს. ეს ეთილი-სა და ტყვიის სუნიო, უთხრა პაპამ: ჰეი, რა გრძელი გზა გაუვლია ბერიკაცს ამ ქვეყანაზე, სად არ ყოფილა, საით არ გადაუგდია ბედს... ციმიბირიც უნახავს და ტუსალის ფარაჯა სცმია, მერე პირველი ომის დროს ჭარისკაცის ფარაჯა ჩაუცმევიათ... ვინ მოსთვლის, რამდენი ღამე გაუთევია კარპატებში გაჭრილ სანგრებშიც, სუვოლკის ქაობების წყალიც დაუღვევია, მაგრამ

მუდამ ისევ იმ უჯრებთან დაბრუნებულა. ვერაფერმა გაჰყარა ერთმანეთს ის და ქართული ანბანი... სულ პატარა ბიჭი იყო, შეგირდი იყო და მას ევლებოდა თავს, მერე ოსტატიც გახდა, მერე სააპქროც ებარა, მერე მთელი სტამბა ჩააბარეს, ათასი მანქანა რომ ბრუნავს და ბუბუნებს—სულ მისი მორჩილნი იყვნენ. და მუდამ ეკრასავით, საკუთარი ოჯახივით ახლობელი იყო იქაურობა. დღეს იქ აღამებდა და ბევრჯერ ღამესაც იქ ათენებდა...

ყველაფერი ეს იცის ზურიკომ. მაგრამ ეს ჰოკეი საიდან სადაო?

—სადა თამაშობდით? — ეჭვით ეკითხება ბიჭი.

—სოფელში... უუჰ, როდის იყო ეს, იცი? მაშინ შენოდენა არც კი ვიყავი...

—სოფელში?—უევირს ზურიკოს.—მერე და ყინული სადა გქონდათ?

—ყინულიც უნდა?

—მაშ რა? ვერა ხედავ? — ბიჭი ახლა ეკრანს მიიჩერდა,—აგერ, სრიალით რომ წამოვიდა ყინულზე, ეგ ჩეხების პირველი ბომბარდირია, იოზეფ ჩაპლა...

—ბალახიანი ჰოკეი არ გაგიგონია, ზური!—ესმის ბავშვს მამის ხმა მეორე ოთახიდან. გურამი რაღაც ქალღღებს უხის, მაგრამ ეტყობა ამათი ლაპარაკიც ესმის—პაპაც და შვილიშვილიც ფიცხი გულშემატკივრები არიან.

—ჩვენ ბალახზე კი არა, გზაზე ვთამაშობდით,—განაგრძობს პაპა, —ზემოუბნისა და ქვემოუბნის ბიჭები... ერთი კარი სოფლის თავში გვქონდა, მთავარანგელოზის საყდართან, მეორე—

წმინდა გიორგისთან... მანძილი საკმაოდ გრძელი იყო, მაგრამ ჩვენც ბევრნი ვიყავით...

— ეგ რა ჰოკეია!—არ უთმობს ბიჭი.

— ჩვენ კი მოგვწონდა და... აი, მაგ შაიბას კოჭურას ვეძახოდით, აი იმ ჯოხს—ხაჩას, გუნდის კაპიტანს—დედა ერქვა, მოთამაშეებს—შვილები, კარს—ბინას ვეძახოდით. კოჭურას რომ გიტანდნენ—დავიწვითო, უნდა დაგვეძახნა. თამაში კი არა, ომი იყო... ურემი ველარ აივლიდა ხოლმე, ცხენოსანიც გზას დააგდებდა და ბილიკზე გადადიოდა...

— დაიძინეთ,—ისმის ისევ გურამის ხმა,—მაგ საკითხს ახლა ვერ გადაწყვეტო... კამათი განეთში გადაიტანეთ.. ჯერ პაპამ დაწეროს — „ჰოკეის თამაშის საწყისები წარმართული მითოლოგიის შექმნა“, მერე შევიღვივებოთ გამოეხსნაო—„კოჭურა თუ შაიბა“. ასეთი სათაური მიეცე, ზური! თქვენი წერეთ და დაბეჭდვა ჩვენზე იყოს...

ეკრანზე თამაში დაიძაბა, სულ უფრო მძაფრად ისმოდა ჯოხების ჩახი-ჩუხი, და გურამის ხუმრობისათვის არც პაპასა და არც შევიღვივებს ყურადღება აღარ მიუქცევიათ...

— დაიძინეთ-მეთქი, — გამოსძახა ისევ გურამმა.

— მოიცა, მამი, ჩეხები ძალიან მწარედ უტყვევენ კანადას, — გაეძრაბა ბიჭი... თამაში რომ დამთავრდა, ზურიკომ პაპას აღგზნებული თვალემა შეანათა და უთხრა:

— ეგ რა არის?! ხეალ ისეთი ამბავი იქნებაა...

— რა ამბავი, ბიჭო?

— ჩვენი ქუჩის ბედი წყდება...

— რაო, შენც ჰოკეისა თამაშობ?

— არა, ყინული სადა გვაქვს...—დანანებით წარმოსთქვა ბიჭმა,—ფეხბურთში ვეთამაშებით „მერცხლებს“, თბილისის ქუჩების პირველობაზე...

— ამ ზამთარში?

— ეს რა ზამთარია! საცაა მიიწურება და ჯერ პალტო არა მცმია.

— ჰოო, თოვლი ვერც წლავლ ვნახეთ...

— ოღონდ დედასთან აბილიმისაკენ დიღმისაკენ უნდა წავიდეთ... არ გიშვებებს, შორს არისო, მოიმიზეზებებს... ისევ თავის სადარდელს დაუბრუნდა ზურიკო...

— ნუ გეშინია!—დააიმედა მოხუცმა.

ტელევიზორი უკვე საცეკვაო მუსიკას გადმოსცემდა, მერე ამინდზე გადავიდა. ზურიკომ გამორთო და ორივენი დასაძინებლად წავიდნენ.

* * *

კვირა დილით არავის არსად არ ეჩქარებოდა და ამიტომ გვიან წამოიშალნენ. სასაუზმოდ რომ დასხდნენ, ნუნუმ გადახედა შეილს და უთხრა:

— ზური, დროზე დალიე ჩაი და წამოყე, კოსტუმები შევათვალეიერ გუშინ მაღაზიაში.

ზურიკომ ცერად გადახედა დედას—რა დროს ახლა კოსტუმი, ისიც დღეს, როცა... არა, ზურიკოს მაღაზიებში სიარულისათვის არა სცალიან. მერე რამდენი თვალეიერება და რჩევა-დაწუწუება უყვარს დედას—თჯერ მაინც ჩააცმევს და გახდის...

ვერა, ვერ წაყვება...

როგორც კი დედა სამზარეულოში შებრუნდა, ზურიკომ შეთქმულივით ჩაუკრანატო ბებოს თვალი, მერე ხელიკივით გასწვრა კარებში და ეზოში ჩაიკარჯა.

იქ კი მოდი და ეძებე!

ამხელა ეზო ალბათ არცერთ სახლს არ ექნება მთელ ქალაქში.

ჯერ პარტო გარაჯი ეჭვსი დგას, ერთი-მეორეზე მიდგმული და ქონებივით ჩაწიკწიკებული. ეზოს სიღრმეში რალაც კანტორაა და რა ჯურის ხალხი გინდა იქ არ ირეოდეს; იმ კანტორის იქით საწყობებია დიდი მაღაზიისა, ფასადით ქუჩაში რომ გამოდის. დილიდანვე შემოგრიალდებიან პირამდე სავსე საბარგო მანქანები—ხან ყველი მოაქვთ, ხან მწწილეული, და დგას ეზოში მთელ დღეს ერთმანეთში არეული სურნელი

მავე კომბოსტოსი და ლეღვისა თუ ატმის ჩირისა.

ნთელი ეზოს გოგო-ბიჭობა აქ იყრის თავს; დიდი ფეხბურთი აქ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ საწვრთნელი ვარჯიშების ჩატარება შეიძლება... აჩიტომ აქ მუდამ ისეთი ყრიაშული დგას, ყურთასმენა აღარ არის...

ზურიკომ ჩაათვა თუ არა კიბეები, კიდევ ერთი მანქანა შემოვიდა ეზოში.

— ზურიკო, ზურიკო! — გაისმა იმავე წუთს შესამე სართულის აივნადან. ბიჭმა სკადა დამალულიყო, მაგრამ თავს მაინც ვერ უშველა. „დედა გეძახის, ზური“, მიძახა ვალცამ და ის იძულებული გახდა ისევ შესასვლელისაკენ მობრუნებულიყო.

ვაოფლიანებული ამოვარდა ბიჭი კიბეზე, მთელი ღონით დააწვა ზარის ღილს და მანამდე არ აუშვა თითი, ვიდრე დედამ კარი არ გაუღო. შემოვიდა ბიჭი და სტაცა დედამ საყელოში ხელი.

— სად გაიქეცი, მე რა ვითხარი?

არა, ზურიკო ამას აღარ მოითმენს, ბიჭი უკვე თორმეტი წლისაა და დედას კი ისევ პატარა ჰგონია. ყოველ ნაბიჯს უთვლის დედა. პაი, იქ არ წახვიდე, გაგასთან არ ითამაშო, ის ქუჩის ბიჭია... ფრანგული არ გააცდინო... მუსიკაზე არ დაიგვიანო... არ გაითფლო... წვიმაში არ მოჰყვე... მზემ არ დაგკრას... რა უნდა დამკრას ამ მზემ, კაცმა არ იცის... რა ამბავია ეს—სახლია თუ ციხე? არა, გეკითხები, ციხეა? — და ზურიკომ ჩქიქურად შეჰხედა დედას. ნუნუს ყველაზე მეტად ციხე ეწყინა — ესეც მაშისაგან გადმოიღო ზურიკომ. გაუტევეს მაშამისი, დაიკარგება, და საყვედურს რომ ეტყვი — ისიც ამ სიტყვას მოგახლის. ეგ კი არა, ერთხელ, ასეთი ჩხუბის დროს ნუნუს უცებ ქმარს გახედა და შეამჩნია — თვალებით აქეზებდა ბიჭს გურამი... ახლაც ზის და ისე დინჯად ავსებს მელნით ავტოკალამს, ისეა გართული, თითქოს აქ არაფერი ხდებოდეს... განა ხმას ამოიღებს, განა დაარიგებს ამ გადარეულ ბიჭს!

ამან უფრო გააბრაზა ნუნუს და ზურიკოს მკაცრად უთხრობდა: — ახლავე ჩაიწყვიტე ხმა... დახე, რაები დამიწყო. ფეხსაც ვერ გადასდგამ უჩემოდ...

— ვერა ხომ, ვერ გადავდგამ? აბა, ახლა უყურო — წამოერთო ბიჭი, მამლაცინწასავით აიწურა და მერე მარჯვენა ფეხი ისე დაარტყა იატაკზე, მინებმა დაიზრიალეს — აბა, თუ ვერ გადავდგამ, — ისევ მარცხენას მიიბჯინა და ისევ გადადგა წინ...

ნუნუს სიცილი აუტყდა, ნატო ბებომ კი ცერად გახედა რძალს და საყვედურით უთხრა:

— აი, ასე იცი შვილო! ჯერ გაუწყობ რები და მერე უცინო... ამის მერე რაღას გაგიგონებს...

— რა ვქნა, დედი! შეხედე ერთი ნამღვილი მაიმუნია!

და მერე ისევ ზურიკოს მიუბრუნდა:

— ჩაიცივი და წამომყე მალაზიაში!

— ვერ წამოვალ... საქმე მაქვს...

— რა საქმეა?

თქვას თუ არა თქვას? გაუწყვენ ანგარიშს? არა და იღუბება ყველაფერი, თორემ მალაზიაში კი არა, ქვეყნის კიდემდე გაჰყვებოდა დედას. ახლა კი რა ქნას — ზუსტად თორმეტი საათზე დიღმის მინდორზე მიდიან ბიჭები... მთელი თვეა ამ დღეს ელოდებიან... ჰოდა, შეიძლება ცენტრალური თავდამსხმელი თამაშს არ დაესწროს? წინა თამაშზე ვაგა მოედანზე მკლავშებვეული გამოვიდა — ხელი ჰქონდა მოტეხილი და თაბაშირში ჩასმული, არტაშანით გამოვიდა, — ბინტებით, თაბაშირით... და ახლა თვითონ არ წავიდეს? რას იტყვის ვაგა, რას იტყვიან სხვა ბიჭები! დღეს კი გადამწყვეტი თამაში იმართება — გუნდები ფინალში ზედებიან ერთ-მეორეს. ჰოდა, რა პასუხი გასცეს ზურიკომ ამხანაგებს — დედამ არ გამომიშვაო?

მაინც რა გახდა ეს ტანსაცმელი, რომ სულ ამბავა ჩხუბი?

— უჩემოდ ვერ იყიდი? — მადვდრებელი თვალით შეხედა დედას.

— ვერ ვიციდი ეგ ქოჩორიც უნდა მოიშორო, ვინდა ატარებს ახლა?

ზურციკო გაუსხლტა... რა უცნაურია დედა, ახლა ქოჩორს გადასწვდა, ამოიჩემებს და მორჩა, ვეღარ გადაათქმევინებ, ოპ, რა გახარებულეები იქნებიან „მერცხლები“, ზურციკოს მოედანზე რომ ვერ დაინახავენ!

ზურციკომ ახლა სხვა ხერხი იხმარა— იქნებ მოფერებამ გასჭრას.

— დედა, იცი რა? იყიდე უჩემოდ! მომეწონება, დედას გეფიცები, მომეწონება.

— არა, ზური უნდა წამოხვიდე, რა ეციი რა ზომა გინდა. გადავყარო ამდენი ფული და მერე...

— ზომა არ იცი?—და ზურციკო მამას მიუბრუნდა,—მამა, შენ რომ მეექვსე კლასში გადახვედი, რა ზომას გიყიდიდნენ ხოლმე?

— რა ზომას? არ მახსოვს. ბებიას ჰკითხე. მაგას ეხსოვება...—ჩაიციანა გურამმა.

ჰო, მართლა, ბებოს უეჭველად ეხსოვება, მასაც ხომ ჰყავდა პატარები—ზურციკოს მამა, ახლა აქ რომ ზის, წყნარად რომ კითხულობს გაზეთს, და კიდევ ზაქრო-ზიძია—ქერჩში, ნასირის ტბის პირას რომ მოჰყვებს ვერმანელებმა.

ბიჭს თვალით უნახავი და მარტო ზღაპარივით ვაგონილი ნასირის ტბა რომ გაახსენდა, უმალ სიტყვა ჩაუწყდა ასე ეგონა, ფიქრში კი არა, ხმამალა ვთქვიო... ბებოსთან ეს სიტყვა არ უნდა ახსენო... არც ახსენებს. უცებ მოიშორა მტანჯველი ზმანება და მოხუცს ჰკითხა:

— ბებო, რა ზომას უყიდიდი ხოლმე?

— რა ვიცი, ბიჭო, მე ძველებისაგან ვუკერავდი, ზედ ბიჭებზე ავზომავდი ხოლმე...

დედამ ნიშნის მოგებით გაიღიმა:

— შეხედე, ზედ ბიჭებზეო!...

და ის იყო, პაპას ოთახის კარი გაიღო... მოხუცი შემოსასვლელთან გაჩერდა და ყველას თვალი მოავლო. გურამი თავისთვის იჭდა და საქმეში არ ერეოდა, ნატო ბაბო სუფრას ალაგებდა, ნუ-

ნუ წასასვლელად ემზადებოდა, ბიჭი კი შუა ოთახში იდგა შეტყუებული სატორლად გამზადებულს.

ზურციკოს წუხანდელი საღამო გაახსენდა, შეჰხედა პაპას და მიშველეო, თვალეებითა სთხოვა.

გიგომ მორიდებით შეხედა რძალს, და ქალი მიხვდა, ახლა კი გაიტანდა ზურციკო თავისას. მოდი და მოხუცს უარი უთხარო.

* — ნუნუ, დღეს მე მაპატიე, შეილო... წუხელ შემეხვეწა და მე დაეპირდი—გავიშვებ-მეთქი... სიტყვას ნუ გამატიხინებ...

ნუნუმ ხმა ვეღარ ამოიღო და ის-და შესძლო, მუქარით გაჰხედა მოზეიმე ბიჭს, განა ვერ ხვდებოდა საით მიიჩქაროდა ზურციკო—ალბათ ისევ დიღომში, მოვა საღამოთი დაფლეთილი, დაკაწრული, მაგრამ ბედნიერი და ამაყი...

დედამ ხელი ჩაიქნია... მეტი გზა არ არის, ისევ ალაღ-ბედზე უნდა უყიდოს, გაბრაზებულმა დასტაცა ჩანთას ხელი და კარებში გავარდა.


ზურციკომ ისევ ეზოს მიაშურა, მამა თავის სამუშაოს ჩაუჭდა და ოთახში მარტო მოხუცები-ლა დარჩნენ.

• • •

— რათ აწყენინე, გაბრაზებული წავიდა!—უსაყვედურა ნატომ პაპას,—ბიჭი ისევ დასაბმელია და შენ კიდევ...

—იტყვი, შენც... დასაბმელი კი არა, —მოხუცს ხმა გაეზზარა,—ის ბიჭი გამახსენდა... ასე მეგონა, ზაქრო შემომეუტრებს-მეთქი...

მოხუც ქალს სახე მოეღრუბლა: არ იცი, ბერიკაცო, რომ იმ ბიჭის ასე წარამარა ხსენება არ შეიძლება... თანაც, როცა დედას ელაპარაკები, ისე უნდა ილაპარაკო, როგორც ცოცხალზე... იყო, არ უნდა წამოგცდეს, არასგზით არ უნდა წამოგცდეს... იმიტომ, რომ ისევ ელის დედა; რა ვუყოთ, რომ ამდენ ხანს არა ჩანს... ხომ ამბობენ, აქ, ქალაქში კი არა, მაგრამ სადღაც, სოფელში შვილი ასე დაკარგული ჰყავდათ და ახლა ჩამოვიდაო, მეორემ—წერილი



მოიწერაო, დადის ეს ხმები ხალხში და დედაც ამიტომ იმედოვნებს... არ ტყდება, არ უნდა დაიფროს, და შინაურებიც ისე აჩვენებენ თავს, თითქოს მათაც არა სჭერთ...

წარამარა მაინც არ უნდა ახსენო... პავრამ საღ გაექცევი ფიქრს და ფიქრში ისევ ის ბიჭი უღვას თვალწინ:

— პატარაობაში ისიც ასეთი იყო... გახსოვს, ერთხელ წვიმაში ამოლუმპული რომ მოვიდა... ღვარი მოვარდნილიყო ჩერქეზოვზე, ბიჭებს ფიცრები ვადლოთ და ზიდი გაეკეთებინათ... შენ მაშინ ძალიან გაუწყყარი...

— პო, ჩვარივით ეკიდა ყველაფერი ზეღ... ახალთახალი ხალატი დახეოდა...

— ერთხელ ვოგოებს წახმარებოდა ქუჩაში, თავის კლასელებს... როგორ ეცემნათ, მოუკვდეს დედა... ჩაეტაცხელი, მილიციაში მინდოდა წაესულიყავ, მომეძებნინებინა ის მხეცები... არაფრით არ წამომყვა...

— რაო, შეერთა?

— არა, მე თავათ თვითონ გადავუხდიო.

— ამაყი ბიჭია, თავმომწონე,—იყო, ვერ ამბობს გიგო,—იცი, იქაც, სტამბაშიც რა ხშირად ახსენებენ—შემომხეხვევინან ხოლმე ბიჭები, იმისი ტოლები...

თითქოს ცოცხალი იყო ზაქრო, თითქოს წუთით იყო საღდაც გასული და საცაა შემობრუნდებოდა.

* * *

იმ ოთახში, სადაც გიგო პაპას სძინავს, კედელზე ჭარისკაცის სურათი ჰკიდია. შეჭვდავ და თვალს ვეღარ მოსწყვეტ—მხედრული ქული, პილოტურას რომ ეძახიან, თუშური ქულივით კონტად მოუგდია გვერდზე და ანცურად აღიმება; თვალსაც იმიტომ ვერ აცილებ, რომ შენ ვიღიმის და ასე გგონია, რაღაც კვიმატი რამ უნდა ვითხრას. ვერ იცნობ ამ ჭარისკაცს, მაგრამ რატომღაც გეჩვენება, რომ ათასჯერ შეგხვედრია, ქუჩაში გინახავს, სუფრასთან მჯდარა შენს გვერდით, უმხიარულნია, უცინია... რა ვიცი, ვერც მიხვდები რათ გიცქერის

ასე ახლობელივით ეს უცნობი მხედარი... იქნებ მართლაც გიშინავს და უნდა იმ პილოტურასა და ხაკის ხალატიმ ვეღარ გიცვინა.

ეს ჭარისკაცი—ზაქროა, უფროსი შვილი პაპასი, მაგრამ ზურგიოს ის არასოდეს არ უნახავს...

იმ კვირა საღამოს, დიღმიდან რომ დაბრუნდა, ბიჭმა დიდხანს უტრიალა პაპას ოთახს, შესვლა უნდოდა, ათასი რამ ჰქონდა მოსაყოლი, იმდღევანდელ თამაშზე, „მერცხლები“ რომ დაამარცხა მათმა ვუნდმა და მათ კარში ერთადერთი ბურთი თითონ ზურგიომ გაიტანა. პაპა კი ჩაეკტილა და არ გამოდის... ბიჭი ისევ მის კართან აიტუზა და ის იყო შესვლას აბირებდა, უცებ გაუჩერდა ფეხი — ოთახიდან ლაპარაკი მოესმა, „ეტყობა სტუმარი ჰყოლია“, გაიფიქრა და ფეხი შეაჩერა. ყური მიუგდო და ლაპარაკი კი არა, ჩუმი კვნესა გაიგონა:

— ზაქრო, ბიჭო ზაქროო!—არა, კი არ ესაუბრებოდა, ეძახოდა პაპა.

უფრო მეტად ვაოცდა ბიჭი, როცა ქუჩურუტანაში შეიხედა და დაინახა, რომ პაპა მართო იყო.

შეერთა ზურგიო და ჩუმად, ფეხაკრეფით გამობრუნდა უკან. მაინც ძალიან გვიან იყო და დედა გაუწყრა კიდევ—რატომ აქამდე არ გძინავსო.

ბერიკაცმა კიდევ ერთხანს იბორჯა, იწრიალა ოთახში, მერე დაქანცული მიწვა ლოგინზე.

ბურანში მყოფ მოხუცს უცებ ჩაესმა, რომ ვიღაც ამოდიოდა კიბეზე. შუალამე გადასული იყო, ყველა სართულს ეძინა, ყველა მომსვლელი მოსული იყო და ყველა სტუმარი—წასული... და ამ სიჩუმეში უფრო მკაფიოდ ისმოდა კიბეზე ამომავლის ფეხის ხმა. „ნამღვილად ზაქროა“,—გაიფიქრა ბერიკაცმა, ამხანაგებში შეაგვიანდებოდა, შეუხვეედნენ საღმე... ხელგამლილი ბიჭია, მხარჯავი, ეპატიება, ჭეცილია, იაროს, გული გაიხაროს. აჰა, ახლაც როგორ ლაიგვიანა, ვახშამიც ჩაასწრეს და მთელ სახლსაც უკვე სძინავს. რა უშავს მერე—ლხინში იქნებოდა, მშვიერს ხომ არ

გამოუშვებდნენ. ჰო, მართლა ზაქრო ყოფილა, შემოალო კარი და ოთახში შემოვიდა. ხმა არ ამოუღია, ისე გაიხადა კოსტუმი და სკამზე გადაჰკიდა. გიგო წამოდგა და უცებ შეამჩნია, რომ შვილს ქათქათა აბრეშუმის პერანგი, დღეს დილით რომ ჩაიცვა, მკერდზე წითლად დალაჭული ჰქონდა. დახეთ, ახალთახალი პერანგი გაუფუჭებია, აღარ ჩაიცმევია. ავირდებოდა მამა და ხედავს, რომ ის ლაქა ღვინისა კი არა, ვაიმე, სისხლისაა, და ის პატარა, შავი წერტილი მკერდზე, პაპიროსის ცეცხლით კი არ არის ამომწვარი, ნატყვიარია...

გაშეშდა ბერიკაცი, ბიჭს ველარც კი ხედავს, მართო იმ ნატყვიარს დასჩერებია და ძლივსლა ბუტბუტებს:

— დახე, სად დაუმიზნებია იმ ძალღიშვილს... შიგ გულში მოუხვედრებია!...

— ჰოო, მამი, — ამბობს, ზაქრო და ამომწვარ ხალათზე ახალა იფარებს ხელს, — მაინც დაინახე, შეამჩნიე? არ მინდოდა, გენახა! მთელი ჯერი მომაყარა გულში, ავტომატით.. ვერ მოვასწარ, თოფს ველარ დაეწვდი, ხელი თავისუფალი არა მქონდა... გახსოვს, შრიფტი რომ ვაპატანე, ის უნდა გადამეყარა ტბაში. ჰოდა, მაშინ იხელთა დრო... იმავე წუთს წაიქეცი, თვალთ დამიბნელდა... ვეკლე აგრე უპატრონოდ, ტბის პირას. მერე, სამადლოდ დამმარხეს ყირიმელმა მეთევზეებმა.

ზაქრო ისევ განუშდა, მოხუცი კი ისევ ამომწვარ ხალათს ჩასჩერებია და ისევ ჩაესმის შვილის სიტყვები:

— იმიტომ ველარ გნახე, მამი...

— მეც არ მიკვირდა?! ეს ბიჭი ხმას რატომ არ მაწვდის-მეთქი? რამდენი წელი ვიცადე, შვილო? სათვალავიც კი ანერია!..

ბერიკაცი ისევ ნატყვიარს ავირდებოდა, ველარ მოუშორებია თვალი... ისევ ეს ტყვია — მთელი სიცოცხლე ხელში სჭერია ის ტიალი და მისი მტკრით სავეს აქვს ფილტვები, ფერიც იცის მისი და

გემოც, მაგრამ ის ტყვია კეთილი იყო, კაცს არა ჰკლავდა. არა, თვალებს უხელდა, მუცელს ანაწე გამოჰყავდა...

მას დასტრიალებდნენ თავს მამაც, შვილებიც... და სახლშიც მისი უცნაური, მქისე სუნი მოსდევდათ.

მერე დაიწყო ეს ომი... ცხრაასორ-მოცდაერთი წლის ზამთარი იყო, როცა სტამბაში უცნობი ოფიცერი მოვიდა... მაშინვე დირექტორი იკითხა, გიგოსთან შეიყვანეს. ჩაიკეტეს კარი და დიდხანს ისაუბრეს... მთელ სტამბას უცებ მოედო ხმა: ის ოფიცერი ყირიმის ფრონტიდან ჩამოვიდაო.

— მე შეგონა, ჯარისკაცები სჭირდება-მეთქი — უთხრა გიგომ შვილს.

ზაქრომ გაკვირვებით გადმოხედა:

— აბა, ვინ? სწორედ რომ ჯარისკაცები სჭირდებოდა!

— არა, ბიჭო, არ გახსოვს?.. მაშინვე შრიფტის თვალყურება დაიწყო... მერე მკითხა — ყველაზე კარგი ასოთამწყობები რომლები არიანო!

— შენ მაშინვე ჩემსკენ გამოგექცა თვალი, მამი!

— ჩემზე კარგა ვინ იცოდა ვის რა შეეძლო?

— შენ რაღაც მანიშნე თვალით... მე მიგიხვედი და აღარაფერი გკითხე... დროც აღარ იყო...

ბერიკაცმა ისევ ამოიხრა:

— რაო, მამი, ხომ არ ნანობ? — ჩაპკითხა ზაქრომ.

— არ ნანობო? მაშ შენა გვონია, აგრე ადვილი იყო შენი გადადგება იმ ცეცხლსა და ჯოჯოხეთში?

მოხუცი კანკალეებს, ეცოდება ზაქროს თავისი ბებერი მამა, ეცოდება და უნდა სანუგეშო რამ უთხრას, შეჰყურებს მამას და უნდა, რომ გაამხნეოს:

— გახსოვს მამი, შენ ერთხელ ილიაზე მიამბობდი... გაზეთი რომ აუტანე შენი შეგირდობისას... გაიხსენე, რა ვითხრა?

— მახსოვს!

— ჰოდა, მამი, ჩემი საგულშეო კიდეც იქ იყო!

და ზაქროს თვალეში ისევ ის ნაპერ-
წკლები ელავენ, როგორც იმ სურათზე,
კედელზე რომ ჰკაიდა.

— ვიცი, ვანა არ ვიცი, მაგრამ რომ
ველარ გნახე, ჭიშკარი რომ გაიხურეთ,
მერე შენი აღარა გამიგია-რა...

— აბა, საიდანღა გაიგებდი... წავე-
დით და წავედით... ეგ იყო და ეგ... უზი-
ანოდ ვატარეთ მთელი ქონება —
შრიფტიც, ქალაღიც, საბუკდი დაზ-
გაც... სამ დღეში ჩვენი მანქანები თემ-
რიუჯში იყვნენ... იმ წყევულ ზამთარში
ქერჩის სრუტე ისე იყო გაყინული, მან-
ქანები პირდაპირ გადადიოდნენ წყალ-
ზე... ყამიშ-ბურუნნი გაგონილი გექ-
ნება?!

— კმ...—ჩაიგმინა მოხუცმა,—გაგო-
ნილი, იტყვი შენცა... ნეტავ, მართლა
გაგონილიც არა მქონდეს...

— მოიცა, მამი... ზომ არ დაგავიწყდა,
რომ ჯარისკაცი ზშირად შინ ველარ მო-
დის... სამუდამოდ ჩაირიცხება ხოლმე
იქ, უვადო სამსახურში...

— მესმის, შვილო!

— ჰოდა, მამ რათ გამაწყვეტინე... გა-
დავედით ყამიშ-ბურუნში, და იქ მართ-
ლა ქედვა იყო... ძალზე ვიწრო ზოლი
იყო გასასვლელი... ჰოი, ისეთი ქედვა
იყო, ენათ არ აიწერება. ფრონტისაკენ
მიდიოდა არტილერია, ნაღმსატყორცნე-
ბი, მიდიოდა ქვეითი და ცხენოსანი ჯა-
რი, თანაც ზშირ-ზშირად მოფრინდე-
ბოდნენ ხოლმე მტრის თვითმფრინავე-
ბი... იყო ერთი ვაივავლახი, ერთი აურ-
ზაური, ერთი-მეორისა არავის ესმოდა-
რა... ზოგი ურიგოდ მიდიოდა წინ, ვისაც
როგორ შეეძლო. იმ ვიწრო ზოლის და-
საწყისთან მესანგრეთა კაპიტანი იდგა
და ამ ქაოსში წესრიგის დამყარებას
ლაშობდა.

ერთხანს ვდგავართ და ვიციდით. ველარ
მოვითმინე და შოფერს ვუთხარი:

— ბიჭო, გაძვერი წინ როგორმე-მეთ-
ქი.

— სდექ, გადააყენე გვერდზე!—გადა-
უდგა წინ მესანგრეთა კაპიტანი, წეს-

რიგს რომ იცავდა. ჩვენი შოფერმა ვი-
თომ ვერც გაიგონა ეს ~~სიტყვა~~ ვი-
თომ ვერც კაპიტანი დაიწინა. კაპიტანმა
შეამჩნია ეს და გაბრაზდა:

— შენ, რაო?—მუქარით უთხრა შო-
ფერს—სადა გგონია შენი თავი? საჯა-
რიმო ბატალიონი ხომ არ მოგვენატრა?
შოფერმა დაამუხრუჭა და მე შემომ-
ხედა, გადმოვედი და კაპიტანს წინ და-
ვუღუქე.

— ამხანაგო კაპიტანო! უნდა გაგვა-
ტარო-მეთქი, ვუთხარი.

ისევ ის ანცური ნაპერწკლები ელა-
ვენ ზაქროს თვალეში. რაღაც უხარია
გიგოსაც: ყოჩაღ ბიჭო, ვიცოდი, აგრე
იქნებოდა, ვიცოდი, არსად დაიკარგებო-
დი, შვილო!

— გაკვირვებული მიყურებს კაპიტა-
ნი... ფიქრობს, ვინ არის ეს მეტიჩარა
სერჯანტი, რას ეჩრება, ან რა მიაქვს
ასეთი, რომ კისრისტეხით მიიკლავს
თავს და ქვემეხებზე წინ გაძრომას აპი-
რებს!

— ისევ შემათვალეირა, მამი, აი, რო-
გორც ახლა შენ მიყურებ, შემათვალი-
ერა და მკითხა:

— რაშია საქმე? რა მანქანებია ეს?

— ძალიან საიდუმლო და საჭირო
ტვირთია, ამხანაგო კაპიტანო!—ვეუბ-
ნები.

მესანგრეთა კაპიტანმა უკვე ინტე-
რესით შემომხედა და მკითხა:

— მაინც რა მიგაქვთ ასეთი!

— მოდი ახლა და აუხსენი!

ამასობაში კაპიტანი მოახლოვდა, გა-
დაძახდა ბრეზენტი ჩვენს მანქანას,
ჩაპხედა შრიფტს, პატარა საბუკედ დაზ-
გას, ზომ გახსოვს ის „ამერიკანები“
რომ წავედეთ, მერე ხელის გულზე და-
იყარა ეს ჩვენი ქართული ანბანი, დაპ-
ხედა და გულთანად გაიცინა.

— შენ ძალიან ხუმარა ბიჭი ჰყო-
ფილხარ, სერჯანტო!—მოთხრა და მერე
შოფერს მიუბრუნდა:

— აბა, გადააყენე გზიდან მანქანა!

სამხედროს წესი ხომ იცი, მამი, კაპი-
ტანის ბრძანებას სერჯანტი როგორ და-

არღვევს. შოფერმა მოღრიჯა საჭე და ბოლოში მოექცა ქარავანს.

კაპიტანი ისევ იმ ქაოსში ჩაერია, რომ ოდნავ მაინც მოეწესრიგებინა იქაურობა, რიგ-რიგობით მიეცა გზა ყველასათვის, ვიდრე მტრის თვითმფრინავები შეგვამჩნევდნენ. საფრთხილო იყო, წამდაუწუმ ბომბავდნენ იქაურობას.

ვღგავართ და ვიცდით. მეტი რა გზა გვაქვს. ამასობაში იმ გასასვლელში მთელი პოლკები გავიდნენ. ხალვათობა რომ იგრძნო და საქმეც მოითავა, კაპიტანი ჩვენსკენ წამოვიდა, თურმე არ დავვიწყებოვართ, შემოახტა ჩვენს მანქანას და შოფერს ახლაც უფროსივით უბრძანა — დასძარიო.

შოფერმა მოტორი ჩართო.

კაპიტანმა ღიმილით გადმოიხედა, თვალბში მიცქერის, მაგრამ მე თვალს ვარიღებ, ამით მინდა ვუთხრა—უსამართლობა ჩაიღინე—მეთქი.

ის კი მაინც არ ისვენებს, უნდა, რომ ლაპარაკში გამოიწვიოს.

— მაშ უამისობა არ იქნება, არა? — კითხულობს ის.

მის დაციწვას მეც იმავე იარაღით ვუხვდები.

— ამხანაგო კაპიტანო! სხვათა შორის, რაკი-ლა ასე, ცნობისმოყვარე ყოფილობით, იქნებ პეტეფის სახელიც გავიგონიათ?

— კმ, — გაიცინა კაპიტანმა, ვემოთიც გავგისინჯავს...


— მართლა? — ვუთხარი მე—მაინც, როგორი იყო ვემოთი?

— ეებს, ბიჭო! — მითხრა მაშინ მესანგრეთა კაპიტანმა, — რას იჭმუნნი მავ წარბებს. ზედ შუბლზე გაწერია შენივე ბიოგრაფია. დასავლეთის ლიტერატურის ფაქულტეტის რომელ კურსზე იყავ, როცა ეს ომი დაიწყო?

— არც რომელზე. უნივერსიტეტში შესვლაც ვერ მოვასწარი..

— მაშ პეტეფი საიდან სადაო?

— ვერ მიხვდი, ამხანაგო კაპიტანო? შენ ხომ არ ვაატარე ჩვენი მანქანა. პეტეფი ვაატარებდა!.. არ დავაგიწყდეს.

ისიც შენსავით ოფიცერი იყო. მოლა, კველაზე წინ გავიშვებდა... 

— რა ფიცები კაცი ყოფილხარ, კაპიტანო! — მითხრა კაპიტანმა, — ვიცი, ბიჭო, წაკითხული მაქვს. ზეპირადაც მახსოვს: „ვიღუპებით, ან ერთი დღეიზია მოგვაშველეთ, ანაც ერთი საბეჭდი დაზგა გამოგვიგზავნეთ, რომ ლექსები დავბეჭდოთ და ჯარისკაცებს წავაკითხოთო“.

— ჰოდა, მეც ერთი დღეიზია მიმყავს ფრონტზე—მწყრალად ვუთხარი, — ამ მანქანაზეა ჩემი დღეიზია... თუ ამას დავაგვიანდა, ამხანაგო კაპიტანო...

— მე სტუდენტი მეგონე, ბიჭო!

— აჟი ვითხარი, სტუდენტობა ვერ მოვასწარი-მეთქი... მაგრამ პეტეფის თქვენ საიდანღა იცნობთ, ამხანაგო კაპიტანო?

კაპიტანმა ისევ გულიანად გაიცინა:

— ბიჭო, განა მე კი მესანგრედ დავიბაღე? მე კიევის უნივერსიტეტის ასპირანტი ვარ... მაგრამ პეტეფი მართლა გავიშვებდა წინ.. კარგი, რაც იყო, იყო... მოდი, ჯერ ეს ომი გავათათო, მერე ჩამოდი ჩვენთან, კიევში... მოიტა ხელი... პრაქტიკულებს აღარ მოგკითხავ, დღევანდელს ჩავითვლი...

შევრიგდით და ხელი ხელს დავკარიო.

მერე, სადღაც, შუა გზაზე კაპიტანი გამოგვეთხოვა და მანქანიდან გადახტა.

— კიევში რაღას წახვალ, შეილო? — წუხს ბერიკაცო.

— ჰო, ველარ წავალ, წუხს ზაქრო-ბიჭოც... — აქაც, შენს სანახავად მოველ. მამი, ძალიან შემიელოდე...

— შესაცოდარი მე რა მაქვს, ბიჭო, მაშინ შენ რაღა უნდა სთქვა... მიწაც არ გელირსა აქაური...

— მიწა იქაც გრილია, მამი... მიწა ყველგან მიწაა, ეს ტიალი... ტბის პირას ვმარბივარ... ძალიან ბევრნი ვართ, მამი... ოღონდ იქ ნუ ჩამოხვალ, საფლავს, სულერთია, ვერ იპოვნი...

ზაქრო ისევ ფიქრში მიდის. მერე გახედავს მამას და ამაყად ამბობს:

— ჩაუბით ომში... იმ ჩვენი ქართული ანბანით... უბით დაქქონდათ ჩვენს

ბიჭებს ჩვენი ფურცლები... მაგრამ ცუდი დრო იყო, მამი, გვიჭირდა... სასწორი ჯერ ისევ იმათ მხარეს იყო. ჰოდა, ერთხელ, მტერმა ისე შემოგვიტია, გზას გადაგვიჭირდა რომ არ გამოგვესწრო.

— შენ რომ ვერ გამოასწარი?

— იარაღი ვერ დავეუტოვე მტერს... როცა ნასირის ტბაში შრიფტსა ვყრიდი, სწორედ იმ დროს მოცივიდნენ გერმანელები. ჯერ ვერ მიხვდნენ რას ვაკეთებდი, მერე ერთი მეტამზე იმათივე აღმოჩნდა და უთხრა თავისიანებს —

შრიფტზე უთხრა, ეგ იარაღი ტყვიაზე მეტად სჭრისო. უცებ ჯერაც მიხვდნენ, მაგრამ ეს კი გაიგეს — იმ დროს არ უნებ-მობდი... ჰოდა, იმ მეავტომატემ, აი, ჰირდაბირ ველში მომეყარა...

გიგო პაპამ ისევ ამომწვარ პერანგს დახედა და ამოიგმინა... აღარ უნდოდა დაენახა, დახუჭა თვალები.

თვალი რომ გაახილა, დაინახა—მზე ამოსულიყო, მეორე ოთახში ზურჯო ხმაურობდა, სკოლაში წასასვლელად ემზადებოდა და დედასთან ჩხუბში იყო ჩართული.

შეშლილი

ორმოცდაოთხი წლის ზაფხულის ბოლოს ვისლას მივადექით. ეს ის დღეები იყო, როცა ბერლინში გებელსმა საქვეყნოდ გამოაცხადა: ვისლას ჯებირზე ჩიტიც ვერ გადმოფრინდება, ისე გვაქვს შეკრული იქაურობაო.

სწორედ იმ დღეს გადავედი ვისლაზე. მდინარის მარცხენა ნაპირზე რომ მოვექეცი, გერმანელებმა ისევ წყალში ვადაყრა მოგვიინდომეს. გაათრებული ბრძოლა დაიწყო, მაგრამ ფეხს აღარ ვიცვლიდი. ფრჩხილებით ვებლა-უშებოდით მიწას.

ჩვენი პლაცდარმის ახლოს ბალიან-ხეხილიანი მიდამოები იყო; უცბოდ მოსულს რომ დაეხვდა, იტყოდა, აქ კაცის ჰაუნება არ არისო. ნამდვილად კი, ყოველ ხის ძირას, თხრილებში ხან ხიმტები ელავდნენ, ხანაც პორტუპეის ღილები გაიბრწყინებდა ხოლმე მზეზე.

ჩვენსა და მტრის სანგრებს შუა ხეხილის ბაღი იყო, სწორედ იმ ზონაში, რომელსაც უბატრონო მიწა ჰქვია. მგონი, ისე არაფერს მოხდენია ეს სახელი— უბატრონო, როგორც იმ ბაღს.

ერთი ეს იყო, რანაირ ვაშლს ახვენებდი, იქ არ შეგხვდებოდა. ზოგი მწვანე იყო და სიმწიფემდე ეს ფერი გაჰყოლოდა, ზოგიც ჩაოქროილი იყო, ზოგი ლოყაწითელი, ზოგიც მოცისფრო და ხაოიანი.. იდგა ის ტიალი ბაღი ჩვენსა და იმათ შუა, მაგრამ იშვიათად რომ ვინმეს იქით ფეხი წასდენოდა—ვის

ესალისება ვაშლის გულისათვის სარისკოდ დასდოს თავი!

* * *

იმ საღამოს კაპიტანმა გამომიძახა. დამავალა, რადაც უნდა დაგიჯდეს, მოენე უნდა მოიყვანოო.

კარგად რომ ჩამობნელდა, წასასვლელად მოვემზადე.

მშვიდი, ღრუბლიანი ღამე იყო. უბატრონო ბაღს რომ მივალწიე, ბალახებში გავიინაბე.

ბაღის ხეივნებში დგას ღვინოსავით დამათრობელი სუნი მწიფე ნაყოფისა, რომელიც ბენზინისა და დამწვრის სუნში შერეულა. ირგვლივ ისმის წყნარი, ვაუგებარი ჩურჩული ღამისა; ეს ფოთლებია და ისე იღუმელია მათი შრიალი, თითქოს ამდენხანს ძილგამწარებულებს და დაღლილებს თვლენა მოერიათო. სადღაც ცხენი ფრუტუნებს და ჩუმ ღამეში ისმის როგორ ივინება ძილს დანატრებული ჯარისკაცი.

ხეების გაბარჯლულ ტოტებს ქვეშ ისე ბნელა, თვალთან თითს ვერ მიიტან.

უცებ ვაშლი დამეცა თავზე. ქარმა ჩამოაგდო? მაგრამ ეს ტიალი, ქარი კი არა, უბრალო ნიაგწანწალაც არ უბერავს. მერე სამი-ოთხი ვაშლი ერთად ჩამოვარდა. და მომჩვენა თითქოს ვიდაცამ გაიბრინა ხეივანში და იქით გაიქცა, საითაც მტერია ჩასანგრებული. ან იქნებ ეს ვაშლების დაცემის ხმაა, ველარაუნერი გამირკვევია... კიდევ ჩამოც-

ვედა ვაშლები და მალა ტოტიც ჩამოსლინა ვილაკამ. რომელიღაც ფრინველმა შიშით შეიფრთხილა და ფრთების ფარფლით აფრინდა.

შეცბუნებულაფით მოვაფათურე ხელები. ახლა თოფი დამეცა მხარზე, მივსვდი, ხეზე ყოფილიყო მიყუდებული. ამ ხმაურზე მალა, ხის ტოტებში ბრაზიანი ჩურჩული გაისმა.

უცებ ყველაფერი ნათელი ვახდა ჩემთვის: კაცია ხეზე, მტრის ჭარისკაცი. მაშ არც ის მომჩვენებია—ფეხის ხმა და სირბილი რომ გავიგონე. ალბათ ორნი წამოვიდნენ, შეიძლება ისინიც მოენეზე ნადირობენ, შეიძლება ვაშლმა გამოიტყუათ... და აჰა, ერთმა რალაც საფრთხე იგრძნო და მოუსვა, ამხანავი არც კი ვაფრთხილა.

შევატყე, რომ ხეზე მყოფი შეშფოთდა, ალბათ მიხვდა, რომ ხის ქვეშ ვილაც უცხო იყო.

ესეც შენი მოენე, უშრომლად, უსისხლოდ ნაშოენი. მაგრამ აბა მისწვდი, როგორ ჩამოიყვან?

თითონ არ ჩამოვა. ვერც მე ავალ ხეზე, საფრთხილოა ხმაური და ბღლატენი, თრევე მხრიდან სროლას დაგვიწყებენ.

ეტყობა გათენებაც შორს აღარ არის. ბნელ-მონაცრისფერო ცაზე აქა-იქ-ლაც კიმიმებენ ვარსკვლავები, ხან მიინახებებიან და ხან ძალზე გაბრწყინდებიან.

სადღაც ერთი ვარსკვლავი მოსწყდა და ისე მომეჩვენა თითქოს პირდაპირ გერმანელების სანგრებში ჩავარდა.

მტრის მხარეს სადღაც ჩასაფრებული მოგუშაგე ტყვიამტრქვევი სიბნელეში თითო გრძელ ჭერს დასცლის ზოლმე. ისერიან არ ვიცი თავის გასამხნეველად, თუ მოულოდნელი სტუმრის დასაფრთხოვად.

მარტო ეს არღვევს ღამის მღუმარებას.

— ჩამოეთრე შე ოხერო,—ეჩურჩულე ჩემთვის, მაგრამ ჭარისკაცი სუნთქვამერული განაბულა ხეზე.

წარმოიდგინე რა ცეცხლში ვართ ორიენი: საცაა ვაიცრიცება სიბნელე

ღამისა: ხეზე ყოფნაც სიკვდილია იმისათვის, გათენებისას შეამჩნებენ და უკილებლად ნიშანში ამოიღებენ, ვერც დაიყვირებს, ისევ ის ბედი მოელის, ჩამოსვლაც ჯოჯოხეთია... დაბლა მე ვეგულე და ალბათ მიწაზე დაშვებას უძირო უფსკრულში გადახტომა ურჩევნია...

იმედი თუ აქვს—მოსწყინდება ღოდინი და წავაო. მე კი ფეხს რა მომაცულევიწებს.

მაგრამ გათენება არც ჩემთვისაა ხელსაყრელი: დიდხანს ველარც მე გავჩერდები.

საგონებელში ვართ ორიენია...

საცაა გათენდება.

უცებ ციდან ნაცნობი ზუზუნი შემომესმა, მოფიქრებაც ველარაფრის მოვახერხე. რომ თვითმფრინავები მოახლოვდნენ და ქორებივით გადაიქროლეს ზალებს იქით, ჩვენი სანგრების თავზე...

დაიწყო ჯოჯოხეთი.. მაგრამ გერმანელებს სადღაც ჰყავდათ ძველი ასები. ახლა მათს ჭარში, მიწაზეც და ჰაერშიც ტოტალურები სჭარბობდნენ და ისინი კი ნიშანს ყოველ წუთს აცდენდნენ, ამიტომ ამ ბალს უფრო მეტი ცეცხლი ეფრქვეოდა, ვიდრე ჩვენს სანგრებს.

აღარაფერი არ მახსოვდა, ველარაფერს ვგრძნობდი, მესმოდა მარტო ის, როგორ გადაიქცეოდა ხოლმე ციდან წამოსული ყუმბარის ზუზუნი ღმუილად და მერე გავარდებოდა მეხი.. ბალის თავში რალაც ქოხი მეგულებოდა და როგორც კი გრუხუნის ხმა მიწყებოდა, იქით მივცოცავდი...

მივალწიე კიდევ... ვერაფერი თავშესაფარია, მაგრამ ცის ქვეშ ყოფნას მაინც აქა სჯობია...

გარეთ ისევ გუგუნებს ცა და მიწა. და აი, რა მივირის—საშინლად მინდა ძილი.

მაგრამ რა დროს ძილია?! არა და, თვალს ველარ ვახელ...

ეს თურმე სხვებსაც დამართიით... შემდეგშიც ბევრი ვილაპარაკეთ ამაზე. მაგრამ მიზეზი ვერ მოუძებნეთ...



რა ვიცი, იქნება შინაგანი გუშანია და ის ჩაგაძახის: იტყევა ქვეყანა და გაცალე, დაე, უშენოდ დაიქცეს, მაინც ვერაფერს უშველი და ძილი კი ხსნა. ერთადერთი გასაქცევი გზა...

მეორე გზაც არის—სიკვდილი, და ძილიც იმისი ძმია.

დავხუტე თვალები, თითქოს მეძინებოდა, მაგრამ ძილი მაინც არ მოდის... და ამ ბურანში ვგრძნობ, თითქოს ვილაყეები მეხუტებიან, მეკვრიან...

ჭერ ვიფიქრე — მეჩვენება-მეთქი მაგრამ ამჟამად ვგრძნობ თბილ, ათროლებულ სხეულებს...

თვალი ავახილე... ერთ მხარეს ძალი მომწოლია, ეშმაკმა იცის საიდან გაჩნდა აქ, მეორე მხარეს—ვიღაც ჯარისკაცი; გუშანით ვიგრძენი ჩვენი არ არის, გერმანელია... ერთიც ადამიანის ხმით კვენის და მეორეც, ერთსაც შეშლილის თვალები აქვს და მეორესაც... ალბათ, ასეთი თვალები მაქვს მეც. მეკვრიან, მეხუტებიან, ძალს ცხვირი სადღაც ჩემს იღლიაში წაუყვია და ვატყობ როგორ თრთის, ის ჯარისკაცი კი მეხუტება და რაღაცას ზმუნის, რაღაცას ბუტბუტებს...

გერმანული კარგად ვიცოდი-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ საყველბუროდ მესმოდა. დაფუგდე ყური და ძლივს გავარჩიე მისი ჩურჩული; მივხვდი, „მამაო ჩვენოს“ კითხულობს... ცათა შინაც და ქვეყანასა ზედაც კი ისევ ჯოჯოხეთი ბრუნავს.

ლოცვა აღარ დაუმთავრებია, ის იყო პირველი მუხლი ჩაათავა, ქოხი თავზე წამოგვექცა, ისე რომ ყუმბარის აფეთქების ხმაც არ გავგვიგონია...

მერე აღარაფერი მახსოვს...

გონს რომ მოვედი, სული მეხუთებოდა, ნანგრევებს სამივენი ერთად დავემარხეთ... მტკივა მთელი სხეული. მაგრამ რა ვამაჩერებს, ძლივს ამოვწიე მხრები, კიდევ კარგი უბრალო ჩალური ქოხი იყო...

ამიტომ იოლად გადავჩრით...

ციდან ჩამი-ჩუმი აღარ ისმოდა, დაბომბვა დამთავრებულიყო. ერთ წუთს ღონე მოვიკრიბე, და ჩემთან ერთად იმ საფლავეში მყოფნი ამოვიყვანე... ჯარისკაცი ჩქარა მოვიდა გონზე, მაგრამ თვალეში რომ შეეხედე, ჩავექნიე ხელი, გათავებული იყო იმისი საქმე...

როგორც კი თვალი აახილა, მომვარდა და ლულულდი დაიწყო:

— იხ ქანნ ნიხტ მერ! ბინდ მირ დი ჰენდე ლოს!...

ხელები თავისუფალი აქვს ამ საცოდავს, მაშ რას მეხვეწება...

ის კი უკვე ხმამალა ბღავის:

— ბინდ მირ დი ჰენდე ლოს!

ვეძებ და ძლივს ეპოულობ სიტყვებს, ვარწმუნებ, ვუსხნი, რომ ხელები თავისუფალი აქვს, მაგრამ შესლილის გონებაში აღარაფერი აღწევს.

დასაბამიდან აგრე იყო—შეშლილზე უფრო საცოდავი არავინ იყო ქვეყანაზე. ჩავექიდე ხელი და წამოვიყვანე ძალი კოჭლობით გამოგვეცა უკან.

ბატალიონში რომ მოვბრუნდით, რაღაც ბედზე პირველი, ვისაც შევხვდით. კაპიტანი იყო. გერმანელი მივარდა მას და მუდარით დაუწყო:

— ბინდ მირ დი ჰენდე ლოს!

— რას ამბობს?—მკითხა კაპიტანმა:

— ხელები შემისხენითო, იხვეწება...

კაპიტანი დაკვირვებით შეაქეჭრდა თვალებში და მერე ისე გადმომხვდა, მერჩინა მიწა გამხეთქოდა და ჩავეტანე.

— ნება მომეცით, მოგახსენოთ, ანხანავო კაპიტანო!—ძლივს მოვახერხე ამის თქმა.

— რა უნდა მომახსენო, ბიჭო, რა? შე, თვითონ დამთბვეულო, რა ჰირად გინდოდა ეს ვერანა, რას მოათრევი აქ?

— რა ვუყო ახლა?

კაპიტანმა ბუჩქებისაკენ გაიხედა, იქ

¹ მტეი აღარ შემიძლია... შემისხენით ხელები (გვრმ).

ხალხი ირეოდა, ჩავეიდე ხელი ტყვეს და იქით წავიყვანე. ფორნები მოეტანათ და ზედ დაჭრილებს აწვევდნენ, პოსპიტლებში მიპყავდათ; შესლილი ვერაფრით ფორანზე ვერ აიყვანეს, ხტებოდა, ისევ თავის აჩემებულ სახვეწურს იხვეწებოდა, დრო კი აღართმენდა, სანიტრებს ეჩქარებოდათ,

საფრთხილო იყო, დროზე უნდა გასცლოდნენ აქაურობას.

— შეუკარით ხელში და დაგდეთ ფორანზე! — წამოიკენესა ერთმა დაჭრილმა.

ასეც მოვიქცეთ... და ის იყო ფორნებიც დაიძრნენ ვიწრო გზაზე.

ალარ ბახსოვარტ, ჯარისკაცი

მოხალვათებულ აივანზე, შესასვლელის გამოსწვრივ, ერთი-მეორის მიყოლებით, აუარებელი ფეხსაცმელი იყო ჩამწკრივებული... სულ თავში, ახალი ქრომის ჩექმები ეწყო, მერე პატარა ბიჭის ფეხსაცმელები, მერე გოგონასი, მერე იმაზე უფრო პატარა ბიჭისა, კიდევ პატარასი, და იმას კი ფეხსაცმელებიც აღარ ერქმოდა — ფაჩიები იყო, ეწყო ერთ მწკრივში, დიდ-პატარაობით, ოთახიდან კი მასტიკის მძაფრი სუნი სცემდა და ბავშვების ჟრიაშული ისმოდა.

დაძახებაც ვერ მოვასწარით, ისე გაიღო კარი.

— შემოდით, ხალხნო, — შინ შეგვიპატივა მასპინძელმა, გაღებულ კარს ბავშვებიც აწყდებოდნენ, ირეოდნენ ერთი-მეორეში...

— სტუმრები ბლომადა გყოლია, სანდრო!

მასპინძელს ეშმაკურად უციმიციმებს თვალები — აქაო და ეს სტუმრები არ არიანო; მე ახალ წელს ვულოცავ და ისიც რაღაცას მპასუხობს, რასაც ჩვეულებრივ ამბობენ ხოლმე ასეთ დროს. შევდივართ, და ვხედავთ, მეორე, უფრო დიდ ოთახში სუფრაა გაშლილი... ჩვენც ვსხდებით და სტუმრებს ვუცდიით.

მანამდე კი სიტყვა სიტყვას მოსდევს. მართალია, დღესასწაულია, მაგრამ შემთხვევა რომ მოგეცემა და ასეთ სახელგანთქმულ ტრაქტორისტს შეხვდები, რაღაც მაინც გინდა გამოჰკითხო... მოსავლის ბედი იმის ხელშია, და, მაშასადამე, ქვეყანაც იმის შემყურეა

ჰოდა, მეც ვეკითხები, მაგრამ მასპინძელი სულ ბანზე მიგდებს სიტყვას. კორესპონდენტები არ უყვარსო, ვერ იტყვი, მაგრამ ვატყობ, არც ძალიან გულში უსხედან. ალბათ ამიტომ. ვერ იქნა და ვერ გავიყოლე ლაპარაკში, ვატყობ ამას და მიზნებს ვეკითხები. სანდრო შეუბღს იქმუნის და მეუბნება.

— თქვენს გამო რაიკომის მდივანმა ისეთი დღე დამაყენა... მთელი თათბირი ჩემზე აცინა.

არ ვუჯერებ, ვიცი, რომ კორესპონდენტებს სანდროს საქებრად სიტყვა აღარა ჰყოფნით. ნამდვილად რაღაცას მატყუებს ზემოქალელი ბრიგადირი.

— ეჰ, ივონებ რაღაცას... — ვეუბნები მე.

— რას ვივონებ, კაცო რას? რაკილა აღარ იშლი, გეტყვი. შარშან კორესპონდენტები იყვნენ ჩამოსული. მიკითხეს თურმე. მეც მაშინვე ჯარისკაცივით გამოვეცხადე... ზომ გახსოვს, ძველი ზემდეგი ვარ, ვიცი სად როგორ უნდა უფროსიც ვიცი და უმცროსიც. ჰოდა მივედი... შევხადე, კინოაპარატი ჩამოუტანიათ. მე რა ვიცოდი, ესენი თურმე დამწერებზე უარესები არიან. ისე დაგხატავენ და გამოგალამაზებენ, მშობელი დედა ვეღარ გიცნობს... მეუბნებიან — სოფლის წინსვლა კონკრეტულად გვინდა ვაჩვენოთ, ამიტომ ყველა შენი ტრაქტორი გამოიყვანე, ჩავაყენოთ კვალში და დაე გუგუნით პირდაპირ აპარატზე წამოვიდნენ, ეს შესანიშნავი სიმბოლო იქნებაო. ერთი კი გამკრა ექვმა გულში, ეს როგორ შეიძლება-მეთქი.

მაგრამ სტუმრებს ვეღარაფერი შევკადრე. პოდა, გამოვიყვანეთ ტრაქტორები, მარტო ჩემი ბრიგადა რას ეყოფოდა, მეზობლებიც შევაწირიალეთ, წინ პატარა, კობტა „ბელორუსები“ დავაყენეთ, მერე უფრო მძლავრები, ორმოცდათოთხმეტქალიანები და სულ ბოლოს კი—ვეება დიზელები... ვამბობ გულში, ეს რას ჩავდივართ-მეთქი, მაგრამ ვეღარაფერი მითქვამს—მეუბნებიან აგრეთა საჭირო, უფრო ეფექტური იქნებაო.

აბა, მივეცი ბრძანება ბიჭებს და დაიძრა ჩემი არმია. ისეთი გუგუნნი დგას მინდორში, ყურთა სმენა აღარ არის... ერთი ჩამოსული სტუმარი აპარატს ატრიალებს, მეორეს კვალში ჩაუჩოქნია და ისე იღებს... არის ერთი ამბავი...

სანდრო როგორღაც შწარედ იცინის. შემდეგ განაგრძობს:

—ხომ იცი, რა მოუსვენარი კაცია ჩვენი მეზრიშვილი. რაიკომის მდივანზე გეუბნები... იმ დღესაც, მინდორში, საიდანღაც მოდიოდა თურმე და დაუნახავს, რომ ჩვენს თავს რაღაც ცოდვის კითხვა ტრიალებს. დაუგდია თავისი გზა. გამოუქანებია მანქანა ჩვენსკენ, მოსულა და თვალებს არ უჯერებს. გაალო კაბინის კარი, გადმოხტა და მაშინვე მე დამეტაკა:

— ბიჭო, თუ გადაირიე, მითხარი და გაგვზავნი საგოყეთში...

მე მხრები ავიჩეჩე.

— რას იწურები მხრებში, გინდა ქვეყნის მასხრები გახდეთ? აგრე სადა ხნავენ, თქვე მკვდარძალუბო, თქვენა? თანაც კინოსაც რომ იღებენ!..

ერთმა ჩამოსულმა რაღაც წაილულულა ეფექტისა და პერსპექტივის თაობაზე.

— თქვენ სტუმრები ხართ და აბა რა გაკადროთ, —უპასუხა მეზრიშვილმა და მერე ჩემზე უჩვენა—ეს კი შინაურია, პოდა, ამის ეფექტი ხვალ ნახეთ, თათბირზე...

მეორე დღეს თათბირი იყო... სულ ბოლოში დავექეი, თავი მხრებში მაქვს ჩამალული, მეზრიშვილი ლაპარაკობს და თან თვალებით მეძებს... მე ვილა-

ცის ზურგს ვეფარები, მიხინჯ მიპოვნა და გადმოძახხა:

— სანდრო, სად ჩამალულხარ, მიქო პერსპექტივაში კარგად ვერა სჩანხარ!— სწორედ ასე მომძახხა, ატყდა ერთი ხარხარი და ჟრიაპული. ეპ, ნულარ გამახსენებ, თუ ძმა ხარ... მაგას ისა სჯობია, დაესხდეთ ბარემ...

სუფრას მივუსხედით. სანდრომ ის იყო, ასწია პირველი ჭიქა, რომ აივინიდან შეძახილი მოისმა:

— მასპინძლო, ეპეი, მასპინძლო!


სანდრომ ხმაზე იცნო ახალმოსული— ჩვენი თავმჯდომარეაო, ჭიქა დადგა, გავეგება და მხარზე ხელგადახვეული შემოიყვანა ოთახში.

ზემოქალის თავმჯდომარეს ჩვენ უკვე კარგად ვიცნობდით, ისიც ვიცოდით, რომ შარშან ის პოლონეთში იყო ნამყოფი, მოსკოველ პროფესორ მარია ბელოშაპკოვასთან ერთად... დღეუგაცია იყო ვაგზავნილო, აბა, თქვენ იცით, მიეხმარენით იქაურებს, თქვენი გამოცდილება გაუზიარეთო. ისინიც წავიდნენ და ყველაფერი ასწავლეს რაც იცოდნენ. მერე ლევანმა, აი ამ თავმჯდომარემ, ჟურნალიც ჩამოიტანა იქიდან. „პრობლემა“ ერქვა. იქ მათი სურათები იყო დაბეჭდილი. სურათზე ვისლის საწარმოები იყო აღბეჭდილი—ლევანი კვლებზე იყო დახრილი და რაღაცას პყვებოდა. იქაურ გლეხებს ეთქვათ — პროშე პანე, ველარ ვაგვიჩევია რომელი პროფესორი ხართ და რომელი კოლმეურნეო.

— ბიჭო, სანდრო! — თავმჯდომარე ჯიბიდან რაღაც ქაღალდებს იღებს.— პოლონელები მილოცავენ და წერილსა მწერენ—ის ჟურნალი წაუციტხავთ და იქიდან გაუგიათ ჩვენი იქ ყოფნის ამბავი. როგორ ვაგვიხარდა, რომ კახეთიდან ყოფილხართ, მანდ ერთი წელიც მამაკაცი გყავს და იქნებ იმეორე მერე... თანაც შენი სახელიც სწერია—აბა, ნახე, ვის იცნობდა იმ დროს ველში?

სანდრომ უსიტყვოდ ჩამოართვა წე-

5066



რილი, მისამართს დაჰხედა და მერე შე
გადმომაწოდა. წაეციოთზე—პოლონეთი,
სოფელი ვიტოსლავი.

— ვის ვიცნობდი? არავის—უბასუხა
სანდრომ, — მაგ სოფლის სახელიც კი
არ გამიგონია!

ვეკითხებით, იქნებ ომის დროს მოხე-
დი მაგ სოფელში, ვინ იცის, სად არ
ამოაყოფინებს თავს ჯარისკაცს ომის
გრძელი ვზა მაგრამ რას დაინსომებ
ყველა ქალაქა და სოფელს, სადაც შენს
ბატალიონს გაუვლია! ეგვეც არ იყოს,
მთელი ბატალიონიდან რაღა სანდრო
აირჩიეს და ის მოიკითხეს; რა მოხდა,
სანდრო უბრალო ზემდეგი იყო და რო-
დის იყო რომ ზემდეგი სწყვეტდა
ბრძოლის ბედს და სოფლებს იღებდა?
მესმის, ბატალიონის მეთაურს დაუწყონ
ძებნა, თორემ ზემდეგს? მე ვინ ვიყავ?

— არ ვიცი, შენ კი გკითხულობენ
და...

— მისამართი შეშლიათ!

თავმჯდომარეს გული მოუვიდა:

— არ შეშლიათ, არაფერიც არ შეშ-
ლიათ! შენ გეშლება, ბიჭო... კინოქრო-
ნიკიდან რომ ხალხი ჩამოვიდა, იმის მე-
რე შენ ვეღარ მიცვნიხარ... ცხრა მთას
იქიდან გეძებენ და... შენ კი...

— მაშ მე არ უნდა ვიცოდე, ვის ვა-
ვახსენდი?—წამოიძახა სანდრომ და
ლევანის გადაკრულ სიტყვაზე კი ყური
მოიყრუა.

— ეგ შენი საქმეა, — უთხრა თავმ-
ჯდომარემ, — მე ჩემს მეგობრებსა და ნა-
თესავეებს კარგად ვიცნობ... შენებზე კი,
შენ იღარდე.

— მაშ რაში იქნება საქმე, კაცო? ვერ
უნდა მივხედე...

ჩვენი მასპინძელი ისევ ფიქრში წა-
ვიდა.

და უცებ გაიელვა ფიქრში ერთმა
სურათმა, ელვასავით გაანათა იმ ვახსე-
ნებამ ყველაფერი.

* * *

ეს იყო საშინელი ღამე, იწვოდა სო-
ფელი, იწვოდა თვითონ მიწა, ტანკების
მუხლუხებით გადათხრილი და დაფლე-

თილი, გრუხუნით ეცემოდნენ ყუბაზე-
ბი მიწაზე და უპ, უპ, უპ... და მთელი
კენესოდა მიწა. ბატალიონის წინა
შუალამისას დაიწყო, დილით სოფე-
ლი აღებული იყო და იმ სოფელს ვი-
ტოსლავი ერქვა.

რამდენი ასეთი სოფელი გაგივლია,
ზემდეგო, ასე დამწვარი და ატირებული,
არ მიკვირს, რომ უცებ ვეღარ გაიხსენე
სახელი... მაგრამ სწორედ იქ მოხდა რა-
ღაც უცნაური, ბევრის მნახველ ჯარის-
კაცსაც რომ გააკვირვებს. მეორე დღეს
მთელი ბატალიონი აღრიხანად წამოშა-
ლეს და ჩამაწვრივეს, კაპიტანი გამოვი-
და, ჩაუარა თავის მებრძოლებს და მოკ-
ლე ბრძანება გასცა:

— ტრაქტორისტებო, ორი ნაბიჯით
წინ!

— ყურებს არ დაუვჯერეთ, ეს რომ
გავიგონეთ... დავიბენით.. ომი იყო და
იმიტომ... რომელიღაც ჯარისკაცი გამო-
ვიდა წინ და ფეხი შეეშალა. მას მეორე
გამოჰყვა... მესამე მე ვიყავი...

კაპიტანმა აგვხედ-ჩაგვხედა, მერე
მწყობრი დაშალა და ჩვენ შტაბში წაგ-
ვიყვანა.. იქ გლეხები ისხდნენ და ჩუ-
მათ გვიციდდნენ.

პირველად კაპიტანმა დაარღვია სი-
ჩუმე.

—აი, ბიჭებო, ხედავთ რა ამბავია.
თუ ხვალ ამათ გუთნები არ გაიტანეს,
დაილუბება წლევეანდელი წელი... და-
ნარჩენი თქვენ იცით...

დანარჩენი მართლაც ვიცოდით, ავ-
დექით და აქედან პირდაპირ მინდორში
წავედით.

ცაზე სადღაც ისევ ღმუოდა კენტალ
დარჩენილი „ფოკე-ვულფი“.

მაგრამ მე იმისი ხმა აღარ მესმოდა
და უცნაური რამ შემართებოდა. კვალი
გავიტანე თუ არა, გადმობრუნდა თუ
არა მიწა, რომ მგონია, ახლა გავყვები
მეთქი მინდორს, თითქოს რაღაცამ დამ-
კრა თავში. ვზივარ საქესთან და თავ-
ბრუ მესხმის. ვგრძნობ, ხელი არ მე-
მორჩილება, არ კი ვიცი, რა მომდის...
ასე მგონია, შინ ვარ, კახეთში და მთე-
ლი ეს ომი სიზმარი იყო. გავაჩერე

ტრაქტორი და მიწაზე ჩამოვედი, არ ვიცო, მუხლმა მიდალატა, თუ არ ვიცი, მიწამ დამძალა, ჩავწექ კვალში—აბლაღაკურილი მიწის სუნი მაჭარივით დამათრობელი ძვლგიანი და როგორღაც მოალერსე იყო.


თუ არ მეჩვენება, მაშ ამ ერთი წუთით ომიც აღარ ყოფილა ქვეყანაზე... მაშ ქვეყანა თუნდაც ერთი წუთით, ერთი დღით კარგი, ლაქვარდიანი და მზიარული ყოფილა, აღარ იწვის ვარშავა, აღარ ბომბავენ ლონდონს...

ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოვკიდე საკვებს ხელი...

აღბათ, მაშინ თუ ჩაიწერეს სოფლებმა ჩემი მისამართი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარგი ამბავი მოუტანა თავმჯდომარემ ზემოჭალელ ბრიგადირს. ახლა ყველამ კარგად ვიცით—არც ისე დიდია ეს ჩვენი პლანეტა, რომ კაცმა კაცი დაკარგოს, ხმა ვერ მიაწვდინოს, როცა მიწას ცეცხლი აღარ უკიდია და ჰაერში დამწვრის სუნი კი არ ღვას, ღვას დამაბნელებელი სუნი აბლაღაკურილი მიწისა და მინდვრის ლურჯი ყვავილებისა.



რეპუზ მარბიანი

ახალი ლექსები

რა ძნელი იყო...

შენ რომ იცოდე, როგორ ვღელავდი,
 მე როცა ომის ელვამ დამსერა...
 რა ძნელი იყო ფერად-ფერადი
 ტყვიების შუქზე ლექსის დაწერა.

მე, როგორც იქნა, ოდნავ შემკრთალი
 დაემორჩილე მომცრო ფანქარი,
 ძლივს შევაჩვიე თოვლში ერთმანეთს
 თბილი ლექსი და ცივი სანგარი.

ვწერდი ქარბუქში ვინმე ყარიბი
 და სტრიქონებზე ვთრთოდი ბეშვივით.
 მყარი არ ჰქონდა ჩემს ლექსს ყალიბი,
 აკლდა დაზვეწა და შალაშინი.

მაგრამ სხვა იყო, სულ სხვანაირი
 ჩემი თრთოლვა და გულის კანკალი,
 ოდნავ უხეში ჩემი შაირი
 და თოვლით სავსე, როგორც სანგარი.

ვჩქარობდი, ვწერდი, სულმოუთქმელად,
 არ გამფრენოდა ფიქრი ხალასი,
 არ წავსულიყავ სიტყვა უთქმელი,
 გაწბილებული იმ ქვეყანაში.

ალბათ, გამიგებ, რისთვის ვღელავდი
 და რამაც ჩემი გული დასერა...
 რა ძნელი იყო ფერად-ფერადი
 ტყვიების შუქზე ლექსის დაწერა.

• • •

სიმწრის ლექსს მაშინ როგორ
 დავეწერდი,
 არც დრო და ქამი იყო ამისი,
 როცა კარს გვედგა ბედი შავბედი
 და დარდიც ჰქონდა ხალხს საკმარისი.

ისედაც ყოველ დილა-საღამოს
 მოჰქონდა სევდა და მწუხარება
 და ჩვენ გვეჭიროდა თბილი მალამო
 დედის ტკივილის გასაქარებლად.

ჩვენ ვამარებდით მხოლოდ იმედებს
 და დაძმებს სუნთქვას ვუადვილებდით.
 დასაქარავად ვერ გავიმეტეთ
 თვით დაქარგული ბეჭი იმედი.

რაც გულს სტკიოდა, რაც სულს
 სჯეროდა,
 განგებ არ გათქვეს ჩემმა ტუჩებმა,
 ლექსი კი ჩემი ვაშას მღეროდა
 მამის ვარამის გასაყურებლად.

ვმღეროდი ომში და სიმწარეში
 ქერჩის სრუტიდან დარიალამდი.
 და როცა გლოვა მედგა თვალბში,
 ჩემს მწუხარებას უხმოდ ვმალავდი.

სიმწრის ლექსს ომის კვამლით
 ვფარავდი,
 არც დრო და ქამი იყო ამისი.
 შეგუბებული სევდა-ვარამი
 ისედაც ჰქონდა ხალხს საკმარისი.

დღესაც დაფრინავს...



დიდი ზამთარი. მკაცრი ზამთარი,
იმ ფაფუკ თოვლში ამოგანგლული.
მიტოვებული ბევრი სახლკარი
და დაღწეული ბევრი სადგური.

დიდძალი თოვლი. ვიწრო სანგარი,
ქარყინვის სუსხი და მოლოდინი,
მიდამოს ზურავს თეთრი საბანი
და მეც მივია თეთრი ლოგინი.

იანვრის თოში ფიფქშეყინული,
გავებული ქარის თარეში,
აღარ წკრიალებს ცივი ბინული,
სადღაც წუთიერ ამ სიწყნარეში.

სადღაც სიმწრისგან ვიღაც იცინის,
დასახმარებლად ძმობილს გასძახებს.
თვით უღმობელი ღმერთი სიცივის
ყინვაც ძივძივებს, ყინვაც ცახცახებს.

ძვლებს სიცივისგან გააქვს ჭახჭახი,
შეუბრალებელ სუსხს ველურჩები,
ცივი გამხდარა, როგორც ჩახმახი,
ყინვით დამწვარი ჩემი ტუჩები.

იმ უკანასკნელ თუთუნს ვეწევი,
მე დიდხანს, ფრთხილად რომ
ვინახავდი.
სითბო ანთებულ ოქროს ბეწვების
ჩუმად ზელიდან ზელში გადადის.

გადადის, როგორც ტყბილი ოცნება,
თითქოს არც მინდა თვალის გახელა.
ჩემი თუთუნი — თითო მოწევა,
დაფრინავს, როგორც ციცინათელა.

...დღესაც დაფრინავს, ვანა ჩამქარალა,
მოგონებათა კვამლში ღვივდება.
ჩემი მბუფტავი ცეცხლი პატარა —
მეომრის მთელი ავლადიდება.

თანავი ბავშვი

ოცნებების მკვლევარი

შავლები

ვინაა ყველაზე ყოჩაღი ბიჭი სოფელში? — შავლები!

ვინაა უკეთესი მოჭირითე? — შავლები!

ვინაა ყველაზე მაგარი მსმელი? — შავლები!

შავლები ამოყად დადის მიწაზე, სვამს, ჯირითობს, თევზაობს.

მის მიერ გადაგდებული ბაღე არასოდეს ამოვა ცარიელი.

სანადიროდ თუ წაივია, ერთ დათვს მინც ჩამოიტანს.

საუკეთესო ცხენი ჰყავს.

შავლები მაღალია, გრუბა თმისანი. კეხიანი ცხვირი და ორად გაპობილი ნიკაბი აქვს. ხელები — ნიჩბისოდენა, ბეჭები — ფართო.

კატასავით მოქნილად დადის.

თუ ჩხუბია, შავლებს გამოჩენა აჩერებს ყველას, იციან — ჩხუბი არ უყვარს.

თუ ქვიფია, შავლებს მოსვლაზე თამადა გადადგება წამსვე.

თუ ქორწილია, შავლები პირველი მომღებნი და მომღერალი.

ვინა მარტო ეს?

თუ ვინმეს უჭირს, შავლებს უძახიან.

თუ წამალია საშოვნელი, შავლები მიჰქრის თბილისში.

თუ ვინმე მოკვდა გაჭირვებული, შავლები პირველი ჭირისუფალი.

მარტოხელა ქვრივს მიწას გადაუბრუნებს სამოსახლოში.

უღილაჯო მოხუცს სიმინდს წაუღებს წისქვილში.

ოცნებარი წლის ბიჭია შავლები. ვინა მართლა შავლები ჰქვია, — შოთა. შავლები ისე შეარქვეს.

სკოლა რომ დაამთავრა, მას აქედ ცხოვრობს თავისთვის. არც სამსახურში ჩადგა, არც სწავლის გავრძელება ისურვა.

დღეა, პელაგია, სახლში ჰყავს. მაღლა სოფელში სამოსახლო აქვს — ვენახი. ეზოში — ორიოდ გოჭი, ათიოდ ქათამ-ინდაური. ღვინოს ჰყიდის და სიმინდს ყიდულობს. ბაღა-ბოსტანი დედას აბარია.

ცხენზეა გადაარეული შავლები, ამბობენ, მამის ზნე დაჰყვაო.

ყოველთვის ჰყავს ერთი კარგად მოვლილი ცხენი. სამუშაოდ კი არა, ისე უნდა, უყვარს და იმიტომ. მჭადს და ლობიოს დაიკლებს, ძროხას არ იყოლიებს — ცხენს მოუვლის და შეინახავს. ერთი გაჭირვება დაბაში ყველაფერს ურჩევნია.

წამოვა ფრენით ზევიდან (სახლი სერზე უდგას), ჩამოეშვება დაბაში, ჩაიჭროლებს მთავარ ქუჩას. კაკან-კრიახით გარბიან დაფეთებული ქათამები, ბავშვები ღობეებს აწყდებიან.

— გიეი! გადაარეული! — კვიან ქალები.

— შავლები! შავლები! — ყვირიან ბიჭები.

დაბის ბოლოს ბოგირს გადაუბაგუნებს, მთისკენ აუბეგვს და თვალს მიეფარება. მერე ბრუნდება უკან, ცხენი ნაბიჯით მოჰყავს, ცალი ხელით დოინგ-შემოყრილი ზის ფაშასავით, იღიმება, კრეკს თეთრ კბილებს. იღიმება, მაგრამ

ზომიერად, გულს არავის უხსნის, არავის მიენდობა ადვილად.

პირველი სასიძოა, მაგრამ არ ჩქარობს.

— ნეტავ იმ ბედნიერს, ვისაც ითხოვს! — იძახიან გოგოები.

— ვაი, იმ უბედურს მაგის ხელში! — ამბობენ ქალები.

შავლეგო კი არ ჩქარობს, ვენახს დასტრიალებს, ცხენს დააჯირითებს. ხანდახან წაიქეიფებს ტოლებში, წაინადირებს, მდინარეს დაუვლის სასროლი ბადით და არის თავისთვის.

* * *

ერთხელ ამხანაგებს წაყვა მეზობელ სოფელში, ქორწილში.

გახაფხულის თბილი დღე იყო. ვრძელი სუფრა ეზოში გაშალათ.

თამადა სიტყვებს ამბობდა, სტუმრები სვამდნენ და მღეროდნენ. მოკრძალებულად იჯდა სუფრის თავში ნეფედუფალი. შავლეგო ტოლებში ჩამქდარიყო და იღებდა.

საღამოხანს სტუმრების ნაწილი წავიდ-წამოვიდა. სუფრას ნახევარი-ღაშერჩა.

მაგიდას მორიდებულად მიუსხდნენ ნაშრომი, ნარბენი და ნაწვალები ქალუბიც.

ორი დიდი ლამფა გამოიტანეს, მაგიდის თავსა და ბოლოში დადგეს.

გარშემო ახლადშეფოთილი ხეები შრიალეზდა. ჩამუქებული მთები თითქოს დაუახლოვდა სოფელს და მექორწილეებს თავზე დაადგა.

შექეიფიანებული შავლეგო სუფრაზე მტკიცედ იჯდა და თავისთვის ღიღინებდა. მერე მოიწყინა, გადახედა მაგიდას და უეცრად გახევდა.

ერთი თეთრკანიანი გოგო უყურებდა სუფრის ბოლოდან, თითისხელა წამწამებს შორის ორი შავი თვალი ციალებდა ცნობისმოყვარეობით. თეთრ შებლზე წარბები მორკალოდა, წერბილი ნაწნავი ზურგზე გადაეგდო. სახეზე ლამფის ყვითელი შუქი ეფინა.

თითქოს შუბი ატაკესო, შებარბაცდა შავლეგო. დაეხშო სმენა და მკერდზე-მკერდზე რომ გაიხედა, გოგო მსაფცხცხცხა ქრალიყო.

ანველოზი ზომ არ მომელანდაო, გაიფიქრა. ეზო მოათვალერა, ლამფის შუქით თვალმოჭრილმა ვერაფერი დაინახა.

— ვინ იყო ის პატარა გოგო? — იკითხა გვერდით.

— აბა, რომელი?

— აი, იქ რომ იჯდა ახლა, თეთრკანიანი.

ამხანაგებმა ჩურჩულით გაიკითხეს. მეზობლის გოგო ყოფილა, ახიყო, იი მისი ძმები, ავლიანები, აქ სხედან ჩვენს სუფრაზე, მოახსენეს.

შავლეგო წამოდგა, ყანწი აავსო, თამადას უფლება სთხოვა და სადღეგრძელო თქვა.

— ქართველი კაცის ვაჟკაცობას გაუმარჯოს, გამძლეობას, თავდადებას და ერთგულებას! ალავერდი თქვენთან! — გადასძახა ძმებს და დასცალა.

— ვაშა! ვაშა! შავლეგო, გენაცვილე! — აყრიამულდა სუფრა.

წამოდგა უფროსი ავლიანი, თეიმურაზი. ყანწი შეუვსეს.

— გაუმარჯოს პატიოსან ვაჟკაცს! — თქვა დინჯად.

სხვებმაც დალიეს.

შავლეგომ ავლიანებთან გადაჯდომა ისურვა და გადაჯდა კიდევ.

— მე რად ვერ გიცნობთ? — ჰკითხა ძმებს.

— შარშან გადმოვსახლდით რაჭიდან, — უპასუხა შავთვალწარბა, შავულვაშა თეიმურაზმა.

— ჩვენ, გიცნობთ! — თქვა უმცროსმა, გვიმი.

შუათანა გიორგი, წარბი რომ წარბში ჰქონდა გაყრილი და ხუჭუჭა წვერს არ იპარსავდა, ჩუმად იჯდა.

— რატომ გადმოსახლდით? — ისევ იკითხა შავლეგომ.

— მშობლები დაგვეხოცა, სახლი გავყიდეთ და აქ წამოვედით.

— ა, სახლი ავაშენეთ, — მიუთითა გივი მეზობლად მდგარ ჩაბნელებულ ოდას.

— რას აკეთებთ?..

— ვმუშაობთ კოლექტივში, — თეიმურაზი მოიღუშა. — ნათესავი არავინ დავგვრჩა, ვართ ჩვენთვის.

— ერთი შორეული ნათესავი გვეყავს, მიხაკო, თბილისში ცხოვრობს. — ცქვიტად თქვა ისევ გივიმ.

გიორგიმ უხმოდ შეხედა ძმას, შავლევოს ჭიქა მიუჭახუნა და დასცალა.

დიდხანს იქეიფეს. დილით მთვრალი შავლევო არ მოეშვა ძმებს, თავისთან წაიყვანა. საღამოს უკან გამოაცილა და წავიდა შუბლშეკრული.

იენისი მოვიდა.

გვალეიანი დარი იღვა და საქმე უღევი იყო.

შავლევო გადაჰყვა ვენახს. მერე მოიცალა და ავალიანებთან გაქუსლა ცხენი.

ლიხის მთას რომ გადააბიჯებ დასავლეთისკენ, მრავალთა შორის ერთი ნაკადული გადმოჩქექფს ზევში და ძირძირ მიედინება.

მისი წყალი ანკარაა, ლურჯი. დიდ ლოდებში მიჩხრიალებს, მიექანება.

პირველსავე სოფელს, სერებზე რომ ცისფერი ოდებით გამოფენილა (ამავე ფერისაა შაბამანით შეღებილი ვენახები), იგი უკვე მდინარედ მოუჩნევია და პირველი უღელიც დაუდგამს — წისქვილი.

სოფლის ბოლოში გავარდნილი მდინარე ვადარჩენილი კურღლეღლივით მიჰქრის, რათა იქაურობას გაეცალოს.

წისქვილისაკენ მიმდინარე არხში წყალი მწვანეა, სარკესავით კრიალა და სწორი. სარკეს ტირიფები ჩაყურებენ. ღარის თავზე უეცარი ჩხრიალით (ქურქელი რომ იმსხვრევა) ეშვება თავკევე წყალი, მშვილდიდან გატყორცნილი ისარივით ეძგერება ბორბალს და მტვრადქცეული, ცისარტყელებით დასერილი, მოუსვენარ ბუქად დგას წის-

ქელის დახავებულ ფიცრებს ქვემოთ.

შავლევო ცხენიდან ~~შავლევო~~ და წყლის თამაშს დააცქერდა: ცხენმა დაუქაზა აღვირი. შავლევო გამოერკვა, ცხენს შეუძახა, ჩაიჩოქა და წყალი პირზე ისხურა. მერე აღვირი მკლავზე დაიხვია და ფეხით გაუყვა გზას ავალიანების სახლისაკენ.

ჭიშკარს რომ მიადგა, სამხრობა გადასული იყო.

ანიკომ თვალი მოჰკრა სტუმარს და მკვირცხლად ავარდა კიბეზე.

აივანზე ძმები გადმოოდგნენ.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა, შავლევო!

თეიმურაზი და გივი მიეგებნენ, აღვირი ჩამოართვეს.

აივანზე შავლევომ გიორგისაც ჩამოართვა ხელი.

— გამარჯობა, ბიჭო! — გაუღიმა შავლევომ.

— ვაგიმარჯოს! — შავ წვერზე ჩამოსვა ხელი გიორგიმ.

სანამ საბელდახელო სუფრას გაშლიდნენ, შავლევო და თეიმურაზი ნარდს მუხსდნენ.

გიორგი ჭურებს მიადგა, გივი და ანიკო სამშაღში დატრიალდნენ.

— ცოლები უნდა მოიყვანოთ, — თქვა შავლევომ ნარდის თამაშში და წარბი ასწია, — ეს პატარა გოგო სამკაცს ვერ აგვივათ.

— შემოდგომაზე ვფიქრობ, — თეიმურაზმა გააგორა და გაიღიმა, — აღვილი მოსავლელები ვართ, მზარეულობაც ვიცით და რეცხვა-ფერვაც...

გიორგიმ დოჭით ღვინო ამოიტანა და იქვე დაეყუდა.

— დედა როგორა გყავს, შავლევო?

— კარგად, გიორგი. წააგე, ძმაო, — უთხრა შავლევომ თეიმურაზს.

— ახლა მე დავჯდები! — თქვა გიორგიმ.

ანიკომ და გივიმ სუფრა გააწყეს.

— მიინძვლო! — გაისმა უეცრად ეზოში. ანიკო გარეთ გავარდა და დაიყვირა:



— მიხაკო ბიძია! მიხაკო ბიძია ჩამოვიდა!

კიბეზე ახმაზი კაცი ამობრავუნდა ჩემოდნით ხელში.

— ქეთვობო, ბიჭებო?! ვა, რა სუფრაა! თქვენი მადლის ქირიმე!

შავლეგოს გააცნეს. მოუსხდნენ სუფრას და გაჩაღდა მოკითხვა-მასლაათი.

— როგორა ხართ, ნათესავებო, ხომ არაფერი გიჭირთ? ვაჰ, სულ დამავიწყდა, საჩუქრები მოგიტანეთ! — წამოვარდა უცებ მიხაკო, ჩემოდანი გახსნა და ტატლები გადმოაპირქვევა.

ქამრები, შარვლები ბიჭებისათვის, რაღაც ჭრელ-ჭრულები ანიკოსათვის.

შავლეგომ უხერხულად დახარა თვალები. გიორგის თავი არ აუწყევია. თეიმურაზი ილიმებოდა. გივი და ანიკო დაეხვივნენ საჩუქრებს და მეორე ოთახში გაზიდეს.

შავლეგოს ხასიათი გაუფუჭდა. პირმოკუმული იქნა. ვერც ღვინომ ააღაპარა სუფრა. მიხაკო არ აჩერებდა პირს, ილტვებოდა და ლაპარაკობდა. ღვინოს სავაჭროდ ჩამოსულიყო.

— ჯერ დამე გამათევიანეთ, თუ ძმები ხართ, ზვალ კი ერთი კარგი ღვინო მამოვინებთ იაფად და მალარიჩიც ჩემზე!..

— რამდენი გინდა, მიხაკო ბიძია? — ჰკითხა მშვიდად თეიმურაზმა. — იქნებ შავლეგომ მოგცეს.

— არა მაქვს მე გასაყიდი ღვინო!

— საში დიდი „ბოჩკა“ ჩამოვიტანე სადღურზე. არ დავეძებ, სხვადასხვა ღვინო იყოს, ოღონდ კარგი და იაფი, მუშტარი ვიშოვე, ერთ ას თუმანს მოვიგებ, — მიუგო მიხაკომ, დაიღრჩია და კეცში შემწვარი წიწილი გახლიჩა.

— სულ უნდა ივაჭრო, ბიძია? — პირქუშად ჰკითხა გიორგიმ.

თეიმურაზმა ძმას გადაახედა.

— მა რა ვქნა? — შეეხებოდა მიხაკო. — ანიკო, გოგო, რამოდენა გაზრდილხარ! — კვლავ დაიღრჩია. — რამდენისა ხარ ახლა?

— თხუთმეტის. — წაიჩურჩულა ანიკომ.

— ვაჰ, ვაჰ, საწყალი მამათქვენი? ვერ მოგწარო ამას?

შავლეგო წამოდა.

— რა გეჩქარება, კაცო! — უთხრა თეიმურაზმა.

— სანახავად მოვედი, ახლა წავალ!

— მე ვაგაცილებ! — თქვა გიორგიმ.

— არ მინდა გაცილება.

აივანზე გავიდნენ.

— იმ კვირას ამოდით ჩემთან! — უთხრა შავლეგომ თეიმურაზს, ცხენს მოაჭდა, ღვინო ჰკრა და გაქუსლა.

— ვინაა ეგ ყაჩაღი? — იკითხა მიხაკომ.

— ზოგი ყაჩაღია, ზოგი ვაჭარი! — ჩაიბურღლუნა გიორგიმ და კიბეზე ჩავიდა.

თეიმურაზი და მიხაკო ისევ მიუსხდნენ სუფრას.



შავად გათენდა ის კვირა — 22 ივნისი.

ატყდა დაბაში სირბილი, მიტინგი, დროშების ფრიალი, დედების ჩუმი ტირილი.

შავლეგოსთან ამოვიდნენ ძმები ავალიანები — თეიმურაზი, გიორგი და გივი. ორს მობილიზაცია უწყევდა, გივის ერთი წელი ჰქონდა მარაგში.

შავლეგოც მიდიოდა.

მოღუშულები ისხდნენ ძმები, შავლეგომაც ვერ გახსნა პირი.

პელაგია ჩუმად იწმენდდა ცრემლს და სუფრას შლიდა.

წასვლისას შავლეგომ თეიმურაზს ხელი სტაცა და მოაბრუნა.

— ანიკო ვისთან დარჩება, თეიმურაზ!

თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს.

— რა გაქვს გულში, შავლეგო?

— ცუდი არაფერი, თეიმურაზ!

— ანიკო ბავშვია...

— გიცი, ვიცი და დავიცდი.

— ომში მივდივართ, შავლეგო!

— დავბრუნდებით. წელიწადზე მეტს ხომ არ მოვუნდებით!



— გივისთან დარჩება ანიკო.
— კეთილი. იქნებ დედაჩემთან ვად-
მოსულიყო, — თქვა შავლეგომ წარბ-
გაუხსნელად.

თეიმურაზი დაფიქრდა.

— არა, არაა საქირო!

— კეთილი.

ჭიშკართან გიორგი ატუხულიყო, უს-
მენდა; წვერებს იწიწვნიდა. გივი მოშო-
რებით იდგა თავდახრილი.

წავიდნენ ავალიანები, დატოვეს ფიქ-
რიანი შავლეგო.

ღამით პელაგია ოხრავდა.

შავლეგო ტახტზე იწვა თვალგახელი-
ლი.

— ქალი მაინც მოგეყვანა, შვილო,
ძეხორციელს დამიტოვებდი სახლში.

— თავს მოუარე, დედა. ჩქარა მო-
გბრუნდებით.

— ვენახს ვინ მოუვლის უშენოდ!

— ჩქარა მოგბრუნდები. მეზობლები
მოიხმარე. ცხენის ფული გამოიზოგე.

— ვაიმე, შვილო, ჩემს თავს... — ქვი-
თინებდა პელაგია.

დილაძდე ძილი არ შესულა ოჯახებში.
მესამე დღეს თავები გადააპარსეს და-
ბის ბიჭებს. ას კაცზე მეტი მიდიოდა.

არეულ ცაზე ქარი ღრუბლებს ანა-
ვარდებდა. ხან ანათებდა მზე, ხან პირს
იბურავდა.

სადღურის ნავიანი ბაქანი სავსე იყო
ხალხით.

შავლეგო ავალიანებში იდგა.

აშმახ ძმებში ბალღივით ჩანდა ანიკო,
დამფრთხალი იყურებოდა, ქალების
ქვითინზე თვითონაც ატირდა. გივის არ
სცილდებოდა.

დადგა განშორების ეპი. ორჯერ ჩა-
მოჰკრა ზარმა ქლარუნით.

გაისმოდა სიმღერა „ზესტაფონო.
ვშორდები“, „გაფრინდი, შავო მერცხა-
ლო“...

იდგა ვნისი.

შავლეგო მტირალ პელაგიას მოეხვია.
ავალიანებს მეზობლები აცილებდნენ.
თეიმურაზი და გიორგი ანიკოს გამო-
თხოვნენ. გივი უკანასკნელად დაარ-
გებს.

მოვიდა შავლეგო, გივი გადააკოცა.

— ბიჭო, დედაჩემსაც ^{მარტო} ^{გადავხვედ}
ზოგჯერ.

— კი, გადმოვხედავ!

— ნახვამდის, ანიკო! — ხელი გაუ-
წოდა შავლეგომ.

— ნახვამდის! — კანკალით ამომარ-
ცვლა გოგომ, თავდახრილმა ჩამოართვა
ხელი და ახედა.

შეტორტმანდა შავლეგო ისარნაკრა-
ვივით, გააკრაქუნა კბილები ბოღმით,
შებრუნდა და ავალიანებთან ერთად
ვაგონში შევიდა.

დაიბღავლა ელმავალმა და მატარებე-
ლი დაიძრა.

* * *

გავიდა ერთი წელი ომისა და სისხ-
ლის, შრომისა და ოფლის, იმედისა და
ცრემლის.

დაცარიელებულ სოფლებში ხალხი
წელზე ფეხს იდგამდა, უმეტესად ქალები
და ბავშვები, მოხუცები და ინვალი-
დები შრომობდნენ.

შეთხელებული ქალაქი ლტოლვილე-
ბით აივსო. თანდათან გაუქირდა ხალხს
და ომმა რომ მეორე წელში გადააბიჯა,
სანატრელი გახდა პური, ნავთი, მარი-
ლი.

რამდენიმე ქოფაკი რალაც მანქანებით
სანოვაგესა და საქონელს შოულობდა
და ხალხი რომ შრომით წელში წყდებო-
და, ქორეაქტები ივსებოდნენ და მდი-
დრდებოდნენ.

ქოთქოთებდა საბურთალოს ბაზარი.
ყველა ვაჭრობდა. ორნაირი იყვნენ მო-
ვაჭრენი. ერთნი ვაჭირებდას გამოეგდო
ბაზარში, უკანასკნელს ეზიდებოდა, ჩა-
ლის ფასად ჰყიდდა. მეორენი ვაჭრობ-
დნენ საქმის ცოდნით. ხელცარიელნი
მიდიოდნენ, გასაყიდს იქვე იძენდნენ და
ჰყიდდნენ. ეს იყო პროფესია, წარმო-
შობილი ომის მიერ, ისეთივე ძველი,
როგორც თვით ომი.

ზრიალებდა საბურთალო, ტრიალებ-
და ფული, იყო ქვეყვა, ყვირილი, მი-
ლიციელთა სტვენა, სირბილი და ერთ
ადგილზე ტალახის ზეღვა.

მიხაკოს ფართოდ გეგმა ვაჭრობის ქსელი. ჯარიდან როგორღაც თავი დაეძვრინა, დარბოდა ქალაქსა და სოფელში, იაფად ყიდულობდა, ძვირად ჰყიდდა, არც ქვიფს იკლებდა, არც ქალებს.

ომის მორევმა ნაგავი ზევით ამოატვიტოვა. ტრიალებდა ეს ნაგავი, გადადიოდა ყირას, ხან ჩაყვინთავდა, ხან ისევ ამოვარდებოდა. იჭერდნენ, სპობდნენ, ფრონტზე გზავნიდნენ, ასახლებდნენ, მაინც რჩებოდა, სიბინძურეს ავრცელებდა, ყროლდებოდა და ქოთდებოდა.

მიხაკოც შესამჩნევი ნაძირალა იყო. ნამუსგარეცხილი, სინდისგაცლილი, ბოროტი, ხარბი, მოქნილი და ვაიძვერა. საბურთალოში ხან ღვინით ვაჭრობდა, ხან ტანსაცმლით, ხან საბნით, ხან წამლებით. ბიჭბუჭებს ქირობდა, აძლევდა ცოტას, თვითონ ნთქავდა ოხრად.

* * *

ომის მეორე ზაფხული რომ მიილა და შემოდგომა დადგა, სოფელმა ცოტათი სული მოითქვა.

რაც შეეძლოთ და რაც არა, ხომ მისცეს ომს, თავისი მცირე წილიც დააბინავენ და ცოტა კუჭი ამოიძღეს.

ანიკოსაც ერგო გივის ნამუსეგარში.

გივი კი ზაფხულში ძმების გზას გაუყენეს. მაშინვე დაიკარგა მისი ვზავალი.

თეიმურაზისა და გიორგის ორიოდღე ბარათით იცოდა ანიკომ, რომ ცოცხლები იყვნენ.

შველეგო იყო ცხრამთას იქით გადავარდნილი, არაფერი გაუგიათ მისი.

ზოგჯერ ანიკო ავიდოდა პელაგიასთან მოსახმარებლად და სალაპარაკოდ. ხან პელაგია ჩამოდიოდა, რჩებოდა ერთ-ორ დღეს ანიკოსთან.

შემოდგომის ჭონჭუი რომ დადგა, იშვიათად აკითხავდნენ ერთმანეთს. პელაგიას აღარ შეეძლო, ანიკოს არ ეცალა. მეზობლები რომ არა, გაუსკდებოდა მარტო გოგოს შიშით გული. მომარაგებულ ფქვილს და ლობიოს იზოგავდა,

მიევეზე და ზილზე გადადიოდა. სწავლას თავს არ ანებებდა. *მარქვენი*

წელს სკოლა უნდა *ღმერთთა* გაიზარდა ანიკო. მაღალი იყო, მაგრამ სუსტი და მკერდმილეული. ხელები ბავშვივით წვრილი დარჩა, კანჭები ხმელი.

ღამდამობით გულის ფეთება დასჩემდა, შიში აწუხებდა, დარღით არ ეძინა. მაინც ყოჩაღობდა, მუშაობდა, ელოდა ძმებს. ელოდა შავლეგოსაც, რადგან პელაგიამ ყველაფერი გაანდო (ღედის თვალს რა დაემალება?), გული აუკანკალა და სული აუმღვრია. არც კი სჯეროდა, რომ შავლეგოს — სოფლის პირველ ბიჭს, უკარებას, ამაყსა და ძლიერს — ის აერჩია თავის საბედოდ. ელოდა და ეშინოდა კიდევ, — ახსოვდა შავლეგოს პირქუში მშერა, ცივი ღიმილი და ნიჩბისოდენა ხელები.

ერთ წეიმიან საღამოს ანიკოს ჭიშკარს მიხაკო მოადგა, ჩვეულებისამებრ ნასვამი, ორი დიდი ფუთით ხელში.

— ანიკო-ჯან, როგორა ხარ, რა ისმის ძმებისა, რას შერები? — შეეკითხა კიბეზე ამომავალი მიხაკო.

— რა მიშავს, ბიძია, — უბასუხა ნათესავის მოსვლით გახარებულმა ანიკომ. ძმების ამბავი უთხრა, მერე დატრიალდა, პატარა სუფრა გაუწყო მიხაკოს, ღვინოც გააჩინა. თვითონაც მაგიდას მიუჯდა და საჩუქრად მიღებული კაბა მუხლებზე დაიდო.

მიხაკომ ერთი-ორი გადაჰკრა.

— ჭამე, ბიძია, ჭამე, გამხდარი ხარ, გოგო...

— არ მინდა, რა მაჭმევს ახლა? თქვენი ყურება მსიამოვნებს...

— ჰო, ჰო, ჰო, — გაიცინა მიხაკომ. — აბა ეს ერთი დალიე!

— აჰ, ღვინოს რა დამალევიებებს?

— დალიე ძმების სახელზე.

— არა, ბიძია, არა! — წამოდგა ანიკო.

— კარგი. აბა, ეგ კაბა გადაიცივი, როგორ მოგადგეს?

ანიკო მეორე ოთახში გავიდა.

მიხაკომ კიდევ გადაჰკრა და გაიღრი-

ჯა. არაყივით სვამდა ღვინოს. მჭადი და ლობიო მიაყოლა, მუჯე პრასი წააჭამა.

ანიკო გამოვიდა, კაბას ისწორებდა, ზედ იხედებოდა.

— სალოლ, რა დაგშვენდა! — თქვა მიზაკომ და მიუახლოვდა. ანიკო შეატრიალ-შემოატრიალა, მკერდზე კაბა გაუსწორა, თეძოებზე ზელი ჩამოუსვა, მუხლისთავეებზე მიუხომა.

— ხარაშოო! კარგია, მშვიდობაში! — ქალაქურად მიაყოლა და ვიზმორა. — თუ დამაწვევენ ახლა, ხომ კარგი, დილით წავალ ჩემი გზით. ათასი საქმე მაქვს. — კიდევ გადაკრა ღვინო მიზაკომ და დასცალა დოჭი.

ანიკომ ტახტზე დაუგო, სუფრა ააღაგა, მეორე ოთახში ლამფა გაიტანა, ჩაქრო და დაწვა.

იწვა სიბნელეში ანიკო, უსმენდა წვიმის ტლამუნს ყუვარზე, მიზაკოს ხვრინევს. მერე ჩაეძინა. ვაი, იმ ჩაიბინებას!

გამთენიისას პერანგშემოგლეჯილი, თბავაწეწილი, ნაგვემი, დასისხლიანებული გამოვიარდა ანიკო საბლიდან და წისქვილის ღარისაკენ გაიქცა. ორლობეში საცელებისამარა მიზაკო დაეწია, ჩაარტყა ვეებერთელა მუშტი კეფაში. დარეტრიანებული ჩაიყვია ანიკო. დაიხარა მიზაკოს ლანდი, მოხვია ხელი გოგოს, აიტაცა და სახლისაკენ წააძუნძულა.

ორ დღეს კიდევ დარჩა მიზაკო სოფელში. ამ ორ დღეს არავის დაუნახავს ანიკო.

მესამე დღეს მეზობლებთან გადავიდა მიზაკო. მე მივდივარ, ანიკო ავადაა, გაცივებულია, მიხედეთო.

შეპკრა მაგრად თავისი ფუთები, — ხმა არ ამოიღო, თორემ მოგვალავო! — დაემუქრა მუშტით ანიკოს, კამოდზე ფული დატოვა და წავიდა.

მოვიდნენ მეზობლის ქალები. მოუსხდნენ ანიკოს ლოგინს.

სამი დღის ნაწვალეები, გაფითრებული და თვლებჩააცვნილი ანიკო ლოგინზე მისვენებულყო. აკანკალუბდა, აციებდა, ამტვრევდა. საბანი ნიკამადე აეწია.

მოიყვანეს ექიმი, ვერაფერი დაუგო ექიმი, გამოუწერა წამლები, მოეჭრეს მეზობლებმა, ფეხებთან თბილი აგურები შეუწყეს, საბნებში შეფუთეს. ვერ უშველეს რა. საქმელს არ იკარებდა, იწვა და იღვრებოდა ცრემლად.

ლამე სიცხემ აუწია, ბოდავდა, — უნდა მოგვკვდე. სადა ხარ, სიკვდილო! — იძახდა.

ჩამოვიდა პელაგია. დღე-ღამეს უთევდა სასათუმალთან.

შავლეგოს წერილი წაუკითხა. დაკრილი წოლილა მოსპიტალში. გამოვჩობინდები, ჩამოვალ, მგონი ამ ომს გადაეურჩიო.

გაშავდა სახეზე ანიკო, კვლავ მოაწვა ცრემლი, მიიბინდა და აკანკალდა.

ნოემბერში ჩამოთოვა.

თანდათან მიიღია ანიკო. მიიციოცა, აჭაური პირი აღარ უჩანდა.

სწორედ ამ დროს შემოალო თეიმურაზმა კარები. შემოვიდა დათოვლილი ჩექმებით. ერთი კვირის შევბუღება მიელო მედლებით დაჯილდოებულს. მივარდა ანიკოს თეიმურაზი, შესტირა ანიკომ ძმას, მოეხვია კისერზე.

იმ დღიდან მომჯობინება დაეტყო. ჩანს აღმა სხეულმა იმძლავრა. საქმელსაც შეავლო ხელი და თეიმურაზის წასვლის დღეს ანიკო წამოდგა.

წასვლისას თვითონ გადაიყვანა თეიმურაზმა ანიკო პელაგისთან და იქ დატოვა.

• • •

გაზაფხულზე შავლეგო ჩამოვიდა.

ჩამოვიდა დაკოჭლებული, გამხდარი. ბოლმიანი. შევიდა საბლში, დედას მოეხვია. ანიკო რომ დაინახა, სახე გაუნათდა, აკოცა ღოყაზე და ჭარისკაცის აზგა ტახტზე დაავდო.

გამოვიდა შავლეგო ვარეთ. მოავლო მიდამოს თვალი.

ვიწროდ გაჭრილ ხეობას ტყით მოსილი მთები დაპყურებდნენ. მდინარეს გაყოლებული რკინიგზა მოსახვევში იკარგებოდა. დაბიდან ყრუ ხმაური ამოდიოდა, მდინარის ჩხრიალში ჩართული.



ამ მთების, ამ ხეობის, ამ სოფლის ყველა კუნჭულს იცნობდა შავლეგო, ბევრი უნავარდია ამ შემოგარენში. ახლა კი...

კოჭლობით მივიდა ლომესთან, შეაგლო ხელი, შეანძრია. ცარიელ თველაში შეიხედა. ნესტოები დაებერა — ცხენის სუნი ეცა.

შევიდა ოთახში, დაჯდა შავიდასთან. — მაჰამეთ ჩვენებური! — თქვა ყრულ.

პელაგია და ანიკო დატრიალდნენ. საღამოს მეზობლებმა მოაკითხეს.

გამეხებულნი და პირმრკვემული იჯდა შავლეგო. „ჰოსა“ და „არას“ პასუხობდა თანასოფლელებს გაუთავებელ შეკითხვებზე. შვილის დაღლილობით ხსნიდა შავლეგოს უხასიათობას პელაგია. მეზობლებიც ჩქარა ჩამოესხნენ.

— მთლად გადაარეულა ეს უბედური! — ასე რამ დაამუნჯა, ბოშო?

— სულ აღარ ჰგავს ძველ შავლეგოს! — მუნჯია, მუნჯი, ეგ ოხერი!

ლაპარაკობდნენ ორღობეში პელაგიასთან მიმავალი მეზობლები.

დილით შავლეგო ვენახში წავიდა. დაიბარა, საჭმელი იქ ამომიტანეთ.

გვიანი გაზაფხული იყო. ბალახი მორეოდა ვაზს. გასხვლა კი მოეხერხებინა პელაგიას მარტში, მაგრამ მარტო გასხვლა უშეუღლიდა?

გრძლად დაკლავნილი, ოღრო-ჩოღრო ბილიკით ასვლა ვენახში პელაგიას ყოველთვის უჭირდა, მით უმეტეს ახლა. ამიტომ სამხრის კალათას ანიკომ წამოავლო ხელი და ბილიკს დაადგა.

გულგაღვლილი შავლეგო ღობის ჩრდილში მიწოლილი დახვდა. სახეზე ხვითიკი გადასდიოდა. ძუნწად შეკლიმა ანიკოს.

— ჩამოჯექი აქ! — ყორედან ჩამოვარდნილ ქვაზე მიუთითა.

ჩამოჯდა შემკრთალი ანიკო.

ჭამდა შავლეგო, ანიკო უყურებდა, ახედავდა შავლეგო, ანიკო მიწას აბჯენდა თვალებს.

— თეიმურაზი ყოფილა! — კი.

— რა დაგიბარა? — არაფერი. — შავლეგომ თავი ჩაღუმტა — ამ ომის მომგონს!.. — შეივიცა. შეშინდა ანიკო. — ანიკო! — დიახ... — ცოლად წამომყვები? ანიკო ზურგით შებრუნდა და მოიბუზა.

— ხომ იცი, შენს მეტი არავინ მიყვარს...

ანიკო უხმოდ აქვითინდა. — რა იყო, გოგო? — წამოხტა შავლეგო, ანიკოსთან მივიდა, წინიდან მოუარა.

— არა-ფე-რი... — ამოიკენესა ანიკომ და პირი ისევ იბრუნა.

— კარგი. დაწყენარდი, წადი სახლში, — დაუყვავა შავლეგომ.

ანიკო წამოხტა და გაიქცა, კალათა და კურჭელი შავლეგოს შეატოვა.

დაფიქრებული შავლეგო კოჭლობით მივიდა ცარიელ კალათთან, საღი ფეხი მაგრად ამოჰკრა, ზურთივით გადააგდო. შემდეგ ისევ ვენახს მიუბრუნდა.

საღამოს, ვახშამზე, პელაგიას თანდასწრებით კიდევ გაუმეორა ანიკოს კითხვა. ანიკო სუფრიდან წამოხტა და ეზოში გაგარდა.

— ცხენია, ბიჭო, ბოვშია ჯერ, ნუ ჩააჭინდები! — უთბრა პელაგიამ.

შავლეგომ დედას მწყრალად შეხედა, არაფერი უპასუხა და დაწვა.

დიდხანს იჯდა ეზოში ანიკო. რა ექნა? თავის სახლში გაქცეულიყო? კირივით სძულდა ის სახლი. ან რა უნდა ეღონა მარტოხელს? იცრემლებოდა მანამ, სანამ პელაგია არ გამოვიდა და სახლში არ შეიყვანა.



შემოდგომის მიწურულს დიდი ხნის სნეულო პელაგია გარდაიცვალა.

შავლეგოს დანა პირს არ უხსნიდა. ანიკო გულამოსკვნით დასტიროდა პელაგიას; დასტიროდა დედას, დასტი-

როდა უმისამართო, გადაკარგულ ძმებს, თავის ბედს, მომავალს...

დამარხა დედა შავლეგომ, ჩააწვეთა ძუნწად ცრემლი და ისევ ანიკოს მიადგა ჩუბტად.

ანიკომ საკუთარ სახლს შეაფარა თავი. ღამღამობით შიშით კანკალებდა.

არ ეშვებოდა შავლეგო.

ხანდახან მარტოს მიიშწყვედევდა ოთახში, ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, ფეხებს უკოცნიდა დაჩოქილი.

ხან ემუქრებოდა, მოგკლავ, თუ ჩემი არ იქნები, საღ წამისხვალო.

ძმებისაგან არაფერი მოსდიოდა ანიკოს. მეზობლები შავლეგოზე გათხოვებას ჩასჩინებდნენ ნიადაგ. ომს ბოლო არ უჩანდა.

მშველელი არაეინ ჰყავდა და გატყდა, გათხარა, დაეთანხმა...

„ რაც იქნება, იქნება. გინდ აბლა მოუკლავარ, გინდ მერე“...

— კარგი, შავლეგო!..

გარეთ თებერვალი იდგა, თოვლწყაბიანი, ქარიანი.

შავლეგო ზეიმობდა.

მოაწყო ქორწილი, ღარიბული, სევდიანი, ცრემლნარევი.

თამალობდა კოჭლი ნესტორი, პირველ მსოფლიო ომში ვალიციაში რომ ფეხი მიამტვრიეს გერმანელებმა.

ბედნიერმა შავლეგომ ბევრი ღვინო დალია, იმერა, იცეკვა ძველებურად, ანიკოც აცეკვა.

— დალიეთ, მეზობლებო, დალიეთ! ომია, მაგრამ შავლეგო ქორწილობს, ომია, მაგრამ შავლეგოსათვის ომი გათავდა!

თავს უკანტურებდნენ მოხუცი მექორწილენი, სვამდნენ, სვამდნენ.

— იცოცხლე, შავლეგო, იცოცხლე!

— ყოჩაღ, შავლეგო! ქეიფი იცოდი და არ დაგვიწყნია!

— იცოცხლეთ, შვილებო, იმრავლეთ, დაბერდით სიტკბოში!

დაკოჭლაობდა სუფრის გარშემო შავლეგო, სტუმრებს ღვინოს აძალებდა.

გვიან დაიშალნენ მექორწილენი, ღი-

ლინითა და ღრიანცელით მიამუტრეს, სალუბს.

გათენებისას მერე უთანხმო მარცხენა ნეფე-დედოფალი.

შავლეგო ლოგინზე ჩამოჯდა, გაიხადდა.

ანიკო შეეცინდა.

— დაწეკი, ანიკო! — შესცინა ლოგინიდან შავლეგომ ცოლს.

ანიკომ გაიხადა, მიუწევა, შავლეგომ ხელი მოხვია.

— დღეს ნუ, შავლეგო!.. — შეეცედ-რა აჯანკალებული ანიკო.

— რა მოგივიდა?

— დღეს ნუ, ავადა ვარ...

არ მოეშვა მაინც მთვრალი...

...ადგა დილით შავლეგო გამებებული სახით. ჩაიკვა. კარები გააფთრებით გაიჯახუნა. ორ დღეს არ გამოჩენილა.

ორ დღეს ტიროდა ანიკო. თმებგაშლილი ეგდო ლოგინზე ჩაუცმელი და ტიროდა.

მობრუნდა შავლეგო, ცოლს არაფერი უთხრა, არც შეხედა. განჩინაში მოაფათურა, ბუხარში ცეცხლი დაანთო, ჩამოჯდა სკამზე და თავი ხელებში ჩარგო.

— ანიკო!

ანიკო გაინაბა.

— ანიკო! — დაიდრიალა შავლეგომ.

— რა გინდა? — ამოისუნთქა ანიკომ.

— რა უნდა მინდოდეს, შე მრუშო, ბილწო?! — წამოვარდა შავლეგო და მუშტი მოუქნია.

— ვაიმე! ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო მიშველე! — იფარა მკლავი ანიკომ.

— აბა ვისი ბრალია?! — შეუღრინა შავლეგომ.

— მიხაკომ დამლუპა...

— მიხაკომ?!

— ჰო, ძალით...

— მაშ მიხაკომ?!

— ჰო... თავის მოკვლა მინდოდა...

— რაღად დარჩი ცოცხალი?!

— ვერ შევძელი, მამატიე...

— რა გაბატო, უნამუსოვ! უუ, შენი... — დაითრია შავლეგომ საწოლიდან ანიკო.

ქალი ჩემს არ იღებდა, სახეზე ხელებს იფარებდა, კვნესოდა.

— ძაღლო! — მიძახა შავლეგომ უკანასკნელად და გარეთ გავარდა.

* * *

ორ დღეს დაძრწოდა საბურთალოს ბაზარში შავლეგო, მიხაკოს ეძებდა, ვერ იქნა, ვერ მიაგნო კვალს.

ბოლოს, როცა დაიღალა, გაიტანჯა და იმედი დაკარგა, ბიჭებმაც რომ თვალი შეაჩვიეს, ჩვენიანი თუა, ეტყობა, რაღაც უბედურება არის ამის თავსო, მისწავლეს: აგერ, ბაზრის გვერდით ღვინის სარდაფში ზის მიხაკო, ჩადი, ნახავო.

ბაზრობა მთავრდებოდა. სარდაფის კართან შედგა შავლეგო. გაჩქარებით მიმავალ ხალხს თვალი გააყოლა, ნაცრისფერ ბინდში გახვეულ მიდამოს გახედა, კოჭლობით ჩავიდა კიბეზე.

სარდაფს დახლზე დადგმული ლამფა ანათებდა.

შორეულ კუთხეში დიდ კასრებს შორის პატარა ტაბლა იდგა.

მიხაკო უჭდა ტაბლას, ვადაბრუნებულ ყუთზე მორთხმულიყო, შავ ღვინოს სვამდა.

— რა გინდა, ძმობილო? — უპიროდ ჰკითხა მალაღმა მეღვინემ.

— ღვინო დამისხი ერთი!

— სარდაფი დაკეტილია, წადი, ძმაო, შენი გზით.

— ერთი ჭიქა ღვინო არ გემეტება, კაცო? — შავლეგომ ფული ამოიღო.

— მოდი აქ, შენ, ეი! — გაისმა მიხაკოს დანჯღრეული ხმა.

შავლეგომ ჭიქა ასწია და მიხაკოს თავი დაუკრა.

ისევ მიიწვია მიხაკომ ღრეკით.

გაძვრა კასრებს შორის შავლეგო, მივიდა.

მიხაკო უსაშველოდ მთვრალი იყო.

— სკამი მოიტა და მოდი! — დაუძახა მიხაკომ მეღვინეს.

მეღვინე ჯერ კიბეზე ავიდა, კარი გადარია, შემდეგ ლამფა წაიმძღვარა, სა-

ილდანაც ყუთი გამოათრია. ჩამოსდნენ ის და შავლეგო.

— საიდან ხარ, ძმობილო? — მიხაკომ ინტერესით და ქანაობა დაიწყო.

— სოფლიდან, სიმინდი გავეიღე და უკან მივდივარ.

— აბა, გაგიმარჯოს! — ჭიქა ასწია მიხაკომ.

— იცოცხლე! — დაცალეს ჭიქები. მეღვინემ ოდნავ მოსვა.

— კარგად ივარჯე? — ჰკითხა ისევ მიხაკომ, ამოაბოყინა და ტუჩებზე ხელისგული აიფარა.

— ვივარჯე, თუ ამას ფული ჰქვია? — მიირტყა შავლეგომ ხელი გულის ჯიბეზე.

მიხაკომ მეღვინეს შეავლო თვალი, მეღვინემ თავი დახარა, საჭმელი აიღო. დალიეს კიდევ.

დაასხეს.

დალიეს.

დაასხეს.

მიხაკოს ღვინო ერეოდა, ატოკებდა, აქანებდა.

მეღვინე ღუმდა. შავლეგო ჰამდა და სვამდა.

— ღვინო ჩამოასხით! — თქვა მძიმედ მიხაკომ და თავი ასწია.

მეღვინე ადგა, ცარიელი ბოთლები აიღო. კასრთან მივიდა.

— მიხაკო, ვერ მიცანი? — ჰკითხა წყნარად შავლეგომ.

— შენ? ვერა!

— აჩიო თუ გახსოვს?

— რომელი აჩიო? — თვალები დააკვიტა მიხაკომ და შექანდა.

— საჩუქარი გამომატანა შენთან! — მიუღო შავლეგომ, ჯიბეში ხელი ჩაიყო და დანა ამოიღო.

სანამ მიხაკო რაიმეს მოიმოქმედებდა, შავლეგომ ჭკვემოდან აძგერა დანა გულში, აძგერა და აატრიალა.

მიხაკო თავქვე გადავარდა.

— რა ჰქენი, კაცო? — მოვარდა მეღვინე.

— ჩუმად, თორემ... — წაუსისინა დანამომარჯვებულმა შავლეგომ. მეღვი-

ნემ სისხლიან დანას შეხედა, თვალი თვალში გაუყარა შავლეგოს, მოტყდა.

ორივე მიხაკოს დააჩერდა.

— რა ვუყოთ ამას? — უკვე მშვიდად ჰკითხა მეღვინემ.

შავლეგომ მიიხედ-მოიხედა, ფეხი მიწას დაჰკრა და თქვა:

— ჩავმარხოთ აქ!

შავლეგო დანით და მეღვინე შამფურით მიადგნენ იატაკ კედლის ძირში. ადვილად იჭრებოდა ნოტიო შავი მიწა. დიდხანს თხარეს ხვნეშით. ოფლს ხელით იწმენდდნენ შუბლზე.

მერე მეღვინე მიხაკოს წაადგა. კიბეები ამოუტრიალა. ფულის დასტები მაგიდაზე დააწყო:

— შენი იყოს — უთხრა შავლეგომ ზიზლით.

მიხაკო ორმოში გადაათრის, ძლიერს ჩაატეხს მუხლებმოკეცილი. მიწა დააყარეს, მოასწორეს ბეჭობი. ფეხებით ტეპუნეს დიდხანს.

— დიდი ძალი იყო, — თქვა მეღვინემ.

დარჩენილი მიწით სისხლიანი ადგილი დაფარეს.

დაეკიდნენ კასრს, მიაგორეს და ზედ საფლავზე შედგეს...

სარდაფიდან შუალამისას ამოვიდა გაბრუებული შავლეგო, დაღმართს დაუყვავა და სადგურისაკენ გაუხვია ბნელში.

მეორე დღეს ჩავიდა სოფელში შავლეგო. მიწის ფერი ედო. მგელივით აძუნძუნდა აღმართზე, აეარდა კიბეზე და კიქურ შეაღო სახლის კარები.

ანიკო წამოხტა დაფეთებული.

— ახლა შენ დაგკლავ! — დაიხრიალა შავლეგომ და ანიკოსაკენ წავიდა.

— მიშველეთ! — იკივლა ანიკომ, ხელიდან დაუხსლტა და კარებში გავარდა.

— გაჩერდი, შენის! — გამოუდგა შავლეგო. კიბის თავს მტკივანი ფეხი წამოსდო, თავი ვეღარ შეიმავრა და დაგორდა.

კბილების ხრჭილით და დედის გინებით წამოიწია კიბის ძირში, მაგრამ

ვერ წამოდგა. ფეხი ვეღარ აიტანა, გახსნილი ჭრილობიდან სისხლმა დაიწყო დაიკვნესა შავლეგომ და ჩაიჩოქა.

ანიკო გაქრა, დაიკარგა.

თავი დაიხრჩოო, ამბობდა ხალხი.

არავინ იცოდა. ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამ.

* * *

მიწურა ომის უკანასკნელი ზამთარიც. ბევრი დაბრუნდა სოფელში. ზოგი დაქრილ-დანეხილი, ზოგი ჯანმრთელ-გაყავებული, ზოგი ორდენ-მედლებით მკერდმოკაზმული... ზოგის წერილი მოვიდა, ზოგი ისევ დღემდა, — სამუდამოდ?

ხალხი ბად-ვენახებს მოედო ისევე, კვლავ გაოცებულა ირგვლივ ყველაფერი, ახმაურდა, ამზიანდა, სხვა დალი დაახნდა.

ანიკოს დაცარიელებული სახლი იდგა ობლად, სინამ ერთ დღეს მისი მორყეული ქიშკარი გიორგამ არ შეაღო.

ჩამოვიდა გიორგი, შეათანა ძმა ავილიანებისა. უწინ რომ შავ წვერს არ იშორებდა. ჩამოვიდა ნახმლევი, ნატყვიარი, მაგრამ ისევ კუნძივით მაგარი, პირგაუხსნელი და ქუში.

ანიკოს კვალი რომ მოიკითხა, მეზობლებმა ვიი-ვიშით ჩაუმარცვლეს წერილად, რაც იცოდნენ: შავლეგომ შეირთო, მგონი მოკვლა დაუპირა, მგონი სცემდა, მგონი... ვერ გაავებინეს წესიერად. თავად კი იცოდნენ?

რეტი დაესხა გიორგის, ტანზე აბურძღლა. ხმა არ ამოუღია, გაჰკრა ქიშკარს ხელი და გავარდა.

ერთ თვეს ლოგინში ნაწოლი, მისუსტებული შავლეგო ვენახში ასულიყო, გრძელტარიანი წაღლით წერილ სარებს სჭრიდა დაუგვიანდა ვენახში შესვლა, აბრილი იყო და ჩქარობდა.

ჩამუხლული, სარის ჩოქანაში რომ იყო გართული, რაღაც ძალამ უკან მოახედა. ვენახის დაქანებულ ფერდზე გაჩქარებით ამომაგალი ადამიანი დაინახა.

წამოდგა შავლეგო.

— რომელი ხარ, კაცო! რა იყო? — შეუძახა.

— გიორგი ვარ, გიორგი! ველარ მიცანი? — მიიბრინა გიორგიმ, შედგა, სული მოითქვა. ხელში ღობის უხარმაზარი სარი ეჭირა.

— რა გინდა, გიორგი? — გაბზარული ხმით დაიძახა შავლეგომ და მოსულის ჩაშავებულ სახეზე სიკეთის ნიშანი რომ ვერ ამოიკითხა, წალდი მტკიცედ ჩაბლუჯა, წელში მოიხარა, კისერი მბრებში ჩაიძვრინა.

— რა მინდა და შენი სისხლი! — დაიბლაგლა გიორგიმ და სარი გამეტებით მოუქნია.

გაბტა განზე ფოცხვერივით შავლეგო, აიციდინა.

აღმართა სარი გიორგიმ. იფარა შავლეგომ ორივე ხელით წალდის ტარი.

მიძიმედ მოქნეულმა სარმა ქახანი გააღინა.

წალდი გვერდზე გადავარდა. შეუვლო ხელი შავლეგომ სარს, ფეხები მიწას მიაბჯინა და მიითრია გიორგი. ასწია ფეხი გიორგიმ, მუცელში ატაკა შავლეგოს, დასცა ძირს და დაეცა ზედ.

ჩაბლუჯეს ერთმანეთი, გადატრიალდნენ, მიწა მოფხოჭნეს; ტრიალებდნენ და ღმუოდნენ აფთრებივით.

შავლეგო მოექცა ზევიდან, მუხლი

კისერზე მიაჭირა, ხელები მარწმუნში მოუქცია გიორგის.

— რას მერჩი, ბიჭო, რა ჩემთვის ხელია?!

— ოოო, შენი! — ამოიღრინა ქვემოდან გიორგიმ, კბილები გაახრქიალა, გაიბრძოლა, ფეხი ამოჰკრა ძალეშად.

შავლეგოს მტკივან წვივში მოხვდა, დაიკვნესა, თვალთ დაუბნელდა და გადავარდა.

წამოხტა გიორგი, დასტაკა ხელი იქვე დაგდებულ სარს და მთელი ძალღონით დასთხლიშა შავლეგოს.

კიდევ დაიკვნესა შავლეგომ და პირით მიწაში ჩაემხო.

ჩასცხო გიორგიმ სარი თავსა და ბექებში. ურტყამდა მიძიმედ, თითქოს შეშას აპობდა ხვნეშით. მერე ფეხებით შედგა, დალურსმული ჩექმებით თეთქვა.

გონს რომ მოვიდა, დახედა ტომარასავით გართხმულ, უძრავ შავლეგოს. წითელი ეჩვენა. დახედა ბალახს — წითელი იყო. გაავდო ხელიდან წითელი სარი, ახედა ცას — წითელი ჩანდა, გახედა ვენახს — სისხლისფერი იყო ნორჩი რქა.

მიბრუნდა გიორგი და წავიდა ვენახით, მიბზოდა, მიაღწუნებდა ვახს.

ქელს იქით ჩადიოდა ომის წითელი მზე.

ერთი დღის ამბავი

ხეების გაყვითლებულ, დამქვანარ ფოთლებს შორის მოჩანდა სახლების ქუჩუჩიანი კედლები, ფანჯრების ლიბრგადაკრული თვალები და სარეცხით სავსე აივნები.

ეს ადგილი — ტროტუარი, სახლის კედლები, ფილაქანი — ნავთის სუნით ყარდა, ჩია ზე მიმხმარაიყო.

ნავთის რიგი დილის ხუთ საათზე საკმაოდ გრძლად იდგა. ვიამ რომ მიიბრინა, შეიდი ხდებოდა. 304 ნომერი ერგო. ნომრებს წვერებცანცარა სუფთად ჩაცმული მოხუცი არიგებდა.

მოსახვევამდე გაჭიმულიყო ცარციით დანომრილი ბიღონები, ედროები, ნავ-3. „მნათობი“ № 5.

თის სხვა ჭურჭელი, დანომრილი აგურები.

შალეშში ვაკრული, უმეტესად ხანში შესული ქალები ჯგუფად იდგნენ რიგის თავში და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.

ნავთის წერტის კარს პირი დაედო. ბნელ სარდაფში ჩამავალი კიბე შავად იყო გაპოხილი. ქვევიდან თბილი პაერი სცემდა, მენავთე კიბის თავზე იჯდა, გამხმარი, გამურული. უმიზნოდ იყურებოდა ქუჩაში. ხანდახან ქალებს შეუძახებდა, კარებში რომ ჩადგებოდნენ და დილის სინათლეს უჩრდილებდნენ.

მოიტანეს ნავთი. თავჩაქინდრულმა

გამხმარმა ცხენმა მოათრია უზარმაზარი კასრი.

ატყდა ხმაური, ბიდონების რახუნნი, სირბილი, ჭაჭატური.

გრძელი რეზინის მილი კასრში ჩაუშვეს, თავი ტროტუარში გაჭრილ ნახვრეტში ჩააყოფინეს, შენავთე სარდაფში ჩავიდა. აჭაფდა ნავთი. რიგში მდგომანი სიამოვნებით დაჰყურებდნენ ნახვრეტში გრიალით მიმავალ სითხეს. ჩაიცალა კასრი.

კარებში ორი ზორბა ქალი ჩადგა რიგის დამცველად.

— ოთხ-ოთხი, ოთხ-ოთხი გაემზადდეთ!

ხრივინ-ხრივინით იძროდა წინ ნავთის რიგი.

სარდაფიდან მზიარულად ამორბოდნენ ზოგიერთები, ხენეშით მოათრევდნენ ნავთს მოხუცები. რიგში უკან მდგომანი კარებთან შეგროვილიყვნენ, გაფაციცებით იცავდნენ წესრიგს და შედგარად უკუაგდებდნენ ურიგოდ ჩასვლის მსურველებს.

გია მოუსვენრად დახტოდა რიგის შორიხალოს. თავის ტოლა ბიჭებს დასდევდა. სტვენდნენ, კონსერვის კოლოფით ბურთობდნენ. ხანდახან გიას რიგი დაავიწყებოდა, მაშინ მის ჭურჭელს უკან მდგარი მოხუცი ქალი ფეხით გაწევდა, თავის ბიდონსაც მიაჩოჩებდა, მიაღვამდა. მიდიოდა რიგი.

შუადღის ხანს, როგორც იქნა, გიას ჭერმაც მოაღწია. ხელი მოუთმენლად შეავლო ჭურჭელს და ჩასასვლელად მოემზადა.

— გათავდა ნავთი! — ხელცარიელი ამოვიდა სარდაფიდან გაგულისებულნი კაცი.

უქმყოფილო ხალხი აყაყანდა.

გიამ სახლისაკენ მოუსვა.

— გათავდა ნავთი! — დაიძახა გიამ, ოთახის კარი რომ შეაღო.

კოტე ავად იყო ტიფით. დედა ამბობდა, შეიძლება ტრამვაიში მკბენარი ააღოლდაო.

გიას ხშირად ესიზმრებოდა უზარმაზარი, კიბორჩხალასავით მკბენარი,

ლექსემბურგის კინოში რომ აჩვენებდნენ ფერადი სათვალავების ამოძრავებდა, თეფშისოცქმალს (სესქმალს) ატრიალებდა, ბუსუსები ჰქონდა... საზიზღარი იყო.

კოტეს ლოგინს დედა და მამიდა უსხდნენ. მამიდა ექიმი იყო, თეთრი ხალათი ეცვა. მამიდა მკაცრად აფრთხილებდა გიას, არსად წამოგედეს, რომ კოტეს ტიფი სჭირს, თორემ საავადმყოფოში წაიყვანენ და ვეღარ მივხვდებით.

კოტე ბოდავდა.

— დაიჭირეთ ეგ თიკანი, თორემ მომასტება! დაიჭირეთ თეთრი თიკანი!

— რა იყო ბიჭო, რას გაშტერებულხარ, მისურე კარი! — დაუძახა დედამ გიას.

გიამ კარი მისურა და ოთახის მეორე კუთხეში გადაინაცვლა. კოტესთან ახლოს არ უშვებდნენ, არ გადაედგოსო.

ოთახში სიცივე იყო. ნესტის სუნით იღვა. გია სკამზე ჩამოჯდა. შიოდა. დილით ბებიას მოხარული ქატოს ფაფა მიირთვა. ეჰ, ნავთი ვერ აიღო, თორემ სიმინდის მარცვლებს მოხალავდა ტაფაზე. ბებიას შეეხვეწებოდა.

უფროსები კოტეს დასტრიალებდნენ. გია ყველას დაავიწყდა. იჭდა ჩუმად. მგონი ჩასთვლია.

— ადექი, ბიჭო, ბიცოლასთან გაიქეცი, ერთი ბოთლი ნავთი სთხოვე! — მოესმა დედის ხმა.

გია წამოხტა და გარეთ გავარდა. სოლოლაკის ვიწრო ქუჩები გაიარბინა და მთაწმინდაში ამოჰყო თავი. ბესიკის ბაღთან კუთხეში შეუხვია და ბიცოლას სახლის წინ შეჩერდა.


უხაროდა აქ მოსვლა. იმედი ჰქონდა, საკბილოს მისცემდნენ. ბიცოლა მეტად კეთილი, მარტოხელა ქალი იყო. როცა მისულა გია, ხელცარიელი არასოდეს გამობრუნებულა.

ხის კიბეზე ხტომით ავიდა, აივანი გაიარბინა და ბიცოლას კარს დაუკაკუნა.

— მობრძანდით!

გია ოთახში შეიჭურწა.

— გია ხარ, ბიჭო? მოდი, გენაცვალოს ბიცოლა!



ოთახში მაგიდის ქვეშ ნავთქურა ენთო. ბიკოლას გაზეთზე ლობიო ეყარა და არჩევდა.

— როგორაა, ბიჭო, კოტე?

— მამილა მოვიდა, ნემსებს უკეთებენ, აბოლებს...

— ვაი დედათქვენის ბრალი! ჩამოჭექი აქ!

მაგიდის ქვეშიდან ნავთქურა ბუხაროვით გამოსცემდა სითბოს. გიას ესიამოვნა.

ბიკოლა ადგა, განჯინის კარი ჭრივლით გააღო, მჭადის ნატეხი და ყველი გამოიღო. ვიამ მადიანად დაუწყო ჭამა.

— რა დაგაბარა დედამ, შვილო, ამოიღე ხმა?

— ერთი ბოთლი ნავთი მასესხეთო.

— სულ ერთი ბოთლი ნავთი მაქვს...

— რიგში ვიდექი და არ მომიწია, — თქვა ვიამ. მჭადი და ყველი უკვე გაქრო, ტუნებს ილოკავდა.

ბიკოლა ადგა და გავიდა. ვიამ ოთახს მოავლო თვალი. კარგად ცხოვრობს ბიკოლა, გაუელვა, ლობიოც აქვს, ყველიც, სითბოც...

ბიკოლამ ერთი ბოთლი ნავთი შემოიტანა, სქელ ყავისფერ ქაღალდში შეახვია და გიას მისცა. ბიჭმა გულზე აიკრა ბოთლი.

— აჰა, ესეც! — ბიკოლამ ჯიბეში პატარა ჩურჩხელა ჩაუსრიალა.

მიდიოდა ვია ამაყად, მკერდზე მიხუტებული ბოთლით და ჯიბეში ტკბილი ჩურჩხელათი.

თავის ქუჩას რომ მიადგა, ვედარ მოითმინა, კისერი დაბლოსაკენ მიღრიცა და ხელი ჯიბისკენ გააცურა. უეცრად ბოთლი შეუქმნევლად გამოსრიალდა ქაღალდიდან, ტროტუარს დაასკდა და დაიშხვრა. შავად დაიღვარა ნავთი ნაცრისფერ ასფალტზე.

ელდანაცემი დააქტერდა ვია ბოთლის ნამსხვრევებს. პირველ წუთში გაურბინა აზრმა, მიბრუნებულიყო ბიკოლასთან, — მერე — სადმე მოეპარა ნავთი. სად? იქნებ სხვა ნაცრობისათვის მიეკითხნა? ბოლოს გადაწყვიტა არ მისული-

ყო სახლში. დაღვრილ ნავთზე მწმურებული, თითქოს მისი ბეჭდის წყობის სხმა კიდეც შესაძლებელია უკონტროლოდ წავიდა გასცილდა იმ ადგილს და გაიქცა.

ერთხანს ქუჩებში დაეხეტებოდა. შემდეგ კვლავ მოშივდა, ტროტუარის კიდეზე ჩამოჭდა. ქუჩის მეორე მხარეს მილიცია იყო, ვიას უკან — საპარკმახერო. პურის დაკეტილი მაღაზიის წინ ხალხი იდგა. „ლერმონტოვის ქუჩა“ — ამოიკითხა ვიამ კედელზე მიჭედნილ აბრაზე, ზანტად ადგა და ხელების ქნევით უშიზნოდ წავიდა.

აუარა გვერდი ნავთის გამოკეტილ წერტს, წითელი ბოქლომი ედო. შეათვალიერა ადგილი, დილით რომ ფეხით ტკეპნიდა და სახლისკენ აუხვია.

«ვაი თუ კოტე მოკვდა?» — გაიფიქრა ვიამ. სადარბაზოში შევიდა, კიბის ქვეშ შეძვრა, ჩატუქდა და ზურგიით ცივ კედელს მიეყრდნო. კოტეს ნაცვამ ფართო შარვალში შეწითლებული წვივები გამოუჩნდა.

მოსალამოვდა. აცივდა. ვიას უცებ რაღაც გაახსენდა. ჯიბეზე ხელი გაიკრა, ამოიღო და მარცვალ-მარცვალ შექამაქვასავით გამხმარი ჩურჩხელა.

რომ მოათავა, გული მოეცა, კიბის ქვეშიდან გამოძვრა და სახლში ავიდა. კარი დედამ გაუღო.

— სად ხარ, ბიჭო. გამიხეთქე გული! — უთხრა ჩურჩხულით.

— არ ჰქონდა ბიკოლას ნავთი.

— შემოდი სახლში!

— კოტე როგორაა?

— კრიზისი გადაიტანა, დაჭექი, ჭამე-მოკვდებოდი შიმშილით...

დედამ მაგიდაზე მოხარშული კართოფილი, მარილი და მჭადი დაუწყო.

კოტა შექამა ვიამ. ადგა, თავის საწოლთან მივიდა.

დედა დაბალ სკამზე იჯდა და კერავდა. დაღლილი სახე ჰქონდა. კოტეს ეძინა. ბეზია შესაბანდში ფათურობდა.

ვიამ ტანთ გაიხადა, ცივ ლოგინში შეძვრა.

— დილით ადრე ადექი, ნავთზე წავალ! — უთხრა დედამ.

— კარგი, დედა, გამიღვიძე, — უპა-

სუხა ვიამ, კედლისკენ გადაბრუნდა და დაიძინა.

გადაბრუნდა და დაიძინა

ეშელონი

მთებში ჩაქედილ პატარა სადგურზე ეშელონი ჩამოდგა — გრძელ საბარგო შემადგენლობას, თავსა და ბოლოში თითო სამგზავრო ვაგონი ება.

ელმავალი მოეხსნა და წავიდა.

დილით რომ მგზავრებმა გაიღვიძეს, ეშელონი ჩიხში იდგა.

არმავირიდან მოდიოდნენ, მექანიკური ქარხნის ერთი სამჭრო წამოვლოთ.

არავინ იცოდა, სად იყო მათი საბოლოო მისამართი, არც ის, სად გაჩერდნენ. იცოდნენ მხოლოდ, რომ საქართველოში იყვნენ.

ვაგონების წინ გამოუფინა მოხუცი და ახალგაზრდა, — ათიოდე ადამიანი. მიდამო დაათვალიერეს. სადგურის დასახელება ძლივს ამოიკითხეს თუნუქის აბრაზე.

— აი, ბაზარი! — თქვა ერთმა ახალგაზრდამ და ხელი გაიშვირა.

სადგურის გვერდით, ცაცხვების ძირში, სოფლელებს ყველი, პამიდორი, მწვანელი და ხილი გამოეტანათ. პოძებზე დაყრდნობილი ყავრის სახურავი ეფარა ბაზარს. ჩაშვებულ ფიცრებზე, დახლის მაგივრობას რომ სწევდა, საქონელი ეწყო.

ადრიანი დილა იყო. ჩქამი არ ისმოდა. შავად ჩაცმული თავსაფარიანი დედაცაყები, ქალარა მოხუცები და ორიოდ პიჭი, სავაჭროდ გამოსულნი, უსიტყვოდ ადევნებდნენ თვალს ეშელონიდან გადმოსულ მგზავრებს.

— ხედავ, წყალი! — გადასძახა ქერა ქალიშვილმა ამხანაგს.

რელსებზე გადაირბინეს, ბაქანზე ახტნენ და რკინის მილიდან მოჩქარიად წყალს ხელები შეუშვირეს.

— უპ, რა ცივია! — თქვა ქალიშვილმა და ხველი თითები თვალეში ამოსვა.

ყმაწვილმაც შეისხა წყალი პირზე.

— კოლია, მოდი ვნახოთ, რას ყიდიან...

— წამოდი, — უბასუხა ყმაწვილმა. ბაზართან მივიდნენ. ქალიშვილი პამიდორებს მიადგა.

— რა ღირს?

— რუბლ! — ცქვიტად უბასუხა თვალეცქირილა ბიჭუნამ.

კოლიამ ჯიბიდან სუფთა ნაჭერში გაკრული ქვამარილი ამოაძვრინა და ქალიშვილს მოუტეხა. აიღეს თითო პამიდორი, ჩაკბიჩეს და მარილს ენა აუსვეს.

ბიჭუნა ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა.

— გემრიელია! — თქვა ქალიშვილმა და ნიკაპზე პამიდორის წვენი მოიწმინდა.

მახლობელ მთას მზე ამოსცდა და ჩაჩრდილული ხეობა გაანათა. თითქოს ამას ელოდაო, ახმაურდა მიდამო.

ეშელონს უკან ხიდი ჩანდა პატარა მდინარეზე, ვალმა დაბა იყო, მის თავზე მწვანე მთები დაყუდებულნი იყვნენ. დაბაში მამლები ყიოდნენ.

— რა სილამაზეა, კატია! — უთხრა ყმაწვილმა ქალიშვილს.

— ჩვენებს დავუძახოთ! — უბასუხა მან და ეშელონთან შეჭურულებს ხელი დაუქნია. — მოდით, მოდით აქ!

მოვიდნენ ისინიც.

— ივან კუზმიჩ! — მიმართა ქალიშვილმა მოხუც ოსტატს, რომელსაც უზარმაზარი, მთლად თეთრი ულვაშები ჰქონდა, — ივან კუზმიჩ, მიერთვით პამიდორი!

მოხუცმა პამიდორი აიღო, ფართო ხელისგულეებში ჩამალა, ფრთხილად გაწმინდა, გააბრიალა, სიამოვნებით შეათვალიერა და ისევ დასდო.

მერე ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

— შენი ეზოსია?



— რუბლ! — ისევ ცქვიტად უბასუხა ბიჭმა და მიაჩერდა.

მოსუცმა გაიცინა და მოვაჭრეთა დახლს ჩაუარა.

ბაზრის ბოლოს კუნძზე ნესტორი წამომჯდარიყო, ყვარჩნები ერთ იღლიაში ამოეჩარა და გრძელტარიან ჩიბუხს უბლაკუნებდა.

— დრასტი, ივან! — მიმართა ნესტორმა უცხოს და თვალები მოკუტა.

ივანე კუზმიჩი ზრდილობიანად მიესალმა თავისზე უფროსს (უფროსი რომ იყო, ნათლად ეტყობოდა ნესტორს დაღარულ სახეზე).

— დაბრძანდი აქ, — კვლავ თქვა ნესტორმა და თავის გვერდით კუნძზე მიუთითა.

სტუმარი ჩამოჯდა. გულისჯიბიდან წერტილად დაკეცილი გაზეთი ამოიღო, მთახია, ძაბრივით დაახვია ქაღალდი. მახორკით აავსო და გააბოლა.

— მახორკა, მახორკა! უპ, რამდენი რამ მახსენდება! — თქვა ნესტორმა და მახორკის სუნი ხარბათ ისუნთქა.

ივანე კუზმიჩმა ცნობისმოყვარეობით შეხედა.

— პირველ ომში ვეუწყავდი ნემცებს. მათაც კარგად გვეუწყეს, ფეხიც მიამატერიეს..

სტუმარმა ყვარჩნებს შეავლო თვალს.

— უკრაინაში იბრძოდით?

— გალიციაში.

დინჯად გააბოლა ორთავემ.

— ჰყვით რამეს?

— აგე, ჩემი შვილიშვილი ჰყიდის პამიდორს. მე კი სახლში ვერ ვჩერდები და უთენია აქ მოვდივარ.

— მატარებლებს ხედებით?

ნესტორმა შეხედა ივან კუზმიჩს, თვალები მოუჭუტა და კვამლი ბოლქვად გამოოქშედა.

— ხალხს ეხედები. შენ დაგხვდი, ამბებს გვებულობ.

— რადიო, გაზეთი?

— ორივეს მუშტარი ვარ, მაგრამ ხალხი მაინც ხალხია, ხან რას იტყვის, ხან რას. საიდან მოდობართ?

— არმავირიდან.

— ვიცო არმავირი. საით?

— აბა რა ვიცი!

— შუა აზიაში.

— თქვენ ვინ ვითხრათ?

— ეს მე ვიცი. სხვა ეშელონმაც ჩამოიარა არმავირიდან. ქარხანა მიგაქვთ?

— ერთი სააშქრო.

— შენ იქნები უფროსი ოსტატი.

— კი, მე ვარ.

— შვილი ხომ არაა? — ახალგაზრდასაქენ მიუთითა ნესტორმა ჩიბუხით.

— არა!

— გყავთ კი?

— ორი.

— ორივენი იქ არიან? — ზურგს უკან მიმართა ნესტორმა ჩიბუხის ტარი.

სტუმარმა თავი დაუქნია, ნამწვავი დაავლო და ქუსლით მოკვლიტა.

— ჩემბიტც, სამნი. ერთი ამის მამა.

— ახლა ბიჭს მიუთითა ნესტორმა.

— სად არიან?

— დამეკარგა სამივე. არც ერთის ამბავი არ ვიცი.

— ომია, — თქვა ივანემ წყნარად.

— ომია, — დაეთანხმა ნესტორი. გეკირვებით წამოდგა, ყვარჩნებს დაეყრდნო და წავიდა. სანამ თვალს მიეფარებოდა, უყურა ივანე კუზმიჩმა, შემდეგ აღგა, ვაჭრობაში გაართულ თავისიანებთან მივიდა.

მთელ დღეს მიგრიალებდნენ ეშელონები ზევით და ქვევით. მოქროდნენ შეუჩერებლივ ჯარისკაცებით, ცხენებით, საომარი საქურვლით, ტანკებით დატვირთულნი. ხან სანიტარული მატარებლები აივლიდნენ, წითელი ჯვრები რომ ეხატათ ვაგონებზე, ხან ნავთის ცისტრნები. ეს ეშელონი კი იღგა და ვერავის გაეგო, როდის დაიძრებოდა.

შუადღისას, როცა ჩამოცხა, ყველა სულდგმულმა ჩრდილს მიაშურა. ზურგზე ხელებდაწყობილი ივანე კუზმიჩი სადგურის უკან ვიწრო ბილიკით მიდიოდა. ღობეშემოვლებული პატარა სამოსახლოები ბუდეებით გაფანტულიყვნენ მთის ფერდობზე. ეზოებში კაკ-

ლის ხეები და თუთები გაბარდნილიყვნენ. აქა-იქ ბროწეული ღუღღა. ღობის ძირებში მაცვლის ბუჩქებს შავწითელი ნაყოფი ესხა. პერანგისამარა პატარა ბავშვები ყავრიანი ოდების წინ დატანტალუბდნენ.

— ივან! — ღობეზე ნესტორი მომდგარიყო. — შემოდი, გული გაიგრილე.

ივანე კუზმიჩი ჭიშკარში შევიდა. ნესტორმა დიდი ხნის უნაბავივით ხელი ჩამოართვა. კაკლის ძირში დასხდნენ ქვის მერსზე. ოდიდან თავწაკრულმა ქალმა გამოიხედა და მიიმალა.

— როდის მიდიხარ?

— ვერ გავიგეთ. ეშელონის უფროსი სადგურის სამორიგეოშია ჩაკეტილი, რეკავს ქვევით-ზევით, მაგრამ ჯერ არ გვეშველა.

— ბიჭები ცოლშვილიანები გყავს, ივან?

— ვერ მოასწორეს, — ივანე კუზმიჩმა თავი გადაიქნია.

თავწაკრული ქალი ოდის კიბეზე ჩამოვიდა, პატარა ხონჩით ყველი, მჭადი და ხილი მოიტანა. თვალუბკრიალა ბიჭმა მოირბინა და სველი თუნგულა ქვის მაგიდაზე შედგა.

— ჩემი რძალია, ივან!

ივანე კუზმიჩი წამოდგა, ხელი გაუწოდა, ახალგაზრდა ქალმა უხერხულად ჩამოართვა და სახლში შებრუნდა.

— ვაჟიკო, დაჯექი ბაბუა! — უთხრა ნესტორმა ბიჭს. თუნგულიდან ღვინო ჩამოსასხა და სტუმარს ჭიქა მიუჩოჩა. — დალიე, ივან, სახარჯო ღვინოა, ცივია და ცოტა მკავე.

— მიყვარს თქვენი ღვინოები, — თქვა ივანე კუზმიჩმა, — კარგია ამ სიცხეში. არმაჯირში ჩამოჰქონდათ თქვენებს. — ჭიქა ასწია, გახედა. — ჯანმრთელად იყავი, ნესტორ!

— გავიარჯოს, ივან კუზმიჩ!

დალიეს, ხილი დააყოლეს.

— ენაბი დიდი ვაჭვს, ნესტორ?

— ერთი ხელის დადება. ეს ვაჟიკო და დედამისი უფლიან, თორემ მე ვასხველა შემოძლია. სხვა არაფერი.

— კოლექტივი რასა იქნ?

— რა უნდა ქნას, ბლარტების ხელშია... იქნება, ყურძნისა რა მოგახსენო.

— შენი ბიჭები რას აკეთებდნენ?

— ამის მამა ბრიგადირობდა, საშუალო — სტუდენტი იყო თბილისში, პატარა უსაქმოდ დატანტალობდა დაბაში. ერთი გვეყავდა, შავლეგო, იმაზე იყო ატორილიალებული. სისხლი გამიშრო, მაგრამ... — ნესტორმა ჩიბუხი ამოიღო და მის გაწყობაში სიტყვა აღარ დაამთავრა.

— ჩემები ორივენი ქარხანაში იყვნენ ჩემთან...

— ბიჭების სადღეგრძელო იყოს, ივანე კუზმიჩ! შინ მშვიდობით მოსულიყვნენ...

ვაჟიკო ხან უცბოს შეჰყურებდა, ხან ბაბუას რუსული უკვირდა. იჯდა პირდაღებული ბარტყვიით.

— ნესტორა, ნესტორაა! — მოადგა ღობეს დაბალ-დაბალი ჭიქარა გლეხი. — უცბო რომ დაინახა, შეცბუნდა. — გამარჯობა, ნესტორა, ბოდიში კი, სტუმარი გყოლია.

— შემოდი, შემოდი. ივანე, ეშელონიდან მესტუმრა კაცი! მეზობელია, შენი სეხნია. — აუხსნა ნესტორმა ივანე კუზმიჩს.

ივანე კუზმიჩი ხელის ჩამორთმევით მიესალმა მოსულს. ჩამოსხდნენ.

— აბა, ჰკითხე მაგას, ნესტორა, სად გამორბიან აქეთ... — ივანემ ღვინო ჩამოსასხა, — ბუღ ზღოროვ! — მიუჭახუნა სტუმარს და დალია.

— ნუ დაიწყე ჩურჩუტი, ვანუა! ვინც გარბის, კარგად იცი შენ! შენი ბიჭი რომ ფრონტზეა, იმასაც ჰკითხე ერთი...

— ვიხუმრე, შე კაცო. მაგას ხომ არ გაუგია. დამიწყე ახლა აგიტაცია!

ვაჟიკომ სავსე თუნგულა კვლავ მოარბენინა.

ისხდნენ მოხუცები კაკლის ძირში. შუადღის მზეს გაეგარეარებინა სერები. ჭიჭინობელები შესდგომოდნენ ქვეყანას და ცის ვახვრეტის თუ მიწის ვაბურღვას ცდილობდნენ თითქოს.

ამასობაში ახალგაზრდები ხიდზე გასულიყვენ და ქუჩის თავში გაჩერებულყვენ. ეს მთავარი ქუჩა (სხვათაშორის, ერთადერთი, ქუჩა რომ დაერქმეოდა) ცალ მხარეს სახლებს ეჭირა, მეორე მხრით რიყეს მიჰყვებოდა, „სანაპირო“ იყო.

ბირველი დიდი სახლი ორსართულიანი გახლდათ, საყმაოდ ვრძელი. ზედა სართულში ცხოვრობდნენ, ქვემოთ მიჯრილიყო ბაბლიოთეკა, გასტრონომი, მერე პურის წურტი და საპარიკმახერო. შემდეგი ორსართულიანი სახლი ცალკე იდგა, რაიონის ხელმძღვანელობა აქ ცხოვრობდა. იმის გაყოლებით კი უსწოროდ ჩარიგებულყვენ ხის სახლები, წინ ბაღებით, უკან პატარა სიმიდის ყანებით. ქუჩის სიღრმეში ებრაელთა უბანი იყო, ბოლოში — ფოსტა, ისევ სახლები, ხიდი და დიდი ბაზარი რიყეზე.

— პატარა-სოფელია, — თქვა კატამ როცა დათვლიერებას მორჩა.

— ადგილი არ აქვს ვასწილვად, — უბასუხა ყმაწვილმა და ხელით დაბაზე მომდგარი მთები მოხაზა.

გავიდნენ გზაზე და ბიბლიოთეკაში შევიდნენ. გრილოდა. ორი-სამი მკითხველი მაგიდას უჭდა გაზეთებით ხელში.

გადაღობილს იქედან ქალარა ქალმა ასწია თავი, ადგა, მოაჯირს დაეყრდნო.

— ეშელონიდან ხართ?

— დიახ!

— ახალი გაზეთები მაგიდაზეა. სხვა ხომ არაფერი გნებავთ?

— არა, გაზეთებს წავეითებავთ.

ნახევარ საათში გამოვიდნენ. გარეთ ცხელოდა.

— ხომ არ ვიბანაოთ? — იკითხა კატამ.

— ვინ იცის, სადაა აქ საბანაო.

პატარა ბიჭუნები ჯგუფად მოდიოდნენ. შეაჩერეს, გამოჰკითხეს.

— ეშელონიდან ხართ? — იკითხეს. მერე მოითათბირეს ერთმანეთში და წაუძღვენენ წინ.

მდინარის ხეობას აჰყვენ. გაღმა მიწაყრილზე რელსები პრიალებდნენ.

აქეთ მტვრიან შარავხას მიჰყვებოდნენ.

მოსახვევში ბიჭები შეეჩერდნენ: —

— აქ ვბანაობთ, — პატარა მხატვრული მიუთითეს. სილაში ათიოდე ტიტლიკანა ბიჭი იწვა. ესენიც ჩაფოფხდნენ დაბრეცილ ბილიკზე, ტანთ გაიხადეს და გადაეშენენ გრილ, მწვანე ტალღებში.

შემდეგ სხვებთან ერთად ცხელ სილაზე გაწვენენ. ორი ღერი რუსული ყველამ იცოდა და გაიმართა საუბარი.

— ეშელონიდან ალიან! — დაიწყო ერთ-ერთმა მომყოლმა ბიჭუნამ.

— საით მიდიხართ?

— არ ვიცით.

— საიდან მოდიხართ?

— რუსეთიდან.

— დი-მა ხართ?

— არა, ერთად ვმუშაობთ.

— ფრიცები ნახეთ?

— არა, გამოვასწარით.

— ტანკში მჯდარხართ?

— კი, ტანკებს ვარემონტებდით.

— დიდ ხანს გაჩერდებით?

— არ ვიცით.

ორი ბიჭი სადღაც გაიქცა.

სილაში თამაში გააჩაღეს. კიდევ იბანავეს, ისილავეს.

წასულებიც მობრუნდნენ. ხალათში გახვეული მწიფე ჭანჭური მოარბენინეს, ნაპარავი ჩანდა. სტუმრებს წინ დაუყარეს.

— ჭამეთ! — თვითონ იქვე ჩაცუქდნენ. სხვებიც შემოეხვივნენ.

სადამოხანს ეშელონში გარმონი ახმაურდა. მწყობრად მღეროდნენ ტბილსევილიან რუსულ სიმღერას ქალები.

რელსებზე ნესტორი და ივანე კუზმიჩი გადმობარბაცდნენ.

— მიიღეთ თქვენი ოსტატი! — შესძახა ნესტორმა ვაგონის ღია კარებში.

გაღმრცევიდნენ თანამგზავრები, მოსულებს შემოეხვივნენ.

— ზვალ გინახულებ, ნესტორ, გინაცვალი! — თქვა ივანე კუზმიჩამ. — მოდი ერთი მოგეხვიო — თვით, უღვაშებზე გადაისვა ხელი. ნესტორმა წვერი ჩაიფარცხა. ხელი მოხვიეს შექმ-

იფიანებულმა მოხუცებმა ერთმანეთს. სამჯერ აკოცეს ჯვარედინად. ნესტორს ყავარჯნები აქეთ-იქით გადაუცვივდა და სანამ მიაწოდებდნენ, ივანე კუზმიჩს ეკავა ახუტებული.

— ხვალამდის, ხვალამდის!

წამოვიდა ნესტორი, ჩერდებოდა, ხელისგულით იწმენდდა თვალებს. მიბაკუნებდა შპალეზე, ვიდრე თვალს არ მიეფარა.

მთელ ღამეს უკრავდა ეშელონში ვარმონი. ისმოდა სიმღერის ხმა. ვაგონის კუთხეში კატია და კოლია ერთმანეთს კოცნიდნენ. არ წყდებოდა ტაშის-ცემა და ფეხების ბაკუნა.

ლუდხანაში

თბილისური თავსხმა იყო, უცებ რომ მოვარდებოდა, ზრიალ-ჩხრიალით დაეშვება სახურავებიდან, ქუჩას წყლით გაავსებს და ხალხს გააქრობს.

კოტემ და გიამ ძლივს შეასწრეს ლუდხანაში. ლუდზე იყვნენ გაგზავნილები, დიდი მწვანე ჩაიდან გიამ ეჭირა.

დადგნენ რიგში.

ლუდხანა სავსე იყო. თამბაქოს ბოლი და ლუდის მყავე სუნი იდგა.

ახლად შესულები სველ ქუდებს იბერტყავდნენ, სხვები მალალ მაგიდებზე მიყუდებულნი, დიდი ჭიქებით სვამდნენ ლუდს და ხმამალა ლაპარაკობდნენ. ბლომად იყვნენ სამხედროები, ქალებიც საკმაოდ.

— ბიჭი მოდი, გვათხოვე ერთი მგ ჩაინიკი, მოგვკლა ამ ჭიქების თრევაში, — დაიძახა ვილაც მელოტმა კაცმა და კოტესთან და გიასთან მივიდა.

— კი, ბატონო! — უარი ვერ გაუბედეს ბიჭებმა, ჩაიდან ჩააბარეს და რიგიდან გამოვიდნენ.

— მოდი, ბიჭებო, თქვენც! — დაუძახეს მაგიდიდან, როცა ლუდით სავსე ჩაიდან მიიტანეს.

კოტე და გია მივიდნენ. მაგიდის პირი გიას ცხვირის დონეზე მოდიოდა.

დილით, მზის ამოსვლამდე, ნესტორმა ვაეიკოს დაასწრო სადგურზე. ეშელონი აღარსად იყო და დინჯად მოკალოდა ნესტორი ბაზრის თავში კუნძუე.

მძიმედ გააწყო ყალიონი და გააბოლა.

მზე ამოვიდა და გაანათა ჩაჩრდილული ხეობა.

ზემოდან მომავალმა ელმავალმა ყვირილით მთები შესძრა. ვუგუნ-გრიალით ჩაიარა ქვემეხებით დატვირთულმა შემადგენლობამ. მას მოჰყვა მეორე, მესამე.

განუწყვეტლივ დაგრილებდნენ მთებში ჩაქედულ პატარა სადგურზე ეშელონები.

მაგიდაზე ხმელი თევზი და მყავე პამიდორი ეწყო. ხუთი კაცი იდგა გარშემო, საკმაოდ მთვრალეები. ეტყობოდა, დიდი ხანია იდგნენ და ზანტად სვამდნენ.

— ჰა, შვილებო, დალიეთ, მარგებელია, — თქვა მელოტმა და ბიჭებს ლუდით სავსე პატარა ჭიქები მიაწოდა. მათაც დაიწყეს უგემური ლუდის წრუპვა.

მეინახენი აღარ აქცევდნენ ბიჭებს ყურადღებას და თავის ბაას განაგრძობდნენ.

ქუჩაში ისევ თავსხმა იყო. ლუდხანის უზარმაზარი ვიტრინიდან კარგად ჩანდა ოდნავ განათებული ტროტუარი და ზედ მოჩხრიალე ნაკადულები; იშვიათად თუ გაირბენდა ქოლგაანი კაცი ან ქალი; ქუჩის სიღრმიდან წვიმის ბადეში ზოგჯერ აეტომანქანის მბეუტავი თვალი გამოანათებდა.

დიდ დარბაზში გაურკვეველი ლაპარაკი თანდათან ყრუ ვუგუნად იქცა.

არავინ მიდიოდა. გაუთავებლად სვამდნენ ლუდს და აბოლებდნენ.

კოტემ და გიამ ჭიქები დაცალეს და მაგიდაზე შედგეს. მწვანე ჩაიდან მეორედ აივსო. ბიჭები ყურს უგდებდნენ მოქეიფეთა ლაპარაკს და აკვირდებოდნენ მათ.



ერთი გამოირჩეოდა ამ ხუთ კაცში, მაღალი. თმები უკან ჰქონდა გადაყრილი. რაღაც უხილავი თვისებით გამოირჩეოდა. არ ლაპარაკობდა, ჭიქას ჭიქაზე სცლიდა, ჭვეშ-ჭვეშ ილიმებოდა უცნაურად.

ბიჭები ხედავდნენ, რომ ეს კაცი სტუმარი იყო. მაგრამ მაინც ისე გამოდიოდა, თითქოს შემთხვევით მოხვდა ამ სუფრაზე. მოჭედიფენი სულ ამას ელაპარაკებოდნენ, სულ მას მიმართავდნენ, თან ეს მიმართვაც თავისებური, განსხვავებული იყო, ისე არ მიმართავდნენ, როგორც ერთმანეთს.

— ბატონო, — უთხრა ერთმა, საკმაოდ მთვრალმა, — ნება მომეცით, გეამბოროთ.

მაღალმა ჩაიცინა, თითქოს ჩაიჭირქილა, ხელი აიჭინა, მერე იდაყვით დაეყრდნო სველ მაგიდას.

— გეთაყვა, გეთაყვა, რა საჭიროა ამბორი? არა, არა, ძამიკო...

— გვითხარით ლექსი, ბატონო, გვითხარით რაში, გავგისარეთ გული, — თქვა მეორე ტურტლიანმა მოჭედიფემ.

— ლექსი? რა ლექსი, ლექსი რად გინდათ, ვის უნდა ლექსი, კარგი ლექსი... — გულიდან ამოსული ხმით და თავისებური ბორძიკით თქვა მაღალმა და დაუმატა: — კარგი, გეტყვით.

აიღო ხელში სახელურიანი ვეება ჭიქა, მერე დადო და თქვა:

სადღვგრძელო იყოს მისი...

კოტემ ახედა, სახეში მიაჩერდა და სუნთქვა შეეკრა. მის წინ სხვა კაცი იდგა, გაფითრებული, შორს გაფრენილი ღრმა თვალებით.

ვინც ოცნებით იწოდა,

ვინც პოეტის მარადის

აღტაცება იცოდა...

კოტე გაოცდა. დარბაზის ხმაური, ყრუ ყავანი, ჭიქების ჭახუნი, გამყიდველთა შეძახილები მისთვის გაქრა. იგი დაყრუვდა და დაბრმავდა. ესმოდა მხოლოდ ეს, საოცრად ნაზი, საოცრად ტკბილი, თანაც მეტად უცნაური ხმა და ხედავდა მხოლოდ ოდნავ მოწყურულ, უცნაურად შორს მზიარალ თვალებს.

მოდიოდა ერთზე ასი...

მოჭედიფეები მონუსხულნი იყვნენ და შესცქეროდნენ. ვიაც კი უცნაურად გაჩერებულიყო და დაძაბული უსმენ-

სადღვგრძელო იყოს მისი,

ვინც შიშმა ვერ დაძაბრა...

მოჭედიფეები შეირხენ, ჭიქებმა გაიჭახუნეს. ერთი გადმოხედა მათ მაღალმა, მერე ხმას დაუწია და თითქოს ჩურჩულით დაამთავრა.

...სადღვგრძელო იყოს მისი

და დიდებოთ ხსენება!

მაღალი დაბრუნდა მიწაზე. თავი ჩაპკიდა. მოჭედიფეები ახმაურდნენ, ჭიქები ასწიეს, მაღალის ჭიქას მიაჯახუნეს და დაეწაფნენ.

— იცი, ეს ვინ არის? — ჩასჩურჩულა კოტემ ვიას, რომელიც პატარა იყო და ვერაფერს მიხვდა.

მაღალმა ყური მოჰკრა კოტეს ჩურჩულს და დიდი, სველი ხელი თავზე დაადო ბიჭს. ხელი დიდხანს არ მოუცილებია. მაშინაც კი, როცა ჭიქები მიუჭახუნეს.

კოტემ ივრძნო მძიმე ხელის თრთოლვა, განაბული იდგა და ყოველ სიტყვას, ყოველ მოძრაობას ხარბად იჭერდა.

ვიას მათი ყურება მოებზრდა და დარბაზში იწყო ხეტიალი.

— ბატონო, ახლა რასა სწერთ, რას სწერთ ახლა, გვითხარით...

— ახლა, ახლა არაფერს, — ისევ ჩაიჭიჩქილა მაღალმა, — არაფერს, არაფერს, ახლა, აი, ლუდს ვსვამ თქვენთან...

სხვებმა გაიციინეს, მერე გადაიხარხარეს, თან ერთმანეთს თვალით ანიშნებდნენ, ხედავ, რა თქვა, რა სასაცილო რაღაც თქვა ჩვენმა მგოსანმაო.

— ვაშა მგოსანს! — იყვირა ერთმა. სხვებმაც დაიძახეს ვაშა, ვაშაო. თან ბარბაცებდნენ მთვრალეები, საკინძგახსნილინი, ლუდით გაბერილინი და გაოფლიანებულნი.

მაღალმა ისევ ჩაიცინა, კოტეს თავზე ხელი გადაუსვა და ფეხი მძიმედ მოინაცვლა. მთელი მკერდით მიაწვა მაგი-

დას, თითქოს გადაბრუნებას უპირებდა და რაღაც ჩაილაპარაკა.

სუფრიდან ორი კაცი უკვე გაიპარა. დარჩა ორი და ეს მაღალი. კიდევ მოარბენინა მელოტმა ჩაიდანი თ ლუდი, ჩამოასხა, დალიეს.

— ბიჭიკო, ბიჭიკო! — მოესმა უცებ კოტეს. მაღალი დახრილიყო და ეუბნებოდა. — ბიჭიკო, სახლში ხომ არ დაგაგვიანდა, ეს ჩაიდანი შენია, ხომ?...

— როგორ გეკადრებათ, ერთი ჭიქაც. მგოსანო ჩემო...

— აღარ მინდა! — ქვევიდან ასძახა მაღალმა ოდნავ შეცვლილი ხმით და კოტეს პასუხს დაელოდა.

კოტე დაიბნა.

— კი, მეჩქარება, — თქვა ბოლოს გაუბედავად და ვიას დაუწყყო თვალუბით ძებნა.

— აბა, გაავსეთ ჩაიდანი, — აიძართა სუფრაზე მაღალი და ოდნავ შებარბაცდა.

— ნახევარზე მეტია, ბატონო ჩემო, გვეყოფა ჭერ...

— გაავსე, გაავსე, ძამიკო. — თქვა რბილად მაღალმა და მელოტს ჩაიდანი მიაწოდა. მელოტმა მხრები აიჩჩა და წავიდა.

კოტემ ვია დაინახა და ხელე დაუძქა. ^{ქვევიდან} —

— რა გქვია, ბიჭიკო, შენ? — ჰკითხა ისევ მაღალმა კოტეს.

— კოტე. ბატონო, კონსტანტინე.

— აბა ეს დავითი იქნება, — ჩაიციონა მაღალმა და ვიაზე მიუთითა.

ვია პირდაღებული უყურებდა. კოტემ ხმა ვერ ამოიღო.

მელოტმა მოიტანა სავსე ჩაიდანი, მაღალმა ჩამოართვა, კოტეს ხელი მოჰკიდა და კარებისაკენ წაიყვანა. ვია უკან აედევნა მათ.

— აბა, ბიძიკოებო, წადით სახლში, — თქვა მაღალმა და კოტეს ჩაიდანი მისცა.

— ფული, ფული, ბატონო, ა ფული! — უთხრა უცებ კოტემ და აქამდე მომუშტული ხელი გაშალა. დაკმუჭვნილი და ჰუჭყიანი წითელი სამთუმნიანი ჰქონდა ხელში.

— წადით, წადით, ბიძიკოებო, დავით და კონსტანტინე, — გაიმეორა მაღალმა, ისევ თავისებურად გაიცინა და ბიჭები გარეთ გაიყვანა.

წვიმის გადაედო.

კოტე და ვია სახლისაკენ გაიქცნენ. ნელა გაუყვა სველ ტროტუარს მაღალი კაცი და მალე ბნელში დაიკარგა.

ნუცა

1

მატარებელი რომ სადგურს მიუახლოვდა, დილის ექვსი საათი იქნებოდა. ირგვლივ ყველაფერს ფაფუკი თოვლი დასდებოდა. უამრავი ფანტელი შეუწყვეტლივ ცვიოდა ნისლიან ციდან. სადგურში ელექტროშუქი კიაფობდა — ღამისა და დღის შეხვედრის უქმი მოწმე. მოედანზე მეეტლეები იდგნენ მგზავრების მოლოდინში. ცხენების ფრუტუნნი რომ მიწყდებოდა, გარკვევით ისმოდა თოვლის ფართო ფიფქების ფაჩუნნი — იღუმალი ხმა ზამთრის წყნარი დღისა.

„ლინიკიაზე“ ექვსნი დასხდნენ, ცხენებმა გაუტიეს. რბილად ატრიალდა

ბორბლები დატკეპნილ თოვლზე. გამოუძინებლებს, ვაგონში დაბეგვილებს, ლაპარაკის თავი არ ჰქონდათ. მობუზუნნი, პალტოებში ყურებამდე იყვნენ ჩამსხდარნი. მფრინავის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა კოფოზე იჭდა მეეტლესთან და ცნობისმოყვარეობით ათვლიერებდა მიდამოს.

თოვლს დაეფარა მთის წვერზე მიხატული სოფლის სახლები, ფართო ველიც თოვლით იყო შესუდრული. დართქლილ ცხენებს მძაფრი სუნი ასდიოდათ. მფრინავმა ოდნავ ხელები გაშალა, გაიღიმა და მეეტლეს მიუბრუნდა:

— ა შტო, პაპაშა, ხარაშო კრუგომ? მსუქანმა, ჩაშავებულმა მეეტლემ ერთი შეხედა.

— ნიჩავო! — თქვა გულგრილად, ცხენებს აღვირი გადაჰკრა და გადაუწერუპუნა. აღმართში მიმავალი ეტლი აკვანივით ირწყოდა.

სანამ ქალაქში ავიდოდნენ, გათენდა. „ლინიეკა“ მოედანზე შეჩერდა. მგზავრები ჩამოხაბაკდნენ. მეეტლეს ფული შიანჩეხს და გაიფანტნენ. შიდალი, ხმელ-ხმელი ქალი ჩასჭიდებოდა ჩემოდანს და ვერ გადმოეღო. მფრინავი შეჩერდა.

— მოგვხმარებით, თუ შეიძლება...

— გმადლობთ, შვილო.

— რა არის ასეთი მძიმე?

— წიგნებია. — ქალი ჩემოდანს წაებოტინა.

— სახლამდე მივიტანთ.

ქალი შეწუხდა, მაგრამ გარშემო აღარავინ იყო.

— საიდან იცით ასეთი რუსული? — მფრინავმა თანამგზავრი შეათვალიერა.

— რუსულს ვასწავლი სკოლაში.

დატკეპნილი თოვლი ფეხქვეშ ჰკრატუნებდა. საკვამურებიდან ნაცრისფერი ბოლი ამოდებოდა.

— ახლავე მივალთ, — თქვა ქალმა.

აღმართი აიარეს და ჰიშკარს მიადგნენ. ყმაწვილმა რომ ჩემოდანი აივანზე აიტანა, უნებურად ფეხები დაიბერტყა, თუმცა სახლში შესვლა ფიქრადაც არ მოსვლია.

— დედა, დედა! — აივანზე პერანგისამარა. ფეხშიშველი ქალიშვილი გამოვარდა, ქალს შეეყინულ პალტოზე მოეხვია, თეთრი მკლავები კისერზე მაგრად მოაჭდო, აკოცა და აკოცა. ოქროსფერი თმები მხრებზე ეფინა. ცისფერი თვალელები უცხოს რომ მიანათა, მაშინდა შენიშნა, შეცბუნდა და აიღუნა.

— რას შვრები, ქალო, გაკოედები! — უკველა დედამაც და ძალით მოიცილა.

ქალიშვილმა პერანგის საყელოზე

იტაცა ხელი და მკვირცხლოდ შებრუნდა კარებში.

მფრინავს თვალელები უციმციმებდა, პირი ოდნავ დაეღო.

— გმადლობთ, გმადლობთ! — უთხრა დაბნეულმა ქალმა. ველარც სახლში შეიპატოჯა, ვერც სხვა გაუბედა. მფრინავმა სამხედრო სალაში აუღო, სირბილით დაეშვა კიბეზე და ჰიშკარში გაუჩინარდა.

— ვინ იყო, დედა? — კაბაგადაცმული ქალიშვილი ისევ გამოსულიყო კარებში.

— ვინა და, ჩემოდანი მომატანინა.

ორივე დაეჭიდა ჩემოდანს, შეიტანეს სახლში და კარები მიიხურეს.

ოთახში ბნელოდა. მხოლოდ თუნუქის ღუმელი ანათებდა. მის გარშემო წელში მოკაკული დიდდა ფუსფუსებდა. შავი, საშინაო სამოსი ეცვა. წუთით რომ წელში გასწორდა, თეთრი და საამო სახე გამოუჩნდა.

— რა მოიტანე, რა დარჩენია?

— წიგნების მეტი არაფერია, დედი!

— უთხრა მოსულმა, პალტო და ფეხსაცმელები გაიხადა და ჩამოჯდა გახურებულ ღუმელთან.

— მამას წიგნები?! — იყვირა გოგომ, ჩემოდანი გახსნა, წიგნები ჩაბლუჯა და მეორე ოთახში გაგარდა.

— შე ქალო, წიგნები რამ გათრევიანა? — მკაცრად თქვა დიდედამ.

— სხვა არაფერი იყო, დედი, ეს მაინც ექნება ნუცას.

— წიგნის მეტი რა აქვს, წიგნებმა ამოსწვა თვალელები, ჰკუიდან გადააცდინა, რალაც ლექსებს ჯღაბნის, ბიჭებზე ფიქრობს, — ბუზღუნებდა მოხუცი. თან მარდად შლიდა სუფრას.

ნუცამ სულ გაზიდა, რაც წიგნი იყო — კოტეტიშვილი, „მნათობი“, ფშაური პოეზია, გალაკტიონი...

— გამო, პური ჰამე, სკოლაში დაგავიანდება! — დაუძახა დიდედამ.

გამოვიდა ნუცა მზიარული. დედას ქალაქის ამბები ჰკითხა. ისაუბრა, გახუნ-

ბული მოკლე პალტო ჩაიცვა და სკოლაში გაიქცა.

— მეცხრე კლასშია გოგო, წიგნების კითხვას როგორ უკრძალავ, — წყენით წარმოთქვა ქალმა.

— შენც წადი, ორშაბათია, ხომ იცი, მეორე გაკვეთილი გაქვს, — უპასუხა მოხუცმა და სუფრის ალაგებას შეუდგა.

ქალმა თავის გაუშლელ საწოლს გადაავლო თვალი, მიძიმედ ადგა, რვეულე-ბით გატენილი ჩანთა აიღო და წავიდა.

2

შაბათ დღეს სკოლაში შეხვედრა ჰქონდათ მეომრებთან. სცენა ლამაზად მოერთათ, კედლებზე ბელადების სურათები ეკიდა.

დირექტორმა კრება გახსნა, მათემატიკის მასწავლებელი მოხსენებით გამოვიდა, მფრინავთა სასწავლებლის მეთაურმა სიტყვა თქვა. სკოლის გუნდმა სიმღერები დააგუგუნა.

შემდეგ სცენაზე ნუცა გამოჩნდა, ლექსი წაიკითხა: დასცხეთ ფაშისტებს, ჩვენი სახელოვანო შევარდნებო... ყვირთელი კაბა ეცვა. ძლიერ დელავდა.

პატეფონი დაუკრეს. მფრინავებმა უფროსკლასელ გოგონებს წაავლეს ხელი და დატრიალდნენ. სკოლის ბიჭები კარებთან ჩგუფად იდგნენ და იბღვირებოდნენ.

ნუცამ დიდხანს ეძება ის მფრინავი, დედას რომ ჩემოდანი მოუტანა. დარბაზის ბნელ კუთხეში მიაგნო. მოცეკვავეებს უუარებდა. ნუცამ მაშინვე იცნო. ვალსის ხმები გაისმოდა.

— ვიცეკვოთ?

— არ ვიცი ცეკვა.

ნუცას გაუკვირდა.

მფრინავი უცებ წამოდგა, თითქოს იცნო.

— გამარჯობათ, — ხელი გაუწოდა.

— მიცანით?

— დედათქვენი რუსულის მასწავლებელია, არა?

— დიას! მიძიმე ხომ არ იყო ჩემოდანი?

— არა! შერცხვა ყმაწვილს და ისევ დაჯდა. ნუცა გვერდით ჩამოჯდნას...

— ბოდიში, თქვენ რა გქვიათ?

— ვალია.

— მაშ, ვალერი ყოფილხართ!

— არა, ვალენტინი. რატომ უნდა ვიყოთ ყველანი ვალერები?

— იცით, ვალია, ჩკალოვი რომ დაილუბა, მე ბევრი ვიღარდე და ვიტორე... მაშინ პატარა ვიყავი.

ვალიამ გაიღიმა.

— მკლავზე შავი ლენტია გავიკეთე, წავედი სკოლაში. გოგონებმა დამცინეს, მასწავლებლებმა ამიკრძალეს. სახლში რომ მივედი, მთელი ღამე ვტიროდი...

ვალიამ ყურადღებით შეხედა ნუცას.

— უფრო იმიტომ ვტიროდი, რომ უფლება არ მომცეს, რასაც განვიცდიდი, ის გამომეხატა.

ვალია მოიღუშა.

პატეფონი ახრიალებდა ტანგოს — „შამპანურის შხეფები“.

— ახლაც, — განაგრძობდა ნუცა და ვალია თანდათან უფრო იღუშებოდა, — ახლაც, რასაც ვფიქრობ, იმას რომ ვამბობ, მიჯავრდებიან. მე კი არ შემოძლია სხვებსავეთ ვიარტისტო, ვიფლოდო, რაც არ მინდა, ის გავაქეთო...

ვალიამ თავი დაუქნია.

— თქვენ რა გქვიათ?

— ნუცა!

— ნუცა, ნუცა, — გაიცინა ვალიამ, — კარგი სახელია, ოღონდ უცნაურია. ნუცა, ნუცა, — გაიმეორა ისევ და კეთილად გაიცინა.

ნუცას ეს არ სწყენია.

— ნუცა, მამა გყავთ?

— დიას, ფრონტზეა.


— წერილს იღებთ?

— არა!

ნუცამ ვალიას შეხედა. თავბოტორა იყო, ნათელვარება, სიცილის დროს ლოყებზე ფოსოები უჩნდებოდა. კისერი ჰქონდა მაღალი, ბავშვივით წვრილი.

პატეფონზე ვილაც სევდიანად მღეროდა. მოცეკვავენი ჩამოსხდნენ.

— თქვენ საიდან ხართ, ვალია?



— ლენინგრადიდან.
 — აქ როგორ მოხვდით?
 — მფრინავების სკოლაში გამომგზავნეს.

— მშობლები გყავთ?
 — ლენინგრადში, ბლოკადაში.
 ნუცამ უცებ თითები ხელზე გადაუსვა მოფერებით. ვალიამ ახედა და გაელღმა ორივეს.

პატეფონი გაჩუმდა.
 — ვალია, მოდი, შევხვედეთ სხვა დროს, — თქვა უეცრად ნუცამ.
 — სად, როდის? — ჰკითხა ვალიამ, — მხოლოდ დღისით მაქვს თავისუფალი ორი საათი.

— სასაფლაო იცით, ჩვენ სახლს ზემოთ?
 — მოვძებნი, მაგას რა უნდა?
 — აი იქ მოდი, — თქვა ნუცამ და უცებ დაირცხვინა. ამ უცხო ყმაწვილს როგორ გაუთამამდა!

გამომშვიდობებისას ნუცამ ხელი ჩამოართვა და გაიქცა. ვალია გაწითლდა. მერე მთელ ღამეს არ დაუძინია.

3

სალამოს სახლში სინათლე არ აუნთიათ. ღუმელს უსხდნენ ნუცა, დედა და დიდედა. კედელზე ცეცხლის ალი ლანდებს ათამაშებდა, ხან დაიგუგუნებდა ცეცხლი, ხმელ შემას მოედებოდა, ხან მიუუჩნებოდა მიძინებულნი.

გარეთ ისევ ბარდნიდა. სარკმელი თეთრად ანათებდა.

— დედა, შენ რომ გათხოვდი, რამდენი წლის იყავი?
 — თვრამეტის, ნუცა.
 — ვაი იმ დღეს...
 — მოიცა, დიდედა! მერე, ძალიან გიყვარდა მამა?
 — მაშინ ძალიან.
 — ლამაზი იყო, ხომ?
 — ლამაზი იყო, შვილო, ლამაზი, იმან გადარია ეს ქალი.
 — კი, ნუცა.
 — მერე, მე რომ გავჩნდი, რა ჰქენით?

— რას ვიზამდით, ვუფროსნი?
 — არა, იმას გეკითხვნი, მამას უკვამ ხარდა?

— გაეხარდა, შვილო, შენ მოგიკვდეს დიდედა, გაეხარდა, ისე დაითრო, სახლში ძლივს მოიტანეს.

— აბა რას ამბობ, დედი?
 — რაც გაიგონე!
 — მოიცა, დიდედა! დედა, არ ეწყინა, რომ ბიჭი არ ვიყავი?
 — ჩემთვის არ უთქვამს.
 — მერე რა ჰქენით? გაიციენს.

— მერე არაფერი. წამოვედი საავადმყოფოდან სახლში. ნუცა იმან დაგარქვა.

— მერე, მერე?!
 — მერე, ხშირად ავტყობავდი ხოლმე — ძალზე მჩხავანა იყავი.

— მე, დიდედა??
 გაიციენს.
 — დიდედა, შენ გიყვარდა პაპა?

— კარგი ერთი!
 — არა, მართლა, როგორი კაცი იყო?

— მამაჩემი ქერა იყო, თხელი და მაღალი. გულსიმოსვლა იცოდა სწრაფად. მახსოვს...

— ვაი, იმათ მიხამათ ხელი!
 — კარგი, დედი!
 — დასაფლავების ნებაც არ მოგცეს, დიდედა?

— არა, იქვე დამარხეს სხვებთან ერთად, დიდედამ იცის ადგილი, ნუცა.

— ბევრი დაიღუპა მაშინ?
 — ბევრი, შვილო, ბევრი! ვაი ჩვენი ბრალო, იმათ ჩაუღამდათ თვალები... დიდედამ კრემლი მოიწმინდა. დედა ცეცხლს ჩასცქეროდა.

— დიდედა, შენ ის თქვი, პაპამ რომ ქორწილში იჩხუბა...
 — იპ, ერთი ვინმე არ მოეწონა, მიტხრა, რას გიყურებს ეგ ცხვირმოვრებილიო. ამაყი იყო, ადგა და გაარტყა.

— ადგა და ასე პირდაპირ გაარტყა?
 — ისეთი გაარტყა, გადაატრიალა. ატყდა ჩხუბი, დიდი აურზაური.

— შენ რა ჰქენი, დიდედა?



— რას ვიზამდი? კედლიდან ხანჯალი ჩამოვხსენი და დავდექი.

— გესმის დედა? მერე, მერე!

— ისინი გაჰყარეს გარეთ, ვინც იმ ცხვირმოქცეულს ეხმარებოდა. მოვიდა პაპაშენი სისხლიანი, ჩოხაჩამოხეული, თვალები დამიბრიალა, ეგ ხანჯალი ჩაავგო... იყო ქორწილი დილამდე...

— მერე?

— ვცხოვრობდით ტყბილად, კარგად, სანამ... ფიცხი იყო მეტად პაპაშენი, სიფიცხემ დალუბა კიდევაც...

დღეშილი ჩამოვარდა. სამივე თავისთვის ფიქრობდა.

— ვინ იყო, სკოლის წინ რომ ელაპარაკებოდი?

— ერთი მფრინავია, ნაცნობი, დედა.

— ეს გვაკლია ახლა, ვაი მე ბებერსა!

— საიდან გაიცანი?

— შენ არ მომაყუენ სახლში?

— რას ამბობ, გოგო?!

— ჩემოდანი ვინ მოგატანინა?!

— ის იყო?

— ეს გვაკლია, ეს გვაკლია ახლა, სწორედ ეს გვაკლია! ვაი დედასა, სახლში კაცი არ არის!

— კარგი, დედი!

— უპ, დავილაღე, მეძინება, — უცებ მოიწყინა ნუცამ.

— წადი, შეილო, დაიძინე.

— ნეტა, ომი როდის გათავდება?

— წადი, ნუცა, გვიანაა, დიდება გენაცვალოს.

— ომის დამთავრება იმიტომაც მიხარია, რომ საჭმელი ბევრი იქნება და მამაც ჩამოვა.

— გეყოფა ახლა, ნუცა! — დედა შესის ასალეზად დაიხარა.

— კარგი, მივდივარ, ოღონდ უჩემოდ არ ილაპარაკოთ.

კიდევ დიდხანს იჯდა ღუმელთან ორი თმათური ქალი.

გარეთ ბარდნიდა. ზამთრის გრძელი ღამე იყო.

4.

დანიშნულ დღეს ნუცამ ჩაქვდა ფიქსიკენ გაიქცა.

თოვლით იყო დაფარული ყველაფერი — ნაძვების დაზნექილი ტოტები, საფლავის ქვები, ბილიკები. ცა იყო ღრუბლიანი და ჩანდა მშვე, როგორც სანთელი ფარდის იქით, იყო და არც იყო.

მოვიდა ვალია. შესციინეს ერთმანეთს. ერთხანს იარეს ღრმა თოვლში. სასაფლაოს ბოლოს ცემენტის მაღალ კვარცხლბეგზე პროპელერი იყო დამაგრებული.

— ვინ იყო? — ვალიამ ქუდი მოიხადა.

— მფრინავი დასაფლავებს ზაფხულში, თქვენი სკოლის კურსანტი, თვითმფრინავი დაემსხვრა აეროდრომზე დაჯდომისას.

ბელით გადაწმინდეს კვარცხლბეგის ძირში თოვლი და მარმარილოს პატარა ფილაზე გვარი წაიკითხეს.

— ეს მე არ ვიცოდი, — თქვა ვალიამ და მოიწყინა.

ნუცამ წაავლო ხელი და წაიყვანა სხვა მხარეს.

— შეხედე, რა ლამაზად დევს თოვლი? მოდი, აქ შევიდეთ.

ჩამოსხდნენ ნაძვის ძირში. თოვლით დაზნექილი ტოტები სახურავივით ეფარათ, თითქოს კარავში ისხდნენ.

— შენ და-ძმა გყავს, ვალია?

— არა.

— არც მე. მამა გიყვარს?

— ჰო!

— მეც, ძალიან. თუმცა იშვიათად კენახულობდი.

— რატომ?

— მამა თბილისში მარტო ცხოვრობდა. დიდებას არ უყვარდა, ქალი მიმიტოვა, ვითომ მწერალია, რეტიანიო, ბუზღუნება.

— მერე, მამა?

— მამამ ეს იცოდა და ერიდებოდა.

— დედა?

— დედაც თავისთვის იყო და ხმას არ იღებდა. ფულს მამა არ გვიგზავნი-

და, არა აქვსო, ამბობდა დედა, ქალებში ფლანგავსო, გაიძახოდა დიდდედა...

ჩაფიქრებული უსმენდა ვალია.

— მერე ომი დაიწყო, მამა ჯარში წაიყვანეს. დედამ ვერ მოიცალა ქალაქში წასასვლელად. ერთ დღეს მეზობლის წერილი მოვიდა, ჩამოდით, წაიღეთ რაც დარჩა, ოთახში სხვა ჩასახლდით. დედა წავიდა და წიგნების მეტი არაფერი დახვდა. მეზობლებს წაედოთ, ან ჩასახლებულს დაეშალა...

— მერე, არ იჩივლა?

— არსად უჩივლია. გატენა წიგნებით ჩემოდანი და წამოვიდა.

— ჩვენები კი ძალზე კეთილად ცხოვრობენ...

— იცი, როგორ მშურს?! მე მამას ძალიან ვგავარ... ჩემთან სულ მზიარული იყო, ბავშვივით მეთამაშებოდა, მესაუბრებოდა, მანებიერებდა. ხანდახან ჩამჩურჩულებდა, — ამათ ხელში რა გეშველებაო...

ვალია გარინდებული იჯდა.

— მე ვგრძნობდი, რომ მამა ამას დელაზე და დიდდაზე ამბობდა. ვერ გამეგო, რაში იყო საქმე, რა უნდოდა მამას ისეთი, რაც ამათ არ მოსწონდათ, ან რატომ არ უყვარდათ ასეთი ალერსიანი და ნიჭიერი კაცი...

— დედაშენი იშვიათი ქალია...

— აბა, საიდან იცი...

— ხომ გავიცანი?!

— იცი, ვალია, დამლამობით ხშირად ავტორდები, როცა მამა მახსენდება, ლექსებს ვწერ მამაზე...

— კიდევ რაზე სწერ?

— ჩკალოვზე, წითელ არმიანზე... და სიყვარულზე! რას იცინი?

— ისე. მერე ვის უკითხავ მაგ ლექსებს?

— გოგოებს. თუმცა არაფერი ესმით. მე ვიცი, პირში სიყვარულს მეფიცებიან, ისე კი შურიანები არიან. ციულამ მითხრა, ერთი კოჭლი გოგოა, ჩემთან ზის მერხზე, ჩემად მითხრა — სახელს გიტებავენ, ლექსებს წერს ბიჭებზე, უცნაურიაო...

— მე რომ თქვენთან ვიყო, სათიხაოდ მივტყვებავდი მაგ გოგონას... ნუცამ ვადაიქისისა, ჭკჭკუნაწიწიწი ნაე შეარბია. წამოვიდა ზევიდან თოვლის ქულები.

— აუ! კისერში ჩამიცვივდა! — წამობტა ვალია.

ნუცა ბილივზე გაეარდა და შედგასულ გაყინულიყო, ფეხები დასველებოდა თოვლში სიარულით.

ვალიამ ეს შენიშნა.

— წავიდეთ, წავიდეთ! — დაიქინა.

— როცა მოიცალო, ვალია, სკოლის წინ ჩამოიარე, ორ საათზე, ამ დროს მთავრდება ჩვენი სწავლა...

— კარგი, მოვალ!

ნუცამ ხელი ჩამოართვა ვალიას და სახლში გაიქცა მთლად დამზრალი.

ვალია ნელა წამოვიდა.

5.

მფრინავთა სასწავლებელი ქალაქის განაპირას იდგა. ორი ყაზარმა შორიახლო ტრიალ მინდორზე აეგოთ. აქვე იყო აეროდრომის ასაფრენი ბილიკები, რომლებზეც მწვანედ შეღებილი მომცრო სასწავლო თვითმფრინავები კალიბრებით ისხდნენ.

სასწავლებლის შესასვლელ კარში გუშავი გამოჭიმულიყო ხიშტიანი თოდით. შენობის მესერმოვლებულ ეზოში, დათოვლილ ხეებს ქვეშ, ყველა-საგან მიტოვებული გრძელი სკამები და მრგვალი მაგიდები იდგა.

ის იყო მეცადინეობა დამთავრდა. ვალია მორიგე ოფიცერს გამოეცხადა, ორი საათით ქალაქში ვასვლის ნებართვა ითხოვა.

ვასახლელში მზარა ჩაიკვა, ქული მაგრად ჩამოიფხატა, გუშავს საშვი უჩვენა და ქალაქში წავიდა.

ორს ოცი წუთი აკლდა. ტროტუარებზე მიყინული თოვლი ტალახს დაეფარა. ცივი ქარი ქროდა.

ვალიამ მოედანი გადასერა, მარჯვნივ ჩაუხვია და სკოლასთან შორიახლო შეჩერდა. ხუთიოდე წუთში მთლად ვა-

იყინა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

ბოლოს, როგორც იქნა, მოესმა სკოლიდან მოსწავლეების ხმაური.

ადგილიდან დაიძრა და ნელა გაეშარათა სკოლისაკენ.

ბავშვები გარეთ გამოვრბოდნენ. ნუცა არ ჩანდა.

ჩაუარა სკოლის ჭიშკარს და ნელა განავრძო გზა.

— ვალია!

ჭიშკარში გამოსული ნუცა გოგონებს არ დაეროდა, ვალისაკენ გაქანდა ჩანთის ქნევით.

— ნახევარ საათში ამოდი ჩვენთან სახლში, გესმის? — უთხრა ნუცამ და გაიქცა. აღმართი აირბინა, სახლში შევარდა, ჩანთა მოისროლა და შედგა.

რა ექნა?

ეცა ცოცხს და ოთახი დაგავა, მაგიდა მილაგა, ლუმელს შეუქეთა, თავის პატარა ოთახში შევარდა, ყვითელი კაბა გადაიცვა, სარკეში ჩაიხედა, თმა დაივარცხნა და დინჯად გამოვიდა.

სკამზე მძიმედ ჩამოჯდა, ხელები მუხლებზე დაიწყო და საათს მიაჩერდა. გული გამალეხით უცემდა.

საათი კაკუნებდა თავისთვის, ლუმელში ცეცხლი ენთო, ოთახში სითბო და სისუფთავე იყო.

გავიდა დრო და მოვიდა ვალია.

კიბეზე ამობრახუნდა, ფეხები დაიბერტყა, ქუდი მოიხადა.

ნუცამ კარი გაუღო.

— მობრძანდით, გთხოვთ! — ზრდილობიანად შეიპატივა.

ვალია მორიდებულად შევიდა.

— ვინაა სახლში? — იკითხა შემკრთალმა.

— მობრძანდით, გაიხადეთ თქვენი მზარა! — ნუცამ ქუდი ჩამოართვა, მზარის დაკიდებაში წაეხმარა.

მაგიდასთან დასხდნენ და ერთმანეთს მიაჩერდნენ.

ნუცამ თვალეზი დახარა, გაწითლდა. ვალიამ ჩახველა და ოთახს მიმოავლო თვალი.

— გარეთ ძალიან ცივა, — თქვა

თითქოს თავისთვის, ადგა და ლუმელს ხელები მიუფიცხა.

ნუცამ ასწია დახრილი თავი, ადგა და გვერდით დაუდგა.

— რას აკეთებთ ახლა თქვენს სასწავლებელში? — ჰკითხა წყნარად.

— მატერიალურ ნაწილს ვსწავლობთ, — იყო სერიოზული პასუხი.

ნუცას თვალეზში ღიმილის ნაპერწკალმა გაუელვა.

— გაზაფხულზე, თოვლი რომ დადნება, — განავრძო ვალიამ, — ფრენას დაიწყებთ, შემდეგ ფრონტზე წავალთ.

— მანამდე ომიც გათავდება, — გეცინა ნუცას.

— შეიძლება, — თქვა ვალიამ და ნუცას თვალეზში შეხედა.

ნუცამ კვლავ გაიციინა, თავის ოთახში შევარდა, რვეული გამოარბენინა.

— გინდა ლექსები წაგიკითხო მფირნავეებზე?

— შენი?

— ჩემი!

წაიკითხეს, ერთი, ორი...

— მითარგმნე, — სთხოვა ვალიამ.

ნუცამ უთარგმნა.

ვალისა ძალიან მოეწონა და უცებ ნუცას ხელზე აკოცა უხერხულად.

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს! — შესძახა ნუცამ და გაწითლდა.

ვალიამ ხელი მხარზე დაადო.

— ხელი გამიშვით, არ მაკოცოთ, თორემ!... — ნუცა მთლად დაიძაბა, მაგრამ ადგილიდან ვერ დაიძრა.

ვალიამ მეორე ხელიც დაადო მხარზე და აღმოდებული სახე ახლოს მიუუტანა.

— არა, არა! — წაიჭურჭულა ნუცამ.

— მიყვარხარ! — ამოისუნთქა ვალიამ და ტუჩები ტუჩებზე მიადო.

— ვაიმე! — ერთი შეტყევირა ნუცამ, ხელიდან დაუსხლტა, თვალეზმა მრისხანედ გაუელვა. — ხომ ვითხარო, არამეთქი, შე საზიზღარო, იდიოტო, ცხვირაბზეკილო! როგორ გამიბედე,



გარყენილი ხომ არ გგონივარ! აი რას ვიხამ, ეს სიბილწე რომ მოვიცილო!

მივარდა ნუცა ღუმელის ცხელ მილს და დაადო ტუჩები.

— ვაი! — ახლა ვალიამ იყვირა, ეცა და გამოავლო გვერდზე.

— დაიკარგე აქედან! — დაუყვირა ნუცამ.

მაზარასა და ქედს მივარდა, სახეში მიაყარა, კარი გაუღო და ვალია უხეშად გაავლო.

— მეორედ არ დაგინახო აქ! — მიაძახა, მიანებოქა კარები, დაეცა ტახტზე და ატირდა.

მარილიანი ცრემლი კბენდა აფეთქულ ტუჩს.

ვალია სასწავლებლისაკენ მიიძღვრებოდა.

ქარში ირეოდა წვრილი ფანტელი, ფეხი სხლტებოდა ტალახიან ტროტუარზე, ზამთრის მოკლე დღე ბინდისაკენ მიისწრაფოდა.

6

იმ საღამოს მხოლოდ ნუცა და დედა უსხდნენ ღუმელს. ისევ გუგუნებდა ცეცხლი, კედელზე ჩრდილები დაბტოდნენ, ტკაცუნებდა შეშა.

გარეთ ყინავდა, ქარი ჩამდგარიყო, მთვარე ანათებდა. ბნელი ოთახიდან დაბატულივით ჩანდა ფანჯარაში დათოვლილი ბალი, ყვითელი შექით განათებული ხის ტოტები.

— რად ჩამოგტირის, შვილო, სახე, რა მოგივიდა?

— დედა, მამა მომენატრა.

— მერე რა ვქნათ, ნუცა, ახლა.

— წვრილს რატომ არ იწერება?

— წინადაც არ იწერებოდა.

— დედა, რატომ გაიყარეთ?

— ეგ მამას ჰკითხე, შვილო.

— მაინც რა მოხდა? მე მიინდა ვიცოდე, დედა!

— ნუცა, პატარა აღარა ხარ...

— მით უმეტეს...

— მამა რომ ჩამოვა, ჰკითხე.

— რომ არ ჩამოვიდეს?

— სულელი!

— სულელი ვარ, ვიცე... *ნუცა*

— რა მოგივიდა, რა გატირებს?

— არაფერი, დედა, არაფერი!

ნუცა დედას მოეხვია და გაყუნდა. მეზობლისას ძალღმა დაიყვდა, ეზოშიც გაისმა წკაც-წკავი. შემდეგ ყველაფერი მიწყდა.

დედა დაიხარა და ღუმელს შეშა შეუქცია.

— ფიზიკის მასწავლებელმა მითხრა, წაიხარმადაო.

— მართალია, დედა, ძნელი ფიზიკა დაგვეწყუო...

— თემა კი კარგად დაგიწერია ქართულში.

— მართლა მოეწონათ?

— მითხრეს, ახლავე შეიძლება ჩვენს გახეთში მიტანაო...

— დედა... შენ რა ჰქენი, მამა რომ წავიდა?

— დაიწყე ისევ. რა უნდა მექნა?

— რას განიცდიდი, რას ფიქრობდი?

— მე შენ მყავდი.

— მართალია, მე ვიყავი. მამას? მამას ვინ ჰყავდა?

— არ ვიცი.

— მამა სულ მარტო იყო?

— შეიძლება.

— არა, შენ ნამდვილად იცი, რომ სულ მარტო იყო? თუ...

— არ ვიცი, ნუციკო, არ მაინტერესებდა.

— მე მაინტერესებს.

— დრო დადგება, ყველაფერს გაიგებ. შენ მეტი უფლება გაქვს...

— შენ? მე ხომ ვიცი, რომ მამა გიყვარს?

— აღარ მიყვარს.

— არც ახლა, ფრონტზე რომ არის?

— ახლა მეცოდება. ხანდახან ვფიქრობ კიდევ...

— რას?

— ვფიქრობ, უჭირს, აღბათ, თუმცა...

— დიდედან ბრალია ყველაფერი!

— ნუ სულელობ!

— თუმცა დიდდა რას იზამდა, შენ რომ არ გდომოდა.

— მამაშენი მძიმე ხასიათის კაცი.

— მე პირიქით მგონია.

— შეიძლება, ნუცა, შეიძლება. ჩამოვა და ვნახოთ.

— ძალიან მინდა ჩქარა ჩამოვიდეს.

— მოგენატრა?

— სულ მარტო ვარ, სულ...

— ჩვენ? მე და დიდდა?

— თქვენ ქალები ხართ, ცოტა გესმით, ძალიან ცოტა...

— შენ ქალი არ ხარ?

— მე მამას ვგავარ, აი აქ, გულში ვგრძნობ მას...

— ზოგჯერ გეტყობა.

— მე მამა მინდა, ახლა მინდა, გესმის, დედა, ახლა, ახლა!...

— კარგი, ნუცა, დამშვიდდი.

მთვარის შუქი ოთახში შემოიპარა, ღუმელის წინ მოკალათდა.

— დედა, ომი ჩქარა გათავდება?

— მე მგონი, ჩქარა.

— ოჰ, როგორ მინდა, როგორ მინდა, როგორ მინდა მალე გათავდეს!

— გათავდება, შეილო, გათავდება, სულ ზომ არ იქნება?

— ორი წელი გახდება მალე.

— გათავდება, ნუციკო, გათავდება.

— ვაი დედასა, რატომ ბიჭად არ გავჩნდი?

— ვითომ უკეთესია?

— რა ვიცი. ასე მგონია, უკეთესია. თუმცა...

— ხვალ დიდდა ჩამოვა, ფქვილის ჩამოიტანს.

— წაიღო გადასაცვლელი?

— რაც იყო, გვატანე.

დედამ ისევ შეუკეთა ღუმელს.

— დედა, კაცები საშინელები არიან, არა? აი ის კაცები — ქმრები... —

— არც ისე, შენ რომ ფიქრობ. აღამიანი აღამიანი.

— მე კი მგონია, საშინელები არიან.

— ერთი მითხარი, რატომ? რას ფიქრობ?

— აი იმას, ვინმე რომ დამეპატრონება... ჩემი ნება-სურვილი რომ აღარ

მექნება, სხვისი რომ მექნება, ვესმის, დედა?

— მესმის, შეილო.

— არასოდეს გათხოვდები. მოვკლავ, ვინმე რომ მებატონოს! რას იცი-ნი?

— სასაცილო ხარ. ნუ დაისვამ ბატონად და არ იქნება.

— არა, შენ ვერ მიმიხვდი. ჩვენ ზომ ქალები ვართ მაინც, ის კი კაცი, გესმის?

— მესმის, — ნუციკო. გაგივლის ეგ შიში.

— სულაც არ მინდა, რომ გამიაროს! ვილაც უცხო...

— მაშინ უცხო არ იქნება. თუ გეყვარება...

— კაცი? კაცის შეყვარება როგორ შეიძლება! რა აქვთ მათ წმინდა? ყოველთვის ცუდს ფიქრობენ... საკოცნელად მოიწივენ...

— გაკოცა ვინმემ, თუ...

— არა, არა... რად იციანი? ვგრძნობ, რომ თავში ათასნაირი ბილწი აზრი უტრიალებთ.

— რას იზამ, კარგი, ნუ გათხოვდები...

— ...დედა, წავალ, დავიძინებ. შენც დაიძინე.

— წადი, ნუციკო, მე დავრჩები კიდეც...

და იქდა მარტო დედა ღუმელთან, იქდა და ფიქრობდა. მთვარის შუქი მატულობდა, ოთახს ანათებდა, ანათებდა იატაკს, მაგიდას, ღუმელთან ჩამჭდარ, ფიქრში წასულ დედას.

იწვა ნუცა თავის ოთახში. აქაც ანათებდა მთვარე. ნუცას მთვარე ექირა ხელში, თბილი, მრგვალი. მილიოდა ნუცა და მიჰქონდა ოქროსფერი მთვარე. გზა იყო უცნობი, უცხო და არაიენ იცოდა, სად მილიოდა ეს გზა.

„საყვარელო მამა! — წერდა ნუცა. — ეს ზამთარიც იწურება, მარტი დგება (წელს ჩვენში დიდი ზამთარი იყო), ომის ორი წელი იქნება ჩქარა, შენგან



კი არაფერი ისმის. გახსოვს, მამა, ერთ გაზაფხულზე რომ თბილისიდან ჩამოხვედი? საღამო იყო და ჩვენს ბაღში ვისხედით. ალუბალი ჭერ არ დამწიფებულიყო, შენ კი ქორფა ალუბლიანი ჩაი გიყვარდა. შენ მიაშობდი მეზობლებზე, ორი ბიჭი რომ ცხოვრობდა შენს გვერდით, — კოტე და გია. შენი ნაამბობით ცოცხლებივით მიდგანან თვალწინ ის ბიჭები. უფროსი თხუთმეტი წლისაა, გია კი ათის. ახლა სად არიან ისინი? იქნებ ჩავსულიყავი თბილისში და მენახა შენი მეზობლები? მაგრამ ვინ გამიშვებს მარტოკას! იქნებ სჯობს წერილი მივწერო და პასუხს დაველოდო? მათგან მაინც მივიღებ ბარათს...

გახსოვს, მამა, შენ რომ მიაშობდი გალაკტიონზე, როგორი კეთილშობილია და უცნაური დიდი გალაკტიონი. ყოველდღე ვკითხულობ გალაკტიონს. შენს წიგნებში ვნახე ყვეთელყდიანი, მოყვითალო ფურცლებზე გამოცემული იმ წელს, პაპაჩემი რომ დაიღუპა... რა ლექსებია! შენ მასწავლე ყველაფერი, მამიკო, რაც ვიცი, რასაც ვგრძნობ...

გახსოვს, მამა, დილით რომ გამეპარე ადრე, არც კი გამალვდივ. ისე წახვედი უკანასკნელად.

არ ვიცი, წერილი სად გამოგიგზავნო, როგორ უკვალოდ დაიკარგე. და რჩება, რჩება ჩემს რვეულებში გაუგზავნელი წერილები...

მთელი ღამე ფიქრმა არ დააძინა. არც მეორე ოთახში ეძინათ.

— დედი, ნუცა ძლიერ დარდობს.

— ვიცი, შეილო...

— არჩილიც დაიკარგა...

— რა ვქნათ, შეილო, ომია.

— ნუცას უქირს უმამოდ.

— ადრეც უმამოდ იყო.

— ჩემი ბრალია...

— შე ვიცი, ჩემი ბრალიცაა.

— კარგი, დედი, რა შენი ბრალია?

— შე მიმავალი ვარ, თქვენ მომავალი...

— შენ რა უნდა გეღონა?

— ჰქუა უნდა მესმარა, შენთვისაც ტვინი გამეხსნა, მისთვისაც...

— ამაყი რომ იყო?

— კაცია, შეილო... *თხზომარეობის კრიტიკა*

— ქარაოტი რომ იყო?

— ჩემი ჰქუით, შე ჩაგაგონე. აბა მე, რა შეკითხება ახალგაზრდისა?

— მაშინ აგრე არ ამბობდი.

— ვცდებოდი, შეილო.

— მეც სულელი ვიყავი, ახლა მიკირს.

— ვიცი, შეილო, გიკირს.

— ნუცა მაშინებს.

— მამის ხასიათია.

— რა ვქნათ, დედი?

— მოძებნე არჩილი. წადი ქალაქში, კომისარიატში... მოიძიე. რომ ჩამოვა, იცხოვრეთ ერთად.

— რომ არ მიყვარს?

— ნუცას მამა!

— რომ მაწყენინა?

— ნუცას მამა!

— რომ ვაწყენინე?

— ნუცას მამა!

— ვაი, დედა, რა ვიღონო?!

გამოხდა ხანი და დადგა გაზაფხული. თოვლი დადნა. გადამწვანდა მთები, აყვავილდა ტყემალი, ნუში და ატამი.

მაინც თითქოს სიცივე და სიცარიელე იყო პატარა ქალაქში.

ომის მესამე წელი დგებოდა. კაცების უმეტესობა ჯარში გაიფხიკა და იყო ქალთა მეუფება.

ნუცა ცხოვრობდა თავისთვის. სკოლაში დადიოდა, შინ წიგნებში იყო თავჩარგული. დიდედის ბუზღუნს ყურს არიდებდა, ზოგჯერ დედას ეხმარებოდა რვეულების სწორებაში.

სასაფლაოზე აღარ გაუვლია. ახლა ბაღს მიეჩვია, მოედანს რომ მიბჯნოდა. იქ დადიოდა საღამოობით, საათობით იჯდა გარინდებული და საკუთარი სხეულის იღუმალ ხმას უსმენდა.

ნუცა ელოდა მამის წერილს, ელოდა მოთმინებით, უდიდესი სურვილით, მაგრამ მოთმინებით. დედაც ელოდა წე-

როს, დიდგვარადაც. ერთმანეთს აღარ უმტელდნენ, მაგრამ ელოდნენ.

წერილი არ ჩანდა.

დიდგვარადაც პიტლერს სწყევლიდა და საღამოობით კარტზე მკითხაობდა თუ როდის დამთავრდებოდა ომი.

დიდგვარადაც დაზრიალებდა თვითმფრინავები მფრინავთა სკოლის აეროდრომზე. ხანდახან ქალაქს გადაუვრიალებდნენ. კურსანტები თითქმის არ ჩანდნენ ქუჩაში.

თვითმფრინავის ხმას რომ გაიგონებდა, ნუცა ზევით აიხედავდა. იფიქრებდა, იქნებ ის არისო, არც დარღით, არც ნახვის სურვილით, ისე ფიქრობდა.

ერთხელ გადაწყვიტა სასაფლაოზე წასვლა, დაღუპული მფრინავის საფლავის დათვალიერება. ადრეც თვითონ უწვლიდა, ახლა, გაზაფხულზე, მიხედვით იყო საჭირო.

სასაფლაოს ჭიშკარში რომ შედიოდა, ვალია დაინახა.

პროპელერებიან საფლაოთან იდგა, ქუდმოსხილი, ხოტორა, თავდახრილი.

ნუცამ გამობრუნება დააპირა. მობრუნდა კიდევ, მაგრამ ელდანაკრავით გაჩერდა. საოცრად ტკბილი კრძნობა ჩაედგარა მკერდში, გულისცემა აუჩქარდა.

ვალიამ რალაც იგრძნო, მოიხედა და ნუცა დაინახა.

ერთხანს უყურეს ერთმანეთს უსიტყვოდ. მერე ნუცა, თითქოს წაუბიძგესო, დაიძრა ადგილიდან, წავიდა, გაქანდა, ხელები გაშალა და ვალიას მოუხვია.

ორივეს ცრემლი წამოუვიდა.

ვალია თმებზე უსვამდა აკანკალეულ ხელს, ნუცა კი ლაწვებზე ეპოტინებოდა და თვალბეჭეში შესცქეროდა.

წამოვიდნენ და ნაცნობი ნაძვის ქვეშ დასხდნენ.

— მე ვიცი, — დაიწყო ნუცამ, როცა სული მოითქვა, — ყველაზე მეტად მაშინ ის გეწვინა, ცხვირაბზეკილი რომ დაგიძახე, — ცხვირზე ხელი ჩამოუსვა.

— არა, რატომ, — უპასუხა ვალიამ, — ტუჩები რომ დაიწვი, ის მეწვინა,

როგორ უნდა გეზიზღებოდეს. ვინმე, რომ ეს გააკეთო, — ტუჩზე თითქმის მიხედო.

ნუცამ თავისებურად გაიცინა.

— მაკოცე ახლა, — უთხრა მან.

ვალიამ გამომცდელად შეხედა.

— მაკოცე, ნუ გეშინია!

ვალიამ მოწინებით მიადო ტუჩები და ორივემ თვალი დახუჭა.

— მართლა გიყვარვარ? — ჰკითხა მერე ნუცამ.

— მართლა! — დაიფიცა ვალიამ.

— რას იზამდი ჩემთვის?

— რასაც მეტყოდი.

— მაინც რას?

— თუ გინდა, მოგვედები შენთვის!

— არა, ნუ მოკვდები! — სწრაფად უპასუხა ნუცამ და კვლავ გაიცინა.

მერე აღგა. ხელი მზარზე დააყრდნო ვალიას და მტკიცე ხმით უთხრა:

— ახლა კი წავიდეთ. მე კარგად ვიცი, რაც ხდება ქალსა და კაცს შორის, დიდი ხანია ვიცი. ახლა რომ მაკოცე, ეს ყველაფერია ჩემთვის. შენ უკვე ჩემი ხარ და ჩემი იქნები ყოველთვის, ეს იცოდე, ეს დამიხსოვრე...

ვალია გარინდებული შეჰყურებდა.

— წადი ახლა შენს სასწავლებელში.

ხვალ კი საბაღში მოდი ჩვენთან, სადილად გაბატიყებ, ჩვენები კარგად უნდა გაიცნო.

— ხვალ დილით პირველი ფრენა გვაქვს, — წარმოთქვა ვალიამ, — ხუთ საათამდე არ შემიძლია.

— ხუთზე მოდი! — უპასუხა ნუცამ და დინჯად წავიდა.

როგორ მივიდა სასწავლებლამდე, ვალიას არც კი გაუვია.

„საყვარელო მამიკო! შენი შვილი ნუცა შორიდან მოგესალმები! — ნუცა ილიმებოდა და წერდა. — საიდუმლოდ მინდა გავანდო, რომ აღმოვაჩინე ერთი ღირსეული კაცი, ახალგაზრდა მფრინავი. მე ხომ ვიცი, რომ შენ ის მოგეწონებოდა. ამიტომ კოცნის უფლება მივეცი მას. ხვალ მოვა ჩვენთან და

ხვალ იქნება ჩემთვის დიდი დღე. რომ იცოდე, მამიკო, რა ბედნიერი ვარ! ნახვამდის, ხვალამდის მამა გამაგონე შენი ხმა ახლა მინც?...

ნუცას ტკბილად დაძინა ხვალინდელი დღის მოლოდინში.

მზიანი დილა გათენდა.

მისის ცა გულგანსნილი, უსაზღვროდ ლურჯი და მიმზიდველი იყო.

ნუცამ რომ თვალები გაახილა, ბალიდან ჩიტების ქლურტული მოესმა.

გულამტკერებელი წამოხტა და ჩაიცივა.

დედა უკვე წახულიყო.

— დიდედა, სკოლაში არ წავალ დღეს!

— რატომ შეილო?

— არ მინდა, იმიტომ!

ნუცა ეზოში გამოვარდა, მხიარულ ცას ახედა. შორიდან თვითმფრინავის გუგუნე მოესმა. გული კვლავ აუნჩქოლდა. ამწვანებულ ბაღში გაიბრინა, გაინავარდა. ტყემლის ხეს მოეხვია. თეთრი ყვავილები თოვლივით წამოვიდა ზევიდან, ნუცა მათ დაჭერას ცდილობდა და სიცილით დახტოდა ხის გარშემო. მერე სახლში შევიდა.

— დიდედა, კარგი სადილი მოამზადე დღეს.

— აბა, რა მოვამზადო, შეილო, ომია და რა გვაქვს? ვის ელოდები, რა ამბავია, არასოდეს სადილს ყურადღებას არ აქცევდი?!

ნუცა მოეხვია დიდედას, მოეფერა.

— მეც მოგებმარები, ერთი მფრინავი ბიჭი მოვა, რომელიც მიყვარს...

— გიყვარს? რას ქვია, გიყვარს! თქვესმეტი წლის გოგოს სიყვარული ვის გაუგია?

— მიყვარს, მიყვარს და რა გინდა ახლა?! — დაივინა ნუცამ.

აბუზღუნდა მოხუცი.

— ეს რას მოვესწარი, ეს ვინ გვეზრდება! რა გვეშველება, სირცხვილში ჩავეარდებით, ოჯახი გაგველანძლება!..

ნუცა თავის პატარა ოთახში შევარდა, ჩაიკეტა და წიგნი გაშალა.

გალაკტიონის ერთ ლექსს წაიწყდა, რომელიც არ წაეკითხა „დღეს ყველგან მზეა და სილამაზე სიკვდილთან სინამდვილეში შემრიგებელი“...

ნუცას გული შეეკუმშა. „სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი“. რატომ სიკვდილთან? ასეთი მშვენიერი დღეა, სიყვარულის, გაზაფხულის დღეა! რატომ სიკვდილთან? სიცოცხლესთან, სიყვარულთან, უკვდავებასთან!

ნუცა დიდხანს ებრძოდა „სიკვდილთან შერიგებას“, დიდხანს ცდილობდა თავის განწყობილებაზე მოერგო ლექსი, მაგრამ ამაოდ!

დედა რომ მოვიდა, გამლილი სუფრადიანაბა, იკითხა დადლილი ხმით:

— რა ამბავი გაქვთ, ვის ახვედრებთ ასეთ სადილს?

— სიძე, სიძე გესტუმრება! — მიძახა ანჩხლად დიდედამ. — შენი გარეული შევილის ამბავი ხომ იცი, ვიღაც მფრინავი დაუბატიყნია, მიყვარს, მიყვარს, იძახის ეგ არდასარჩენი!

დედამ მეტად გაიკვირვა.

ამ დროს ნუცა გამოვიდა.

ოქროსფერი თმები მალა აევარცხნა ქალივით. ყვითელი (საკმაოდ დავიწროვებულ) კაბა ეცვა, მეტად სერიოზული იყო.

— ცუდი არაფერი მითხრათ, ერთი საათში მოვა, — თქვა წყნარად და დაჯდა.

დუმბილში გავიდა ერთი საათი.

„სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი!“ — უწიოდა ნუცას ყურში. ფერმიხილი იყო.

უცადეს კიდევ და არ მოვიდა.

უცადეს, უცადეს...

მერე ქალებმა ისადილეს. ნუცა იჯდა გაფითრებულად.

რვა საათზე თავის ოთახში შევიდა.

დადგა ლანდივით, ხელები ჩამოკაპარა, თვალები ჩაუქრა.

მოწყვეტით დაეცა ლოგინზე.

დილამდე მისი ხმა არ გაუგია დაღუბებულ სახლს.

დილით ნუცა სკოლაში წავიდა.

ჩუმად იჯდა მერხზე თავდახრილი.

არაფერი ესმოდა. არაფერს ვერძნობდა.

— რა მოგივიდა, ნუცა, რა მოგივიდა? — ჰკითხა მეზობელმა, კოჭლმა ციალამ.

ნუცამ უაზროდ შეხედა.

— არაფერი, — ჩაიჩურჩულა და წინი უმიზნოდ გაშალა.

— ხომ არ ვაგივიდა, — წაულაპარაჯა ისევ ციალამ, — გუშინ აეროდრომზე მფრინავებს რაღაც ავარია მოსვლიათ...

დაპკრა თავში ნუცას.

— რაო? — იყვირა.

— რა მოგივიდა, ქალო, რა გაყვირებს? — ჰკითხა ფიზიკის მასწავლებელმა.

მთელი კლასი ნუცას მიაჩერდა.

— მასწავლებელო, გამიშვით ვარეთი ვაი, ეს რა ვაგივიდა? — წამოდგა ნუცა.

მასწავლებელმა შეხედა გოგოს.

— წადი, ნუცა!

კარებამდე ათასი ნაბიჯი იყო, ძლივს მიაგნო, ძლივს გააღო.

— არა! არა! არა! — იძახდა ნუცა და ღერეფანში გარბოდა.

ისარივით გამოვარდა სკოლიდან.

აირბინა აღმართი. აპა, მოედანი. გარბის ნუცა. ფოსტა. გარბის ნუცა. სამკითხველო. გარბის ნუცა. „სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი!“ არა! არა! არა! გარბის ნუცა, გული ამოვარდნაზე აქვს, თმა აეშალა. რკინის მესერი. აპა, მივიდა.

— სტოი, დევუშკა, ნე ტულა პო-პალა! სად მირბინარ! — გზა გადაუღობა კარებში თოფიანმა ჯარისკაცმა.

— გამიშვი, გამიშვი! — გამწარებით შეუძახა ნუცამ.

ჯარისკაცმა ხელი ჩააგლო.

— სტოი, სტოი, შეჩერდი! — ყვიროდა.

გამოცვივდნენ ჯურსანტები.

— რა მოხდა, რა მოგივიდა, ვინა ხარ? — შემოეხვივნენ ნუცას.

— ვალია სად არის? — იკითხა გაკა-
ვებულმა ნუცამ.

პასუხად დუმილი იყ...

— გა-მი-შვითი! — ერთი შეჰკვივლა ნუცამ, ჯარისკაცს დაუხსლტა და შენობაში შევარდა.

კურსანტები დაედევნენ კიბეებზე ჩექმების ბრახუნით, ვერ მიუხსრეს, ვერ დაეწივნენ და ნუცა პირდაპირ უფროსს დაეტყვა.

— რაშია საქმე? ვინაა ეს ქალი? — იყვირა გაოცებულმა უფროსმა.

სამი ოფიცერი, თან რომ ახლდა, შეჩერდა გაკვირვებული.

— სად არის ვალია? — დაიძახა ნუცამ. — მაჩვენეთ ახლავე!

— კი მაგრამ შენ ვინ ხარ, აქ ვინ შემოგიშვა? — ჰკითხა ჭალარა უფროსმა.

— ვინა ვარ და... ცოლი ვარ მისი, — უცებ იცრუა ნუცამ, — მაჩვენეთ ახლავე!

— რის ცოლი, რომელი ცოლი? ვალენტინ პეტროვს ცოლი არა ჰყოლია, — ალაპარაკდნენ ოფიცერები.

— ხომ არაფერი გეშლება, გოგო? — დაყვავებით ჰკითხა უფროსმა, მიუახლოვდა და თავზე ხელი დაადო.

— მაჩვენეთ ვალია, მაჩვენეთ... — ატირდა ნუცა.

უფროსი თითქოს რაღაცას მიხვდა.

— ნუ, რაზ ტაქ, პოკაყიტე, აჩვენეთ! — თქვა მან დაღლილი ხმით და შებრუნდა.

ღერეფანში შეგროვილმა კურსანტებმა ჩააცილეს ნუცა ქვევით. დარბაზში შეიყვანეს.

გრძელ მაგიდაზე თავდახურული, დროშავადაფარებული კუბო იდგა. მის თავთან ვალიას სურათი იყო მიყუდებული. იქვე ორი თოფიანი ჯარისკაცი ასვეტილიყო. გაზაფხულის ყვავილებით იყო სავსე დარბაზი.

ნუცას თვალთ დაუბნელდა და ჩაიყვია.

გახელილი, უმოძრაო თვალები ჰქონდა მიბჯენილი. ვანა მარტოა, ყველანი აქ არიან. მამ რატომ აწევს მკერდზე ასეთი მძიმე, მძიმე რაღაც? რად ვერ მიპყარებია ზელით მოსაუბრეებს, რად ირევიან ისინი ჩრდილებივით, ჰქრებიან, ისევ ჩნდებიან, ერთმანეთში იცვლებიან და ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ, თითქოს ჩაქუჩს ურტყამენ ნუცას საფეთქელში.

აი, მამა! მამა, ეუბნება ნუცა, ჩამოხვედი? მოდი, ხელი მომეცი. აი დედა, ზედავ დედას, ზედავ როგორ უყვარხარ?

ეს უკვე მამა აღარაა. ეს ვალიაა. ვალია, ვალია, არ მაკოცო, არ მინდა, მტყივა, მტყივა თავი, ხომ ზედავ თავი მისკდება. მამა, ზედავ ვალიას, რა უცნაურად იცინის?

დედა, დედა, დიდდას შეხედე. შეხედე, ხანჯალი უჭირავს, ვინმეს არ მოხედეს, არ დაიჭრას. ჩააგეთ, ჩააგეთ ხანჯალი, მეტი აღარ შემიძლია! თვალები მომჭრა, თვალები მეტყინა, შუბლი მეტყინა, დამსვენეთ ხალხი არა ხართ?

დედა, ზედავ, ვალია ამოვიდა კიბეზე, მამის ჩემოდანი მოაქვს, ფეხები დაიბერტყა, ზედავ, აგერ მოვიდა! თმა ამოსვლია, რა უცნაურია!

ზედავ, ვალია, აი პროპელერიანი საფლავი. ზედავ, ორია. ვისია მეორე? მოდი თოვლი გადაეწმინდოთ, ვნახოთ. ზედავ, რა ლამაზად თოვს, რა დიდი თოვლია? არ დაგვთოვლოს სულ, არ დაგვფაროს! რა მსუბუქია და რა მძიმე,

რა მძიმეა თოვლი! ვალია, ვაჭიქცი, მომიცადე!

ნუცა წევს ლოგინზე. ^{ეგვიტონული} მიძიმე ჩრდილები და საფეთქელში განუწყვეტლოვ უკაუნებს ჩაქუჩი. ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ ჩრდილები, ლაპარაკობენ გაუთავებლად...

12

მესამე დღეს პატარა ქალაქი დაღუპულ მფრინავს აცილებდა.

უკრავდა კურსანტების ორკესტრი. პროცესია მიდიოდა.

ცხელოდა. ხალხს ჰრეღად ეცვა.

მხოლოდ ნუცა იყო, ჰირისუფალივით რომ მისდევდა კუბოს. თავი ჩაეკიდა, მიდიოდა თვალცრემლიანი.

კოჭლი ციალა უკან მისდევდა. მასაც ღამა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი.


ქუჩის გასწვრივ ხალხი იდგა.

უკრავდა სამხედრო ორკესტრი. ხალხი შესცქეროდა პროცესიას.

შორიასლო დედა იდგა ხალხში, შვილს უყურებდა.

ნუცამ თავი ასწია და ხალხი შეათვალიერა. ერთი კი გაიეღვა მის თვალებში გაოცებამ თუ სულ მარტო-მარტო დატოვებული ბავშვის სასოწარკვეთილებამ.

მერე ცას ახედა, ლურჯსა და უსახლვროს, სპეტაკსა და მოლივლივეს და მასთან ერთად, ცასთან ერთად, თავაღერილმა განაგრძო გზა.



კანო ჯანაიძე

სიტყვილი ძველ სანგრებში

გვალვით დაშრეტულ მდინარეთა კალაპოტებს
გვანან სანგრები,
წიგნის ფურცლებზე ცოცხლებიან დიდი ომები —
დაღლილ მამების თვალებში კი თვლემენ ომები,
ვით ტყვე ლომები რკინის ვიწრო გალიებში
მომწყვდეულები...
და ძველ სანგრებში ფეხაკრეფით დასეირნობს
სიცარიელე.
მცირე მიზეზი და შეკრთება სიჩუმე დიდი
ძველი სანგრების,
მოწმენდილ ცაზე უცბად იჭუხებს, უცბად იელვებს
და გაავდრდება.
კვლავ გახშირდება ტყვიის ფერი
მძიმე მაზარა,
კვლავაც დადგება განშორების წუთები ძნელი
და სულს გაბზარავს.
წავლენ მამები,
წავლენ ძმები,
წავლენ შვილები,
და დარჩებიან პატარები ისევ მშვივრები.
დამუნჯდებიან ისევ აკვნები,
ახველდებიან ისევ სანგრები
და ისე, როგორც ძველი ფაცხა,
ფაცხა მეგრული,
შეიბოლება ჰერი სანგრების.
ჯანდაბას იქეთ, კვლავ სანგრებში ტყვიების ცეცხლი,
ჯანდაბას იქეთ, კვლავ სანგრებში ტყვიების ბოლი.
ასეთი ტყვიით, ასეთი ბოლით
ცხელდება ლულა, ცივდება გული
და სიკვდილია ყველაფრის ბოლო...
დაე, დაშრეტულ მდინარეთა კალაპოტებს
ჰგვანდნენ სანგრები,
წიგნის ფურცლებზე ცოცხლებდოდნენ დიდი ომები, —
ფრონტულ მამების თვალებში კი თვლემდნენ ომები,
ვით ტყვე ლომები რკინის ვიწრო გალიაში
მომწყვდეულები.
დაე, სანგრებში ფეხაკრეფით ისეირნოს
სიცარიელემ
და ასდიოდეს სურნელემა ნედლი ბალახის,



მაგრამ არასდროს დენთის და ბოლის.
დე, შეკვივლება არ ბზარავდეს ჩვენს ცას უნაზესს,
არ ასველებდეს დედის ცრემლი პატარას, მძინარს,
და მოვარვარე ქვემეხების პირქუშ ლულაზე
თვალს ნუ გაახელს ივნისის დილა.

ბოშა ქალები

ეს იყო წინათ,
ეს იყო ადრე:
მზით გარუჯული ფეხშიშველა ბოშა
ქალები
მოადგებოდნენ დედაჩემს კარზე.
მარჩიელიო! — იძახდნენ ასე
და საოცარი სუსტი ხელებით
აღებდნენ ჭიშკარს.
როგორც ჩრდილები, დასხდებოდნენ
სახლის კიბეზე
და ჭადონსური სუსტი ხელებით
გაშლიდნენ კარტს და...
ნაღვლიანი შავი თვალებით
უცქერდნენ დიდხანს.
...და დამტვრეული რუსულ-ქართულით
იწყებდნენ ასე:
შენ კაი ქალი,
შენ კაი გული,
მაგრამ გაწუხებს დარდი ძალიან,
ეს ყველაფერი,
ეს ყველაფერი,
ავი თვალის და ომის ბრალია
(და როს ხედავდნენ უკაცო ოჯახს,
დაძენდნენ ასე:),
შენი კაცები შინ არ არიან,
შენი კაცები გზაზე არიან.
თუ გინდა, მეტი რომ გითხრა, ქალო,
მომეცი ფული, გაგიხსნა გული,
თუ გინდა მეტი, რომ გითხრა, ქალო,

მომეცი პური, მშია ძალიან.
და რადგან დედას არ ჰქონდა ფული,
და რადგან დედას არ ჰქონდა პური, —
ნატეხს მჭადისას აძლედა ბოშებს.
... და იწყებოდა ისევ თავიდან:
შენ კაი ქალი,
შენ კაი გული,
მაგრამ გაწუხებს დარდი ძალიან,
ეს ყველაფერი,
ეს ყველაფერი
ავი თვალის და ომის ბრალია,
შენი კაცები, მართალი ვითხრა
(და ბოშა განგებ ფიქრობდა დიდხანს),
შენი კაცები შინ არ არიან. |
მომეცი ფული, გაგიხსნა გული,
თუ გინდა, ვითხრა, როგორ არიან.
... და დედაჩემიც, ვით ყველა ქალი,
ცნობისმოყვარე,
და დედაჩემიც, ვით ყველა ქალი,
რჩევისმოყვარე,
შავი ღლისათვის შენახულ გროშებს
აძლედა ბოშებს.
... და იწყებოდა ისევ თავიდან...
და ასე, ხშირად ბოშა ქალები
სახელდაბელოდ მოგონილ სიბრძნეს
აქტევიდნენ მჭადად,
ჰყიდიდნენ გროშად
და ნაღვლიანი შავი თვალებით
გვტოვებდნენ ჩვენ და ფეხშიშველები
მიამბიჯებდნენ შორეულ გზებზე.
... და უტოვებდნენ დედაჩემს იმედს.

მოთარჩუნებები

კ ვ მ რ ნ ა ქ ი *

X

ფიქრი არცა სჩვეოდა, რაც გაუელ-
 ვებდა გონებაში, ენაზე ეკერა, დედა
 უსმენდა, დაი უსმენდა, უსმენდნენ ბი-
 ძაშვილები, მოსწონდათ იმისი აჩქარე-
 ბული, მღელვარი ლაპარაკი, მოსწონ-
 დათ და უსმენდნენ. ესეც მოიწონებს,
 რომ უსმენდეს, რომ დააციდოდეს, ლა-
 პარაკსაც თავისი შესამზადი აქვს, თავი-
 სი გასარბენი უნდა, ვიდრე ქროლვას,
 გატაცებას მიეცემოდეს. იქამდის რომ
 დააციდოდეს, გატაცებამდის დააციდოდეს,
 კიდევაც დაიპყრობს. აღარც გაეცლება,
 მაგრამ არა სცალიან, ყოველთვის ეჩქა-
 რება, გადაუდებელი სამუშაო აქვს: მძი-
 მედ დაყრდნობია საწერ მაგიდას, ნახე-
 ვარი ტანით ზედ გადასწოლია, მკლავე-
 ბი ეგრე გადაუტყაბია, თითქოს მაგიდა
 უნდა აიტაცოსო. ღრიჭოდან მოჩანს,
 რომ შევიდოდეს და ჩასჩურჩულებდეს:
 დღეს... დღეს ვიგრძენიო, ჰო, რომ შე-
 ვიდოდეს, აბ, რა რიგ გაახარებს! მაგ-
 რამ არ გაახარებს, — რატომ არასა
 ჰკითხავს ან რად არ აცდის ლაპარაკსა?!
 სადმე როგორმე გამოურევს ბევრ ლა-
 პარაკში, უფრო ადვილად გამოურევს,
 ასე ძნელია, ძალიან ძნელი, კაცი მუშა-
 იობს, მთელი სიმძიმით დასწოლია მაგი-
 დას. კაცი სწერს, შევიდეს და ტყუი-
 ლი უთხრას, — ძნელია, ძალიან ძნელი,
 თუმცა ტყუილი რადაო, როცა იქნება.
 ზომ იქნებაო. მაინც არ ეტყვის, ჰკით-
 ხოს და ეტყვის, ლაპარაკი აცალოს და
 ეტყვის, უფრო ადვილად, უფრო მო-
 ზდენილად. ლამაზადა და გასახარლად
 ეტყვის.

მაგრამ, რომ არა სცალია, არა სცა-
 ლია... ბოლო დროს მაინც მოულოდ-

ნელ მღელვარებას წაეკიდა. სადღაც ვი-
 ლაცის წერილი წაიკითხა. ამ წერილმა
 აიტაცა, მღელვარებაც ამან წაჰკიდა. წე-
 რილი სახელმწიფო სახსრების ეკონო-
 მიით იყო შთაგონებული, — ყოველი
 ბინისათვის, ყოველი ოჯახისათვის სა-
 კუთარი აბაზანა და საპირფარეშო რომ
 კეთდება, ზედმეტ ხარჯებს იწვევს და
 არც საქირაოო, შეიძლება ორი ან სამი
 ბინისათვის ერთი მოეწყოსო. ამას სპე-
 ციალისტები უკეთ გაიანგარიშებენ, ეს
 იმათი საქმეა, ზოლო ჩვენ, ამასა
 ვგრძნობთ და ვაყენებთ წინადადებას
 სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობის
 თვალსაზრისითო. უცებ გადაედო ეს
 გრძნობა და სულისკვეთება; მძიმედ
 დასწოლოდა მაგიდას თუ მსუბუქად,
 ბოლოს მაინც გაიანგარიშა თუ რამდენი
 მანეთის ეკონომია ექნებოდა ჯერ მარ-
 ტო იმათს ტრესტს, მერე — რამდენი
 ასეთი ტრესტი იყო საქართველოში და
 ყველა ერთად რა თანხას დაზოგავდა,
 გაიანგარიშა და შეთხზა მგრძნობიარე
 წერილი „ჩვენი პატრიოტული წვლილი
 სახელმწიფო ეკონომიკაში“; შეთხზა და
 აფრინა მოსკოვს, „იზვესტიას“ გაუგ-
 ზავნა აჩქარებითა და მღელვარებითა.
 ემანდ არავინ დამასწროსო. შიშობდა,
 ვინ იცის, სხვა რესპუბლიკებში უფრო
 დაფაცურდნენ, ვინ უწყის იმათი წერი-
 ლები უკვე აუწყევითო, მოუთმენლად
 ელოდა გაზეთის ყოველ ნომერსა, ფიც-
 ხლად ჩაათვალეორებდა. თვალს ჩაუკ-
 რავდა თავის თავს, სიამით იღვსებოდა,
 პირველი წამოწყება იმისი იქნებოდა,
 პირველი სპეციალისტი ის იქნებოდა.

ასე არ გამოვიდა, მხოლოდ თავაზიანი
 პასუხი მოერთვა მშრომელთა წერილე-
 ბის განყოფილებიდან: ამ საკითხზე

* ვაკრძელიძე. იხ. „მნათობი“ № 4.

მსჯელობას არ ვაპირებთო. მოგვაწოდე სხვა რამ, სიხარულით შევეგებებითო. კმ, სხვა რამეო, სიხარულით შევეგებებითო და მძიმედ დასწოლოდა მაგიდას, მაშ რას იზამდა... და იწვა მაგიდაზე, იწვა თუ მაგიდა უნდა აიტაცოსო, ღრიჭოდან ძნელი გასარჩევი იყო. რაც არის, არის, მუშაობაო და კარებს უზმაუროდ ვასცილდებოდა ხავერდის ქოშები. ხმაურს ვერ აიტანდა, ხუმრობა ხომ არ იყო, წერილი დაუბრუნეს. ასეთი რამ არ შემთხვევოდა, არც ელოდა. მართალია მანამდის არ ვადასწედენია სხვა ვახეთებს, მაგრამ ადგილობრივ ვახეთში ყოველთვის აღტაცებით ეგებებოდნენ, თვით რედაქტორი ეგებებოდა, იმისი წერილით იწყებდა ამა თუ იმ „კომპანიასა“; მერე რაო თუ უკვე წამოეწყით დიდ ვახეთებს, მერე რაო, ყველას თავისი თაოსანი უნდოდა, ისიც აქ გახლდათ თაოსანი. მერე როგორი თაოსანი, ასეთი არავის დაუწერია, ეუბნებოდა რედაქტორი, იქაც ამითი უნდა დაეწყოსო. თვითონაც იცოდა, ყოველშემთხვევაში, ასე სკეროდა და მოულოდნელად, თაოსნობისა რა მოგატყნოთ, გამომსაუბრებაც არად ჩაუვდეს. რედაქტორიც არ ატყობინებდა უარს, განყოფილების გამგე ატყობინებდა, თანაც „გამგესთან“ ხაზი ჩამოესვათ, ალბათ, გამგეც არა, ალბათ მოადგილე ან რომელიმე ლიტმუშაჟი იქნებოდა. აქ ლიტმუშაჟებს არც იცნობდა, პირდაპირ რედაქტორთან შედიოდა, თვით რედაქტორი ეგებებოდა, საუარო თუ იქნებოდა, რედაქტორივე მოახსენებდა, თუმცა საუარო რა იქნებოდა, სადა თქმულა, სად გაგონილა! სჯობდა აქვე მიეტანა ან ახლა მიიტანს. მხოლოდ ეს შეურაცხყოფა სიკვდილამდე გაჰყვება, აღარც აღარაფერს გაუგზავნის. ველოდებითო, — ისტდენ და ელოდნენ, იმდენი მამა უტყობდათ, რამდენი იმათ წერილი აღირსოს. ისევ აქტუილი ნათქვამი ყოფილა, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, ტყუილი ყოფილა, ან ყველა ანდაზა არა ყოფილა მართალი, ან მღვდელზე რა ანდაზა

უნდა გამოსულიყო; ნამდვილი ანდაზები მღვდლებამდის შექმნილნი არიან მართობის, მითოლოგიის უცხოებას კნილა და მერე გადაკეთებული, გამრუდებულია. მართალი თუ ვინდათ, გარეულს არა ჰქონია შენდობა თუ დაფასება, ღირსების ფასი ადგილმა იცისო, შინაურის შენდობა კურთხეულია, მაღლიც დიდი დასდებიო. აქ დაბეჭდავს, აქედან გამოვხმაურება, მერე მიხვდებიან და გადაბეჭდავენ. ეს იქნება, რაც იქნება, არ უნდა ამტარებულიყო, არ უნდა გავგზავნა.

თუმცა ეგება სჯობდეს, თბილისის ვახეთებს გაუგზავნოს? თბილისის ვახეთებს თვალყურს ადევნებენ, თუ გადაბეჭდა. იქიდან უფრო გადაბეჭდავენო. და მაგიდას დასწოლოდა მთელი სიმძიმით, იწერდა ყველა ვახეთისთვის, იწერდა, ცვლილებებიც შექმნოდა, უფარდებდა ვახეთის თავისებურებას. მაგალითად, „ლელოსათვის“ გაგზავნილ წერილში ახალი გაანგარიშებანი შეიტანა, სტადიონებისა და სპორტდარბაზების მიხედვით გამოიყვანა დანაზოგი. ცხადია ეს უბრალო გადაწერად არ ითქმოდა. და გადასწოლოდა, გადაპხვეოდ: თუ გადასტყაპოდა მაგიდას. კარს უჩქამოდ მოუახლოვდებოდა, უჩქამოდვე გაშორდებოდა მუქწითელი, თეთრფუნჯიანი ქოშები.

პო, ავთობესო და თბილისის ვახეთებს გაუგზავნა წერილები; ერთად გაუგზავნა, ერთად დაბეჭდონო. ერთადვე მიიღო პასუხები ანუ პასუხი, დიახაც პასუხი ითქმის, რადგან ერთდაიგივეს ატყობინებდნენ, თითქოს შეთანხმებულან ან ერთმანეთისგან გადაუწერიათო: ამ საკითხზე მსჯელობას ვერ წამოვიწყებთო; მოგვაწოდეთ წერილები წერილობურაუბიულად ვადმონაშთო და სხვა ნაკლოვანებათა შესახებო, აქა-იქ კიდევ რომ შემორჩენილა ჩვენს საზოგადოებაშიო. თავზარდამცემი პასუხი გახლდათ, ბევრად თავზარდამცემი და მოულოდნელი, ვიდრე პირველი პასუხი. პირველმა უარმა რწმენა ხომ ვერ შეურყია, პირიქით განუწყვიტო, განუ-

მტკიცა, გაუსაღკლდევა და ახლა ამ ერთბაშა შეძახილმა, თითქოს სალი კლდე შეარყიაო. ფიქრიც შეურყია და ველარ გაეგებოდა, მიეკუთვნებოდა თუ არა წერილობერყუახიულ გადმონაშთებს აღძრული საკითხი; თუ მიეკუთვნებოდა, რად მიეკუთვნებოდა, თუ არ მიეკუთვნებოდა, რად არა? ეგება არისტოკრატული გადმონაშთისა იყო, — მაშინ რად არ უნდა წამოწყებულეყო ანუ გაგრძელებულიყო ბრძოლა არისტოკრატული გადმონაშთების წინააღმდეგ? ან რად უნდა გადასჯავოდა ნაშთების პრობლემას იმისი წერილი, როცა დაწერილი იყო საგულდაგულოდ სახელმწიფო სახსრების მომჭირნობის განზრახვითა და პატრიოტული სულისკვეთებით? — ვერა, ველარ გაეგო, ისე მძიმე გამოდგა პასუხი, ის ერთბაში პასუხი, თუ ერთბაში უარი. და გადაპყროდა საწერ მაგიდას. კარს მიადგებოდა სოსანისფერი ქოშები, სოსანისფერი წითელი ფუნჯებითა, უჭამრად მიადგებოდა, უჩქამოდვე გაეცლებოდა. იქ ფიქრი ბრუნავდა, იქ „იდგა ატმოსფერო“ მაღალი გონებრივი შრომისა. ქოშებს მხოლოდ ლაპარაკი უნდოდა.

ფიქრს ლაპარაკი ხელს შეუშლიდა, მერე ესოდენ აბურღულ ფიქრსა, ოღონდ არ არის ბურღო, ოდნავ რომ მაინც არ დაიწმინდოსო, ისიც დაიწმინდა, ისევ იქამდე, საიდანაც უნდა დაეწყოს, ადგილობრივ გაზეთამდის დავიდა. ყველაფერი მიმოიშალა, ვითომც არაფერი მომზდარიყოსო, — არც არსად გაეგზავნოს. არც უარი მიეღოს, ვითომც ის არის დაემთავრებინოს, სველსველი მიეტანოს რედაქციაში. გადაწერა და მართლაც სველსველი წაიღო. თვითდასაჯერებლად ასე ერჩივნა, სხვაც ადვილად დაუჯერებდა, პირველყოფლისა რედაქტორი. ჩვეული აღტაცებითაც შეიგება რედაქტორი, წამოხტა, კარებში მიეგება, სასაყვედუროდაც უთხრა, რად დაგვივიწყეო, ამდენი საქიბობოროტო საკითხი აღძრულა, უთქვევკალმოდ გაგვაჭირდებაო. თუმცა ისე არ გაირჩებოდით, აბა ვნახოთ რითი გაგვახა-

რეთო. აი ამითიო, — წერილი გაუწოდა. ჩამოართვა, გადაიკრახა ნეტარების იერიც არ შეშლია, რადნაწესსაბრძნათელი ადგა შუბლზე, ლოყებზე, ცხვირზე, ტუჩებზე, იმ ნათელმოსილი ტუჩებითვე უთხრა, მოდიოთ ამაზე თავი შევიკაოთ, ჯერჯერობით შევიკაოთო, მანამდის ასეთი წერილი დაგვიწერეთ. თქვენებური ცეცხლით დაგვიწერეთ: ქალაქში საწრეტები რომ არ არის და კვერნაქის ნიაღვრები ქუჩებში მოედინება; ოღონდ მალე დაგვიწერეთ, გვეჩქარება, დღესვე უნდა იყოს, დიდდიდი ზვალამდის გაცალოთ, მერე ეგება აღარც გამოგვადგეს, სხვა აქტუალური საკითხები მოგეწოლია, თანაც გვალგებია მოსალოდნელი და ნიაღვრების დარდი ვიღას ექნებაო. ეს უთხრა და ერთი სასარგებლო რჩევაც დასძინა: თქვენი მოსაზრებანი ჯერ იქ, სამშენებლო ტრესტში გააცანით, უკეთესი იქნება, საქმე იქა კეთდება, აზრიც იქვე გადაწყდებაო. რჩევა მოეწონა, ისე მოეწონა, წყენა აღარც მოფიქრებია.

იმდღესვე გამოვიდა საწარმოო თათბირზე და წარადგინა თავისი მოსაზრებანი. აქვე იმასაც მოგახსენებთ, საწარმოო თათბირი მიემდგნა ახალ დადგენილებას სამშენებლო სახსრების მომჭირნობის თაობაზე. მოკამათენი უარს იდგნენ, მეტი მომჭირნობა მოუხერხებელიაო, კედლების კიდევ უფრო გათხელება, დერეფნების კიდევ დავიწროება, პერის კიდევ უფრო დადაბლება შეუძლებელიაო, მეტი სისადავეც წარმოუდგენელიაო; თუ მაინც თავს გამოვიდებთ, მაშ მოდიოთ. ნულარ გავლესავთ, ნურც გარედანა, ნურც შიგნიდანაო. უკეთესი ვერავინ მოიგონა. უფროსი მტკიცედ მოითხოვდა ხარკების შემცირებას, უმცროსებს საშუალება ვერ გამოეძებნათ. სწორედ იმ დროს, იმ კრიტიკულ წუთებში აიღო სიტყვა და ამაყად განაცხადა: სავსებით შესაძლებელია და ასე შეიძლებაო, იქვე წარადგინა ზუსტი განგარიშება თვითიული ტრესტის და ზოგვისა და სავარაუდო განგარიშება რესპუბლიკის მასშტაბით, ცხადია, რე-

სპუბლიკის — მასშტაბით, აბა მამ რაო, ერთი სამშენებლო ტრესტი რას ეყოფოდა აბორგებულ აზრსა. ოღონდ საოცარი, აღტაცებით არავენ აპყალია, თვით უფროსიც დაიბნა თუ რაღაც დაემართა, მისჩერებოდა თითქოს ვაციებული თვალებით. თუმცა ვასაკვირიც არ უნდა ყოფილიყო, ასე სჩვეოდა მოულოდნელ აღმოჩენებს; ჰო, თვით უფროსი დაიბნა და სხვებიც დაბნეულებსა ჰგავდნენ, იმის თვალში ჰგავდნენ დაბნეულებს და მართლაც დაბნეულიყვნენ, სასაცილოდ ნათქვამი ეგონათ და სიცილი უნდოდათ, მაგრამ მთქმელს არ იცნობდნენ მოცინარადა, ხუმრობის-მოყვარულადა, სიღინჯით ვანთქმულიყო, იმდღესაც სიღინჯით გამოირჩეოდა, ისევე მსჯელობდა, ალბათ, ისე, დიდი ფილოსოფოსები რომ გავეგონათ, მხოლოდ იმათ თუ სჩვეოდათო.

ჰო, დაბნეულიყვნენ და ალბათ, გაოგნდებოდნენ. ერთ მოხუც ინჟინერს რომ არ დაეხსნა ყველანი; ჯერ თავისი თავი დაიხსნა, წამოიჭრა და იყვირა, თითქოს გულიდან ლოდი მოსწყდაო, ისეთი შვებით წამოიყვირა, მხარს ვუჭერ, მხურვალედ ვუჭერ მხარსა, დიდებული აღმოჩენა არისო. მხარსაც ვუჭერ, ჩემის მხრითაც დავძენ, საპირფარეშოების მშენებლობა სულაც არ არის საჭირო, აგერა კვერსაქების ხნარცვები და ბორცვები, იქ იაროს მთელმა ქალაქმაო. აქ გასკდა სიცილის ბუშტი, იფეთქა სიცილმა და ხალხი გადარჩა გაოგნებასა. ისღა გაოგნდა, მხოლოდ ის გაოგნდა და გავარდა თათბირიდან. სხვა ვერა აწამა რა, იქ ვერა აწამა, ზოლო შინ მიძიმედ დააწვა მაგიდას, დაიწყო მრისხანე წერილი: რატომ არ ვადიან მოხუცები პენსიაში, რად უშლიან ხელს ახალგაზრდებს, რად ელობებიან იმათს გაბედულ წინადადებებს. ცხადია, ის მოხუცი ინჟინერი ამოიღო თვალში, თვალშიც ამოედო, კიდევაც ასახელებდა. ვილაცას კედელი ჩამონგრეოდა, იმას მიაწერდა, ვილაცას მუშა დაშვებოდა, იმას აბრალებდა, შენობების ჩაბარება გვიანდებო, იმის მიზეზითაო,

წერილბურჟუაზიული გადმონათებრიც აქ გამოიყვანა, მამა სირაჯი ^{საქონლობა} ზედგამოჭრილი გამოდიოდა, უმარტოესი განათლება გერმანიაში მიედო, — თუმცა ეს იმდენი არაფერი, რადგან ის ქალაქი შესაძლებელია ახლა აღმოსავლეთ გერმანიას ეკუთვნისო, მაგრამ მაშინ ზომ არ იყო აღმოსავლეთი და დასავლეთით, ერთი იყო, ერთნაირი იყო; თუ ესეც იმდენი არაფერი, მამა რომ სირაჯი ჰყავდა, ეს ზომ რამე არისო. ზოლოს-დაბოლოს უნდა ჩამოგვეცალოს, გზა მიეცეს ახალგაზრდობის მჩქეფარე შემოქმედებით ენერჯისო. — ასე სწერდა, მგზნებარედ სწერდა, შინიც გაახსენდა თავისი ოცდათექვსმეტი წელი, გაახსენდა და მაჯა გაუშეშდა, კალამი გაეყინა, ოღონდ მხოლოდ წამით, ჩემს საენისიო ჰასაკამდე ვილას ეხსომება ეს ღელვანიო.

უფრო უჩქამოდ მიიპარებოდა ქოშები კართან, უფრო უჩქამოდვე გაიპარებოდა. ქოჩებს... ლაპარაკი უნდაო, გემახსოვრებათ, ოღონდ ამჯერად ყავაც მიეტანა, ყავა ჰყვარებიათ დიდად შემოქმედთა, უყავოდ აბა როგორ იქნებოდა! არც ხელისშეშლა შეიძლებოდა, მაგრამ უყავობა წარმოუდგენელი გახლდათ, დაე შეშლოდა ხელი ერთი წუთით, მყისვე ათმაგად ამოიგებდა განახლებული, გაცოცხლებული ყავის ძალით. და შეიპარებოდა ქოშები... „ჰა“. „ყავა...“ „დადგი...“ დადგამდა და გაიპარებოდა ქოშები, ისე, დაუხახავი გაიპარებოდა. ახედვის დრო არა ჰქონდა, თვალის დაბამზამების ხანიც არ გავმეტებოდა, დანაპირებიც უნდა შეესრულებინა, წერილი უნდა დაეწერა საწრეტებზეც, ისე რედაქტორთან ვერ მივიდოდა, ვერ წარუდგებოდა პირგატეხილი; ვერ წარუდგებოდა და არც წარუდგა; ჯერ ის წერილი მიაწოდა. რედაქტორმა მადლობა მოახსენა, თანაც მოუბოდიშა, აღარ დაგვეჭირდებო. მაშინ მოხსნას უპირებდნენ კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგეს, ამიტომ ეჩქარებოდათო. აღარ უპირებ-

ნო? — შეეკითხა. ჯერჯერობით არაო, საქმის გამოსწორება დაეცადოთო.

დაეცადოთო და დაეცადოთო, ეს არც ენაღვლებოდა, მთავარი წერილი ამოაცოცა, ისე თითქოს არც უნდა გადასცესო. რედაქტორიც მთუხვდა და არ მოეშვა. ამოაღებინა, წაიკითხა, დათანხმდა, დაებუქდავთო, ოღონდ ნება დავგვრთე ზოგი რამ შესწორება შევიტანოთ თუ აუცილებელი იქნებაო, თუ საქიროდ დაეინახავთო. ინებეთ, ორივე ხელით ინებეთ, წერა ჩემი საქმეა, ბეჭდვა თქვენი, თქვენ უკეთ იცით, როგორ დაიბეჭდოსო. უკეთ იცითო და უკეთაც დაბეჭდეს, არც დააყოვნეს, პირველ გვერდზე ააწყვეს მსხვილი ასოებით, ზედ ამწე გადაადგეს, რამდენიმე მშენებელის სურათიც მიახატეს, იმათს შორის იყო მოხუცი ინჟინერიც, — ახალგაზრდა სპეციალისტთა მჩქეფარე ენერჯია და ხანდაზმულთა გამოცდილება საწინდარია შემდგომი დიდი წარმატებისა ჩვენს სამშენებლო ფრონტზეო. წაიკითხა და განრისხდა, განრისხებული ეცა ტელეფონსა, ბედად რედაქტორი შერჩა ხელში:

— „ეს რასა ჰგავს?!“ ჩაპყვირა ტელეფონს.

— „რაზე ბრძანებთ?!“

— „ჩემს წერილზე, სხვა რაზე?!“

— „რამდენადაც მახსოვს, შესწორების ნება ვთხოვეთ, თქვენც დავგვრთეთ ნება ორივე ხელით“.

— „და ვანა ეს შესწორებაა“?!

— „გეთანხმებით, შესწორებაც არ არის, სიტყვასიტყვით ასე იწყება თქვენი წერილი“.

— „მაგრამ შემდეგ, ზოგნი ვერ ამაართლებენ-მეთქი“...

— „ტრესტში სხვანაირად ფიქრობენ, ამართლებენო“.

— „როგორ, არც მიჯერით“?!

— „დიხატ, მე თქვენი დიდი პატივისმცემელი ვარ. მაგრამ რედაქცია ეთანხმება მშენებლობის ხელმძღვანელებს“...

— „თქვენთვის აღარაფერს დავწერ“.

— „დიდად სამწუხაროა...“

— „თბილისიდან მოიტყუენ მხრეებენ მოსკოვიდანაც“...

— „დიდად სასიამოვნოა, ჩვენც იმედი გვაქვს“.

— „ამაოდ დაიმედებულხართ“.

— „საწყენი იქნება“...

— „თქვენს თავს დააბრალებთ“.

— „ვწუხვართ“!..

ტელეფონი მიაგდო, მაგრამ მოსვენებით ვერ მოძვენია, ვერც სამსახურში. შინაც არ უნდოდა, ვერც ციხეზე აღიოდა, ვერც ტყეს მისცემოდა, ვერ აპყლოდა, ასეთი განმარტობისა თუ ფიქრთა გართვისა არაფერი გაეგებოდა. ქადრაკის მეგობარსაც ჩამოსცილდა. ისევე ქუჩებში თუ იბორილებდა უთავბოლოდ. მალაზიებს ჩამოპყვებოდა, ვითომც რალაცას დაეძებდა და ვერ მიეგნო. სადღაც მოხუცი ინჟინერს მოჰკრავდა თვალს და სად მიმალულიყო აღარ იცოდა, სორო რომ ეპოვნა, ჩაძვრებოდა სოროში, ოღონდ პირისპირ არ შეხვედროდა, გაეგო, დაეძებდა. რალაც ბოდიშის მაგვარი უკვე ეთქვა, კეთილი გულის ბიჭი ყოფილა, მე რომ გავცხარდი მართალი ვიყავი, ოღონდ იმასაც გულში ძვირი რომ არ ჩაუდგვია, ალაღმართალი ყოფილაო; ეს გაეგო და ემალეზბოდა, მალაზიებს ჩამოეხსნებოდა, მიძვრებოდა ხალხში. სახლში არავინ მიპყვებოდა, არც არავინ მიეწვია, არც არავინ შეეპყრებოდა. სახლში სიხარულიც ეგულეზბოდა, თუმცა არა, — ელოდა სიხარულსა, ასე სჯობს, ასე ითქვას, ელოდა ყოველ დღე, აი მივალ და ცოლი შემომეგებება საოცარი მღელვარებით, სიტყვას ვერ იპოვნის, მხოლოდ ამოძახილით, მომზიბლავი, მომაჯადოებელი ამოძახილით გამაგებინებს, ვიგრძენიო; გამაგებინებსო და ნელა მიდიოდა, იხანგრძლიეზბდა სიხარულის მოლოდინსა; იხანგრძლიეზბდა და როგორც უნდა გაეხანგრძლიეზბინა, რამდენიც უნდა დაეგვიანა, სამზარეულოში დახვდებოდა ცოლი, ცხელცხელ კერძებს მიართმევდა, მხოლოდ იმ სურვილით, მევე მივუხვდე თუ როგორ მოს-

წონს ჩემი ნახელავიო, როგორ ეგემ-
რიელებო; ჰო, უნდოდა მიმხვდარიყო,
რადგან თქმით არას ეტყოდა, არ ეტყო-
და თუ არ ეგემრიელებოდა, თუ არ მო-
სწონდა იმას ეტყოდა, — თქვენ წარ-
მოიდგინეთ მხოლოდ ასეთი ამოძახი-
ლებითა: „ხო.. ახ!..“ ამოიძახებდა ტუჩე-
ბის ბრეცითა და გავიდოდა თავის ოთა-
ხში გაბრაზებული ნაბიჯებით.

გავიდოდა და გადააწვეებოდა მაგიდას,
წერდა, იწერდა ან უაზროდ აწვალებდა
კალამსა, უაზროდ, უთავბოლოდ, გაუ-
გებრად, ოღონდ ერთი რამ მაინც გაე-
გებოდა, ერთი აზრი მაინც უღიბნიებ-
და, — სადილობისას არ მიიხრა, სადი-
ლობას არც შეეფერება, აქ შემოვა, შე-
მოიპარება, შემომხვებოდა ისე, ვერც გა-
ვაგო და ჩამჩურჩულებდა. ჩუ, მოდისო,
მეპარებო, — გაცხარებით გააქანებდა
კალამს, დაიღლებოდა კალამი, მაჯაც
დაიღლებოდა, ნაწერი და ნახსაპნი აი-
რეოდა, არც არავინ მოხვებოდა, არც
არავინ ჩამჩურჩულებდა. ეგებ უნდოდა,
თვითონ შემატყოსო? კეთილი, ეგრე
იყოსო, შეატყოს და შემჩნევიანებს,
წამოახველებს თუ არა, შეჩქვიფდება,
შეჭლიმებს, ვიცი, ვიცი, გულნაქცევად
ხარო. მაგრამ არა გეტყინოთ რა, ჩვეუ-
ლებრივი წამოხველებაა, ჩვეულებრივი,
გულნაქცევობისა არაფერი ეტყობა. წა-
მოვარდება და გარბის, ქუსლების ბრა-
ფუნით გარბის თავის ოთახში, გადაეკე-
რის საწერ მაგიდასა და არის ეგრე გა-
დატყაპული. ქოშები თუ მიეპარება
კარს, ვერცა ჰხედავს, არც ესმის, არცა
გრძნობს, ამას მაინცა ფიქრობს, —
ვინ იცის გულნაქცევობა არც დაპყოლია,
ზოგის გული კლდესავით მაგარია, ისე
წამოვარდება მუცელი, წინასწარ ვერა-
ვინ მიუხვდებო. ვითომო, — აბა თუ
ვერ მიუხვდებო; აზომავს, ჩაზომავს
თვალთ, გვერდიდან გაჰხედავს, შებლ-
ქვეშიდან მიაჩერდება თუ შეტყობაა,
უნდა შეეტყოს, როდისაქეთია მოთავდა
გაზაფხული, მიილია ზაფხული, მიიკურ-
წა შემოდგომა, ჩამწიფდა, ჩამაჭრდა,
მოსავლის სუნი დადგა, ხილის სუნი გა-
უქდა ქალაქს ან ლამის გაუქდა, გაუ-

ჯიბრდა ცემენტის, ასფალტის, საქსოვის
სუნს, ჩაბუებუყდა წელსა და მუცელ-
ლათდა და ჩატკბა, თუ შეტყობას, უნდა
შეეტყოს, მაგრამ არა გეტყინოთ რაო,
გამოწელილა მწვეარივით, როგორც
უნდა ვაჰხედოს, საიდანაც უნდა შეავ-
ლოს თვალი, — გამოწელილა მწვეარი-
ვით. და გარბის თავის ოთახში, დაეცემა
საწერ მაგიდას, რამდენი რამ არის სა-
ჭირბოროტო, როგორ სჭირდება იმისი
კალამი საზოგადოების წინსვლას, რო-
გორი დაეინებით სთხოვენ გაზეთება,
მშენებლობას რომ ბევრ დროს არ ან-
დომებდეს, ახ, რომ არ ანდომებ-
დეს ბევრ დროსა!.. შინ არ უნდა
დაჰკარგოს ძვირფასი წუთები, მაინც
რომ შეიპარებოდეს შემოხვებოდეს და
ჩამჩურჩულებდეს... მაშ როდისდა, გა-
ზაფხული სად დარჩა, ვილას ახსოვს,
მისაკურწს მისულა შემოდგომაც.

თვითონ თუნდაც დაეთინა, წამქე-
ზებლები არ მოასვენებდნენ, უნებლიე
წამქეზებლნი. უფრო უფროსთავანი
გაუცილებდა, ძეობა როდისღაო. ნაკლებ
უფროსთავანი ჩაახველებდა, ის ხომ
იყო და იყო, ძეობა მაინც სხვა იქნებოა.
ქადრაციის მეგობარი დღეში ათჯერ ჩა-
უკრავდა თვალსა, ჰა, რას სჩადიხარ,
საქმე როგორ მიდისო. სხვა თანამშრო-
მელნი ქირქილებდნენ, კვალიფიციაციის
ამაღლების კურსებსა თუ რაღაც ამის
მსგავსს გააგონებდნენ, გარკვევითაც
ვერ გააგონებდნენ, თვითონ ხუმრობა
არ უხერხდებოდა, სხვებისაც ცეცხლად
მოედებოდა ხოლმე; ისე ერთობლივ
ჩაიქირქილებდნენ, ხოლო ცალკე
მზრუნველად ჩაჰკითხავდნენ, გაამხნე-
ვებდნენ, წააქეზებდნენ, თანაუგრძობ-
დნენ ან ერთობოდნენ, ან აღიზიანებ-
დნენ და არ ენადვლებოდათ ან არ ეფი-
ქრებოდათ თუ როგორ აწუხებდნენ თუ
როგორ აკარგვინებდნენ ისედაც დაკარ-
გულ მოთმინებას. შინ მისვლას უფრო
იგვიანებდა, ეგება უფრო გავიხაროო.
უფრო შეფიქრიანებული ხვდებოდა
ცოლი, დაეკვებული, გამიზეზებული,
ილარც ედარდებოდა, სადილს თუ დაუ-
წუნებდა, არც ეამებოდა თუ მოუწო-

ნებდა. ყავას მაინც შეუტანდა, უჩქამოდ შეუტანდა, უჩქამოდვე გაიპარებოდა. უნდოდა ყავა საბაბი ყოფილიყო, თვითონვე უნდა გამოეწვია, უმცირეს ჩქამს დაიჭერდა, რა არისო შესძახებდა გამომწვევად. ყავაო, მიუგებდა. მართლაც ყავა იყო, მეტი არაფერი, საბაბი თუ მიზეზიც ის იყო, შედეგაცა. და მღუმარებას მიჰქონდა დიდი სახლი, ორი ადამიანისათვის დიდი...

XI

ერთი სიტყვით, მღუმარებას მიჰქონდა დიდი სახლი. ამდენი მღუმარებაც აღარ შეიძლებოდა. აქა-იქ ნათქვამი, დაუბოლოვებელი ან სხვა რამეზე ამოცდენილი თქმადაც არ ჩაითვლებოდა. ის უნდა თქმულიყო, ის მთავარი, გარდაუვალი, ორივეს რომ აწუხებდა. სიტყვა მოიწვედა და იბორკებოდა, თუ რა ბორკავდა, ვერ აიხსნებოდა, გაუბედაობას არ მიეწერებოდა, არც მორიდებას, არც სიბრალულსა. კაცი უკვე გამოსთქვამდა საყვედურს, — კერძებიდან დაიწყო საყვედურები, — გამოსთქვამდა და მკაცრად გამოსთქვამდა; იგვიანებდა და ქალი თუ შეჰბედავდა, რად დაიგვიანეო, შეპორენდა, შეუტევედა, ყველამ თავისი საქმე უნდა იცოდეს, სხვისაში არ უნდა ჩაჰყოს ცხვირიო. მორიდებულ თუ სიბრალულად არ ჩაითვლებოდა. მთავარი სასაყვედურო მაინც იჩქამალებოდა, მიატანდა გადასაწყვეტსა და დაფრთხებოდა, ისიც დაფრთხებოდა, ესეცა, ერთი საწერ მაგიდას მოეფარებოდა, მეორე სამზარეულოს. მაგალითს თუ ისურვებთ, აჰა, ინებეთ: ყველამ თავისი საქმე იცისო, ქმარი რომ შეუტევედა, ცოლი შეუსწორებდა, ჩვენ ერთნი ვართო. „ჩვენ რომ ერთნი ვიყვიეთ...“ — შესძახებდა ქმარი და სუნთქვა შეეკროდა, რა ექნა ვეღარ გაეგო, თვალამღვრეული გავარდებოდა თავის ოთახში, ცოლი უკვე სამზარეულოში იყო. ხოლო მერე ქოშები თუ მიცახებდებოდა კართან, კაცს არ ესმოდა, კაცი თუ ელოდა, ხელს შემომხვევს, ჩამჩურჩულებსო, ქალს ვერ გაეგო. ან

რა უნდა ჩაეჩურჩულებინა?! დაძახულიყვენენ, ხრამს მისდგომოდნენ, ერთს უნდა ეკრა ხელი, ერთერთი უნდა ვადაჩეხილიყო. ქალი უფრო ნაპირს გამდგარიყო, ხელის ცვრაც აღარ უნდოდა, ოდნავ ვადაბრა, ოდნავ შერყევა წონასწორობისა და... ისევე ქალმა მოიკრიბა გონება, ჩაუთბა, ჩაუტკბა, თვითონვე წამოიწყო და ისე წამოიწყო, რისხვა ვერ აადევნა კაცმა, ნებას დაჰყვა, სდია სადევნელი, სცადა საცდელი, აუბა მხარი.

ალბათ, მშვენიერი დღის ბრალი იყო, შემოდგომის მშვენიერი დღისა. საოცარი ფერები იდგა მთებზე, ზეცა კრიალებდა, მაღლა აეწია, შორს წასულიყო. ძალიან შორს, თითქოს ზეთავი მოუჩანსო, თითქოს ეს არის, საცაა ზენაარსს განსჭვრეტს, ზენაარსს მისწვდება თვალისა; ალბათ, იმ კრიალა ზეცის ბრალიც იყო, იმისიცა, ხილის სურნელით რომ აღქაილიყო მთელი შენობა: ყველა ოთახში ხილის კალათები ეწყო, პატარა პატარა კალათები ბუსუსებიათი ატმებითა და კომშებით, ლოყებკრიალა ვაშლებითა და მსხლებით, თავკერისა და საჩინოს მტევენებით. ზოგან ატაში გადაპობილიყო, ზოგან კომში, გადაპობილიყო ვაშლიც, მსხალიც, სურნელს ამძაფრებდა, აძლიერებდა.

მაგდა იჭდა შუა დარბაზში ხალიჩაზე, მუთაქები ეყარა აქეთ-იქითა, ფეხშიშველა იყო, თხელი კაბა ემოსა, თხელი, სიფრიფანა, დაშვებულ მზის შუქზე აზინებულ ვარდისფრადა თუ კანისფრადა. დაბალფეხა მაგიდა მიედგა, ხილით, ხელადებით, ფიალებით, თიხის ფიალებით. ატაშა სთლიდა, ოდნავ, სულ ოდნავ აცლიდა კანს, მხოლოდ იმ ტომ, წვენი დაუვიდესო, სიფრიფანადა სჭრიდა, ჰყრიდა ფიალაში. ფიალებში ღვინო ესხა, ჭავლი ჭავლზე ამოდიოდა, ჯაჭვი მოსდებოდა ნაპირებს. სიფრიფანად სჭრიდა და, ზოგს რომ ფიალებში ჰყრიდა, ზოგი მიჰქონდა ტუჩებისკენ. ტუჩებზე გადაცურდებოდა სიფრიფანა ნაჭერი. მაღიან ტუჩებზე, მაღიან ტუჩებზე, გადაცურდებოდა და სტოვებდა



ცვარსა, სურნელსა სტოვებდა, ტუჩებზე სტოვებდა. ზემოტუჩს მქრქალი ბუსუსი რომ გადავლებოდა, ბუსუსებზეც ეკილა ცვარი. ტუჩით აყრება მოგინდებოდა იმა ცვარისა, კბილით დაწიწკვნა მოგინდებოდა იმა ბუსუსისა. უცხოადა ითქმის, თორემ ქმრისათვის რაო, მითუმეტეს ვაგულისებული ქმრისათვის. იმან არც შეიცადა, თუმცა ვერც თავის ოთახში მოიხვენა, ნელნელა დაუყვა კბენსა, დარბაზში რომ ჩაეიდა, საქმიანად ჩამოუყარა ფანჯრებს, ფარდები გადასწია, ჩამავალი მზე შემოუშვა, კრიალა ზეცა შემოუშვა სახლში. ფანჯარასთანვე დარჩა ნახევრად გარეთ, ნახევრად მაგდასკენ მოქცეული. მაგდა სულ ოღნავ, ოღნავადა სთლიდა ატამსა და კალთაში იყრიდა ნათალს.

სანდრომ თეფში მიუტანა:

— კალთაში რად იყრი, აჰა, დაყარე თეფშზე.

მაგდა თვალებსა ნაბავს და იღიმის, იღიმის და თავს აქნევს უარის ნიშნად. მაშინ სანდრო მუხლზე დაეშვება, წაეტანება მაგდას კალთას, მე დაყარი თეფშზეო. ნაფცქვენს გადაეფარება მაგდას ხელები, ალესილი, წვეტიანი დანა შუბივით მოიმართება, სანდროს ცერი მოუხვდება, გადაესერება ცერი. ვერც იგრძნობს, ოღნავ გადაესერება. მაგდა მისწვდება, ატმის ნაფცქვენს შემოაყრავს, მალე მოგირჩენსო.

— როგორ იცავ, დამპერი... — იტყვის სანდრო უბრალოდ, გაუბრაზებულადა.

— ვიცავ, ნათალს კალთაში რომ იყრიდა ქალი, ამას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა.

— ისეთს რასა ნიშნავდა?

— ნაყოფიერებას.

— ჰა, ჰა, ჰა... — იცინის სანდრო, უბრალოდ იცინის, — გაჭირვებისას ადამიანი ყველაფერს გაიხსენებს. მაგრამ უშველის ყველაფერი?

— ყველაფერი არა.

— არც არაფერი! — ამას უგანზრახვოდ აღარ იტყვის სანდროი.

მაგდა დაატანს:

5. „მნათობი“ № 5.

— რაღაცა მაინც...

— მაინც რა?

— რა და... — შეჩერდებამ მშველს, მშველს

ავყირდება თუ ჩაფიქრდება, ვთქვა თუ არაო, — რა და, დედაჩემისგან გამიგონია, იმას თავისი დედისაგან სცოდნია, დედაჩემსო, ესეიგი, დიდდას დედაჩემსა...

— დედას დიდდაშენისა...

— ვგრეც ითქმის.

— სხვანაირად როგორღა ითქმის?

— დამაცადე!.. დიდდაჩემს თურმე ხუთ წელიწადს შვილი არ შესძენია, მერე ბარბარეს წასულა, ერთ კვირას დარჩენილა, ერთ კვირას ულოცნია და წლისთავზე აკვანს არწევდა თურმე.

— ჰა, ჰა, ჰა...

— ნუ იცინი!..

— ნუთუ აქამდისაც მიხვედი? გვერა?!

— არა, ცხადია, არა!.. მაგრამ რა მჯერა, იცი?.. მართლაც უშველიდა, რადგან სწამდა. რომ მწამდეს, მეც მიშველის, აი რა მჯერა. მე ექიმისა უნდა მჯეროდეს, მჯერა, რათქმუნდა, მაგრამ ექიმს არა აქვს მადლი იმხელა რწმენისა, ბარბარეს რომ ჰქონდა. ბარბარეს ეკლესია იცი? სიონი ხომ გახსოვს, იმას იქითა ყოფილა, ოღონდ სიონამდის მარჯვნივ უნდა აუხვიო ვიწრო ხეობაშიო.

— წავიდეთ?

— რა აზრი აქვს, როცა არა მწამს. ექიმთან კი უნდა წავიდე.

— ან აქამდის რად არ მისულხარ?!

— აქ არა... აქაურებს თითქმის ყველას ვიცნობ, არავისი მჯერა. უცხოს, უცნობს, მხოლოდ სახელით რომ მსმენია, ჩემი დიდი დიდების ბარბარესი არ იყოს, უფრო დაუფერებ, წავიდეთ თბილისს.

— წავიდეთ.

მაგდას შუქი გადაჰკრავს სახეზე, სიამე გადაჰკრავს ამ ყოყმანო თანხობისა, მუთაქებს მოიწყობს, მუთაქებს მიაწვება თვალმინაბული. სიფრიფანა კაბა დაეჭიმება. შიშველ მუხლებზე დუცურდება ნათალი ატმისა. ზოგი მუხ-

ლებს ფერივეა არ გამოირჩევა, ზოგი ბევრად მუქია, ზოგიც ბაცი, — ცვივა, მიცურავს, მისრიალებს და თრთის კანი, ცხელი კანი, ეგრილება ნათალი ატმისა, თრთის და ფეთქავს, აიზნიკება წელი, მოიზიდება სხეული, თითქოს ვეფხვისააო, თვალმინაბულა ვეფხვისავითვე... არ შეიძლება არ მოიხიზლოს თუ დაივიწყებს ცოლია თავისი, თუ დაივიწყებს. განაწყენებული რომ არის, ერთი წუთით თუ დაივიწყებს, მხოლოდ ერთი წუთით. და დაივიწყებს, მაგრამ, აღბათ, შეუგვიანდება ის წუთი, ქალი წამოიწევს, წამოვდება, ის მუთაქებს გადააწყდება, ქალი ნათალს აიკრავს კალთაში, უბრალოდ, უნებლიედ, თითქოს თავისთავად მოხდა ასეო. მუთაქებსაც შემოუწყობს. თავი ასწივ გადაკიდული ვაქვსო — თავს შეუსწორებს. ატამს მისწვდება, სთლის, სთლის ოდნავ, სიფრიფანად, სიტყვაც ამოაქვს ისევე სიფრიფანად:

— ზაფხულში რომ გვემოგზაურა...

— ზაფხული გავიდა.

— კიდეც მოვა.

— მომავლისას ვერაფერს გეტყვი, ჩვენ დღევანდელი დღიათა ვცხოვრობთ.

— არა მხოლოდ დღევანდელით.

— ყოველშემთხვევაში ზაფხული შორს არის.

— არც ისე შორს... რომ გვემოგზაურა... ახალმა ადგილებმა ახალი განწყობილება იცის.

— არც იმდენად ახალი, ქალი ყველგან ქალია, კაციც ყველგან კაცია.

— გზნება სხვადასხვაა.

— არცთუ დიდად განსხვავებული, ყველგან შობენ.

— მაგრამ აქ რომ მეშინია? სხვაგან შეიძლება გამოიჭრეს შიში. ჩემი დიდი დიდების ბარბარე იქნებ სხვა არც არაფერი იყო: ადგილის შეცვლა, განწყობილების შეცვლა, ვაქრობა შიშისა. ჰა, ჰა, ჰა... ეკლესიის დაშორებით, პატარა მღვიმეში ფალოსის ნიშანიცა ყოფილა. იქა ლოცულობდნენ თურმე, ეკლესიაში არა, იქა ლოცულობდნენ. მღვიმესთან ბუნებრივი თბილი წყალიც გადმოდიო-

და, იმ წყალში ბანაობდნენ და ლოცულობდნენ. წყარო და მღვიმე ერთი იქნებოდა.

— აფსუსს...

— არ გეტუმრები, ადგილს დიდი შნი. შენელობა ჰქონია... — ფილას აიღებს, ოდნავ მოსვამს, არც მოსვამს, ტუჩებს შეახებს, და გაუწვდის. მერე ფილასაც მოსვამს, ან იმასაც ტუჩებს შეახებს, სურნელოვანია, სთქვი რამეო.

— შენა სთქვი.

— სადღეგრძელოს ქალები არ ამბობენ, ქალები მხოლოდ ეთანხმებიან.

— ეს ურთბელ მაინც სთქვი, შენ მოინდომე, შენვე სთქვი.

— მაშინ ჩვენი მომავლისას ვიტყვი.

— დღევანდელისა სთქვი, ოცდათქვესმეტი წლის კაცს თუ არაფრისთვის მიუღწევია, მომავლით გელარ დაიმედდება.

— ორმოცის მერე იწყება ახალი სიცოცხლე.

— ის სხვა სიცოცხლეა.

— იგივეა. თვით მომავლადეც მომავლითა სუნთქავს, მე მომავლის სადღეგრძელოს ვამბობ, ჩვენი მომავლისა, ჩვენ რომ ველით, იმისა. — და სვამს, სკლის ფილასა, როგორც მოწყურებული დახარბებული. საითითოდ იღებს ღვინით გაღვნილი ატმის ნაჭრებსა, სიფრიფანა ნაჭრებსა, იმასაც მოწყურვლივით შეეძქევა. სხვადა სთლის, სხვაფერისასა, სხვა გემოსი და სურნელისას, სთლის და ჰყრის თავის ფილაში. ქმრის ფილაშიც, ავსებს თავის ფილას, ქმრის ფილასაც; ავსებს და სვამს ისევე მომავლის სადღეგრძელოსა, სვამს და იციონის, მოღუმული თვალები გადასწმენდია, გადასწმენდია და წამოგზნებია, წამოგზნებია მთელი სხეული, ირბევა, ქანაობს, დაიხრება და შესწორდება, შესწორდება და კაცის ზელს ირბებს, კეკულუცად ირბებს; მიეტანება, ჩაუვარდება მკლავებში და წამოთვარდება მყისვე, მაშინვე, კვლავაც ასევე, თითქოს ქანაობსო, თითქოს თამაშობსო, სხლტება მკლავებში, ცურავს, ლიბდება მკერძობს მკლავები, უფრო მკერი-

ვობს, უფროც ლიპდება. ერთიც ვნახოთ ძალას მოიციქოს, ცეცხლოვან ძალას, მაინც გაუსპლტება, წამოუტტება. გაეციდება. შორს არ მიიბნის, დაბალფეხა მაგიდას უვლის, კისკისებს და ურბენს გარშემო. დასწევდება ხილის კალათას, ლელვს აიტაცებს, ესვრის, ესვრის ყურძნის მარცვლებსა, ესვრის და დაპჭრის მაგიდის გარშემო, ფეხშიშველა დარბის, დაპჭრის თხელი კაბითა, ტანს შემოტმასნილი სიფრიფანა კაბით. დარბის და დასდევს თავგამოდებული, ვერ დასწევია. რა მკვირცხლი ყოფილა, რაოდენი ხალისით აღვსილა, ლამის დამარცხდეს. სიშმაგე უნდა, სიშმაგე თუ იხსნის, ისე დამარცხდება, დონდლო ღვენით ვერას გააწყობს; სისხარტესაც დაპყლია სიღონდლოვ, სიღინჯესაცა ჰქონია თავისი სიფიციზე, სიფიციზე ყოფილა, რაცა ყოფილა, უნდა გაფიცდეს, უნდა გაშმაგდეს, — თითქოს ყრუდ ესმის, თითქოს ახდევს ამ დაძახილს, მისაღებს შმაგი ჰქენითა, კბილთა ღრქენითა, ატეხილი სიცილითა, არად ავდებს, ლელვი რომ ხედება, ლელვი რა არის, ატმის მოხვედრასაც არად ავდებს, მაგიდას უვლის, გარს ურბენს, ტრიალებს, ლამის დაბრუნდეს, დაპროწილდეს დარბაზი, ალბათ, თავბრუ დამხვავო, გაიფიქრებს და მაგიდასა ჰკრავს ფეხსა. ახლა რაღას იზამს, რაღას შემოველება. საით წაუთვა? წამსვლელი არსად არის, ყველა გზა მოჭრილია, გარეთ ხომ არ გაეარდება, ხოლო ზევით ასარბენს გადაპლობია. სხვას ვეღარას ილონებს ქალი, მუთაქას დასწევდება, მუთაქა უნდა ესროლოს; მუთაქას დასწევდება და ფეხი დაუტდება; ფეხი დაუტდება და ვეღარ აასწრებს... დღისით, მზისით, თუმცა ჩამავალი მზისით, ზეცა რომ ღრმად წასულიყო, ძალიან ღრმად და იდგა სუნი მსუყვე შემოდგომისა.

ის შაბათის მზე გახლდათ, კვირის მზეს თბილისს წაპყენენ, თუმცა ფიქრობდნენ, საჭირო აღარ იქნებო, მაინც წაპყენენ ანუ გაემგზავრენ თბილისს რაზან გაემგზავრენ, რაზან ერთ ექიმს

ეჩენა მეგდა, — ნათქვამია, მეგდა ქაშაში მოდისო, — სხვებსაც ეჩენის ეჩენა, ბარემ აქა წაიხი, ბარემ ყველას აზრი მოვიმინოთო. „ყველაში“, ალბათ, მართლა ყველას თუ არა, ბევრს მაინც გულისხმობდა, ყოველ შემთხვევაში ხუთზე მეტსა, მაგრამ ბოლოს იმ ხუთს დაჭერდა ან დაილალითუ მოსწყინდა, ან დარწმუნდა, უკვე მეშველებათ. უნდა დარწმუნებულიყო, ხუთივემ დაიიმედა, ხუთივემ სახელგანთქმულმა პროფესორმა, ერთი ამთგან აკადემიის წევრკორესპონდენტიცა ბრძანდებოდა. წევრკორესპონდენტიცა ფსიქიატრი გახლდათ, — ფსიქიატრსაც ეჩენა, კარდიოლოგსაც, თერაპევტსაც, გინეკოლოგს — ორსა, ერთიმეორეს შეაღარა ორივეს ნათქვამი, დაახლოებით ნათქვამი გამოუვიდათ, ამით უფრო დაიჭერა. ფსიქიატრი ხომ სულში ჩაუძვრა, სიმშვიდე ურჩია, სრული სიმშვიდე, მორიდება ყოველგვარი ასაღულვებელისა; გინეკოლოგებმაც ასევე ურჩიეს, კარდიოლოგმაც. თერაპევტმა სამფურცელზე დაუწერა წამლები. არც სხვებს დაუკლიათ რეცეპტები, ან რაადააკლებდნენ, მეტი რაღა იციან ექიმებმა თუ არა სისუსტე ავადმყოფისა. ბევრი წამალი რწმენასაც ბევრს უწერავს: ერთი სიტყვით რწმენა ჩაუნერგეს, ზოგი წამლით, ზოგი სიტყვით, უფრო მაინც იმან გადაახალისა, სახლიდან რომ გამოვიდა, გამოვიდა და გამოინავარდა, შემოიჭროლა თბილის-ქალაქი, მართლაც შემოიჭროლა, ხუთივეგუნთივცხოვრობდა ის ხუთი ექიმი, იმათს ძებნაში შემოიჭროლა; იმათს შემდეგაც მთაწმინდასაც მოექცა თავზე, ზღვაზეც გადადგა, მხატვართა გამოფენაზეც შეიბრინა, უნივერსიტეტიც არ დასტოვა უნახავად. პატარა დღე იყო, თორემ მეტს მოიბრუნდა, დიდხანს არსად გაჩერებულა, მაინცა დნებოდა შემოდგომის დღე, კარგი დღე, თბილი, მზიანი, მაინც მოკლე, შემოდგომისა.

მანქანით მისდევდნენ პატარა დღესა-ტაქს იცვლიდნენ, იმდენჯერ იცვლიდ-

ნენ, ორჯერაც გადაეყარნენ ერთდაიგივე მანქანას. დღე მიჰქროდა, მიჰქროდნენ ისინიც. ერთი დღე იყო იმათს ხელთა, უნდა ექროლათ, მხოლოდ ზოოპარკში შეიცადეს ცოტა მეტ ხანს. ბავშვებით აღვსილიყო ზოოპარკი, ბავშვები დაუფიქრებდნენ, დაბტოდნენ, დაკისკისებდნენ. მშობლებს გასბლტომოდნენ, ხან გალიებს მიაწყდებოდნენ, ხან განავარდებდნენ, საჯიბვეზეც უნდოდათ ავარდნილიყვნენ. მშობლები მისდევდნენ, მისძახოდნენ, აფრთხილებდნენ, ან ემუქრებოდნენ, აღარ წამოვიყვანათო. მაგდაც დასდევდა, მშობელივით დასდევდა, მისძახოდა, მუქარით არ ემუქრებოდა, მხოლოდ ფრთხილობდა, სპილოს ფეხებში არ ჩაუვარდესო, მიიმუნმა კლანჭი არ გამოჰკრასო, ბეჭემოტმა მღვრიე წყალი არ შეაშხაბუნოსო; ლომი რომ გალიას მიაწყდა ბრდღენინვალირიალით, ისიც ეცა გალიას, ეცა შიშავარდნილი, სახეარეული; შიშატანილი, ლომს ეცა უშიშრად, დაიცვა, გადაარჩინა, თუ ვერ გადაარჩენდა ხელდახელ შეებმოდა ლომს... დროზე მოავლო ხელი სანდრომ, გალიას მოსწყვიტა. დაეცა იმის მკლავებზე. ვილაცამ მერხისკენ მიასწავლა, ვილაცამ წყალი მოარბენინა, ვილაცა კიდეც რაღაცას ურჩევდა, ამასობაში მაგდა გონს მოეგო, მიმოიხედა დაბნეულად, დარცხვენილად, წამოდგა, სანდროს ჩაჰკიდა ხელი, წავიდა, გაიყოლა, მიეფარა სხვათა თვალსა და იქ წასვლა ცრემლი. ქმარი ანუგეშებდა, როგორც შეეძლო. ის უარობდა, დამეხსენიო, ვიდრე გულს არ მოვიხებ, ხმას ნუ გამცემო. ხმას ნუ გამცემო და მხრებსლა იჩინა, ტოკავდა, ტორტმანებდა, ბუზლუნებდა, სირცხვილიათ. არაფერმა გასტრა, ვიდრე გული არ მოიოხა. მერე იცინა ცრემლიანი თვალებითა და განაცხადა, კარგადა ვარო.

— რა დაგემართა?!

— უცნაური რამ მომეჩვენა... — შეკრთება მაგდა, თითქოს იგივე მოეჩვენაო.

— რაც იყო, იყო, წავიდეთ!

— წავიდეთ... — ოღონდ ჩერდებამაგდა, — უკვე კარგადაა შეშინებული გითხრა.

— არ მინდა, წავიდეთ!

— წავიდეთ... აბა, მივდივართ. მომეჩვენა...

— არ მინდაშეთქი!..

— მე მინდა...

— ის გულშემოყრა?..

— არა... კარგადა ვარ-მეთქი!.. მომეჩვენა, თითქოს ჩვენს ბავშვს ეძგერა ლომი.

— ჰე!...

— ცხადად ვხედავდი. გინდა, ავიწერ, როგორიც იყო...

— არ მინდა.

— გინდა!.. პირმრგვალი, ბუთბუხა, შენ რომ იქნებოდი ბავშვობისას, ისეთი თვალები ჩემი ჰქონდა, ტუჩები შენი. იერი ჩემი ჰქონდა, მიმოხვრა შენი. მკვირცხლი იყო, მკვირცხლი, თვალს ვერ მიაღვევებდი, აქ იყო, უცებ იქ განჩლებოდა. მიიმუნებს კანფეტებს უყრიდა, ფარშევანგებს ახელებდა, სპილოს ლომებს თავსმოქცეოდა, ძლივს მივუსწრებდი. ლამის ბორთუმი წამოსდო სპილომ. იქაც შემიქანდა გული, ვერ შემატყე? ვგონებ შემატყე, ხელი მომიკიდე, ნელნელა ჩამომიყვანე ბილიკზე. ამასობაში ლომებთან ჩაჭრილიყო. ვდიე, ვდიე. შენ მომძახოდი; რა მიგარბენინებდო, ვერ გითხარი, რაც მიმარბენინებდა, დრო აღარ იყო, გალიაზე მიიფაფხებოდა, ლომი ამრეზილიყო, იძაბებოდა, ნატკომისათვის ემზადებოდა. ისეუბა და ვეღარ მივუსწარი, ბავშვი გაფლეთილი დაეცა, სისხლმა ამოსჩქეფა. შადრევანსავით ამოსჩქეფა სისხლმა...

— მოგეჩვენა...

— რათქმუნდა! მაგრამ მაშინ ცხადი მეგონა, ასევე ცხადი, შენ რომ ვხედავ.

— მხოლოდ ლომისგან დაფლეთილს არა.

— არა, ცხადია... — და ეყრდნობა მკლავზე, ისე მიჰყვება, ეყრდნობა და მინცა ბორძიკობს. არაფერია, ბორძი-



კაც გაუელის, მთავარია ეყრდნობოდეს, ძალასა ვრძნობდეს; ეს განცდაც არაფერია, შიშველ ლაქად არ დარჩენილა, გადაიარა, წავიდა, თითქოს უიმისობაც არ იქნებოდა. მთელ დღეს ხარობდა, უჩვეულოდა ხარობდა, იმ სიხარულს მოჰყვება მოჩვენება, მოჩვენებაც სასიხარულო, მოჩვენება ბავშვისა, ბუთხუზა ბიჭისა, ხოლო ლომი თუ ეძგერა, ეს ხომ შიში იყო მშობლისა, ცუდი არ არის, ჰქონია განცდა, ღრმა განცდა მშობლისა, — სამღუფრავი არაფრისა ეთქმის, კარგი დღე დამდგარა, კარგი დღეებივე მოჰყვება, ყველაფერი კარგად იქნება, ასე უთხარეს, ასედაცა სჯერა; უნდა სჯეროდეს, ისე ძლიერ მკლავს დაჰყრდნობია, არც უნდა ბორძიკებდეს, — არც იბორძიკებს.

— ძალიან მღელვარე დედა იქნები. სანდრო ეტყვის, მკლავს მტკიცედ იმაგრებს, გრძნობს, ბორძიკობსო.

— არა, ჩვეულებრივი ვიქნები...

— წინასწარ ასე ღელავ.

— ეს დედაობის მოლოდინია, მოლოდინი ყოფილა მღელვარი.

— ყველასთვის...

— მით უფრო ჩემთვის.

— ნუ წაამეტებ, რაც არის, არის. ხომ გჯერა, მშვიდობით რომ ჩაივლის...

— გჯერა.

— მით უკეთესი. ნურას ინალვლებ.

— არცა ვნალვლობ.

— ნუ ინალვლებ, თუნდაც... თუნდაც... ხომ არიან, სხვის შვილსა ზრდინ, საკუთარში ვერ გამოარჩევენ.

— არიან, მაგრამ ეგრე არ იქნება.

— თუნდაც იყოს. გავზარდოთ, მერე რაო!.. გინდა, ზანდის ბავშვი გავზარდოთ... ჰა, ჰა, ჰა...

სანდროც იცინის, სანდროც ხალისობს, მაშ ყველაფერი კარგად იქნება. ალბათ, ეს სადარდელოც უნდა გადაეტანათ, რომ უკეთ ეგრძნოთ კმაყოფილება ამქვეყნიური, ალბათ, ჰო, ალბათ, — ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტყბილი თუ ეძებ გემოვნებასაო. გონივრული ნათქვამია, თუმცა ამის

მთქმელს სიმწარის მეტი არაფერი ებღუდებინა, მაგრამ მაინც ~~კარგად იქნება~~ რა ვუყოთ თუ არიან მრწამსი ~~საქმის~~ მინანბიცა, სულ მოხარულნი, ბედნიერნი, სიმწარეს როდი მოინატრებენ, სიხარული უკეთ განვიცადოთო. არ მოინატრებენ, მაინც გონივრულია ის ნათქვამი; დაე გაუნელებლად ხარობდნენ ერთნი, დაე სწუხდნენ მეორენი, უამისოდაც ზომ არ იქნება, — არ იქნება, არცა ყოფილა, ღმერთმა ერთი ვით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყვიდოსო. ნუ, ნუ წარწყმედს ღმერთი თუ ძალი ბუნებისა, არც წარწყმედს, მხოლოდ ეს სანალღვლებელი გაუჩინა, მცირეხანს გაუჩინა, სიკეთე რომ აგემოს მთელის ძალითა. ყველაფერი კარგად იქნება, მკლავი მტკიცდება, მძლავრდება მკლავი, გულდაგულ ეყრდნობა, აღარა ბორძიკობს.

სანდრო ტროლეიბუსის გაჩერებას მიასწორებს.

— საღვურისაყენ წავალთ... — ამბობს სანდრო.

— რა გვეჩქარება?! — უთარობს მაგდა.

— ხვალ სამუშაო დღეა.

— ბოლო მატარებელს გავყევით. მინდა... მიყვარს თბილისი.

— პროვინციელი ყოველთვის მოხიბლულია დედაქალაქით.

— განა თბილისელები ნაკლებ მოხიბლულნი იქნებიან?

— შეიძლება ნაკლებ, შეიძლება მეტად, პროვინციელის განცდა მაინც სხვა არის.

— მაშ შენიც...

— მე აქ დავამთავრე ინსტიტუტი.

— ინსტიტუტი სხვა არის, ქალაქი სხვა. ინსტიტუტი ყველგან ინსტიტუტია.

— მაშ ჩემიც...

— ჰოდა შევიცადოთ.

— ყვითლი.

და კიდევ შემოიჭროლეს ქალაქი, ახლა გაჩირაღდნებული ქალაქი შემოიჭროლეს, სპექტაკლსაც დაესწრნენ რუს-

თაველის თეატრში, ბოლო მატარებელსაც მიუსწრეს და გაჰყვნენ კმაყოფილნი, ნასიამოვნებნი. უფრო მაგდა აეტანა სიამოვნებას, სანდრო ისე არა, არც ეტყობოდა. მხოლოდ მაგდა არ ეშვებოდა, ხომ ხარ ნასიამოვნები, ხომ ხარ კმაყოფილიო, ვინ იცის მერამდენედ ეკითხებოდა და ისიც უქნევდა თავს, ძალდაუტანებლად იღიმოდა, ეგება მართლა ნასიამოვნები იყო, არად ავდებდა დალასა, არც სხვა რამეს ავდებდა არადა, ოღონდ ჭმუნდა მოსცილებოდა მაგდას სახეს, ოღონდ სულ ისეთი ყოფილიყო, გუშინ რომ იყო. სულ ისეთი, დღეს რომ არის; თუ არ გამოსთქვამს, ნუ გამოსთქვამს, კაცია, გამოთქმაც კაცური ექნება, ნებას რომ დასდევს, თან დაჰყვება, გამოთქმაც ეს არის. ხოლო მაგდა მაინც არ მოასვენებს ენასა, ტიტინებს, ტიკტიკებს, ღუღუნებს, ღუღუნებს, შესცინის, შეჰხარის, ენით, თვალით, ხელით, მთელის სხეულით გამოსთქვამს მადლობასა, ჰყვება, ლაპარაკობს შეუსვენებლად, ახლაც ხომ ვერ გავა თავის ოთახში, გვერდით უზის, ასე უჯდება სადგურამდის, გულს იქარებებს, ლაპარაკით. დღევანდელ დღეს იგონებს, სხვა დღეებსაც იგონებს. სხვა დღეები ერთნაირია, დღევანდელი სულ სხვანაირი. მართალია ექიმისათვის წამოვიდნენ, მაგრამ თბილისი მაინც თბილისია, სიცოცხლით სავსე, შინაარსით სავსე, განმაცოცხლებელი, განმსახლებელი ძალია, — ხომ ასეთიაო, ეკითხებოდა. ასეთიაო, უდასტურებდა, ყველაფერზე ეთანხმებოდა და დრო უხეტოა, დაითანხმა, ხშირად ჩამოვიდეთო.

XII

ხშირად ჩასვლისა რა მოგახსენოთ, ოღონდ ერთხელ თუ ორჯერ, ვგონებ, ორჯერ ეწვივნენ თბილისს. ის მადლი აღარა ჰქონდა, უბრებოვით ჩაეიდნენ, უბრებოვითვე დაბრუნდნენ. სანდრო არა ჰფარავდა, რომ მობეზრდა ტყუილად ხეტიალი, ბავშვი აღარ იყო,

ტუნტული აღარ შეეფერებოდა, სარ ჰფარავდა, ბუზღუნებდა. *მარტინიანი* ჩაგითხრაოთ, — ის ბუზღუნებდა *მარტინიანი* ჩაეგდო, პირვანდელი სიხარული მაინც აღარ ვანუცდია, ოღონდ დამძარებული რომ მიჰყვებოდა მატარებლის გუგუნს, იმაზე ფიქრობდა, კიდევ როდის ან როგორღა, რა საბაბით, რა მოხერხებით აეყოლიებინა ქმარი. მაგრამ, ვაგლახ, გაუღებელიყო ყველა მოხერხება!.. სანდრო თავისასა ცდილობდა, თავისასა ხერხობდა და სჭრიდა იმის ცდებსა, ან აბლაგვებდნენ ერთმანეთის ხერხს, რომელი იმარჯვებდა, რომელს მერი ფხა აღმოაჩნდებოდა, გაძნელებოდა ამის მიხედვით; მხოლოდ ერთხანს გაძნელებოდა, მერეღამერე სანდრომ წააქარბა, გაშმაგდა და ადვილად წააქარბა. სიშმაგისათვის იმ დიდი დიდების ხუთი წლის უშვილობა დაიხვია ხელზე და ცოფები ჰყარა. ჯერ მხოლოდ თავის ოთახში ჰყარა ცოფები: „ხუთ წელიწადს უნდა მალოდინო?! ხუთი წლის შემდეგ სად დამჩრება ოცდაათქვამეტი წელი?! რაღას უნდა მოვესწრო?! რაღა ვიქნები?! ან ხუთ წელიწადს დამაჯერებს?! ხუთი წლის შემდეგ რომელიღაც ჭანდაბის დიდდის ზღაპრებს მომიყვება და ათ წელიწადს კიდევ გამიგრძელებს სალოდნელს. ერიპაა, ამიშენდება ოჯახი!.. მორჩა, ზღაპრებს დედა მოუყვდა!..“ ასე დაასკვნა და ვრცელი საბოლოო სიტყვაც მოამზადა. ეს საბოლოო სიტყვაც იქნებოდა, განაჩენიცა, კარს გაუღებდა და გზას გაუთავაზებდა.

მაგრამ უცებ, ცამოწმენდილზე ვერ უთხრა ის დაწყობილ-დალაგებული სიტყვა, უცებ არც ითქმოდა, რაღაც სხვა საბაბი უნდოდა, რაღაცას უნდა მოჰყოლოდა, უფრო ძლიერი იქნებოდა, უფრო შედეგიანი. მთავარიც შედეგი გახლდათ, წასვლა, განშორება გახლდათ მთავარი, სიტყვის მოთავება და განშორება ერთი უნდა ყოფილიყო, ისე უნდა შემზადებულიყო, ისე უნდა გამოესკვნა ამბავი. ჰო, ასე უნდა გამოეს-

ენა და ფიქრს მიეცა: ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, დღიური ულუფის თანხა გაუნაბევრა, უცბად, ერთბაშად, გაუფრთხილებლად. ჯერ ძედაც მცირე ემეტებოდა, განაბევრებული რალა იქნებოდა? ესეც არ იყოს, ხიზრიკობა დამდგარიყო, — ფშატის ყვავილობასაც უძახიან, ფშატი ყვაოდა და ბაზარი ძვირობდა. ველარას შველოდა ველარც სამზარეულოს წიგნი, — რომელი გამოცემაც უნდა ყოფილიყო, მხოლოდ უახლესი გამოცემანი, ბარბარე ჯორჯაძისა არა, რა სათქმელია, ველარც დიასახლისის კუთხე საქალებო ქურნალებისა, ველარც რჩევანი გამოცდილ დიასახლისთა, აღარაფერი გამოდიოდა, გემო აღარა ჰქონდა მავდას კერძებს. უკეთესი საბაბი რალა იქნებოდა? ღრიოლებდა სანდრო, მუშტებს აზრავუნებდა, ერთი მკითხოს რა მიინდა და მივახლი რაც მიინდაო. არა გეტკონოთ რა, მავდა არას ეკითხებოდა, მხოლოდ მხრებს შეჰყურდა, გაიღიმებდა, მე რას მიწყრებიო, ამის ნიშნად გაიღიმებდა. ერთხელ მაინც ველარ შეიკავა თავი, ზუმრობა სცადა, წინათ ამ ღროისათვის დიდმარხვა გამოეგონებინათ, ცოტა ჩვენც ვიმარხულოთო.

— ეგეც დიდღეებიდან გადმოგეცა?! — შესძახებს სანდრო, ცოტა არ იყოს ალტაცებით შესძახებს, ახლა სადღა წამიჩვალო.

მავდას ჰგონია ზუმრობამ გასკრაო, ტყუულებდა მავდა, ტყუულებდა და იცინის: ჰა, ჰა, ჰა... დიდღეებიდან...

— ქმარა დიდღეობანა, — შესძახებს სანდრო და წამოიქრება, — ქმარა ზღაპრები, ზღაპრების ასაკი დიდობანა გავიარე, ზღაპრების მეტი თუ არაფერი შევიძლოა... — და შეჩერდება, ენას აუკიდებს, ასე მოსტება არ ივარგებს, ცოტა უნდა ცავარძელდესო, — ნუთუ არ შევიძლიან არაფერი ზღაპრების გარდა?! — არც ასე ივარგებსო, — ხომ ჰხედავ ამ სახლს, ამ კარმიდამოს, ყველაფერი ეს მე შეგქმენი, — ასე ივარგებსო, — თუცდათექვსმეტ წლამდის

შეგქმენი მარტოღმარტოც დაუშინებლად, შეგქმენი იმისათვის, რამ ჩემს შვილებს აღარ გასკირბნენ... შენა მაინც არა ჰქონოდათ საშენაო, სხვა რამეზე ვზრუნათ, სხვა რამ ამოემიზნათ ცხოვრებაში; შეგქმენი, მავრამ სად არიან შვილები, ერთი მაინც სად არის?! ერთადერთი მაინც სად არის, სხვებს თავი დავანებოთ, სად არის-მეთქი... რისთვის გადავიტანე ამდენი ვაჟირებება, რისთვის ვივაჯლახე, რატომ დავიდგი წილებზე ფეხი?! მოიცა, მოიცა, რად მიინდა შენი მოშველება, არაფრისათვის!.. აზრი გამოეცალა ჩემს ცხოვრებას, შინაარსი აღარა აქვს და ამ უშინაარსობას ვეთომ იმითი ავსებ, თბილისში რომ დამაწოწიალებ. თბილისისაც არა კმარობ, გინდა მახეტიალო მთელს ქვეყანაზე, შერე რა ჯდება ეს, იცი თუ არა?!

— აი თურმე გულს რა ვიწვავს, — ცივად იღიმის მავდა, ვერას მიმხვდარა, თუ, პირიქით, დიდებულად მიმხვდარა და უნდა ააცილოს მთავარ სათქმელსა, — ვიცი, რად გინდა ამას რომ მიხსნი, სიონი ვახსოვს, ჩვენი პირველი გამკლავებდა... ასეთ ღროს შენ ტაქსის მრაცხველი ცაასოვდა.

— შენ?
— მე რა?!

— შენ ასეთ ღროს არ ცავიწყდებოდა გეთქვა, თუ როგორ არ მოგწონდა ჩემი წერილები.

— მე ჩემს ცოლვას ვინანიებდი, ჩემს გულწრფელობას ცამოგხატავდი.

— მეც... დაატანს სანდრო და ენას იკვერტს.

— დიას, შენც, — მიაღვენებს მავდა, მიაღვენებს და მიაჩერდება, კიდევ რას აპირებსო, ყოველშემთხვევაში ეს ერთი შეტევა მოგერიებულიაო.

სანდროც მიხვდება, მოგერიებულაო, გაეცხლებული გავარდება თავის თთახში. იქ უნდა ააწყოს დაღვებული სიტყვა, მერე გამოვარდება, ერთბაშად მიაფრქვევს, არც ამოიხუნთავს, ისე მიაფრქვევს, თორემ კიდევ

უბელოებს, სიტყვას ჩაუტრთავს, კიდევ დააბნევს. რა გაიხსენა? რამდენ ასეთს კიდევ გაიხსენებს? რას გაიხსენებს ბოლოსდაბოლოს? და ფიქრობს იმაზე თუ რას გაიხსენებს, დაბნეული სიტყვა ვეღარ მოუტყრფივია, აზრი ვეღარ აუწყვია, ჩანს, უნდა გადასდოს გადამწყვეტი მოლაპარაკება, ოღონდ როდემდის უნდა გადასდოს? არ უნდა გადასდოს, არამც დაარამც, სწორედ ის დღეა, სიონის დღეა, შვედაუტყლმა ის დღე, — არ უნდა გადასდოს, მაგრამ მაინც რას გაიხსენებს? თვითონვე გაახსენებს, მოუჭრის ფხასა. კარებს ფეხსა ჰკრავს, მანძილს ფრთხილად გააღებდა ხოლმე, კარებში შეჩერდება დოინჯმემოყრილი, პირსაც გააღებს, მაგრამ მაგდა იქ აღარ დახვდება. აქეთ ეცემა, იქით ეცემა, — დარბაზში ჩასულა, ჩაირბენს კიბესა, შუა კიბეზე შეჩერდება, იქიდან ჩასძახის:

— იმას ვუღწერდებოდა დაარქვი, კეთილი, ვერე იყოს, მაგრამ იმას რაღა ჰქვია, შენი გამგე რომ აცხადებს ქორწილში, დიან, დიან, ქორწილში რომ აცხადებს, თუ როგორ ედავებოდი ჩემს მომხრეებს, რა ჰქვია ამ საქციელს? — ბოლო სიტყვებზე ტუჩებს მოწურავს, ხელს შეისვრის, თითებს შეატაცუნებს;

— ეგ საქციელი როდია, ეგ მხოლოდ გამხელაა იმისა, რაც ადრევე მოგახსენე.

— მერე ქორწილში?!

— სადაც უნდა ყოფილიყო...

— ქორწილში?! — ყვირის სანდრო.

მაგდა იცინის მწვევედ, გაგრძელებულად:

— ისევ ქორწილი გგონია ის საცოდაობა?! — იცინის და გადის, სანდროს უნდა მიადახოს, მოიკადეო, საით მიეფარა, თვალი ვერ შეასწრო, საით მიადევნოს, არ იცის და კიბეზე არბის, ისევ ჩამორბის, — მორჩა, გადაწყდა, დამთავრდა ყოყმანი, მხოლოდ მალე უნდა მოხდეს, მალე და არბის, ჩამორბის, მავდაც გამოჩნდება, ვადასძახის შუა კიბიდანა:

— მაშ ანა, ქალბატონო, ნაშ არაფერი მოგწონს ჩემი?!

— რატომ არაფერი, ვერაფერი მომწონს, აქ რახან ვარ.

— რაღა?! დიდი შეღავათია!.. მაინც რა მოგწონს?! — ისევ წაუვიდა, კვლავ გამობრუნდებაო, იმ იმედით გასძახის, მაინც რა მოგწონსო.

— რა მოგახსენო, ვანა უსათუოდ უნდა გამოითქვას?

— უნდა გამოითქვას, ყველაფერს თავისი სახელი აქვს, მოწონებაც განისაზღვრება...

— მაგრამ განცდა თუ დანაწევრდა, უფერულდება.

— ეს სიტყვის ბანზე აგდება. გამოთქვი უფრო ნათლად, ნათლად გამოთქვი, რა გეშინიან, შენ ხომ ასე პირდაპირი ქალი ხარ, თქვი, რა მოგწონს ჩემი, სახლი?

— რა?!

— რაც გაიგონე...

— მაინც?!

— სახლი-მეთქი!.. მივიხედი?! ჰა, ჰა, ჰა... ვერ მოგართვეს!.. იმდენი სიფრთხილე მაქვს, რომ ვერავინ ვერაფერს გამომჩნება. შენ რაღას გამომჩნები?! ხელი არ მოგვიწერია, რას გაიტან?!

როგორც მოსულხარ, წახვალ ისევე. — სანდრო ნელნელა ადის კიბეზე, შემსუბუქებული, გამარჯვებული, მოლიმარი გამარჯვებულის სიამაყითა.

მაგდა მოდუნდება, როიალის სკამს გამოსწევს, ზედ დაეგდება.


— რა ვერაგი ყოფილხარ, — ამბობს მაგდა, გაკვირებული ამბობს.

— ესა ვყოფილვარ, რაცა ვყოფილვარ!.. — ხელებს გაშლის სანდრო, შეჩერდება, გადმოჰყურებს ხელბეგაშლილი, — გგონებ ნათელია ყველაფერი.

— ნათელია...

— ვიმედოვნებ ბევრი ახსნა-განმარტება აღარ დამჭირდება — მოაჯირს ებჯინება სანდრო, თითქოს ძლიერი ნახტომისათვის იმართებაო.

— იმედი გქონდეს... დუნედ, ოღონდ, დაბეჯითებით მიუგებს მაგდა, დაბლა იცქირება, არც იცქირება, რა-



დაც ემწევა, სიმწვავეს ებრძვის; რა-
დაც ემწევა და სიმწვავეს გამოსთქვამს,
—ოღონდ არ მინდა მცდარი აზრი დაგ-
რჩეს. ანვარებით რომ შემოქმედა, ასე
გულუბრყვილოდ როდი ჩაგივარდებო-
დი ხელში. ცუდს ნუ იფიქრებ. აქა-
მომდე გულწრფელი ვარ. შენდამი, სხვა
ვანზრახვით არასოდეს არაფერი მით-
ქვამს, რაც მითქვამს, ისა ყოფილა პირ-
დაპირიცა და ქვე აზრიცა.

— დაე ვგრე იყოს, — თამამად, ავდე-
ბით მიუგებს სანდრო, — მაგრამ იოლადა
მანც ვერ დამარწმუნებ. შენც აღარ
მოინდომებ დამარწმუნო თუ ვაგახსე-
ნებ, რა გამომწვევად ამბობდი: აქ ერთ
ვინმეს საძირკველში მარმარილოც ჩა-
უტანებიაო.

— ის ერთი ვინმე შენ ხომ არ იყავი?
— დუნედვე იცინის, თავს აიღებს, არკი
შეჰხედავს.

— ვითომ არ იცი!..

— არა, არ ვიცოდი!.. ვამბობდი, რო-
გორც გამეგონა, როგორც ვიცოდი;
სხვანაირად არც არაფერი გამეგებოდა.
ბავშვებთან თამაში მახალისებდა, გამო-
მეცადა სიმწარე მამის სიკვდილისა,
სულ ეს იყო ჩემი ცხოვრება, ჩემი გა-
მოცილება. შენთან ვცანი მთელი
ცხოვრება. მაღლობას არ გიძღვნი ამ
დამსახურებისათვის, არ მინდოდა, გა-
მეგო ასეთი ცხოვრება, ასეთნაირად არ
მინდოდა, გამეგო. არ მინდოდა, მაგრამ
მოხდა ასე. გულდაგულ აღარავის მივენ-
დობი ამერიდან, გულთან ადვილად
არ მივიტან ყველაფერს. მაგრამ ახლა
მანც, ამ უღელტეხილზე ჩემი ცხოვრე-
ბისა, არ მინდა იფიქრო, თითქოს რაიმე
ქვენა ზრახვამ მომიყვანა შენთან; არ
მინდა ეგონოს ვინმე ვერაგს, თითქოს
ოღნავ მანც, სულ ერთიბეწოთი მანც
იმას მივსვავსებოდე.

— როგორთუ, ვერაგს?! — სანდრო
წარბებს შეჰყრის.

— ეს სიტყვა უკვე ვითხარი, მხო-
ლოდ გიმეორებ, წელან არ ვითაკილნია.

— წელან სხვა იყო, ჭერკიდევ... ჭერ-
კიდევ ერთნი გვეთქმოდა.

— ნეტავი როდის გვეთქმოდა ერთ-

ნი?! რაღა არ ვიღონე, მაგრამ არ მარ-
ხერხდა. ეგება მე არ მეყრდნობა
შენი ბრალია. ახლა ვერას ვიტყვი,
ოღონდ ის მანც ცხადია, ვერ ვიგრძე-
ნით სულიერი ნათესაობა, არა და არ
მოხერხდა ჩვენს სულთა კავშირი, უამი-
სოდ კი ერთად ცხოვრებას აზრი არა
აქვს. უამისოდ არც ახალი სიცოცხლე
ჩვენს თავს. სულთა კავშირი...

— პა. პა. პა... გვეც დიდი დიდედის
ზღაპრებიდან ხომ არ არის?! — უცნაუ-
რად ჩაიციენებს, სახის ნაკვეთბსაც უც-
ნაურად ჩაჭიმავს სანდრო.

— პა!.. — დუნედ ჩაახველებს თუ ჩა-
იღიმებს მაგდა, — აქამდის შენვე იყავი
სასაცილო, ახლა თითქოს ცინიკოსის
ჩვევებს ეტანები, ერთი უკიდურესობი-
დან მეორისკენ მიიწევ. მაგრამ არც ეგ-
რე ადვილია გადნაცვლება. ყველაფე-
რი დიდიდედის ზღაპარი არ არის და
არც ყველა ზღაპარია დაუჭერებელი.

— ეგ საკითხი ფოლკლორისტებს
დაფუტოვოთ სადისკუსიოდ, — ირხვეა
სანდრო, თითქოს უნდა აიჭიმოს, უფრო
მაღალი გამოჩნდესო.

— ფოლკლორისტები უჩვენოდაც გა-
მოსძებნიან სადისკუსიოს.

— ყოველშემთხვევაში ჩვენ მოვრჩეთ
— კვლავ სიმკაცრეს მოიგვრის სანდრო,
ხელახლა ხომ არ გამექცა სიტყვაო.

— მოვრჩეთ. ოღონდ ის მანც არ
მითხარი...

— რაღა არ მითქვამს?! — მარისხანებს
სანდრო.

— რომ არ დაგრჩება ცუდი აზრი
ჩემზე.

— არ დამრჩება, — ყვირის სანდრო,
არც არაფერი დამრჩება, არც ცუდი,
არც კარგი, არაფერი, სრულიად არაფე-
რი. შენამდევ შემხვედრიან ქალები,
არაფერი დამხსომებია იმათი, სახეც
აღარ დამხსომებია, შენც აღარ მხსო-
მები, რომ შემხვედე, ვერც გიცნობ. რა-
ღა გინდა მეტი, კიდევ რას მოითხოვ?

მაგდას ცრემლით ეცემა თვალები,
წამოუყვია, დაწვებს ჩაივლის, დაედინება
გულისპირზედა, უხმოდ დაედინება.
ეგებ უნდა მოსთქვამდეს, ალბათ, უნ-

და მოსტყვამდეს, მაგრამ ეგებ ასე მეტი სიმწვავე ამოაქვს, სიმწვავე შეურაცხყოფილი, დამცირებული ქალისა. ასეთ დამცირებას ვერც წარმოიდგენდა,—ვიდაც შემთხვევით შეხვედრილ ქალებს აღარებს ქმარი, იქამდე დაჰკარგოდა გონება, იქამდის განრისხებულიყო; ეგება აქამომდე არ უნდა მიეყვანა, ეგებ თავისი ბრალია,—გასცლოდა დროზე; თუმცა როგორ უნდა გასცლოდა, ვერ გავიღოდა აქედან უფლებით გაყრილი ცოლისა. ცოლის უფლება არცა ჰქონია, თავიდანვე მოსჭრია, თავიდანვე აზხვევია თვალი. ის საცოდავი ქორწილი რა იყო, ხასებსაც ბევრად უკეთეს ვახშემებს უმართავენ, რათქმაუნდა, ბევრად უკეთესი ვაქცალები. ხასა ყოფილა და გადის, როგორც ხასა მოძულეებული. უფრო როდისღა დამცირდებოდა, სხვა რიღასთვისღა უნდა ეტირნა მოთქმითა?!—სხვა არც არაფრისთვისა, მაგრამ ამისთვისაც დაჰკარგოდა მოთქმა, ცრემლიც ჩაუშრა, უეცრად რომ გადმოსჩქეფდა, უეცრად ჩაუშრა დაწვებიც შეაშრა, გულისპირიცა. მხოლოდ ტუჩები ეგრიხებოდა. ალბათ, ესეც ტირილია, მშრალი ტირილი, მშრალი მოთქმა შეურაცხყოფილი, დანაჯრული გულისა. ნუ, ასე ნუ გახვალ,—გული უკივის, ასეთი აზრით ნუ გაგისტუმრებს!.. — უკივის გული და ეურჩება აზრი, ისიც მოდუნებული, ოღონდ უფრო ფხიზელი, ვიდრე გულია,—უარესს იტყვის, უარესია მაგისგან მოსალოდნელი, მეტს რაღას იტყვის?!—ეს გულია გაკვირვებული. ვინ იცის რასა,—აზრსაც არ ძაღლუმს, განსჭვრიტოს რასა, — ვინ იცის რა აღარ არის მოსალოდნელი ასეთი ვერაგისაგან! ჰო, ვინ იცისო და უარესად ჩაიფუფქება გული.

თითქოს გაშრება, გამოიფიტვის მთელი სხეული, მხოლოდ ხელი შეიბრხევა, თითქოს უკანასკნელი დაძაბვა სხეულისა, მაგრამ კლავიშებს მოხვდება თითები და აღიძვრის სურვილის ნასახი, აღიძვრის, აიზიდება სურვილი მუსიკისა, იმ ცრემლივითა, უეცრად რომ წამოსტდა, უეცრადვე რომ გადაიყარა.

მხოლოდ ეს არის, არ იცის, რა დაუქრას. ბავშვებთან საბავშვო სკოლებში უკრავდა, ჩიტჩიორებში, მშვენიერების ნაძვის ხისა თუ ყვავილების სიმღერებით ართობდა. კარგად ეს ახსოვდა, არ ავიწყლებოდა. მუსიკის სკოლისანი დავიწყებოდა, უნდა მოგვგონებინა, რახან აღძვროდა სურვილი, მოგონებაც უნდა გასცხოველებოდა, ოღონდ თუ მოიგონებდა, მკეჭარ, მკრგვინავ პიესებს მოიგონებდა, რასაც ასწავლიდნენ, იმას მოიგონებდა. ასეც უნერგავდნენ, სევდას არ უნდა მიეცეს ადამიანი, უბედურებას არ უნდა დაემორჩილოს, უნდა შეეძას ძღვეამოსილიო. მკეჭარი მუსიკა ასეთ დროს უნდა ადამიანსაო; ჰო, უნდაო, ოღონდ უცნაურია, იმას არ უნდოდა, ვინ იცის არც სხვას უნდოდა, მხოლოდ ფილმებში თუ ზნებოდა ასე, ცხოვრებაში — არა. ცხოვრებაში ასე თუ იყო, დამძიმებულ განწყობილებას დამძიმებულებივე მელოდია თუ მოალბობდა, მოუსალბუნებდა, ისიც სხვის მიერ შესრულებული, თვითონ ხელი არ ემორჩილებოდა. არც არაფერი აგონდება, არც ხელი მოსდევს, თითები ეხვლანჯება, კლავიშებს რომ ეხება, ყრუანტელი უვლის. უნდა ადგეს, უნდა წავიდეს, ეს უეცარი თუ უცნაური სურვილი უფრო დააბნევს, უფრო დაამცირებს; ჰო უნდა ადგეს და ვერც აძღვარა. ვიღაცა უნდა, ვიღაცამ უნდა წამოჰკრას ხელი, ვიღაცამ უნდა გაამხნოს, ნუგეში უნდა სცეს, უნდა აამაღლოს, რწმენა დაუბრუნოს, ისე ვერ ივარგებს, ვერ მოახერხებს, ვერც ადგება, ნაბიჯსაც ვერ წასდგამს, ვიღაცა უნდა!.. და არავინ რომ არ არის, კლავიშები იქ არის, მხოლოდ შესაფერისი მელოდიის მოგონება უნდა. რაღაც ასეთი სკოლაშიც ასწავლეს, მცირე ხანსა ჰყავდათ ერთი თავისებური მასწავლებელი, კიდევაც აკრიტიკებდნენ, ედავებოდნენ, პროგრამას არ მისდევსო, იმისგან უნდა ახსოვდეს, ოღონდ გაიხსენოს თუ გაიხსენებმს... თითები დაბიძან კლავიშებზე აღარ იხვლანჯებიან, თავისუფლად დარბიან, რაღაცას მიაგნებენ, ჰკარგავენ მა-

შინვე, ისევ მიაგნებენ, მაგრამ ეს დასაწყისი არ არის, სადღაც შუიდან უნდა იყოს; არც ავტორი ახსოვს, არც საწილწოდება ნაწარმოებისა, არც საწყისი თუ ბოლო, ოღონდ ეს მაინც შუიდან უნდა იყოს. ახ, დასაწყისი, ახ! მაშინაც ბევრს ეწვალა, დასაწყისი უჭირდა, ძლივს ისწავლა, ძნელად ისწავლა, ადვილად დაეწივებია. იპოვნის, გაიხსენებს, თითები მიაგნებენ, ისევ გახელდნენ, მიაგნებენ, უთუოდ მიაგნებენ...

სანდრო საწერ მაგიდას დაასკდა, იქა ბდღვინავდა, იქ ესმოდა ხმა საკრავისა, იქა ბორავავდა, მაგიდა თუ უნდა დაამტვრიოს, დაანაფოტოსო სხვა რაღა ეღონა, აღარ გაეგებოდა, ეგონა, რჩებო, ეგონა მაინც არ მიღისო და რაღა ჩაედინა, ველარ მოეფიქრნა, ვერ მოეკრიფა აზრი. არ გაეგებოდა მაგდას სულისკვეთება, ვერ შეეგნო თუ როგორ გაცივებულიყო იმისი სახლი მაგდასთვის როგორ ირიდებოდა, როგორ აძევებდა თვით სახლი ყინულის კედლებიანი ყინულის ჭერაინი; ყინული წვეთავდა ჭერიდან, სქელდებოდა ყინულის კედლები, სუნთქვაც იყინებოდა, ფენაფენად ედებოდა ყინულის კედლებსა; რათქმუნდა, იყინებოდა, მაგდას სუნთქვა რას გააღობდა იქაობასა, ეგრძნო, გაეგო, ვერ დასძლევა პოლარულ სიცოცხესა, დარწმუნებულიყო და ამოდ გაწეულ შრომას ეთხოვებოდა, იმედებს ეთხოვებოდა, ძალას იკრეფდა აქედან გასვლისათვის. იმას არ გაეგებოდა, არც უნდოდა გაეგო,—წასულიყო, მორჩა და გათავდა, რის გამოთხოვებო, რა იმედებო, რის დაკარგული წელიწადიო, რა შერყეული რწმენაო, რა ბედენა იყო ეს გრძნობისა თუ ზნეობის ნაფლეთები, ვის რას არგებდა, ყოველშემთხვევაში, სანდროს რაში გამოადგებოდა. ეგება ჰგონია სანანულს გაუღვიძებს მუსიკითა,—ჰა, ჰა, ჰა. დაჰხარხარა მაგიდასა და კინაღამ კარგ ხასიათზე დადგა. მართლა გულბრყვილო თუ არის ეს ქალიო: ნუთუ ჰგონია, მუსიკა მოაღობოს, ააჩვილებს, მიიბრუნს და ფეხებში ჩაუვარდება

გულაჩუყებულო. ასე მუსიკის თავისი მცემელნი ლაპარაკობენ, აფხვანენ მუსიკის ძალას, პოეზიის მოჭყაჭყანს მხატვრის ძალას ადიდებენ, გარდამქმნელ ძალას, შთამაგონებელს, ამაბილლებელს, გენიალური მუსიკოსებიც ბევრნი მოვლენილან, გენიალური პოეტებიცა, მაგრამ კონფლიქტები არ განელებულა, არც ერთი ბოროტება თუ ვნება არ დაუცვრიათ არცა მუსიკოსთა, არცა პოეტთა, პირიქით თვითონვე ყოფილან ყველაზე ვნებიანი მოშურნენი ერთიმეორის ნიჭისა, არც სხვა რამ ცოდვა დაპყლებიან, უმწიკვლოდ ვერ გამოსთხოვებიათ ამ ცხოვრებას. შთამომავალნი მაინც ეთაყვანებიან, გაბრუებულნი ისმენენ უწმინდეს განცდებს, მისწყდება მელოდია და განცდაც მისწყდება, იქვე მიჰქრება. აიშლება ზრუნვის ფიქრები, აიშლება ავი ზრახვანი. ეს ეგებ არც აპირობს, შესწვევითს დაკვრა, ეგებ ჰგონია, გათანგული მისმენსო, შევიბყარო, ჩემს ხელთ არისო, არ შეგჩერდები, რომ ასე მყავდეს, ასე შეკრული, ასე შეგაქულიო. ჰა, ჰა, ჰა, მაგიდას ღონივრად ხედება მუშტები, ბრახუნებს მაგიდა, იქამღისაც მიალწევს ის ბრახუნი, რომ მიალწიოს, სულაც დაამტვრევს, ნაფოტებად აქცევს,—მაინც არ შესწყვეტს, მაინც არ გაეცლება? როილსაც დაამტვრევს, მაშინ რაღას იზამს? ჯანდაბას როილი, ოღონდ მოაცილდეს მოსწყდეს თავიდანა.

საკრავის ხმა მინელდება, მიყუჩდება. მერე ფეხის ხმა ისმის, ხან აჩქარებული, ხან მიწყნარებული, მაინც აფუსფუსებული,—დასახლისობას ხომ არ დაუბრუნდა? დაატკო მუსიკითა, მოანანიებინა სიტყვა თუ სატყვილი, მიუტევა და დაფაცურდა ხელმარჯვე დიასახლისი? ჰმ! კეთილი, ეგრე გეგონოს, იფუსფუსე, იტრიალე, იბროწიალე, ვნახოთ ერთი როდემდის იფუსფუსებ, რას გააკეთებ,—ყავას ხომ არა? ჰოო, მოამზადე, დაგელოდება, შეუტანე, ქოშების ცურვით, თითქმის უჩქამოდ შეუტანე, ხელი არ შეეუშალოო, შედი, შეუტანე, გაივებ თუ რა ყოფილა ძალა შენი მუ-

სიკისა, როგორ განწყვენდილა, როგორ ამალელებულა, გაიგებ და კიდევაც დამთავრდება ეს თამაში... ფენის ხმაცა წყდება, სულ წყდება. თუმცა არა, აგერ ამოდის კიბეზე, დაბლა ჩასულა, ახლა აქ დაბაკუნებს, მალევე ჩადის, მერე ამორბის, ამორბის და ჩარბის. სირბილიც თავდება. ალბათ, ფიქრობს შევიდეთ თუ არაო, ალბათ, ყოყმანობს, გეყოფა, შემოდი, შემოდი, პა!.. არ შემოხვალ და თვითონვე გამოვა. და სანდრო გავარდება მოთმინებადაკარგული, ცოფმორეული, სამზარეულოს ეცემა, იქ არ დახვდება, მაშინ შემოირბენს ყველა ოთახს, ეზოშიც, მარანშიც ჩაიჭრება, ვერსად იპოვნის, ისევ საწოლში შედგაფუნდება და გამოღებულ კარადით მიხვდება, წასულაო. კარადიდან თავისი სამოსი გამოუღია, მხოლოდ ის, თან რომ მოჰყოლია, სანდროსთან შეძენილისთვის ხელი არ უხლია. ბევრიც არაფერი შეუძენია, მაინც არ დაუკარებია ხელი; რაც მოუტანია, წაუღია, ერთი ბოხხით მოვიდა, ერთი ბოხხით წასულა. ლოგინიც მოჰყვა, აუკეცნია ლოგინიცა, ჭაღალდი დაუგდია: „გადმოშიტანენ“⁴. კეთილი და პატიოსანი, მოვიდნენ და წაუღონ, ეს კაბებიც წაატანონ, რა მოხდა, არ დაამუნათებს. ჩანათაც დაუგდია, ეს ჩანათა ბოლო მოგზაურობისას შეიძინა, ძალიან მოსწონდა, მაინც დაუგდია, ბეჭედიც დაუგდია. წინდახედულად მოჭეცულა, ბეჭედს არ დაანებებდა, ბეჭდით აღინიშნა იმათი შეკავშირება, განშორებაც ბეჭდის ჩამორთმევით უნდა აღნიშნულიყო; ესეც არ იყო ბეჭედი დასჭირდება. ბეჭედს საფულეში ჩაიდებს, ვინ იცის, სად დასჭირდეს. ვინ იცის, რა დროსა, თან უნდა ატაროს.

მაგრამ რილას იმედი ჰქონდეს,—ოცდაჩვიდმეტისა უნდა გახდეს, თვეებიღა დარჩენია, უკვე ითქმის ოცდაჩვიდმეტისა, უკან დარჩა ოცდაათექვსმეტი და იმედებიც იქვე დარჩა, თუ დაუჭერებს იმ ახირებულ თამადას. არ დაუჭერებს, არც დაუჭერა, შეეკამათა, პირში თუ არა გულში ხომ ბევკერ შეეკამათა. თუმცა მაინც შეშინდა, უნდა გამოტყდეს. მა-

ინც შეშინდა, ამიტომაც აჩქარდა, ოცდაათექვსმეტშივე მოასწორა დაიხსნება, ხელზე თუ არ მეყოლება შეშინი, ჩანასახში მაინცა მყავდესო. პო უნდა გამოტყდეს, მარტოა, მოთვალთვალე თუ გულთამხილავი არავინ არის, უნდა აღიაროს, შეშინდა და აჩქარდა. ამისი ბრალი უნდა იყოს ყველაფერი. მაგდაც შიშს აბრალებდა, ის შიში სხვა უნდა იყოს, მაგრამ შიში შიშია და შიში აფუჭებს ბევრ რამეს, ძარღვეებს აფუჭებს და რაღა სიკეთეს უნდა ელოდეთ ძარღვებმოშლილი ადამიანისგანა? თუმცა ეგრეც არ მორეოდა შიში, უნებლიე იყო, ყრუ იყო, მიაფუჩეჩა და განაგრძო, მოიშორა, ისიც მოიცილა, ახლა მარტოა გულმტკიცე და შეუპოვარი. აჰა, გადასცილებია ოცდაათექვსმეტსა, რაც დაჰკლებია, შეიგესებს, ოთხმოცისაც რომ გახდება, ასევე იმედინად გალევს დარჩენილ დღეებსა ან რატომ დღეებსა,—გაზეთები ასზე მეტი ხნის ადამიანების სურათებსა ჰხატავენ,—დარჩენილ წლებსა.

ეს, რაც მომავალს შეეხება, ხოლო ამჟამად, რომ ვერ წარმოედგინა, იმხელა თავისუფლება მოუპოვებია: ისადილებდა თუ არა თავის ოთახში უნდა გასულიყო, მაგდას უნდა ჰკონებოდა, თავგადაკლული მუშაობსო, ისიც ემხო მაგიდასა, ემხო და თითქმის იკრუნჩხებოდა. არა, რაღაცა გააკეთა. სულ ოცდვილო. მთლად გაავება როგორ იქნება,—უთუ ოდ გააკეთა, მაგრამ იმდენი იქ ჯდომაროდი უნდოდა; როგორღაც შებორკილიყო, არავინ არაფერს უშლიდა, მაინც შებორკილიყო, თითქოს იმისი აღარ იყო სახლი, იმ ოთახის მეტი აღარაფერი ეკუთვნოდა ან თითქოს დამცირდებოდა, საწერ მაგიდასთან თუ არ იჯდომებოდა თავაუღებლად. დამთავრდა ეს დაბრკოლება თუ შინაური ტყვეობა. უფრო მეტიცა, თითქმის წამება დამთავრებულა, შეუძლიან შემოირბინოს მთელი შენობა, უსტეინოს, მალაყზე გადაიაროს. თუმცა არა, სტეენა მაინც არ ივარგებს, გაუგონია, სახლში სტეენა ცუდის მომასწავებელიაო. ცრუმორ-

წმუნეობაში ნუ ჩამოართმევთ, გნებავთ, ჩამოართვით, არ დაუსტვენს, ოცდათქვესმეტს გადასცილებია და ვინ იცის,—არა, რათქმუნდა, არაფერი, მაგრამ მაინც არ დაუსტვენს. ან რა წესია სახლში დასტვენა,—მალაყს გადავა, იმღერებს, იცეკვებს, რასაც უნდა ჩაიდენს, მხოლოდ მოსაჩვენებლად აღარ მიუჯდება მაგიდას.

XIII

მოსაჩვენებლად ხომ აღარა, მართლაც არ მისჯლომია მაგიდასა; რედაქტორმა რომ აწყენინა, ეს იმიტომ, ოღონდ არც ემღერებოდა, არც ეცეკვებოდა მალაყისა რა მოვახსენოთ, — არც ცეკვა ეხერხებოდა, არც მალაყები, სიმღერაც არ ეხერხებოდა ეგრერიგადა. ესეც არ იყოს, სიმღერა კიდევ ჰო, მაგრამ მარტოდმარტო ხომ არ იცეკვებოდა, რა გამოვიდოდა, რას ემკვანებოდა?! ერთსიტყვით, მალე ისევ მოსაწყენი გახდა საღამოები; ბელმა გაუხადა მოსაწყენი, ბელმა გარეთ გამოიყვანა, ატარა, ატარა და კვლავ ჭადრაკის მეგობრის კარს მიაყენა. ერთი ხმაურით, ერთი ზარზეიმით გაიღო ის კარი. შეიციხადა ჭადრაკის მეგობრის ცოლმა, ჭადრაკის მეგობარს სამსახურში ხომ ხვდებოდა, იმანაც შეიცხადა,—რა მოხდა, როგორ გაგვიხსენე, დედაო ტკბილო, რა სასიხარულო საღამო დაგვიდგაო. ჭადრაკის მეგობრის ცოლი კიდევ ვიღაცას დაეძებდა, ცერზე ღებებოდა, ზურგსუკან უნდა გადაეხედა, ზურგსუკან თუ გეფარებო; არავინ ეფარებოდა და უკვარდა, ნუთუ მარტო მოხვედით. „ნუთუ?!“—წარბებმა სკიმივდა ჭადრაკის მეგობარი. კარებშივე იდგნენ, კარებშივე ხდებოდა ეს ამბავი, დაეწყებოდათ, რომ უნდა შეეწვიათ. ბავშვიც იქვე ფეხებში გაუძვრათ და შეაცოცდა ძია სანდროს,—დეიდა მაგდა დაგვიბრუნდაო,—შესძახა და შეეტოტინა. დედამ ფეხები დაუბაკუნა, ხელი წაავლო, კინწისკვრით შეაგლო ოთახში. მეგობარმა აჩქარე-

ბით შეიწვია პირდაპირ ჭადრაკის კუთხესთან მიიყვანა, დაფა გაუშალა და რომ ხელი გაკრა ფარდს, თხიჭქის შეუქმნეულად გაკრა, ცოტა გადაიწიოსო. არ უფიქრია, თავისთავად მოხდა, თავისთავად იჩინა თავი ძველმა ჩვევამ.

აგერ იგივე ქუჩა, ხალხიც თითქმის იგივეა, იმან ესოდენ მღელვარე წელიწადი გადაიტანა, აქ თითქმის ისევე ყველაფერი: ინსტიტუტიდან ხანში შესული ქალები გამოდიან, ლექტორები ბრძანდებიან, გაუთხოვარი ლექტორები, ლექციებს მორჩენილან, გამოდიან როგორღაც უცნაური ნაბიჯით,—აღარც აქ უნდათ, არც არსაით ეშურებიან; სტუდენტები გამოსდევენ, ცოტას მოერიდებიან, მერე შესცინებენ და ჩაურბენენ ტურიაციტ. იქ, შორს დიანა მოჩანს, ის ინსტიტუტისაკენ თუ მიემართება. მოტურიაციტნი შეეფეთებიან, შემოეხვევიან, საითღაც ეწევიან, არ მისდევს უნდათ დაიყოლიონ... ჭადრაკის მეგობარი არ ეშვება, გაზეთს აჩრის, საინტერესო ეტიუდია, ახლახან კონკურსში გაიმარჯვაო; არც ჭადრაკის მეგობრის ცოლი ეხსენება, ის არცერთს აცლია: ჭადრაკის მეტი არაფერი გახსოვთ, ცოტახანს ყურადღება დამითმეო,—სკამს იქვე მისდგამს და რაკრაკებს:

—მაგდა როგორ არის? რატომ არ წამოვიდა? რა მოხდა, რატომ აღარ დავდიხარ ჩვენთან? ახლა ჩვენ ნათესავეები ვართ, ნათელმირონები, უფრო ხშირი მიმოსვლა უნდა გვქონდეს. მაგდა ალბათ ძალიან კარგად გრძნობს თავს, ცხადია, ბედნიერი ოჯახი შეხვდა. მე მაინც ნაწყენი ვარ, გადაეცით, რომ მწყისს, უნდა მომიკითხოს. მეც კი ვტყუივარ, მაგრამ მომეტევება, ეს სამსახურიო, ეს ოჯახიო, კინოში წასასვლელად ვეღარ მომიცლია. რამდენი გამოეტოვო!.. თქვენ არაფერს გამოსტოვებდით. თეატრში შესანიშნავი პრემიერა იყო, იქ გათვალისწინებდით, ალბათ, წასულეში იყავით სადმე. დრო გაქვთ, საშუალება გაქვთ, ხალხით სავსენი ხართ. რატომაც არა, უნდა იმოგზაუროთ. ჩვენც პირველი წელიწადი

სულ აქეთ-იქით გავატარეთ. როგორი დიასახლისი გამოდგა მაგდა. ცხადია, საუცხოო. მაშინდელი საქმელების გემო ახლაც პირში მიდგას. პატარძალმა მოამზადა ქორწილი, ეს დიდი რამ არის. დღეს გაპატიებთ უიმისოდ რომ მოხვედით, ამ ერთხელ გაპატიებთ, მეტ პატიებას აღარ ელოდეთ!..

პირს ალებს სანდრო, უნდა უთხრას, ოღონდ დროს ვერა პოულობს, გააღებს და მოკუშავს პირს, როგორც იქნება დროს უხელთებს:

—ნუთუ არ გაგიციათ?!

—რა, რა უნდა გაგვეგო?!—თვალეები გაუფართოვდება ჭადრაკის მეგობრის ცოლს, ოღონდ ისე გაუფართოვდება, ისეთი ღიმილი გადაჰკრავს ტუჩებზე, ცოტა დაკვირვებული რომ ყოფილიყო სანდროი, მიუხვდებოდა, ყველაფერი იცის, დაწვრილებით მოეხსენებაო. —კოწიკ, ბავშვს მიჰხედე!.. — ბრძანებს დიასახლისი. ბავშვს კარადასთან მიუღვამს სკამი, კარადაზე იჩახება. —კოწიკ, მიხედე-მეთქი!.. — კიწიკი ანუ კოტე, ჭადრაკის მეგობარი ეტიუდს დაეხსნება, ბავშვისაგან მიიზღავნება, თან ცოლს გადაავლებს თვალსა: რად გინდა ეს თამაშიო, ამგვარად გადაავლებს თვალს სანდროს ესეც გამოეპარება ან ვერ მიხვდება თვალთაშუაშუალებას. —რა უნდა გაგვეგო?—ამბობს სუნთქვამომატებული დიასახლისი, —რას გვიძალავთ? ჩვენთან რა უნდა გქონდეთ დასამალი?!

—არაფერი, —საჩქაროდ მიატანს სანდრო, —დასამალი რა უნდა მქონდეს ოღონდ მგონი, უნდა იცოდეთ..

—საიდან?!—გაკვირვებს ქალი—სახლი და სამსახური, ესაა და ეს, გამოუკეტილვარ, არაფერი აღწევს ჩემამდე. კოწიკ, შენ იცი რამე?

კოტეს ბავშვი ჩამოჰყავს, კოლოფები ჩამოაქვს კარადის თავიდანა, ყურს არ ათხოვებს, ვითომც ძალიან გართული ვარო.

—შეიძლება არც კოტემ იცის.. ჩვენ დავცილდით..

—ღმერთო ჩემო!.. —ლოყებზე თი-

თებს ჩამოსევამს ქალი, ისე, თითქოს უნდა ჩამოიკაწროსო. ~~საქმე~~ შეშინდებით, არ ჩამოიკაწრავს, ნახვად წამოსევამს, მსახიობურად. — ეს რა მესმის!.. წარმოუდგენელია!.. დაუჯერებელია!.. არა, თქვენ ხუმრობთ!.. კოწიკ, შენც ასეთი ხუმრობა თუ გჩვევია, იცოდე, მართლა გაგეყრება.

არც ახლა ეპასუხება ქმარი, ბავშვს კოლოფებს უწყობს, ხან ეტიუდისკენ გაუბრძის თვალს.

—არა ვხუმრობ.—სანდრო ამბობს.

—ნუთუ?!

—გეფიცებით!..

—მაგდა დაიფიცე!

—ჰა, ჰა, ჰა... რაღა აზრი აქვს?!

—ღმერთო კი მომკალი!.. —ბავშვი

კოლოფებს დაუყრის კალთაზე. —კოწიკ, მომაცილე ბავშვი!.. — მრისხანებს ქალი, თითქოს ვინმეზე უნდა იძიოს შური და ემანდ ბავშვი არ მემსხვერპლოსო. ქმარი ბავშვს მოაცილებს, თან იშმუშნება, რაღაც არ მოსწონს, „კოწიკი“ არ მოსწონს, მაგრამ იტანს. მიზეზი მაინც რა უნდა ყოფილიყო?! — კითხულობს ქალი, ისე კითხულობს, თითქოს კიდევ არა სჯერაო.

—ჩვეულებრივი, ხასიათით ვერ შევეწყვეთ. მე ასე ვფიქრობ, ისიც ასევე ფიქრობდა: ცოლქმარი თუ ვერ შეთანხმდებიან, არ უნდა სტანჯონ ერთმანეთი. ცოლქმრობა სულთა კავშირია, — თავი ჩააღუნა, მაგდას ნათქვამს იმეორებდა, იქ არ მოსწონდა, აქ თავმომწონედ იმეორებდა, —თუ არ მოხერხდა სულთა კავშირი, ბედნიერებაც აღარ არის მოსალოდნელი. რაც უფრო ადრე მიხვდებიან, რაც უფრო ადრე დასცილდებიან, მით უკეთესი.

—ისიც ასევე ფიქრობდა?

—ასევე?..

—აჩქარებულხართ! სულთა კავშირი ადვილი მოსაპოვარი არ უნდა იყოს. თუმცა ჩვენ მალე დავმეგობრდით, არა, კოწიკ? გაცნობის დღიდანვე ვიგობნით ერთმანეთი, მაგრამ ხშირად ცოლქმარნი ძალიან გვიან მიხვდებიან ზოლმე, უერთმანეთოდ რომ არ შეუძლიანთ.

— ჩვენ დროზე მივხვდით, რომ ერთად არ შეგვიძლიან.

— დღეს მიხვდით...

— დავიწყებასაც მივცა.

— ვითომ?! მამ ტყუილი ყოფილა, რაც ერთხელ სულსა ზედ დააჩნდების.

— საშვილიშვილოდ გარდაეცემის. — თითქოს წაიძღვრებს ჭადრაკის მეგობარს.

— რაც არ დააჩნდების? — ღიმილით იკითხავს სანდრო.

— არც გარდაეცემის, — კვლავ წაუძღვრებს ჭადრაკის მეგობარს.

— რანი ხართ მამაკაცები!.. თქვენთვის ყველაფერი ადვილია, მაგრამ აბა წარმოიდგინეთ საბრალო ქალის გული!

— ის შეგნებულად შეხვდა ამ შედეგს. — ამბობს სანდრო.

— მე რაღა მეთქმის, — თვალებს მინაბავს მეუღლე ჭადრაკის მეგობრისა. მე მაინც ვწუხვარ!.. — თვალებს გაახელს, სახე ვადაეწმინდება, სულ სხვა კილოზე აქლურტულდება, — თქვენი მართო დატოვება აღარ შეიძლება. უნდა იპოვნოთ სულიერი მეგობარი, სული სულს დაეძებსო, უნდა შეხვდეთ, შეხვდებით, ვიცი, შეხვდებით ისეთს, სულიერი სიმშვიდითა და ბავშვებით რომ აგავსებთ, ის ასეთი ძლიერი იქნება, მაგდას ძალა არ ეყო. თუმცა აქ ბუნებაა დანაშაულში. რაც იყო, იყო... მამაკაცის მართო გაჩერება არ შეიძლება, დანაშაულია, დიდი დანაშაული, ასეთ დანაშაულს ხელს ვერ შევუწყობ. კოწიკ, მე ხომ ვიცი როგორ გიყვარს სანდრო, როგორა გსურს მისი ბედნიერება, ვიცი თქმა არ უნდა, ისედაც კარგად მომეხსენება, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, სხვამ ვინა, თუ ჩვენ არა, სხვა არა იყოს რა, ნათელმირონები ვართ... მაინც ნათელმირონები ვიქნებით, ასე მჯერა და რაცა მჯერა, ჭეშმარიტიც არის. — უცებ წამოდგება, უფრო აიჭრება, — კოწიკ, ჩვენ კინოში მივდივართ, ჩვენ, მე, სანდრო და ლალი. ბავშვთან შენ დარჩები. აბა, ლალის შევატყობინებ. — მიდის, მიდის კი არა, მიცეკვავს, მილიღინებს.

შეტყობინებას დიდი დრო არ უნდა, მეგობრები ორი სიტყვის *არქიმანტე* მოასწრებენ. ან რაღა თქვამს *სანდრო* ვენი გრძნობენ, ახალი ბედნიერება რომ ინასკვება და ნასკვში ლალი რომ ამოვა; თქმას თუ ვერ მოასწრებენ გაფიქრება მაინც მოუხერხდებათ. ჭადრაკის მეგობრის ფიქრით: ეს იქნება საუკეთესო დაუღლება, სიკვდილამდის მტკიცე, ერთგული, ბედნიერი, ეს თვით სულთა კავშირი იქნება, მოეფინებათ ზღაპრული სიმშვიდე, ზღაპრული მოხვედრებიანი, სულთა კავშირიც სხვა ხომ არააფერია, გარდა იმისა, რომ აღუსრულო ქალს ყოველი სურვილი, ერთიანობის საწინააღმდეგო სურვილი, ხშირად ამჩატებული, უფრო ხშირად შმაგი, უღმობელი ან თუნდაც ზოგჯერ შმაგი, უღმობელი, ჰო, თუნდაც ზოგჯერაო. — მაინც აღუსრულო, მთავარია აღუსრულო, ერთი წამითაც არ შეყოყმანდ, ისე აღუსრულო; არც დაფიქრდე, ყველაზე მეტად ფიქრი სძულს, ფიქრი აღშფოთებს; ფული არ მოაკლო, ოოო, მთავართა მთავარიც ესა ყოფილა, ფული არ მოაკლო და არც მოიკლებს კავშირი სულთა, ავა, ზეამაღლდება, შეუნივთდება პირველ ძალას და ინეტარებს. იმასთან ვერ მორიგდა, ვერ ამაღლდა, ვერ ინეტარა, მოუთმინარი იყო სული იგი, ფიცხელი, დაუთმობელი, ბავშვის წამოყვანა ხუთი წუთით რომ დაჰკვიანებოდათ. ცეცხლს დააფრქვევდა, იქვე ეტყობოდა, რა სულიც ედგა: იქვე ეტყობოდა და ვერცა ჰპოვა ერთობა. ლალი სხვა გახლავთ, ლალი ამტანია, მომთმენია, დამთმობია, ძალოვანია, უშიშარია, სხვა დანარჩენით შენ რომ აღავსო, აღარც აღარაფერი დააყოვნებს სულთა კავშირსა. ეს ჭადრაკის მეგობრის ფიქრითაო, ხოლო თვით იმისი ფიქრით: პირველადვე ეს უნდა აერჩია, ეს მკვირცხლი, ხალისიანი, თემომრგვალი და გულსაგვე ქალი. თავის ბუნებას აუტანია, ბავშვის სიყვარულს აუტანია, შეუძლიან ბავშვთან დაპყოს წაბმით რამდენიმე დღელამე. არ დაიღალოს, არ

მოიწყინოს, არც მოაწყინოს; ქალობა რომ მისძალებია, ნაყოფიერება რომ მისძალებია, იმისგანაა. ის, აი, ისა, გეზსომებათ, ხელფასისთვის თუ მოიცილის ბავშვთანა, უხელფასოდ ხუთ წუთსაც აღარ გაჩერდება. არაფერსა გრძნობს, გამოფიტულია და გასაკვირიც არ არის. მაგრამ აქამდის რად არ გაეგებოდა ამდენი, აკი ეგონა, ყველაფერი ვიცო, რად ვერ მიხვდა, რად აერია, თუ აეხვა თვალი, სად მიბრუნდა, სად დაეძებდა, როცა აგერ იყო ნამდვილი სამეუღლეო, მისთვის მოვლენილი, მისი სიყვარულით ანთებული და გაგულისებული უყურადღებობითა. მაგრამ ასეც თუ ყოფილა, სხვასაც ბევრს თუ აჩვენებია თვალი, თორემ ანდაზად არ იტყოდნენ, თურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს პანტასაო. აგერა მართლაც თურაშაული, ლოყათურაშაული, თვალმაყვალნი, ცხვირ... ცოტა ცხვირი ვერა აქვს მოყვანილი, მაგრამ რა ვუყოთ, სხვა ვინ არის ყოველმხრივ შემკულიო. არისო, ამასაც დასძენენ, ოღონდ აბა რომელია, აგერ ეს ყოვლისშემძლე ფანჯარა, აბა რომელია? დიანა! აი უნაკლოება!.. სხვა არა ვინ არის, თუნდაც იყოს, კმარა, ფარდა ჩამოეფაროს, დამთავრდა, არჩეულია, გადაწყვეტილია. ოღონდ ჰჰ!.. იყაბულებს, აბატიებს? — საკითხავი აი ეს არის.

ფიქრი ელვისებრი ყოფილა, თქმას ასე ადვილად ვერ მოასწრებდნენ, ვერც ყველაფერს იტყოდნენ, რა ვუყოთ თუ მეგობრებს ირქმევდნენ, მაინც ვერ გამხელდნენ ყველაფერს, ზოგ რამეს ჰო, — დრო თუ ექნებოდათ, მაგრამ შემოიჭროლებს ცოლი ჭადრაკის მეგობრისა, ატაცებული, თვალმოციმციმე, ეგებ იმ ციმციმშიც გაისმოდეს პასუხები იმა საქირბოროტო საკითხავისა. მაგრამ ამოკითხვას ვერ მოასწრებს, მიიძალბება ქალი, ემზადება აჩქარებითა, აჩქარებითვე გამოდის, გვაგვიანდებაო; სხვა არც არაფერი ენაღვლება, კმარს უნდა. თუ არა ბავშვთან დარჩენა, არც ეკითხება. აღბათ, ეს არის სულთა კავშირი, სულმა

სულისა ისედაც იცის, სანატრულე ფანჯარაზეც ეს უნდა იყოს. მართლაც უნდა ღაბს, ყველას ასე არ მოუხერხდება.

ადგება, მისდევს, არც ებოდინება ჭადრაკის მეგობარს, მაშ რაო, ეს რა შუაშია, სულმა სულისა იცის.

ლალი თავის კარებს ჰკეტავს, უღიშის ისე, ესალმება ისე, ვითომც არაფერი მომხდარაო, ვითომც გუშინაც ერთადა ყოფილან კინოშიო. — კარგი ნიშანია, კარგი დასაწყისი. ყოველშემთხვევაში ცუდი არ არის; ხოლო კიდევ უკეთესი ის არის, რომ ჯერ ჭადრაკის მეგობრის ცოლი ჩასდევს კიბეს, მერე ლალი უნდა ჩავიდეს, მამაკაცმა უნდა შეიცადოს, ვზა უნდა გაუთავაზოს, რატომღაც უნდა, მაგრამ ფეხს არ იცვლის ლალი, იცინის, სახე მოციკრებია, იცინის და ფეხს არ იცვლის, მე მერეო, მასპინძელი ვარო. ასე ამართლებს დაყოვნებასა, სხვანიარად არ უნდა გამოსთქვას, სიამაყეს უფრთხილდება, ქალურ სიამაყეს, ოღონდ ანიშნებს, ანიშნებს ქალური შეფარვით, მოგვრძალებულვარ შენს წინაშე, შენს კვალს მოვლევო, — აი უკეთესი, სხვა თუ არაფერი, პასუხია აღძრული კითხვისა: მიყაბულებს, მამაკაცებსო. პასუხი და მერე რა სწრაფი, მერე რა სანუკვარი!.. სხვას ეგებ თვეობით ელოდინებინა, ვინ იცის, ვინ უწყის. განა ადვილია შეირიგო უარყოფილი? — არა, არ არის ადვილი, ან არც მომხდარა, არც გამოჩენილა ესოდენი დიდსულოვნება, წინათ თუ ყოფილა, იშვიათადა ყოფილა, მომავალში თუ მოიმატებს, ვინც შეესწროს, იმან დიეტრებახოსო. მანამდის ეს შეესწრო და ფეხს ჩასდგამს. ჭადრაკის მეგობრის ცოლი ამოსძახის ქვემო სართულიდან, ჩქარაო. ესეცა ჩქარობს, ისიცა, მოკავეებს წვრილი ქუსლები, ლამის ჩახვრიტოს მოზაიკის საფეხურები, წვრილი ქუსლები და ძლიერი მუხლი, ჩახვრიტოს, აბა, მაშ რა იქნება. მიჰხედავს. მართლა ხომ არ ჩახვრიტაო, ლალი შეჩერდება მაშინვე, იარე, იჩქარე, გესმის, ამოგვძახისო. ესეცა ჩქარობს, ისიც, მოკავე

ნებს. კეფაში სცემს წვრილ ქუსლებს, მიჰხედავს, მართლა კეფას ხომ არ მიწიაო; კელავ შეჩერდება ლალი, ჩქარაო, დასძახის, ჩქარაო, ისმის ქვევიდანაც. ისე ჩავლენ მხართან არ გაუსწორდება, კიბზე არაფერია, ქუჩაშიც არ გაპყვება მხარდამხარ. ფეხს შეანელებს. ის კიდევ უფრო მოუკლებს ნაბიჯს, სამაგიეროდ მირბის ჰადრაკის მეგობრის ცოლი, — გაიბნევიან, გაიხლართებიან ხალხში, რის ვაი ვავლახით შეგროვდებიან, ისევ გაიბნევიან, ისევ შეგროვდებიან და ამ გაწამაწამაშიც არ იცვლება მანძილი, ლალი ისევ მისდევს იმავე მორიდებით, მხოლოდ ჰადრაკის მეგობრის ცოლი დაშორდება ხოლმე. ის სიშორე იცვლება. ეს არა. თანაბრად თავაზიანია, თანაბრად მოკრძალებული და ზომიერი.

სადღაც სოფელში შეჰხვედრია ასე მიმავალთა: მამაკაცი წინ, ქალი უკან, წინათ ამ ფათერაკთან ქვეყანაში ასე უვლიათ, ვაჟაკი რთული წინ გავიდოდა, ავთა და ბორცოთა, ფათერაკთა შესაგებებლად, წინ ივლიდა. უნდა დაეფარა ქალი, სუსტი არსება, მკერდით უნდა დაეცვა, უნდა შესწირვოდა. ყვიჩალის ლექსშიც ასე დაუხატავთ, ბევრად აღრეც ასევე ყოფილა, ადათად გადმოსულა, შთამომავლობას გადმოსცემია, წესად დარჩენილა სადღაც სოფელში, აქ აღარა, დიდხანია აღარა. ოღონდ ამას იჭიდან როდი გადმოჰყოლია არა, მხოლოდ გრძნობით აღესილა, დამორცხვებულა მოკრძალებულა. დანაშაულია ამისი ტანჯვა, გამოისყიდის, თუნდაც დღესვე გამოისყიდის. აღარც ეგვიანება, აღარც მარტოობა ეადვილება, მაგდასთან განშორების პირველ დღეებში რომ ეადვილებოდა, ისე აღარ ეადვილება, დახანებაც აღარ ივარგებს, უკან დარჩენილა ოცდათექვსმეტი დღესვეო, „დღესვე თუ იყაბულა..“ ჩააჩერდება თუ იყაბულესო, მაშინ შესასვლელში ატმასნოდნენ ერთმანეთსა, სხვანი აწეებოდნენ, ბევრნი შედიოდნენ ერთად, ის თავის გრძნობას გადაჰფარებოდა, ფრთხილად უნდა გაეტარებინა ჰადრაკის მეგობრის ცოლი სამშვიდობა.

ბოს გასულიყო, ამით არ აჩქარებდა წყნარად ელოდა, ისე კარგად მკმობდნენ, ისე მიკრულ-მიხუტვდნენ, იყავთ თვალებითა, ცოდო იყო აეჩქარებინა ვერც ააჩქარებდა, იჭიდან ერთბაშად აჩვრო-ჩვროდ უნდა შესულიყვნენ თუ შეცვიენილიყვნენ კინო დარბაზში; უფრო შეცვიენდნენ, სანდრომ ვილაცას საყვედურიც უთხრა, ალბათ, ცუდად წაწყდა ლალისა. იმან ყურაც არ შეიბერტყა, ისევ ლალიმ დაამშვიდა. სკამები ჰადრაკის მეგობრის ცოლმა მოძებნა, ხოლო ამასობაში სანდრომ მაინც ვერ დაიდასტურა, იყაბულებდა თუ არა დღესვე; მერე რომ იყაბულებდა, ამას დიდი ჩიჩინი აღარ უნდოდა, ამდენმა მოკრძალებამ ადავსო იმედებით, ოღონდ დღესვე თუ გადასწყვეტდა, ეს უნდოდა, ეს ვერ გაეგო, — ვნახოთო, ჯერ ხომ ასე უნდა ეთქვა, ქალი იყო, სხვას რას ეტყოდა პირველადვე. დარბაზიც ჩაქრა, თვალებით ველარ წაათამამებდა.

მაგრამ ღმერთი არ გასწირავსო, რომ უთქვამთ, განა ტყუილად უთქვამთ: ვიწრო სკამებზე სხედან, ძალიან ვიწროზე. კინოთეატრის ადმინისტრაციამ აღარ იცის კიდევ როგორ დაავიწროვოს სკამები, ქარხანამაც აღარ იცის, უფრო მეტად თუ შეიძლება დავიწროება; სწავლომი ერთ ყალიბში არ ჩამოისხმის. რომ ჩამოისხმოდეს, მაშინ შეიძლება, ჰოდა სხედან ვიწრო სკამებზე, მხარით მხარს აპყვრიან, მკლავით მკლავსა, ხელი ხელს მისტანებია, უნებლიედ მისტანებია, ოღონდ ჰკუთას თუ მოიკრებს. მოსახერხებელია ამ უნებლიე მიტანების გამოყენება; მოსახერხებელიცაა და მოახერხებს, ხელს გადაუხვამს ხელის ზურგზედა, თითბესაც შემოახვევს, მთელს ხელს ჩაიჭერს. მუჭში მოიმწყვდევს. გაოფლიანებულა საცოდავი ხელი, ცხელა დარბაზში, გასაკვირიც არ არის. მაგრამ არ ეამება, თვითონ მშრალი აქვს ხელი, მშრალი, გაუხეშებელი, მშრალ კანზე ეგლისება გლუფი, ლიბი თითები, ეგლისება და ებოხება, განა გაურბის, ხედ ეწმინდება. სხვა ვა არ არის, თვითონვე თუ გაეცლება, ჰოდა გაეცლება,

ცხელო, იტყვის. ამასვე იმეორებს ლალიცა, ჭადრაკის მეგობრის ცოლიცა. ლალი რომ იმეორებს, ის არის, რაც არის, იმეორებს და ხელიც ახლოს მიუდის, იგივე ოფლიანი, იგივე გათხილი ხელი, გაიმშრალოს მაინცა, ცხვირსახოცით გაიმშრალოს. თუ ვერ მოუფიქრებია, თვითონ ანიშნოს, თავისი ხელები შეიმშრალოს, ვითომც ოფლიანი მაქვსო. მაგრამ რომ ვერ ამოიღებს ცხვირსახოცსა, — გასჭუჭყიანებია, დასჭუჭყვინია, მოჰკლებია ხელი დიასახლისისა, თუმცა ბნელა, მაინც ვერ ამოიღებს, ისღა დარჩენია, ეგებ თვითონვე მოიფიქროსო. ეტყობა ფიქრიც არ უნდა, ცხელო, იგივეს იმეორებს, ჩანთიდან მარაოს ამოათრევს, ცხვირსახოციც წამოუფარდება კალთაზე, სანდრო დასტაცებს, მიაწვდის, ხელზეც აუსვამს, ეგება მიმიხვდესო. არ მიუხვდება, ცხვირსახოცს ჩადებს აჩქარებით, მარაოს აიქნევს აჩქარებითვე; იქითა ხელს აიქნევს, აქეთა, სანდროს რომ მიეტანება, ცოტა მომშრალებულსა ჰგავს, ალბათ უშველა იმ ერთმა გადაწყენდამა, ჩანთის გახსნა-შეკვრამ, ანიავებამ. უშველა თუ არ უშველა, აღარ ეხამუშება სანდროს, ხელი ხელთ უბყრია. თანხმობასა ვუღვობს, ელამუნება თანხმობას.

სხვანი ბუზღუნებდნენ, წყრომისას ამოიძახებდნენ, კომედიას ელოდნენ ანუ ჰპირდებოდნენ კომედიასა, საკომედიოს ვერასა ჰხედავდნენ. თუმცა არა, ვერანზე ხარზარი იღვა, პირი დაეღოთ, ლამის გადაჰხეოდათ ლაშები, გუგუნებდა აბარატები, გუგუნებდა სიცილის ხმაზე, მხოლოდ მაყურებლებს არ ეცილებოდათ, ბუზღუნებდნენ ან გადიოდნენ, იღებოდა და იხურებოდა კარი. ამათთვის სულ ერთი იყო, გასაწყრომი თუ გასაბრაზებელი არაფერი ჰქონდათ, უკეთეს ფილმსაც რომ შესწრებოდნენ, ამაზე მეტს მაშინაც არ ინდომებდა, — ხელი ხელთ ებყრა, გული გულთა. მერე სულაც შეაჩაქვა გული: სიანისის შემდეგ, კარში რომ გადიოდნენ. ყველამ ერთად თუ მოინდომა გასვლა, კარებში

ვაიქედნენ და შეიჯაჭვნენ. ჭადრაკის მეგობრის ცოლი კვლავ საშველოდ მოსდგა, ელოდა, მრავლისშეტყველად, მრავლის საგულისხმოდ ელოდა. მერე შუაში ჩაუდგა, ორივეს გამოსდო მკლავი და გაიყოლია. ეგებ ვერ მიმხვდარიყო თუ როგორ შეაჩუქულიყვნენ. ალბათ ვერ მიმხვდარიყო, თორემ არ ჩაუდგებოდა შუაში, რახან ჩაუდგა — ააჩქარებდა, ასწრაფებდა, ესენიც გაეკიდებოდნენ. მაგრამ ფეხს ითრევს, ჩერდება, ტიტინებს, ჰყვება, პირველად კინოთეატრში თუ როგორ გაჰყვა თავის საქმროს, — მაშინ საქმროსა, — ჰყვება და იცინის. მაშინდელი ფილმის შინაარსსაც მოუთხრობს, დაწვრილებით მოუთხრობს, ოღონდ დასძენს, ადრეც მენახა, თორემ იმდამისა არაფერი მეხსომებოდაო. სანდროს ენიშნება, ალბათ, ენიშნება ლალისაც, რაქმეაუნდა, იმათაც ხომ ვერაფერი გამოიყოლეს იმ ფილმიდან; ეგება კიდევ უნდა ენახათ, ჰო, ლალისაც რომ მოენდომებინა, სანდრო იქ წამსვლელი აღარ იყო, რაღაო და რატომაო, — დღესვე გამოსვლდა თავის ბედსა. შემდეგაც ვნახეთ რამდენჯერმეო, განაგრძობს ჭადრაკის მეგობრის ცოლი, — და ჩვენი საქმეც გაიჩარხაო. ჩვენი უკვე გაიჩარხაო, ფიქრად მიადევნებს სანდროს და თვალს გადაავლებს ლალის. ლალი ჩერდება. იცინის, ჩერდება და იცინის. ისევე, ეკრანზე რომ იცინოდნენ უმიზეზოდა. ასდევს ჭადრაკის მეგობრის ცოლიც. ასე მოთხრო, ისე შემევედრაო, იგონებს პირველ გამჟღავნებას, იგონებს და იცინის.

— თქვენც ასევე ხომ არ გააქიანურებთ? — მოსკრის უეცრად და სიცილს გააგრძელებს, ლალიც აჰყვება. აჰყვება სანდროც.

მერე მდუმარედ მიდიან, ისევ ნელა, ისევ ტაატთა, — დუმლიც უნდა, ტატიც უნდა, შეკითხვა თუ არ დარჩება უპასუხოდ. გრძნობებს უნდა ჩაუქვირდნენ საქორწინონი, უნდა დააცადოს წამქეზებელმა; უნდა დააცადოს და აცდის, თან ვეღარც აცდის, არხევს, ხელს

უჭერს, თქვით მალეო. ლალი უფრო იცინის, მეორე ხელს იშველიებს, თითქოს უნდა მოცილოსო, იცინის და სანდროს შეჰყურებს, აბა ის როგორღა იცინისო. სანდრო ჩადინვებულა, ფიქრებში თუ ჩაეფლო, თითქოს არც გაეგება, რა ხდება იმის გვერდითა ან გულდაგულ მიიწევს და მიათრევს მკლავზე დაკიდებულ ქალებსაო. ასე შეიძლება სხვამ იგულისხმოს, ხოლო ჭადრაკის მეგობრის ცოლი მაინც არ ეშვება, იგივეს ეკითხება სანდროს, თითქოს ლალისგან უკვე მიიღო თანხმობაო.

— მგონი... — ღრმა გულიდან აღმოთქვამს სანდრო.

— რა მგონი?! — შეკრთება ჭადრაკის მეგობრის ცოლი.

— რა?! — ლალისაც აღმოხდება, უნებლიედ აღმოხდება და შეშინდება, თითქოს პირს კატა ეცაო.

— მგონი გაგვიპიანურდება... — ისევ ღრმა გულიდან ამოსდის სანდროს.

— პატარები ხართ?! დრო არა გაქვთ?! ალუ!.. — დასიცინის ცოლი ჭადრაკის მეგობრისა.

— არა, მაგრამ...

— ვითომ რა, მაგრამ?! —

— რა და... — თითქოს ენა ებმის სანდროსაო.

— ჰო, რა? რა?! რა?!

— რა და... მართალია გავცილდით, მაგრამ განქორწინებას ხომ თავისი დრო უნდა, ისე აბა...

— ჰა, ჰა, ჰა... — იცინის ჭადრაკის მეგობრის ცოლი. — მაგის გულისათვის გააპიანურებთ?! რა ჩამორჩენილობაა?.. თქვენგან არ მოველოდი!.. ლალი ნუთუ შენც ასევე ფიქრობ?! — ლალი სდუმს, მხოლოდ ოდნავ, ძლივს ვასაგონად თუ გაუგონრად იცინის, უნდა თვალი გაუსწოროს სანდროსა. გაურბის ის თვალეზი, სახეც ერიდება. — ასევე ფიქრობ?! — ჩასციებია მეგობარი.

— თვითონ რას ფიქრობს. რომ არ ვიცი!.. — შეხალისებით ამბობს ლალი.

— მან უკვე სთქვა.

— ჩემთვის არ უთქვამს.

— მართალია!.. უთხარით სანდრო, უთხარით, მოიკრიფეთ გამგონება... აქვებებს ცოლი ჭადრაკის მეგობრისა.

— მითქვამს და ვამბობ, — გამბედაობას იკრევს სანდროც, — ახლაც ვთხოვდი, გამხდარიყო ჩემი მეუღლე, რომ არ მამბრკოლებდეს განქორწინების ფორმალობანი. ისე ხომ ჩვენ ხელს ვერ მოვაწერთ.

— გასაგებია!.. ლალი შენი ჯერია!

— მერე ხომ მოვაწერთ... ჰა, ჰა, ჰა...

— იცინის ლალი, იცინის ჭადრაკის მეგობრის ცოლიც, სანდროსაც რალა დარჩენია, სიცულის მეტი. იქ რომ მართლა კომედია ენახათ, კიდევ ამდენს გაიცილებდნენ? ეგება გაეცინათ, ეგება არა, ყოველშემთხვევაში, აქაც კომედიაში მოხვედრილიყვენ, სამივენი თამაშობდნენ, ორნი ერთს ეთამაშებოდნენ, ერთი — ორივესა, ხოლო ვინ უფრო სასაცილო იქნებოდა, ჯერ არ იცოდნენ, თუმცა ეგონათ, დიდად სამწელო საქმეს აწყობდნენ და თუ იცინოდნენ, მხოლოდ იმიტომ, ერთმანეთისთვის გაეადვილებინათ თქმადა და ქმნადა. კიდევაც გაუადვილდათ, ისე გაუადვილდათ, გაპკვირდნენ, ნუთუ ჩვენა ვართ, ნუთუ ჩვენს თავსაა ეს ყველაფერიო. მაგრამ ღრმად შეეტოპნათ, უკან დახევას აღარ ისურვებდნენ, — ეს მაშინ, კარებამდის რომ მიაცილა სანდრომ. მსწრაფლ გამოემშვიდობათ ჭადრაკის მეგობრის ცოლი. ახლა უახლოესი მეგობარი იმათი, ახლა თქვენ იცით, თქვენვე გამოსჭედეთ ბედი თქვენით. ლალი კვლავ იცინოდა და თავის კარს ადებდა. მეგობარმაც შეაღო თავისი კარი, თითებით კოცნა გამოუგზავნა და ჩაიძალა. ისინი დარჩნენ, დარჩნენ ვიწრო კართან, — არსაიღამ ხმა, არსით ძახილი, ირგვლივ დუმილი და მყუდროება...

XIV

და იმათაც აღარ დაუყოვნებიათ, იმლამესვე გამოსჭედეს თავიანთი ბედი. დილით მცირე თათბირი შეეკმნათ: ამ ბინას რა ვუყოთ. საკითხი ლალიმ

აღძრა, საკითხიც აღძრა და რამდენიმე სარფიანი წინადადებაც წამოაყენა, შენ რომელს მირჩევ, რომელი უკეთესი იქნებაო. არცერთი ურჩია სანდროსა, — ჯერჯერობით ასე იყოსო, მხოლოდ იფრთხილეო, არ შეგიტყონ, არ დაგეკარგოსო, მერე ვნახოთო. ასე, რომ საკითხი ღიად დარჩა, გადაიდო. ლალიმ მაინც მოიწონა სანდროს რჩევა, ანუ ცოლი მიენდო ქმარსა, მხოლოდ სამოსი გამოიკრა ერთს ბოხჩაში და პატარა ბინიდან, დაბალჭერიან, ვიწრო კარ-ფანჯრებიანი ბინიდან გადაჰყვა დიდ ბინაში, დიდ სახლში, არცთუ ალტაცებით, არცთუ გაკვირვებით; გადაჰყვა ისე, თითქოს იქ დაბადებულ იყოს, იქვე აღზრდილი იყოსო, მემკვიდრეობად გადმოსვლოდეს მამაპაპათავანა. არც სითბოო, არც სიცხეო, არც სხვა რამ ასეთებიც არ მოჰფიქრებია. მხოლოდ ერთი მიმოიხედა, ავეჯის წყობა არ მოეწონა; ერთი მიმოიხედა და ეძგერა ავეჯს. ასტეხა რახრახი, ზრჭიალი, გრუხუნე, გაიტანა და გამოიტანა. იაიტანა და ჩამოიტანა, არც თვითონ მოისვენა, არც სანდრო მოასვენა, შეაბა კარადებში, გაათრევიანა და გამოათრევიან; შეაბა და ვერ ეუარა, არ ეჭაშნიკა, ვერცა სთქვა, ვერც გამოჰხატა, თუმცა რახან ვერ უთხრა, გამოხატვა სახსენებელიც არ უნდა იყოს, — ან ვერ მიუხედებოდა ან რად ჩაუგდებდა გამოხატულსა და მინიშნებულსა... თავდაჯერებული მოქმედებდა, შრომობდა, ფუსფუსებდა. სარდაფსაც მისდგა, მიყრილ-მოყრილი ხარახურა მიაწყმოაწყო, ეზოსაც ეკვეთა. საქმის გამოგონების საოცარი უნარი დაჰყოლოდა. სხვისი აყოლიებაც შეეძლო. სანდროს უკვირდა: ან ამდენი რა საქმე მქონია, ან როგორ დაეყვები ასე კაბისბოლოს გამოზმულიო; უკვირდა, ცოტა კიდევაც უხაროდა, ესოდენ გარჯე შეუღლე რომ შეახვედრა ბედმა, უხაროდა. ოღონდ არ გამოსთქვამდა, არას იმჩინებდა, ლალიც არ ეტებდა განსაკუთრებულ დასტურსა თუ მოწონებასა, რასაც მოისურვებდა, აკეთებდა,

აკეთებდა და კმაყოფილი იქნებოდა. როც კმაყოფილიაო, გულუხვობა ემუქრება არც ენაღვლა, კმაყოფილი იქნებოდა თუ არა, ოღონდ ყოველთვის ნებას დაჰყოლოდა, არ გაურჩებოდა, არ გასდგომოდა.

გაურჩებია რა მოგახსენოთ, ვანდგომით კი ვანუღგა: ისევ შეუყვარადა თავისი ოთახი, ისევ გადაეკრა საწერ მაგიდასა. ოღონდ რომ იცოდეთ, ლალიმაც შეუტყვალა ოთახი. ესეც არაფერი, შთავგონებას არ უღალატნია. არც აპირებია თავისი შთავგონების სიმტკიცის ამბავი რომ იცოდა. ასლა სიმტკიცე მართლაც უნდოდა. მალიმალ უზმობდა ლალი, მალიმალვე ებასუხებოდა უარით, მაშინ შიგ შეუყვარდებოდა ლალი. სანდრო ეხვეწებოდა, ცოტახანს მაკალე, ცოტახანს დამეხსენიო.

— ისეთს რას აკეთებ?! — უკვირს ლალის.

— ვწერ...

— სწერე სამსახურში, სახლში სახლის საქმეს უნდა მიჰხედო.

— სამსახურში სამსახურის საქმე მაქვს.

— მაშ ეს რისაა?!

— გაზეთისა...

— რა შენი საქმეა?!

— მაშ ვისი?!

— ვინც იქ მუშაობს.

— ჩვენც უნდა მივხედოთ, ყველა მოვალეა გამოეხმაროს ჩვენი საზოგადოების მღელვარე მოვლენებს.

— ძალი შინ არ ვარგოდაო, სანდროდ ვარბოდაო. — მოუჭრის ლალი ანდაზით. ანდაზებიც იცოდა და მოუხდებოდა. თუ არა, მაინც იტყოდა, რახან იცოდა, კიდევაც იტყოდა. თუმცა იქ მოზდენილი ნათქვამი გახლდათ, ოღონდ სილასავით რომ გაეწნა სანდროს, ამიტომ სწუნობდა: მაგდაც გაახსენდა, ის ასე როდი იტყოდაო, ხმასაც არ ამოიღებდა, ყავას შემოიტანდა უჩქამოდ, უჩქამოდვე გაიპარებოდაო. იმან იცოდა საზოგადოებრივი მოვალეობის მნიშვნელობა, ნიჭის ღირსებაც გაეგებოდა.

სხვანაირი სიფაქიზეც დაჰყოლოდა, სურნელიც დასდევდა დაკმედილი და მიზიდველი. ამას სხვა სუნი მოუტანია... ეშმაკად საოცარი ყნოსვა ჰქონდა სანდროს, ამიტომაც იყო თავის ოთახში რომ შეიკეტებოდა ხოლმე, თანდათან უჭირდა ლალისთან გაჩერება, მით უფრო უჭირდა, რაც უფრო მეტად ჩამოღვა სიცხე. ოფლი სდიოდა, ღვარად სდიოდა; იქ კინოში რომ ეხამუშა, იმატა ოფლმა. სახეზეც წურწურით ჩამოსდიოდა, მალმალ ეწუწუებოდა გულისპირი ან რაღა გულისპირი, მთლად სველი კაბა ემოსა, თითქოს ასე სველი ჩაუცვამს, სველად უნდა იარსო. არასა შეველოდა ხშირი გამოცვლა კაბისა, არც ხშირი აბაზანები შეველოდა. სუნამოც მოუტანა სანდრომ, არ უთქვამს რა განზრახვით მოუტანა, ვითომც მოართვა, უძლვნა, — მოუტანა ყველანაირი, ყველა მარკისა, ვერცერთმა უშველა. ყური მოჰკრა, რაღაც სასხურებელია. ბინას ტყის სურნელებით აღაცხებსო, ეძება, იშოვნა, ვერც იმან ვასკრა, ტყის სურნელისა რა მოგახსენოთ, ჯოგის სუნი კი დააყენა. მერე ძალღონე შეაღია იმ სუნის განფანტვისა და ფარხმალიც დაჰყარა ისევე თავისი ოთახი თუ უშველოდა, ბოლოსდაბოლოს უნდა დაბრუნებოდა საყვარელ საქმეს, გაზეთს უნდა დაბრუნებოდა.

არ ებატებოდა ამდენი დუმილი, ლაშქრობა გაჩაღებულიყო გაზეთებში „არაშრომითი შემოსავლების“ წინააღმდეგ; პო ასე დაერქმიათ „არაშრომითი შემოსავლები“, თუმცა ძნელი მისახვედრი იყო, რასა ნიშნავდა, რა იგულისხმებოდა, იმან მაინც გაიგო, დაუბრკოლებლივ გაიგო, ტყუილად ხომ არ ერქვა გამოცდილი ეურნალისტი. გაიგო და იგრძნო, საჭირო გამხდარიყო იმისი კალამი, მჭრელი კალამი. უსათუოდ იმისი კალამი, რადგან, თუმცა ბევრნი სწერდნენ, ვერა სწერდნენ ისეთი რიხით, ისეთი ომახით, ისეთი სიმჭრელე არა ჰქონდა იმათს კალამსა, არც მრისხანება შეეძლოთ იმოდენი. სტილი არაფერი, იმდენი არაფერი,

იქ გაასწორებდნენ, ერთი წუნესი ქვეშ ამოსდებდნენ, ერთხანად, გასწორებულდებდნენ; ეს იმათი საქმეა, განსწორება მგზნებარება ამისი, მგზნებარებასთან ერთად რისხვასაც მიიტანდა, რისხვას „არაშრომითი შემოსავლების“ წინააღმდეგ. უნდა დაეძლია გადმონაშთები. საზოგადოებას სჭირდებოდა იგი. იმისი მჭრელი, ფრთიანი კალამი. მაგრამ ვაგლახ, თვით კალამი გასჯილებოდა. ხელში არ უჩერდებოდა, უსხლტებოდა თითებიდან, უსხლტებოდა და ურჩევდა, დაეხსენი, შენს ქერქში დაეტრე. ემანდ ანეკსზე არ წამოეგოო. ბუნაგში შეძვერი. რაც შეიძლო ღრმად, პატარა ქუქრუტანა გამოიტანე და იქიდან უცქირე ქვეყანას, პო იქიდან, ვიდრე ჩადგებოდეს ეს კორიანტელი. მერე გადი და გაიარგამოიარე ყელმოღერებით, მამ რაო, შვილოსან, „არაშრომითი“ შემოსავლები რომ გიყვარდათ, ქარიშხლებიც უნდა ვადაგეტანათ-თქო; ეს მერე. ქარიშხალი რომ ვადაივლის, ახლა მიუშნდი, თავს ნუ გაახსენებ. ნურავის, აქეთ ნურავის გამოახედებ, ხელისგულივით მოჩანს კვერნაქი ქალაქიდან, ნუ ამოახედებ, მაღლა კვერნაქიც კარგად მოსჩანს. დაბლა კვერნაქიცა, მაღლა კვერნაქის შიში ჰხარავთ, დაბლა კვერნაქის შური ახრჩობთ, ნუ ამოახედებ, თორემ მწარეა შური, შურისძიება საშინელია. მაგრამ ვინ იცის, უკვე ამოიხედეს, ვინ იცის, უკვე დამიზნებულან, რომელიღა ბუნაგი დაიფარავს, რა ვადაარჩენს, საძირკვლის მარმარილოს ქვეშაც რომ მოექცეს, რა ვადაარჩენს? — არაფერა, ამითლებენ საძირკვლიანადა, მამ ვეგებ სჯობდეს სხვისკენ მიუთითოს, სხვას მიუხიოს? და თითები ეტანება კალამს. კალამი მიუხტის; დადექ, ეუბნება კალამი, ნუ აუტანიხარ წერას, ნუ შეეწირები წერას, — კომისიები შეუქმნიათ, დიდი სახლების სიები შეუდგენიათ, შენი სახლი თუ ვადაარჩენილა, სული ვაკმიდე; თუ მოქცეულა იმ სიაში, დატრიალდი, დაფაცურდი, შეტკარი კონები ქალაღლებსია; ესაო, შრომითი დანაზოგია-თქო, ესაო.

კოლის მზითევია-თქო, ესაო, სიმამრმა მაჩუქა-თქო, ესაო, სიდედრმა-თქო, ესაო... და ღმერთმაც დასწყევლოს, რომ არც იცის ჰყავს თუ არა სიდედრ-სიმამარი, ან აქეთ თუ არ თავი ამხელა სახლის ჩუქებისა?

გამოირკვა, რომ ჰყავს სიდედრიც, სიმამრიც, მხოლოდ არაფრის გაჩუქების თავი არა ჰქონიათ, მაგრამ ეგეც არაფერი. რახან ჰყოლია, გამოადგებიან კიდევად დაედიარაბა თუ აუტენეს; წერილიც მოუწერია, ესეც გამოირკვა, პასუხიც მიუღია, ულოცავენ. მალე გეწვევითო, დაიკობსაც ჩამოგვვითო, ერთმა უმაღლესში უნდა გააგრაქლოს. უმაღლესიც ხომ მანდ არისო, მეორემაც ბარემ მანდე ისწავლოს, სკოლაც მანდ არის, უმაღლესიცაო. სიძე დაგვიკონცე, ჩამოვალთ და ჩვენვე ჩავკონცინით. სანდრო ტუჩებს ბერავს, არაფერს ამბობს, ისე ბერავს ტუჩებს, ჯერ ქარიშხალმა გადაიაროს, მშვიდად გადაიაროს, იმის სახურავს გადაუაროს მშვიდად. უქმად ლოდინი მაინც არ ივარგებსო, კურდღელივით ჩირგვში ჯდომაც არ გამოდგებაო. კურდღელმაცასო სთქვა ჩირგვში ვზივარო, ვერვინ მოვა ჩემზედაო, მაგრამ ვაციხედოთ სერზედაო, ბატონი ზის ცხენზედაო. წინ მეტებრები მოუძღვის. დაგვშილი ჩემზედაო. ზედავ, კურდღელიც ვერ დამალა ჩირგვმა, ისევ ფეხებს უნდა მინდობოდა: ვაჟიქეცი გამომიდგენო; აღმართშია მე ვაჯობეო. — მხნველება, იმედოვნებს, მაგრამ ერთმა წუწქმა მეტეზარმა კბილი გამყრა გვერღზედაო... გამწიეს და გამომწიესო; არა, არ ივარგებს, კურდღლის ჩივილი უდასტურებს, არ ივარგებსო. მუხლს უნდა ენდოს, აღმართს უნდა შეებას თავგანწირვით, ვიდრე მწევრები სხვას ვაჰკიდებთან, უნდა შეებას, მთა გადაიაროს, ვიდრე სხვას მისდევენ. ვიდრე აქეთ არ მოუხედნიათ. გადარჩებოდა საბრალო კურდღელი. ვერ გადარჩა საბრალო კურდღელი. სამაგიეროდ ეს გადარჩება, გადარჩენს კურდღლის ჩივილი და კუ-

რდღლის დღეს დასდემს, ჯდესსაწყევლადა, შეერთებულ შტატებში (ჩინეთის) დღეობა გაუჩენიათ, კურდღლის დღეობა რით იქნება უარესი? არც არაფრით, უკეთესიც იქნება, გაჩნდია, ვის რისი ზორცი უფრო უყვარს, — მხოლოდ კურდღელს არ დაკლავს იმ დღეს, არც არასდღეს დაჰკლავს. არც ვინმეს დაიწვევს კურდღლის ზორცზე, დღეობაც ეს იქნება, პატივისცემაც, განდიდებაც. ჰო; უნდა შეჰყვეს ციცაბო აღმართს, ვიდრე სხვას მისდევენ, ვიდრე იმისკენ მობრუნებულან, ოღონდ საით შეჰყვეს, საით გაიქცეს, როგორ გაიქცეს?

ეს გაწიარული სულმკვეთება უნუგემებლად არ დაჩრჩენილა: თბილისის გაზეთში წერილი დესატამბა პედაგოგის ცნობილმა მეცნიერმა, — ზოგადსაგამანათლებლო სკოლების სისტემა ველარ უპასუხებს დღევანდლობის მოთხოვნილებასო; ტექნიკის პროგრესიო; კომუნისმის გაშლილი მშენებლობაო; სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემა ძირფესვიანად უნდა შეიცვალოსო. ამაზე უკეთესი რაღა იქნებოდა, ამ პრობლემას გამოეხმაურებოდა, წამოსკრიდა ახალ წესებს მომავალ მშენებელთა აღზრდისას და ეინდა გაუკანდიერდებოდა. ვინდა შეჰხედავდა „არაშრომითი შემოსავლების“ თვლითა?! არც არავინ. ვერც ვერავინ. აღმართშია მე ვაჯობეო, ლილინებ და ფრთხილად ეტანება ცალამს, კიდევ არ გამოისხლტესო. შენც არ მომიყვდე, ცალამი თვითონვე უვარდება თითებში, აი ეგ შესძის, ეგ სწორედ მენი სულია და მიწრაფების საგანიაო; კალამიც მოარჩილდება და ხმაც უკეთესად აეწყობა: აღმართშია მე ვაჯობეო. კარვად აეწყობა, შესაფერისი მელოდია გამოისდის, ნოტები რომ იცოდეს, ქალაღზედაც გადაიტანდა, ქვეყანას მოაღებდა, — დაღმართშია იმითაო. ჰო. ეს სიმღერისთვის იყო საჭირო, თორემ ახლა მჭობნი აღარ ეგულებოდა, სათაური უკვე გამოქებნა, გამოქებნა და დასწერა, წერილიც მოჰყვება. თავისთა-



ვდა... სათაურიც დიდებულია, წერილიც დიდებული იქნება. ყელს კვლავ ამოსდევს საოცარი მელოდია, აღმართშია მე ვაჯობეთ... ახ, ნოტები რად არ იცის, ამასაც დასწერდა, ვაუტზავნიდა საბავშვო ვაზეთს. ცალამი მზად არის, შენ იცი, რაც ვინდა დამაწერინეო, რაც ვინდა და როგორც ვინდაო, შენი ზმელი, ჩემი კისერიო. სანატრელია ასეთი კალამი, ოღონდ ყველას რომ არ ერგება, სავაგლახო ეს არის, სამაგიეროდ სვებუნდინერთაც სხვა რამ დაბრკოლება წამოეწევაო, ზოგს რაო, ზოგს რაო, ლალის დაუდევარი შრომის წყურვილი სანდროსაო.

და ცრიალით შემოდის, შემორბის ოფლის წურწურითა, კასრის ვადადგამ მიშველეო.

- რომელი კასრისაა?
- წამო და ნახავს..
- მაინც რომლისა?

რომლისაც უნდა იყოს სულერთია, ეს ბელის შემლაა, აუტანელია, მოთმინება აღარ შეიძლება, მაგრამ ვაჟკაცია და არცთუ მალე ჰკარგავს მოთმინებას, მშვიდად უხსნის, რომ არა სცალია, რომ დიდად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემას ჩაუფიქრებია, რომ რედაქტორი მოუთმენლად ელოდება იმის წერილსა. აღარა სტყუოდა, დაურეკა, აუწყა რედაქტორს, ასეთი და ასეთი წერილი მომაქვსო. მობარული ვართ, გელოდებითო, რედაქტორმაც მიუგო და ფრთები შეასხა. ლალის უნდა მოგვეცნა ის ფრთები, საკამაროდ შემზადებული ფრთები. არ დაანება, ასე ადვილად არც დაანებებდა ვერც ლალი ჩამოეხსნებოდა ეგრე ადვილდა. და გაღვივდა ცეცხლი, უკამაოფილებამ იჩინა თავი, კიდევაც დიდხანს მიჩქმალულიყო. კასრების ჯაჯურსაო, უთხრა სანდრომ, ის გირჩევნია შენს თავს მიჰხედო, ეგ ოფლი ჩამოიშორეო და ლაშათს მიეჩვიოო, მშვიდად უთხრა, კეთილმოსურნე ხმით და გამომეტყველებითა. მაგრამ დაკლულივით აკოვლდა ლალი, ალბათ, თვითონ აწუხებდა თავისი ნა-

კლი, მზილება ველარ აიტანა, ცეცხლად შემოენთო და ცეცხლიც ^{მარტინისა} ამოიძახა, რაც ენას მოაღვსა, ნაღასმთვე იყო თუ უაზრო სიტყვა, სულერთია, ყველაფერი ამოიძახა, მერე უცებ მოსწყვიტა ყვირილი და ჩვეულებრივი ხმითა სთქვა: ადექი ახლა კასრი ვადადგამთო. მაშინ სანდროს მოეკიდა ცეცხლი, ან ის უეცარი გაბოროტება რა იყო, ან ეს უეცარი დამშვიდება რა არისო, ამას ვიღას ვადადვეყარეო, ცეცხლი მოედო და რა სთქვა, რა ხმით იყვირა, აღარაფერი გაეგებოდა, მხოლოდ ყელი რომ ეტყინა, ცოტა დაღწია, ახლა დამეხსენიო. შევედრა დაწეული ხმით. ისიც დაეხსნა. ეს მაგიდას დაემხო და ორივე ხელი თავში შემოირტყა.

ასეთ დროს იცინა, ორი ქვა უნდა გეჭიროს ხელშიო, ერთი აქედან იცე, მეორე იქიდანაო; ქვები არც უნდოდა, მუშტები ქვებივითა ჰქონდა, მაგრამ თავი როდი ემეტებოდა, თავს არც გაიხეთქდა, არც დიდ გასაჭირს დაიყენებდა, იმასაც ვაუწყებდა მაგდას გზას, მაგდასავით ვაისტუმრებდა. ბინა ზომ შეანახეინა, მშ, წინდახედული კაცი ფეხს არ მოიტეხსო. ოღონდ სხვა ნაკლიც უნდა გამოეძებნა. კასრებს თუ ეჯაჯურებოდა, ბოლოსდაბოლოს ოჯახისათვის ზრუნვად ითქმოდა, უცბად თუ აყვირდა. უცბადვე დამშვიდდა, მამ გულშიც არ ჩაიყოლებდა, უბოროტო იქნებოდა. ოფლი? ამასაც ექნებოდა თავისი წამალი, ზამთრობით ხომ გაუვლიდა ბოლოსდაბოლოს, — ასე სამართლიანი ფიქრები ჰქონდა და არ დაეძრახვოდა თუ მიუტყევებელ ნაყლს დაეძებდა. მისატევებელი ნაკლი ყველასა აქვს, ალბათ მეც მექნებაო, — ესეც სანდროს ფიქრებისა ვახლავთ, — მთავარია მიუტევებელი ნაკლი, ისეთი, მაგდას რომ ჰქონდაო. მაგრამ ვინ იცის მაგდა უნაკლო იყო, ვინ იცის ცოტაც უნდა მოეცადა ან თუნდაც ნაკლად დარჩენოდა ის ნაკლი, ვინ იცის, მაინც ის, ერჩივნა ლალის ვადაცილებას. — ესეც სანდროს საკითხავი ვახლავთ, საქირბოროტო სა-

კითხავე, თავმსაყვენი. ვერ ორი ხელი რომ შემოირტყა თავში, ეგება მალე ორი ქვეც დასჭირებოდა, მხოლოდ მანამდის სხვა რამე ნაკლიც უნდა გამოეძებნა, მძიმე რამ ნაკლი, მიუტყეველი.

უნდა გამოეძებნა და ეძებდა, ეძებდა, ეძებდა, თვალს არ აცალგებდა, სჩხრეკდა ყველაფერს ნათქვამსა თუ ნაქნარს, იმისას, ლამის სულში ჩასძრომოდა. ფსიქიკურთა ნაშრომებიც გამოსძებნა, ეგებ იქიდან ამოეხსნა იფუმილი, ღრმად დაფარული და მიუტყეველი ნაკლი. ისე ღრმად წყვიდა, ისე გადასდო თავი, რომ იპოვნა, ორი ქვე აიტაცა, ერთი აქედან იცა, მეორე იქიდან: სადა მქონდა თვალები, რამ დამაბრძოლა, რამ გამომათავყენაო; პო სადა მქონდა თვალეზი, ამას მოსთქვამდა და აღმოჩენის სიხარული არ განუცდია. თურმე არც წიგნები ნდომია, არც სულში ჩაძვრომა, უბრალო, დავიწყებული თვალი ყოფილა საჭირო, არც ძალიან დავიწყებული, არც ძალიან მხვეილი, უბრალო რამ, ერთმნიშვნელოთ სულ უბრალო, ჩვეულებრივი თვალი, ყოველ ადამიანს რომ დაწყვილია, ბრძა თუ არ არის დაბადებით, ან მერე თუ არ დაბრძოვებულა. ის მერე თუ დაბრძოვებულა, უცებ, გაუგებრად დასუქვია თვალეზი და აქამდის ვერ მიმხედარა, კოჭლი რომ ყოფილა იმისი მეორე დაუღლება, ის მეორე თანამეცხედრე; გაუგებრად დასუქვია, გაუგებრადვე დასუქვია თვალეზი, ერთი დაეძვებულა და გადასწმენდია ლიბრი. ახლა თუნდაც კვლავ დაეღიბროს, აღარ გამოეპარება თუ როგორ დაქქნევია ცალი თეძოი — დაოფლილ კაბაში ხომ რენტგენივით მოჩანს, — პო, როგორ დაქქნევია, როგორ აბიჯებს ცალი ფეხით: ძირამდის არც უწევს, პაერშივე გადადის, ისე სწრაფად, ისე გაწაფულად, ისე მოხდენილად, გაოცდება ადამიანი, ნუთუ ასეთი ხელოვნებაც შეიძლებაო; გაოცდება ან შეფიქრიანდება, რის სიკოჭლე, რა სიკოჭლეო, მხოლოდ თავისებური მოხდენილი სიარულიაო, შეფიქრიანდება და

გადაიყრის ეჭვს. სხვა თუ გადაიყრის. სანდრო არა, ქვეს იცემს რამეცაა — ჩამ ამხვია თვალეზიო. ქვეს იცემს რამეცაა, სასჯელად ეყოფა, ლლისთან სადაო რაღა უნდა მქონდეს? — რა მოხდა მერე, ისეთი რა ნაკლია მცირე სიკოჭლე თუ ოდნავი დაქანება ცალი თეძოსი, ბუნებისგანაა თუ შემთხვევისგან, მიუტყეველ ნაკლად როდისა თქმულა? რა მოხდა მერე, ბირონიც ყოფილა კოჭლი ბირონიც კოჭლი ყოფილა; ბირონი დედასა სძრაბავდა, დედაჩემის ბრალია ჩემი სიკოჭლეო, ბირონიც კოჭლი არავისა სძრაბავდა, ჩემი სიკოჭლეს ბრალიაო, — რისი ბრალიც უნდა ყოფილიყო, კოჭლეზი ყოფილან, ოღონდ არც არავინ იფონებს, არც არავინ იფონებს ნაკლად, რა მოხდა მერე? მმ!.. ისინი არავინ ატყუებდნენ, თუნდაც მოეტყუებინათ, ის ბირონი გახლდაო, ის ბირონიც კოჭლი, ეს მხოლოდ ლალია და ეშმაკის ცალია: კიბეზე გზა დაუფიქრო, შენ ჩადი, წინ იარე, მოგვრძალეზი მერე წინაშეო; გზადაც უკან გაქცევა ასე ყოფილა, რაინდი წინ უძღოდა, შენა ბარ ჩემი რაინდიო; ბავშვს რომ ეთამაშებოდა, სულ დასტოვდა ან უცხად დაეშვებოდა სვამზე, მტომისას არაფერი შეეცხოვოდა, დამჯდარსაც, ცხადია, არაფერი. ეშმაკის ცალია, სულ დანტოდა, ერთი შეშზე, რა ბალისიანი ვარ, ერთი შეშზე, როგორ მიყვარს ბავშვებო. იმანაც შეშხელა და აეხვა თვალეზი. ეშმაკი ლალი!.. ეპატეზა ეს ეშმაკობა? ყოფილიყო უბრალო, ხალასი, მანინ ითქმოდა, მერე რაო, მერე რა მოხდაო.

ან ახლა რა მოხდაო, — თავს თუ გაწონებდა, განა დაეძრაბვის? ნეტავი რომელი ქალი არა თამაშობს თავმოწონობანასა; თუ მოტყუვდი, კიდევაც უკეთესია, — ნეტავი რომელი კაცი შეირთავს ცოლსა თუ არ მოტყუვდა. აქ არ გამოვა არაფერი დასაძრანისი. ას თავს გაწონებს, შენ არ მოტყუვდე, ოღონდ იცოდე, არც ის ვარგა, რომ არ მოტყუვდე, ხოლო თუ უკვე დამთავრე-

ბულა ეს თამაში თუ დაგვირგვინებულა საბედნიეროდა, განსჯა ამოა, შეუფერებელიც არის მაგრამ... მაგრამ... ჩემი საზოგადოებრივი მოღვაწეობა რომ ვერ აუტანია? რა არის ეს, ეს რაღა არის?! „ყვირის სანდრო, ყვირის და ბორჯავა, ამხია საწერ მაგიდასა და გულს ასკდება, ძრწის, ეშინიან ყველა მიზეზი ხელიდან არ გამოეცალოსო. ყველასი რა მოგახსენოთ, ხოლო ეს მაინც ეცლებოდა ხელიდან: აღარ ეუბნებოდა ტლანქ ანდაზებსა, აღარ გამოჰყავდა თავის ოთახიდან; მართალია, არც უჩქამოდ ჩაუვლიდა, არც ყავას შეუტანდა, არც ასე ძალიან უწყობდა ხელსა, მაგრამ რომ არც უშლიდა, ესეც დიდი გარდატეხის დასაწყისი გახლდათ. ეტყობოდა მიეჩვეოდა, შეიგნებდა, ყავასაც შეუტანდა, კიდეცა მიეფერებოდა, დაღლილ შუბლზე ხელს გადაუსვადა, იმ გაოფლილ გააოხილ ხელს. და გაიწვედა, თავს გაიქნევდა, ემანდ მართლა არ მომტანებოდესო, მართლა არ გადამისვას ხელის გულიო. ზამთრობით კიდეც ჰო, როგორმე გაუძლებდა, ოღონდ ამ სიტყვა-შაპანაქებაში ვერ მოითმენდა, ვერ ვადაიტანდა, ერჩივნა ისეც არაღჩაეგდო იმისი ჟურნალისტობა, ჰო, ერჩივნა, საბაბი ექნებოდა უთანხმოებისა. „არ გესმის ჩემი!..“ შესძახებდა გაგულისებული გენიოსის სიამაყითა და მრისხანებით. „რა უნდა მესმოდეს?! რა ხარ, რას წარმოადგენ?!“ ხელებს გაუტატანებდა ისიც და მეტიც აღარაფერი იყო საჭირო, მერე ყვირილს დარჩებოდა ბურთი და მოედანი. მერე? — განშორებას. მერე სინანულს მოჰყვებოდა, ვერ გამიგოო.

ფიქრით ეს განშორებაც ადვილად უნდა გაჩარხულიყო, ხოლო ცხადად როგორცა ვერ იჩარხებოდა, ლალი ყველაფერს დაეუფლა, ლალიმ აკრიფა სადავენი ოჯახისა ძლიერი მარჯვენითა და ჩაუდრეკელი ფუსფუსით. ვადაღმა-ვადაღმოდგმას რომ მორჩა, თუ მობეზრდა, ხალიჩის მოქსოვა მოინდომა, ქარგა მოიწყო, ვორგლები მოიხროვა, ნიბუშები დაიწყო, შეება გატაცებით;

თავისას შეება და ამასაც მისძახობდა, წერე, ნუ ცდები, წერე, წერე მისძახობიხარ მაგ ტელევიზორს, ხედავ ერთიდაიგივეს იმეორებენო. არ იმეორებენო, ედავებოდა, უფრო მიაცივდებოდა ტელევიზორს, აღარ შედიოდა თავის ოთახში, აღარ სწერდა, ეგლა მაკლია, წერაც მიბრძანოსო.

— რედაქტორმა დარეკა. — არ მოეშვება ლალი ყურს მოიყრუებს, ვითომც არაფერი გამიგონიაო.

— წერილს დაპირებიხარ. . .

წინ წაიწევს, ვითომ ეყრანმა გაიტაცაო.

— ვუთხარი, ხვალ გამოვიგზავნი — მეტეჟი.

აღარც შეიხრევა

— ხომ გაუგზავნი?

ტელევიზორს ხმას აუწევს.

— არ შემარცხვინო, იცოდე!

უფრო აუწევს ხმას.

— სხვა დაიწყე, ის თუ დავიმთავრებია, — ლალის ხმას ვერაფერი დაახშობს, მკვეთრს, მკაფიოს, — დრო არ უნდა დაჰკარგოს ადამიანმა, დროის დაკარგვა სიცოცხლის დაკარგვას უდრის. შრომისგან რომ წარმომდგარა ადამიანი, უშრომლობა ცხოველობისაგან დაბრუნება იქნება.

— ცხოველებიც იწყობენ ბუნავს, საკმელს ეძებენ. — სანდროს წამოსცდება, ინანებს, რად ვაგვებსუხეო, მაგრამ გვიანდა, სიტყვას ზომ ველარ დაიბრუნებს.

— ცხოველებს აზრი არა აქვთ.

— თუ ბუნავის მოწყობა და საკმლის ძიება უაზრობაა, მაშ ადამიანსაც არ ექნება აზრი.

— რა ვაბრაზებს?! ჰკვირობს ლალი.

არა ბრაზობს, ყვირის ტელევიზორს რომ გადააქარბოს. ლალის ყვირილი არა სჭირდება, ხმა მკვეთრი აქვს, მკაფიო და მკვეთრი, გულიც უღვეს საგულესა, დიასახლისია საკუთარი ღონიერი ოჯახისა. იმისია ყველაფერი, ის განაგებს, ის წარმართავს, შრომის თეორიისა ქადაგებს, შრომის აზრს უნერგავს ადამიანს. ვინც ააგო ეს სახლი, გა-

მართა, მოაწყო, შრომის წყურვილს უღვივებს, იმას უღვივებს, ხოლო თვითონ დაუფლებია იმის ნაშრომსა, ოფლი მოუღენია, ოფლი მოუწურია იმის ნაშრომზე და დაუფლებია. ერიპა! ვინ იცის ოფლიც მონაგონია, ეგება იმიტომ დაოფლილა, თავისად დაიმკვიდროს სხვისი ნაღვაწი? ვინ იცისო, ვინ უწყისო, ყოველშემთხვევაში უკვე დაუსაკუთრებია, დაუმკვიდრებია, არაფერი ეუბნობება, არაფერი ეუბერხულება არაფერი ეხამუშება, არც მეტი რამ მოუთხოვნია, ეს ალბათ დიდი სულგრძელობისგან არის, დასჯერებია, ბედმან რაც მისცა. ამას დაუკარგავს, იმას უპოვნია ან წაუტომევიცა, წაუგლეჯია და სამადლოდ შეუფარებია, ესეც, ალბათ, დიდსულოვნებითაა, შრომის სიყვარულს რომ უნერგავს, ცხადია ესეც დიდსულოვნებით, დიდი სიკეთითა. უმადური არ უნდა იყოს, უნდა დაუფასოს, უნდა გაუგონოს, უნდა იშრომოს და ნაშრომს რომ მიუტანს, უნდა შიშობდეს, არ ეცოტაოს ჩემი ნაჯაფიო. და შფოთავს სანდრო, ამგვარ ყოფაში წარმოუდგენია თავი და ჰგონია, ვერც გამოეხსნება; ჰგონია, ვერც გამოეხსნება და სძულს ეს ქალი, უმცრად რომ შემოეჭრა და წაართვა ყველაფერი, წაგლიჯა ყველაფერი, ოცდოთქმსმეტ წლამდის რაცკი მოიპოვა; რაღას უშველის შრომის ქადაგება, რაღას შეჰქმნის ამიერიდანა?! არაფერსაო, აგონდება თამადის სიტყვები. მაშინ არა სჯეროდა, არც ახლა სჯერა, მაგრამ მაინც შესძლებია ეს მეორე თანამეცხედრე, ყველაფერი რომ წაართვა და სამაგიეროდ შრომის სიყვარულს, შრომის აზრებს უჭედავს თავში.

—რა უნდა მამბრაზებდეს?!—სანდრო კვირობს.

—ხმას დაუწიე! —ლალი ბრძანებს.

ემორჩილება, ტელევიზორს ჩაუწევს, თვითონაც ჩაიწევს ხმას, ტუჩებს გამოებრავს, სათქმელად არა, სათქმელი რომ შეიჩეროს, იმიტომ გამოებრავს, აღარა-

ფერს იტყვის აღარც ყვირობით, აღარც ჩურჩულით, მღუმარდება, დასიძინებულს ლომდვ, ვიდრე გასივდებოდეს ჯავრით, მერე ვნახოთ, დაგუბებული ჯავრი თვითონვე იპოვნის გადმოსახეთქს.

XV

და სივდებოდა ჯავრითა. გარეგნულად ვითომც არაფერი, ვითომც ხუმრობდა, ვითომც ილიმებოდა, მაგრამ მწვავე იყო ის ღიმილი, ავის მათუწყებელი, მუქარაინი. ლალიც იღვსებოდა, კანში ველარ ეტეოდა, აშკარად დაეტყო მუცელი, აშკარადა, უეჭველად, დამაჯერებლად, დაეტყო და ხარობდა, უფრო მტკიცედ მბრძანებლობდა, უფრო გულმოდგინედ ეპატრონებოდა იქაობასა; კოჭლობაც აშკარად დაეტყო, უეჭველად; დამაჯერებლად, ან აღარა ფრთხილობდა, ან ველარა სჭრიდა იმისი ხელოვნება, ისე აღვსილიყო, განს გასულიყო წონასწორობის დაცვისა თუ ლამაზი მიმოხერის თავი აღარა ჰქონდა. სანდროს ეგონა აბუჩად მივდებო. ერთია მძალავს, ჰგონია, მძალავს, ორნი რომ იქნებიან, შინაც აღარ შემომიშვებენო. მერე და რანი იქნებიან, ჩამომავალიც თუ თავისებური ჩამოუვიდა, — ეღირება სანახავად, კარს რომ შემოაღებს, ბუქნაბუქნით შემოეგებებიან, მობუქნავთა შტოს დაუდებს სათავესა; პაპის ნაჭამმა ტყემალმა, შვილიშვილს მოსჭრა კბილი. ცნობილი გვარი გაჩნდება ქალაქში, ისტორიას დარჩება იმისი სახელი, როგორც გვარის მამამთავრისა; იმისი სახელი დარჩება და სამემკვიდრეო ღირსებაც იმას მიეწერება, ასეთი უკუღმართობაც მომხდარა ისტორიაში, ერთის ნაღვაწი მეორეს მიჰკუთვნებია. მაგრამ შინ მაინც ტკბილ დიდ დიდდას მოიხსენიებენ, მხურვალედ, მღვლვარედ მოიხსენიებენ, იმის მადლად ეცოდინებთ ყოველი სიკეთე, ამისად ყოველი უკუღმართობა. ჰმ, მე რომ არაო... — შთააგონებს შვილთა და შვილიშვილთა, შთააგონებს და ცინგლიანი ბიჭები თუ პირუბანელა გოგოები ბღვერით შეეგებ-

ბებიან, კარს რომ შეაღებს, — ბლევრი-
თა და ბუქნაბუქნითა. არამც და არამც...
— კბილუმს აკრაქუნებს და სივდება
ჭავრითა. სივდება ლალიცა, სიამითა სივ-
დება.

გარეთ ქარი ჰქრის, აიტეხა, საღამო-
ქამს ამოვარდება ხოლმე, ერთიდიმივე
ხანს ამოვარდება, ერთიდიმივე დროს
ჩავარდება ხოლმე. ხან გვარიანი შხაუ-
ნა წვიმა მოჰყვება, ხან მხოლოდ ქინ-
ქლავს, ქინქლავს გულის გამაწვრილებ-
ლად. შინ ჩამოთბება, ჩამომყუდროვ-
დება, ჩამოიბინდება და სიამე მოიცავს
თუ არაფერი ენაღვლებათ გარეთა. თუ
ენაღვლებათ, მაშინ სხვა არის. მშენე-
ბელს ენაღვლება და მოუსვენრობს, ვინ
იცის, რა მოხდა, ვინ იცის, სად ჩიქცა
მოუთავებელი კედელიო, — მართლა ეს
ენაღვლება თუ სხვა რაღაც, რაღაც გა-
მოუთქმელი, ესეცა თუ ისიც, სულერ-
თია, მიმოდის, ბრუნავს, რაფას ვადაე-
ყუდება, დროდადრო მუშტს ურტყამს
რაფას, ფანჯარასაც მოხვდება მუშტი.
ოღონდ ისე, შუშა არ გატყდეს, ფრთხი-
ლად, მოზომილად; რაფას რომ ურ-
ტყამს, ისიც მოზომილია, ხელი არ მეტ-
კინოსო, კარგადაა გაანგარიშებული,
არც შესცდება, იცის ვანგარიშება, ცო-
ლებში თუ შესცდა, რა ვუყოთ მერე,
ერთი შეცდომა ყველას მოუვაო, ერთი
შეცდომა გამოასწორა, გამოასწორებს
მეორესაც.

— ასევე გრიალებდა, პირველად რომ
მოვედი, — ამბობს სანდრო, გარეთ იც-
ქირება, თითქოს თავისთვის ამბობსო, —
ლამის საფლავის ძეგლები წაეჭვია, ისე-
თი ძლიერი ქარი იყო.

— საფლავისა? — კითხულობს ლალი,
უბრალოდ, შესაბამისხებლად კითხუ-
ლობს.

— საფლავებისა! აქ ხომ სასაფლაო
იყო...

— სასაფლაო? — გაოცება თუ სხვა
რამ განცდა ახლაც არ მოისმის, კითხუ-
ლობს იმიტომ, რომ არ იცის, აქაური
შკვიდრი ხომ არ არის, — სასაფლაო
ხომ ზევით არის.

— ჭერ აქ იყო, საფლავებზე დგას

ჩვენი სახლი, ეს ქუჩა, მთელი ეს უბანი
საფლავებზეა გაშენებული. ერთ-ერთი
სანდრო, უბრალოდ მიუტყვევებს: —
მოიტანა, სიტყვას მისდევს: — საძირ-
კვლებს რომ სჭირდნენ, ძვლები ამო-
ქონდათ, ძვალთა გორები იდგა, ქვა-კი-
რის გროვებზე მეტი ძვლების გროვები
იყო. თავის ქალა რომ დაგორდებოდა
ფერდობზე, რიყემდის ჩადიოდა გრი-
ალგრიალით. ხან რამდენიმე თავის ქა-
ლა დაგორდებოდა, ერთმანეთს ეხლე-
ბოდნენ, ხმაურით, რაჩხუნით ჩადიოდ-
ნენ დაბლა. ზოგი იმსხვრეოდა, უფრო
ძველი ან უფრო სუსტი, ყბები ცალკე
ეყარა, სარტყელები ცალკე. კმა. ერთ-
ხელ ექსკავატორმა მთლიანი ჩონჩხი
ამოათრია, ციცხზე ნიკაპით ეკიდა ჩონ-
ჩხი, ასევე ჰქროდა ქარი, ჩონჩხი ქანა-
ობდა ხელ-ფეხ გაშლილი, სასაცილო
იყო.

— საცოდავი...

— პირიქით, რომ გენახა, სიცილით
მოკვდებოდი. აბა წარმოიდგინე, ქარი
ჰქრის, ექსკავატორის ციცხზე ნიკაპით
დაკიდულა ჩონჩხი, ხელ-ფეხი გაუშლია.
მიფრინავს, ვერც მიფრინავს; რომ მიფ-
რინავდეს, კიდევ პო, შეიძლება საცო-
დაობა იყოს, მაგრამ ვერ მიფრინავს და
ჩონჩხად ქცეულს მაინც არ დაუქარავს
ვაფრენის სურვილი. ჩონჩხი რომ ასე-
თია, რა იქნებოდა ხორცი რომ ესხა,
სული რომ ედგა?

— რის სურვილიო?! ექსკავატორს
ამოუთრევიო...

— აბა თვითონ ხომ არ ამოვიღოდა,
მაგდენს ველარ მოახერხებდა, რა ვიცი,
შენ როგორ გგონია? — ქარი ძლიერად
დაჰბერავს, იჭექებს, შუშები აზრიალდე-
ბა, აყვება ქურქულიც, — ასევე იმაქა,
ჩვენ თითქოს რაღაცამ გავეციშირა სხეუ-
ლი, ჩონჩხმა დაიზრიალა, ნამსხვრევე-
ბად იქცა, ჩაიფშვნა, ჩაიბნა მიწაში. მე-
ნი დაცვა. მაგრამ მერე ციცხვმა დინგი
რომ მოიქნია, კიდევ ამოიტანა ისეთივე
ჩონჩხი, თითქოს იგივე ამოიტანაო, მაგ-
რამ მაშინ ნიკაპით როდიდა ეკიდა, ფეხ-
ზე იდგა, ხელები გაეშვირა, ზევზევით
მიიწვედა, თითქოს უნდა ამაღლდესო.

ილიის ქვეშიდან გაჰხდავს, ალბათ პირდაღებული მომჩერებიაო. არა, გულ-მოღვინედ გაჰქონდა ძაფი. — აქ სულ ასე იყო, — განავრძობს სანდრო, აქ დასახლება არც უნდოდათ, შიშობდნენ. პირველად მე გავეყრი საძირკველი, რის შიში, რა შიში, რა სათქმელია, ვისი მოგონილია! ამ ფერდობს რა სჯობს, ქალაქის რომელი კუთხე შეედრება. სისულელეა შიში, თუმცა ზოგს მაინც ეშინიან. აქ იყო ერთი, აგერ მეზობლად, მარტო დაძინება არ შეეძლო, ეგონა ლანდები დამდევენ და დახრჩობას მიპირებნო. უეცრად კივილს ასტეხავდა, მიეცვივლებოდით, ეგდო მოკუნტული, გვევედრებოდა, არ დამაბრჩითო, შემობრალეთო. ძლივს ვამშვიდებდით. მოკვდა საწყალი. რა უგუნურებაა, ვინ გამოიგონა შიში!..

— შიშს ვინ გამოიგონებდა!.. ალბათ თავისთავად გაჩნდა... — ამონაქარგს აკვირდება, სხვაფერ ძაფს უნაცვლებს ლალი.

— სულერთია უგუნურება!.. აღამიანზე ძლიერი არაფერია ბუნებაში.

— არაფერია!..

ისევ იჭექებს, მთლად ზეცას მოკლებდა გუგუნო. ლალი ძაფსა ნასკვავს, არ შეეშლება, აიხედავს ისე, როგორ გაიკლავნა ელვაო. სანდრო მხარს ზემოდან გადმოსცქერის. თვალი თვალსა ხვდება, მშვიდი და გამომცდელი თვალი. ისევ იჭექებს და ერთი ცას რომ მიუბრუნდება, მეორე აბურძგნის ნაწისოვის ხაოსა, ძაფებსაც წაეტანება, იმფერი რომელია, ელვის ფერიო.

— აქ შეიძლება მეზიც დაეცეს — სანდრო ამბობს.

— რაღა აქ დაეცემა!..

— მაშინ აქ დაეცა, ჩონჩხს აქ დაეცა.

— მითუმეტეს აღარ დაეცემა, მეზიც აღარ მიუბრუნდებაო, ნათქვამია.

— ვინ იცის!..

— ნათქვამია და...

— რასაც ამბობენ, განა ყველაფერი მართალია..

— ბევრი რამ მაინც მართალია.

გრიანებს ქარი, სახურავზე გრიან-

ლებს, თითქოს უნდა აიტაცოს სახურავიო ან არც გაუჭირდება! არც მანქანა აიტაცოს საძირკველიდან! ჩონჩხს ჩონჩხებიც თუ ამოკეცება, ჩონჩხთა მხრებზე თუ შემდგარა საძირკველი, ისე ამოვლენ, თითქოს კვლავ მხრებზე დასწოლიათ შენობა, თითქოს მხრებით ამოუზიდიათო; ქარი ჩადგება და თითქოს უკუბრუნდებიან, უკან ჩააქვთ, ღრმად ჩააქვთ საძირკველიო. წვიმა თქრიალებს, კოცისპირულად ასხამს, შხაპუნებს მინებზე, შხუის მილებში.

წვიმა გადაიღებს, ცა მოიკრიალებს შელაგების წინ, გულიც მოიკრიალებს სანდროსი. ლალის წაადგება, ვითომ საქსოვს ჩაეჩერებოდაო, სინამდვილეში სახეში ჩასცქერის, შეერბა თუ არა რომელიმე ზოლი, გადაეფინა თუ არა შიშის ჩრდილიო. ვერ ამჩნევს ან არ იმჩნევს, სულერთია, ნუ შეიმჩნევს ან ნუ შეამჩნევს, დღეს ასე იყო, ხვალ საღამოს კიდევ ამოვარდება ქარი, ატყდება ქვეაქუბილი, ელვა დაგლეჯს შავ-შავ ღრუბლებსა, მერე ჩამობნელებს და აჩრდილებს ამოვლენ საძირკველებიდან. მაშინ შეგეცვლება ფერი. სანდრო გვიანობამდის არ დაბრუნდება, შენ იცი თუ როგორ უმასპინძლებ გმირ წინაპართა აჩრდილებს. ჰო, მაგრამ ვერაფერს გაიგებს, რაც უფრო გვიან დაბრუნდება, მით უფრო ღრმა ძილში იქნება ლალი, ღრმასა და მშვიდში. მაშინ ვასაღებს აღარ გაიყოლებს, ზარით დაუფრთხობს უშფოთველ ძილს. დამრჩენიაო, მოუბოდიშებს, მერე უფრო ხშირად მოუბოდიშებს, ხშირად დაჩრება ვასაღები. ზარსაც გამოცვლის, წყრიალა ზარი ეგრე ვერ დააფრთხობს, გუგუნა ზარს დაუდგამს, მალალი ძაბვის დენში ჩართავს, ხან ზარი მოიშლება. ბრახუნებს კარი. მეზობლები გადმოადგებიან, რა ამბავიაო, არც ეს არის კული, დაე იცოდნენ თუ რა დღეშია: ეს დღე-ღალამეს ასწორებს, იმას კარიც ვერ გაუღია. ეგება ვერც ადგეს, ეგება გარეთაც დაადგოს გათენებამდისა, გასაკვირი არაფერია. მაგრამ კარი ფართოდ იღება, კარებში ფუჩფუჩა ქალი დგას, მომ-



ლიმარი ქალი, მხოლოდ ოდნავ აუწყევია ცალი წარბი, — რად ამრახუნებ, ფეხის ხმით გიციანი და გამოვეშურეო. ლამის ბოდიში მოახდევინოს. ეს არაფერი, მოუხდის ბოდიშს, საამისო ბოდიშსაც მოახერხებს, დამცინავსა, გამაბიაბრუებელს. ის არ იწყენს, მეორეჯერ წამითაც არ შეაყოვნებს, კართან მისვლა და კარის გაღება ერთი იქნება, ზარზეც მიუთითებს, გავაკეთებინეო. დარეკავს, გასინჯავს, წკრილა ზარია, საამო ხმა აქვს, არ მოეწონება, თვითონ დადგამს გუგუნა ზარს. მაინც არაფერი გამოდის, არაფერი აშფოთებს, მთვარესავით ოცნება, იბადრება, თამამდება, დედობის დრო რომ უახლოვდება, თამამდება და იღვსება. სანდრო სივდება, იბერება, მარცხი ამრახებს, რაღა იღონოს ვერ გაუგია, სად დაიჭექოს ვერ მოუფიქრებია, მაგრამ იმედოვნებს, ჯერ თვითონვე ვადმოხეტის კედლებსო. ალბათ, ვადმოხეტის.

მანამდის ცდასაც არ მოაკლებს... ამინდი იმის მხარესაა, ყოველ საღამოს გრიალებს ქარი. ძლიერი ქარი რომ ჩავარდება, შხაპუნა ან ქუეყუნა წვიმა რომ გადაიღებს, პატარა ქარი აშრიალდება, დატრიალდება ქალაქის თავზე არავის აშფოთებს, არავის არაფერს ავნებს, ხოლო ამისთვის გამოსადევია. ძლიერი ქარი რაღაცას ახათქუნებს სახურავში, მთელ სახლს აზნაზარებს, მიწა იძვრისო, ასე გეგონებათ, ხოლო დაბალი ქარი რაღაცას აწივლებს, ივივეს აწვალებს, ძლიერი ქარი რომ ახათქუნებდა, აწივლებს, ანრქიალებს, აქრატუნებს, ხან მიაჭახებს, დროდადრო მიაჭახებს, მოულოდნელად და შემამფოთადა. სათქმელად აღვილია, მოსათმენად ძნელი, აკი სანდრო ვერ ითმენს, შფოთავს, ახველებს:

— რა ობრობაა!.. — ბრაზობს სანდრო.

— რაღაც მოიშლებოდა... — განუმარტავს ლალი.

— ეგრე არ ვაშენებ, მალიმალ რომ მოიშალოს. — იწყენს სანდრო.

— ხდება ხოლმე...

— სხვებისათვის, ჩემთვის არა.

— მაშ რა არის?!

— აბა რა ეცი! — მხრებზე მსუქებს

სანდრო, თვალებს აღაპყრობს, ვითომდა რაო, საშიშია, რაც არისო. საშიშისა რა მოგახსენოთ, ოღონდ ძილი მაინც გაუტყდებათ, ლალის ოდნავა, სანდრო თეთრად გაათენებს იმ ღამეს. მეორე ღამესაც იმავე იმედითა წეება, ისევ თეთრად გამითენდებაო, მაგრამ ამოდ ჩაუვლის იმედი. ვარეთ ქარი პქრის, შიგნით არაფერი ისმის, არცა ქრიალი, არცა წივილი, არცა ჯახუნი. ოდნავ თუ აწკრილდება სახურავი, წკრილწკრილ კენჭებს თუ ვადაყრის ქარი. რატომ ჩაწყვეტილიყო შემამფოთი ქრიალი, სამერცხულის კარი ხომ საგანგებოდ მოშალა, სულ მცირე ნიავე უნდა ექრი-ალა, ისე მოშალა, მეტი ხომ არ მოუვიდა, ხომ არ ჩამოვარდა?! მაშინ ბუქნის ხმა ჩამოვა, ქარი იბუქნავეებს, სამერცხულიდან შეჭრილი ქარი.

— აღარაფერი ისმის, — ამბობს სანდრო, — წუხელის არ მოგვასვენა, რა იყო ნეტავი?!

— სამერცხულის კარი მორყეულიყო.

— სამერცხულისა?!

— სამერცხულისა... გავამაგრე.

— შენ ახვედი?!

— აბა ვინ, შენ ხომ არ ასულხარა!

წყველიმც ყოფილხარ, ფიქრობს სანდრო, შიში არა გაქვს, კეთილი, არა გაქვს და ნუ გაქვს, ე მუცელი როგორღა აათრიე რკინის წვრილ კიბეზე?!

— სიფრთხილე ვმართებს ქალბატონო, — სანდრო ცდილობს შიშით გამოსთქვას, შიშითა და სიამით იმავე დროს, — შენი თავი შენ აღარ გეკუთვნის, ხომ იცი? რაზე რომ შეგემთხვეს, რაღა პასუხს მომიცემ?! ფრთხილად! ფრთხილად!.. — ენას უჩლექს და თითს უქნევს.

— რათქმუნდა ფრთხილად... — ენას უჩლექს ლალიც, იბადრება, ნაბავს თვალებს.

— ეს რაღა ვაფრთხილებაა!.. — წყრება სანდრო.

— იქ საფრთხილო არაფერი იყო

— რომ ყოფილიყო?! — ხმას უწევს სანდრო.

— არ იყო და!..

— რომ ყოფილიყო-მეთქი!..

— არ ავიდოდი.

— რომ ახვედი?!

— აიღალ ავალ... აიღალ... აიღალ... — ამბობს ლალი, ენის მოჩლეჭა თუ მოეწონა.

სანდრო შეერთა, ბავშვმა ხომ არ ამოიძახაო, ლალიც მიმოიხედავს, იმასაც იგივე თუ მოეჩვენა. მერე ორივენი იცინიან, იცინიან, ვინმემ რომ შეასწროთ თვალი, იმათზე ბედნიერი აღარავინ ეგონება ამქვეყნადა. ოღონდ ბედნიერებასაც ხომ მიბეჭითება უნდა, ზრუნვა უნდა, თორემ თავისთავად ვერ გაიხარებს, რას გაიხარებს, თავისთავად უბედურებაც არ არის, ბედნიერება როგორ იგვარებს თავისთავადაო, — ჰოდა სანდროც უბეჭითებს, ვეება კასრს შეაკორიკებს კასრებზედა, წყლით გააგებს, ლატანს გამოსდებს შეკორიკებულ კასრსა, ლატანს წვერს კართან მიიტანს, მარნის კარს ოღნავ შეაღებს თუ არა, ლატანს მოხედება, ლატანი კასრს აუქარებს, უფრო აუქარებს, ისედაც აქარებულსა, გადმოენარცხება კასრი, გადმოენარცხება დგაფუნით, ელდა ეცემა, ვინც შეესწრება; სხვა ვინ შეესწრება ლალის მეტი, ელდა ეცემა, წიოკობას ასტეხს, მოცივიანი მეზობლები, სამსახურში დაურეკავენ, არიქა რალაც უბედურებაა შენს თავსაო. მოვარდება გულგახეთქილი, მალე გამოარკვევს რა უბედურებაც არის, დიდსულოვნად გადაიტანს, არ დასძრახავს ლალის, მართალია მაგისი ბრალიაო, ყრუდ იტყვის, დროდადროც გაიმეორებს, მაგრამ არ დასძრახავს, ეჭიმებს დაასვეს, მოეფერება, რაც იყო, იყოო, ამის შემდეგ ვიფრთხილოთო, ხოლო ხალხს რომ გაისტუმრებს, მერე სხვა ჰანგებზე აღაპარკდება, იცის ის ჰანგები, არც გამეორება უნდა, არც დიდი რამ ვარჯიში, არც დიდი გულმოდგინება, გასაწაფად, გაწაფულა, გამზადებულა, მხოლოდ დადგეს ის ქამი, დადგეს დროზე.

და ელოდება, ელოდება მოუთმენლად... სამსახურში დახვალაო, კაცობენ, რა მოგივიდაო, ეკითხებიან. არაფერიო, ირიდებს შეკითხვებს, ოღონდ ტელეფონი რომ რეკს, გული წამოუვარდება, კიდევაც წამოხტება, მე ხომ არა მკითხულობენო. არაო, არცა გკითხულობენ, უბრალოდაც არ გახსენებენო. ნუთუ ისე დაღამდება დღე დღევანდელი, მარანში შესვლა არ მოინდომოსო. პირობა ხომ მისცა ვიფრთხილებო, — აიღალ ვიზამო, აიღალაო. ალბათ, ასრულებს დანაპირს. მაგრამ ის სხვა პირობა იყო, საფრთხილო კიბე სხვენს ასდევს, მარანს ხომ არა, — მარანს კიბე მოზაიკისაა, ფართო, ვანიერი, მოაჭირიც ჩასდევს, იქ სიფრთხილეს რა უნდა, როგორც უნდა ჩავიდეს, როცა უნდა ჩავიდეს ერთხელ ჩავიდეს, მხოლოდ ერთხელ. ტელეფონი რეკს. აჰა!... „ვინ უნდათ?!“ მოუთმენლად კითხულობს სანდრო. ვილაც სხვა უნდათ. ბერსა ლაპარაკობს ის ვილაცა, თავისი კოლეგაა, მაგრამ ამ წუთში ვილაცაა, ამდენს რომ ლაპარაკობს, ვინ იცის, სწორედ ახლა ურეკავენ, ხოლო აქედან დაკავების ნიშანი ესმის. „გეყოფათ!“ ხმას უწევს სანდრო და თანამშრომლები ერთმანეთს გადააბნედავენ მრავალმნიშვნელოვნად, გუნებაზე ვერ არის ჩვენი ძვირფასი მეგობარი, ნეტავი რა დამართნიაო. არც არაფერი, მხოლოდ მოუთმენლობა ემატება, მალე იმასაც დასძლევეს, — შეიძლება დღის ბოლოს ჩავიდეს, მაშინ ეს უკვე გზაში რომ იქნება, ტელეფონი რა ბედენაა?! არაფერი... ამას გაიფიქრებს, ამით დასძლევეს მოუთმენლობას. ეგება სულაც არ ჩავიდეს? დღეს თუ არა, ხვალ ჩავა, უსათუოდ ჩავა, ვერ მოითმენს, რომ არ შემოიბრინოს მარანიცა; არ ჩავა და ჩაპგზავნის, რაიმე დასჭირდება და ჩაპგზავნის. თუმცა არა, ოო, არა, ეს ხომ დანაშაული იქნება!.. არამედარამც თვითონ არ ჩავგზავნის, არავითარ შემთხვევაში ისედაც ჩავა, გაგზავნა რად უნდა, ის ჩავა, ეს მზად იქნება, მზადაც არის, ამოუწერიო ცნობილ გინეკოლოგ-

თა მისამართები, ტელეფონის ნომრები, ყველას დაურეკავს, მეზობლებს აფრენს, თვითონაც შემოირბენს, ცეცხლს გააჩენს, ცეცხლს წაუკიდებს ყველასა, სხვა რამ იმისი საქმე არ არის, — ჩავა, არ შეიძლება, რომ არ ჩავიდეს.

არ შეიძლებაო და ჩადის, ოღონდ განვაშინას თუ აურზაურისას ვერაფერს მოგახსენებთ, საამისო არაფერი მომზადარა, მხოლოდ სანდრო გვიან რომ დაბრუნდა, ლოდინითა თუ მოუთმენლობით დადლილი რომ დაბრუნდა, ლალიმ მაშინვე მიაგება, კასრი გადმოვარდაო, ისე დაასკდა, კინალამ გული გამიხეთქაო. სულშეგუბებულებით სთქვა, ეგება მართლაც ასე შეუგუბდა სული, ახლა მხოლოდ გაითამაშა, მამაგვანა მაშინდელ განცდას, თითქოს თვალებიც გადმოუბრუნდა, ფერმაც გადაკრა, მაგრამ ეს ის არ იყო, სანდრო რომ ელოდა. იმედის გაცრუება ბოლმად მოაწვა და ახრიალდა. ზრიალით ჩაიქრა მარანში მომზრალეებული დახვდა იქაობა, კასრის ნაშალი წყობისად მილაგებული, არც ეტყობა კვალი გულის გახეთქვისა თუ შიშისა, ყოველშემთხვევაში მალე გაეგლო, დამშვიდებული ხელი დასტყობოდა ყველაფერს. სამაგიეროდ სანდრო აქოთდა, აჩხუბდა, აჩანჩანდა, რა შენი საქმეა, რა გინდა მარანში, რას დაეტოქები, ვერ დაეტეე ერთ ადგილასო; ერთი ბეწვა სინაზე არა ვაქვს, რასაც მიეკარები, ამსხვრეე, სახლსაც დამინგრეე შენი ტლანქი ფეხებითაო. — ეს უთხრა და ამდაგვარები მიაყოლა. ლალიმაც არ დაივალა, უკანვე დაუბრუნა ყველაფერი, იქვე, მარანშივე გადაუხადა, ვალი ვალად დაუბრუნა, სართიც დაადო ვალადა. „ეწყინა, ერთი ამას დამიხედეთ, ეწყინა, კასრი დაენანა, — ჩაჩხანებდა ლალი, — თითქოს მე ნაკლებად დამნანებოდეს, მაგრამ როდის რას გაბრალებ, როდის დაგძახი, შენ დადგამდი ცუდადამეთქი?!“ სანდროს მოეჩვენა ყველაფერი იცის, ამას გადაკერით მეუბნებო, მოეჩვენა და ერთ ადგილას დაპროწიალდა უახროდ, მერე კასრის ნაშალი აიტა-

ცა, აქეთ-იქით ისროლა, მიმოფანტა და გარეთ გაეარდა.

თითქოს მე ნაკლებად დამნანებოდესო, ჰმ!.. შენზე მეტად მენანება, ჩემია და მენანებო, ამასა ნიშნავს, ამასაცა და ბევრად მეტსაც, — ვითომ შენ რა გაყვირებს, რა გვეკითხება, რა გამეტოჩრებსო. წადი და ედავე, წადი და სიტყვა მოუჭერი: დაეფულა, დაეპატრონა, გათამამდა და გათამამებულს ვილა მოუჭრის სიტყვასა!.. ის კასრი პირველი ავეჯი გახლდათ, პირველი სიხარული. კედლები რომ მალა მიიწვედა, ეგ არაფერი, რამდენ კედელს შეჰყურებდა, თავისი ხომ არ იყო, ესეც ვერ ერწმუნა თავისად, ეგონა დამთავრდებოდა, მიმღები კომისია მოვიდოდა, აივლ-ჩაივლიდა, ჩაიბარებდა და გზას გაუთავაზებდა, სხვებს მიჰხედდო. ასე მიჩვეულიყო, ასევე ეგონა, მოშლილიყო, გაღიზიანებულიყო; სარდაფი რომ მოათავა, ეს კასრი შემოაგდო და მარანი დაარქვა, მაშინდა ირწმუნა თავისად, მაშინდა დაიგულა გული საგულეს, კასრს ეფერებოდა, კასრი გადაჰქონდა ერთი კუთხიდან მეორეში, უფრო მოხდენილად, უფრო სათვალსაჩინოდ. ძმბიჭური სუფრაც იმ კასრზე გაშალა, სახლი ჯერ კიდევ დასამთავრებელი რომ იყო. ის იყო საწყისი, საფუძველი იმისი დაბინავებისა, საფუძველი იმისი პირადი საკუთრებისა, — პატარასი თუ დიდისა, ძნელი სათქმელია, სად პატარად ითქმოდან, სად დიდადა ან როდის პატარად ითქმოდან, როდის დიდადა, — ერთისიტყვით საფუძველი ის გახლდათ, საფუძველი დაეშალა და მე არაფერს ვამბობ, შენ რა გაყვირებსო, ვესმით, შენ რა გაყვირებსო!.. ამაზე მოულოდნელიც, ალბათ, არც შეჰხვედრია, აღარც აღარასოდეს შეხვდება ცხოვრებაში. რომელი ერთი ენადგლა, რომელი უფრო სამძიმო იყო? ის რომ დაემსხვრა, ისე უახროდ რომ დაემსხვრა თუ ისა, შენ ვინა ხარო? ვთქვათ, პირველი ორი იმისავე ბრალი იყო; თუმცა რატომ პირველი ორი, — კასრის დამსხვრევა უმჯველად იმისი მიზეზით გამოდიოდა, მაგრამ

უაზროდ რომ დაიმსხვრა, ამას აღბით დაიბრალებდა. ან არა, ეს ლალის ბრალი გახლდათ, ლალის უნდა მიეცა აზრი, აქ მოქმედება ლალის ეკუთვნოდა, ვერ შესარულა თავისი ვალდებულება თუ როლი, ძარღვების ნაცვლად მალალი ძაბვის მავთულები თუ აქვს სხეულში და ეგრე აღვილად ვერ გასტრა მოულოდნელმა გრიალ-გრუხუნმა; არა, ამას არ დაიბრალებს და თუნდაც დაიბრალოს, მთავარი მაინც ის არის, შენ ვინა ხარო. ამას აქამდისაცა გრძნობდა, მაგრამ გრძნობა გრძნობაა, ერთხელ შეიძლება ექვიც იყოს, ფუქი ექვი, მოჩვენება გმიზეზებული ადამიანისა, ოღონდ ახლა მთლად გამომუღავნდა, მკაფიოდ ითქვა, მრისხანედ ითქვა, — ეს იყო მწარე, მწარეზე მწარე.

გარეთ რომ გავარდა ასე ფიქრობდა; კერნაქზე დაეხეტებოდა და გულს ასკვებოდა, ზემო კერნაქზე, სასაფლაოზე.

მაგდა ერჩივნა, მაგდა არაფერს ეცილებოდა, არაფერს ეპატრონებოდა, უნაკლოც იყო, რა ვუყოთ შვილი დროზე თუ არ შეეძინა, დიდდამისსაც მოგვიანებით გასჩენია შვილი, ისიც გააჩენდა, შესძენდა უნაკლოს, თავისამებრ უნაკლოს, ლამაზს, ფაქიზს, გონიერს: მტეტი რა უნდოდა? ეს გინდოდა?! პირველი ბედი ბედია, მეორე მოგონილიაო, უთქვამთ და მართალიცა ყოფილა. ან ეგებ უკეთესად უნდა თქმულიყო: პირველი ბედი ბედია, მეორე ცოდვის კითხვააო, — ნამდვილად ასე უნდა თქმულიყო, იმისთვის მაინც ცოდვის კითხვად იქცა, შესცდა და მოსანანიებლად ლალი მიუჩინა ვანგებამ. მწვავე სასჯელი, ქარიც მწვავედა წივის კერნაქზე, წივის საფლავეებზე დარგულ ნაძვებსა, ალვებ-

სა თუ თმაჩამოწეწილ წნულებზე წივივს, ფხრეწს წნორის ტოტებზე, წივივს ვებს და ეგრე მოჩანს, თითქოს ძველები ქანაობენო, თითქოს უნდა მოირღვენენ, საძირკვლებში უნდა ჩაცვივდნენო. მაინც აგერ მომდგარა ქალაქი, აქაც ამოვა, საძირკველში მოქცევა მღელვარწახნაგოვანი წითელი ქვები თუ მარმარილოს სვეტები; ქვები მოექცევა მიწაში და ადამიანები ზევით ამოვლენ, ამოვლენ იმედებით, ექვებით, ბრძოლისა თუ მოხვეჭის ენით, შურითა, ღვარძლით, სიყვარულით, რათქმუნდა სიყვარულითაც, მხოლოდ დაავიწყდებით, რომ ცოტახნის წინათ იქ იყვნენ, ძველები, სადაც ჩაცვენილა, იქა, იმ მარადიული მღუმარების სამეუფოში, იქვე ჩაეღენ ან უფრო ზევით, რადგან სასაფლაო ზევით აიწევს, თბეზე ავა კერნაქებისა. იქაც სიცოცხლე უწევს, სიცოცხლე მღევარი, დაუღევარი, შფოთიანი, მღდგარი, შემართებული, სიკვდილი რომ დაეიწყებია, ისეთი სიცოცხლე. ჯერ აქაობას მისტანებია. კიდევ კარგახანს დააგვიანდება აქ ამოსვლამდისა; მანამდის იმასაც ამოაბრძანებენ, ბუქნაბუქნით ამოაცილებენ შვილები, შვილიშვილები, შვილიშვილთა შვილები, დიდხანს იცოცხლებს, დაე იცოცხლოს, მაინც ამოაბრძანებენ და შერე, ვინ იცის, იმისი ჩონჩხი. მართლაც ნიკაპით დაეკიდოს ექსკავატორის ციცხვსა, ვინ უწყის, კიდევაც ახდეს გამონაგონი ლალის შესაშინებლად, შესაშინებლად ნათქვამი წინასწარმეტყველებად იქცეს, პოი, ვინ უწყის!.. და მირბის სანდრო, კერნაქებიდან მირბის, წნორებს ტოტები გასწეწია, მისდევენ ტოტნი, მირბის და მისდევენ.

(გაგრძელება იქნება)

ბრის შაგბრაშვილი

სიცოცხლის ნაკაღი

მოთხრობა

მამაკაცი უკვე დიდი ხანი იღვა ვაკონის ფანჯარასთან არაბუნებრივ, დაძაბულ პოზაში, რომელიც დამახასიათებელია პროთეზით მოსიარულეთათვის. ის მთლიანად მისცემოდა შინის იქით მიმჭროლავი პეიზაჟის ცქერას. მის გამოხედვაში იყო რაღაც უფრო ღრმა და ძლიერი, ვიდრე ცნობისმოყვარეობა, ან აყვავებული ზაფხულის ბუნების სურათით აღტაცება.

ფანჯრის მიღმა იშლებოდა განუმეორებელი თავისებურების პანორამა, რომელსაც შეხვდებით კავკასიონის ვრცელ მისადგომებთან. ყუბანის სტეპი უკანასკნელ საღამს ვზავნიდა. მიცურავდა ლაღად გაშლილი სტანიცები — ბაღების ზურმუხტოვანი მაქმანით შემოვლებული, თვალშეუვლები სიდიდის ველები და ღრუბლების ქარავანი — სწორ, დაბლადაშვებულ პორიზონტზე. უკვე იგრძნობოდა მწუხრის მოახლოება. ირგვლივ დაღვრილიყო ის გამჭვირვალეობა და მკაფიობა, რომელსაც ამკვიდრებს სახეიმოდ ჩამავალი მზე დაისის წყნარ საათებში.

— მამა, მოდი ჩვენთან, დიდი ხანია გიცდით, — მოისმა კუბედან რბილი, ახალგაზრდული ხმა.

მაგრამ ის, ვისაც მიმართეს, ამ ხმას არ გამოეხმაურა და განაგრძო სივრცეში უჩუმრად ყურება. ქაბუცი გამოვიდა კუბედან, მივიდა მამასთან და ნახად მოეხვია. ჩანდა, რაღაცის შეკითხვა უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდა დუმისლის დარღვევას.

— ამ ადგილებს კარგად იცნობ, მამა? შენ ხომ ყუბანში იბრძოდი, — მიმართა ბოლოს.

— იცნობო? — შემაცბუნებელი კითხვის ტონით უპასუხა ოდნავ ყრუ, ათრთოლებულმა ხმამ, — ეს ადგილები, არათუ ნაცნობია ჩემთვის, სამუდამოდ ჩამრჩა მებსიერებაში და თითქოს თან დამყვება სადაც კი წავალ, აქ იმდენი სისხლი დაიღვარა, იმდენი მეტრძოლი დაეცა... მეც კინაღამ მათ შორის დავრჩი.

მამა ისევ დადუმდა. შვილიც გაჩუმებულიყო. უნდოდა წარმოედგინა ის ტრაგედია, რომელიც აქ შემთხვევა მამას. ცდილობდა წარმოესახა არა საერთო სურათი, ან მოვლენათა მსვლელობა, არამედ მათი შინაგანი დამაბულობა, ტრაგედიის მონაწილეთა განცდებისა და გრძნობების სიღრმე. მაგრამ ეს მისთვის შეუძლებელი იყო, როგორც შეუძლებელია წარმოიდგინოს ადამიანის დიდი უბედურების წუთები მან, ვინც ამის შესახებ მხოლოდ ნაამბობით იცის.

მამის თვალწინ კი თავისი მკაცრი რეალობით ისევ გაცოცხლდა შორეული წლების მოვლენები. რამდენი ასეული კილომეტრი გაიარა ომის ვზებზე, რამდენი სოფელი და ქალაქი მოიტოვა უკან, აი, ეს სტანიცა კი, რომელსაც მატარებელმა ახლახან ჩაუქროლა, უკანასკნელი ზღვარი იყო, სადაც იგი თავისი ფეხით მოვიდა, და საიდანაც შემდეგ სხვებმა წაიყვანეს.

მამას გაახსენდა ყოველი დეტალი. ყოველი წვრილმანი შემთხვევისა, რომელიც იმ ზაფხულს მოხდა ასეთივე ლამაზი დღის მიწურულში...

მანქანას იგი საინჟინრო ნაწილის ქარისკაცების ჯგუფთან ერთად მიჰყავდა. სწრაფად უახლოვდებოდნენ სტანიცას.

მანქანის უკან კვამლის ფარდასავით იგრავენბოდა მტერის კოორინტელი, რომელიც გრძელი შლვიფივით სქლად ედებოდა მინდვრებს, ხეთა ეენწეროებს, ხუტოებს.

ჯარისკაცები დაქანცა უძილო ღამეებს, იმ ბრძოლების აურზაურით სავსე ღამეებს, რომელსაც შეუპოვრად ეწეოდნენ სამხრეთისაკენ უკანდახეული ჩვენი ნაწილები. ამ წუთში არ ისმოდა ბრძოლის გრუხუნის და თითქოს დავიწყებოდათ იგი. მეომრები უსიტყვოდ გასცქეროდნენ წინ გაშლილ სივრცეს, უსმენდნენ სტეპის მრავალნაირ ბგერებს — ბალახებისა და ბუჩქების ჩურჩულს, ჭრიჭინობელათა ჭრიჭინს, ფრიველთა მხიარულ ჭიკჭიკს.

ცეცხლისა და ნგრევის ცქერას მიჩვეული ჯარისკაცების თვლები — ახლებურად აღიქვამდა ომით ჯერ კიდევ დაურუჯავი, მზის ცხელ სხივებში მონარნარე სტეპის სურათს.

მაგრამ აღამიანების სიმშვიდე მხოლოდ გარეგნული იყო. მათ ვულვებში დუღდა სითლული მტრისადმი, რომელიც ისევე მოიწყვდა ამ მშვენიერ სტეპის გადასათელად, როგორც გადათელა, დაასახირა ასეულობით კილომეტრი მშობლიური მიწა. ჯარისკაცების გონება ერთ ფიჭის უტრიალებდა — როგორ შეესრულებინათ მოვალეობა უკეთ, როგორ დაერთყათ დამპყრობლებისათვის. მათ წინაშე დასმული იყო ნათელი, საბრძოლო ამოცანა — აეფეთქებინათ რკინიგზის ხიდი სტანიცასთან და შეეჩერებინათ მოწინააღმდეგის წინსვლა.

აქამდე პირდაპირი და სწორი გზა აკაცების ხშირ ნარგავებთან მოულოდნელად მკვეთრად უხვევდა დიკლაკენით ეშვებოდა დარტაფში, რომლის იქით ბორცვების ნაოქი იწყებოდა.

როცა მანქანა მოსახვევს მიუახლოვდა, უცებ სიჩუმე აეტომატის ჯერმა დაარღვია. უშენდნენ სამი მხრიდან.

ის უმაღლე საბრძოლველად მოემზა-

და, ეს სწრაფი რეაქცია მეომრისა მრავალი თვის ბრძოლების შედეგად შექმნილი და გამოუმუშავებული.

მოვლენების მკვეთრმა, ელვისებურმა ცვლილებამ ისე შთანთქა მთელი მისი არსება, რომ ერთბაშად ყურადღებაც არ მიაქცია მწვავე ტკივილს ფეხში. მერე დაიხედა და დაინახა სისხლით დაფარული ჩექმის გახლჩილი ყელი. მაგრამ მაშინვე რატომღაც ვერ დაუკავშირა ერთმანეთს მტერთან შებმა, სროლა და ფეხის ასეთი უცნაური შესახედაობა. ერთბაშად მოეჩვენა, რომ ეს მას კი არ შეემთხვა, სხვისი კიდური იყო დასისხლიანებული.

მთელი მისი არსება მოეცეა ერთ დაუოკებელ სურვილს — ებრძოლა, გაეწია წინაღმდეგობა. აღბათ, ამიტომ აღმოჩნდა ძალა, პისტოლეტი მოემარჯვებინა და გადმომხტარიყო მანქანიდან. მიწაზე დახტომისთანავე სხვა ტყეების ნესტარმაც გაეენწლა. ახლა მარცხენა ჩექმის ყელიც აიფუტენა. უკანასკნელად, მის დანისლულ ცნობიერებაში აღიბეჭდა ბუჩქებიდან გამოცოცებული ფაშისტური ჯავშანტარამპორტიორის ღრქალი, მუქმწვანე მუნდირები და წამოძახილები:

— რუს, ხალტ! დაგვენბდი ტყვედ!

მერე ყველაფერი დატრიალდა უცნაური და ვიქური როკვით. უძირო, ლურჯი ცა, აქამდე რომ ბროლის გუმბათით ელაგდა, მოულოდნელად თავზე დაემხო, როგორც შავი და მძიმე ღრუბელი. ჩამავალი მზის აღმაცერი სხივები სისხლის ზოლად მოეჩვენა.

...გონს მაშინ მოვიდა, როცა მიწაზე ღამის სიგრილე დაეშვა და ცაზე კანკალით აციავდა შორეული და ცივი ვარსკვლავები. ირგვლივ სტეპის მაღლი ეფინა და მიწიდან ბალახების დამართობელი სურნელება ადიოდა. ზურგზე იწვა გზისპირას, მაღლა აღეპრო თვლები, ფეხებში, მთელს ტანში გრძნობდა მტანჯველ ტკივილებს. მაგრამ ამასაც კი არ შეეძლო ჩაეხშო გონების მუშაობა. უცნაურია, მაგრამ პირველი, რაც ამ

წუთებში განაცადა, იყო შეგრძნება მწვავე და ღრმა სინანულისა, რომ მისთვის ყველაფერი ასე ბედუქუღმართად შეიცვალა; საფრთხე, წინათ გვერდს რომ უვლიდა, ახლა საბედისწეროდ ეპგერა და მიწაზე დაანარცხა.

ერთი მეორის მიყოლებით იცვლებოდა სურათები იმ წარსული წლებისა და მოვლენებისა, რომლებიც ამზადებდნენ მძიმე და მკაცრი გამოცდისათვის. ხედავდა ბრძოლისა და ლაშქრობის, ხანმოკლე შესვენებების, ამხანაგებთან ამაღლებული და ვულოთადი შეხვედრების ეპიზოდებს.

და ეკითხებოდა საკუთარ თავს:

„ნუთუ, ეს ჩემთვის დასასრულია? ნუთუ სამუდამოდ მოწყვეტილი ვარ მათ რიგებს, რომლებიც განდევნიან მტერს ჩვენი მიწა-წყლიდან?“

ფიქრობდა შშობლიურ ნაწილზე, იმ მებრძოლი მეგობრების ოჯახზე, რომლებთან ერთად იყოფდა ხოლმე ტანჯვასაც და სიხარულსაც. და ყოველივე ამის შემდეგ, მის წინაშე დგებოდა სურათი იმ დიადი ბრძოლისა, რომელმაც ქვეყანა შეაზანზარა. გრძობდა საკუთარი სიცოცხლისა და ბედის უწყვეტ კავშირს სამშობლოსთან, ხალხთან და სიცოცხლესთან...

ტკივილი იმდენად გაძლიერდა, რომ დაჭრილს გული წაუფიდა. ის თითქმის დაიკარგა ბურანში, აზრის სიცხადე გაქრა. დაღლილი ტვინი ტანჯვით მარცვლავდა, ატრიალებდა მოზღვავებულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ, დაქსაქსულ ფაქტებს. შემდეგ კი, თითქმის მიწამ პირი უყო, სრულიად დაკარგა გონება...

როცა ცნობიერება დაუბრუნდა არარაობიდან მოსულივით—წარმოდგენა არ ჰქონდა არც დროზე, არც სივრცეზე. თავთან ნახად ირხეოდა ხშირი, მწვანე ტოტები. ტოტებში ატანდა ლურჯ ცაში მოლივლივე შვის სხივები. დროდადრო დაჭრილის სახეს გადაურბენდა ფოთლების ჩრდილი, რომელიც მიწაზე ირხეოდა, ეჩვენებოდა — ვიღაც უხი-

ლავი ჰრელ რიდეს ურბევედა ფეკლ-წინ. სად იმყოფებოდა, რა დამაბრუნებდა — ახლა ვერ გეტყობდათ ამის. მის ყურამდე მიაღწია ხმადაბალი საუბრის ნაწყვეტმა:

— ავადმყოფი ძალიან ცუდადაა. მარჯვენა ფეხზე განგრენა განუვითარდა. მარცხენაც თითქმის ასეთსავე მდგომარეობაშია. უამპუტაციოდ არაფერი ეშველება.

— მაგრამ საეჭვოა გადაიტანოს ამდენი სისხლის დაკარგვა. მალალი ტემპერატურა აქვს... და უკვე მებუთე დღე უგრძობობდაა.

ამ სიტყვებით ზანდაზმული ექიმი მიუახლოვდა საკაცზე მწოლიარეს, ჩახედა დაჭრილს თვალებში და დასძინა:

— ოჰო, გონს მოსულხარ, ბუტიაკ! ჩვენ კი ვეგონა, სრული ბოიკოტი გამოგვიცხადე. ახლა მივხედოთ შენს სატკივარს. ამისათვის შენი დახმარება — ნებისყოფა და ვაჟაკობა გვჭირდება. ზოგჯერ ეს ყოველგვარ წამალზე ძლიერია. დაჭრილმა თუ ისურვა, შეუძლია თავის ჩინებული მკურნალი იყოს.

ეს ითქვა მხნე, სერიოზული და დამაჯერებელი კილოთი. ასეთი კილო ყოველთვის გაცილებით უკეთ მოქმედებს, ვიდრე ნაძალადევი მხიარულება. იგი ამშვიდებს და კიდევ ამხნევებს სწეულს.

ავადმყოფმა იცოდა, რომ მეტად სერიოზულად იყო დაჭრილი, ჯერ კიდევ წინ ედო მძიმე განსაცდელი, და გადაწყვიტა ასე მომზადებულიყო, როგორც ემზადება ადამიანი საქმისათვის, რომლის კეთილად დაბოლოებაზე დამოკიდებულია მთელი მისი მომავალი.

მაგრამ განა შეეძლო ევარაუდა, რომ განსაცდელი ეგზომ მძიმე და შემადრწუნებელი იქნებოდა?! ახლაც კი, როცა ქიურთრგიული ოპერაციის საშინელი დღის შემდეგ ორ ათეულზე მეტი წელი გავიდა, იმ საათების სიმწვავე, შეგრძნებათა რეალობა სრულებით არ განელებულა. ყველაფერი ახსოვს, უმნიშვნელო წვრილმანიც კი. მაგრამ ყველაზე მეტად მეხსიერებაში აღებუცდა

ტანჯვა, რომელიც განიცადა ნარკოზით გამოწვეული ღრმა ძილიდან გამოსვლის შემდეგ.

გამოღვიძების პირველ წუთებში ისეთ უჩვეულო სიმსუბუქეს გრძნობდა, თითქოს წონა დაკარგვოდა და ჰაერში ირავს აკეთებდა. აზრიც სადღაც გამჭრალყო. მაგრამ ცნობიერება თანდათან დაუბრუნდა სინამდვილეს, თუმცა სინამდვილეზე ჯერ კიდევ არაფერი არ იცოდა.

მისუსტებული ხმით იხმო მედიცინის და:

— დაიკო, წამოდგომა მინდა, დამემაჩრე, თორემ თავბრუ მესხმის.

თეთრი ფიგურა დაიხარა საწოლზე და ალურხით დაუწყო დამშვიდება. ოცი წლის ქალიშვილს უჭირდა ახალგაზრდა კაცისათვის უცებ ეთქვა სიმართლე, ეთქვა, რომ ფეხი მოჰკვეთეს და დიდხანს კიდევ ვერ შეისძლებს წამოდგომას.

მაგრამ დაჭრილი ჯიუტად მოითხოვდა თავისას. და მაშინ ქალიშვილმა გადახადა ზეწარი. პირველ წუთებში დაჭრილი მოიცვა საკუთარი გაორების ერთხელ უკვე განცდილმა გრძნობამ. მოეჩვენა, თითქოს საწოლზე მისი კი არა სხვა ვიღაცის სხეული იყო. განა ამ ზანდითა და ბამბით შეხვეულ, კუნძივით გადაჭრილ თქმოს ჰქონდა რაიმე საერთო მასთან? საიდან გაჩნდა თაბაშირის ეს უძრავი ზუნდი მარცხენა ფეხის მაგივრად? შემდგომ წუთებში ყველაფერს მიხვდა. ამ წუთებიდან მისთვის დაიწყო ყველაზე მძიმე ხანა.

რალაც აბატიამ მოიცვა, თითქოს გაემიჯნა გარე სამყაროს. გულგრილი იყო ყველაფერისადმი, რაც ირგვლივ ხდებოდა, უხალისოდ ისმენდა მეზობელთა საუბარს, ექიმების რჩევა-დარიგებებს. უდრტივებლად იტანდა ტკივილებს და არავითარ რეაგირებებს არ უწყევდა ჰრილობებზე სახვევების მტკივნეულ და ხშირ გამოცვლას.

დღისით წოლა უფრო ადვილი იყო არა იმიტომ, რომ ავიწყდებოდა თავისი უიმედო მდგომარეობა, დღის სინათლე

უფანტავდა მწარე ფიქრების მონაბეზრებელ ერთფეროვნებას, უფანტავდა ახალი შთაბეჭდილებებით.

სად და რა გარემოშიც არ უნდა მოხვდეს ადამიანი, მისთვის დღე ყოველთვის უმჯობესია ღამეზე. მომავალი დღის პირველ სხივებს თვალუწვდენელი, დაუცხრომელი სამყაროს სუნთქვა მოჰქონდა. დაჭრილი ხომ მოსპიტლის კედლების მიღმა სულ ახლოს იყო ამ სამყაროსთან სულ ახლოს და, ამავე დროს, უსასრულოდ შორს.

მას ესმოდა პალატაში შემოჭრილი ხმები გაღვიძებული ქალაქისა, მანქანების ხმაური, გაცხოველებული ლაპარაკი, ფრონტზე მიმავალი ჯარისკაცების სიმღერები. ყოველივე ამას იგი ლბულობდა, როგორც იმ გულისამაჩუყებელი, ძვირფასი გარემოს ანარეკლს, საიდანაც საკუთარი თავი სამუდამოდ ამოგდებული ეჩვენებოდა. ფიქრობდა— რაოდენ ბედნიერი არიან ისინი, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ მოძრაობა, მას აკვირვებდა, რომ ჯანმრთელი ადამიანი ამაზე თითქმის არასოდეს ფიქრობს.

ზოგჯერ უნებურად გამსქველავდა რალაც ბრმა ვაბრაზება ყველა გარეშე მყოფთა მიმართ. ასეთ წუთებში იწევა ჩუმად, თვალდახუჭული და მზად იყო მრისხანე აფეთქებით ებასუბა ყველაზე გულთაღ და წრფელ შეკითხვებზეც კი. ალბათ, დაჭრილებმაც ამიტომ უწოდეს „მუნჯი“.

პალატაში ხშირად შემოდოდა ყავარჯნებზე აფხორილი ახალგაზრდა, ლეიტენანტი. ის ყველასთან ახლო იყო და ყველასთვის პოულობდა სახუმროს, შეეძლო ყველაზე მძიმე ხასიათსაც შეგუებოდა. იმ დილით ლეიტენანტმა სხვებს გვერდი აუქცია და „მუნჯს“ მიუჯდა.

— რაზე ფიქრობ ასე გამუდმებით. რამე მაინც გეთქვა, სულს მოითქვამდი. სულერთია, დუმოლში დენთს ვერ გამოიგონებ. საუბარი კი გულს გაგიმზიარულებს,— უთხრა ლეიტენანტმა.

— გაერთიე, შენი... — თითქმის ხმა-

ჩახლენით წამოიყვია ავადმყოფმა და გახელტულმა დაუმატა, — არავითარი ლაპარაკი არ მსურს, არაფერი არ მინდა, არაფერი!

ამ ყვირილში იმდენი სასოწარკვეთილება და ტანჯვა ჩანდა, რომ მთელი პალატა უნებურად გაიანაბრა, ვერცინ შესძლო ვერც თანაგრძნობა. ვერც გაიცეცხა...

ყველაზე მძიმე მაინც შემოდგომის გრძელი დამეგობა იყო, როცა დაჭრილი პირისპირ ჩნებოდა თავის მწუხარე განცდებთან და შეუნელებელ ტკივილებთან. ღამის საათებში ვამუდმებით ეხვეოდა აბეზარი ფიჭვები. ეჩვენებოდა, თითქოს ფეხზე კრალობები ისე არ ხორცილებოდა, როგორც „საჭირო“ იყო. თითქოს ექიმები უმალავდნენ ავადმყოფობის გათულებას, თითქოს გასივებულ მარცხენა ფეხს განგრძნული გაშავება ეტყობოდა. მოკვეთილი ბარძაყის ტკივილიც, რომელიც დღისით ჩვეულებრივი ეგონა, ღამით მოულოდნელ შიშს იწვევდა. რაღაც სხვაგვარი და უცნობი, ორგანიზმისათვის საბედისწერო მიზეზით გამოწვეული ეჩვენებოდა.

ღამით ფიჭვები დაუღაგებლად, ქოტურად მოდიოდა. ზოგიერთი მოსვენებას უკარგავდა. დაჭრილი ბევრს ეცადა გამოეანგარიშებინა რამდენი ბანდი დაიხარჯა დასახიჩრებელი ფეხების შესახვევად. იღებდა რაღაც ციფრებს, ანგარიშობდა, ეშლებოდა თვლა, ისევ ანგარიშობდა და ისევ ეშლებოდა. თვალწინ ჩაუქროლებდა დოღბანდის თეთრი ლენტე, რომელიც მიდიოდა სადღაც, ნისლოვან შორეთში. ასობით, ათასობით მეტრი სიგრძის ლენტე იზლანდებოდა აურაცხელ ზეულებად და ფუთავდა ადამიანთა დასახიჩრებულ სხეულებს...

თანდათან უქრებოდა ნებისყოფა. ეკარგებოდა იმედი. ზშირად აგონდებოდა, გულში იმეორებდა ოდესღაც მოსმენილ სევდისმომგვრელ სიმღერას:

«Не для меня Дон разольется
И сердце радостью забьется
Такая жизнь не для меня».

მეგრამ სიცოცხლეს არ სურდა. დეტოვებინა დასახიჩრებელი ძველები და კუნთების გუნდა, არ სურდა დიდძალა, და აიძულებდა ებეუტა ჩაქრობაზე მიმდგარ ნაპურწყლებს. ერთმანეთს უხილავად ებრძოდნენ დასუსტებული, გამოფიტული სხეული და, სადღაც სიღრმეში წასული, დაჩლუნგებული ნებისყოფა და გონება. დაჭრილის ნერვებმა დაკარგა მგრძნობიარობა, თითქოს გაშეშდა. თავში დროდადრო დაბორიალობდა საოცარი მოწვევნებები.

მეგრამ შეუწელებელია საოცრების ცხოველმყოფელი სუნთქვის შეგრძნების წყურბული. დაჭრილს არ შეეძლო და, სადღაც, თავისი არსების სიღრმეში, არ უნდოდა დანებებოდა ქურდულად მოშავალ სიკვდილს. სიკვდილის მორჩილება ეწინააღმდეგებოდა მის სულისკვეთებას, მრწამსს, ყოველივეს, რაც ალაფრთოვანებდა.

ხელში ჩაგდებული ჯანსაღი თესლი ღვივდება და მშვენიერ მცენარეს აღმოაცენებს. ასევე ადამიანში უნდა ამოღდეს და გაიმარჯვოს ნებისყოფამ, სიცოცხლისადმი სიყვარულმა, რომელიც ისევე მარადიული და მშვენიერია, როგორც მოელვარე უსასრულო სამყარო. დღე დღეს მისდევდა და ფიჭვების ბუნდოვან საბურველში ღრუბლების გამკვეთი სხივების მსგავსად სულ უფრო ატანდა აზრი და გრძნობა, მოუწოდებდა მწნეობისა და ბრძოლისაკენ.

სიცოცხლის უძლეველობა იჭრებოდა მის ცნობიერებაში, დევნიდა სასოწარკვეთილებას და უიმედობას. პოსპიტალის მყუდრო პალატებში ეს უძლეველობა ფრონტის სასიხარულო ცნობებით, სამედიცინო პერსონალის გაცხოველებული გაწამაწიით, გამოჯანმრთელებულთა კარგი გუნებაგანწყობით იგრძნობოდა. დაჭრილი უკვე აღარ იჩენდა გულგრილობას. მწიფდებოდა გარდატეხა, ყალიბდებოდა სხვაგვარი დამოკიდებულება გარშემოყოფთა მიმართ.

ადამიანმა დაიწყო გამოსვლა ჩიხიდან.

რომელიც აქამდე გამოუვალი ეგონა. გაიღვიძა გატეხილმა ნებისყოფამ, მასთან ერთად გაიღვიძა მხნეობისა და იმედის სულმა. მბეუტავი ნაბერწყლიდან ალი აენტო. ახლა თვითონ დაჭრილიც ებრძოდა სენს. ამ ბრძოლაში დასაყრდენი, აღმაფრთოვანებელი მოკავშირე სჭირდებოდა. და მან იპოვა იგი წიგნების იმ გამირებში, რომლებმაც თავიანთი მხნეობით დათრგუნეს სიკვდილი. მენსიერებამა აღადგენდა მათ სახეებს, რომლებიც არ შედარებენ ყველაზე საშინელი განსაცდელის წინაშე. მათი მაგალითი მოუწოდებდა გამირობისაკენ მას და ყველას, ვისაც მძიმე ხედრმა უწია.

აზრის საოცარი ასოციაციით არაერთხელ მოიგონა ნათელი, ჩაუჭრობელი იმედით გამსჭვალული ეპიზოდი ბაირონის „შილონის ტყვედანი“... დილეგში შემთხვევით შეფრენილმა ჩიტუნამ თავისი სტვენით პატიმარს სიამე მოჰკვარა, გამოაცოცხლა მისი სული დაავიწყა ტყვეობა.

დაჭრილი ფიქრობდა რომ ყველაზე განწირულ მდგომარეობაშიც კი არ შეიძლება მხნეობის დაკარგვა, რომ ადამიანის ნებისყოფა გაუტეხელია. მას თვალწინ ედგა ზოთა კოსმოდეშიანსკიან აღმაფრთოვანებელი სახე. მაშინაც კი, როცა თვალეზში უმზერდა სიკვდილს, ქალიშვილს იმდენი სიმამაცე აღმოაჩნდა, რომ მტრისათვის სახეში მთხალა სიძულელიისა და ზიზლის სიტყვები, გამოეხატა გამარჯვებების რწმენა.

ისევ და ისევ იგონებდა ნიკოლოზ ოსტროვსკის, რომელმაც თავისი სულიერი ძალით გაშეშებული სხეულის უძლურების დამარცხება შესძლო. ამ მაგალითებმა და სხვებმა, მანამდე რალაც განკერძოებულ ხასიათს რომ ატარებდა, ახლა უძლეველი, რეალური ძალა მოაპოვა. ეს მაგალითები გახდა დაჭრილის იმედისა და ნებისყოფის მასაზრდობელები წყარო.

ზოგჯერ ხდება — რომელიმე ერთი დღე ან მოვლენა, მოულოდნელად გარ-

დატეხად იქცევა ჩვენს ცხოვრებაში. ასეთი დღე დაჭრილსაც გაუტეხდა. იმ დილით ბალატის მდგმურებმა მსხვერპლებელი ეპიზოდის მოწმენი გახდნენ...

პირდაპირ მათ წინ, ფართო ფანჯრის ჩარჩოთი შემოხაზული ლურჯი ცის სივრცეში, საბჭოთა მფრინავმა შეუპოვარი ბრძოლა გაუმართა ორ ფაშისტურ სეავს, დაჭრილი იწვა ფანჯრისკენ მიბრუნებული და მთელ ბრძოლას თავიდან ბოლომდე ხედავდა. პირველად უგულისყუროდ უმზერდა, როგორც უცხო მეთვალთვალე. მაგრამ მალე მთლიანად გაიტაცა ბრძოლამ. ნახა, რა უშიშრად შეხვდა საბჭოთა მფრინავი მტერს. ჩვენი არწივის ყოველ ელვისებურ მანევრს, ტყვიის ყოველ ჯერს ისე განიცდიდა, თითქოს პილოტის გვერდით იჯდა, ახლა მთელ სამყაროს, მთელ სიცოცხლეს დაჭრილისათვის თავი მოეყარა ამ საპაერო დეულში. და როცა ორივე ფაშისტური მანქანა აკვამლებული დაენარცხა მიწას, როცა ჩვენმა მფრინავმა გამარჯვების უკანასკნელი წრე შემოიარა და ცისფერ სივრცეში გაუჩინარდა, დაჭრილს მკერდიდან აღმოხდა აღტაცებისა და ზეიმის გამოხატეული ძახილი.

ამ ეპიზოდმა საკვირველი ზემოქმედება მოახდინა მასზე. კიდევ მრავალი დღე ვაჰყვა ეს შთაბეჭდილება. ფიქრობდა ჩვენი მფრინავის გმირობაზე. ეკითხებოდა საკუთარ თავს: „განა მფრინავს არ ეშინოდა?“ და მხოლოდ ერთ პასუხს პოულობდა: „აღბათ, ეშინოდა, მაგრამ ნებისყოფამ და მოვალეობის შეგნებამ დათრგუნა შიში, დაბადა მამაცობა და გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა“. მას მოავგონდა, რაოდენ სულიერ მღელვარებას განიცდიდა პირველ ბრძოლაში, გაიხსენა ძალთა როგორი დამაბევა დასჭირდა საკუთარ თავზე გასამარჯვებლად. მას ესმოდა, რომ ახლა უნდა გაეკეთებინა რალაც ამგვარი — გადაეღაზა შინაგანი სისუსტე, უმწეობა.

სწორედ იმ დღის ამბავი იყო ბიძგი, რომელიც სჭირდებოდა გაღვიძებული სიცოცხლის ასამოძრავებლად. აპატია

და ვულგარილობა გაუქრა. ყველაფერი აინტერესებდა, ყველაფერს განიცდიდა. მაგრამ ეს უკვე არ იყო ის ვალიზიანებული, ავი მოუსვენრობა, რომელიც წინათ ასე ხშირად ფლობდა, ეს გახლდათ ჯანმრთელი, ცოცხალი ინტერესი გარემოსადმი.

პალატაში მასავეთ ჩაკირკიტებით არავინ წვდებოდა მკურნალობის მიმდინარეობას, წამლების მოქმედებას. გაცივო სამედიცინო ტერმინებს, ქირურგიული ოპერაციის მეთოდებს. მოწყალების დებისათვის არაერთხელ მიუცია რჩევა, როგორ შეეხებიათ ტრილობა. შემოვლის დროს აუცილებლად ჰკითხავდა ქირურგს — როგორ მდგომარეობაში იყვნენ ფეხმოკვეთილი დაჭრილები სხვა პალატებში.

ოცნებობდა იმ დროზე, როცა თვითონვე შესძლებდა წამოწყევას და ფანჯრიდან გადახედვას. ახლა, როცა ჯერ კიდევ არ ჰქონდა ამის შესაძლებლობა, თხოვდა მხიარულ ლეიტენანტს — მიამბე, რა ნახე გარეთო. და როცა ლეიტენანტი უბასუხებდა, არაფერი საინტერესო და საყურადღებო არ არისო, აწყვეტინებდა:

— როგორ თუ არაფერი არ არის? ხალხი ხომ დადის, გოგოები რომ იცინიან, ბიჭუნები დარბიან, ეს არ არის საინტერესო?!

უყვარდა მეზობელი ავადმყოფებისათვის მომავლის გეგმების გამოკითხვა. მაგრამ ყველაზე მეტად ფრონტული საქმეები, ბრძოლის ახალ ამბებზე გრძელი საუბრები იტაცებდა. თავგამოდებით მოითხოვდა, რომ საწოლთან რადიოს ყურსაცვამები ყოველთვის რიგზე ყოფილიყო და შესძლებოდა კარგად მოესმინა საბჭოთა ინფორმბიუროს ცნობები. ფიქრობდა იმაზე, რომ ჩვენი ჯარები მტერს ურტყამდა, რომ მილიონობით ჯარისკაცი, მწყობრში ჩამდგარი, ისევე, როგორც თვითონ იდგა ვუშინ, გამარჯვებისათვის იბრძოდა. სხეულის სისუსტე, მძიმე სენი მიიხნდა მტრად,

რომელიც უნდა დაეძლია, დაემარცხებინა.

„საჭიროა მალე მოკეთება. განა უფრო ადამიანებისათვის არ მოიძებნება საქმე?! ახლა ჩემ ათასობითა ინვალიდი. რა მოხდება, ყველამ რომ ცხვირი ჩამოუშვას და სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს. ყველა ეშმაკის ჯიბრზე, ბედის ჯიბრზე უნდა ადგეს, დაიკავოს თავის ადგილი ცხოვრებაში“.

ხედავდა მღელვარე, ნათელ ცხოვრებას. თავის დასახიჩრებულ ფეხებზე უკვე ლაპარაკობდა ჰმუნვისა და სასოწარკვეთის გარეშე. ყველაზე მეტად აშინებდა ფიქრი გადამტრეულ, თაბაშირში ჩასმულ მარცხენა ფეხზე. ამასაც რომ რამე მოუვიდეს, ხომ მთელს სიცოცხლეში საწოლს, ან ეტლს მიეჯაჭვება!

ერთ-ერთი შეხვევის შემდეგ მთავარმა ქირურგმა მხიარულად, დამაჯერებლად უთხრა.

— ესეც ასე, მეგობარო, შენი საქმე გაჩარხულია. მარცხენათი ფეხბურთის ვერ ითამაშებ, მაგრამ სიარულს ნამდვილად შესძლებ.

მაგრამ ამ საოცნებო დღემდე დაჭრილს მოელოდა გრძელი და ეკლიანი გზა, რომლის გავლას მრავალი თვე მოუნდა. მსკდომი ტყვიისგან კანკამოგლეჯილი მარცხენა ფეხი იმდენად დასუსტებულიყო, რომ სხეულის სიმძიმეს ხუთი—ათი წუთით თუ აიტანდა. საჭირო იყო მისი ასე გავარჯიშება, ორივე ფეხის დატვირთვის ატანა შესძლებოდა. ამის მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ მუყაითი, დაუღალავი ვარჯიშით, ისეთი მუყაითობით, როგორითაც მეცადინეობენ ხოლმე ცირკის არტისტები რთული და საშიში ნომრის დახვეწისას.

ერთმანეთს გადაება საკუთარ სისუსტესთან ბრძოლით საცხე კვირეები, იმ დღეებზე უფრო მძიმე, როცა საწოლიდან წამოდგომა არ შეეძლო. ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ მასში ერთდროულად არსებობდა და იბრძოდა ორი სხვადასხვა კაცი — ჯანმრთელი, ძლიერზე-

ლებიანი და უსუსური — ფეხების სა-
ცოდავი ნარჩენების პატრონი.

ქოსპიტალიდან გამოწერალი, შეუ-
პოვრად განაგრძობდა ვარჯიშს. დღითი-
დღე მეტ დროს უთმობდა ას, ორას,
ბუქნას, მრავალჯერ ადიოდა კიბის
საფეხურებზე, საიდანაც ძირს ხოხვით
უნდა დამეგბულიყო.

ფეხს ნელა, ძალიან ნელა უბრუნდე-
ბოდა წინანდებური მოქნილობა, კუნ-
თების სიმკვრივე. ზოგჯერ უზომო დატ-
ვირთვისაგან დაღლილი ფეხი დამბლა-
დაცემულივით ცახცახებდა და არ შე-
ეძლო ეტვირთა სხეულის სიმძიმე.
ასეთ წუთებში დაჭირებს ისევე იპყრობ-
და ბრმა სასოწარკვეთა და მზად იყო
ეტირა უმწეო სიბრაზისაგან.

მაგრამ უკვე იცოდა ასეთი აფეთქების
დათრგუნვა. მტკიცედ სჯეროდა — არ
შესადგებოდა შუა გზაზე და ბოლომდე
ივლიდა.

„გონება და სურვილი, — არწმუნებ-
და საკუთარ თავს დაჭრილი, — ძლიე-
რია სხეულის უძლეურებაზე, ნებისყო-
ფას, ამტანობას შეუძლია გააყეთოს ის,
რაც ამეამად შეუძლებელი ჩანს“.

ზოგჯერ დიდხანს სინჯავდა ფეხს,
თითქოს უნდა ჩაწვდეს იმ საიდუმლო
პროცესების არსს, რომელიც მიმდინა-
რობს ძვლების, ნერვების, კუნთების
ამ საოცარ ხლართში. მასში ღრმა სი-
ხარულს იწვევდა კუნთების სიმტკიცის
დღითი-დღე ზრდა. ეს მოწმობდა, რომ
ფეხი ივსებოდა ღონით, იძენდა მოქნი-
ლობას.

გამუდმებით ფიქრობდა. ყველა თავი-
სუფლად მოსიარულე რაღაც უმადლესი
ბედნიერების მფლობელი იგონა. ღამით
ხშირად აეკვიატებოდა ერთი და იგივე
სურათი, ხან ჩქარა მიმავალს წარმოიდ-
გენდა თავს, ხან სწრაფად მორბენალს,
და უეცრად წინ გადაღობილ დაბრ-
კოლებას აბტებოდა. ზოგჯერ ელვდიე-
ბოდა უჩვეულო სიმსუბუქის გრძნობით.
და საკვირველი იყო, რომ ახლა ეს
გრძნობა დიდხანს არ სტოვებდა მას.

დაჭრილი იმ მოგზაურს ჰგავდა, რო-

მელსაც სჯეროდა, რომ ახლოვდებოდა
გზის დასასრული და ამ ~~არწმუნებდა~~ მო-
ულობდა ძალასა და მხნეობას: ~~სიმტკიცეს~~
მაც იცოდა, ყველაზე საშინელი უკან
დარჩენილიყო, და რეალურად ჭკრეტდა
ზეაღინდელ დღეს ადამიანისას, რომელ-
საც შეუძლია გადაადგილება და შრო-
მა. მასში ქვეცნობიერად არსებობდა რა-
ღაც ახლის, ამაღლევებლის სასიხარუ-
ლო მილოდინი.

თუ წინათ საკუთარი სხეულისადმი
ზოგჯერ სიძულვილი იპყრობდა, ახლა
ამაყობდა, ამაყობდა რომ ნიძულა სხე-
ული დამორჩილებოდა ნებისყოფას და
შეუპოვრობას. მის ვარდა ვის შეიძლება
ცოდნოდა, ძალითა როგორ დაძაბვად
უღიროდა მიედწია იმისათვის, რომ იატა-
კიდან ცალი ფეხით ამდგარიყო. როცა
პირველად ვააყეთა ეს, გაიმართა და ყა-
ვარჯნის დაუხმარებლად შესძლო გა-
ჩერება. გახარებულმა ყვირილით იხმო
ჯალაბობა და ახლო მეზობლები:

— უყურეთ, როგორ ვდგავარ, ცალი
ფეხი არ ცახცახებს და არც იღუნება.
იცი, რომ უნდა მემსახუროს ორივეს
მაგივრად.

დგომა უკვე არ აკმაყოფილებდა. უნ-
დოდა ემოძრავნა, გამოსულიყო ქუჩაში.
ჩვეულებრივ გამველლად ჩაეთვალა თა-
ვი, მაგრამ სიარული უნდოდა არა ყავა-
რჯნებით, რომლებიც საძულდა, არამედ
— პროთეზით. ყავარჯნი მისთვის იყო
მხოლოდ ჯოხი, ხოლო პროთეზი — ფე-
ხის მაგვარი, რომელიც ასე აახლოვებ-
და ჯანმრთელ, ფიზიკურად სრულფასო-
ვან ადამიანთან.

მაგრამ, როცა მიიღო ხისა და ტყავი-
საგან დამზადებული ეს უბრალო მო-
წყობილობა, იმედი მწარედ გაუტორე-
და.

დაჭრის შემდეგ ბევრმა თვემ გაიარა
და მოთმინება მისი განუყოფელი თვი-
სება ვახდა. აქ კი არ ეყო მოთმინება.
საჩქაროდ მოიარგო პროთეზი, დააპირა
გაველო ისე, როგორც ოდესღაც ორი
ფეხით დადიოდა. მაგრამ ნაბიჯიც ვერ
გადადგა და ზღართან მიადინა. წუ-

თით მოეჩვენა, თითქოს ისევ ტყვიამ დასცა მიწაზე. ეგონა, ისევ ჩინში მოემწყვდა, საიდანაც ასე ტანჯვით მოახერხა გამოსვლა...

მაგრამ ახლა გამოცდის მკაცრი სკოლა გამოვლილი ჰქონდა, ყველაფრისათვის მზად იყო.

ისევ ერთმანეთს მიჰყვა ვარჯიშის, პროთეზთან შეჩვევის დღეები. ეს გაცილებით სერიოზული და ძნელი ამოცანა გამოდგა, ვიდრე პირველი შეხედვით ეგონა.

..პირველ კვირას მხოლოდ ოთახში დადიოდა. ამას მოჰყვა გაუბედავი ცდა; ჯერ ორმოცდაათი მეტრით გაშორდა სახლს. მეორე, მესამე დღეს ეს მანძილი თანდათან ვაიზარდა. თვის დასასრულს უკვე ერთი კილომეტრით სცილდებოდა სახლს.

ზოგჯერ პროთეზი ტანჯავდა, აწუხებდა. ხორცი გადაყვლეფილი ჰქონდა. თასმებზემოჭერილი სხეული სიცხისა და ოფლისაგან ეწვოდა. მაგრამ ყველაფერს ითმენდა. ბოლოს ისწავლა პროთეზით თავისუფლად სიარული. ეს იყო დიდი, მთელი მის არსების ამავსებელი სიხარული. ამიერიდან შეეძლო სიარული. შრომა. მის წინ ზელაბლა გაიხსნა სამყარო, რომელშიც ამდენი სიხარული და სინათლეა...

აი, რაზე ფიქრობდა, რა გაახსენდა მატარებლის ფანჯარასთან მდგარს წარსულთან და იმ ადგილებთან შეხვედრამ, სადაც ტრადიციული ამბავი შეემთხვა. მან გამსაფთოებელი ძალით და მღელვარებით იგრძნო სიცოცხლის სილამაზე. შეიძლება იმიტომ, რომ გვერდით ედგა შვილი — მისი სისხლი და ხორცი, შვილი — რომელშიც სურდა ენახა ხორციშესხმა იმისა, რაც სწამდა, ცოცხალი ნაწილი იმისა, რისკენაც ილტვოდა,

რისთვისაც აქ და ათასობით კილომეტრის დაშორებით იბრძოდა ყველაფერი მილიონობით აღმამანი. შინაღობისა


შვილმა შეამჩნია, რომ მამას თვალუბი გაბრწყინვებოდა, მაგრამ ამის მიზეზის გაგება მას არ შეძლო. პროთეზიანი კაცი ისევ ხარბად და აღტაცებით უმზერდა სარკმელში გაელვებულ სურათებს.

რა საოცრად შეცვლილა აქაურობა, გზისპირას გულშეგებივით ჩამწყრივებულა სადენების აქურული ჭაელით დამშვენებული ელექტროწიგვის ათასობით ბურჯი, მთები და ტყეები ექოდ აბრუნებდა ელმავლის გამყივან საყვირს. ფართო მდინარეზე, რომელზეც დიდი წვალებით გადაჰყავდათ დაჭრილები, ახალი ხიდის მონოლითური სხეული გადაჰიმულა. იქ კი, რომელიდაც საწარმოს უზარმაზარი კორპუსები აღუმართავთ, ცად ატყორცნიათ ელევატორის ვიდანტური კოშკები. სტეპის შორეთში მწყობრ რიგებად მიდის ქარსაცავის ტყის მწვანე ზოლები. ცაში ვერცხლის ფრინველივით მიქრის რეაქტიული „ტუ—104“ და სალამს უგზავნის მიწას.

განახლებული პეიზაჟის დეტალებში ცნობდა სამშობლოს უსაზღვროდ ძვირფას ხატებას, შვილებს რომ მოუწოდებს გამირობისა და შრომისაკენ.

„დაღუპულთა გამირობა, — ფიქრობს ის, — გრძელდება ცოცხალთა ბრძოლაში. ამისათვის ღირს მსხვერპლის გაღება, ტანჯვის ატანა“.

და კიდევ ფიქრობდა იმაზე, რომ სიცოცხლე დღესავით არ იწყება და სანთელივით არ ქრება, არამედ მიედინება მარად და შეუწყვეტლად, როგორც დაუოკებელი მდინარე.



რომიონ ქოჩია

ღ ღ ი უ რ ი ღ ა ნ

მომღერალი ნაღმოსანი

სამამულო ომის დროს მე მიმაგრებულ ვიყავი შავი ზღვის სამხედრო ფლოტზე. ფლოტი იდგა ფოთში.

მე სისტემატურად დავდიოდი გემებზე და ლექციებს ვუკითხავდი ეკიპაჟებს ლიტერატურულ-პატრიოტულ თემებზე.

ერთხელ, საღამო ეამს, წაშიყვანეს ნაღმოსანიზე, რომელსაც სახელად ერქვა „სტრეგუშის“—მოდარაჟე ქართულად. კაპიტანმა მითხრა:

ეს ნაღმოსანი იმით არისო საინტერესო, რომ ეკიპაჟი სულ ახალგაზრდა მატროსებისაგან შესდგება და ისიც მომღერლებსაგანო...

მართლაც, ლექციის შემდეგ დაუკრეს ბაიანზე, იმღერეს. ოჰ, როგორ იმღერეს...

და უცბად გაისმა განგაში.

გერმანელების თვითმფრინავები წამოსულიყვნენ ფოთისკენ. ნაღმოსანი უნდა წასულიყო შესახვედრად. ჩვენი თვითმფრინავები უკვე ცაში იყვნენ.

დავეშვიდობე ეკიპაჟს. ეს იყო 21.00 მეორე დილას მივედი იმ ადგილას, სადაც იდგა მომღერალი ნაღმოსანი. ნაღმოსანი იქ აღარ დამხვდა.

გავიგე: ცხარე ბრძოლა გამართულა. ჩვენებმა უკუ აქციეს მტერი, „სტრეგუშის“ კი ჩაიძირა. დაიღუპა მთელი ეკიპაჟი. მოვიხადე ქუდი.

ესლაც, ფოთში რომ ჩავალ, ნავსადგურის იმ ადგილას მივალ, სადაც იდგა მომღერალი ნაღმოსანი და მღუმაჩედ მოვიხდი ქუდს.

ნელა დღედუნებს შავი ზღვა, თოლიები დაფარფატებენ წყალზე და მესმის, გარკვევით მესმის, გმირი ახალგაზრდების უკანასკნელი სიმღერა...

ლეო ქიაჩელის სიტყვა

სამამულო ომის პირველი წელია. ფოთში ჩავედი მწერლები: ლეო ქიაჩელი, შალვა დადიანი, ბესო ფლენტი, სიმონ ჩიქოვანი და მე.

მოეწყო შეხვედრები ფოთის მშრომელებთან.

ერთი შეხვედრა სოფელ პატარა ფოთის კოლმეურნეებთან გვექონდა.

პატრიოტულ თემაზე მოხსენება წაიკითხა ბესო ფლენტმა.

კრებაზე უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ და შალვა დადიანმა ზღაპარი უამბო ქალებს, სადაც ქალის ჰკუთნო შექებულა.

სიმონ ჩიქოვანმა პატრიოტული ლექსი წაიკითხა.

მე პატარა ფოთის სკოლაში მისწავლია ბავშვობისას და მოგონებით გამოვედი.

ლეო ქიაჩელმა კი ასე უთხრა კრებას: — გისურვებთ ომში გამარჯვებას, შრომაში წარმატებას, შვილების დაბრუნებას.

ესა სთქვა და თავი დაუკრა კრებას.

გლებებს ვაუჯვირდათ: ლეო ქიაჩელისაგან დიდ სიტყვას მოელოდნენ, მეტი უნდა ეთქვაო.

კრების შემდეგ მე ვუთხარი გლეხებს, ლეო ქიაჩელმა, ალბათ, სიტყვა იმიტომ ვერ ვითხრათ, რომ შვილი დაეღუპა ომში. ლეო მწვავედ განიცდის შვილის დაღუპვას, კრებაზე კი სულ შვილებზე იყო ლაპარაკი-მეთქი...

— შვილი დაეღუპა? ჰოო, მას უკვე უთქვამს თავისი სიტყვა, —
სიტყვა ერთმა მოხუცმა —
— მართალია, — დაუდასტურეს სხვებმაც მოხუცს, მივიდნენ ლეოსთან და ჩემად ჩამოართვეს ხელი.

მეზობელი მეზობრები

საბჭოთა კავშირის გმირის, სევასტოპოლის დამცველის, არკადი გეგეშიძის ოთახში ვარ, ფოთში. ჯერ კიდევ თბილისში, გეგეშიძის საპატივცემლოდ გამართულ საღამოზე, ბევრი რამ საინტერესო გავიგე. სევასტოპოლის ეპოპეაში ქართველმა მეთაურმა თავი ისახელა როგორც სიმამაკით, ისე ჭკვიანური მოქმედებით. გეგეშიძე იყო ბატალიონის მეთაური და თავისი ბატალიონით ხშირად მტრის მთელ პოლკს უმკლავებოდა. ხშირად ატყუებდა მტერს, ოსტატურად ინიღბებოდა, მოულოდნელად დაესხმოდა, საფარიდან საფარში გადასვლის საშუალებას არ აძლევდა. სხვა ბატალიონებისაგან გამოსარჩევად მის ბატალიონს „გეგეშიძის ბატალიონი“ შეარქვეს.

1942 წლის ახალწლის წინაღამეს მტერმა შესძლო სევასტოპოლის საკომანდო მალაქობის აღება. შეიქმნა მეტად საშიში მდგომარეობა. მაშინ არკადი გეგეშიძეს დაავალეს სიმაღლის დაბრუნება და გეგეშიძემ დაიბრუნა სიმაღლე. დიდძალი გერმანელებიც გაეკლტა.

1942 წლის ივნისს მტერმა სევასტოპოლის ჩრდილოეთ უბანზე ფრონტი გაარღვია. კვლავ გეგეშიძის ბატალიონს დაევალა მდგომარეობის გამოსწორება. გეგეშიძემ სამი კილომეტრით უკუაგდო მტერი თავის უბანზე. ერთი ბატალიონიც გაუწყვიტა მტერს და სხვა ნადავლს შორის ოთხი ტანკი იგდო ხელთ. ერთი თითქმის დაუჯერებელი ამბავიც მოხდა იმ დღეს. გეგეშიძის ბატალიონის წინააღმდეგ გერმანელების სამი პოლკი იბრძოდა. გეგეშიძის ბატალიონი გაწყდა. გადარჩა ცხრა კაცი, მათ შორის ერთი ქართველი, თბილისელი არტისტი,

ჩახავა. ამ ცხრა პატრიოტმა შეფიცა ერთმანეთს:

— ან სიკვდილი, ან გამარჯვება!

და ეცნენ მტერს.

შეიძლებოდა მხოლოდ გმირული სიკვდილი... და ზედიზედ შეაკვდა მტერს შვიდი გმირი.

მხოლოდ ორი გადარჩა მძიმედ დაჭრილი: მაიორი გეგეშიძე და მეკავშირე ლარიონოვი...

— მე ხელში და ფეხში ვიყავი მძიმედ დაჭრილი, — მეუბნება გეგეშიძე — ლარიონოვი მკერდში იყო დაჭრილი. თან ჩვენს ახლოს ყუშბარა აფეთქდა და ორმოში ჩაგვიტანა ორივე. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიწევი ორმოში. გონს რომ მოვედი, დავინახე: — ლარიონოვს ქამარი ამოება მხრებში და მიმართედა, მკერდიდან კი სისხლი დიოდა.

დამტოვე მეთქი — ვუთხარი, ლარიონოვს — აი, ამ გორაკს მოუარე და ხეებზე მიხვალ ჩვენებთან.

— მე თქვენს თავს გერმანელებს არ დაუტოვებ, — მიპასუხა ლარიონოვმა და არ მიმატოვა.

სისხლი დიოდა, სისხლს ახველებდა, მაინც მიმართედა. მე ხშირად ვკარგავდი გრძნობას. მოვდიოდი გონს და ისევ ვხედავდი თავგანწირულს.

მთელი დამე იწვალა საწყალმა. ორი კილომეტრი მათრია ხოხვით და მიმიყვანა საველე ჰოსპიტალში... მე გადამარჩინა, თვითონ კი...

— მოკვდა? ვკითხე შეშფოთებით.

— არ ვიცი, — ამოიოხრა არკადიმ. — მამაცი მეზობელი და კეთილშობილი ადამიანი კი იყო... ვიცი მხოლოდ, რომ ოპერაცია გაუკეთეს. ისიც ვიცი, მე რომ დავეტოვებინე და მართო წასულიყო,

იმდენი სისზლი არ დაეკარგებოდა და გადარჩებოდა.

არკადი ლაპარაკობს დინჯად, სიტყვას მარცვლავს. იგონებს მებრძოლ მეგობარს და ცრემლი აღგება ცისფერ თვალებში. დადუმდა. ჩამოდგა სევდიანი სიჩუმე.

მეც გამომიძვია მებრძოლი მეგობრის დაკარგვა... ვზივარ ამ პატარა ოთახში, ვღუმვარ და არ მინდა დაირღვეს დიდი გრძნობით გამოწვეული სიჩუმე.

ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

— შემოდით! — გასძახა გეგეშიძემ.

შემოვიდა წითელარმიელი. გამოეჭიმა გეგეშიძეს და მოასწრო ეთქვა: — ამხანაგო ბატალიონის მეთაურო... მეკავშირე ლარიონოვი...

„მოასწრო“-მეთქი, რადგან სიტყვები შესცვალა ცრემლებმა. ეგრეთვე...

ლარიონოვი ტირის. გეგეშიძე მსტკამულა და მებრძოლი მეგობრები გადაეხვივნენ ერთმანეთს. როდის — როდის ლარიონოვი ეუბნება გეგეშიძეს.

— გაზეთებიდან გავიგე, რომ გადარჩენილხართ და მოგაშურეთ. შვებულება ციმბირიდან მგზავრობას მოვანდომე...

და ისევ თვალცრემლიანად უყურებენ ერთმანეთს..

პოლკის მოწოლას იკავებდა ეს ორი ვაჟაკი. ახლა კი პატარა გულის მოწოლა ვერ შეიკავეს...

გულო, პატარა გულო, განა პატარა ხარ?

6. მიჯნა

პოეტის უკვდავება

ეს იყო 1942 წლის დეკემბერში. ფა-
შისტი მტაცებლები კავკასიონთან მო-
სულიყვნენ. ბრძოლები მიმდინარეობ-
და სვანეთის მისადგომებთან. თბილისი
თავდაცვისათვის ემზადებოდა, ყველა,
დიდი თუ პატარა, მოხილვებული იყო
ამ საქმისათვის.

მოქანცული ვიქტი შტაბში და ათას-
გვარ ფიქრებში ვართული, ვიგონებდი
წარსულის დღეებს. დიდი ხანია არ მო-
მდიოდა სამკუთხა, უკონვერტო წერი-
ლები ფრონტიდან. დუმდნენ ჩემი საუ-
კეთესო მეგობრები. კოლია პროტაპო-
პოვი თავისი თვითმფრინავით დაპქრო-
და შავი ზღვის სანაპიროებზე და შიშის
ზარს სცემდა, ანადგურებდა მტერს.
სამხედრო ექიმი, მეზღვაური კონსტან-
ტინ რაუზე ომობდა და ჰკურნავდა
მატროსებს ბალტ-ფლოტის კრეისერზე;
კაკო ბოზუა იცავდა ლენინგრადს, რო-
მელიც ომის დაწყების დღიდან მისი
მშობლიური ქალაქი გახდა. ყველაზე
უმცროსი მეგობრის, პოეტ მირზა გე-
ლოვანის შესახებ კი მე დიდი ხანია არა-
ფერი ვიცოდი... ჯერ კიდევ 1939 წელს
ჭარში გაწვეული, იგი მონაწილეობდა
თეთრფინელთა წინააღმდეგ ბრძოლებ-
ში, ამ ხნის განმავლობაში მას არ შეუწყ-
ვეტია ჩემთან მიწერ-მოწერა, მაგრამ
სამამულო ომის დაწყების შემდეგ, არც
ერთი წერილი არ მიმიღია მისგან. არ
ვიცოდი რა ბედი ეწია მეგობარს.

ფიქრებმა გადამისროლა ჩემს მშობ-
ლიურ ქალაქ სოხუმში... მომაგონდა მი-
რზა გელოვანთან განუწყვეტელი კამა-
თი ლიტერატურაზე, პოეზიაზე, სიყვა-
რულზე, ადამიანის დანიშნულებაზე.

განსაკუთრებით მაგონდებოდა ნავით
გასეირნება მაისის ერთ საღამოს. ვკი-
თხულობდით ლექსებს... ზღვა იყო
წყნარი, მთვარის შუქით განათებული.
მირზა კითხულობდა თავის ახალ ლექ-
სებს, იგი პოეტად იყო დაბადებული და
არც ერთი წუთით, არცერთი წამით არ
ავიწყდებოდა პოეზია. რამდენი აღ-
ტაცება, წმინდა ოცნება, რაოდენ-
ი სიყვარული იყო ადამიანისად-
ში ამ რომანტიკულ ჰაბუქში. იგი ცხოვ-
რებით გაოცებულ ბავშვს ჰგავდა: უბ-
რალო, გულწრფელი, თავაზიანი იყო.
ლურჯი, მუდამ ანთებული თვალები
ჰქონდა. ბუნების ნამდვილი შვილი, შე-
ურიგებელი რაინდი იყო ცხოვრების
ყოველგვარ უკუღმართობასთან, უწყვი-
ნდურებასთან.

ნავიდან იგი მისჩერებოდა მთებს, გა-
ლჯლქებულ ქალაქს და მიზიარებდა
თავის გულისნადებს:

— რა საოცარი ცხოვრება, კოლია?
შებდევ რა უცნაურია ეს დამე, ეს ქა-
ლაქი, რამდენი პოეზიაა ირგვლივ და მე
ზოგჯერ ჯავრი მომდის, ასე მგონია,
ცრემლები წამსკდება თვალებიდან,
რადგან უძღურებას ვგრძნობ ყოველი-
ვე ამის გამოსასახავად. აბა, როგორ მო-
ვათავსო მთელი ეს დიდებულება ლექ-
სის სტრიქონებში?... ჯერ კიდევ ვერ
მიმიღწევეა ნამდვილი პოეტური მწვერ-
ვლებისათვის. შევძლებ კი მივალ-
წიო?... ასე მგონია, ვდგავარ შემოქმე-
დების მწვერვალის წინ უძღური, უსუ-
სური...და მაინც უდრეკი ალბინისტი-
ვით არ ვეშვები ჩემს მიზანს — უნდა

დავიპყრო მწვერვალი... მაგრამ ვაი, თუ... ის გაჩუმდა. კარგა ხანს დუმდა და შემდეგ ასე მომხარბა:

— გახსოვს ანდრეი ბელი?

Золотому блеску верил,
А умер от солнечных стрел,
Душой века измерил,
А жизни прожить не сумел...»

ვაი, თუ მეც ასე მომივიდეს!...»

ტელეფონის ზარმა გამოიმარკვია მოგონებიდან. მალეობა ღმერთს, როგორც იქნა, ამუშავდა ტელეფონი... ვტაცე ხელი მილს და ძლივს გავიგონე ცოლის შორეული ხმა: «ჩქარა მოდი, სახლში სიურპრიზი გელოდება, ნუ დაყოვნებ! იჩქარე, დღესვე მიემგზავრება...»

ტელეფონმა კვლავ შესწყვიტა მუშაობა, „ვინ მიდისო, რა სიურპრიზი, რას მეუბნებოდა?...“ მე არც ვაცეი, არც ვაცხელე, გამოვევარდი შენობიდან და ერთ საათში ფეხით გავიარე შვიდიოდე კილომეტრი. ძლივს მივაღწიე სახლამდე. კარებში მიცდიდა ცოლი, სახეგამბრწყინებული ილიმებოდა. მან ფართოდ გამიღო კარი და მითხრა: „აბა, შეხედე, ვინ გელოდება!“ ოთახის შუაგულში იდგა საშლვაო ოფიცის ფორმაში გამოწყობილი კონსტანტინე რაუზე!... მე არ მჭეროდა საკუთარი თვალების, და ეხლა არც კი მახსოვს, როგორ მოვიქციე მაშინ, ალბათ, ისე, როგორც იქცევიან ასეთ შემთხვევაში კარგი მეგობრები.

კოსტიას ეჩქარებოდა, ღამის ათ საათზე გადიოდა მატარებელი შავი ზღვის სანაპიროსაკენ. იგი ბალტივიდან მოდიოდა. მისი გემის დაღუპვის შემდეგ სამხრეთის ფრონტზე გადაისროლეს, ორი თვის განმავლობაში მოდიოდა ალყაშემორტყმულ ლენინგრადიდან და ბარტიზანელებისა და ბელორუსიის ფრონტის სამხედრო ნაწილების დახმარებით, თავის ამხანაგებთან ერთად, ჩამოაღწია საქართველომდე.

ჩვენ ვიჭქით და ვღუმდით, არ ვიცოდით, რაზე გველაპარაკა, იმდენი

გვექონდა სალაპარაკო და იმდენად მარულოდნელი იყო ჩვენი მსმენელობა, რომ შეხვედრით გამოვქუქულს სისხლს. შემდეგ კოსტიამ შეიხსნა კიტელი, გულს ჯიბიდან კარგა მოზრდილი პაკეტი ამოიღო და მე გადამომცა. ჩემად გავხსენი წერილი და გავოცებისგან ენა დამება, არ ვუჭეროდი თვალებს. ეს იყო ჩემი მეგობრის, მირზა გელოვანის ცამეტი ლექსი, ფანქრით მწყობრად დაწერილი.

ცოცხალი ყოფილა ჩემი მეგობარი. ცოცხალი! და არა თუ ცოცხალი, ბრძოლის ქარცეცხლში, ბლინდაეებსა და სანგრებში წერს, თურმე, ლექსებს...

მაგრამ სად და როდის შეხვდნენ ისინი ერთმანეთს? — კოსტია რაღაცას მიყვებოდა, მაგრამ მე არაფერი არ მესმოდა და, სამწუხაროდ, ჩემთვის დღემდე გაუგებარი დარჩა მათი შეხვედრის ამბავი. კვითხულობდი მირზას ლექსებს და იქვე ვუთარგმნიდი კოსტიას, — კოსტიაც ზომ პოეტი იყო.

— მშვენიერი ლექსებია... — როგორ ვწუხვარ, რომ აქამდე არ ვიცოდი, რა შესანიშნავი პოეტი ყოფილა გელოვანი!

— წერილი არ გამოუგზავნი? — ვკითხე მე.

— ვერ მოასწრო, მთხოვა სიტყვიერად გადამომცა, რომ ამ დღეებში გამოგვიგზავნის, მისი მისამართი ასეთია, — კოსტიამ მომცა საველე ფოსტის ნომერი. შემდეგ დახედა საათს და როცა დარწმუნდა, რომ ცოტაოდენი დრო კიდევ დარჩა, მთხოვა მეთარგმნა მისთვის კიდევ ერთი ლექსი. გაისმა მწუხარი და შურისძიებით აღსაყვ სტრიქონები:

«ტყვიები, სისხლი, დაპრილის ბოდვა სხვა მოგონებებს არ დამანებებს.
როგორ სციოდათ, როგორ სციოდათ, როგორ სციოდათ შემოღამებებს.
ჩვენ შორის გაწყდა გზები, თუ აზრი, და როგორც სუნთქვა თრიალეთით გათავდა.
და უინვა ფინურ დანაზე პასრი ლენინგრადისკენ გზას ვეკატავდა.
და როცა რკინა ტყვიამ დაძენა, როცა დაღუშეს ფრთები ანჭებმა, სამიო საფლავში იწექ ნაძვებთან,

ვერ ესწრებოდი ჩვენს გამარჯვებას. ათჯან ნახმლევი და ნატყვიარი სწორებთან სდუმდი, გიძმეს სწორებმა. და მე შესმოლა ქარის შრიალი, როგორც შენი ხმის განმეორება“.

წყუთთ ვრძელდებოდა დუმილი. შემდეგ კოსტიამ ასწია დახრილი თავი და ცრემლნარევი ხმით წარმოსთქვა:

— პო, მან მიაბო, როგორ დაიღუბა მისი იაროსლაველი მეგობარი ფრონტზე — კოსტიამ ამოიხრა, — ამ ლექსების შემდეგ მე ის შემოიყვარდა, როგორც მკვიდრი ძმა, როგორც ნამდვილი მეგობარი... აბა, კარგად დაუფიქრდი, ირგვლივ მხოლოდ ცეცხლი და სიკვდილია, და იგი იბრძვის კიდევ და ასეთ ლექსებსაც წერს!... როგორი ვაჟკაცი უნდა იყო ადამიანი, რა გამოძლუ და დარწმუნებული გამარჯვებაში...

კოსტია მართალი იყო, ლექსები ნამდვილად დაწერილი იყო პოეტის „საკუთარი ნერვების წვენითა და საკუთარი გულის სისხლით“.

მე გავაცილე კოსტია. ჩვენ უსიტყვოდ დავემშვიდობეთ ერთმანეთს, ან რაზე უნდა გველაპარაკა იმ საშინელი დროის წუთებში? მხოლოდ გამომშვიდობებისას კოსტიამ ჩვეული მხნეობით მითხრა: — დამთავრდება ომი, კვლავ შევიკრიბებით ერთად და ვკითხავთ ლექსებს.

ომი დამთავრდა... მაგრამ აღარ დამრუნებულან ომიდან სახლში: კოსტია რაუზე, მირზა გელოვანი, ნიკოლოზ პროტოპოპოვი, კაკო ბოხუა...

კოსტია რაუზესთან შეხვედრის შემდეგ მიღებული წერილი გამოგზავნილია 1942 წლის 24 დეკემბერს:

„ძმარ კოლია!

ზამთარი მოვიდა ჩრდილოეთიდან. შეთეთრდნენ, შელამაზდნენ მწვანე ნაძვის ხეები. უხილავი ხელი სათუთად სწყვეტს თოვლის ფიფქებს და ისვრის სწორედ ისე, როგორც მე მჩვეოდა ბრიზანტემების ფურცლა.

როგორ მიყვარდა თეთრი ბრიზანტემები და ყვითელი ღღებები შემოდგომის!... ხშირად, ტყის აყოლილი ვუცდი-

დი შეღამებას, რომ მეცქირა ულამაზეს სანახაობისათვის — მთებზე ბავულებიან მზის სხივებდაშრეტელნი, იხვევიან ზეწარს არ გამჭვირვალეს. ბინდი იწყება ჩის ფესვებიდან, თითქოს მიწიდან ამოდის ბინდი, შეპყვება სიმაღლეს, როგორც უსურვაზი, როგორც ფიქრი მძიმე და ბნელი, და ტოტების ქვეშ შაშვები ქახჭახებენ, ტირიან შეღამებას.

მიყვარდა მთები. ჩემი ბავშვობის ლამაზ ოცნებას, როგორღაც თავისებურად ეწვიენენ ისინი... მომენატრებოდა — გამომეტანა ტყილი ტყვილი მთებიდან განშორებისა... ტფილისის ქუჩებში მოხეტიალეს მაწუხებდა განცდა მთის და გაურკვეველის, მაგრამ ეს არ იყო ის, ახლა რომ განვიცდი.

მეგობრები, სიყვარული და მშვიდი ნათელი პოეზიის მიქარაგება უსახონაკს ჩემი სულისას. ოღონდ ესაა: არასოდეს მეგონა, თუ ასე ძვირფასნი იყავით: მოხუცი, კბილებქანგისანი მთები და თქვენ, ჩემი მეგობრები.

ახლა განსაცდელი მოადგათ მათ, ჩემს მოხუცებს. ზოგჯერ წარმოვიდგენ: ჩემი ორადი დადის მთებში და მას ჩალათინის ქალამნებიან ბიჭს ელის განსაცდელი: მტერი მოსდგომია კავკასიონის მთებს და ცდილობს მოხაროს ცადასული თეთრი მწვერვალები... ხაროს ისინი და დასცინოს სისპეტაკეს მათსას.

მე მოხუცი დედა მყავს მთებში. ის ალერსით მზრდიდა მომავალ მშენებელსა და მეომარს. ის ომში წასულს მიმზადებდა თბილ ხელთათმანებს — მაღალ დაღესტანში, თუშეთში, მთიან სამეგრელოში. ის ყოველდღე, ყოველღამე ფიქრობს ჩემზე და მტრის განადგურებაზე. ყველა სახლში, ყველა ოდაში ლოცულობს ჩემი ჯანმრთელობისათვის. ის დასცქერის ნაპირებ-მოსირმულ არაგვს და მიგონებს მე — ხელმოუცარავ მოთევზავეს. ის შესცქერის თოვლით შეთეთრებულ მთებს და მიგონებს უებრო მონადირეს... მუშაობენ, ირჯებიან გოგოები და მისი დამკვიარი ბაგეები ჩურჩულებენ ჩემს სახელს: მეძახი-

ან საამაყო მუშასა და ქალების საფიცარს.

დღედაღეში საფრთხეშია!... მტერი მოსდგომია კავკასიონის მთებს.

სატრფო მელოდება მთებში... ჩუნი სიყვარული მელოდება. ის, ეშხიანი მუშაობს ჩემს მაგიერ. დაკორდდენენ მისი ნაზი ხელები. ის იმედით მელოდება და უნდა მნახოს გამარჯვებულო, სახე-მოცინარი. ის სიჩუმეში ჩურჩულებს ჩემს ამაყ სახელს და მელოდება... სიყვარული მელოდება მთაში.

ჩემი სიყვარული საფრთხეშია... მტერი მოსდგომია კავკასიონის მთებს.

ასეული წლების წინათ, ომით მოზრუნებული ჩემი გმირი წინაპარი ამუნებდა ვარძიას, სიონს, მცხეთას, ალავერდს. მაღალ მთაზედ ზურგიით აქონდა მძიმე ლოდები და ჰქმნიდა ტაძრებს კედლებმოხატულს. ის იჯდა ამ ტაძრებში. სწერდა „ვეფხისტყაოსანს“, „სიბრძნე სიცრუისას“. სწერდა, ამუნებდა, ჰქმნიდა და მე მიტოვებდა საამაყოდ.

პაპიჩემის სახლი, პაპიჩემის ნაამაგარი საფრთხეშია ახლა. მტერი მოსდგომია მთებს კავკასიონის...

მაგრამ, როგორ შეიძლება ყაზბეგის მოხრა?!... არ იცის მან ეს ჯამბაზობა პირდაპირია და სპეტაკი, ცაღმართული, და იწყება თეთრი მწვერვალებიდან და მიწიერმა ვერ მოხაროს მისი ხერხემალი...

აი, როგორი ფიქრები არ მაძლევენ მოსვენებას, ჩემო ძმაო... შენ როგორა ხარ? მომიკითხე ლორა, დამიკოცნე პატარა ლალი. გიგზავნი ჩემს უკანასკნელ ლექსს. შენი მიხრა?..

მე წავიკითხე ლექსი და ცრემლი მომერია. ეს იყო მიხრა გელოვანის დღეს ყველასათვის ცნობილი ლექსი „სახეში გვათოვს, მტერი არა ჩანს“... არ გასულა რამდენიმე დღე, რომ ამ წერილს მეორე წერილი მოყვა 1942 წლის 30 დეკემბრით დათარიღებული, სწორედ ახალი წლის წინადღებში.

„სალამი, ძმაო კოლია! ვზივარ სანვარში და ვწერ წერილს. სიცივესაც კი არ ვგრძნობ, და, საზოგადოდ, არაფერს

არ ვგრძნობ... წარსული წლის შემოდგომაზედ ჩვენი ნაწილქმნი უკანასკნელდნენ... და აი: მალაიაროსლავებს გავლილას მე ვნახე: ყუმბარის ძალას მავთულეზედ შეეგლო კაცი. კაცი გედა მავთულეზედ და არავის მოსდიოდა ახრად ჩამოხსნა, მიწაზე დაედვა მისი პერში ნაწამები, პერში გაიციებული გვაში. პისტოლეტის მესამე გასროლით გაუწყვიტე ერთი მავთული და ის ჩამოვარდა!...

და მოვდიოდი უკან — მოსკოვისაკენ... მოვდიოდი თაჭალუნულნი, გაფთრებულნი. ყველა ჩვენთაგანის თვალებში იჯდა მრისხანება და თავმოყვარეობის ძალაუნებური შელახვა. ჩვენ მოვდიოდი, მაგრამ ეს არ იყო ბრძოლიდან გაქცევა — გატეხილს, დამარცხებულს... ეს იყო უკან დაბევა ვეფხვის, რომელიც ეშხადება ნახტომისათვის.

და როცა ვუცქეროდი მათ, ჩემს მილიონ ამხანაგებს და თანამებრძოლებს, თვალებს, რომელთა მრისხანე ალაც ამბობდა უდიდეს რწმენაზედ — გამარჯვებაზედ, ჩვენს უახლოეს გამარჯვებაზედ, მე მაწევბოდა სურვილი მთელი ქვეყნის გასაგონად მეყვირა:

— Берегись Европа!..

ერთ ნისლიან ცივ დღეს, როცა პირველი თოვლის ფიფქები ძლივს მიარღვედნენ უმძიმეს პერს, მე შევხვდი ხარკოველ ნაცობ კაპიტანს, პავლენკოს. ის ამოვიდა ტანკიდან, შემნიშნა:

— როგორ ცხოვრობ გელოვანო?!...

მე მქონდა ნაწყენი ხმა:

— ისე... როგორც ყველანი!...

ის იღიმება... მიკვირს ეს ღიმილი. მისი ფართო მხრები რატომღაც ირბევიან. მხარზე ზელს მარტყამს, თითქმის ჩურჩულთ ამბობს:

— არაფერია!.. ცოტა მოიცადე და, ნახავ!

ნისლიანი დღე ცრიდა თოვლს და მისი კალონა ეფარებოდა მოსახვევს. გრუხუნებდნენ, გუგუნებდნენ ფოლადის ტანკები და რაც უფრო შორიდან, უფრო მეტის დაჯერებით იჭრებოდა

ჩემს გულში ეს ფოლადის ხმადი, როგორც გამარჯვების მთუწყებელი, დამაჯერებელი ხმა.

მოსკოვი, ქალაქი — გული საბჭოთა ქვეყნის. ყველა მოსასვლელეში ვთხრიდით სანგრებს, ვაშენებდით ბლინდაცებს, ვნაღმავდით მინდვრებს. აქაიქ სახლის საბურავებზედ შენიღბული საზენიტო ტყვიამტრქვევები. ამდგარიყო ეს უშველებელი ქალაქი და ემზადებოდა თავდაცვისათვის.

და მე მერგო წილად ვყოფილიყავი ამ ქალაქის დაცვის მონაწილე და მეომარი. მე მერგო წილად მშვენიერი ხედური მებრძოლისა და საბჭოთა მოქალაქის. მტერი ძალიან ახლოს იყო. ლენინგრადის შოსეზედ; თითქმის ხიმკამდის მიადწია მტერმა და აქ, მოსკოვის კარიბჭესთან აიშარათა ჩვენი მრისხანე თავგანწირვა, როგორც არდანებების გარდაუვალი კედელი. და შეერთა მტერი, გაბრუნდა დასავლეთით. უწესრიგოდ მიჰყვებოდა დასავალს და ჩვენ მიედევდით მას, როგორც ნადირს დაჭრილსა და გაცოფებულს.

დიმიტრევის, ვოლოკალამსკის, სერბუხოვის, ვარშაის, მინსკის გზებზე — მოსკოვიდან კვლავ გაიღლევს ჩვენი ცხენების ფოლადის ნალეზმა. კვლავ ვიპოვნეთ ჩვენი შემტევი ხმა და გაზაფხულამდის ყოველ მტერზედ ეწყვენ ისინი — საბჭოთა მიწის დასაპყრობად მოსული ვადაშთიელები. ეწყვენ ისინი და მათი ცივი თვალების უაზრო მხერას მე ვგასუხობდი — ყველა, როგორც ერთი... ასე თხოულობს ჩვენი დანგრეული ქალაქების, დამწვარი სოფლების სიჩუმე.

— კაპიტანო პავლენკო!... მე ვნახე!..“

მოვიდა 1943 წლის გაზაფხული, გარდატეხის გაზაფხული. მირზა რეგულარულად მივზავნიდა წერილებს და ლექსებს. აი, რას მწერდა 1943 წლის მისში ლეიტენანტი მირზა გელოვანი: „ძმავო კოლია! მე დღეს მომავონდა შენი საყვარელი აფხაზური ანდაზა, რომ „მეგობრობას, როგორც ხანჯალს, მ. „მთაბი“ № 5.

ორი ბასრი აქვს და მას მტერი ვერ მიეკარებაო“. შენ რომ იცოდე, ჩვენ უნდა ლადა მყავს ეხლა მე მეგობრობაში, უკრაინელები, ბელორუსები, და ჩვენი მეგობრობა იმ ხანჯალსა ჰგავს... აბა, გაბედოს მტერმა, მოგვიანლოვდეს.

დღეს ჩვენ განსაკუთრებული დღე დაგვიდგა, ჩემო მეგობარო, — ჩვენ დავიწყეთ მტრის განდევნა ჩვენი მიწა-წყალიდან. და მას, ვისაც თუნდაც ერთხელ წარმოუდგენია მძაფრი დიდება სვანეთის ცადაზიდული მყინვარების, ჩემი საქართველოს მწვანე მინდვრების სილამაზე, ვინც ბავშვობიდან ალტაცებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ რაინდული სულით, ვინც გაიყვინთა ლერმონტოვის პოეზიის სევდით, ვინც თუნდაც ერთხელ მინც იყო მთერალი ჩაიკოვსკის მუსიკით, — ჩემთან ერთად ასწიოს თასი ჩვენი გამარჯვებისა... თუმცა რაღა დავიმალო და, ჩემი მათარის ფსკერზე მხოლოდ რამოდენიმე წვეთი სპირტილა კიფაფობს...

მაგრამ საქმე ამაში როდია. ჩვენ ყველანი, აი, ეს ბიჭები ოშმა დავგაბნლოვა, ასეთი მეგობრობა კი მუდამ მტკიცე საფუძველზეა დამყარებული, იგი არამც და არამც არა ვავს მშენებელ სოლნისის კიბეს... სხვათა შორის, იბსენის სიტყვები მომავონდა: „რაც უნდა ბნელი არ იყოს დამე, მას შესცვლის მუდამ მზიანი დილა. აი, ღმერთმანი მოვიდა იგი, მზიანი დილა... მგონი, ჩვენ მალე შევხვდებით, მეგობარო... ხო, მართლა, კოლია, მომწერე თუ მოგდის წერილები კოსტიასაგან, საღ არის, როგორ არის, მე დიდობანია არაფერი არ მიმიღია...“

მაგრამ კოსტია რაღზე დიდი ხანია ცოცხლებში არ იყო უკვე, მე ხომ ვერ მიწერდი მას ამის შესახებ?...“

დღეს, როდესაც უკვე მერამდენეწერ ვკითხულობ ამ წერილებს, ვფიქრობ ფილმზე „ჯარისკაცის ბალადა“. არა ერთხელ მინახავს ეს ფილმი. არა მართლ იმიტომ, რომ ამ სურათში მე დავინახე არაჩვეულებრივი სახე დედისა, არა მართლ იმიტომ, რომ მსახიობ ივა-

შოვის მიერ შექმნილი საბუღალსო ჯარისკაცისა — დაუფიქრებელი, არამედ კიდევ იმიტომ და უფრო იმიტომ, რომ ეს ჯარისკაცი მთელი თავისი შინაგანი ბუნებით არაჩვეულებრივად გავს პოეტ ჯარისკაცს, მირზა გელოვანს.

„ჩემო ძეგო, — მწერდა მირზა 1943 წლის 13 თებერვალს, — დიდი ხანია არ მიმიღია შენგან წერილი, მიზეზი არ ვიცი და ვეღვაძე.“

გეგზავნი ჩემს ახალ ლექსებს რვეულიდან — „საომარი ლირიკა“. ისინი აქ, ფრონტზეა დაწერილი და, ალბათ, ეს გარემოება ეყოფა მას გასამართლებელ საბუთად.“

„ამ ლექსებში არ შესულა ის რამდენიმე ლექსი, რომლებიც მე ირაკლი აბაშიძეს გავუგზავნე. ჰო, მე მაინტერესებს დაბეჭდეს თუ არა თუნდაც ერთი ლექსი ჩემი ლექსებიდან?... მაგრამ ეს, სხვათა შორის.“

როგორც ცხოვრობ, კოლია, როგორ მიმდინარეობს შენი ცხოვრება, მეგობარო? რასა სწერ, რა დასწერე? იცი, ამ ოთხი წლის განმავლობაში მე არა ვარ საქმის კურსში, გამოვითიშე, არ ვიცი, რა ხდება საქართველოში. ვაზუთებს, ჟურნალებს, წიგნებს არ ვღებულობ. არ მწერენ ის დალოცვილები, ერთადერთი ჩემი დაიკო, რუსუდანი, არ მივიწყებს.

„მე გადაწყვიტე არავის არ მიეწერო წერილი, მხოლოდ შენ მიიღებ ჩემს წერილებს და მე დარწმუნებული ვარ, რომ გამიგებ. ჰო, მაპატიე ზოგი რამ ჩრდილი ჩემი ლექსებისა, მე ხომ უპირველეს ყოვლისა, ადამიანი ვარ. გეგზავნი „სონეტს“. აი ხომ ხედავ მომავალზე ვფიქრობ, სიყვარულზე.“

აი, კიდევ წერილი, 1943 წლის 18 ივნისით დათარიღებული:

„კოლია, შენ გახსოვს, როგორი ვიყავი მე?... ჩვენ მივედიოდი მანქანით საღატორისაკენ. იყო დღე გაფითრებული, წყნარი, როგორც ნამტირალევი ბავშვის თვალები. მარჯვნივ შავი ზღვა და ცის დასავალი. მაღალი სიმინდები ჩურჩულობდნენ აფხაზურ აბოებში და

არ ვიცი რისთვის, მაწუხებდა რაიმე, შენ მშურად მკითხავდი, მკითხავდი ფითრად.“

„ნეტავ შემხედებოდე ახლა, მეგობარო! ველარ მიცნობდი, ომმა განკურნა ჩემი ავადმყოფი ნერვები და მიკვირს, როგორი ვიყავი გუშინ. ჩემს ლექსებს სინაზე აწუხებდა. მე მჩვეოდა წყნარი ღიმილი. ახლა გადავეჩვიე ღიმილს და მხოლოდ მაშინ, როცა მტერი გარბის ჩვენი ცეცხლის ქვეშ, როცა დაჭრილთა ოხვრა, ან მტრის გვამების ცივი შემოხედვა მხედება წინ მიმავალს, ვიცი: ჩემს ბავშვად დარბის ღიმილი: ღიმილი კაცის, რომელიც გააშმაგა შურისძიების წყურვილი.“

„ამბობენ „ძეგო! მე არ ვიცი, რა არის „ძეგო“. მე არ ვიცი, რა არის „სისხლი“. ძეგო ის არის, შენს ვერძლით რომ წვეს ცივ ბლინდაცებში. ძეგო ის არის, დაჭრილს რომ მომეფერება, მკლავს შემოხვევს და შენი სისხლის წვეთებისათვის დაღვრის მტრის სისხლს.“

„ჩემი სისხლი და ხორცი ის არის, დაღლილს რომ მოგიწვება ვერძლით, გიამბობს საკუთარ ოცნებაზე, გამარჯვება რომ უქსოვს რწმენას.“

„ძეგო ის არის, ვაზნებს რომ გიშხადებს თავაუბრელი. კაბინეტში ჩაკეტილი მუშაობს: სინჯავს ჯავშნის სიმავრეს, იგონებს იარაღს, რომ ჩვენ მოგვაწოდოს. ძეგო ის არის, სიტყვას რომ სინჯავს, როგორც მახვილს, მტერთან შემთხვევრელს. ძეგო ის არის, ჩვენი იდეა რომ სწამს, ჩვენი გამარჯვება და მომავალი...“

„ახლა ღამეა, მიწიან ქოხში, ნაბოლარას შუქზე გწერ ამ წერილს და მინდა ჩემი სიტყვა მისწვდეს ჩემს მთებს — ჩემს მეგობრებს: მინდა. ყველას, ვის გულშიაც სცემს სიკოცხლე, გადაედევას ზიზლი მტრისადმი, რომელიც ასე მწვევს მე.“

მე შორსა ვარ მთებიდან, მაგრამ თუ აქ რუსეთის თოვლიან ველებში მომხედება მტრის აშარი ტყვია, დაე, იცოდეს მთამ, მე მას ვიცავდი აქ.

მე ვიცავ ჩემს სამშობლოს შავი

ზღვიდან, კასპის ნაპირებიდან პოლუსამდის გადაჭიმულს, ბალტიიდან, კარპატის კალთებიდან, წყნარ ოკეანემდის გადაშოლილს, სამშობლოს ვრცელსა და ხელმოუხვეველს, სამშობლოს ახალგაზრდასა და ლამაზს.

„თქვენ გესმით ჩემი ძახილი, მეგობრებო? იარაღი, მხოლოდ იარაღი. სიკვდილი მტერს, ვიდრე მას არ მოვუქლავართ. სიკვდილი გერმანელ დამპყრობელებს, ცეცხლითა და მახვილით დასანგრევთ მოსულთ, ოცდა ხუთი წელი ჩვენ რომ ვაშენებდით.

სიკვდილი ფაშისტებს“.

ასეთი იყო მირზა: ტანკენარი, თავმდაბალი ყმაწვილი, რომანტიკოსი. მირზას ბავშვობიდან უყვარდა წიგნები. ტყე, ნადირობა. მაგრამ ყველაზე უფრო მას მთები უყვარდა — მისი წინაპრები შორეულ, ზღაპრულ სვანეთიდან იყვნენ წამოსული. მას უყვარდა მდინარე, ყვავილები, ვენახი, მინდორ-ველი და ისევ მთები... ნადირობამ, იარაღმა, ცურაობამ, მთებში ხეტიალმა გამოაკაჟა მისი ნაზი და სუსტი ჩანმრთელობა. ამიტომ იყო, რომ შემდეგ ფრონტიდან სწერდა დედას: „რომ იცოდეთ, როგორი მაღლობელი ვარ თქვენი, რომ ბავშვობიდან ჩამინერგეთ სიყვარული იარაღისადმი, სიმართლისა და მამაცობისადმი“

„...სამი-ოთხი დღის წინათ მწერალთა სასახლეში ნუკრივით შემოვიდა ერთი ყმაწვილი...“ ასე იგონებს მირზა გელოვანს პოეტი რაჟღერ გვეტაძე თავის „ლაშაურ საღამოებში“.

ეს ცნობის და ცოდნის მოყვარული ყმაწვილი მოულოდნელად შემოიჭრა პოეზიაში და ყველამ მაშინვე შენიშნა მისი უბადლო ნიჭი და გულწრფელობა, მისი უჩვეულო პოეტური ზემა. ლექსებმა „აონი“, „შველევო“, „ლენინს“, „გალაქტიონ ტაბიძეს“, „ბალადა არმიის მშენებლებზე“ და სხვ. უმაღლვე მიიპყრეს საღრთო ყურადღება.

პოეტის მეგობარი ვახტანგ ბერუაქელი წერს:

„1939 წლის ნოემბრის ერთ სუსხიან

დღიას გაუყვა იგი დიდ გზას მრახლოებული გრიგალებისაკენ...“ ნიკოლოზ ალარ დაბრუნებულა, წასვლის წინ ზგ მუებნებოდა: „მინდა ჭარისკაცის ცხოვრება განვიცადო და, ვინ იცის, დიდი გრიგალის მონაწილეც გავხდე. თუ ცოცხალი დავბრუნდი, მაშინ ჩემს ლექსებს მეტი სიმართლე და გამბედაობა ექნებაო“.

მაგრამ პოეტს არ დასცალდა ომის დამთავრება, იგი დაიღუპა ბელორუსიის ველებზე 1944 წელს. იმ დროისათვის კავიტან მირზა გელოვანს ძლივს შეუსრულდა ოცდაშვიდი წელი.

აი რას სწერდა ის 1941 წელს დედასა და დებს: „ომი დაიწყო, ვიცოდით, რომ დაიწყებოდა... გჭეროდეთ, ჩემო ძვირფასებო: თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ სიკვდილი მიწერია ამ ომში, ძალიან ძვირად დაფუძვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას, დაე, ნუ შეგარცხებათ, რომ მე თქვენი სისხლი და ხორცი ვარ. მე მაქვს უდიდესი სიმშვიდე. ჩემში ცოტენ დადიანის სულია და ნებისყოფა და თქვენ შეგიძლიათ ამაყად სთქვათ, რომ მე ვიცავ სამშობლოს, რათა მომავალი თაობები იყვნენ ჩანადნი, ბედნიერნი და ძლიერნი. მე საკუთარ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს ჩემი სამშობლო. ის, ყველაფრის მიუხედავით, ცოცხალია და მისი შეილები და ძახილი აღვიძებს გრიგალებს... ეს არის ყველაზე დიდი ომი, რაც კი ყოფილა დედამიწის ზურგზე. არც პანობალის, არც მაკედონელის, არც ნაპოლეონის ომები არ შეედრებიან ამ ომს სიდიდით. არც სადმე ისეთი დიდი გული ყოფილა ქვეყნად როგორც მე მაქვს, როგორც აქვს ჩემს ამანაგებს...“

ასეთი იყო პოეტი და მეომარი მირზა გელოვანი, რომელმაც ბრძოლის ველზე უკვდავყო თავისი სახელი. დღეს, გამარჯვების ოცი წლის თავზე ცოცხალივით დგას ჩვენს გვერდით შესანიშნავი ადამიანი, მოქალაქე და პოეტი მირზა გელოვანი.

აკრილ კოჰილავილი

კომეტი—ჭარისკაცი

დღესაც არავინ იცის, სად არის მისი საფლავი.

ცნობილია მხოლოდ, რომ რიგითი ჯარისკაცი ვლადიმერ მიხეილის ძე უბილაევა, 1914 წელს დაბადებული, საქართველოს სსრ წალენჯიხის რაიონის მკვიდრი, დაიღუპა სოციალისტური სამშობლოსათვის ბრძოლაში 1942 წლის 14 ივლისს.

ეს არის და ეს. მის შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვებაო, — მაცნობეს საბჭოთა არმიის სერჟანტებისა და ჯარისკაცების დანაკარგების პერსონალური აღრიცხვის განყოფილებიდან.

თერგის ნაპირებიდან ახოვის ზღვის სანაპირომდე ქვეითად გამოვილია ჯარისკაცული კილომეტრები. სტავროპოლშინისა და ყუბანის ტრამალებში, სტანიცებსა და ხუტორებში საბჭოთა მეომრების ბევრი საფლავი მინახავს, მათ შორის ამომიკითხავს ბევრი ჩემი თანამემამულის გვარი. მაგრამ ვლადიმერ უბილაევს სახელი არსად შემხვედრია.

მისი გმირულად დაღუპვის ამბავი ჩემთვის ცნობილი გახდა მხოლოდ ომის შემდეგ, როცა თბილისში დავბრუნდი.

და აი, ახლა, როცა დიდ სამამულო ომში დაღუპულთა შესახებ, მათ შორის, ვლადიმერ უბილაევაზე, მასალების მოპოვებას შევეუდგე, გამახსენდა სტანიცა აბინსკაიაში მოხუცი ქალის ნაამბობი. იგი თურმე თავის ფარდულში მძიმედ დაკრძალ წითელარმიელს მიაღვდა, მაგრამ სტანიცაში შემოჭრილმა გერმანელმა ფაშისტებმა ეჭვი აიღეს და ფარდულს ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლმოკიდებულმა ფარდულმა მოულოდნელად იხუვლა და დაკრძალი შიგ მოიყოლა. ოკუპანტების განდევნის შემდეგ დამწ-

ვარი წითელარმიელი იქვე დასაფლავეს, მოხუცი ირწმუნებოდა, რომ ის ქართველი იყო. „იქნებ ის იყო?“ — უნებლიედ გავივლე გულში. მით უმეტეს, რომ ფრონტის ამ უბანზე ყოფილა იგი 1942 წლის ზაფხულში. ვინ იცის! მაგრამ ამის დამადასტურებელი არაფერი დოკუმენტი არ იყო ჩვენს ხელთ. საფრონტო გზებზე კი ვინ მოთვლის, რამდენი უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვინახავს!

ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: ვლადიმერ უბილაევა ვაეკაცურად დაიღუპა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში; მან თავისი მშვენიერი სიცოცხლე შესწირა საყვარელი სამშობლოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას.

მის ირგვლივ მოპოვებული დოკუმენტები ვლადიმერს ახსიათებს, როგორც სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტს, შეუღდრეკელ მეომარს, ნიჭიერ პოეტს, ხალხის მომღერალს.

აი, ზოგიერთი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან.

• • •

წალენჯიხის რაიონის სოფელი ქალა. სადაც ვლადიმერ უბილაევა დაიბადა, ენგურისპირას, სვანეთ-სამეგრელოს საზღვარზე, მთისპირეთში მდებარეობს. სწორედ ამ სოფელთან შენდება ახლა ენგურაქსის უზარმაზარი კაშხალი. ვლადიმერის მშობლებს რვა შვილი ჰყავდა — 3 ბიჭი და 5 გოგო. მას ასაკით უსწრებდა მხოლოდ უფროსი და, ვერა.

ვლადიმერი ჯერ ისევ ყრმა იყო, როცა შეიღწლედაში ლექსების წერა დაიწყო. ოცდაათიან წლებში, მთლიანი კო-

ლექტივიზაციის დროს, ახალ ცხოვრებას ერთი საკმაოდ დიდი პოემაც მიუძღვნა. მას შემდეგ ვლადიმერს კალამი არ გაუვლიდა ხელიდან.

1935 წელს ახალგაზრდა პოეტმა წარმატებით დაამთავრა თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. პოეზიით გატაცებული კომპაგვირელი პოეტი ახლოს ეცნობა ქართული მწერლობის მოწინავე წარმომადგენლებს და მათი წაქეზებით იწყებს ინტენსიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას.

იმზანად ვლადიმერ უბილავეს ლექსები უმთავრესად იბეჭდებოდა ჟურნალ „ჩვენი თაობაში“, აგრეთვე, ჟურნალ „მნათობში“, „ლიტერატურულ გაზეთში“, „საბჭოთა მასწავლებელსა“ და „ახალგაზრდა კომუნისტში“. უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო ვ. უბილავე, როცა 1940 წელს მიიღეს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრად. პირველ წლებში მან დაწერა საკმაოდ გახმაურებული პოემა „ტობა-ვარჩხილი“. ამ პოემაში თავი იჩინა მწყემსობაში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა. პოემა მთლიანად დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ერთ-ერთ ნომერში.

სამამულო ომმა ვლადიმერს — უნივერსიტეტის მეხუთე კურსზე მოუსწრო. საზაფხულო არდადაგებზე იყო ჩასული მშობლიურ სოფელში, როცა რადიომ საშინელი ამბავი აღწვა საბჭოთა ხალხს. ვლადიმერს არაფერი უთქვამს მშობლებისათვის, ისე წავიდა იმავე დღეს სოხუმში.

• • •

დიდი სამამულო ომის ყველა ფრონტზე, შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე, მძიმე სისხლისმღვრელი ბრძოლები იყო გაჩაღებული. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ურდოები ცეცხლითა და მანვილით მოიწვედნენ წინ. ყველაფერს სწვავდნენ და ანადგურებდნენ თავის გზაზე,

უმოწყალოდ ელვტდნენ დიდსა და მატარას.

გერმანული

ფაშისტები არ ერიდებოდნენ მხარხართა ზარალს, თავიანთი ჯარისკაცებისა და ოფიცერების გვამებზე გადმოვლით მოძვრებოდნენ წინ, საბჭოეთის გული-საკენ მოსკოვისაკენ.

იმ დღეებში ვლადიმერი საბრძოლო წვრთმას გადიოდა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. მათი საარტილერიო ნაწილი ემზადებოდა ფრონტის ზაზისაკენ გასასვლელად.

ვლადიმერი მალე გავიდა ფრონტის ზაზისაკენ, იქ, სადაც წყდებოდა სოციალისტური საშობლოს სიკვდილ-სიცოცხლის ბედი, მიდიოდა იქ და თან მიიმდებოდა მთელი პოეტური ალტენებით:

რა ვარ, ბრძოლაში თუ დავვარდები,
მტერს შემოსუელს, თუ არ დავხვდები;
ვარ ვამითვლონ ზალში ვარდები,
ვარ დამიზრდილონ მთების კალთებზე
ვინ მოინდომა აკლებს მისი!
ვინ მოგვიბია ურდო მკვლელების!
ჩვენივე სისხლით, ჩვენივე სისხლით
ვიბნათ ეს მთები და ეს ველები!

მრისხანე 1942 წლის იანვარში ვლადიმერ უბილავე ბარაქიანი ყუბანისა და ტამანის ნახევარკუნძულის მიწა-წყალს იცავდა. იგი მეორე ემელონში იყო თავის ნაწილთან ერთად და ელოდა მტერთან პირისპირ შეხმას. იმ დღეებში ვაგზავნილ წერილში წერდა:

„ერთი თვეა, რაც აქეთა მხარეში ვადმოგვიყვანეს. ვართ კრანსოლარის მხარის ძალიან შორეულ პროვინციაში, აზოვის ზღვის ნაპირზე, ქერჩის სრუტესთან. მე კარგა ხანია შევეჩვიე სანგრებში დღულამე ცხოვრებას და ზარბაზნების გუჯუნს, თუმცა ჩვენ ჯერ მთლიანად სროლაში მონაწილეობა არ მიგვიღია. ახლა კი ჩვენ გვიპირებენ ყირიმში გადაყვანას ბრძოლისათვის. იქ, როგორც ვაიგებდით, ჩვენებმა დაიბრუნეს ქალაქები: ქერჩი, ფეოდოსია, სევასტოპოლი ხომ მაინც ჩვენი იყო. ჩვენ კი ყირიმის

დანარჩენ ნაწილებს დავიბრუნებთ უთუოდ“...

მებრძოლი პოეტი მტერზე გამარჯვების უსაზღვრო რწმენით იყო გამსჭვალული. მას ღრმად სწამდა, რომ სამხედრო ფარაჯში გამოწყობილი თითოეული საბჭოთა ადამიანი, ვისთვისაც კი ძვირფასია სამშობლო, „იბრძვის და მუღს უდგას დარაჯად თოფის, ხიშტის და ხმლების კამყაშში“.

1942 წლის 24 იანვარს მან მიაღწია დახანძრულ ქერჩამდე. ვადალახა გაყინული აზოვის ზღვა და ფეხი შედგა ყუმბარებით გადახნულ ყირიმის ნახევარკუნძულის პატარა მონაკეთზე. პოეტი მეომარი თავისი მშობლებისადმი მეორე დღეს გამოგზავნილ ბარათში წერდა:

„ვიძყოფები ყირიმის ნახევარკუნძულზე. გუშინ ავტომობილით გამოვიარე ქერჩის სრუტე — ზღვა 5 ვერსის სიგანისა. ამჟამად ეს ზღვა გაყინულია და მანქანები და ხალხი უშიშრად მიმოდიან ყინულზე. ამ უკანასკნელ კვირას აქ თოვლი მოვიდა, ხოლო ყინვებმა მიაღწია 30 გრადუსამდე. ეს წარმოუდგენელი სიცივეა. მაგრამ საშიში არაფერია. მე სრულიად ჯანსაღად და მხნედ ვარ. ყირიმი, საერთოდ, კარგი ქვეყანა ყოფილა. სამწუხაროდ, ეს სოფელი, სადაც მე ვარ ახლა, თენიანბერის განმავლობაში მტერს ეკავა და გაუძარცვავთ. მე დღეს ყირიმიდან ვივლინებ მშობლიურ საქართველოს და გესალმებით თქვენ, ძვირფასო მშობლებო!“

* * *

1942 წლის ზამთარ-გაზაფხულზე ვინც ქერჩში ყოფილა, იცის, თუ რა არაორგანიზებულობა და დაბნეულობა სუფევდა ყირიმის ფრონტზე. ამის შედეგი იყო, რომ მძიმე ზარალი განიცადეს ჩვენმა ჯარებმა. სწორედ ამ არეულობაში ასცდა ვლადიმერ უბილაევა თავის ნაწილს და აღმოჩნდა მუშათა ბატალიონში, რომელიც სამუშაოდ გადაიწვილეს ქერჩის მახლობელ კამიშბუ-

რუნის ნავსადგურში. აქ ბატალიონი გემების გადმოტვირთვაზე მუშაობდა.

ვ. უბილაევა სწორედ აქ შეხვდა და გვეცნო ცაიშელ რაეღენ ეფენიას, რომლის შესახებაც სახლში გამოგზავნილ ბარათში წერდა: „ის კაი ბიჭია და ამხანაგია ჩემიო“. ესენი ერთად მუშაობდნენ და ერთად იბრძოდნენ ვერაგი მტრის წინააღმდეგ.

კამიშბურუნის პორტი მარტო 6 თებერვალს რვაჯერ დაბომბეს გერმანელებმა და ბედზე გადარჩა უბილაევა.

„მე ყუმბარის პატარა ნამსხვრევი მომხვდა თეძოზე და ოდნავ დავიპერი, — წერს ბარათში იგი, — ხოლო ორიოდ ნაბიჯის უკან ჩემსავე გვერდით ათამდე კაცი ერთ წუთში დაიღუპა...“

უბილაევას და ეფენიას ღამე უხდებოდათ მუშაობა, დღისით კი სხვა საბრძოლო დავალების შესასრულებლად გადიოდნენ ქალაქში.

ერთხელაც ვლადიმერის ოცუელი ქერჩისაკენ წავიდა.

მარტის პირველი რიცხვები იყო. პიტერელები მწარედ იკბინებოდნენ, სულ უფრო აძლიერებდნენ საპაერო თავდასხმებს. მოუხედავად ამისა, მეტი ხომალდები და სატრანსპორტო გემები მოილტვოდნენ ქერჩის პორტისაკენ. ნავსადგური დანგრეული იყო. მის მაგივრობას ეწეოდა ძელ-მორების ზედი. მოახლოებულ გემებს მტრის საპაერო თავდასხმისაგან იცავდა მითრიდატის მთაზე და მის ფერდობებზე განლაგებული ჩვენი საზენიტო ბატარეები.

ვლადიმერის ყრმობის ამხანაგი ისაე ქორთუა ასე იგონებს იმ დღეებს:

— მახსოვს ჩვენს თვალწინ როგორ ჩაიძირა მებრძოლებით დატვირთული ხომალდი. გემი თითქო გრძნობდა ამ უბედურებას, სასაქლაოზე მიყვანილი ბარივით ბლაოდა და ბოლოს ზუსტად დარტყმულმა ყუმბარამ ცეცხლის ალში გაახვია...

მე სხვა ქართველ ოფიცრებთან ერთად ნაწილის მოლოდინში ნაქალაქარს ვათვალისწინებდი. მინდოდა დებემის გა-

ვზავნა მშობლებსათვის და სწორედ ფოსტის შენობისაკენ გაესწიე უმცროს ლეიტენანტ მიხეილ მზეიდესთან ერთად. ისიც ჩემსავით სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტიდან იყო. ერთმა ოცუელმა მწყობრი რიგებით რომ ჩავვიარა, მიხეილმა უცებ წამოიძახა:

— ეგერ, ვლადიმერ უბილავაა მათ შორის!

მაშინვე ოცუელის მეთაურთან მივვარდი:

— ამხანაგო ლეიტენანტო, ვთხოვთ ჩემს ბიძაშვილს უბილავას ნება დართოთ გამოვიდეს მწყობრიდან, ახლა ჩამოვედი საქართველოდან და შემთხვევით შევხვდი აქ. ერთ საათში დაბრუნდება ნაწილში-მეთქი. — ვთხოვე ლეიტენანტს.

მეთაურმა დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა. მე და ვლადიმერი გადავხვედით ერთმანეთს. მოგონება მოგონებას გაჰყავდა... ბოლოს, როცა ჩვენი ვანზრახვა შეიტყო, ისიც წამოგვეყვავა ფოსტაში, საიდანაც რადიოგრამები გავაგზავნებთ მშობლებთან.

როგორც კი კარგა მანძილით დავშორდით ფოსტის შენობას, მშუილით რამდენიმე ფუგასური ყუმიბარა დავცა ფოსტას. ჩვენ მიწას ვავეკარით. კვამლის კორიანტელი რომ გადაიწმინდა, ფოსტის ადგილზე შენობის ნანგრევები იყო. მასში ჩაიძარბა ათობით აღამიანი. ჩვენ სასწაულებრივ გადავრჩით.

ვლადიმერმა მეგზურობა იკისრა: „წამოდით ქერჩის მუზეუმს ვაჩვენებთო“. ღიმილით გავგიძღვა მუზეუმისაკენ, იქ კი რომ მივედი, ნაფლეთებლად ქცეული ექსპონატები დაგვხვდა, ბომბებს დაენგრია შენობა.

ვლადიმერს გადავეცი აფხაზეთის საბელმწიფო გამოცემლობის მიერ გამოცემული ლექსთა კრებული „გამარჯვება“, რომელსაც ამშვენებდა ჯარისკაცის ვრავიურა გიორგი გულიას მიერ შესრულებული. ამ კრებულში ერთერთი აფხაზი პოეტის (მგონი ალიოშა ჯონუასი) ლექსის თარგმანი ვლადიმერის მიერ იყო შესრულებული. ვლადიმერს თავალებზე ცრემლები მოადგა. კრებული

ჯერ ვულში ჩაიხუტა, მერე კი ხარბად გადაიკითხა ლექსები. ეგრევე...

— თუ გადავრჩით, წერა-აწერა... — თქვა ვლადიმერმა, — ფაშისტების ბარბაროსობაზე უნდა დაიწეროს ისეთივე ცეცხლოვანი წიგნი, როგორი ცეცხლოვანიც ქერჩის მიწაა.

ცოტა ხნის შემდეგ მკითხა, თბილისში როდის იყავიო, ომმა ხომ არაფერი დააკლო მასო. მერე თავისი უბის წიგნაკი ამოიღო, ჩვენი შეხვედრის თარიღი ჩაინიშნა. ეს დაუეჭყარი თარიღი იქნებოა, — თქვა ბოლოს.

მე მათარა შევიხსენი და მცირე ყალიბიანი ყუმბარის პილზის ყანწით არაყი გავეწოდე. დავლიეთ ჩვენი გამარჯვების და საქართველოს სადღეგრძელო. გავცვალეთ სათუთუნეები, კვეს-აბედი, გადავხვედით ერთმანეთს და ასე დავცილდით: მეორე დღეს ნაწილი მივიღე და ცეცხლის ხაზზე გავედი. მას შემდეგ აღარ შევხვედრივარ.

მარტის შუა რიცხვები იქნებოდა. ვლადიმერ უბილავა თავის ერთ თანამებრძოლთან ერთად დინჯად მიამიჯებდა ქერჩის ერთ-ერთ ქუჩაზე. უცბად შემოესმა რაღაც მშობლიური ხმა:

— თუ ვლადიმერი ხარ, მოიხედე აქეთ!

ვლადიმერი შეჩერდა, თავი მაღლა ასწია და იქითკენ მიბრუნდა. ქუჩის მობირდაპირე მხრიდან მისკენ მიმავალი ჯარისკაცი რომ შენიშნა, ხელეები გაშალა და მთელი ხმით შესძახა:

— ბიჭო, ლაღო, შენა ხარ? როგორ, საიდან?! — და გაეჭანა მისკენ.

დიდხანს იყვნენ ერთმანეთთან ჩახვეულნი უახლოესი მეგობრები ვლადიმერ უბილავა და პოეტი ლაღო სულაბერიძე.

— აბა, მომიყევი ჩემო ლაღო, როდის ჩამოხვედი, რა ამბავია საქართველოში. თბილისში, როგორ არიან ჩვენი ბიჭები, იოსებ ნონეშვილი, რევაზ მარგვიანი, რა ისმის შალვა ამისულაშვილის!

— დამაცა, ბიჭო, სული მოვიოქცა.

ხედავ, სად შევეყარებით ერთმანეთს, — ლადომ მხარზე დაჰკრა ხელი უბილავას, — უკვე გაკაფებულხარ, ნამდვილი მეომრის ელფერი გაქვს. სახეც მრისხანე ვაგხდომია.

— მოდი და, ნუ იქნები მრისხანე. — თვალეზანთებული მგზნებარებით თქვა ვლადიმერმა, — არა მგონია, მსოფლიოში მოიძებნებოდეს ადამიანთა მოდგმა, რომელიც გერმანელ ფაშისტებს უტოლდებოდეს სიმხეცეში, გაიძვერობასა და ბოროტებაში. ათასჯერ მართალი იყო გორკი, რომელიც რომენ როლანთან ერთად მოითხოვდა ფაშისტების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას...

— შენ ეს მიტხარი, ლექსების საქმე როგორ არის, — პოეტობაზე ხელი ხომ არ აიღე? — ღიმილით უთხრა ლადოსულბერიძემ.

— რას ამბობ, ლადო. აქამდეც რომ არ ვყოფილიყავი პოეტი, ახლა მაინც დავიწყებდი ლექსების წერას. თუმცა რა... ამ ტყვიებისა და ყუმბარების თქეში როდისღა აამღერებ მუხას, განსაკუთრებით მძიმე დღეებია აქ.

— მეც ვგრძნობ მაგას... მართლა, რევანზ მარგინაცი აქეთ არის, ხომ არ შეგხვედრია!

— ნეტავ ერთი კი მანახვა ჩემი რეზო, როგორ გადაგვხვეოდი! — ნაღწლიანად ჩაილაპარაკა ვლადიმერმა.

ამ დროს უხეილით გადაიარა ყუმბარამ და შორს, დაეცა. კვამლის სვეტები ავარდა ცაში, დაიხანძრა კიდეც ერთი შენობა. გამოცხადდა საპარო განგაში. გერმანელ ფაშისტთა ბომბდამშენების არმიდა ქალაქს უახლოვდებოდა.

— მერე განვაგრძოთ საუბარი, — აჩქარდა ვლადიმერიც, — ჩვენ ალბათ, კიდეც შევხვდებით. ნახვამდის, ჩემო ლადო, თუ რეზო მარგინაი, ან ამისულაშვილი შეგხვდეს, გააგებინე რომ აქ ვარ, იქნებ მნახონ.

გადაეხვივნენ, დაემშვიდობნენ ერთმანეთს და თავიანთ ნაწილებს მიაშურეს. ეს იყო მათი უკანასკნელი შეხვედრა...

პოეტი ჯარიკაცი ფრონტის მანქანაში უბანზე იყო ხან მეორეზე, ხან მესამეზე, ხან მეოთხეზე. მანქანის ნაწილთან ერთად ჯერ ნოვოროსიისკში ვადმოინაცვლა, შემდეგ მოზლოკში და კვლავ კავკასიის დამცველთა რიგებში ჩადგა. მოზლოკიდან კი ისევ ჩრდილოეთისაკენ მიემართება მათი ნაწილი. აბრისის ბოლო რიცხვებში გზიდან გამოგზავნილ წერილში ვლადიმერი მშობლებს წერს:

„ამჟამად, მატარებელში ვარ, ქალაქ ტხარეკაციის ახლოს. ამ წერილს გწერთ გაქანებული ეშელონიდან. მშვენიერი სანახაობაა, ამ თვალწუვდენელ ტრამალებს რომ გადავყურებ ვაგონიდან. ეს მესამე დღეა ვაგონში ვარ. მე მივდივარ პირდაპირ ფრონტზე, ბრძოლაში. ვაჟა-ფშაველას თქმისა არ იყოს არ დაცივებენ იცოდეთ „ლაჩარი შვილის ყოლასა“ (ვაჟას ლექსიდან „ფშაველი ჯარისკაცის წერილი...“) ჩემზე ნუ იღარდებთ ნურაფერს. მე სიზარულით მივდივარ ფრონტზე ამ დიდ სამამულო ომში“.

ამის შემდეგ ვლადიმერ უბილავა სამხრეთ დასავლეთის ფრონტზეა, როგორც პოეტი, როგორც სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი და მეომარი. ქეშმარიტად იგი ნაწრთობია განვლილ ბრძოლებში, მისთვის აღარ არის საშიში მტრის არც ქვემეხები და არც „ფერდინანდები“, არც ბომბდამშენები და არც მათი „განიუშები“, ძალღუბივით რომ იყვებოდნენ. თავის ძმის ელაზბარ უბილავასადმი 11 მაისს გაგზავნილ წერილში იგი წერს:

„...მე ძალიან ჯანმრთელად ვარ. ვიმყოფები სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე. აქ ჩამოვედი სამ მაისს, მაგრამ უშუალოდ ბრძოლაში ჯერაც არ ვაგსუღვართ. ხვალ ან ზევ შეიძლება გავიდეთ პირდაპირ ბრძოლის ველზე, მაგრამ არ შეშინია სულაც, ვინაიდან დავრწმუნდი, რომ მტერი სიძლიერით ჩვენ ვერ შეგვედრება... წერილები თუ ხშირად ვერ მოგწერეთ, მიაწერეთ ჩემს სიზარმა-

ეს ან დროის უქონლობას და ამან სრულებით არ შეგაშინოთ“.

ვლადიმერ უბილაევა უტოლდება აღმამიანებს, რომელთაც სამშობლოსადმი სიყვარული, მისთვის თავის გაწირვა მიანჩიათ უბირველეს მოვალეობად. იგი, როგორც ჯარისკაცი და მეომარი, უდრეკია, უშიშარია, თავისიანებს ამხნევეებს კიდევ:

„ვიმეორებ, — წერს იგი ერთ-ერთ წერილში, — აქ მე ძალიან ჯანმრთელად ვარ. ჯერჯერობით მე მტრის ტყვია ძალიან მიფრთხის, ასე რომ არაფერიც არ დამშავებია, რაც ამ ფრონტზე გადმომიყვანეს.“

დიდებული ილია ჭავჭავაძე მომავალ ცხოვრების სცენას ასე გვიხატავდა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში: „მამულის დახსნის დრო არი, ქვეყანა გვეუკავს შევლასა, თავისუფლების შოვნაი, სჯობს საშოვნელსა ყველასა“. მეც ამ მამულის დახსნის დროს ბრძოლისათვის ვარ მოწოდებული და იმედია გავამართლებ ამ მოწოდებას, როგორც ერთ-ერთი წითელარმიელი; ამ სანგრებშიაც ეს ოხერი, პოეზიის ინტერესები მომყვა, რომელიც ხშირად არ მაძინებდა საქართველოში ყოფნისას. და ზოგჯერ ვწერ ლექსებს გაზეთის ნახევებზე. ზოგიერთი მათგანი შეიძლება შევიტანო წიგნში. რომელსაც ერქმევა: „ლექსები ცეცხლიან სანგრებზე“ (თუ კი მოვესწრები მის გამოცემას)...“

სწორედ ამ პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს მისი ლექსი „დილით“. თუმცა მრისხანე იყო გარემო, იდგა ყუმბარებისა და ბომბების აფეთქებათა გამაყრუებელი ხმაური, ირგვლივ ითესებოდა სიკვდილი, მაგრამ ბუნება მაინც თავისას არ იშლიდა, მიწას მაინც მწვანე საბანი ებურა, ტანშეფეთქილი ალუჩა და ლამაზი იასამანიც ჰყვავოდა. ფრონტული დილის სურათს ასე გადმოგვცემს პოეტი-მეომარი ამ ლექსში:

„დილით ამოვყავ სანგრიდან თავი —
რტოებს ამშვენებს ლენისფრად ვაშლი,
ზემს აყრია ყლორტების ზევი“

და ჰეფეს ვეფელი შორეულ ბაღში.
თავს ვერ ვიკავებ... საღამო...
ეს რა ვარდობა შემოპარტყბ...
მავნოლია დგას, თუ თეთრი ნაფი
მღელვარე ტბაში ცურავს ფარულად.
ველარ ზაქეტავს სურვილს სანგარი,
სულს გაზაფხული ეწვია ურჩი,
მინდვრები გიციდის შენ უანგარო, —
ისევე ზამთარის ნაფი ყურში“.

სანგრებსა და ბლინდაებში ვლადიმერ უბილაევს მიერ დაწერილი ლექსები ცოცხლად გვიხატავენ ბრძოლის ველოს შემადარწუნებელ სურათებს, საბჭოთა მეომრების გმირულ შემართებას მტერთან, სიცოცხლისათვის თავგანწირვას, გამარჯვებისათვის დაუოკებელ სწრაფვას. ავიღოთ თუ გინდ ლექსი „მას შეღიმოდა ფრონტის დობილი“:

„ერთი დღის ამბავს ვიგონებ ახლა,
ის დღეა ჩემი ფიქრთა მფლობელი,
სოფლელი ბიჭი გმირი რომ ვახდა,
უბრალო ბიჭო, ჩემი სოფლელი...
დასცხეს... შვირყა კორდი და ხრამი
(რა არის მტერი სისხლში ცურავდეს),
ტყვიამფრქვევები მიფრმდნენ წაბით,
ბმლენსა და ხიმტავს მიაყურადეს.
ასეთ დროს მართლაც ვეფხვდებოდა კაცი,
ისიც მძებს შორის ჩაღმა ვეფხურად,
დაკრა და მტერი მტერზევე დასცა,
ველს სისხლიანი ფარბა ეხურა...“

ლექსს აღარ გავაგრძელებთ. პოეტის ეს მებრძოლური სულისკვეთება არ გამოხატავს შორიდან მიაყურებლის გრძნობას. იგი თვითონ ტრიალებდა ცეცხლის შუაგულში და მაშინაც კი, როცა მისი ლექსის გმირი სპიტილის-საწოლს იყო მიჯაჭვული, არ შორდებოდა მას განვლილი ბრძოლი, შემადარწუნებელი სურათები:

და თვალწინ ედგა კორდი და ხრამი,
ველი წითელი, ტყე გადამწვარი,
ტყვიამფრქვევების ვეფხვის გამი,
ხმლისა და ხიმტის ფიქტი ლაწინი.

თავისი ძმის ელიზბარისადმი 1942 წლის ივლისში გამოგზავნილ უკანასკნელ წერილში ვლადიმერ უბილავე წერს:

...მე ჯანმრთელად ვარ. ვიმყოფები კარგა ხანია ფრონტზე და ვცხოვრობ სანგარში. ამ უკანასკნელ კვირებში რამდენჯერ ვიყავი ძლიერ ცეცხლში, მათ შორის გუშინ ღამეც. პირდაპირ წვიმარომ გინახავს, ისე დაგვაყარეს მამაძაღვლებმა ტყვიები, ტყვიამფრქვევებითა და ნაღმსატყორცებით. ჩვენი უარესი დღე დავაყენეთ. ვხედავდით, რამდენიმე კაცი რომ წაიქცა ჩვენი ტყვიებისაგან, თვითელი მებრძოლის სიცოცხლეს მაინც დიდი საშიშროება მოელოდა, მაგრამ გამოვედით სრულიად უვნებლად. მომავალში არ ვიცი რა მომივა, მაგრამ იმედია არ მილატებს ბედისწერა (თუცა მე ფატალისმის მომხრე არა ვარ). მე მიპირებენ, როგორც მწერალთა კავშირის წევრს, არმიის გაზეთის რედაქციაში გადაყვანას. თუცა რატომღაც გვიანდება ეს საქმე. თუ ეს მოხერხდება, უმჯობესია, რადგან ვფიქრობ, კალმით უფრო მეტს ვარგებ ქვეყანას, ვინემ თოფით...“

ეს ის დღეები იყო, როცა, როგორც საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყებოდა, სამხრეთ დასავლეთის ფრონტის ჯარები, რომლებმაც ვერ მოასწრეს მდინარე ჩორნაია კალიტვას სამხრეთ ნაპირზე თავდაცვის მოწყობა, ბრძოლას ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან, რომელმაც გადმოლახა მდინარე და განავითარა თავისი შეტევა სამხრეთ-დასავლეთისაკენ. დონბასის დიდი ნაწილი მოექცა მოწინააღმდეგის კონტროლის ქვეშ. ჩვენი ჯარები მთელ რიგ შემთხვევაში ველარ ასწრებდნენ თავდაცვის ერთი ზღუდედან მეორეზე ორგანიზებულად გადასვლას. ამის შედეგად ზარალიც საგრძნობი იყო.

ვლადიმერ უბილავე თავის თანამემამულე რაქდენ ეფენიასთან ერთად პოლკის მხვერავთა ოცეულის მებრძოლი იყო. იგი სახელოვნად ასრულებდა მე-

თაურთა საბრძოლო დავალებებს. ერთხელ ვ. უბილავეს ჯგუფმა მებრძოლებმა მტრის განლაგებაში შეუშინველად შევიდა, ყველაფერი ზუსტად ჩაინიშნა, ხოლო უკან დაბრუნების დროს გერმანელთა საგუშაგოზე მყოფი ორი ჯარისკაცი უხმაუროდ მოხსნა და ერთი მათგანი გაბაჟრული, როგორც „მოენე“ თავის მეთაურს წარუდგინა.

* * *

...მორიგი დახვერვებიდან დაბრუნებული ვლადიმერი თავისი ჯგუფის სხვა მებრძოლებთან ერთად ისვენებდა. ბლინდაქში კედელზე მიყუდებული ვლადიმერი თვლემდა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. იგი უკრაინის მადლიან მიწა-წყალზე იმყოფებოდა და გულს უკლაგდა მტრის მიერ გადაბუგული ნასოფლარები, უკრაინის მრავალტანჯული მიწა-წყალი — და ახალგაზრდა პოეტ-მეომარს ამ ფიქრებში თვალები უწყლიანდებოდა. „აღმათ ისიც ასევე იტანჯებოდა თავის ფიქრებთან ჭიდილში“ — ჩაიდუღუნა ვლადიმერმა თავისთვის და თოფ-ზარბაზნების ქუხილის ხმაში თვალწინ წარმოუდგა უკრაინის მიწის მიბარებული მისი თანამემამულე, ტანჯული დავით გურამიშვილი. გვერდით მიწოლილ რაქდენ ეფენიას ხელიდან გამოაცალა დაქმუნული ფრონტული გაზეთის გუშინდელი ნომერი, ფანქარი მოიმარჯვა და მის „არშიებზე“ სტრიქონები ჩაამწკრივა! მერე რომელიღაც მებრძოლი ძილში აყვირდა: „ბავშვის მკვლელებო... ჯალათებო... შვილო... გალია!“ ვლადიმერი შეცბა, შეწუხდა, თავის გრძელი მკლავით გადასწვდა მებრძოლს და მაგრად შეანჯღრია:

— ძმობილო, გეტყობა ცუდი რამ გისიზმრა, თვალი გაახილე, გამოფიზილდი!

— ჰა, ჰო... — თვალეები მოიფშენიტა მებრძოლმა, — ჩემი გალია დაევირათ პიტლერელებს, ავტომატს თავში ურტყამდნენ, თმებს აგლეჯდნენ... ავაზაკები, ჯალათები!..

ლაპარაკში სხვებსაც გაეღვიძათ. ახმაურდა ბლინდაქი, ახმაურდნენ სანგრე-



ბი. ცაზე კი კიაფობდნენ მოტრასირე ფერადი ტყვიები, შიგა და შიგ ქუხდნენ ზარბაზნები და მძიმე ყალიბის ქვეშეხები, შორიდან მოისმოდა თვითმფრინავების მოტორების ავყია გუგუნის.

— შენ უკვე გღვიძავს? — შეეკითხა ვლადიმერს რაქდენ ეფენია.

— არც მძინებია.

— ალბათ ლექსს დაწერდი. შენ ზომ ასე იცი ზოლმე. როცა ბიჭები თვალს მივხუტავთ, შენ მაშინ იწყებ ლექსების თხზვას.

— ქალღაღად შენი „ნა რაზგრომ ვრაგა“ გამოვიყენე.

— მაინც ზომ იქ ვაგზავნი დასაბეჭდათ?

— ვნახოთ. ჯერ შენ წაიკითხე, თუ მოგეწონება, მაშინ ვნახოთ — უთხრა ვლადიმერმა და ეფენიას გადასცა ვაზეთის ნაგლეჯზე დაწერილი ლექსი.

ცაიშელი მასწავლებელი რაქდენ ეფენია მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ პოეზიის დიდი მოყვარული იყო. ამიტომ ვლადიმერი ყველა თავის ლექსს პირველად მას აკითხებდა, მისგან მოისმენდა პირველ შეფასებასაც, ხოლო კრიტიკულ შენიშვნას, თუ მისაღები იყო, ყურადღებით მოეკიდებოდა და სთანადო ცვლილებაც შეჰქონდა ნაწარმოებში.

რაქდენმა კვარის შუქზე გააყოლა თვალი ვაზეთის თავისუფალ არშიაზე ჩამწკრივებულ სტრიქონებს და გრძნობით ამოიკითხა:

„გურამიშვილის წინამძღოლი“

უკრაინის ფრონტზე მომავონდა დიდი ქართული პოეტი დავით გურამიშვილი. რომელიც მირგოროდის ახლოს, ზუზოვკაში წისქვილის აგებას ფიქრობდა.

დიდი პაპა, მოშირე დაურეტელი,
ამ წმინდა ადგილს შეეხიზნა და შეეფარა,
ამ წყაროს პირზე ახმანდა ლექსი მჭექფარე,
დადგა წისქვილი, ბალიც ქვანდა
ბევრისმეტყველი.

ავერ დელსთან დღემდე მოჩანს მგელი
სარკინისგან
ასეულ წლებს რომ მორიდებით ფრთხილად
გზარა;

მაგრამ ახლა კი ვინ თხერი შემოვარა,
მას რა გრიგალი ნებთქება შეუწყვეტელი
ვინ მოინდომა მგოსნის კვალი ურცხვად
გათელოს,

სადა ხარ, მგოსნის დიდებულო შუქო ნათლო.
აქ ჩემმა რაშმაკ მოიწყინა, მოართო კიხვინი.
მესიზმრა ლანდი: ანგელოსებრ

ხელაყარბილი,
თქვა: „თქვენზე, შეილნო, ეს მამული მაქვს
მინდობილი,
არ გამიფუტონ ჩემი მიწა, ჩემი წისქვილი!“

ჩაათავა უკანასკნელი სტრიქონი და რაქდენმა აღფრთოვანებით შესძახა:

— შესანიშნავია, ნამდვილად შესანიშნავია! „კომუნისტს“ გაუგზავნე, დაე, პირველად იქ დაიბეჭდოს, საქართველოში!...

მეორე დღეს მათმა ნაწილმა სამხრეთისაკენ გადმოინაცვლა. მტერი სტალინგრადს ეძალებოდა, იქითკენ მიაყარა თავისი ტექნიკა და ცოცხალი ძალა, ხოლო ნაწილი — კავკასიისაკენ.

მდგომარეობა მეტად დაძაბული შექმნა. ბრძოლები გადმოტანილ იქნა კავკასიაში, საფრთხე დაემუქრა ჩრდილოეთ კავკასიას, ამიერკავკასიას, თვით საქართველოს.

— სასიკვდილო საფრთხე დასტრიალებს ჩვენს მშობლიურ მხარეს, — უთხრა რაქდენს დამქანცველი ლაშქრობის შემდეგ ვლადიმერმა, — ახლა გემართებს ბიჭობა, ჩემო რაქდენ, ზომ ხედავ, გერმანელი ფაშისტები ფურცლებს ყრიან ჩვენს განლაგებაში, მოგვიწოდებენ: ჩვენს მხარეზე გადმოდი, თეთრ პურს გაჭმევ და სიგარეტებს მოგაწვევინებთო. მამა უცხოვნდებათ, მაგ მამაძაღლებს! მოდი შეეფიცოთ ერთმანეთს, რომ ცოცხალი თავით ტყვედ არ დავენებდებით პიტლერელებს.

— განა ისეთი რა საბაბი მოგეცი, რომ მაგაში ეჭვი გეპარება? — ცოტა არ იყოს წყენით მიმართა რაქდენმა.

— არა, მე ეგ არც მიფიქრია. ზომიცი ბრძოლაა, ჩვენც დაეთქვათ: ვიბრძოლოთ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის. თუ ვინაცოცხლა ჩვენ ორს შორის რომელიმე გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, ცოცხლად დარჩენილია აცნობოს საბჭოში დაღუპულის ამბავი.

— დაე, ასე იყოს, ამინ! — მტკიცედ თქვა რაქდენმა და გადაეხვია ვლადიმერს.

იმავე საღამოს ორივენი დაზვერვაზე გაგზავნენ სხვადასხვა მიმართულებით. ეს იყო 1942 წლის 10 ივლისს...

* * *

რაქდენ ეფენია თვრამეტი დღის შემდეგ დაბრუნდა დაზვერვიდან თავის ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ ქანც გამოლეული იყო და ადამიანის ფერი არ ედო, რაქდენმა მაშინვე შტაბს მიაშურა და ვლადიმერი იკითხა. მას სამწუხარო ამბავი უთხრეს: დაზვერვაზე წასული ვლადიმერ უბილაგას ჯგუფი მესამე თუ მეოთხე დღეს პირდაპირ წასწყდომია მოწინააღმდეგის სს-ელთა დიდ განაყოფს, ჩვენს მებრძოლებს ბრძოლა მიუღიათ, მტრისათვის საგრძნობი ზარალი მიუყენებიათ, მაგრამ ჩვენებიც ბევრი დაღუპულა, მათ შორის ყოფილა ვლადიმერი, რომელიც ჯერ მძიმედ დაჭრილა, შემდეგ კი ამხანაგებს ხელით წამოუყვანიათ, მაგრამ დადევნებულ გერ-

მანელებს ყველა ისინი გზაში გაუჩინებულა...

ასე შესწირა თავისი მგზნებელი სული, თავისი მშვენიერი სიცოცხლე საყვარელი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ახალგაზრდა ნიჭიერმა პოეტმა ვლადიმერ მიხეილის ძე უბილაგამ.

გავიდა ოცი წელი დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან. ოცი წლის წინად საბჭოთა ხალხმა, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დიდი ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს ვერაგ მტერზე — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე. ამ ძლევაგოსილი გამარჯვების სამსხვერპლოზე, მრავალ სხვა ქართველ მეომართან ერთად, თავი დასდო პოეტმა — მეომარმა ვლადიმერ უბილაგამ. იგი განუწყვეტლივ იმყოფებოდა ცეცხლის ზაზზე და ვაეკაცურად ებრძოდა მტერს ავტომატითა და კალმით. მისი ლექსები „ცეცხლიანი სანჯარებიდან“, რომლებიც იბეჭდებოდა არმიულ თუ საფრონტო გაზეთებში, მეომრებს აღაფრთოვანებდა ახალი საბრძოლო სავირო საქმეებისათვის.

ვლადიმერ უბილაგას უსახღვროდ უყვარდა სიცოცხლე, უყვარდა ჩვენი მთელი ქვეყანა, მშობლიური საქართველო, უყვარდა მზე და თავისუფლება და სწორედ ეს გრძნობებია გამოხატული მის ლექსებში, რომლებიც ფრონტზე სისხლის წვეთებით იწერებოდა.

საგომ თარეხა

ნახტომი უკვლავებისაჲმ

„აჲ, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო,
შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეეძლოს შენთვის
სიკვდილი“.

ილია ჭავჭავაძე

ერთი თვალის გადავლებაა ერონის
ინაურის ხანმოკლე და მშვენიერი სი-
ცოცხლე. ოცი წლის ბევრი უმაწვილი
ვიცი, დედის კალთას რომ არ ვასცი-
ლებია. ოცი წლის ერონისი კი დგამს
ნაბიჯს, რომლის მსგავსიც ერთეულებს
გადაუდგამთ.

* * *

გაუბარელი ჭაბუკის დედას სუფრა
გაუშლია, ვიდრე გმირის ხსოვნის სას-
მისს აეწევიდო, ჩემს თვალწინ გადაიჭ-
როლა ყველაფერმა, რაც ამ ჭაბუკზე
ვიციოდი, და, რაც მის სახელთან იყო
დაკავშირებული.

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური
გერმანია ვერავლად დაესხა თავს
ჩვენს სამშობლოს.

ერონის ინაური დიდი სამამულო
ომის ფრონტზეა. ამხანაგებს უკვირთ,
როგორ გამოიწრთო ასე მოკლე ხანში
უმაწვილი კაცი, რომ საფრთხე წარბსაც
ვერ უბრის. 1942 წელს ერონისი მძიმე
კონტუზიით სამკურნალოდ ჩამოყვავთ
თბილისში. წევს, გული კი ისევ ბრძო-
ლის ველზე მიუწევს. ძლივს ასწრებს
პოსპიტლიდან გამოსვლას, და იმავე
წლის სექტემბერში ერონისი ისევ
ფრონტზეა. მოკლე ხანში ამთავრებს
უმცროს მეთაურთა სკოლას და იღებს
სერჟანტის წოდებას. ნუთუ ამაზე შე-

ჩერდება ნიჟიერი ჭაბუკის მხედრული
წინსვლა?

ძმის ამბავს ეციობება ყველას. ძმაც
ფრონტზეა, მასაც ბერძნული სახელა
ქქვია — სოკრათი. საქმიანი, შეუპოვა-
რი, გულისხმიერი, სოკრატ ინაური ად-
რევე წავიდა ბრძოლის ველზე, მაგრამ
ვიდრე წავიდოდა, საჭირო წრთობა მის-
ცა უმცროს ძმას. ერონისი ყველაფერ-
ში ჰბაძავს და ცდილობს გაეჭიბროს,
არ ჩამორჩეს, გაუსწროს კიდევ ძმას.
ერთი თვით ადრე იღუბება ძმაზე, რო-
მელიც, აგრეთვე, გმირის სიკვდილით
დაეცა. მაგრამ განა შეიძლება სიკვდი-
ლი ეწოდოს ძმათა ინაურთა თავგანწირ-
ვას?

ერონისი სხვა ყადის ჭაბუკი იყო.
ასეთ გმირთა გული საკირესავით გიზ-
გიზებს, მათი დარდი ქვეყნის დარდია,
მათი ფიქრის საგანია ხალხი, სამშობ-
ლო, და არა მარტო აზღობელთა ვიწ-
რო წრე, დედ-მამა, ნათესაობა. თვით
მათი ბუნება ითხოვს ამაღლებულ ვალს,
საქმესა და მსხვერპლს.

არაფერი განსაკუთრებული, არაფე-
რი ტიტანური და უჩვეულო არ არის
ერონისის ფრონტულ ცხოვრებაში:
სწავლობს, იბრძვის, სწერს მშობლებს,
წერილებს. წერს მთავარის შექმნე,
ტყვიის ცეცხლში, აღმოდებული ზეც-
ბის სინათლეზე. მისი წერილები ძვირ-

ფასი დოკუმენტებია, ვინც მათ გულის-
ყურით წაიკითხავს, იგრძნობს, რომ
შემთხვევითი არ ყოფილა ჰაბუჯის თავ-
დადება. ის მუდამ გამსჭვალული იყო
მაღალი მისწრაფებებით, სამშობლოს
ერთგულებით და რწმენით, რომ მაღე
ბერლინში იქნებიან და მტერს საკუ-
თარ ბუნავში მოსპობენ. ერონისი
თვალყურს ადევნებს მოვლენებს, ანა-
ლიზს უკეთებს ნახულსა და განცდილს:
„მე გავიარე პოლონეთი და ბესარაბა-
და ყველგან ვიხილე, როგორ ექცევიან
ეს მხეცები ხალხს: ისინი არა მარტო
ჰკლავენ ადამიანებს, ასახიჩრებენ მათ
სულს. ჩვენ გავათავისუფლეთ ათობით
ქალაქი და ათასობით სოფელი. ყველ-
გან გვზვდებიან დიდი სიხარულით!
ჩვენ ხომ მომავალი მოგვაქვს“.

ერონისი გრძნობს ხალხის მხარდაჭე-
რის ძალას. მხოლოდ საშინელ საფრთ-
ხეში ჩავარდნილი გმირი მისწერდა
მშობლებს ასეთ სტრიქონებს: „თქვენი
სიყვარული ფრთებს მასხამს იმისათვის,
რომ გავანადგურო ყველა ცოფიანი
ძაღვი, რაც კი ქვეყანაზეა“.

მან იცის სიძულვილიც და სიყვარუ-
ლიც. დაუნდობელია მტრის მიმართ,
მაგრამ გულისხმიერია მეგობრების, ამ-
ხანაგებისა და თავისიანების მიმართ!

სულ ორჯერ ვნახე. ვერცხლის წყა-
ლივით დაუდგრომელი ჰაბუჯი იყო ერ-
თი შეხედვით, ვერაფერს გმირულს ვერ
დაინახავდით მის ქცევასა და გარეგნო-
ბაში, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედ-
ვით. ჩვენ, ალბათ, ვერ ვამჩნევთ ახ-
ლობელ ადამიანთა ხასიათში იმ ნაპერ-
წყალს, რომელიც სათანადო წამს უკ-
დავების ცეცხლად აგიზგიზდება ხოლ-
მე.

ერთი უბრალო ჯარისკაცი იყო, მეტა
არაფერი. შტაბის ოფიცრად ვმუშაობ-
დი და თარჯიმნის მოვალეობასაც ვას-
რულებდი. როცა მითხრეს, მეზობელ
ნაწილში ქართველია, გვარად ინაუ-
რიო, სულმა წამძლია, ვერ მოვისვენე,
ვიდრე არ ვნახე. ხანმოკლე იყო ჩვენი

საუბარი. ფრონტზე ბაასის დრო არ
ერქონებოდა.

— ხომ არაფერი გვირღებია, ბიჭო? —
გკითხე.

— არაფერი, — ვაიღიმა, — რაც
მვირღებია, ყველაფერი თან მაქვს, —
თქვა და წავიდა. ველარაფერი ვუპასუ-
ხე, ვიდრეც ვაოგნებული, თითქოს უმ-
ცროს ძმას ვაცილებდი.

უკრაინის მეოთხე ფრონტის არმია
მედგრად უტევს მოწინააღმდეგეს. გა-
მარჯვების დღე ახლოვდება. არმია და-
საველეთისაკენ მიიწევს.

უფსკრულისაკენ დაქანებული მტერი
გამაგებით ეჭიდება ყოველ კბოლეს,
ყოველ ფესვსა და ლეროს. ბრძოლა
დღითა და ღამით მთებში და ველებზე-
ზღვაში და ჰაერში, ჯერ კიდევ არ თქმუ-
ლა სანუკვარი სიტყვა „ზავი“ და ლი-
თონის ნიაღვრები ღარავენ მიწას, ზუ-
ზუნებენ ტყეები, სიცოცხლეს ცელ-
ვენ დედამიწაზე ტყვიამფრქვევები.

კარპატის მთებშიც ომია. ბრძოლით
მიიწევს დიდი არმია, ადამიანთა სისხ-
ლით მორწყული გზებით მიდის დასავე-
ლეთისაკენ.

აი, კარპატებიც. აქ იღებენ სათავეს
აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მდი-
ნარეები. ათას ზუთას კილომეტრზე ვა-
დაქიმულან ჭაღარა კარპატები და ეს
ძალუმი კედელი ჰყოფს ახალ განთა-
ვისუფლებულ აღმოსავლეთსა და ფა-
შისტების სამყაროს. საჭიროა მისი გა-
დალაზვა. არის ჩახერგილი გზები, და-
ნაღმული ჭალები, ბრუნის სპირალის
მავთულხლართები, რომლებშიც გადის
დენი, უჩინარი სიკვდილი.

მტერი უსახელო მაღლობზე გამაგრე-
ბულა და გაცლას არ აპირებს. ოთხი
დღეა ფერხდება შეტევა. გერმანელები
ფხვს არ იცვლიან და ტყვია წვივს ხე-
ობიდან ხეობაში.

მაღლობს მოწინააღმდეგე განაგებს,
ჩინებულად იყენებს პოზიციურ უპი-
რატესობას, ტყვია სეტყვასავით ცვივა
ბექობიდან და თითქოს არ ჩანს ძალა,
რომელიც გატეხს მაღლობზე გამაგრე-

ბული მტრის წინააღმდეგობას, რადგან აქ მძიმე ქვეყნების ამოტანა არ ხერხდება, ხოლო ასე გამაგრებული მტრის უმადლესი მწვერვალიდან ვანსადვენად, საარაყო სიმაჰადის გარდა, საჭიროა სასწაულიც. სერჯანტ გრიგოლ მოისენკოს მებრძოლებს არ სწამთ სასწაული, თუმცა თვითონვე ახდენენ სასწაულებს.

მალღობის აღება კი მაინც აუცილებელია, ის კონტროლს უწყევს მთელ მიდამოს და აფერხებს დივიზიის წინსვლას. ბექობის მიღმა, ვხატკეცილის ვასწვრივ, დანაღმული ველია. ეს სიკვდილის ველია. ამ ველზე ფეხის შედგმა იქნებოდა არა გამბედაობა, არამედ თვითმკვლელობა.

მალღობის აღება კი მაინც აუცილებელია. გზის პირას, თხრილებში ჩაწოლილ მეომრებს მალე ზურგიდან ფაშისტები მოაწვებიან. ცეცხლი ძლიერდება.

კარბატებში 1944 წლის 25 ივლისის დილა თენდება. ჯერ კიდევ გუშინ მსროლელთა მეორე ასეულმა მიიღო ბრძანება. რაღაც არ უნდა დაჯდეთ, მალღობი დაიკაოთ. სახელდაბელო კრებაზე კომკავშირლებმა გადაწყვეტილება მიიღეს — წინა ხაზზე ვიქნებით. ოცი წლის ერონის ინაურმა სერჯანტს უთხრა:

— ისეთი წინათგრძნობა მაქვს, ზვალ უნდა მოხდეს რაღაც დაუეწყარი, ჩემთვის და ყველა ჩვენგანისათვის... ოცი წლის ვარ, სიცოცხლე მწყურია ისე, როგორც არასოდეს, მაგრამ თუ საჭირო გახდა, პირველი შევხვდები სიკვდილს პირისპირ...

შეტევა უნდა დაწყებულიყო ალიონზე, სრულ თბს საათზე. საჭირო იყო დასვენება. ერონისს ეძინა ტკბილი, ღრმა, ბავშვური ძილით. ეძინა ცოტა ხანს. მის სახეზე აღბეჭდილიყო სიმშვიდე, რაც განსაცდელში მხოლოდ გამართა თანამგზავრია. ისევ გაიღვია მის გონებაში დედის სახემ, ბორჯომის ხეობამ, ნაცრობმა მთებმა და ჭალებმა...

ეს იყო მისი უკანასკნელი ძილი და სიზმარიც.

როცა გაიღვიძეს, ერონისმა ფეხები შეაღებოდა იყო ბრძოლისათვის.

უკანასკნელ ხანმოკლე შეკრებაზე ჯიბიდან ამოიღო კომკავშირული ბიულეთი, ეამბორა, როგორც წმინდა ნაწილს, და მეგობრებს მიმართა:

„დღეს საშიში ბრძოლა მოგველის. არ მეშინია. გპირდებით. პირველი წავალ იერიშზე. მაგრამ ომი ომია. თუ ეს იქნება ჩემი უკანასკნელი დღე, მისწერეთ დედას, ბორჯომში, ჩელუსკინის ქუჩა № 41... მისწერეთ უბრალოდ, როგორც იყო, ნურც რამეს მიუმატებთ და ნურც რას მოაკლებთ...“

პირველად აკისრებს ერონისი აზხანაგებს, დედას მისწერეთო. ეტყობა, გული უგრძნობს. მუდამ თვითონ სწერდა: „დედაო... გწერ მთვარის შუქზე... მალე ბერლინში ვიქნებით...“

არასოდეს არ დაუდარდიანებია დედა, ერთხელაც არ მოუკლავს დედის გული. დღეს კი შეიძლება მოუკლას და წერილი სხვას მიაწერინოს...

მაგრამ ფიქრის დრო არ არის. და აი, ერონისი მებრძოლებს მიუძღვის ომახიანი ძახილით:

— წინ, სამშობლოსათვის!

წინ! მაგრამ წინ ცეცხლის კედელია, კედლის იქით — მავთულხლართი, მავთულხლართის მიღმა დანაღმული ველი. მავთულის ყოველ ეკალში, ბრუნოს ყოველ სპირალში, მიწის ყოველ ძარღვში უჩინარი სიკვდილია.

ფიქრის დრო არაა. გერმანელთა ქვემეხები ვრგვინავენ, ტყვიამტკვევები კაკანებენ, მუხლუხები რობროხებენ. საჭიროა სწრაფი მოქმედება. რაიმე უნდა იღონონ.

ქართველი მებრძოლი მზადაა სიცოცხლე შესწიროს და ეძებს ისეთ გზას, რომ ეს თავგანწირვა იყოს გონიერული და შედეგიანი.

ასეთ წამს არ ფიქრობენ სიცოცხლეზე, ფიქრობენ მხოლოდ გამარჯვებაზე. ერონისისათვის ასეთი წამი მაშინ ღვე-

ბა, როცა ასეულის უფროსს მიმართავს:

— ნება მომეცით, მეთაურო... მე გავნაღმავ ველს!

გადაწყვეტილება სწრაფი, ბრძნული და გმირულია. პასუხიც ერთი შეიძლება იყოს:

— ნებას გაძლევთ, ამხანაგო ინაურო!

ხდება ის, რაც არასოდეს არავის უხილავს. ინაური თხრილიდან აღიმართება და ავტომატით ხელში გაიჭრება წინ, — იქით, სადაც მოწინააღმდეგეა, მათი მავთულხლართია, სიკვდილია. ტყვიის წვილში მიდის უჩინარივით მსუბუქი, უხორცოსავით უვნებელი, მიდის, როგორც ვეფხვი, რომელიც უკანასკნელ ნახტომს აკეთებს.

მამაცებს ტყვიაც ერიდებო, იტყვიან. სასწაული შეიძლება ეწოდოს ერონის ინაურის მიერ იმ მცირე მანძილის უვნებლად გავლას, რაც ამორებდა უკვდავებსა და რისი გავლის ნებისყოფაც მხოლოდ გმირებს ენიჭებათ.

აი, მიუახლოვდა, მიიჭრა კიდევ მავთულხლართთან, შედგა ზედ ფეხი, ავიდა... აქ კი მოხდა რაღაც საზარელი და მიუწვდომელი, რაც ერონისის ცნობიერებამ ვეღარ დაიჭირა. შეიძრა მიწა, შეძაგდა პაერი, გამაყრუებელი აფეთქების ხმამ გამოადვიდა თვით მიწის გულში მთვლემარე ვულკანი, — ასე ეჩვენათ მავთულხლართის გაღმაც და გამოღმაც. შემდეგ ყველაფერი მიუჩნდა. აღარ არის ერონისი. სამაგიეროდ, გახსნილია გზა და განაღმულია სიკვდილის ველი. ასეული თხრილებიდან ამოდის და საბრძოლო ყიყინით მიეშურება დაბნეული მტრის განლაგებისაკენ. თავდადებულის საგმირო საქმით განათებული მეომრები მტერს ისეთი ძალით ვკვეთენ, რომ ასეულის შეჩერება უკვე შეუძლებელი გახდა. მოისენკოს ასეულმა გრიგალივით აიჭროლა მალღობი, წალეკა მტრის განლა-

გება და ბეჭობი დაიკავა, გმიროს სამარეზე ასეთი წარწერაა: *უჩვენი ვეღოვებლებთ, მაგარამ თუ საქმის განხილვისას ვილი, მოვევლებით ისე, როგორც მოკვდა ინაური.*"

პოლკის მხატვარმა სმირნოვმა საგანგებო გულმოდგინებით დახატა ერონის ინაურის პორტრეტი. ეს პორტრეტი ყოველ შეკრებაზე პრეზიდენტის დარბაზში ეკიდა. ნაწილი ფეხზე ადგომით სცემდა პატივს თავგანწირულის ხსოვნას.

ამხანაგებმა იმავე დღეს ყველაფერი დაუფარავად მისწერეს ერონისის დედას, ეკატერინე ინაურს. წერილს ხელს აწერდა უმცროსი ლეიტენანტი, შემპალოვი.

დედა მოცელივით დაეცა თურმე. შემდეგ კი ძალა მოიკრიბა, თავი გაიშინევა, თუმცა არავითარ ნუგეშს, არავითარ ცრემლს არ შეეძლო მისი მწუხარების შემსუბუქება. გამოვიდოდა გზაზე, იღგა და ელოდა... თავისებურია დედის სიყვარულიც და მწუხარებაც, ვის არ სმენია უთვალავი, ამაღლეებელი მოთხრობა დედის განცდებზე, ომში წასული შვილის ბედზე. ინაურების დედას მძიმე უბედურება დაატყდა, მაგრამ ნუგეშად ის დარჩა, რომ მის შვილებს მისი ქალარა არ შეურცხვენიათ.

1944 წლის 5 აპრილს ერონისი შინაურებს სწერდა: „არ დავბრუნდები, ვიდრე მტერს არ გავანადგურებთ და არ გავიმარჩევებთ“. მან შესარულა სიტყვა. სასტიკ განსაცდელში გაიმარჯვა ერონის ინაურმა, ცნობილმა და უსახელო გმირებმა, რომელთაც თავი შესწირეს დიდ რწმენას.

• • •

სუფრასთან ვისხედით. დედა კარადასთან მივიდა, უჭრა გამოალო, ფრთხილად აიღო წერილების დასტა, გამოიწოდა. ეს წერილები გმირის დედას მიუღია ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. დავხედე:

„...გწერთ, როგორც დედას, ქართ-

ველი ვაქაცის, ახალგაზრდა გმირის დედას. ჩემი და ჩემი ახალგაზრდა მეგობრების სახელით გიცხადებთ მადლობას ასეთი შვილის აღზრდისათვის... მისი სახელი ყოველთვის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი იქნება ჩვენთვის...“ წერილს ხელს აწერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გ. ბექურაული. ამხანაგების სახელით დაწერილი ეს მოკლე წერილი ასე მთავრდება:

„დღე, თქვენს მიძიმე მწუხარებაში სახუტეში მოდ გქონდეთ, რომ გმირობით ერონისმა უკვდავყო თავისი სახელი და თქვენი სახელი, სახელოვანო ქართული დედა“...

თანელი მასწავლებლები სოფიო საგანელიძე, თამარ სუხიაშვილი, ანა ბურდული:

„მღელვარებით გავიგეთ, ძვირფასო ვეატერინე, თქვენი ვაჟის — ერონის უკვდავი გმირობის ამბავი და აღფრთოვანებული დავრჩით მისი თავდადებით“...

ჩვენს წინაშეა გაცვეთილ-გაყვითლებული ფრონტული გაზეთის 1944 წლის 24 ოქტომბრის ნომერი. მესამე გვერდი ეთმობა წერილებს, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მიუღია რედაქციას. მთელს გვერდს გასდევს საერთო სათაური: „ხალხი აღიღებს გმირს“.

კაპიტანი ალექსანდრე ბოცენკო, პოდპოლკოვნიკი რაზდოლსკი, სერჟანტი გრიგოლ მოისენკო — ყველა, ვინც ერონისზე წერს, წერს აღტაცებით, სიყვარულითა და გაცოცხებით.

ეს წერილები ერთი სულისკვეთებით არის გამსჭვალული, საჭიროდ მიგვაჩინია ზოგი მათგანის გამოქვეყნება: ნოვოროსიისკელი ტოსია ემელიანოვი წერს: „პატივი და დიდება ერონის ინაურს! თუ სიკვდილი მიწერია, ვისურვებდი ისეთ სიკვდილს, როგორც მოკვდა ერონის ინაური“.

იქვესკელი მოსწავლე ანასტასია დობროვოლსკაია: „ხმამალა წავიკითხეთ სერჟანტ ინაურის ამბავი. ჩვენთ- 9. „მნათობი“ № 5.

ვის, მოსწავლეებისათვის, ის ისეთივე გმირია, როგორც ნიკოლეი კოსტროვსკი, ზოია კოსმოდემიანსკაია, ანდრეი სანდარე მატროსოვი. ყოველი ჩვენგანი ისე მოიქცეოდა, როგორც ინაური მოიქცა“.

ხერსონელი ლარისა ბოცენკო, პორტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი:

„ერონისის სიკვდილმა ჩვენ დარდით აგვევსო. მისი გმირობის ამბავს მოვეუთხოვრებთ მთელს ქალაქს. გმირის დედას გადაეცით ჩვენი სამძიმარი“.

როსტოველი მასწავლებელი ტატიანა ბარანოვა და ბუხპალტერი ლილია კრაიდაშენკო:

„დაიღუპა მშვენიერი ჭაბუკი ინაური, მაგრამ გვჭერა მისი ამხანაგები მის საქმეს ბოლომდე მიიყვანთ და მტერს საკუთარ ბუნავში მოსპობთ“.

მოლდაველი მარინა გრონა: „წაიკითხე კომკავშირულ ინაურის გმირობის ამბავი. ისე შევწუხდი, ვტიროდი, წელს კმირის სიკვდილით დაიღუპა ჩემი ძმა საშა. წარმოდგენილი მაქვს, რა ტკივილი ვადაიტანეთ... მუდამ თქვენთან ვართ“.

გულის ამაჩუყებელია მოსკოველი ქალიშვილის ანა ანდრეევას წერილი გმირის დედისადმი:

„ძვირფასო დედა, ძვირფასო ვეატერინა თვედორეს ასულო! მე არ გიცნობთ თქვენ, არ ვიცნობდი თქვენს შვილს, მაგრამ ნება მომეცით უბრალო საბჭოთა ქალიშვილს, გიწოდოთ ყველაზე უფრო კარგი სიტყვა დედამიწაზე — „დედა“. დარდი დედისა, რომელმაც დაკარგა შვილი, ისიც გმირი, რა თქმა უნდა, უსაშველოა. მაგრამ ერონისი ხომ არ მომკვდარა, ჩვენ ვამაყობთ თქვენი შვილით, ვამაყობთ თქვენით. ნუ იტირებთ, გმირ ქალს ეს არ შეშვენის, თქვენ კი, ასეთი შვილის გამზრდელი — ნამდვილი გმირი ქალი ხართ. იყავით ჯანმრთელად, გცოცნით, ჩვენო დედა“.

ნოვოსიბირსკელი პოლინა ბოტენოვა: „შორს ჩვენგან, ათასობით კილომეტრის მანძილზე, დაიღუპა ერონის ინაური, მაგრამ დანაღმული ველი აფეთქებამ გამოძახილი ჰპოვა ყოველი ჩვენგანის გულში“.

გორნეველი კოლმეურნეები: „გარწმუნებთ, ძვირფასო ფრონტელო ამხანაგებო, თქვენთან ერთად ვიძიებო შურს მგზნებარე ერონის ინაურისათვის, თქვენ — იარაღით ხელში, ჩვენ — თავდადებული შრომით“.

დედა ზრუნვით კეცავს ძვირფას წერილებს და მძღლევს „ზარია ვოსტოკას“ ნაცნობ ნომერს. 1959 წლის 8 მაისს კიეველი პოდპოლკოვნიკი რაზდოლსკი „ზარია ვოსტოკას“ საშუალებით ქართველ მკითხველებს მიმართავს:

„როგორი იყო თქვენი სახელოვახი თანამემამულე ერონის ინაური? ამაზე მინდა მოგიტხროთ, ძვირფასო მკითხველებო. დაე, ყველამ იცოდეს, რომ შე-

სანიშნავი პატრიოტები ვართ ჩვენ. ქართველოს კომკავშირის რაზდოლსკი მოვევითხრობს ინაურის გმირობის ამბავს და წერილს ასე ასრულებს:

„ერონის ინაურის სახელი უკვდავია. ეს მან და ათასობით მისმა მსგავსმა ახალგაზრდამ მოუპოვეს კომკავშირის მესამე ორდენი — ლენინის ორდენი“.

„მშვიდობით, საყვარელო დედიკო“ — ასე თავდება ერონისის უკანასკნელ წერილი.

ჩვენი სუფრა არ იყო მრავალსიტყვოვანი, უთქმელადაც ნათელი იყო ყველა ჩვენგანის აზრი და ფიქრი. დედას მოკრძალებით დავემშვიდობებ, იმ სკოლას მივაშურე, სადაც ერონისი სწავლობდა. გზად მიმყვებოდა ქართველი დედის სახე და გულუბრყვილო, ბავშვური ღიმილი ერონის ინაურისა, რომელმაც სულ ორჯერ გაიღევა ჩემს თვალწინ და სამუდამოდ ჩამრჩა ხსოვნაში.



ა. სპირაძე

არმიის გენერალი

სანატრელი ჩვენი ბერი

წინ, მხოლოდ წინ

სექტემბრის შუა რიცხვებში დასავლეთის ფრონტმა გადაიმწყვეტი შეტევა წამოიწყო სმოლენსკზე, როსლავლსა და ორშაზე. მე-10 გვარდიული არმია დამრტყმელ დაჯგუფებაში შედიოდა. იგი ორშისაკენ მიიწევედა და სმოლენსკს სამხრეთიდან უვლიდა.

ჩვენმა დივიზიამ მოწინააღმდეგის დაცვის შუალედური საზღვარი გაარღვია და სმოლენსკი-როსლავლის რკინიგზის ხაზს მიაღწია. მტრის ცეცხლი უფრო შორს წაწევის საშუალებას არ გვაძლევდა. არმიის სარდალმა (არმიას უკვე ამ დროს გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ვასილის ძე სუხომლინოვი მეთაურობდა) გვიბრძანა: რაღაც არ უნდა დაგვეკლომოდა, გადაგვეჭრა რკინიგზა. 15 სექტემბერს, გაირჩრაგზე, გვარდიელებმა საარტილერიო მომზადების გარეშე, მოულოდნელად შეუტეეს გერმანელთა 330-ე და 342-ე ქვეითი ჯარის დივიზიებს და გადაჭრეს რკინიგზა. მტერს აღარ შეეძლო მისი გამოყენება თავისი ჯარისა და სამხედრო ტვირთის გადასასრლად. ამ ამოცანის შესრულება სათანადოდ იქნა შეფასებული. დივიზიის ასამდე ოფიცერმა, სერჟანტმა და ჯარისკაცმა ორდენები და მედლები მიიღო, მე კი კუბუზოვის მე-2 ხარისხის ორდენით დამაჯილდოვეს.

ორშის მისაღვომებთან დიდ ხანს შევჩრით. მტერი სასოწარკვეთილი შეუპოვრობით იცავდა თავს. ამინდი მას უწყობდა ხელს. ნოემბერი იდგა. წვიმები სუსხმა შეცვალა. გერმანელებსაც არ უღზინთ, მაგრამ ისინი მიწურებში მაინც სხედან, ჩვენ კი, მოიერიშენი,

ღია ცის ქვეშ ვართ. დილით სველდება, საღამოთი დაკრავს ყინვა და შენი ტანსაცმელი ყინულის ჯავშნად გადაიქცევა. მაპატიეთ გულახდილობისათვის: რამე რომ მოგინდეს, ღილებსაც ვერ გაიხსნი. მოძრაობა გეიჭირს, იარაღით მოქმედება კიდევ უფრო ძნელია. ვერსად ვერ გათბები და ვერც გაშრები. წვიხარ ცეცხლის ქვეშ, სიცოცხლისაგან კანკალე. ჯარისკაცები მოწყენილი არიან.

93-ე და 90-ე გვარდიული პოლკების სამხედრო რიგები, რომლებიც პირველ ეშელონში იმყოფებოდნენ, როგორც უტევდნენ, ისევე განლაგდნენ ცეცხლქვეშ მთლად გაშიშვლებულ ადგილას. საღამოს წამოეჩენლა, ღამით კი მოყინა. მთელ ფრონტზე იქედან და აქედან თოფებისა და ტყვიამფრქვევების უღიმღამო სროლა გაიმართა, ხანდახან გერმანელთა ექვსსულლიანი ნაღმსატყორცის ჯერიც გაისმოდა. ეს იარაღი მაშინ ახალი რამ იყო.

დივიზიის შტაბის ოპერატიული ჯგუფი ღლივს მოთავსდა პატარა სანგარში, და 93-ე პოლკის მეთაურის — ლაზარევის მიწურში, რომელიც დიდი ხანი არ იყო რაც გერმანელებს დაეტოვებინათ.

— ცუდადაა საქმე, ამხანაგო გენერალო! — ამოიოზრა ლაზარევი. — ხალხი სიცოცხლისაგან იყინება, საქმელს თავი ვერ მოუყარეს, ამ განლაგებაში როგორ უნდა მოიტანო რაიმე: ოდნავ გაინძრევი და მტერი ტყვიას გახლს.

ყველამ ერთად დავიწყეთ ფიქრი იმაზე, თუ როგორ დავხმარებოდით მეოპრებს, რომლებიც საბრძოლო რიგებში იყვნენ. მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა ადამიანთა მორალური სულისკვეთების ასაძალდებლად მებრძოლებსაც გასწიეს.

შუალამისას ყინვამ 7 გრადუსს მიაღწია.

— გრიცენკო! მოდი, ვცადოთ, იქნება ჩვენებამდე მივალწიოთ.

მიწურიდან გამოვედით. მთვარის სხივი მოკურავე ღრუბლებიდან უსწორმასწოროდ ეცემოდა მიწაზე. ორიენტირება ადვილი იყო. ამოეძვერით სანგრადან. თავს ზევით ტყვიების წივილი ისმის. იძულებული ვხდებით დავიხაროთ, ხოლო შემდეგ კი ოთხფეხიანთა ხერხზე ვადავიდეთ.

აი, უკვე მიწის მუქ ნაცრისფერ ფონზე მოჩანს ცალკეული წერტილები — ეს სამხედრო განლაგებაა. გვერდზე მივცოცავთ უახლეს მებრძოლამდე და მის ახლოს ვწევებით. მებრძოლი არ იძვრის, მაგრამ ავტომატის ლულა მტრისაკენ მიუმაართავს. ხელქვეშ მესანგრის პატარა ბარი ამოუღვია.

— მეგობარო, გძინავს?

მან ნელა მოაბრუნა თავი ჩემსკენ და ოღონდ გასაგონი ხმით, უსიცოცხლოდ მიპასუხა:

— არა!

— გაიყინე?

დუმს.

— ნუ ჩერდები, იმოძრავე და გაათბე-ბი, აბა, მიდი!..

— არ შემოძლია, მივიყინე...

ვცდილობ დავძრა. იგი, მართლაც, მიყინულიყო ტანსაცმლით ქვასავით მაგარ თიხაზე.

— ეს რა მოგსვლია? განა შეიძლება ასე!.. არაფერია, ახლავე მოგეშველებით.

მე და გრიცენკომ შეეანჯღრიეთ იგი, ბარიც მოვიშველიეთ. როგორც იქნა, ჩარისკაცმა თავი დააღწია მოულოდნელ ტყვეობას. გადაბრუნდა ზურგზე და ფეხების ქნევა დაიწყო.

— ჩინებულია! — უკვე ხუმრობს იგი.

განლაგებაში ზოხილის შემდეგ მიწურისაკენ მივიჩქართ. უნდა ჩქარა მივცეთ ხალხს ცხელი საჭმელი. გამოვიძახებთ მოხალისეები მეორე ეშვლონიდან,

დაეტვიროთ თერმოსებით და ტლიაგენით, რომლებშიც არაყი

— ამხანაგებო! — მივმართე მათ, — თქვენი მებრძოლი მეგობრები იყინებიან. თქვენ უნდა გადაარჩინოთ ისინი, აჰამოთ, გაათბოთ. ეს ადვილი არაა, მაგრამ უნდა ვავაყოთო.

მოხალისეები ჩვენი განლაგებისაკენ გაცოცდნენ. განთიადზე ხალხი უკვე დაპურებული იყო.

ღილით, მიწურის კუთხეში ჩაძინებულს, ვილაყ მალეძებს:

— ამხანაგო გენერალო, ჩქარა გამოდით მიწურიდან და მოუხსინეთ, რას გაიმოსცემენ გერმანელები.

გარეთ გამოვევარდი და საეცებით მკაფიოდ რუსულ ენაზე გავიგონე:

— ...გადაეციეთ გენერალ სტუჩინკოს, რომ იგი ორშას ვერ აიღებს ისე თავზედურად, როგორც ელნია აიღო.

— რა გაღმოსცეს კიდევ? — ვკითხულობ.

— მოკითხვა შემოგითვალეს და ისიც დაუმატეს: ჩვენ ვიცით, რომ მისი დივიზია აქ არისო..

მეორე ღილით, იმავე დროს, ყველაფერი ისევ განმეორდა, მხოლოდ დაუმატეს ის, რომ დილა მშვიდობისა უსურვეს ჩემს მარჯვენა მეზობელს — 85-ე გვარდიული მსართლელი დივიზიის უფროსს, პოლკოვნიკ ბასან ბავშინისძე გოროდოვიცოვს (უფრო გვიან იგი გახდა საბჭოთა კავშირის გმირი და გენერალი, ამჟამად სკკპ კალმიცის საოლქო კომიტეტის მდივანად მუშაობს).

— ჩვენც ისე მივესალმებით, რომ კმაყოფილი იქნებიან.

უზბრძანე მოემზადებინათ ნაღმსატყორცნები ცეცხლის გასახსნელად.

მესამე დღეს გერმანელების გადაცემაში კიდევ ერთი ჩვენი დივიზიის უფროსის გვარი გაჩნდა. მაგრამ გადაცემის დამთავრება არ ვაცალეთ — „მოლაპარაკე“ დანადგარს ნაღმსატყორცნების ცეცხლი დაუფშინეთ. პიტლერელები კიდევ რამდენჯერმე შეეცადნენ ასე მისალმებოდნენ გვარდიელებს, მაგ-

შუალამისას ყინვამ 7 გრადუსს მიადღწია.

— გრიცენკო! მოდი, ვცადოთ, იქნება ჩვენებამდე მივალწიოთ.

მიწურიდან გამოვედით. მთვარის სხივი მოცურავე ღრუბლებიდან უსწორმასწოროდ ეცემოდა მიწაზე. ორიენტირება ადვილი იყო. ამოვძვერით სანგრიდან. თავს ზევით ტყვიების წივილი ისმის. იძულებული ვხდებით დავიხაროთ, ხოლო შემდეგ კი ოთხფეხიანთა ხერხზე გადავიდეთ.

აი, უკვე მიწის მუქ ნაცრისფერ ფონზე მოჩანს ცალკეული წერტილები — ეს სამხედრო განლაგებაა. გვერდზე მივცოცავთ უახლეს მებრძოლამდე და მის ახლოს ვწევბით. მებრძოლი არ იძვრის, მაგრამ ავტომატის ლულა მტრისაკენ მიუმართავს. ხელქვეშ მესანგრის პატარა ბარი ამოუღვია.

— მეგობარო, გძინავს?

მან წელა მოაბრუნა თავი ჩემსკენ და ოღონდ ვასავონი ხმით, უსიცოცხლოდ მიპასუხა:

— არა!

— გაიყინე?

ღუმს.

— ნუ ჩერდები, იმოძრავე და გათბე-ბი, აბა, მიდი!..

— არ შემიძლია, მივიყინე...

ვედილობ დავძრა. იგი, მართლაც, მიყინულიყო ტანსაცმლით ქვასავით მაგარ თიხაზე.

— ეს რა მოგსვლია? ვანა შეიძლება ასე!.. არაფერია, ახლაც მოგეშეველებით.

მე და გრიცენკომ შევანჭლრიეთ იგი, ბარიც მოვიშველიეთ. როგორც იქნა, ჭარისკაცმა თავი დააღწია მოულოდნელ ტყვიობას, გადაბრუნდა ზურგზე და ფეხების ქნევა დაიწყო.

— ჩინებულაია! — უკვე ზუმრობს იგი.

განლაგებაში ზოხილის შემდეგ მიწურისაკენ მივიჩქართ. უნდა ჩქარა მივცეთ ხალხს ცხელი საკმელი. გამოვიძიხეთ მოხალისეები მეორე ემულონიდან,

დაეტვირთეთ თერმოსებით და ფლავი-ლით, რომლებშიც არაფი ესტონური

— ამხანაგებო! — მიგმარხუნი მხარეებზე
თქვენი მებრძოლი მეგობრები იყინებო-
ან. თქვენ უნდა ვადაარჩინოთ ისინი,
აქაშოთ, გაათბოთ. ეს ადვილი არაა, მა-
გრამ უნდა ვავაქეთოთ.

მოხალისეები ჩვენი განლაგებისაკენ გაცოცდნენ. განთიადზე ხალხი უკვე დაპურებული იყო.

ღილით, მიწურის კუთხეში ჩაძინებულს, ვიღაც მალვიძებს:

— ამხანაგო გენერალო, ჩქარა გამო-
დით მიწურიდან და მოუსმინეთ, რას
გაიმოსცემენ გერმანელები.

გარეთ გამოვევარდი და საეხებით მკაფიოდ რუსულ ენაზე გავიგონე:

— ...გადაეციეთ გენერალ სტუჩენკოს,
რომ იგი ორშას ვერ აიღებს ისე თავ-
ხედურად, როგორც ელნაია აიღო.

— რა ვაღმოსცეს კიდე? — ვკითხუ-
ლობ.

— მოკითხვა შემოგითვალეს და ისიც
დაუმატეს: ჩვენ ვიცით, რომ მისი დი-
ვიზია აქ არისო..

მეორე ღილით, იმავე დროს, ყველა-
ფერი ისევ განმეორდა, მხოლოდ დაუ-
მატეს ის, რომ დილა მშვიდობისა უსუ-
რვეს ჩემს მარჯვენა მეზობელს — 85-ე
გვარდიული მსროლელი დივიზიის უფ-
როსსა, პოლკოვნიკ ბასან ბავშინის-ძე
გოროდოვიცოვს (უფრო გვიან იგი გახ-
და საბჭოთა კავშირის გმირი და გენე-
რალი, ამჟამად სკკპ კალმიცის საოლქო
კომიტეტის მდივანად მუშაობს).

— ჩვენც ისე მივესალმებით, რომ
კნაყოფილი იქნებიან.

ვუბრძანე მოემზადებინათ ნაღმსა-
ტყორცნები ცეცხლის გასახსნელად.

მესამე ღღეს გერმანელების გადაე-
მაში კიდეც ერთი ჩვენი დივიზიის უფ-
როსის გვარი გაჩნდა. მაგრამ გადაე-
მის დამთავრება არ ვცალდეთ — „მო-
ლაპარაკე“ დანადგარს ნაღმსატყორც-
ნების ცეცხლი დაეუშინეთ. პიტლერე-
ლები კიდეც რამდენჯერმე შეეცადნენ
ასე მისალმებოდნენ გვარდიელებს, მაგ-

გაგვხარა ასევე ბრძანებამ ნოვო-რეეეთთან ჩვენი არმიის გადაჯგუფების შესახებ. ძალიან გვინდოდა დაგვეტოვებინა ტყეები და ქაობები, რომლებიც არ გვადლედნენ მანევრირების საშუალებას. აქ მეტად ნელა და ძნელად თუ წავიწყვდიოთ წინ.

მაგრამ ნოვო-რეეეთთანაც ვერ შევძელით ტყიდან გამოსვლა. ვაზაფხულის უგზოობამ ჩაშალა ჩვენი გეგმები. ყველაფერი ტალახში ეფლობოდა. არტილერიამ საცეცხლე პოზიციების შეცვლაც კი ვერ შესძლო. საბრძოლო მასალა არ გაგვანდა. იძულებული გავხდით მთელი პოლკი მეზარგულეზად გვექცია. ყოველ ჯარისკაცს აკიდებული ჰქონდა ერთი ან ორი ჭურვი, ან ნაღმი — იმის მიხედვით, თუ როგორი იყო კალიბრი, და მიჰქონდა იგი ათეულ კილომეტრზე ხელით, ბექზე გადებული. ასე ვაწყვდიდით ხალხს საბრძოლო მასალასა და სურსათს, ცხენებისათვის — საკვებსა და მანქანებისათვის — საწვავსაც კი. მოძრაობა ფეხით ან ტანკით შეიძლებოდა, რადგან ცხენებიც კი ტალახში ეფლობოდნენ.

22 აპრილს ხელახლა გადაგვაჯგუფეს იმ მიზნით, რომ ხელში ჩაგვეგდო „ბუშინის მთები“. ქვეითი ნაწილები გაემზადნენ, ზოლო არტილერია და ალალი ძველ ადგილზე დარჩა: გაუელმა ტალახმა მათ ადგილიდან დაძვრის საშუალებაც კი არ მისცა. ნაღმსატყორცნები და ნაღმები მეზარგულეზს ხელით გადაჰქონდათ.

მთე პირობებში შეტევაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო და ჩვენც თავდაცვაზე გადავედით. ამასობაში ფრონტის სარდლობა შეიცვალა.

ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტის ჯარების სარდლად დანიშნეს არმიის გენერალი ანდრეი ივანეს-ძე ერემენკო. სამხედრო საბჭოს წევრად — გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ბოვატკინი. შტაბის უფროსად დარჩა გენერალ-ლეიტენანტი ლეონიდ მიხეილის-ძე სანდალოვი.

23 აპრილს საბრძოლო დაზვერვა ჩაკატარეთ, და ძალზე მარჯვენა მხრისპირ შევეჩვიეთ 93-ე უნდა შეჩვიოთ დივიზიის 12 ჯარისკაცსა და უნტერ-ოფიცერს, რომლებიც ტყვედ წამოვიყვანეთ.

დაზვერვაში მონაწილეობას იღებდა საჯარიმო ასეული, რომელიც ჩვენ შეძოგვიერთდა. მისი მეზარგულეზი შეუპოვარი ბიჭები იყვნენ, მაგრამ ანგარიშმიუხედავად და წინდაუხედავად მოქმედებდნენ. ამიტომ იყო, რომ 30 კაცი დაეკარგეთ მოკლულთა და დაჭრილთა სახით, რამაც ყველა დაგვაშფობა. ამას ისიც დამატა, რომ დივიზიის სკოლის უფროსმა, ყველასათვის საყვარელმა კაპიტანმა ივანე ტრეტიაკმა, კარგი ოინი მოგვიჩყო. ყველას მოგვწონდა იგი თავზეხელაღებული გმირობისათვის, იმისათვის, რომ ხალხით მიდიოდა ნებისმიერ დავალებაზე, როგორი ძნელიც არ უნდა ყოფილიყო ის. საკმარისი იყო გუთქვათ მისთვის: „ტრეტიაკ! მოათრე ჰიტლერი!“, ის, ალბათ, აუცილებლად იტყოდა: „მესმის!“ და წავიდოდა მის მოსაყვანად. ასეთი იყო იგი ბრძოლაშიც. დივიზიის სკოლა, როგორც რეზერვი, ბრძოლაში მხოლოდ კრიტიკულ მომენტში ებმებოდა. ეს ტრეტიაკს არ აკმაყოფილებდა. იგი თავს მამუზრებდა თხოვნით, რომ მისთვის ბატალიონი ჩამეზარებინა. მე უარზე ვიდექი, მეშინოდა მისი ფიცხი ხასიათის წყალობით საღმე თავი არ წაეგო.

და აი, მან კიდევ მიაყენა უსიამოვნება თავის თავსაც და მეც. აქტიური შეტევით მოქმედებებს ჩვენ იმ დროისათვის არ ვაწარმოებდით. ერთ სადამოს ტრეტიაკმა, რომელიც ძალზე მოწყენილი იყო, წაიყვანა ორი მეზარგული — ვაზშინისათვის თევზს დაეიჭერო, და გასწია ტბისაკენ. ეს ტბა ორ კილომეტრზე იყო დივიზიის სკოლისაგან. ნაპირზე ნავს წააწყდნენ, რომელშიც ბადეც კი იყო თურქე. ვაეხარდათ მეთევზეებს. ჩასხდნენ და ის იყო გააცურეს ნაპირიდან, რომ მათ დაეწია ორი ნავი საყო-



მენდანტო ასეულის ბიჭებით საგსე. ისინი ჩვენი, მე-15 კორპუსის დაცვიდან იყვნენ. ატყდა თურმე აყალ-მაყალი. ტრეტიაკი არ აძლევდა არც ნავს და არც ზადეს. იმათ დიდხანს აღარ გაუბნეს ლაპარაკი — გადააბრუნეს ნავი და წაართვეს ზადე. ტრეტიაკი და მისი თანამემწეები წყალში ჩაიკვივდნენ. გულმოსულებმა გასკურჩეს ნაპირამდე, მოუსვეს სკოლისაკენ და მალე დაბრუნდნენ თავიანთი აპალით. მათ განხრიცეს და გაწმინდეს იქაურობა სამხედრო ხელოვნების ყოველგვარი წესების მიხედვით. საკომენდანტო ოცეულის ბიჭები მაგრაღ შეახტურეს. უსიამოვნება გადახდა კორპუსის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ ზორუფენკოსაც: მას უფიქრია საკომენდანტო პუნქტს გერმანელები დაეხსნენ თავსო. ეს უწყინარი კაცი იმდენად გაბრაზდა, რომ მოითხოვა ტრეტიაკი სამხედრო ტრიბუნალისათვის გადაეცათ. გაჯაერდა არმიის სარდალიც. მომხვდა მეც, პირველ რიგში მათი გამოქომაგებისათვის. მაგრამ საბოლოოდ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. დავჯერდით იმას, რომ ტრეტიაკი მოვხსენით დივიზიის სკოლის უფროსის მოვალეობისაგან და დაენიშნეთ ბატალიონის უფროსად. ტრეტიაკმა როცა გაიგო ეს გადაწყვეტილება, გულთანად იცინა და ძალიან კმაყოფილი დარჩა. მე საშინლად გაებრაზდი.

— რა გიბარია, შე ეშმაკის კერძო?... იქნებ ის, რომ კინაღამ გავასამართლეს და მეც თავი მომჭერი, ასეა, არა?

მან ბოდში მოიხადა და სასწრაფოდ გამცილდა. სიბრაზემ ჩქარა გამიარა. მართლაც-და, არც შეიძლებოდა დიდხანს ვყოფილიყავი გულმოსული ამ ოცი წლის კაპიტანზე.

ახლა, როცა შევხვდები საბჭოთა კავშირის გმირს გენერალ-მაიორ ივანე მოსეს-მე ტრეტიაკს, ძნელია დავიჯერო, რომ ეს ის ვანია ტრეტიაკია — შფოთის თავი და თავზებელადებულნი...

ფრონტის სარდალმა გვიბრუნა უკვე ივლისს დღის მეორე ნახევარში ევხდინა საბრძოლო დაზვერვა. იგი სათვალთვალო პუნქტიდან აკვირდებოდა არმიის სარდლის, მ. ი. კაზაკოვის მოწინავე ბატალიონთა ბრძოლას. კულდევირის ტბასთან ახლო მდებარე სიმაღლიდან, სადაც ეს პუნქტი იყო მოთავსებული, შესანიშნავად მოჩანდა მოწინააღმდეგის მოწინავე ხაზი.

არტილერიისა და ნაღმსატყორცების ხანმოკლე ცეცხლის ქვეშ მეწინავე ბატალიონები მტერს ეკვეთნენ, შეიჭრნენ მოწინააღმდეგის პირველ სანგარში და დაიკავეს იგი. ეს რომ ანდრეი ივანეს ძემ დაინახა, მან როგორც ძველმა კავალერისტმა, სწრაფად შეაფასა ვითარება და გადასწყვიტა გამოეყენებინა ეს მოთულოდნელი შეჭრა — გასცა ბრძანება ბრძოლაში ჩაებათ მოძრავი ჯგუფები.

— აბა, წინ! ვისურვებ წარმატებას ანდრეი ტროფიმეს-ძემ! — აღეუვებით მითხრა მიხეილ ილიას-ძემ და გადაამოცნა (ჩვენ ა. ი. ერემენკოს გვერდით ვიდექით).

ბორცვი ჩავიბრინე და ტანკში ჩავექეტი. კოშკურიდან ხედავ, რომ მთელი ჯგუფი მოწინავე ხაზისაკენ გაემართა. როცა ეს ხაზი გადავკვეთეთ, უკვე დაბნელდა. მზეერავი და მეწინავე რაზმები წინ გაიჭრენ, რათა მოწყვეტოდნენ მთავარ ძალებს, რომლებიც კოლონებად მიდიოდნენ მარცხენა მარშრუტით.

როცა გერმანელთა მეორე თუ მესამე სანგარიც გადავლახეთ, დადამდა. სიბნელეში აქა-იქ გაიღვებენ ავტომატისა და ტყვიამფრქვევების ჯერები. ხან-გამოშვებით რაკეტები ავარდებიან ცაში. უცებ... მოძრავი რაზმის მთავარ ძალებს მტერმა ძლიერი ცეცხლი დაუშინა. შავ ცაში აელვარდა ათობით და ასობით რაკეტა, სროლისაგან ისე განათდა იქაურობა, გვეგონებოდათ დღე არისო.

ტანკები ოდნავ დაზიანდნენ, ხოლო ქვეითთა შორის, რომლებიც მანქანებით

მიდიოდნენ, აღმოჩნდნენ დაქრილებიც და მოკლულებიც. ზოგიერთ მანქანას საწვავის დამატებითი ავზი აუფეთქდა. მებრძოლები ჩამოხტნენ აფეთქებული მანქანებიდან, მიწაზე წაწევენ და მტერს ბრძოლა გაუმართეს.

— უპ, აღრე იყო ჩვენი ბრძოლაში ჩაბმა, — გამოიღვა ფიქრმა თავში. მაგრამ რა გავწყობა, ახლა მხოლოდ წინ უნდა გავიჭრაო.

— გრიცენკო!... მიეცი წითელ რაკეტათა სერია.

ეს, როგორც საწვრთნელ მეცადინეობაზე შეეთანხმდით, იმას ნიშნავდა, რომ შეავტომატეებს და მეტყვიამფრქვევებს უნდა გაეხსნათ ცეცხლი მანქანების ქიმიდან მარჯვნივ და მარცხნივ მოძრაობის მიმართულებით.

— ტანკისტებს მიეცით რადიოსიგნალი: «ყველანი ჩაქუჩისებურად».

ეს სიგნალი იმას ნიშნავდა, რომ იმ ტანკებს, რომელთაც ლუწი ნომერი ჰქონდათ, უნდა ეწარმოებინათ მეთოდური ცეცხლი ქვემეხებიდან მათ პირდაპირ და მარჯვნივ 25-30 გრადუსის კუთხით, ზოლო კენტი ნომრის ტანკებს — წინ და მარჯვნივ მოძრაობის ღერძიდან. დამატებით, კავშირის ყველა საშუალებით, გაცემულ იქნა საერთო ბრძანება:

— წინ! მხოლოდ წინ!

ყოველივე ეს მხოლოდ მარცხენა კოლონას შეეხებოდა. მარჯვენა კოლონა ჩვენგან 4-5 კილომეტრზე მიდიოდა და მტრის მცირე წინააღმდეგობას აწყდებოდა.

განუწყვეტელი სროლით სახიფათო ადგილს თავი დავადწიეთ. ღამის ბრძოლა შეწყდა. ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა ჩვენთვის უკვე აღარავის აღარ შეეძლო, რადგან გავძვერით მტრის მიერ მომზადებულ დაცვაში.

გათენებისას მტრის ზურგში ჩვენმა მოულოდნელმა გამოჩენამ დიდი ეფექტი მოახდინა. მთელმა ქვედანაყოფებმა და ნაწილებმა, როგორც კი თვალი მოგვკრეს, იარაღი დაყარეს და ტყვედ ჩაგვბარდნენ.

დილის ექვს საათზე ტყის პირას შეეჩერდით, რათა გავრკვეულიყო მტრის თარებაში და კავშირი დაგვეწყარებინა ყველა ქვედანაყოფთან. შტაბმა მოაწყო ჩვენს გარშემო ადგილმდებარეობის უშუალო დაცვა და თვალყურის დევნება. ტანკიდან ჩამოვხტი, გვიხზმორე და სიამოვნებით მივისრის-მოვისრისე დაბუქებული სხეული.

— პირდაპირ აღარ შეგეხედებათ. ცარიელი თვალელები-ღა დარჩით! — მხიარულად იღიმება ტანკის მძღოლი ნიკოლაევი.

— არა უშავს, გერმანელებს უფრო შეეშინდებათ ჩემი, — ვასუბობ ხუმრობით. — რადგან ჩემი შეხედვა არ მოგწონს, იშოვე ერთი კარდალა წყალი და პირს დავიბან.

— ამ წუთში!

ნიკოლაევი ხელი სტაცა კარდალას და გაიქცა ნაკადულისაკენ, მაგრამ წყალმდე აღარ მიულწევი, შუა გზიდან მობრუნდა და ხმაშალა გაიძახოდა:

— გერმანელები! გერმანელები!

ხიდან მეთვალყურემაც მომახსენა: გვიახლოვდება გერმანელთა დიდი ჯგუფი!

— შეავტომატეთა ასეულო, რიგზე გაიშალეთ! შემხვედრი მარშით, იარ! — ეუბრძანე დაზვერვის უფროსს.

ვიდრე შეავტომატეები ბრძოლისათვის მოემზადებოდნენ, სამასამდე პიტლერელი ტყიდან გამოვიდა. ზოგიერთს ხელში თეთრი დროშები ეკავა. გადაეწყვიტეთ, რომ დანებება სურდათ. ისინი თანდათან გვიახლოვდებიან... ჩვენ ცნობისმოყვარეობით მიგჩერებივართ. უცებ... გაისმა ავტომატის ჭერი და ჩვენი რამდენიმე მებრძოლი დაეცა.

ასეული წამით დაიბნა... შერე კი გაიხსნა მძაფრი საპასუხო ცეცხლი. ვისროლით ზეზეურად, დაჩოქილი და დაწოლილი გრძელი ჭერებით. მტერს ვურტყამდით ისე გაშმაგებით და სიძულვილით, რომ ფაშისტმა პროვოკატორებმა შეიგნეს: მათ არ დავინდობდით, ასეც მოხდა.

შემდგომ ჩვენი წინწაწევა ცოტა შე-

ნელდა. ისეთი ქანკრობი და ტალახი იყო, რომ გზიდან ვერ გადახვიდოდი, ტანკებიც ვერ გაიშალენ საბრძოლველად. მტერი თვითეულ გზაჯვარედინსა და მალღობს თავდაცვის დასაყრდენს პუნქტებად იყენებდა. მათი გარშემოვლა მხოლოდ ქვეითებს შეეძლოთ. ჩვენც ასე ვაკეთებდით. ქვეითი ნაწილები გზას წმენდნენ მოწინააღმდეგისაგან ისე, რომ ტანკებსა და მანქანებს გავლა შეეძლებოდათ.

უსიამოვნო ამბავს მაინც ვერ დავალწიეთ თავი. ბ. ბ. გორდიენკოვის მანქანა გვარდიული დივიზია ფეხბურთის მიყვებოდა მოძრავე ჯგუფს, რომელიც დანაბრჩენ ნაწილებზე წინ გაჰრილიყო. ერთხელ, მოხდა ისე, რომ მისმა პოლკებმა, რომელთაც არ სურდათ ჩამოგვრჩენოდნენ, მოუმატეს სიჩქარეს, ხოლო არტილერია და ალალი, ბუნებრივია, უკან დარჩა. და აი, ეს ჩამორჩენილი ქვედანაყოფები, წააწყდნენ მტრის ნაწილებს, რომლებიც ჩვენმა მოძრაობამ გაათიშა. ამ ნაწილებს მოძრავე ჯგუფის გავლის შემდეგ სურდათ საღმე თავი მოეყარათ. ალალი ტვირთითა და მთელი ქონებით ჰიტლერელებმა ჩაიგდეს ხელში. შემდეგ კი ამ მიტაცებული ქონების ნაწილი მტერს წაეართვი და გორდიენკოვს გადავეცით, რომელთა შორის მისი პირადი ნივთებიც იყო.

* * *

დაიწყო წვიმები, გზები დასველდა, მანქანების მოძრაობა ძალზე გაჭირდა. ტანკებიც ძლივს მიდიოდნენ. ქალაქ ოპოჩკასკენ მიმავალ გზაზე გადაგვეღობა ძლიერ გამაგრებული პუნქტი ღუზნოვო, სადაც განლაგებული იყო სს-ელთა მე-19 ქვეითი დივიზიის 42-ე პოლკი.

ჩვენი მზვერავები, რომლებიც მსუბუქ ინგლისურ ტანკებში „ვალენტინებში“ ისხდნენ, ღუზნოვოსთან მტერს შეეფეთენ. მტერმა მათ ძლიერი ცეცხლი დაუშინა და დიდი დანაკარგებით უკუაგდო. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ ამ ტანკებმა, რომლებსაც ჩვენი

მოკავშირეები გვაწვდიდნენ, ბევრი უსიამოვნება მოგვაყენა: ისინი ყველგან ვერ გადიოდნენ და ძალბანს სტანკანს შანი ჰქონდათ, რის გამო ჩვენი ეკიპაჟი მათში ხშირად იღუპებოდა.

ძლიერ დაზარალებულ დაზვერვასთან მივიდა მეწინავე რაზმი, რომელსაც ჩვენთვის უკვე ცნობილი ივანე ტრეტიაკი მეთაურობდა. იგი შეჩერდა. შევაპჩინე, რალაც დაბრკოლებას ჰქონდა ადგილი და ჩემი ტანკით გავმუშურ მეწინავე რაზმისაკენ, რათა დამეჩქარებინა მათი წინსვლა, არმიისა და ფრონტის სარდლები უკმაყოფილო იყვნენ, რომ ჩვენ ნელა მივიწვედით წინ.

— ტრეტიაკ! რას გაიყენე ერთ ადგილზე?

— ვითარებაში ვერკვევი.

— აბა, გავერკვეთ ერთად.

ჩვენც გავერკვიეთ. გადარჩენილი მზვერავების დახმარებით ყოველივე ცხადი ვახდა.

— ახლა ყველაფერი ნათელია. ღუზნოვო უნდა ავილოთ, თანაც რაც შეიძლება ჩქარა! მტერს ზურგიდან შენ დასცემ, ვანია, ხოლო ჩვენ, ვიდრე შენ შემოუვლიდე, ფაშისტებს ცეცხლით შევაჩერებთ და ჩქარა დავარტყამთ, რათა მათი ყურადღება ჩვენ მივიპყროთ. გაიგე?

— დიახ!

— იმოქმედე, გამარჯვებით მენახე.

ტრეტიაკი მარღად შეახტა სატვირთო მანქანის საფეხურს, მისცა ნიშანი და რაზმი წაიყვანა უკან, რათა გასულიყო საწყის მდგომარეობაში და ღუზნოვოსთვის ზურგიდან შემოეველო.

ვიდრე ადგილმდებარეობა ხელს არ გვიშლიდა, ჩვენ თვალყურს ვადევნებდით ტრეტიაკის რაზმის მანევრს. ჩანდა, რომ მისმა კოლონამ უკან დაიხია, შემდეგ მარცხნივ მოუხვია გზისაკენ, რომელიც მინდორზე გადიოდა და წვრილ ტყეში გაუჩინარდა. ხუთი-ათი წუთის შემდეგ ტრეტიაკმა მოგვასენა, რომ მანქანიდან ჩამოხტა და ქვეითი მწყობრით განაგრძობს შემოვლას.

— გავხსნათ საარტილერიო ცეცხლი?

— მეკითხება მოძრავე ჯგუფის არტი-
ლერიის უფროსი.

— გახსენით!

გაისმა პირველი გასროლის ხმა. ის-ის
იყო ჩვენმა ქვეითმა ნაწილებმა დაიწ-
ყეს თავიანთი სადემონსტრაციო, ჯიქუ-
რი შეტევა, რომ დუხნოვოში შეუბოვა-
რი სროლა ატყდა. ტრეტიაკი უკვე შე-
იპრა იქ და მყისვე თავს დაესხა პოლ-
კის შტაბს. ნახევარი საათის შემდეგ
ჩვენ დუხნოვოს განაპირას შევხვდით
ერთმანეთს. მან, ჯერ კიდევ ბრძოლა-
დაუმცხრალმა, აღუღებით მომახსენა
ამოცანის შესრულებაზე. ვკითხვე:

— ვინმე შეიპყარით შტაბის ოფიც-
რებიდან?

— ისე რა, ზოგიერთი წამოვიყვანეთ.

— გერმანელთა პოლკის მეთაური სა-
დღაა? გაიქცა?

— არა, აი, მისი მანქანა.

მართლაც, ჩვენთან მსუბუქი ავტო-
მანქანა მოქრიალდა: უკან, დასაჯდომ-
ზე, ჩანდა პოდპოლკოვნიკის კიტელი,
რომელიც ჩემოდნიდან გადმოვარდნი-
ლიყო. საჭესთან გერმანელი იჭდა, გვე-
რდით კი — ჩვენი მეავტომობილე.

— სადაა თვითონ პოდპოლკოვნიკი?

ტრეტიაკი შეცბუნდა, ქუდი შუბლზე
ჩამოიწია და თვალი ამარიადა.

— ბიჭები ცოტა გაცხარდნენ და თავ-
ში ჩასცხეს. გვესროდა ის წყეული, ორი
ჩვენი მეავტომობილე მოკლა. — მერე უფ-
როს მხიარულად დაუმატა: — თქვენ ნუ
გედარდებათ, ღმერთმანი, სხვა პოლ-
კოვნიკს მოგიყვანთ აუცილებლად!

აღმოჩნდა, რომ მათ მარტო პოლკის
უფროსს როდი გააცხებინეს სული. ასე-
თივე ბედი ეწია იმავე პოლკის მე-2 ბა-
ტალიონის უფროსსაც. თუმცა, ეს ხელ-
ჩართულ ბრძოლაში მოხდა.

ტრეტიაკს მაინც გემოზე მოხვდა ჩე-
მგან. ამ გერმანელი ოფიცრების შესა-
ხებ კი, უნდა გამოვიტყუდეთ, მაშინ არა-
ფერი მითქვამს. არ მსურდა მეც ისე
მომხვედროდა, როგორც ტრეტიაკს ჩემ-
გან.

ერთხელ დილით მიწურულა ერთი
ბული ლაპარაკი მომენმა. უფრო ხში-
რად მეორედებოდა სიტყვები: „მეორე
ფრონტი... მეორე ფრონტი...“

— დალახვროს ეშმაკმა, ვაკოტრდნენ
წყეულები — წამოვიძახე ძალაუნებუ-
რად. — ალბათ, ამერიკელი ხორცის
კონსერვები მოიტანეს.

— არა, — იცინის აღიუტანტი. — ეს
რადისტებმა დაიპირეს ცნობა იმის შე-
სახებ, რომ მოკავშირეებმა ნორმანდია-
ში ნაწილები გადმოსხეს.

— როგორც იქნა გაბედეს, იგრძნეს,
რომ ომი მთავრდება. ეშინიათ, ვაი თუ,
უჩვენოდ იხეიზონ გამარჯვებამო...

16 ივლისს ოპოჩასთან ვიდექით.
ორჯერ შევეუტიეთ, ვიდრე არ შევიტე-
რით ქალაქში. ჩვენ — რამდენიმე კაცი
შტაბიდან, ბრძოლას წარგმართავდით
ქუჩებში. მტერმა შეგვამჩნია და ახლო-
მდებარე სახლის სახურავიდან ერთ-
ღროულად დაგვიშინა ნაღმსატყორცნი
ცეცხლი და ავტომობილის ჯერი.

— დაწევი! — დავიყვირე, მაგრამ
ყველანი უკვე ისედაც დაწოლილი იყ-
ვნენ და მანქანას ეფარებოდნენ. ზოგი-
ერთები ჩემი „ვილისის“ ქვეშაც აღმოჩ-
ნდნენ. მე და გრიცენკოს ის-ლა დაგერ-
ჩინოდა, რომ ღია ადგილას დაეწოლი-
ლიყავით. გრიცენკოს კვლავ ბედმა
უმუხბოლა — იგი ბეჭში დაიჭრა.

დილით ქალაქი ჩვენს ხელთ იყო. ხა-
ლხი ქუჩებში გამოეფინა. საბჭოთა ადა-
მიანები, რომლებიც ასე მოწყურებულნი
იყვნენ ჩვენს ნახვას, გულის ამაჩუყებ-
ლად გვესალმებოდნენ, გვეხვეოდნენ,
გვეკონიძნენ. ქალაქის მცხოვრებთა
შორის, ისე, როგორც მანამდე ყველგან,
დიდი ცნობისმოყვარეობა გამოიწვია
ჩვენმა სამხრეულებმა. ომის დაწყებამ-
დე ხომ სამხედრო წოდებანი ერთმანე-
თისაგან განსხვავდებოდა იმ ნიშნებით,
რომლებიც სადილებზე გვეკეთა (სამ-

კუთხედები, კუბიკები, სწორკუთხედები — შპალეები, რომები და გენერლის ოქროს პატარა ვარსკვლავები). ახლა კი... სამხრეთულში! ზოგი კიდევ კითხულობდა:

— თქვენა ხართ წითელი არმია? აი ის, რომელიც ომამდე იყო, თუ სხვა ვინმე?

წინსვლის ტემპები მეტად შენეულა. არ შეგვეძლო მოვწყვეტოდი მე-10 გვარდული არმიის მთავარ ძალებს, დივიზიები გვამარცხებდნენ. ჩვენი მოძრაობა წავიდა უკვე სოლის მწვერვალი იყო და არა „წყვეტის“, რომელიც წინ იყო გამოწეული. ამის გამო იყო, რომ თითოეული კილომეტრის აღება ბრძოლით გვიხდებოდა.

სს-ელთა მე-19 დივიზია დიდი ხანია გავაცამტვერეთ, მაგრამ კვლავ გამოჩნდებოდნენ გერმანელთა ახალი დივიზიები: 126-ე, 93-ე... ბრძოლებში მანქანები მწყობრიდან გამოდიოდნენ. მათი რაოდენობა თანდათან შემცირდა. ხალხიც ცოტა დარჩა.

23 ივლისს ლიუცინისათვის (ლუძა) ბრძოლებში ჩვენ დიდი დანაკლისი განვიცადეთ. დაიჭრა ჩემი მოადგილე პოლიტნაწილში პოლკოვნიკი ალექსანდრე ივანეს-ძე ხრიჩენკო. დილით მომახსენეს: მიძიმე მდგომარეობაშია და თქვენი ნახვა სურსო.

— რამდენი კილომეტრია პოსპიტლამდე?

— ოცდაათხუთმეტრი.

— სწრაფად მანქანა და რაც შეიძლება ჩქარა!

ჩემს მაგიერ მოადგილე დავტოვე და პოსპიტლისაკენ გავქანდი. მანქანა გაჩერებული არ იყო, ისე ჩამოვხტი და ეჭიმებთან მივიბრბინე.

— აბა, რას იტყვი, როგორაა ხრიჩენკო?

ყველა დუმს.

— სადაა?

ალექსანდრე ივანეს-ძე, როგორც ცოცხალი ისე იწვა, მხრებამდე ზეწარგადაფარებული.

— ეს რა დავემართა, ჩემო მეგობრო, ვერ მოესწარ გამარჯვებულს ვაკოცე მის გაციებულს ლთაგან მწარე ცრემლები წამსკდა.

ღამით დავბრუნდი. დაღუპული მეგობრის ხსოვნის პატივსაცემად მთელმა არტილერიამ ისეთი ათწუთიანი სალუტი მისცა, რომ როცა შეტევებზე გადავედით, თითქმის უდანაკარგოდ ავიღეთ ქალაქი. მეორე დღეს ქალაქის სასაფლაოზე მიწას მივებარეთ ალექსანდრე ივანეს-ძე (მოგვიანებით მისი ნეშტი მათა სასაფლაოზე გადმოასვენეს, მის საფლავს მზრუნველობით უვლიან ქალაქის მცხოვრებლები).

გამოვეთხოვე მშობლიურ დივიზიას. მე ციმბირელ მოხალისეთა მე-19 გვარდული კორპუსის უფროსად დამნიშნეს. მიჭირდა ელნიელების დატოვება. რალაც ძალზე ახლობელი გახდა ეს ხალხი ჩემთვის. ახლაც კი გვახსოვს ჩვენ ერთმანეთი. ჩემი ყოფილი თანაპოლკელებისაგან, რომელთაც ძვირფას მეგობრებად ვთვლი, ბევრი წერიალი მომდის.

17 აგვისტოს მადონისაგან ჩრდილოეთით რომ შეტევას ვანეთარებდით, 56-ე გვარდულმა მსროლელმა დივიზიამ მოსპო შეუღედური საზღვარი და დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა ანატოლი ივანეს-ძე კოლობუტინმა მაინობა: „გავანადგურეთ მოწინააღმდეგის 69-ე და 227-ე ქვეითი დივიზიები. გერმანელები ვარბიან. გვყავს ასობით ტყვე“.

მე უკვე მოვასწარი კბილი მომესინჯა კოლობუტინის ხასიათისათვის. ასეთი პატაკი რომ მივიღე, საჩქაროდ მოვეშადე მასთან წასასვლელად, მსურდა გამეგო რა მოხდა.

პოლკოვნიკი კოლობუტინი მეტად თავაზიანი, წესიერი და უშიშარი მებრძოლი იყო. იგი ყოველმხრივ კარგ ოფიცრად ითვლებოდა. მხოლოდ მისი ერთი თვისება მაძულებდა მუდამ ფხიზლად ვყოფილიყავი. იგი არ სვამდა, თავისი ნორმა 100 გრამი არაყიც კი

არასოდეს არ დაუღუვია. მას ამ ნორმის ნახევარიც ჰყოფნიდა. დაღუვდა 50 გრამს და მთლად გამოიცივლებოდა. გახდებოდა ყბედი და ზედმეტად ოპტიმისტი. ამ დროს ყველაზე უმნიშვნელო საბრძოლო წარმატება მის თვალში ფანტასტიკურად გამოიყურებოდა.

ორმოცი წუთის შემდეგ კოლობუტინის დივიზიაში ვიყავი. პატარა ხევში, დივიზიის მეთაურის სათვალთვალ პუნქტის ახლოს, მომეჩვენა, რომ ბუჩქებში ირეოდა გერმანელთა დიდი ჯგუფი, რომელსაც ჩვენი მეავტომატეები იცავდნენ.

„როგორც ჩანს, ტყუილად ვიფიქრე ცუდი ამ კაცზე, სწორად მოუხსენებია, ყოჩად კოლობუტინო!“

ჩავედი ხევში, მაინტერესებს ვინ შეიპყრეს ჩვენებმა. აღმოჩნდა, ტყვედ წამოყვანათ მტრის 159-ე ქვეითი პოლკის 69-ე დივიზიისა და 412-ე ქვეითი პოლკის 212-ე დივიზიის ორმოცზე მეტი ჯარისკაცი და უნტერ-ოფიცერი.

შემდეგ გამოირკვა, რომ პიტლერელები ჯერ სრულიადაც არ აპირებდნენ უკან დახევას, მით უმეტეს — გაქცევას, და კვლავინდებურად მედგარ წინააღმდეგობას უწყევდნენ ჩვენებს.

დიახ, კოლობუტინი როგორიც იყო ისეთივე დარჩა. მაგრამ გაითვალისწინე რა მაინც დივიზიის ცოტათუდენი წარმატება, არ მისაყვედურებია მისთვის. მით უმეტეს, იგი ისეთი სიხარულით შემხვდა, რომ ვერაფერი ვუთხარი. შეხვდავ და შეამჩნევ — აღტაცებულია, ბევრს ლაპარაკობს, თვალეზი უბრაწყინავს. ადვილი მისახვედრია: დამნაშავე იყო ის 50 გრამი, რომელიც მას სადილზე დაეღია. წყნარად განვუმარტე, თუ რა უნდა გაეკეთებინა მომავალში. შტაბის უფროსს და მოადგილეს პოლიტნაწილში გადაკვრით ვუთხარი: უნდა დაეხმარათ დივიზიის მეთაურს კორპუსისათვის პატაკის ჩაბარებაში, რათა მონაცემები უფრო სწორი იყოს.

— შევეცდებით, — მპასუხობს თავის მაგიერ და შტაბის უფროსის მაგიერაც

დივიზიის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში პოლკოვნიკი კორსაკოვი.

— ეს არ გვიმტყუნებს. ყველა პატივს სცემს მას. კოლობუტინი სულსაც არ დაიშურებს მისთვის, რადგან იგი მაღალი კულტურის ადამიანია, აქვს სამხედრო ცოდნა, თავდაპირველია და მაკაცი-მეთქი.

კოლობუტინისაგან რომ ვბრუნდებოდი, კვლავ ხევში გადავიხედე. ტყვეები იქ არ იყვნენ — წაყვანათ. ბუჩქებთან ორი თვითმავალი იდგა და მათ ეკიპაჟს გამოველაპარაკე. საინტერესო ისტორია მიამბეს. თვითმავალ დანადგართა ბატარეა მატროსოვის სახელობის 254-ე გვარდიულ პოლკთან ერთად მოქმედებდა თურქე. ქვეითმა ნაწილებმა თვითმავლების დახმარებით გადალახეს პირველი სანგარი, განაგრძეს გზა და ბუჩქებში გაეხიბრენ.

სალუქვაძემ ვატენა ქვემეხი და ხელში მერე ჭურვი აიღო, როცა ზურგსუკან რაღაც ხმაური შემოესმა, შემობრუნდა და გაოცებისაგან სახტად დარჩა — ორი პიტლერელი ღია ქიმიდან თვითმავალში მოძვრებოდნენ... რა უნდა გაეკეთებინა? მოხერხებული ქართველი სწრაფად მოვიდა გონს. ჭურვი მოიმარჯვა და ჯერ ერთს ჩასცხო თავში და მერე მეორეს. ორივე ფაშისტი, თავგატეხილი, ქიშ იქით გადაცვიდნენ. გაცხარებულმა სალუქვაძემ კვლავ აღმართა ჭურვი:

— აბა! ვინაა კიდევ მანდ? მობრძანდით, გეთაყვა!

მამაცობისა და მოხერხებულობის გამოჩენისათვის სალუქვაძე იქვე, ხევში, „წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოვე.

მეორე დღეს პოლიტგანყოფილებამ სპეციალური ფურცელი გამოუშვა, სადაც აღწერილი იყო სალუქვაძის გმირობა.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა რამდენიმე სიტყვა ვთქვა მატროსოვის სახელობის პოლკზე. ის ჩვენს კორპუსში შედიოდა და ყველა ამყობდა იმით.

წინათ ეს იყო 91-ე მსროლელი ბრი-

გადის ბატალიონი, აქ მსახურობდა ალექსანდრე მატროსოვი, რომელმაც 1943 წლის 23 თებერვალს უკვდავი გმირობით ისახელა თავი. შემდგომ ბატალიონი ხელახლა იქნა ფორმირებული 254-ე მსროლელ გვარდიულ პოლკად და მას ალექსანდრე მატროსოვის სახელი მიენიჭა. ეს პოლკი საუკეთესო პოლკი გახდა ჩვენს კორპუსში. მის გვარდიელთა მამაცობა და საბრძოლო გამოცდილება ბევრჯერ დაგვხმარებია, რათა მიგვეღწია წარმატებისათვის ყველაზე მძიმე წუთებში. კორპუსის ყველა მებრძოლი მატროსოველებისგან იღებდა მაგალითს.

დღე, მარად იყოს შუა!

მაშინ, როცა ჩვენ არც თუ ისე წარმატებით ვაწარმოებდით ომს და კურლიანდიის ჭაობებში ჩავეფლეთ, საბჭოთა კავშირ-გერმანიის სხვა ფრონტებზე დამამთავრებელი შეტაკებები მიდიოდა.

აპრილის დასაწყისში სასიხარულო ამბავი გვაუწყეს: ჩვენებმა ხელში ჩაიგდეს კენიგსბერგი — აღმოსავლეთ პრუსიის რეაქციული სამხედრო ხროვის ბუდე და მთლიანად მოსპეს მტრის დაფუძვება კენიგსბერგთან.

აპრილის ბოლოს კი ცნობამ მთლად სიხარულით აღგვაგსო, როცა გავიგეთ, რომ ბერლინის დაფუძვებას რკალი შემოარტყეს და უკრაინის პირველი ფრონტი ელბაზე შეხვდა ამერიკელებს. ყველა მიხვდა, რომ ომი მთავრდებოდა, რომ მისი ბოლო დღეები იდგა. მაგრამ ბრძოლები მაინც გრძელდებოდა ბერლინის მიმართულებით, პრაღის მიმართულებით და ჩვენთანაც კურლიანდიისში. სიმძაფრე ამ ბრძოლებისა არ დამცხრალა. მტერი გრძნობდა, რომ აუცილებლად დამარცხდებოდა და გაბოროტებული და სასომხბილი გვეწინააღმდეგებოდა.

ჩვენგან მოითხოვდნენ შეტევას და შეტევას, რათა გვეიძულებინა მტერი

ჩქარა დაგვებეზოდა. ამას მოჰყვა დიდი დანაკარგი, რომლებსაც წინასწარ გადაწყვეტილი გამარჯვების შედეგად ში ძალიან მძიმედ განვიცდიდით. გული გვეწვოდა, როცა ვინმე იღუპებოდა და რამდენიმე დღე ვერ იცოცხლა, რომ გამარჯვებას მოსწრებოდა. ჩვენ, მეთაურები, ვცდილობდით თავიდან აგვეცილებინა ზედმეტი დანაკარგები, შეგვენარჩუნებინა ადამიანები. ომმა ხომ ისედაც ბევრის სიცოცხლე შეიწირა!

მ მაისს კვლავ ვეკვეთეთ მტერს. მკიდრო ცეცხლმა აიძულა ჩვენი ქვეითი ნაწილები მიწაზე გაეოლიათყვენ.

16 საათზე მ. ი. კაზაკოვმა დამირეკა.

— ანდრეი ტროფიმეს-ძეგ! — უკვე პირდაპირ მეუბნება იგი, — დიწყო გერმანელთა საერთო კაპიტულაცია. მოამზადე შებუკე. შეარჩიე გერმანული ენის მცოდნე ოფიცრები.

— რა ვუყოთ შეტევას?

— ვიდრე თეთრ დროშას არ გამოფენენ, შეტევა არ შეაჩერო და ცეცხლი არ შეწყვიტო!

ქვეითი ნაწილები, რომლებიც კვლავ მიწაზე იყვნენ წაწოლილი, არ აგვიყენებია, მაგრამ ცეცხლს საკმაოდ მოფუძვლავ: საბრძოლო მასალის დაზოგვას აზრი აღარ ჰქონდა.

— მორთოვი გვატყობინებს, რომ გერმანელებმა თეთრი დროშა გამოფინეს, ჩვენი მეთვალთვალებიც ამასვე ადასტურებენ, — აღელვებით მომახსენა ოპერატიული განყოფილების უფროსმა.

— შეწყვიტეთ ცეცხლი ამ უბანზე!

დავბედე საათს... 16 საათი და 30 წუთია. ისტორიული ჟამია... ნუთუ დასრულდა ომი?..

დიახ, ეს დასასრული იყო. საშინელი, სისხლისმღვრელი ომი, რომელმაც მხოლოდ ტანჯვა-წვალება მოუტანა ჩვენს ხალხს, დამთავრდა.

ჩვენი ძვირფასი საბრძოლო მეგობრები — დოვატოროვი, პოლვეგინი, ხრიჩენკო, მატროსოვი, ანდრონიკოვი, ყილინა და ათასობით, თუ მილიონობით სხვა გმირი, რომლებმაც სიცოცხლე

გასწირეს ამ დიადი ჟამისათვის, ვერ მოესწრნენ მას. ეს რომ მომავლნდა, მიუხედავად დიდი სიხარულისა, თვალეზზე ცრემლი მომადგა.

* * *

მალე სათვალთვალო პუნქტს სრული შემადგენლობით მოადგა 552-ე გერმანული პოლკის მე-2 ასეული, რომელსაც წინ მათი მეთაური მოუძღვოდა. ეს მამინ პირველი და ერთადერთი იყო, ვინც თეთრი დროშა გამოფინა.

რალაც მეუცნაურა იმათი შეხედვა, ვინც ერთი საათის წინ ტყვიას წვიმასავით გვაყრიდა, ჩვენი მოსპობა სურდა, ხოლო ახლა კი იღვნენ ჩვენს წინაშე და შეწყალელებას გვთხოვდნენ.

— რატომ სხვები არ ნებდებიან? — ვეკითხები მთარგმნელის საშუალებით.

— ეშინიათ, ბატონო გენერალო! — პასუხობს ასეულის მეთაური. — თუ ნებას მომცემთ, წავალ და მოვუყვები მათ, თუ როგორია ტყვედ ჩაბარების პირობები. როგორი იქნება ეს პირობები, ბატონო გენერალო?

— პირობა ერთი იქნება: ჩაგვაბარებთ იარაღს და თქვენ-თქვენი უფროსების მეთაურობით დაეწყობით პირადი შემადგენლობის აღსარიცხავად. თანაც გაფრთხილებთ: შეიარაღება და ნივთები არ გააფუჭოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასტიკ პასუხს აგებთ.

— არა! არა! ჩვენ არაფერს არ გავაფუჭებთ. ნებას მომცემთ წავიდე?

— წადით, მხოლოდ თქვენთან ერთად ჩვენი ორი მეავტომატეც წამოვა.

— არა! ბატონო გენერალო, მე წავალ მარტო. მე გამაფრთხილეს ამის თაობაზე. თუ ჩემთან ერთად ვინმე რუსი იქნება, ისინი ცეცხლს გახსნიან.

— მაშ, კარგი! წადით მარტო, თუ გსურთ წაიყვანეთ ვინმე თქვენი ასეულის უნტერ-ოფიცრებიდან.

— გმადლობთ, ბატონო გენერალო! ორ კაცს წაიყვან.

— უთხარი თქვენს ოფიცრებს: თუ ერთი საათის შემდეგ არ გამოფინენ თეთრ დროშას და არ ჩაგვაბარებენ

იარაღს, შეტევაზე გადმოვალთ; თქვენი დივიზიის შტაბსაც შეატყობთ.

15 წუთისაც არ გაეგლო ასეულის მეთაურის წასვლის შემდეგ, რომ დანარჩენ უზენებზეც გამოჩნდა თეთრი დროშები. მალე ისინი სხვა კორპუსების ფრონტის წინაც აფრიალდნენ.

ერთი საათის შემდეგ ტყვედ დაგვენებდა მთელი 552-ე ქვეითი პოლკი. მოვიდნენ გერმანელთა 290-ე ქვეითი დივიზიისა და მე-2 არმიის კორპუსის შტაბების წარმომადგენლები, რათა დაეზუსტებინათ კაპიტულაციის პირობები.

* * *

„გაშას“ ყვირილი, ავტომატთა ჯერები, უთვალავი რაკეტების ხმაური... ხვეწნა-კოცნა, მზიარული შეძახილები. გიჟმაღი ცეკვა იქვე, სანგართან, სიმღერები... ყველა დაუოკებელი ალტაცების სტიქიამ მოიცვა და იგი მთელი დღე დამე გაგრძელდა.

9 მაისს, დილით, ყველას ბევრი სადავიდარაბო საქმე გამოუჩნდა. ტყვედ ბარდებოდა მთელი 290-ე ქვეითი დივიზია მისი უფროსის, პოლკოვნიკ ფრეტჩერის მეთაურობით. ასევე ტყვედ ჩაგვბარდა მე-2 კორპუსის შტაბი, მაგრამ კორპუსის მეთაურის გენერალ-პოლკოვნიკ გაუზესა და შტაბის უფროსის გარეშე. რა მიწამ ჩაყლაპა ისინი, დღესაც კი არ ვიცი. კაპიტულაციის პირველი ორი დღის განმავლობაში კორპუსის შტაბმა მიიღო და აღრიცხა 8500 კაცი. გერმანელები სიამოვნებით გვბარდებოდნენ ტყვეებად, ელვის სისწრაფით ასრულებდნენ ჩვენს ყოველგვარ მოთხოვნას. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ჯარისკაცები და ოფიცრები მათ მიმართ უდიდეს პუმიანურობას იჩენდნენ და ადგილი არ ჰქონდა უხეშობის არცერთ შემთხვევას.

ჩვენ გერმანელებს დროებით მათი საშხედრო ორგანიზაცია და ყველა მეთაურიც კი დავეუტოვეთ თავ-თავიანთ ადგილებზე. ეს რომ შეამჩნიეს, ტყვეები დამშვიდნენ და ამალეღვებელი შფო-

თვა თავიანთი ბედისადმი იმ რწმენით შეეცვალათ, რომ მათ არაფერს დაუშვებდით და ყველაფერი კარგად იქნებოდა. გამხიარულდნენ, სიამოვნებით გვერდოდნენ საუბრებში, გვასუსხობდნენ კითხვებზე და გაიძახოდნენ: ჩვენ დიდი ხანია დავრწმუნდით, რომ ომი წაგებული იყო და ჩქარა უნდა დაგვემთავრებინა იგი.

— ბატონო გენერალო! — მომმართა თარჯიმანის საშუალებით ფრეტჩერმა, როცა შტაბის ოფიცერთა ჯგუფს მიეუახლოვდი. — ნება მომეცით მადლობა მოგახსენოთ თქვენ, თქვენს ოფიცრებსა და ჯარისკაცებს ჩვენდამი ჰუმანური დამოკიდებულებისათვის. თუ ასე გაგრძელდება შემდეგშიც, ისღა დაგვრჩენია, სინანული გამოვთქვით ადრე რომ არ დაგნებდით.

— კარგია, რომ თქვენ ეს გაიგეთ, ბატონო პოლკოვნიკო. მართალია, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ...

ფრეტჩერმა უხერხულად გაიციინა და ხელები გაასავსავა.

ჩამოფარე გერმანელთა ნაწილების განლაგებას.

ტყის მდელოზე შეჯგუფებულიყო აუარებელი ტყვე: დიდ გროვად აწყობდნენ იარაღებს და თან ახარისხებდნენ მათ საბეობისდა მიხედვით.

ერთ ადგილას ჩვენი მანქანა ტალახში ჩაეფლო. ვერც კი მოვასწართ გონს მოსვლა, რომ უცებ რამდენიმე გერმანელი მოცვივდა მანქანასთან და თვალის დახამხამებაში ამოათრიეს იგი.

10 მაისს კორპუსის წინაშე დაისვა ამოცანა: გაგვეწმინდა მთელი ნახევარკუნძული სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე, შეგვეპრო ყველა პიტლერელი, ვინც კი ტყეში იმალებოდა, აღგვერიცხა ყველა საწყობი და სამხედრო ქონება. მეორე დილას სამივე დივიზია გაიშალა და საბრძოლო განლაგებით დაიძრა ტყისაკენ.

დივიზიის განკარგულებაში გამოყოფილი იყო თვითმფრინავი По-2. მე

თითქმის სულ მასზე ვიყავი. პირიდან შესანიშნავად ჩანდა მთელი მდებარეობა, ჩვენი მომზადება თვითმფრინავიდან კიდევ ვხელმძღვანელობდი ნაწილების მოქმედებას, თვალყურს ვადევნებდი შეყვებულ ბრძოლას (ამას ვერ აცდით).

დაჯდომის შემდეგ არაერთხელ გვინახავს, რომ თვითმფრინავის სიბრტყე და ფიუხელაყი არაერთგან იყო გახვრეტილი გერმანელთა სასკლოში ტყვიები-საგან ერთხელ ტყვიამ გახვრიტა ფრთის ჭიმი და საქის საწვევი დააზიანა. მაგრამ ამჯერადაც ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

16 მაისს კორპუსისათვის მიჩენილ ზოლში ტყვეების გაწმენდა დავამთავრეთ. დამატებით ტყვედ წამოვიყვანეთ სამი ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი. გერმანელები იშვიათად გვიმართავდნენ ბრძოლებს და თითქმის არც კი გვიწვედნენ წინააღმდეგობას. მაგრამ მოლატეები, რომლებიც სს-ელთა მე-19 ლატვიურ დივიზიაში შედიოდნენ, და შემორჩენილი ვლასოველები, იშვიათად გვენებდებოდნენ. იძულებული ვახდით იარაღი გამოგვეყენებინა და როცა ჩვენს რიგებში მოკლულები გაჩნდნენ, მტერს აღარ ვინდობდით. გულისტკივილით ვასაფლავებდით ამხანაგებს, რომლებიც დაიღუპნენ ომის დამთავრების შემდეგ. ეს მეტად მძიმე იყო ჩვენი თვის. ომში ისე მწვავედ ვერ ვგრძნობდით ადამიანთა დაკარგვას, როგორც ახლა — ომისშემდგომ პირველ დღეებში.

მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად დაიქუხა დიდი სამამულო ომის ზალბებმა. განადგურებული ქალაქებისა და გადაშვარი სოფლების ადგილას ფერფლსა და ნანგრევებზე აღიმართა უფრო მშვენიერი შენობები, ვიდრე წინათ იყო. კომუნისტურ პარტიას წარმატებით მიჰყავს ხალხი კომუნისტებისაკენ, დღითი დღე უფრო უკეთესი და ბედნიერი ხდება ჩვენი ცხოვრება.

მაგრამ სულიერი ჭრილობები, რომლებიც მტერმა ჩვენს ხალხს მიაყენა, კიდევ არ მოშუშებულა. დედები და მამები კვლავ დასტირიან თავიანთ ვაჟაკებს, შვილები — თავიანთ მამებს, ცოლები — თავიანთ ქმრებს. აი, რას მწერს ალა სოკოლოვა ვლადიმირის ოლქის ვიახნიკოვის რაიონიდან, რომლის მამა, მათორი სოკოლოვი გმირულად დაიღუპა გეასტკთან:

„ანდრეი ტროფიმეს-ძევე! ჩემთვის ცნობილი ვახდა, რომ თქვენ წერთ წიგნს, სადაც მოგვითხრობთ ალექსანდრე ივანეს-ძე სოკოლოვის ბატალიონის შესახებ. იგი ჩემი მამაა. ვამაყობ მისი სახელით და კვლავ ისე მიყვარს, როგორც ცოცხალი. მე უკვე 24 წლისა ვარ, მაგრამ ის მაინც არ დამვიწყებია, თუმცა მისი სახე არ მახსოვს. ჩემთვის ფრიალ საინტერესოა გავგო მამაზე ყველა წერილმანი, რათა სიკვდილამდე სათუთად შევიხაზო მისი ხსოვნა...“

აი, ნაწყვეტი წერილიდან, რომელიც ვალოდია ანდრონიკოვის მშობლებმა გამოვიგზავნეს:

„ჩვენთვის, მოზუცებისათვის, ძალზე მძიმეა ის მწუხარება, რომელიც არასოდეს არ განელდება ჩვენს გულებში. საშინელმა ომმა წაგვართვა ჩვენი ერთადერთი საყვარელი ვაჟიშვილი. გთხოვთ გვიამბოთ, როგორ დაიღუპა ჩვენი შვილი, თქვენ ხომ ერთად იყავით...“

ან კიდევ, მწერს ანატოლი, დაღუბული კომისრის — პოლევინის შვილი კიევიდან:

„...მათელი ჩვენი ოჯახი დღემდე ძალზე მტკივნეულად გრძობს მტერს დალუპვას. დიდი მადლობელი ვართ, რომ გახსოვთ ის და გსურთ თქვენს წიგნშიაც მოიხსენიოთ. მე უკვე იწინებრი ვარ, ვმუშაობ ქარხანაში და ვცდილობ ვიყო ღირსეული ჩემი მამისა...“

არა!... ჩვენს მეხსიერებაში ჯერ კიდევ დიდხანს იდენს სისხლი ჭრილობებიდან. ეს ჭრილობები არც მოშუშდება, ისტორია მუდამ მოაგონებს ადამიანებს მძიმე განსაცდელის წლებს და მოწოდებით მიმართავს მათ: იყავით ფიზიკურად, იბრძოლეთ მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ! ისინი უკვე აფლარუნებენ იარაღს, მსოფლიოს ატომური კატასტროფით ემუქრებიან, არ ესმით, რომ ისინი პირველნი დაიღუპებიან მისგან.

უგუნურები! მათ დაავიწყდათ გერმანიის ფაშიზმის ხვედრი, არც იმას უწყევნ ანგარიშს, რომ ჩვენ ახლა ბევრად უფრო ძლიერი ვართ. მარტონი როდი ვართ. ჩვენ მხარდამხარ მოგვეყვებიან მეგობრები — სოციალისტური სისტემის ქვეყნები.

ჩვენ ახალი თაობა აღვზარდეთ. მან უკვე აიტაცა საბრძოლო დროშა. და თვითონ ჩვენც კვლავ საბრძოლო მწყობარში ვართ. თვითეული ჩვენგანი აფრთხილებს მტერს:

ნუ შეგვეხებით,

ნუ შეგებობთ სოციალიზმის მშენებელ
ჩვენს ძმებს,

თორემ ინანებთ.

ნუ შეგვეხებით.

მინიორ კვსალაპა

ათასი ფუთი ბრადღება

(განცდილი და გაგონილი)

სანამ ცოცხალი ხარ, არ გახედო სიკვდილი
ძველი ვალური ანდაზა.

აქა ამბავი...

რამე ამბავს რომ ყვები სულ იმაზე ფიქრობ, ახლენს ეს შთაბეჭდილებას თუ არა. ზოგჯერ იმისიც გეშინია, რომ არ დაგიჯერებენ; იტყვიან, ომში ნამყოფი კაციისა და მონადირის ნაამბობს ერთნაირი ფასი აქვსო. არ ვიცი, რამდენად სწორია ეს იგავი, მაგრამ რაკი ის არსებობს, ალბათ, ანგარიშის გაწევაც უნდა. ხანდახან ვფიქრობ, შეიძლება ამას საფუძველიც ჰქონდეს-მეთქი. ხომ იცი, რა ძნელია საკუთარი შთაბეჭდილებების სხვისთვის გადაცემა, მით უმეტეს, მსმენელის დაინტერესება იმით, რაც ჩვენ თვითონ განგვიცდია. უშუალო განცდა მტკიცებას არ მოითხოვს, იგი პირდაპირ ჩნდება და ამის გარეშეც ახლენს შთაბეჭდილებას. სხვისი ნაამბობი კი თანდათან კარგავს ზემოქმედების უნარს. ჯერ ხომ უნდა მოისმინო, მერე ვაივო, თუ ვაივე — დაიჯერო, რასაც დაიჯერებ — განიცადო და თანაც ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ყველაფერ ამას შენს თავზე გადაუვლია. თუ მართლაც ასე მოხდა, ხომ კარგი, თუ არა, შენი ნაამბობი შენთანვე დარჩება და სხვაზე არავითარ გავლენას არ მოახდენს; ისე, ზრდილობისთვის თუ მოგისმენს ვინმე, თორემ სხვა არც ამას იზამს, ზელს ჩაიჭნევს და წაევა თავისთვის. მთხრობელი კი, მეომარი იჭნება

ის, მონადირე თუ სხვა ვინმე, ნემსის ყუნწში ძვრება, რომ მსმენელები როგორმე შეიყვანოს თავის ემოციების სფეროში. ამისთვის ეჭიდება წარმოსახვას, აზვიადებს ამბებს, განცდილსა და გაგონილს ზოგჯერ მოგონილსაც უმატებს, ჯერ ცოტას, მერე კიდევ ცოტას და თუ ასე მიუშვავ... ისეთ ქარის წისქვილებს დაატრიალებს, რომ მის ნაამბობში ტყუილსა და მართალს ვერაფერს გააჩნევს.

მსმენელი კი ზის ამ დროს თავის წარმოსახვის ტრაპეციაზე და ფიქრობს — დაიჯეროს, თუ არ დაიჯეროს. თუ დაიჯერა შეიძლება კიდევ აპყვეს მთხრობელის ემოციებს, თუ არა — ირონიულად ჩაიციენებს, ან გუნებაში მაინც გაგზავნის მას მიუღწეველსა და ტარასკონელის კომპანიამში, რაც შეურაცხყოფელია. ამიტომ მთხრობელი უნდა ეცადოს როგორმე აიცილოს ამის საშიშროება — განცდილსა და გაგონილს არაფერი მიუმატოს, არაფერი გააზვიადოს, არ გადააქარბოს, ყოველთვის ახსოვდეს, რომ ის ახასიათებს ამბავს და არა ამბავი მას.

სულ სხვაა, როცა საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება ყვება თავის თავგადასავალს, მკითხველებს აინტერესებთ მისი ცხოვრების ყოველი დეტალი და ძლიერ ვალდებულია, ანგარიში გაუწიოს მათ ცნობისმოყვარეობას. უბრალო მთხრობელი კი ასე ვერ მოიქ-

იბეჭდება შემოკლებით. რედ.

ცევა. თუ ისიც რამე ამბავს ყვება, უნდა ახსოვდეს, რომ სწორედ ეს ამბავია მთავარი და არა ის თვითონ. მას, შეიძლება ამ მცირე მნიშვნელობა ჰქონდეს, ან სულაც არაფერია. სამაგიეროდ იგი ვალდებულება ძეთი ამბავი მოპყვეს, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა ექნება. ამის მსაჯული კი მხოლოდ დროა. დროს შეუძლია განსაზღვროს რას ენიჭება ამგვარი მნიშვნელობა და რას არა. ზოგიერთი ამბავი უცებ იწყებს ხმაურს და ასევე უცებ ეძლევა დავიწყებას. ამიტომ ვინც რამეს ყვება, უნდა დროს მოერიოს. დრო კი რთული ფენომენია. იგი თანდათან ანელებს შთაბეჭდილებებს და აცხრობს ვნებებს. მათი ხელოვნურად გაღვივება კი არ შეიძლება, რადგან ეს იქნება სიყალბე, რასაც მსმენელი ადვილად ზედება. სამაგიეროდ, თუ მთხრობელი ისეთ ამბავს მოყვება, რაც დიდი ხნის განმავლობაში არ დაკარგავს თავის ხელშეახებ მუღმივობას, შეიძლება დრო დაიმორჩილოს და მსმენელიც უშუალოდ იმ ამბავის აღქმის სფეროში შეიყვანოს. მხოლოდ ასეთ პირობებში თუ დამყარდება კეთილგანწყობილი კონტაქტი მთხრობელსა და მსმენელს შორის, რაც ბედებს ნდობას და იწვევს ხალისს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთიც ამაოდ დაშვრება და მეორეც. ამა, ვის აინტერესებს უაზროსა და ამათს შორის თამაში, ან დაუხატავი კამათლების გორება!

არც მეომრისა და მონადირის იგავი იწვევს ამის სურვილს...

...ამიტომაც ომის ამბავის მოყოლას მეც რომ თავს ვარიღებ და თხრობას იმ პერიოდთან ვიწყებ, როცა საბჭოთა არმიის ნაწილები სახელმწიფო საზღვარზე გავიდნენ. მას აქეთ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიმიღია და, ცხადია, არც მინადირნია. მოსაყოლი კი მაინც ბევრი მაქვს. ხუთი წლის განმავლობაში იმდენი ვიხეტიალე ომის გზებზე, რომ ასე მგონია მიწის ზურგს კანი ავყარე-მეთქი. საღ არ ვყოფილვარ!

ჯერ ბაქოს საზენიტო არტილერიის სკოლაში, მერე ქუთაისის საზენიტო სკოლაში, აქედან ფრონტზე სამსახურში ხვეარცენაქულზე, ყირიმში, ყუბანში, ჩრდილოეთ კავკასიაში, შავი ზღვის სანაპიროებზე — ნიკოფსიასა და ნოვო-რისისკა შორის; შემდეგ კავკასიის მისადგომებზე, საიდანაც დაიწყო ჩვენი ჯარების წინსვლა დასავლეთისაკენ. გავიარეთ უკრაინა, მოლდავეთი, ბესარაბია, კარპატები და რუმინეთში შევედით. მე ერთხანს ბუქარესტში ვიყავი, მერე ტრანსილვანიაში, შემდეგ დუნაის სანაპიროებს ავყვედი, მთელი უნგრეთი მოვიარე, რამდენჯერმე ბულგარეთსა და იუგოსლავიაშიც მოვხვდი და უკრაინის მე-2 ფრონტის ნაწილებთან ერთად ჩეხოსლოვაკიაში შევედი; ბოლოს იქვე დუნაი გადავლახეთ ეენასთან და უკვე დამზობილ ჰიტლერის სამშობლო—ქალაქ ლინცში შევხვდით მოკავშირეთა ჯარებს.

საზღვარგარეთ გასვლის შემდეგ სამსახურიც ისეთი მქონდა, რომ სულ მოგზაურობა მისდებოდა. ფრონტის შტაბის ე. წ. მე-7 განყოფილებას, სადაც მაშინ ვმუშაობდი, სხვა საქმეებთან ერთად, ჰიტლერელებისაგან გაათვისუფლებულ ტერიტორიებზე ადგილობრივი ხელისუფლების აღდგენაც ჰქონდა დავალბებული. შევიდოდა თუ არა რომელიმე არმია ამა თუ იმ ქალაქში, მე და ჩვენი განყოფილების მუშაკები მაშინვე იქ უნდა ვაგზენილიყავით, რომ უმაღლესი საჩუღობის განკარგულების მიხედვით, 24 საათის განმავლობაში აღვედგინა ადმინისტრაციული ორგანოები. ამის გამო, როგორც ფრონტზე ამბობენ, სულ ბორბლებზე ვისხედით. ისეთი დღეც გამოერეოდა, რომ 4-5 და ზოგჯერ მეტ ქალაქშიც ვვიხდებოდა ყოფნა. სამაგიეროდ, რუმინეთსა და უნგრეთში, ხოლო ნაწილობრივ ავსტრია-სა და ჩეხოსლოვაკიაში არ დარჩენილა თითქმის არცერთი ქალაქი, თუ სხვა რამ ღირსშესანიშნავი ადგილი, სადაც არ ვყოფილიყავი. ამან საშუალება მომცა უფრო კარგად გამეცნო ის მხარე.

ომი რომ დამთავრდა, უკან გამოვბრუნდით შავი ზღვის სანაპიროებისაკენ და ქ. კონსტანციაში გავჩერდით. იმედი მქონდა, ამის შემდეგ შინ გამიშვებენ—მეთქი, მაგრამ მოსკოვში გამოძიება და შევხულებაც არ მოუციათ, ისე გამგზავნეს გერმანიის სამხედრო აღმინისტრაციის აპარატში სამუშაოდ, ახლა უკვე საგარეო საქმეთა სამინისტროს (სახალხო კომისარიატის) ხაზით. მეც რა გზა მქონდა, პოლონეთი გავიარე და გერმანიაში ჩავედი. რამდენიმე თვე ბერლინში ვავატარე, მაგრამ სხვა ქალაქებშიც მშირად მიხდებოდა ყოფნა. ერთი თვე ამერიკის ზონაში—ქ. კასელშიც ვიყავი მივლინებით; შემდეგ კი, ჩემდა მოულოდნელად, ნიურნბერგში გამგზავნეს — მთავარ სამხედრო დანაშაულებათა პროცესზე. ეს განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩემთვის და როგორც შემქმლო ვასრულებდი კიდევ მოცემულ დავალებებს. რამდენიმე ხნის შემდეგ კი აქედანაც მომიხდა გამგზავრება. რაღაც მანქანებით ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს მიერ დანიშნული საერთაშორისო სამედიცინო კომისიის შემადგენლობაში მოვხვდი, როგორც სამხედრო წარმომადგენელი. ამ კომისიას ვეალებოდა ჯერ ცნობილი მრეწველის, „ზარბაზნების მეფედ“ წოდებულ გუსტავ კრუპპის ჯანმრთელობა შეემოწმებინა და დაედგინა, შეიძლება თუ არა მისი სხვა მთავარ სამხედრო დანაშაულებებთან ერთად გასამართლება; ხოლო შემდეგ განესაზღვრა ჰიტლერის ყოფილი მოადგილის, 1941 წლიდან ინგლისში „გაქცეულ“ რუდოლფ ჰესსის შერაცხადობის საკითხი, რადგან ის, როგორც მოგვხსენებათ, ფსიქოურად დაავადებულის სიმულაციას ეწეოდა. კრუპპი მაშინ ავსტრიის ალპებში იწვა, საყუთარ სანადირო სასახლეში. ჩვენც იქ მოგვიხდა წასვლა. ეს მართლაც სასიამოვნო მოგზაურობა იყო. გავიარეთ მიუნჰენი, ზალცბურგი, ბერტესგადენი; მერე ავსტრიის ალპებს ავყვეით, რომელიღაც უღელტეხილისაკენ გავუხვიეთ და ისევ

ავსტრიაში გადავედით, სადაც პარტი-რა სოფ. ბლიუნბახში ვინახავდით. ბლადაცემული კრუპპი და მისი მეუღლე ბერტა, რომლის სახელი ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომის დროს ჰქონდა მინიჭებული გერმანულ მსხვილყალიბიან ზარბაზნებს.

იქედან დაბრუნებულმა კვლავ ნიურნ-ბერგში განვაგრძე მუშაობა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალში, სადაც ამის შემდეგ ექვსიოდე თვე დავი-რჩი. ამ ხნის განმავლობაში მონაწილეობას ვიღებდი მთავარ სამხედრო დანაშაულებების, უმთავრესად გერინგის, რიბენტროპის, ჰესსის, როზენბერგის, ნოირატის, ფრანკისა და ჰაპენის წინასწარ დაკითხვებში, ვესწრებოდი პროცესს, ვამუშავებდი საბრალმდებლო მასალებს და ვასრულებდი საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დავალებას. ზოგჯერ, თუ რაიმე შემთხვევის გამო თავისუფალ დროს ჩავივადებდი, ახლომალო ქალაქებშიც დავებებოდი — მიუნჰენში, ბამ-ბერგში, ბაირეითში, რეგენსბურგში, შტუტგარტსა და სხვაგან. ერთხელ ლანდსბერგშიც მოვხვდი, სადაც დავათვალიერე ციხე, რომელშიც მიუნ-ჰენის ჰიტლერის შემდეგ დაპატიმრებულმა ჰიტლერმა რუდოლფ ჰესსთან ერთად დასწერა წიგნი „ჩემი ბრძოლა“. ომის დროს ჰიტლერელებმა ამ ციხის მიდამოებში საშინელი საკონცენტრაციო ბანაკები გამართეს, ხოლო ფაშის-მის დამარცხების შემდეგ ამერიკელებმა თვით გერმანელ ტყვე ოფიცრებს—უმთავრესად ფელდმარშლებს, გენერ-ლებს, ყოფილ მინისტრებსა და პარტიულ ხელმძღვანელებს „მიუჩინეს იქ ბინა“. ადრე ბევრი მათგანის სახელი ვამეგონა, ახლა კი ვუყურებდი—ერთნი რომ ციხის ეზოში დასეირნობდნენ, მეორენი ცოცხით დერეფნებს ასუფთა-ვეზდნენ, ხოლო მესამენი კართოფილს ფეკენიდნენ სამზარეულოში და სხვა ასეთი.

მერე ბევრ მათგანს ნიურნბერგშიც

შეგვდი, სადაც მოწმეებად იყვნენ გამოძახებულნი.

ჩემი დანარჩენი მუშაობა თვით პროცესზე მიმდინარეობდა, ვიდრე საგამომძიებლო ნაწილმა თავისი საქმეები არ დაამთავრა. შემდეგ კი, ალბათ გაითვალისწინეს მიღებული გამოცდილება და სხვებთან ერთად იაპონიაში მომინდომეს გავზავნა, იქაც მთავარ სამხედრო დამნაშავეების პროცესზე, მაგრამ შევებულემა ავიღე, თბილისში დაებრუნდი და ამის შემდეგ არსადაც არ წაქსულვარ...

...მოსაყოლი კი ისედაც ბევრი მაქვს. არ ვიცი სხვებისათვის საინტერესოა თუ არა, მაგრამ მაინც. ასე იმიტომ ვამბობ, რომ ზოგჯერ ისეთი უბრალო ამბავი ახდენს ჩემზე ღრმა შთაბეჭდილებას, ვინ იცის, სხვებიც ასე მიიღებენ მას თუ მართო მე მიყვარს რაღაც ახირებულად დიდი რგოლების გაძერწა პატარაში.

ყოველ შემთხვევაში საქმემ მოიტანა და ბევრი საინტერესო ამბის მოწმე ან მონაწილე ვაგხდი; დიდისა თუ პატარასი, ეს სულერთია. თმმა ამის გარჩევა არ იცის, არც სურვილებს კიოთხლობს შენსას. გრიგალივით გადაუვლის ქვეყანას, ააფორიიქებს მილიონობით ადამიანებს და, ვინ იცის, საიდან სად გაუყენებს ვზას.

მეც ასე ამიყოლია ბედის ტრიალმა და დიდხანს მატარა უცხო ქვეყნებსა და სახელმწიფოებში, სადაც ავიც ბევრი მინახავს და კარგიც. ვინ იცის, რა ჭურისა და რანგის ხალხს არ შევხვედრივარ ამ ხნის განმავლობაში: მათ უდიდებულესობებს თუ აღმატებულებებს, ბრწყინვალეებებს, თუ უკვე გახუნებულებს, დაწყებულს — რუმინეთის მეფიდან და გათავებულს „ტოტალური ფრიცები“; ზოგს ოფიციალურად, ზოგსაც ისე, შემთხვევით. იყო საინტერესო, ზოგჯერ სასაცილო შეხვედრებიც ამა თუ იმ ქვეყნის ყოფილ და ახალ მთავრობათა მეთაურებთან, მინისტრებთან, მოკავშირეთა არმიების სარ-

დლებთან, გერმანელ გენერლებთან და ფელდმარშლებთან, უცხოეთის ქვეყნულ-აქტივისტო და სამხედრო მსახურებთან, კურნალისტებთან, ლიტერატურის და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან და თვით ხალხთან — რუმინეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ოფოსლავიასა და ავსტრიაში; შემდეგ კი გერმანიის თითქმის ყველა ზონაში. მე თანდათან ვიამბობთ ამ შეხვედრების შესახებ. მითუმეტეს, რომ თბრობის ფორმა სრულიადაც არ მაძილებს მხოლოდ ოფიციალურ ამბების გადმოცემით შემოვიფარგლო, პირიქით, ვზავავხე, იქნებ არც ისე მნიშვნელოვან, მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც საინტერესო „კერძო ხასიათის“ შეხვედრების შესახებაც ვიამბობთ. მაგალითად...

...ლანდსბერგის ციხეში გამყოლი ამერიკელი ოფიცერი მეუბნება, ბიბლიოთეკას ხომ არ დაათვალიერებთო. გუნებაში კი ვიფიქრე ბიბლიოთეკის დათვალიერება რაღა მინდა-მეთქი, მაკრამ, თავზიანიობის გამო, უარი ვერ ვუთხარი და გაუყევი. წინ მოხუცი ბიბლიოთეკარი შემოგვეგება, ნაცრისფერი ხალათი ეცვა, თვალზე კი უზარმაზარი რქის ჩაჩოხობიანი სათვალეები ეყეთა. მივესალმე, ხელი ჩამოვართვი, წიგნის თაროებს ავხედა-დავხედე და უკანვე გამოვბრუნდი.

— ხომ არაფერს ინებებთ? — მკითხა ბიბლიოთეკარმა თავზიანად.

— არა, გმადლობთ, მე მხოლოდ ისე შემოვიარე, — ვუბასუხე მე, დავემშვიდობე და წამოვედი. დერეფანში კი ამერიკელი ოფიცერი მეუბნება:

— იცით ეგ ბიბლიოთეკარი ვინ არის?

— არა, არ ვიცი, — ვუბასუხე მე. ან საიდან უნდა მცოდნოდა!

— ფულმარშალი ლისტია, ეგ ეშმაკის კერძი ხომ ზედავთ აქაც რა თბილად გილზეა მოწყობილი!..

ეს რომ გავიგე, მაშინვე უკან გავბრუნდი და რამდენიმე კითხვა მივეცი

„ბიბლიოთეკის ფელდმარშალს“. ვიცო-
დი, რომ ის 1942 წელს სარდლობდა
არმიითა ჯგუფს, რომელიც შავი
ზღვის სანაპიროებს მოყვებოდა და
ნოვოროსიისკი-ნიკოპოლი-სუხუმის ვზით
საქართველოში უნდა შემოსულიყო. ამ
ოპერაციის ჩაშლასთან დაკავშირებით
მოხსნა ის ჰიტლერმა, მაგრამ ამაზე
შემდეგ, სხვა ამგვარ შებეგდრების
შესახებაც მერე გიამბობთ, პირველ
რიგში კი, რა თქმა უნდა, ჩვენი არმი-
ის მებრძოლებსა და მეთაურებს გაგაც-
ნობთ, რომლებთანაც ერთად დიდხანს
მიხდებოდა სამსახური. ვინ იცის, რამ-
დენი მათგანის სახე შემორჩა მესხიე-
რებსა და რამდენი მიეცა დავიწყებას!
ყველანი თავისებურად ვოცნებობდით
ჩვენ ცხოვრებას, ვფიქრობდით, ვის-
წრაფვოდით, თუ ჩვენდა უნებურად,
მივყვებოდით საქმეთა ვითარებას. ამა-
სთანავე მიზანი შეიძლება ყველას ერთ-
ნაირი გვეჩნდა, მაგრამ ფიქრები და
სურვილები მაინც სხვადასხვაგვარი,
იმისდამიხედვით, თუ გული ვინ საით
მიგვიწევდა...

ჩემი ცხოვრების მთავარი ენის ყო-
ველთვის დაკვირვება იყო. მიყვარდა
ყველაფერი, რაც მოულოდნელია და
განსხვავებული; მჭეროდა, ძლიერ
შთაბეჭდილებებზე უყეტეს რომ ვე-
რაფერს მიიღებს ადამიანი ამ ქვეყანა-
ზე. ომის პერიოდის დაძაბული ცხოვ-
რება უხვად იძლეოდა ამის მაგალი-
თებს და არც მე ამივლია რაიმესთვის
გვერდი. ან რატომ უნდა ამეგლო, რო-
ცა ვიცი, რომ ადამიანი ისა ხარ, რასაც
აკეთებ და განიცდი; სხვა ყველაფერი
შენს გარეშეა. ასეა მშვიდობიანობის
დროს; ომში კი — მით უმეტეს. აქ
ცხოვრება შეიძლება ისე უცბად გაგის-
ხლტეს ხელიდან, რომ უკან მოხედვაც
ვერ მოასწრო, ან თუ მოასწრებ, ისევ
შენივე ნამოღვაწერსა და ნაფიქრალს
შეავლებ თვალს, იმას, რაც გაგიკეთე-
ბია და განგიცდია. სხვა ყველაფერი
დრო-ქამის უბრალო დინებაა — სიცა-
რიელე.

აღბათ, ამის გამოა, რომ ასე ხშირად

უებრუნდებით ხოლმე ჩვენსაკენ წარ-
სულს. გვინდა გავიხსენოთ ყველაფერი,
რაც სასიამოვნოა და სასარგებლო:
ჩვენთვის, როგორც თანამშრომელი,
სხვებისთვის კი — მაგალითი და ვა-
მოცდილება. ზოგი რამ აქედან შეიძ-
ლება ახალგაზრდობასაც გამოადგეს.
გამოცდილებით ვიცი, რომ ყოველი
ახალი თაობა, მართალია, დიდს პატი-
ვისცემით, მაგრამ შედარებით მაინც
გულგრილად უყურებს წინა თაობების
თავგადასავალს. ალბათ იმიტომ, რომ
გავონილი ნაყლებ შთაბეჭდილებას ახ-
ლენს, ვიდრე უშუალოდ განცდილი.
ზოგი კი სულ ობლობანას თამაშობს.
ისე იქცევა, თითქოს წინაბრები სულაც
არ ჰყოლია. ასეთებს ზოგი რამ უნდა
მოვავთნოთ, მოვუყვეთ; მოისმენენ,
დაფიქრდებიან და გაიგებენ. ჩვენ კი
უნდა ვეცადოთ, რომ საკუთარი განც-
დები კი არ მოვახვიოთ, არამედ დავა-
ინტერესოთ, თუ შევძლებთ, რა თქმა
უნდა, მით უმეტეს, როცა საქმე ისეთ
მნიშვნელოვან ამბებს ეხება, როგორიც
მეორე მსოფლიო ომი და მისი ეპილო-
გი — ნოტრნბერგის პროცესია.

რამდენადაც ვიცი, ქართულად ამ
პროცესზე ჯერ არაფერი დაწერილია.
საჭირო კია, რადგან მას აქეთ აგერ ოც-
მა წელმა განვლო. მოვიდა ახალი თა-
ობა. ვინც მამინ ბავშვი იყო, ახლა
ცოლშვილიანია, იმ დროს დაბადებუ-
ლი კი უკვე ოცი წლისაა და მეტიც.
საბედნიეროდ, სამამულო ომიცა და
პროცესიც მათთვის უკვე ისტორიაა,
ჩვენთვის კი თავგადასავალი იყო,
მე ნოტრნბერგის პროცესის ერთ-ერთი
მონაწილე ვიყავი. ქართველი კი ჩემს
მეტი იქ არავინ ყოფილა. შეიძლება
ესეც მაძლეოდეს უფლებას იმდროინ-
დელი შთაბეჭდილებები გავიზიაროთ...

...შველთაგანვე უთქვამთ, ყოველგვა-
რი ცოდნა მოგონებააო. ალბათ, ამი-
ტომაც გვიყვარს გარდასული ამბების
მოგონება და მოყოლა; ყველას, მათ
შორის მეც, გამოცდილიც მაქვს: თუ
ერთხელ მივუშვი წისქვილს წყალი,

კაცი ვერ შემაჩერებს, ამბავი ამბავს მოყვება და მე ვივსებები ჩემივე წარსულით, ჩემს მიერ განცდილითა და გავიანილით, თანაც უფრო ძლიერითა და ახალგაზრდულთ.

ეს მე ძველებური ქვიშის საათის მოძრაობას შეგონებს. ასეთი საათი, მოგეხსენებათ, შუშის ორი კოლბისაგან შედგება, რომელთაც ვიწრო ყელი აერთიანებს. ზემოთა კოლბაში ჩაყრილი ქვიშა ნელნელა გაივლის ვიწრო ყელს და გადადის ქვემოთა კოლბაში. ამით აღნიშნება დრო-ქამის დინება. შემდეგ, როცა ზემო კოლბა დაიცლება, საათს გადმოაბრუნებენ და ქვიშა ისევ იწყებს დენას.

აღამიანის ცხოვრებაც ასეთია, დროთა განმავლობაში ჩვენი ყოფისა და მოქმედების შესაძლებლობა ასევე ქვიშასავით გაივლის თავგადასავლების ვიწრო ყელს და უერთდება ჩვენივე არსებობის ქვემო კოლბას, ანუ ცხოვრების უკვე დადგენილ შინაარსს. რაც დრო გადის ეს ვერტიკალური შეფარდება თანდათან იცვლება. ზემოთა კოლბაში ქვიშა ივლებს, ქვემოთაში კი იმატებს. ე. ი. რაც შესაძლებელი იყო იქცევა იმად, რაც უკვე არის. დრო რომ გაივლის უბრალო თვალთაღ შევამჩნევთ, თუ როგორ ცარიელდება ჩვენი შესაძლებლობების სფერო (ზემო კოლბა) და როგორ ივსება უკვე არსებულის დადგენილი ფორმა (ქვემო კოლბა). ისეთი მომენტიც დგება, როცა ვგონია, რომ სადაც არის ქვიშის დენა შეწყდება, დრო გაიწვდება და ჩვენი არსებობაც დამთავრდება, როგორც პროცესი. ასეთ დროს ბუნებრივად გვიჩნდება სურვილი, ვიდრე ქვიშის უკანასკნელი მარცვლი გაივლიდეს შესაძლებლობათა იმ ვიწრო ყელს, გადაეაბრუნოთ ის საათი, რომ არსებობის სავე კოლბა კვლავ ზევით მოიქცეს, ეამგადასული და თითქმის დაცალიერებული შესაძლებლობა კი ქვევით. მაშინ განვლილი ცხოვრების შინაარსი ისევ წამოვა ზემოდან, გაივლის მოგონებათა ვიწრო ყელს და ისევ იმ

ძველი შინაარსით შეავსებს დაჩინებულ ცხოვრებას.

რაც არ უნდა მძიმე პირობებში მოხდეს ამ მოგონებას, ის მაინც სასიამოვნოა, რადგან ხელახლა ავსებს ჩვენს არსებობას.

ეს კი ომისდროინდელი მძიმე მოგონებებით გამოწვეულ სულიერ ტანჯვასთან ერთად ერთგვარ ხალისსაც იწვევს. ნათქვამია, ტანჯვა აწრთობსო სულის სიმტკიცეს, რომენ როლანი „ტანჯვის სიხალისის“ შესახებაც წერს და „გაურუჯავი სულის“ იდეას ქმნის. თომას მანი კი ამას „კოსმიურ სიხალისეს“ უწოდებს, იმავე ტანჯვის მოდუსით და, ვინ იცის, იქნებ მართლაც მრავალ ტანჯვაში გამოვლილი სულის სიხალისე იყოს ყველაზე ძვირფასი, რასაც გოლოგოთზე სიარულით მოღლილი კაცობრიობა გადასცემს ხოლმე თაობიდან თაობებს... თუ ეს ასეა, ჩვენც შეგვიძლია დანტეს ეს ახალი ჯოჯოხეთიც ისე გავიაროთ, რომ სულიერი სიხალისე არ დავეკარგოთ, პირიქით, შეტი ძალა მოვიკრიფოთ და პატივი ვცეთ ტანჯვაში გამოვლილი გაურუჯავი სულის სილამაზეს. შესაძლებელია ეს ძნელია, მაგრამ საპატიო. ხალისიანი სული ტანჯვაშიც არ კარგავს იუმორის გრძობას, ეს კი აუღვილებს ჯოჯოხეთში მოგზაურობას, აქ უცნაური არაფერია. ყოველ ამბავს, რაც არ უნდა საშინელი იყოს, მაინც ახლავს ერთგვარი იუმორი, მწუხარების დროსაც რომ ღიმილს იწვევს თავისი პარადოქსულობით; შეიძლება სევდიანს, ტრაგიკულსაც, მაგრამ მაინც ღიმილს. ეს მეც გამომიცდია. ერთხელ შეგობარს რომ ვუამბე, თუ როგორ დახვრიტეს გერმანელებმა 108 წლის მოზუცი ქალი, შეძრწუნებულ სახეზე ჯერ ღიმილია გადაურბინა. მერე კი სიცილი აუტყდა.

შეტიც. ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში ფეხების ამუტაციის საყვლევი ქირურგიული ლაბორატორია გახსნეს. მერე საპეციალურად დანიშნული „კარგი ესთეტიკური გემოვნების“ მქონე პირები დაგზავნეს დასავ-

ლეთ ევროპის ქვეყნებსა და უკრაინაში ლამაზფეხებიანი ქალიშვილების შესარჩევად და ბანაქში გამოსაგზავნად, რადგან ბატონ ესესელ ქირურგებს — პროფესორებსა და დოქტორებს, თურმე „ლამაზი ფეხების მოყვება უფრო სიამოვნებდათ“...

ვაქა ფშაველას გამოთქმა რომ ვინმართ, ესეც „გონების მრუსობაა“, ისეთი შემზარავი უნაშობა, რომ ძალაუფლებურად გადაღის თავის პაროდულ წინააღმდეგობაში და ღიმილს იწვევს, რაც შეიძლება აწვლებდეს ტრაგიკულის განცდას, მაგრამ უფრო ემოციურს კი ხდის მას...

...მახსოვს, ომამდე ჩვენს ქუჩაზე რომ ერთი ბრმა აშული იჯდა, ბუდასავით ფეხმორთბული და თავჩაქინდრული, ტუჩებზე იმასაც სულ ღიმილი უთამაშებდა. მივივრდა კიდეც, რატომღა ბრმებს რომ სახეზე ყოველთვის ასეთი სვედიანი ღიმილი აქვთ გადაფენილი! იმიტომ ხომ არა, ქვეყნის ჭირ-ვარაშს რომ ვერ ხედავენ და, ინდური ღმერთის ვიწმასი არ იყოს, თავიანთ შინაგან ფიქრებსა და ოცნებებს ეთამაშებიან? ვინ იცის! შეიძლება ეს ასე იყოს, ან არც იყოს; ძა კი ფაქტია, რომ იმ ბრმა აშულს მე სულ სახეგადიმებულს ვხედავდი. გათენებამდე მოდიოდა საიდლანაც, პირდაპირ მიწაზე ჯდებოდა, წინ ჭექყისაგან გაზინთულ კაქარდიან ქულს დაიდებდა, ხელებს მუხლებზე დაიწყობდა და მოწყალების სათხოვნელად რაღაც გულის გადამღევი ხმით გაჰყოფდა ერთსა და იმავე სიმღერას:

— ჰეი, ჰეი, ვინ რა იცის, რა გამოვა რისაგან?!..

...ახლა, როცა მოგონებათა ამ უსამველოდ გრძელ გზაზე ვდგები, ისევ იმ ბრმა აშულის გაღივებულ სახეს ვხედავ და მისივე სიტყვები მაგონდება. მართლაც, ვინ რა იცის რა გამოვა რისაგან? ან ამ ჩვენი თბრობისგან თუ გამოვა რამე? წინასწარ ამაზე ხომ ვერაფერს გეტყვით! ის კი არა, ახლა

რომ მკითხოთ რა ქანრს მოეკუთვნება ეს თქვენი თბრობაო, მერჯულე გიჟობათ, ვერც გიპასუხებთ, არც ვერც ვხეხებთ, უნდა ვთქვა, არავითარს-მეთქი. მე ისე უბრალოდ მინდა გიამბოთ ყველაფერი, როგორც ერთი ვინმე უამბობს მეორეს თავის თავგადასავალს, ყოველგვარ ქანრისა და სტილის გარეშე. თქვენ რომ ვინმე გიამბობთ რამეს, ხომ არ ეკითხებით რა ქანრით ყვებით ამასო. ნურც მე მკითხავთ, რადგან ამის აუცილებლობას არ ვგრძნობ. ეს მწერლების საქმეა. მე კი ზეპირი თბრობის გზას ვირჩევ. თქვენც ამიტომ მოემართავთ, როგორც მსმენელებს და არა მკითხველებს. ეს მათვის უფლებს კიდევ რამე მხატვრობის ზედმეტობისაგან და საშუალებას მაძლევს ყველაფერი ისე უბრალოდ გადმოვცეთ, რომ არც ჩემს შესაძლებლობებს დავატანო ძალა და არც თქვენს მოთმინებას...

...ისიც უნდა გითხრათ, რომ აქ მოყოლილი ამბები უმთავრესად ეპიზოდური ხასიათისა იქნება, სახეებიც ესკიზური, ისე, როგორც სინამდვილეში მინახავს ან შემხვედრია. ეს ცხოვრებისა და დროის რიტმის საქმეა. ჩვენ ყოველთვის ვეჩქარება, ვანსაკუთრებით ომის დროს, ფრონტზე. აქ ზოგჯერ ძალიან მნიშვნელოვან ამბებსაც ისე ჩაუფვლით ხოლმე გვერდს, რომ თვალს თუ მოვკრავთ მხოლოდ. შთაბეჭდილებაც ასეთი გვრჩება, ნაჩქარევი; ზოგჯერ ფსიქოლოგიურ ნიუანსებსა და ხანგრძლივობას მოკლებული. რიტმიც ცვალებადია, შეხვედრები — შემთხვევითი და სწრაფფარშავალი. ნაცნობობა აქ უცებ იწყება და ასევე უცებ წყდება, რადგან დღეს რომ აქ ხარ, ხვალ შეიძლება სხვაგან იყო, ან სულაც არ იყო არსად. რაც ვუშინ მოხდა დღეს ნაკლებ საინტერესოა, რაც ხვალ იქნება — ზღაპარი. მოგონებებისა და წინასწარმეტყველებისათვის არც ვცალია. წინ საოცრად პლასტიკური დღევანდელი დღე გიღვებს და არაფრის გადაღება არ გინდა, არც საფეხუ-

რებით სიარული ან ზედმეტად ჩაფიქრება.

თბრობის დროს ასეთი ამბების ფსიქოლოგიური დეტალებით შევსება და დამუშავება არც იქნება მართალი, რადგან იმ დროს ყოველივე ეს უფრო მარტივად გვქონდა წარმოდგენილი...

...მანსოვს კორსუნ შევჩენკოვსთან ჩვენი ფრონტის ნაწილებმა ალუა შემოარტყეს გერმანელების 9 დივიზიას და სრულიად უნუგეშო მღვამირეობაში ჩააყენეს ისინი. მე და ჩემი მეგობარი იმ დროს რაღაც დავალებიდან ვბრუნდებოდით. ვხედავთ, ხელმარჯვნივ, ტყის პირას, ჩვენგან ზურგშექცევით ვიღაც გერმანელი ზის. წინ საწვიმარი მოსასხამი გაუშლია, ზედ რევოლვერი დაუდევს და ძეხვის გაყინულ ნაჭერს იღვებდა. მუხლამდე თოვლში ვეფლობოდით, მაგრამ რამდენიმე ნახტომით თავზე წავადექით და „ხელები ზევითო“ — შექდახეთ. არც განძრეულა. ერთი ჩლუნგად ამოგვხედა და განავრძო კამა...

თურმე თავის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ ძეხვის ნაჭრის ამჭევყნად დატოვება დანაწიბოდა და ვიდრე იმ ქვეყნად ვაემგზავრებოდა ამ უკანასკნელ „სიამოვნებას“ არ იკლებდა...

...მწერალს შეუძლია აქ ფართოდ გაშალოს თავისი ფანტაზია: აღწეროს, როგორ ბოზოქრობდა იმ დროს ქარბუქი თოვლიან ტრამალებზე, ან ქარიშხალი საით მიერეკებოდა რუხ ცაზე ურჩხულებივით გაწოლილ ღრუბლებს. იგი უნდა ჩაწედეს იმ ქარისკაცის ფიქრთა ხვეულებს, გაიგოს და ჩვენც ვაგვაგებინოს რაზე ფიქრობდა ამ დროს, მშობლების ნახვა ენატრებოდა, თუ სადღაც მიტოვებულ გულისწორს იგონებდა; როგორ წყდებოდა მის ცნობიერებაში ყოფნა-არყოფნის საკითხი და სხვა ასეთი. მე კი, შემთხვევით ჩავლილ უბრალო მთხრობელს, შემიძლია ეთქვა, რომ ის ამ დროს არაფერზე არ ფიქრობდა

გარდა ძეხვის ნაჭრისა და ჩახმაჯი შეყენებული რევოლვერისა...

ამიტომაც მინდა ყველაფერი თქვა ვი-ამბოთ, როგორც მაშინ მესმებოდა, მე მჯეროდა. ფაქტიურ მასალებშიც მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები შევიტანო: აქა-იქ გვარები შევცვალო, თარიღები გადავადგილო, ამბების თანმიმდევრობა კომპოზიციისა და მონტაჟის გრძობას დავემორჩილო, ან სადღაც უშუალოდ ნანახსა და განცდილს, წიგნებში ამოკითხული ცნობებიც მოვახმარო, მაგრამ ისე, რომ სიმართლეს არ ვუღალატო. ასეთი მასალების გამოყენება კი ჩემთვის აუცილებელია. მე ხომ 20-25 წლის წინანდელ ამბებს ვეყვები. იმის შემდეგ კი ბევრი რამ იქნა მზის სინათლეზე გამოტანილი და მე ისევ ბნელში რატომ უნდა ვაფათრო ხელები! მით უმეტეს, რომ ჩემს მიერ მოყოლილი ამბები სრულ დოკუმენტურ სიზუსტეს მოითხოვს. მე ვიცი, რომ აქ არავითარი თვითნებობა არ დაიშვება. არც მე მივცემ თავს უფლებას, მოვიგონო თუნდაც ერთი ფაქტი, ან რომელიმე სამხედრო დამნაშავეს ვთქმევიანო ისეთი რამ, რაც მას არ უთქვამს. ასეთ რამეზე ერთხელაც რომ წამცდეს ხელი, ვიცი. ეჭვის ქვეშ დააყენებს ყველაფერს. რაც სრულ დოკუმენტურ სიზუსტეს მოითხოვს ჩემგან. ამიტომ მთელი ამ თხრობის საფუძველი, პირად შთაბეჭდილებებთან ერთად ის დოკუმენტებიცაა, რომელთაც ბერლინში, კასსელსა და ნიურნბერგში ვეცნობოდი. ბევრი მათგანი უკვე გამოცემულია რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ამ დოკუმენტების გამოყენების გარეშე ჩემი ნაამბობი ჰაერში ჩამოეკიდებოდა. მით უმეტეს, როცა თვით მოსაყოლი ამბებია ისეთი, რომ მათი დაჭერება მართლაც ძნელია. ამავნა იმ ამბების გადმოცემის მთავარი სიძნელე. პიტლერელების მიერ ჩადენილი დანაშაულებანი იმდენად შემადრწუნებელია, რომ საღი გონება არც იღებს მათ, როგორც სინამდვილეს. ამას მტკიცების

განსაკუთრებული ძალა უნდა. როცა აშკარა სინამდვილე მტკიცებას მოითხოვს, ეს უფრო ძნელია. ვიდრე ვარაუდის დადასტურება. პროცესის მონაწილეთაგან ყველამ იცოდა, თუ რა მძიმე დანაშაული ჰქონდათ ბრალდებულებს ჩადენილი, მაგრამ ფრანგი ბრალმდებელი შარპანტიე დე რიბი მაინც იძულებული შეიქნა განეცხადებია:

— ჩვენ მოგვიხდა უამრავი დოკუმენტის შეგროვება, რათა დავემტკიცებინა, რომ ასეთი დანაშაული შესაძლებელია...

ამის სიძნელეს თვითონ პიტლერელებიც ითვალისწინებდნენ, რის საჩვენებლადაც იმ უამრავი დოკუმენტიდან მე, ჩვეულებრივად. ერთ პირად ბარათს ვიყენებ, რომელსაც დამსჯელი რაზმის უფროსი ფრაზენის თავის კოლეგას:

„ძვირფასო ვილლი, — წერს ის, — შენ ბედი ვაქვს და ყოველთვის ისეთ უბანზე ხვდები, რომ თავს ადვილად გამოიჩენ ხოლმე. ვაგიგე რამდენიმე თვეში 90 ათასი კაცი მოვისპია. მე მხოლოდ 60 ათასი... ზოგჯერ ვფიქრობ: რა იქნება, რომ რუსებმა ვაიგონ ყველაფერი ეს? როგორ გამოიყენებდნენ ისინი ამას, ჩვენს საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის! თუმცა რა სისულელეს ვამბობ! კიდევ რომ ვაიგონ ყველაფერი, საპროპაგანდო მასალად მაინც არ გამოადგებათ; აბა, ვინ სულელი დაიჯერებს, რომ შესაძლებელია ისეთი რამ ჩაიდინოს კაცმა, რასაც ჩვენ აქ ჩავდივართ“...

ეს არის იმის პასუხი. მეტიც. უკრაინაში ჩატარებულ ეგზეკუციების საშინელი სურათების აღწერის შემდეგ თვით გენერალური კომისარიც ატყობინებდა საბჭოთა კავშირის დროებით დაპყრობილ ტერიტორიების მმართველს. ალფრედ როზენბერგს:

„წარმოიდგინეთ, რომ ეს ამბები გაიგოს და გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარემ; თუმცა უფრო საფიქრებელია, რომ ასეთი პროპაგანდა არ იქნება ეფექტური, რადგან ადამიანები, რომელნიც

ვაიგონებენ ან წაიკითხავენ ამის შესახებ, ვერ შესძლებენ ამის დაჯერებას“.

სწორედ ასე სწორია, „ვერც შესძლებენო“. როცა პროცესზე ინტელიგენტურ ბრალმდებელმა შოუკროსმა წაიკითხა ეს წერილი, წამოიძახა:

— რა სწორია ის, რაც აქაა ნათქვამი, განა ჩვენ ახლა შეგვიძლია ამის დაჯერება?

ზოგიერთი ფაქტი მართლაც ისე საშინელია, რომ სრულიად ჰკარგავს დამაჯერებლობას, ხოლო როცა კაცს არ სჯერა, ამბობს ზღაპარიანო. სწორიცაა. ზღაპრებიც ასე იქნებოდა თავის დროზე. ლეგენდებიც და, საერთოდ, ყველაფერი, რაც მითოლოგიურ აზროვნებას მიეკუთვნება. ასეთ შემთხვევებში წარმოსახვა აფართოებს გონებისათვის გაუგებარ ამბავს და მითითურ სახეს აძლევს მას.

მე მგონია, პიტლერელების მიერ ჩადენილ დანაშაულებათა საერთო სურათიც ასე მითითურად თუ შეიძლება აღიქვას კაცმა. ისე მას ვერც წარმოიდგენს ვინმე და ვერც გამოხატავს. ის კი არა. ერთი ინგლისელი მწერლისა არ იყოს, ხელში ფუნჯის მაგივრად კომეტის კუდი რომ გვეჭიროს, წინ კი ათასჯერ უფრო დიდი ტილო გვექონდეს გაშლილი ვიდრე ცაა და დედამიწა, ამას მაინც ვერ შევძლებდით, რადგან ყველაფერი ეს ადამიანურ წარმოდგენაზე უფრო მეტია და შეუძლებელი. როგორ უნდა განსჭვრიტოს ის გონების თვალმა, ან წარმოსახვამ როგორ შექმნას მისი ხილული სახე. თუკი ამას „ფიქრნი ჩვენნი ვერ მისწვდებიან“. ვერც იმისას იტყვიან, რაც განუსაზღვრელის სფეროში ტრიალებს ცნებისა და ფორმის გარეშე? ამის წარმოდგენასაც მითოსი უნდა, წარმოსახვის ისეთი ინტეგრალები, ცნებების მიღმაც რომ შესძლებენ სახეთა ფორმების ხილვას...

...მახსოვს, ჭაბუკობისას ძილში რაღაც საშინელი მომეჩვენებოდა და მაშინებდა. ეს შიში ისე ძლიერი იყო, რომ

ვბორგავდი, ვითომ სადღაც გავრბოდი, ვყვიროდი... მერე გამეღვიძებოდა, მაგრამ ცნობიერებას არაფერი რჩებოდა, გარდა შიშის იმ საშინელი გრძნობისა. რა იწვევდა ამ გრძნობას? რა მაშინებდა? დღესაც გაუგებარია ჩემთვის. ვიცი მხოლოდ, რომ იყო რაღაც უსაშველოდ დიდი, აუცილებელი და თანაც სრულიად შეუძლებელი. მაინც რაო, რომ მკითხვით, ვერაფერს გეტყვით, ან როგორ უნდა გითხრათ, როცა ის ცნებაში არ გამოვლინდა!..

...ახლა, როცა სამამულო ომისა და ნიურნბერგის პროცესის შესახებ ვიწყებ თბრობას, ასეთივე შიში მიპყრობს იმ რაღაც დიდისა და შეუძლებლის წინაშე. ვფიქრობ, იქნებ ესეც ის უსახელო არაფერია, რომელიც არაფრითვე მოითხოვს ჩემგან შეუძლებელს, ანუ ისევე არაფერს, როგორც ის კოშმარული ღამის ზმანება. საბატრის ნათქვამიც მახსენდება იმის შესახებ, რომ შიშის წყარო ასეთ შემთხვევაში მოცემულია აბსოლუტურად შეუცნობლად. ის, რაც იწვევს ამ შიშს, არის არაფერი. მას არა აქვს ძალა კონკრეტული გახდეს და გამოვლინდეს. ამიტომ ჩვენ თითქმის სიცარიელეში ვქანაობთ. გარშემო ყველაფერი იშლება, ირღვევა ისე, რომ ვერ ვაჩერებთ მას. ყოფიერება იფიტება, ცარიელდება, ჩვენც ვცარიელდებით მასთან ერთად და ვჭრებით. შემდეგ შიში რომ გაივლის და ყოველივე ამის აღწერა მოგვიწოდებს, ვერ შევძლებთ, რადგან ვერ ვიტყვით რა იყო ის. შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ იყო არაფერი...

ადრე მეც ასე მეგონა, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ შიშის წყარო აქ სრულიად არ არის არაფერი, როგორც სიცარიელე. პირიქით, ის ისე დიდია და შეუძლებელი, რომ სწორედ ამიტომ უჭირს კონკრეტული გახდეს; მით უმეტეს, ასეთ უბრალო თბრობის ფორმაში გამოვლინდეს. ამ შემთხვევაში შიშის წყაროც ეს არის. მეც ისეთი შთაბეჭდილება მაქვს თითქოს ქვიშის საათის ზე-

მოთა კოლბა უკვე ცარიელდება... მანძილი მოკლდება და შეხამდობა იწურება... გინდა როგორმე შეაჩერო ქვიშის ეს დენა არსებობის ვიწრო ყელში, შეწყვიტო დროის დინება, მაგრამ არ ძალგძის. ქვიშის უქანასკნელი მარცვლები ისევე მოედინება ზემოდან ქვევით... და ვიდრე სულ შეწყდებოდეს... საათს თავდაღმა აბრუნებ, ქვიშიან კოლბას ისევე ზევით აქცევ და უკებ გადადიხარ მითების სფეროში...

ნეიტის საიდუმლოება.

თუნდაც პარნასის მთაზე, დელფოსის ტაძარში, სადაც ვითომ სამფება სკამზე სხდებოდნენ „სასწაულომოქმედი“ ქურუმები და კლდის ნაპრალიდან ამოხეთქილი გამაბრუნებელი ორთქლით ექსტაზში შესულნი, ყვებოდნენ წარსულისა და მომავლის ამბებს, რომელთა გავება ასეც შეიძლებოდა და ისეც, ვის როგორ მოესურვებოდა და მოუხერხდებოდა. ეს ორგვარობა ქმნიდა მათი იღუმალების შთაბეჭდილებას და იწვევდა ინტერესს. შემდეგ რომაელებმა ორსახოვანი იანუსის ლეგენდა შექმნეს, ისევე იმ ორგვარობის მოდუსით, მაგრამ უფრო წინასწარ ხედვისა, ვიდრე წინასწარ თქმის. იანუსის ორი სახე ორივე მხრისკენ იყო მიმართული: პირველი წარსულისკენ, მეორე მომავლისკენ. მერე აღრიანის მონეტებზე ოთხსახოვანი იანუსიც გაჩნდა, რომელიც ერთდროულად ხედავდა საგნებისა და მოვლენების ოთხივე განზომილებას, თუმცა ვერც ამან გახსნა ნეიტის საიდუმლოება, ვერ ახალა იზიდას ბიუსტს პირბადე და ის წარწერაც ისევე დარჩა:

„ მე ვარ ის, რაც იყო. რაც არის და რაც იქნება; ჯერ არავის აუხდია ჩემთვის პირბადე“.

ეს სასწაული არც შემდეგ მომხდარა. აღმინან დღესაც თან ახლავს მისი წარსულისა და მომავლის იღუმალება. ყველა ცდილობს მის განჭკვეტას, მაგრამ ამაოდ. „ქვეშაირიტება ყოველთვის წინაა“. ყოველი გადადგმული ნაბიჯი

კი გვაახლოვებს და გვაშორებს კიდევ ამიტომაც, რომ იზიდას სახეს ისევ ის პირბადე ფარავს და არავინ იცის რა იმალება იმის იქით: სილამაზე თუ სიმბინჯე, სიკეთე თუ ბოროტება, თუ არაფერი ანუ სიცარიელე!

დრო მოვა და ამ საიდუმლოებასაც აებღება ფარდა, მაგრამ მაშინ იქნებ იზიდავ კლდეზე გადაიჩეხოს, როგორც ის სფინქსი, რომლის გამოცანა ამოხსნა თებეელთა მეფემ ოიდიპოსმა...

შემდეგ?

ვის შეუძლია თქვას, რა შეიძლება იყოს ამდენი ამბების შემდეგ? ქვეყანა ისე დამძიმდა დანაშაულით, რომ თვით ოიდიპოსმაც დაითხარა თვალები საკუთარი ცოდვებით შეძრწუნებულმა. მერე ბოროტმა ხელმა გახსნა პანდორას ყუთი და ყველა შესაძლებელ ცოდვას მისცა გზა ამ ქვეყანაზე. გარდა იმედისა. ბევრს ეცადნენ, რომ კვლავ შეებყრათ და დაემწყვდილათ ის ცოდვები, მაგრამ ამაოდ. საუკუნეებს საუკუნეები მისდევდა, ცოდვებს კი ცოდვები ემატებოდა. იყო ომები და ხოცვა-ჟლეტა. ნგრევა და აწიოკება. მილიარდობით ადამიანები შრომობდნენ, ოფსს ღვრიდნენ, აშენებდნენ და ანგრევდნენ კიდევ თავიანთ ნაშრომსა და ნაღვაწს. მერე ღმერთებიც ჩაერვივნენ ამ ბრძოლაში. ზეესიუპიტერი მესხს სტყორცნიდა დედამიწას, არესი მძვინვარებდა, ციკლოპები და გიგანტები ერთმანეთს ხოცავდნენ, ცა ჰქუხდა და მიწა ზანზარებდა. ხალხი კი დრტვიანავდა. ამდენი ომებით შეძრწუნებული ადამიანები მსხვერპლს სწირავდნენ ოლიმპის ღმერთებს და საკურთხეველთან დანთხეული სისხლით ცდილობდნენ მოეპოვებინათ მშვიდობა. ვინ იცის, იქნებ მთელი ეს დავიდარაბა სწორედ მაშინ დაიწყო, ერთის კეთილდღეობისათვის მეორის სისხლი რომ შესწირა ადამიანმა ღმერთებს. ამას მოყვა ანტიკური სამყაროს სისხლიანი ორგები, ბრძოლის ველზე და ცირკის არენაზე, სხვათა ქვეყნების დასაპყრო-

ბად თუ კეისრებისა და მათი პალატების გასართობად.

მერე ვითომ ქრისტე მძვინვარებდა ყვანისადმი სიყვარული უქადაგა ხალხს: „არა კაც ჰკლა“ და სხვა ასეთი, მაგრამ ამქვეყნიურ უბედურებას რომ ვერ მოერია, იმქვეყნიური ნეტარებით სცა ნუგეში მშვიეროთ, მწყურვალთა და „სიმართლისათვის დევნულთ“:

— ნეტარ იყვენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგიინი განსძინენ!

— ნეტარ იყვენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა!

— ნეტარ იყვენთ თქვენ, რაჟამს გავედრიდენ და გადენიდენ და სთქვან ყოველი ბოროტი თქვენდა მიმართ სიცრუით ჩემთვის. გიზაროდენ და მზიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი ფრიად არს ცათა შინა!

ამის პასუხად ჯერ ზომ თვით ქრისტე აცვეს ჯვარს, მერე ატყდა რელიგიური ომები და ჯვაროსნული ლაშქრობები. ერთმანეთს დაერივნენ მაჰმადიანები და ქრისტიანები, კერპთაყვანისმცემლები და მართლმადიდებელნი; ეს კათოლიკეებიო, პროტესტანტები, კალვინისტები, ჰუგენოტები და ათასგვარი სექტები. შეიქმნა იეზუიტების ორდენი და კოცონზე სწვადნენ მწვალებლებსა და ურწმუნოებს. კაცობრიობა დღესაც შეძრწუნებულია „წმ. ბართლომეს ღამის“ საშინელებებით. ასეა, რელიგიური ცრურწმენა კი არ აერთიანებდა, არამედ სთიშავდა და ერთმანეთს უპირისპირებდა ხალხებს. იდეები, სოციალური იერარქია, სახელმწიფო, ყველაფერი იქითკენ იყო მიმართული, რომ დაეთრგუნათ და დაეპყროთ, დაენაწილებინათ და შეემუსრათ.

ქვეყანა მოიღალა ამდენი უბედურებით, ომებითა და ბრძოლებით. ყოველი ახალი თაობა კიცხავდა ამისთვის ძველს, მაგრამ თვითონაც იმას იმეორებდა. ერთმა ფრანგმა მეცნიერმა აღრიცხა, რომ ჩვენს დრომდე 8 ათასზე მეტი საშვიდობო და ომის აღმკვეთი ზელმეყრულე-

ბა იქნა დადებული, როგორც საერთოდ, ისე მეომარ მხარეთა შორის, მაგრამ მშვიდობის მტრედს ჯერაც ვერ უპოვია ადგილი დედაშიწახე, პირიქით, ხოცვა-ჟლეტის მასშტაბები კატასტროფულად იზრდება: შორს რომ არ წავიდეთ, უახლესი მაგალითებიც მოგვცემენ ამის დასტურს. ამბობენ, პირველმა მსოფლიო ომმა 10 მილიონი კაცის სიცოცხლე შეიწირაო. მეორემ — 50 მილიონისა. ომის ღმერთი არესი კი სულ უფრო და უფრო მეტ მსხვერპლს მოითხოვს. შეიარაღება ახლაც 120 მილიარდი მანეთი უჯდება კაცობრიობას წელიწადში; მაშინ როდესაც, ატომური იარაღის მსოფლიო მარაგი 320 ათას მეგატონას უდრის, ტროტილის ეკვივალენტით. ამ მარაგის ერთი მეათედი კმარა იმისათვის, რომ მოსპოს 720 მილიონი კაცი... ათჯერ 720 მილიონი კი 7 მილიარდ 200 მილიონია — ორჯერ და უფრო მეტი, ვიდრე ჩვენი პლანეტის მთელი მოსახლეობა...

ეს უკვე მითი კი არა, სიგიჟემდე მისული სინამდვილეა, რასაც ისევ ის „უადგილო იუმორი“ ახლავს, როგორც მისი პარადოქსულობის ნიშანი. ადრე კაცობრიობამ მართლაც შექმნა ლეგენდა მსოფლიო წარღვნის შესახებ, მაგრამ მაშინ ნოეს კიდობანი მაინც გადაარჩა. ახლა კი სინამდვილეში იმაზე ორჯერ მეტ ადამიანს უქაღიან მოსპობას, ვიდრე ცხოვრობს ჩვენი პლანეტაზე. ის თავისებური მითია სინამდვილისა, ისეთი ჰიპერბოლური განტოლება, რომლის განზომილებებსაც ვერავინ დაადგენს, თუკი იმ წარმოუდგენლისა და შეუძლებლის დიდ რგოლს ცხოვრების რეალობის პატარა, მაგრამ მოზაიკურ რგოლებში არ გაატარებს. ასეთი რგოლი თავისშივე აჩენს განზოგადოებულის მითურ სახეს. თუ ომის ღმერთს არესს იარაღი მომარჯვებული აქვს იმ 4 მილიარდი ადამიანისთვის, რომელნიც ჯერ არც დაბადებულან, სინამდვილის ეს მითი ჰიტლერული რეჟიმის სრულიად რეალურ ფაქტებშიც ვლინდება...

...წარმოდგინეთ: საკონცენტრაციო ბანაკი. სუსხიანი ზამთარი, თხუთმეტი გრადუსი სიცივე. გესტაპოელი ჩუქურჩევი ნახევრად შიშველ მშობიარე ქალს და აგდებს გაყინული თოვლით დაფარულ მოედანზე. თვითონ კი შორი-ახლო დგება და ავტომატმომარჯვებული უცდის როდის დაიბადება ბავშვი, რომ მოკლას. სიცივით გაღურებული და ტყვილებით გამწარებული დედა თმებს იგლეჯს, კივის, გესტაპოელი კი რაღაც მხიარულ სიმღერას უსტვენს და მოსაკლავად უცდის ადამიანს, რომელიც ჯერ არ დაბადებულა...

ჩვენი დროის სინამდვილის ეს სურათი, არაფრით არ განსხვავდება აპოკალიპსის იმ საშინელებისაგან, რასაც გვამცნობს გამოცხადება წმიდისა მახარებლისა იოანესი, სადაც ნათქვამია, რომ „ვეშაპი იგი დგა წინაშე დედაციისა მის, რომელსა ეგულებოდა შობა, რათა, ოდეს შვეს, შთანთქმას შვილი მისი“...

...ასე ჩნდება მითი ცხოვრების ნამდვილ ფაქტში, რაც ზოგჯერ თვით მითოლოგიურ სამყაროს წარმოდგენებსაც აჭარბებს და პაროდოქსულობის „გარკვეული დოზის“ ვარეშე არც აღიქმება.

ჰიტლერელებმა საკონცენტრაციო ბანაკებში რამდენიმე ასეული ათასი ჩვილი ბავშვი დახოცეს და სრულიად გააფრმავებულს უძველესი ლეგენდა იუდეველთა მეფის ჰეროდის მიერ ყრმათა ჟლეტისა, რის შესახებაც ვაჟა წერს: ისინი სპობდნენ დედის მკერდზედ მიხუტებულ ყრმებს!.. აკვანში აბრაზობდნენ ახლად დაბადებულთ, ან თავს ჰკვეთდნენ მათ... „დედანი სტიროდნენ, თმებს იგლეჯდნენ, სახეს იკაწრიდნენ, გულმკერდს იღადრიდნენ... ისმოდა ურიასტანში გოდება საშინელი, გამოუთქმელი... საბრალო მშობლები“!

შემდეგ ვაჟა ამბობს, რომ დროთა სვლამ შთანთქა იმათი ცრემლი და ტანჯვა-ვაება, ისე როგორც ბევრი რამ შთანთქმავს ადამიანის ცხოვრების ისტორიას...

ამ საშინელი ლეგენდიდან (დიდი რგოლი) ისევ ცხოვრების რეალურ ფაქტს (მცირე რგოლი) ვუბრუნდებით...

...იანოვსკის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდატორის შენობის აივანი მეორე სართულზე. აივანზე დგას თვით კომენდანტი შტურმდიუტერი ვუსტაე ვილჰელმი. მის გვერდით სტუმრად ჩამოსული მუღღლე და 6 წლის გოგონა იწყება ნადირობა. ქვევიდან მინოტავრივით სქელყისერა ესესელი აავდებს ტუტემწოვარა ბავშვს! ვილჰელმი ესვრის... მეთუღხლართს იქით კივის გამწარებული დედა. კომენდანტის პატარა გოგონა კი აღტაცებული ბტუნავს და იბახის:

— კიდევ, მამა, კიდევ!..

თუმცა ვუსტაეს წაქეზება რად უნდა, იგი ისედაც ვულმოდგინედ აკეთებს თავის საქმეს. სხვებიც—არა ნაკლებ! ოსვენციმსა და მაიდანეჟში ზოგიერთ დღეს ათასამღე ბავშვს გზავნიდნენ კრემატორიუმში... და ახლა, როცა ამ ამბებზე ვფიქრობ, ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს ვჯა სწორედ ამაზე წერდა: „თუ იროდის ჭალათებმა არ იცოდნენ, ვინ იყო იესო და ამიტომ ქლეტდნენ, მსრესავდნენ ყველას განურჩევლად, იმ განზრახვით, ალბათ, დაბადებულთა შორის იქნება მაცხოვარიც მოკვდესო—ამან, ამ ბოროტმა სულმა (იგულისხმეთ პიტლერი), ყველაფრის მცოდნემ, ბოროტის მენდომემ, ზომ იცოდა კარგად, ვინც იქნებოდა მაცხოვარი, მამ ის რადლა სჩადიოდა ამდენ ბოროტებას?!—ღიაღაც იცოდა, კარგადაც ესმოდა, რომ არ ერივა მაცხოვარი მათ შორის, ვისაც იმან სიცოცხლე მოუხსო, მაგრამ ქლეტავდა მაინც უსუსურთა:—გაიზრდებიან და მაცხოვარს დაემოწაფებიანო, რომელიც მას სძულს, ეჯავრება საშინლად“.

მახსოვს, ნიურნბერგში ჩვენი ღროის ჰეროდემ, ვესტაპოს უფროსმა კალტენბრუნერმა წინასწარ დაკითხვაზე რომ თქვა, ბავშვებს თუ არ დავზოცავდით,

მომავალში წინააღმდეგობის ძალა ხრამ მაინც გაიზრდებოდაო. *ერკენენ...*
ასეთია მითებისა და წინასწარდგონის ერთიანობის მოდუსი.

თემიდას თვალები...

მეც ამიტომ მივმართავ მითს ცისა და დედამიწის, ურანისა და გეას მშვენიერ ასულის, მართლმსაჯულების ქალღმერთ თემიდას შესახებ, რომელსაც ცალ ხელში სასწორი უჭირავს, მეორეში კი მახვილი და სულ მისზღობით წონის ადამიანთა ცოდვა-ბრალისა და სიკეთე-მადლის სიმძიმეს. მართალია, თვალები კი აქვს ახვეული, მაგრამ, როგორც ამბობდნენ, მიუღგომლობისათვის; ისე კი კარგად ხედავს ყველაფერს, უფრო კარგად, ვიდრე ჩვენ გვგონია. თემიდას არაფერი გამოეპარება და არც არაფერი შეეშლება, რადგან ჩვენივე ყოფის მსაჯულია და დაჭილდოებული ხედვის ისეთი მაგიური ძალით, რომ ერთბაშად წვდება სინამდვილის დიდსა და პატარა რგოლებს, რაც მხოლოდ მითებშია შესაძლებელი; ადამიანს კი ეს არ ძალუძს. მართალია, ისიც უყურებს საგნებსა და მოვლენებს, მაგრამ უყრება, ზომ ხედავს არ არის. უყრება ყველას შეუძლია, ხედავს კი არა. „თვალები გახელილი რომ გაქვს მიტომ გგონია, რომ ხედავ?“

— წერდა შექსპირი. ადამიანებს, რომლებიც იყურებიან, მაგრამ ვერაფერს ხედავენ გოეთუ უწოდებდა „ბრმებს ღია თვალებით“. მისი აზრით, ნამდვილი „ხედავ ფორმის მიცემაა“. ეს რთული შემოქმედებითი პროცესია—სახეთა ფორმების შექმნა. ამისათვის, ღლიას გამოთქმა რომ ვიხმაროთ ციელი ხედავ“ არ კმარა. აქ სხვა თვალბია საჭირო — გულის თვალები. ჰერ კიდევ ვურამიშვილი წერდა, ვინც თვალით ნანახს გულით არ დასახავს, ვერც ენით გამოთქვამსო (გამოსახვის მნიშვნელობით), როცა საგნებისა და მოვლენების ნამდვილ ხედვაზე მიდგება საქმე, ილიაც ასკვნის „ხორციელი ხედავ ამისთვის უღონოაო“: იგი

ასეთ შემთხვევაში გულის თვალებზე ფიქრობს და მშვენიერ ქართულ კომპოზიტს „გულისყურსაც“ იმარჯვებს, თუნდაც იმ ბეგრების მისაწვდენად, რომელიც უფრო შორს მიდიან, ვიდრე საზღვარია ჩვენი სმენისა...

„აბა მარტო თვალი გულისა-ლა თუ ხედავდა და ყური გულის-ლა თუ ისმენდაო“ — წერია „ოთარანთ ქვრივში“. „ხორციელ ხედვაში“ გულის თვალებს გრძნობები შეაქვს, კეთილს ქმნის და იმპულსს აძლევს აღმაღლებულის წარმოსახვას, რომ „უნახავის დანახვა“ (ვკვას გამოთქმია) შესძლოს. მაგრამ აქ უკვე არა მარტო გულის, არამედ სულის თვალე ბი ცაა საჭირო.

ჰამლეტი: მე თითქოს ვხედავ!

ჰორაციო: სად?

ჰამლეტი: ჩემივე სულის თვალთა წინაშე! — წერს შექსპირი.

რასაც გულის თვალეებ იგრძნობენ და სულის თვალეები წარმოიდგენენ სახეთა ფორმებში გამოიხატება, რისთვისაც უკვე არა სულის ან გულის, არამედ „გონების თვალთა“ განკუთვნილი.

აი, რამდენი „თვალეები“ საჭირო ქვემარტივ ხედვისათვის: ოთხი წყვილი — ოთხსახოვანი იანუსის ოთხხბრთვი ხედავს, — საგანთა და მოვლენათა ოთხივე განზომილებების ერთობლივი აღქმა, რაც მხოლოდ ქალღმერთი თემიდას შეუძლია. მისი თვალეები ყველაფერს ხედავენ: არც არაფერი გამოეპარებათ, რადგან მთელი სამყაროს ქვემარტივება თავსდება ამ ღვთაებრივ ხედვაში. ამიტომ ყველა, ვინც ამ მზე-ქვეყანაზე დავდივართ, ვსუნთქავთ და ვმოქმედებთ, თემიდას სასწორზე ვდებთ ჩვენს ნამოღვაწარს — ავსაც და კარგსაც: ერთს ერთ თასზე, მეორეს — მეორეზე. ეს თასები განუწყვეტილად მოძრაობენ და სულ კიბერნეტიკული სიზუსტით აღგენენ ადამიანთა ცოდვა-ბრალისა და სიკეთე-მადლის სიმძიმეს. ასე იყო უწინ, ასეა ახლა და ვინც შორს გაიხედავს, ისევე იმ თვალეებზე თემიდას მიპ-

კრავს თვალს ხალხთა შორის მთხვეტილს...

მიხეილ აბაქელიძე

...მეც ბევრჯერ მიგრძენია მისი მსუბუქი სიარული ნიურნბერგის იუსტიციის სასახლეში. როგორც კი სხდომათა დარბაზში შევდგი პირველად ფეხი, მაშინვე იმ თემიდას მოვკარი თვალი — მაღალი კარების პორტალზე გამოსახულს. თეთრი კაბა ეცვა, გრძელ ნაოქვებად ძირს დაშვებული, თვალეებიც ასევე თეთრი ფერის ხელსახოცით ჰქონდა ახვეული. ფეხშიშველა იდგა, ოდნავ თავდახრილი. ცალი ხელით ისევ ის სასწორი ეჭირა, მეორეთი კი მახვილი. ნიურნბერგის „საქმეებში“ ყველა ოფიციალურ დოკუმენტზეც ეს ქალღმერთი იყო აღბეჭდილი, როგორც მართლმსაჯულების ემბლემა, მათ შორის — ჩემს საშვებზეც, რასაც დღემდე ვინახავ, როგორც სუვენიერს. სადაც არ უნდა გამეხედა ყველგან იმ თემიდას მოეკრავდი თვალს თავის სასწორითა და მახვილით ხელში, რადგან იგი განასახიერებს უზენაესსა და მიუღვამელ მართლმსაჯულებას. ამიტომ ყველაფერს, რასაც მოვყვები მეც მისი სასწორის თასებზე დავალაგებ — სიკეთე-მადლისას ერთზე, ცოდვა-ბრალისას — მეორეზე. ისე კი უმჯობესი იქნებოდა, ის სასწორი თემიდას მარტო კი არა, ყველა ადამიანს ჰქონოდა. მაშინ ისინი თვითონ ასწონ-დასწონიდნენ საკუთარ ნამოქმედარს და ვაიგებდნენ, ვინ რომელ თასს ამძიმებს — ცოდვისას თუ ბრალისას; იმასაც ვაარკვევდნენ, თვითონ რას წარმოადგენდნენ, რადგან სიმართლე იქნებოდა მათი სარკე. აბა, ისე რა უნდა ქნან, თუ საკუთარი არც სასწორი ექნებათ და არც სარკე სიმართლისა! ამიტომ, რომ სულ სხვას უყურებენ, სხვის საქმეს ზომივენ და ფიქრობენ, თუ რამ ქვეყანაზე მადლია, — ეს ჩვენა ვართ, ცოდვა კი სხვებისააო. იმ „სხვებშიც“ საკუთარი თავი უყვართ და აბა ქვემარტივებს როგორ დაადგენენ?

მე რომ ასეთი სასწორი მქონდეს

თქვენ არც შეგაწუხებდით იმაზე ფიქრით, რა რომელ თასზე დადოთ ამას მე თვითონ ვავაქეთებდი და არც არაფერი შემეშლებოდა. ახლა კი ათას ლობე-ყორეს უნდა მოვედო, რომ ვავარკვიო, სად ცოდვია და სად მადლი. ეს ისე ძნელია, რომ ძალაუვნებურად ისეც იმ რაღაც დიდისა და შეუძლებლის მითიურ სფეროში გადავყვეართ, რასაც ჩვენი გონება ვერ მისწვდება. გზა კი იქითვე მიდის. ცხოვრების რეალური ფაქტების (მცირე რგოლების) ლოგიკაც ამას ადასტურებს და სხვა გზა არ არის; უნდა ავყვეთ ამ პატარა რგოლების ალუგორიულობის კიბეებს, „როგორც ქვევიდან ზევით სწორხაზობრივად ატყორცნილ წრეს“ (დიდი რგოლი) და მათ ურთიერ კავშირში ვცადოთ სინამდვილის ჰემიზმარტი სახის დადგენა.

შეიძლება გვითხრან, რომ ეს პარადოქსია, მაგრამ რას ვიზამთ, თუკი ჩვენი ამოცანაც ასეთია...

ათასი ფუთის აღეგორია...

ნამდვილად კი ასეთია, რადგან ჯერჯერობით ჩვენ ზოგიერთ ელემენტარულ კითხვაზეც ვერ ვიძლევიტ პასუხს, ვთქვათ ასეთზე: როდის დაიწყო ნიურნბერგის პროცესი? ისტორიკოსები და იურისტები ამას ადვილად უპასუხებენ: 1945 წლის 20 ნოემბერს! თუმცა აქაც შეიძლება იყოს განსხვავებული აზრი. ზოგიერთები იტყვიან 1945 წელს, როცა ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს შეთანხმებით საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი ჩამოყალიბდა და მოსამზადებელ მუშაობას შეუდგაო. იქნებ ისიც თქვან: არა, უფრო ადრე, მოსკოვის კონფერენციაზე, სადაც ასეთი დამსჯელი ორგანოს შექმნა გადაწყდა, და სხვა ასეთი. მე, როგორც ლიტერატორს, აქ მეტი თავისუფლება მაქვს და შემიძლია ვთქვა, რომ ეს პროცესი ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაიწყო, როცა ნაცისტური მოძრაობა ჩაისახა და პროგრესულმა საზოგადოებრივობამ ბრძოლა გამოუცხადა მას, იმ დღეებშივე გახდა ნათელი,

რომ ყველაფერი ეს მოსალოდნელი იყო, შემდეგ კი, როცა მძლავრმა ტრეპინგმა ტური მოძრაობა გაიშალა ტრეპინგის მიმართული გახდა, რომ ნაცისტური თვითნებობის დროზე თუ არ აღკვეთდნენ, კატასტროფა ვარდუელი იქნებოდა. ახლა იმის აღდგენაც ძნელია, თუ ვინ შეადგინა პირველი საბრალდებულო აქტი ფაშისმის წინააღმდეგ, რასაც შემდეგ მთელი პროგრესული კაცობრიობა მიემხრო. ვერც პირველ ბრალმდებლებს ჩამოვთვლით, რომელთა რიცხვმა მილიონებს გადაჭარბა. მეტიც, არც ის ვიცით, როდის დაიწყო ნაცისტური რეჟიმის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ საბრალდებლო დოკუმენტების შეგროვება, რამაც 1945 წლის ზაფხულში რამდენიმე ათას ტონას მიაღწია ჩვენი „ათასი ფუთი ბრალდების“ საფუძველიც ეს არის, ამიტომ ამ საკითხის განხილვას და ნიურნბერგის პროცესის ფარგლებისა თუ მასშტაბების განსაზღვრას, მეც ამ დოკუმენტების შესახებ თხრობით დავიწყებ...

...კაცობრიობა სწორედ ასეთი დოკუმენტების საშუალებითაც გადასცემს ხოლმე შთამომავლობას თავის ნამოღვაწარს — როგორც სასახელოს, ისე სამარცხვინოს. ისტორიული დოკუმენტები თავისთავად დალაგებენ წინაპართა საქმეების შესახებ, ზოგჯერ ავისა და კარგის განურჩევლად. ამის გამოა, სასახელო ამბების გვერდით სამარცხვინო ფაქტებიც რომ „დოკუმენტურად“ იწონებენ თავს ისტორიის წინაშე. ისინი ეტმასნებთან დრო-ჟამის ხანგრძლივობას და „პეროსტრატესებური დიდებით“ ცდილობენ თავიანთი სირცხვილის უკვდავყოფას. ამის უზე მაგალითს პიტლერის ე. წ. „მესამე იმპერია“ იძლევა. ისტორიას არც ახსოვს, რომ ასეთი მონდომებით და პედანტური გულმოდგინებით აღებუდოთ დოკუმენტებში სახელმწიფოს ყოველგვარი საშინაო თუ საგარეო საქმეები, სამხედრო და სამოქალაქო უწყებების მუშაობის შინაარსი, საზოგადო მოღვაწეებისა და

მოხელეების პირადი საქმიანობა. პატივმოყვარეობის რაღაც „ტექტონური კინოი“ შეპყრობილ პიტლერელებს ქალღმერთად გადაქონდათ ყველაფერი, რასაც ამბობდნენ ან ფიქრობდნენ. გულმოდგინედ ადგენდნენ სამინისტროებისა და დაწესებულებების ანგარიშებს, იწერდნენ „მაღალი დონის“ შეკრებებისა თუ თათბირების შინაარსს, აღრიცხავდნენ და ინახავდნენ უფროსების სიტყვიერ თუ წერილობით განკარგულებებს, პედანტური სიზუსტით ამუშავებდნენ ბრძანებებს, ინსტრუქციებს, დირექტივებს. „უფრო თავმომწონენი“ ადგენდნენ დღიურებს, აგროვებდნენ სუვენირებს. მარტო ერთ-ერთი სამხედრო დამნაშავეს, პოლონეთის ყოფილ გენერალ-გუბერნატორის—ჰანს ფრანკის დღიურები 39 უზარმაზარ ტომს შეადგენს. თვით ულტომში 1000-1500 გვერდი ა. ასეთივე დღიურებს ადგენდნენ მესამე იმპერიის ზღმძლვანელები, გენერლები, ფელდმარშლები, მინისტრები, ყველა ვინც ფიქრობდა, რომ ისტორია ვალდებულია ანგარიში გაუწიოს მათ პიროვნებას. ამის გამოა, რომ ყველაფერი, რაც კი „მესამე იმპერიაში“ გაკეთებულა, აღბეჭდილია დოკუმენტებში, აკინძული, მაგარ ყდებში ჩასმული და შენახული. რას არ ნახავთ აქ?! სახელმწიფოს ყველაზე საიდუმლო სიგელებს, შეიარაღებული ძალებისა და სამინისტროების არქივებს, პოლიციისა და დამსჯელი რაზმების ბნელი საქმეების მასალებს, ბრძანებებს, მითითებებს, განკარგულებებსა თუ ინსტრუქციებს. ყველაფერი ქალღმერთად გადატანილი: როგორ გაკეთდეს, ვინ როგორი ნაბიჯი გადადგას, რა საშუალებით, როგორ მოკლას, ტყავი როგორ გააძროს, როგორ დამარხოს, ან „ადამიანის ცხიმისაგან“ საპონი როგორ მოხარშოს! ყველაფერი გარკვეულია, პარაგრაფებში ჩამოყალიბებული და ისე ზუსტად აწონილ-დაწონილი, რომ ამას გაოცებული თომას მანი „იდუმალეზამდე მისულ“

განგარიშებას“ უწოდებს. მარტოაც ისეთი შთაბეჭდილება უჩვენებს გერმანიაში არავის შეეძლო დადგენილი წესისა და რიგის გარეშე ადგომა, დაჯდომა, გავლა, ან რამის სურვილისამებრ გაკეთება. ადამიანის ყოველგვარი თავისუფლება მიჩაჭვული იყო ამ დოკუმენტებსა და პარაგრაფებზე. გერმანელს, აღკვეთილი ჰქონდა თავისუფალი სუნთქვა, ფიქრი, მოქმედება... მის სულს მძიმედ აწვა ათასობით ტონა ასეთი „წესისა და რიგის“ დამამყარებელი დოკუმენტებისა და აიძულებდა სიზოფივით ეგორებინა ის საკუთარი არსებობის გოლგოთაზე...

ნაციტებმა უკანასკნელ დღეებამდე ვერ დასთმეს ისტორიის ეს „უძვირფასესი საგანძფრი“. მაშინაც კი, როცა უფსკრულის პირას მდგარი ეთხოვებოდნენ სახელმწიფოს, ხალხს, სიცოცხლეს, ამ დოკუმენტების გადარჩენას მაინც ცდილობდნენ: აგროვებდნენ, რკინის საიმედო სეიფებში აწყობდნენ და ეშვლებით გადაქონდათ აღმოსავლეთიდან დასავლეთის რაიონებში. მერე საღდაც მარხავდნენ მიწაში, გამოკვებულებში, კატაკომბებში, წყალშეუვალი ყუთებით სძირავდნენ ტბების ფსკერზე... მაგრამ დამალვას ვერ აუთავდნენ. განადგურება კი არ უნდოდათ... ამის გამო უდიდესი ნაწილი ამ დოკუმენტებისა მოკავშირეთა არმიებმა იგდეს ზელთ. ომის უკანასკნელ თვეებში სპეციალური შემკრები ცენტრებიც შექმნეს MCS — Ministerial Collecting Service, სადაც „ნადავლ დოკუმენტებს“ ჯერ წონით იღებდნენ, ხოლო შემდეგ არჩევდნენ და ასარისხებდნენ. მე თვითონ ვიყავი ქ. კასელში, სადაც სამი ათასი ტონა ასეთი დოკუმენტებისა იყო შეკრებილი. ორ ათასზე მეტი მემანქანე იჯდა მიწისქვეშა ქიმიური ქარხნის უზარმაზარ საამქროში და ბეჭდავდა ამ მასალებს; ორ ათას მანქანას ერთად გაქონდა გუგუნი, რასაც ერთგვარი სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონდა. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს საბეჭდი მანქანები კი არა, ტყვიამფრქვე-

ვები დაეყენებინოთ და ბრალდების საშინელ დოკუმენტებს უშენდნენ მთავარ სამხედრო დამნაშავეებს.

ასეთივე შეშვარები ცენტრები გაიხსნა პარბურგში, ფლესბურგში, ბერპტესგადენსა და სხვაგან. მე არაფერს ვამბობ იმ აურაცხელ დოკუმენტებზე, საბჭოთა არმიის ნაწილებმა რომ იგდეს ხელთ. არც იმაზე, რაც პროცესის შემდეგ იქნა აღმოჩენილი. ვინ იცის, ახლაც სად რამდენია დამალული. დღე ისე არ გავა, ვაზეთებმა რამე ახალი ცნობა არ მოიტანონ ამის თაობაზე, მაგრამ ამას რომ თავი დაეანებოთ, ყოველივე ის, რაც ჯერ კიდევ მაშინ იყო აღმოჩენილი და შეკრებილი, ათეულ ათასობით ტონას ანუ ასეულ ათას ფუტს შეადგენს...

ოთხი-ხუთი თვის დამატული მუშაობის შემდეგ დაახლოებით ათასი ფუთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა, რაც ამ ზღვა მასალისაგან იქნა შერჩეული, გაიგზავნა ქ. ნიურნბერგს, როგორც საბრალმდებლო მასალა.

ათასი ფუთი — რამდენიმე ასეული ათასიდან!

ეს კი ჯერ მხოლოდ ფიზიკური წონაა ამ დოკუმენტებისა და ამის განსაზღვრას არც ქალღმერთ თემიდას მითი უნდა და არც მისი სასწორის ალგორითა. ამის საჭიროება მაშინ გაჩნდება, როცა ამ ათასი ფუთი დოკუმენტის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულობათა სიმძიმის წარმოდგენას ვცდით. აი, სწორედ ეს იქნება ის დიდი და შეუძლებელი, რაზედაც ვამბობთ, რომ მას წარმოსახვის ინტეგრალებით თუ მიეწვდებით ან ისეც იმ სწორხაზოვნად ატყორცნილ დიდ რგოლს გავატარებთ სინამდვილის მცირე რგოლებში. ამისთვის იმ ათასი ფუთიდან ჯერ სულ რამდენიმე გრამი ან მილიგრამი ავიღოთ (პატარა რგოლი), ხოლო შემდეგ მათ საფუძველზე ვცადოთ მთლიანი სურათის წარმოდგენა (დიდი რგოლი)...

...მე ვათავისუფლებ კაცობრიობას ისეთი საშინელი ქიშკრისაგან, რომელ-

საც ეწოდება სინიდისი*. — წერს პიტლერი სულ რაღაც ერთ მთლიან მუხარამულზე.

შემდეგ სინიდისისაგან ვათავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან ვათავისუფლება მოყვა:

„ყოველგვარ პასუხისმგებლობისაგან ვათავისუფლებულ იქნენ გერმანელი ჯარისკაცები, რომელნიც დაპყრობილ ქვეყნებში რაიმე დანაშაულს ჩაიდენენ“...

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მასშტაბებს მიაღწევდა დანაშაული თუკი ის წინასწარ იქნებოდა ვათავისუფლებული ყოველგვარ მსჯავრდებისაგან, მით უმეტეს, როცა ასეთი მითითების განხორციელებას კისრულობდნენ ისეთი ოდიოზური პიროვნებები, როგორც იყვნენ უმადლესი სარდლობის უფროსი ფელდმარშალი კაიტელი და „რკინის პერმანად“ წოდებული რაიხსმარშალი გერინგი.

კაიტელმა მაშინვე აფრინა ეს განკარგულება არმიების ჯგუფთა სარდლებთან და ზედაც ასეთი განმარტება დაურთო:

„ფიურერს მიაჩნია, რომ დასჯა თავისუფლების აღკვეთით ან სამუდამო კატორღითაც, იქნება სისუსტის ნიშანი, ნამდვილი და თანმიმდევრული დაშინება შესაძლებელია მხოლოდ სიკვდილით დასჯით“.

გერინგმა უფრო გაბედულად დაგეშა გესტაპოელები:

— ყოველი ტყვეა გასროლილი პოლიციელთა რევოლვერით, — სთქვა მან პოლიციის უმადლეს მოხელეთა შეკრებაზე, — ეს ჩემი ტყვეა! თუ ვინმე ამას უწოდებს მკვლელობას, ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვარ მკვლელი; მე მოვკალი, მე გავეცი ასეთი ბრძანება, მე დავეთანხმე ამას, მე ვკისრულობ მთელ პასუხისმგებლობას და არც მეშინია ამისი.

ერთმა გენერალმა რაღაც პროტესტის განცხადების მსგავსი სცადა და სინიდისიც ასხენა, მაგრამ გერინგმა მკვახედ მოუჭრა:

— მე არა მაქვს სინილისი, ჩემი სინი-
ლისია ადოლფ ჰიტლერის!..

...ახლა საგარეო საქმეთა მინისტრის
იოაკიმ ფონ რიბენტროპის ასეთი მითი-
თება აიღეთ:

„ადგილობრივ, ყოველგვარ სასამარ-
თლოს გარეშე დახვრებილ იქნეს ყვე-
ლა, ვინც ითვლება ტერორისტად, ან არ
ითვლება ასეთად“.

ღიპლომატების ენას ყოველთვის ახ-
ლდა ერთგვარი ბუნდოვანი ორაზროვნე-
ბა, მაგრამ აქ ხომ სულ ვერაფერს გაი-
გებს კაცი, ვინ უნდა იქნეს დახვრეტი-
ლი? ან სასამართლო მართლაც რად უნ-
და ამას, როცა სასიკვდილო განაჩენი
წინასწარაა გამოტანილი, იმის მიუხე-
დავად, ითვლება მსჯავრდებული ტერო-
რისტად, თუ არ ითვლება ასეთად...

...რიბენტროპის წინამორბედმა საგა-
რეო საქმეთა მინისტრის პოსტზე, შემ-
დეგ კი ბოჰემისა და მორავეთის პრო-
ტექტორმა ბარონ ფონ ნოირატმა უდა-
ნაშაულოთა დასჯა კანონად აქცია და
ბრძანა:

„პასუხისმგებლობა საბოტაჟის ცალ-
კეულ შემთხვევებზე ეკისრება არა
მარტო დამნაშავეებს, არამედ მთელ
ჩვენ მოსახლეობას. ეს იმას ნიშნავს,
რომ პერსონალურად ისჯება არა მარ-
ტო დამნაშავე, არამედ უდანაშაუ-
ლოც“...

არ ვიცი, სამართლის ისტორიაში თუ
არის კიდევ სხვა შემთხვევა, რომ უდა-
ნაშაულოთა დასჯა ასე კანონად ექ-
ციოთ, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ ადამი-
ანების მოსაზრებას ეხება, ამის შემდეგ ჯე-
რი ქალაქებზე მიდგა...

„ფიურერმა გადაწყვიტა ადგავოს პი-
რისაგან მიწისა პეტერბურგი. საბჭოთა
რუსეთის დამარცხების შემდეგ არავი-
თარ ინტერესს არ წარმოადგენს ამ დი-
დი დასახლებული პუნქტის არსე-
ბობა!...“

ასეთი მითითება მიიღო ჩრდილოე-
თის ფრონტის საპაერო ძალების საარ-

დალმა. შემდეგ კი თვითონ ჰიტლერმა
განმარტა თავისი გადაწყვეტილება:

„არც ფინელები არაა უფრო ტყვე-
ბულნი ზედ საზღვართან ჰქონდეთ ასე-
თი დიდი ქალაქი“, რასაც ახალი განკარ-
გულება მოჰყვა: „პეტერბურგი მოის-
პოს, ცარიელი ტერიტორია კი გადაე-
ცეს ფინელებს“...

...ასევე გადაწყდა მეორე „დიდი და-
სახლებული პუნქტის“ კიევის გაუქმე-
ბა. „საჭირო არ არის აღდგენილი იქნეს
ქ. კიევი“. — განაცხადა ჰიტლერმა. ასე-
თივე განკარგულება ვასცა მან მოსკო-
ვის შესახებ, ხოლო შემდეგ მთელ სა-
ხელმწიფოებს მიდგა...

...„რუსეთი უნდა ამოიშალოს ევრო-
პის სახელმწიფოთა სიდიან“ — მიუთი-
თა ჰიტლერმა თავის გენერლებს ერთ-
ერთ საიდუმლო თათბირზე. მერე ის
დაიქანდა, ინგლისელებს თავიანთი კენ-
ძულებიდან საპარასა და ციმბირში გაე-
სახლებო... ისეც ხდებოდა, რომ ასეთი
სიტუაციური მითითებების ნაცვლად, რო-
მელიმე „გაუქმებულ“ სახელმწიფოს
რუკაზე თეთრ პუნქტირებს დასვამდნენ
და დაწერდნენ: Entvölkerung, („გან-
ხალხება“). სათანადო განმარტებებს
თანონ ჰიტლერი იძლეოდა: „პოლონე-
თი განხალხებულ (entvölkert) უნდა
იქნეს და დასახლებული გერმანე-
ლებით, შემდეგ კი, ბატონებო, რუ-
სეთსაც ის დღე დაადგება, რაც პო-
ლონეთს... და მაშინ დაიწყება ეამი ჩვე-
ნი მსოფლიო ბატონობისა“

იგი არც „განხალხების“ წმიდა ტექ-
ნიკურ მხარეს“ ივიწყებდა:

— „ჩვენ უნდა განვაკითხოთ გან-
ხალხების ტექნიკა, უთხრა ჰიტლერმა
რაუშნიცს და იქვე განმარტა კიდევ. —
— თუ მკითხავთ რას ვგულისხმობ ტერ-
მინში, „განხალხება“ — გეტყვი, რომ
მხედველობაში მაქვს მთელი რასიული
ერთეულების მოსაზრება. ეს არის ის, რაც
მე უნდა განვახორციელო. ან უფრო
უხეშად რომ ვთქვათ, ასეთია ჩემი ამო-
ცანა. ბუნება სასტიკია, ამიტომ ჩვენც

სასტიკნი უნდა ვიყოთ. თუ მე შემიძლია გერმანელების საუკეთესო ნაწილი გავგზავნო ბრძოლის ქარცეცხლში ისე, რომ არ ვიღარდო ძვირფასი არიული სისხლის დაღვრაზე, ცხადია, იმის უფლებაც მაქვს, რომ მოვსპო მილიონობით დაბალი რასის წარმომადგენლები, რომლებიც მატლებივით მრავლდებიან“.

აი, სწორედ ამისთვის იყო მოგონილი ეს თეთრი პუნქტირები და ნეოლოგიზმი „განხალხება“. ასეთი პუნქტირები და შიფრი იყო დასმული საქართველოს რუკაზეც; მაგრამ ამაზე შემდეგ...

...რასიული ერთეულების მოსპობის შესახებ პიტლერის მითითების განხორციელება ებრაელთა მასობრივი ელექტით უნდა დაწყებულიყო. „ევროპაში ებრაელობა უნდა მოისპოს, როგორც რასა!“... ასეთი იყო პირველი ამოცანა.

შემდეგ მეორე იწყებოდა: სლავების მოსპობა. დოკუმენტებში წერია: „ესესის რაიხსფიურერმა ჰიმლერმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილია 30 მილიონი სლავის ლიკვიდაცია...“

...ასეთი ბრძანებები და განკარგულებები, რასაც მოყვა ათეული მილიონობით უდანაშაულო ადამიანების გაქლექა, ათასობით ქალაქებისა და სოფლების აოხრება თუ ფასდაუდებელი ისტორიული ძეგლების განადგურება, დაბეჭდილია სულ რამდენიმე გრამ ქაღალდზე. ან ის გრამი რად უნდა ფარატირა ქაღალდს — ჩაკერებულს ნიურნბერგის პროცესის საქმეებში და მიუწყებელს იმისა, რომ ერთერთ საკონცენტრაციო ბანაკიდან სუპერფოსფატის დამამზადებელ ფირმა — „შტრემს“ გავგზავნა 112 ტონა და 600 კილოგრამი ადამიანის ძვლების ფხვნილი“...

ერთი გრამი ან მილიგრამი ქაღალდი — ერთი ან ორი მილიონი ადამიანის მსხვერპლი და 112 ტონა ძვლის ფხვნილი სუპერფოსფატისათვის. ასეთია ამ გრამებისა და მილიგრამების რეალური

წონა. მერე და... რამდენი ასეთი გრამი თუ მილიგრამია ათას ფუფუნე და რუკური იქნება ალეგორიულმა სიმბოლურმა? იმ დანაშაულობებისა, რაც მათ საფუძველზეა ჩადენილი? აი, ჩვენი წარმოსახვის წინაშე დასმული მითითური ამოცანა! ისევ მითები თუ არ მოვიშველიეთ, სხვაგვარად, მართლაც, ძნელია ამის ამოხსნა. მით უმეტეს, რომ ზოგიერთ ბრძანებაზე ის ერთი გრამი ქაღალდიც არ არის დახარჯული. ყველაზე საშიშნელი განკარგულებები გაცემულია სიტყვიერად — შენიშვნით: „მიიღეთ როგორც კანონი“ ან რაღაც „უმნიშვნელო ნიშნები“ დასმული. მაგალითად, ნული, რაც არაფერს ნიშნავს თუ, რა თქმა უნდა, ასეთი მანიპულაცია არ მოხდება...

...პიტლერს წინ დაუდგეს გამზადებული ბრძანება ხელის მოსაწერად: „ყოველი გერმანელი ჯარისკაცის მოკვლასათვის დახვრეტილ იქნეს 5-10 მძევალი“. მან ორად-ორი ნოლი მიუმატა ამ რიცხვს და გამოვიდა 50-100!“. მერე ჰიმლერს შეხედა, თვალი ჩაუკრა და ნიშნის მოგებით უთხრა:

— კვადრატული ფესვი ნოლიდან არის ისევ ნოლი!..

...ყველაფერი ეს საშინელია. მაგრამ ჩადენილ დანაშაულებათა სიმძიმეზე მაინც ვერ მოგვეცმს მიახლოებით წარმოდგენას, თუ არ გავითვალისწინებთ რა „არტიკული სისასტიკითა“ და ცინიკური გულგრილობით სრულდებოდა ყოველივე ეს.

ურციხვი მაგალითებიდან აქაც მხოლოდ რამდენიმე ავიღოთ იმავე იანოვსკის საკონცენტრაციო ბანაკის ცხოვრებიდან, რომლის კომენდანტი შტურმფიურერი გუსტავ ვილჰელმი ცოლ-შვილის გასართობად პატიმარი ქალების ბავშვებზე ნადირობდა. ახლა დიდებზე „ნადირობის“ ორიოდ ეპიზოდს ვიამბობთ, ყოველგვარი „მხატვრული შელამაზების“ გარეშე, ისე, როგორც „შიშველ ფაქტს“...

...ეზოში ასამდე ტყვეს აყენებენ მწკრივში. იქვე ტუსაღებისაგან შედგენილი ორკესტრი უკრავს „სიკვდილის ტანგოს“, გუსტავი ერთობა! იგი მიდის მწკრივთან და ეკითხება პირველს:

— რატომ ხარ პირველი?

ტყვე გაოცებული უყურებს და მხრებს იჩენს. ვილჰელმი ესვრის და მწკრივის ბოლოში გადადის. ისევ კითხვა:

— რატომ ხარ უკანასკნელი?

ტყვე შიშით მისჩერებია მას. ისევ სროლა. შემდეგ თავიდან:

— რატომ ხარ პირველი?

— რატომ ხარ უკანასკნელი?

— რატომ?..

და ისევ სროლა!.. სროლა!.. სროლა!..

ბოლოს ერთი რჩება, რომელიც პირველიცაა და უკანასკნელიც. ვილჰელმი იმ დღეს იმას ხელს არ ახლებს. პირიქით. „მეგობრულად“ უცინის და ულოცავს:

— ბედი გქონია, მეგობარო, მაშ, ხვალამდე!..

...იგივე ბანაკი. 20 აპრილი. პიტლერის დაბადების დღე. ფურერს 54 წელი შეუსრულდა. ეზოში გაამწკრივებენ 54 პატიმარს. გუსტავ ვილჰელმი 54 გასროლით ხვრეტს მათ. 54 გვამს ერთად აგდებენ ორმოში, მიწას მიიყრიან და წარწერას უკეთებენ:

— „საყვარელ ფურერს დაბადებიდან 54 წლის თავზე!...“

..ჩონჩხების დამამზადებელი ლაბორატორია. ჰიმლერის დებეშა: „გაცნობებთ. რომ თქვენი დაუდევრობის გამო, გამოგზავნილი ჩონჩხების ნაწილი დაზიანებულია ტყვიით. წინადადებას გაძლევთ საჩონჩხე მასალა ისე დაამუშაოთ, რომ ძვლები არ დაზიანდეს“.

აურზაური ლაბორატორიაში, შეშფოთებული ექიმები, პროფესორები, დოქტორები, მათი გონების მრუშობა და ფანტასტიკური წინადადება, რაც „უზრუნველყოფს ჩონჩხის დაზიანებ-

ლობას: „საჩონჩხე მასალას“ გატიტვლებენ, კასრში ჩააყენებენ და ცენტრალურად მიაკრავენ ბოძზე. ჯერ ბტკაში მსხინარა ბენ სპეციალურად დამუშავებული ტექნოლოგიის მიხედვით, მერე მღუღარე წყალს ასხამენ, ვიდრე რბილი არ ჩამოშორდება და მარტო ძვალი დარჩება. ამით მიიღწევა „ჩონჩხის აბსოლუტური დაუზიანებლობა“, თანაც „დიდი ეკონომიური ეფექტი“; არავითარი დანაკარგი, ტყავი — ჩანთების, საფულეების, აბაჟურებისა და წიგნის ყდების დასამზადებლად, „რბილი ნაწილები“ — საპნის ქარხანაში, ძვლები კი ანატომიურ მუზეუმებსა და ლაბორატორიებს...

...რაიხსმარშალმა ჰერმან გერინგმა ვანკარგულემა გასცა: აღდგენილ იქნას სიკვდილით დასჯის მამა-პაპური წესი — ნაჯახით თავის მოკვეთა, რასაც მის მიერვე დამუშავებული ინსტრუქცია მოყვება: „სიკვდილმისჯილი თავდაღმა კი არა, პირაღმა დააწვინეთ, რომ მოქნეულ ნაჯახს თვალი მოჰკრას და ელდა ეცეს“...

ერთი გერმანული მოთხრობაც წავიკითხე:

მოხუც პროფესორს გერინგის კანონის მიხედვით თავის მოკვეთა მიუსაჯეს. სასაკლაოზე რომ მიჰყავდათ, გუნებაში ეცინებოდა. მცდიან, ჩემი გამოტყუება უნდათ, თორემ როგორ შეიძლება გოეთესა და ბეთჰოვენის ქვეყანაში კაცს ნაჯახით თავი მოჰკვეთონ.

იმ უბედურს ღიმილი მხოლოდ მაშინ შეაშრა ტუჩებზე, როცა თავი გააგდებინეს.

ვერც გოეთემ უშველა და ვერც ბეთჰოვენმა...

...ნურნბერგში შემთხვევა მქონდა. წინასწარი გამოძიების დროს გერინგიო სათვის მეკითხა:

— როგორ შეიძლება ჩვენი ეპოქის აღამიანს ასეთი აზრი მოუვიდეს თავში?..

— ეს აზრი კი არ არის, საშუალებაა. — გამისწორა მან.

— საშუალება რისი? — შევუბრუნე კითხვა.

— დაშინების! — მოკლედ მოჭრა ბრალდებულმა და მაშინვე დაუმატა:

— სიკვდილით ერთს იმიტომ სჯიან, რომ სხვები დააშინონ... მერე ამას განმარტებაც დაურთო:

— რაც უფრო საშინელია დასჯის ფორმა, მით უფრო ეფექტურია ის, როგორც საშუალება!

ახლა სხვამ ჰკითხა:

— განა ასეთი საშუალების გამართლება შეიძლება?

— რაკი მიმართავენ, ჩანს, შეიძლება!

— რითი? — არ მოეშვა გამომძიებელი.

— მიზნით! — უპასუხა მან და თან ცნობილი დევიზიც გაიხსენა:

— მიზანი ამართლებს საშუალებას!..

...გერინგისათვის რომ ესიამოვნებინათ ზოგჯერ მისი ხელქვეითები პირადად ცდილობდნენ მათი შეფის „მამაპაპური“ მეთოდის გამოყენებას — ნაჯახით თავის მოკვეტას, მაგრამ აქ ერთი დაბრკოლება გაჩნდა: ბატონებს ეშინოდათ მუნდირი სისხლით არ დასვროდათ; თუმცა მლიქვნელებმა გამოსავალი მაშინვე იპოვეს: მსხვერპლს ჯერ გაყონავდნენ, მერე მორიგით დადებდნენ კუნძუზე... მარჯვედ მოქნეული ნაჯახი და.. თავი ცალკე. ტანი ცალკე.

არც ერთი წვეთი სისხლი!...

...დიდ საკონცენტრაციო ბანაკებთან შექმნილი ლაბორატორიები გერინგის განკარგულებით და მისი შტაბის უფროსის ფელდმარშალ მილქის შეკვეთით საპაერო ძალების საჭიროებისათვის სპეციალურ ცდებს მიმართავდნენ იმის გამოსარკვევად, თუ რამდენ ხანს შეუძლია ადამიანს იყოს სრულიად გაყინული და რა გრადუსზე, რომ ისევ დაუბრუნდეს სიცოცხლე. ამისთვის გაყინული

პატიმრის შიშველ სხეულს დადებდნენ იატაკზე. მერე აქეთ-იქეთ მარჯვენა შიშველ, მაგრამ თბილ როსკოშს ზოტუნებდნენ. თუ მათი სითბო სიცოცხლეს დაუბრუნებდა პატიმარს და „ყველაფერი რიგზე იქნებოდა“, ცდა ჩატარებულად ითვლებოდა, თუ არა და... იწყებდნენ თავიდან.

ერთხელ ამ ლაბორატორიის „საქმეებში“ ასეთ წერილებსაც წავაწყდი, ბანაკის უფროსს, ესესის რომელიღაც ობერგრუპპენფიურერი ეკითხებოდა: ხომ არ შეიძლება ფსიქიანი როსკოშების უფასო პატიმარი ქალებით შეცლა? ბანაკის უფროსმა ამაზე ოფიციალურად უპასუხა: თუ შესაფერისი ინსტრუქცია იქნება დაშვებული, რა თქმა უნდა, შეიძლებაო...

...„სამეცნიერო-კვლევითი“ მუშაობის გაშლასთან ერთად გაუმჯობესდა ხალხთა მოსპობის ტექნიკაც. ჯერ კიდევ კრასნოდარის გათავისუფლების დროს ჩაგვივარდა ხელთ ე. წ. „გაზვაგენი“, რომელიც სპეციალურად ამ საქმისათვის იყო განკუთვნილი.

მანქანის ჰერმეტიკულად დახურულ ძარში შეჰყავთ 20-30 „მგზავრი“, კარებს გარედან კეტავენ, მანქანის ძრავი მოლით შეერთებულია ძართან, შხამიანი ვაზი 10-15 წუთში თავისას აკეთებს. მანქანა ჩერდება ქალაქგარეთ — ტანკსაწინააღმდეგო თხრილებთან ან ხრამთან, გვამებს ყრიან და უკან ბრუნდება ახალი „მგზავრების“ წასაყვანად...

...შემდეგ კიდევ უფრო გაუმჯობესებული ტექნიკა გამოჩნდა: ავტომატური ვაზკამერები; გამტარუნარიანობა: ორათასამდე კაცი თითო სეანსზე!

სიკვდილის ბანაკში მოჰყავთ ახალი ჯგუფები. ესესელები და გესტაპოელები თავაზიანი ღიმილით ეგებებიან მათ და წინასწარ დაბეჭდილ ბარათებს ურიგებენ შინ გასაგზავნად: „კარგად მოვეწყეთ. გვაქვს სამუშაო, მშვენიერად

გვეპყრობიან, კვება კარგია, ველით თქვენს ჩამოსვლას“.

მერე ისევ თავიზიანი მოპატიუება: — მობრძანდით, ბარგი შემნახველ კამერაში ჩააბარეთ, პალტოები — გარდერობში, ტანისამოსი გაიხადეთ, აი აქ დააწყეთ, ახლა კი მიბრძანდით აბაზანაში...

კარები გარედანაც იკეტება, „აბაზანაში“ შესაღწევი გასს უშვებენ, 10-15 წუთის შემდეგ კონვეიერი ამოძრავდება და ორ ათას გვამს წაიღებს კრემატორიუმისაკენ, კიდევ რამდენიმე წუთი და... უზარმაზარი მილით შავი კვამლი გაიფანტება ჰაერში.

მთელ ამ „მოგზაურობას“ საოცრად რომანტიკული სახელი ჰქვია:

„გზა სამოთხისაკენ!..“

...მილიონობით ხალხმა განვლო „სამოთხის“ ეს გზა. ჩვენც ისე ვამბობთ მილიონებშიაო, თითქოს ეს რიცხვების უბრალო თამაში იყოს. ამ მილიონებში ყოველი ერთეული ცალკე სიცოცხლეა, ცალკე ფიქრი, იმედი, ოცნება... ჰაინე წერდა:

„ყოველი ცალკეული ადამიანი მთელი სამყაროა, რომელიც იბადება და კვდება მასთან ერთად. ყოველი საფლავის ლოდის ქვეშ წევს კაცობრიობის ისტორია“.

როცა მაქსიმ გორკიმ ეს სიტყვები წაიკითხა დასწერა:

«Эта дерзкая оценка, но человек заслужил ее!».

ასეთი რამ შეეძლო ეთქვა მწერალს, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები:

Человек — это звучит гордо!

იმათ კი რა უნდა ეთქვათ მილიონობით უღანაშუალო ადამიანებს რომ გზავნიდნენ საკონცენტრაციო ბანაკებსა და კრემატორიუმებში?

— ადამიანის სიცოცხლე არაფერი არ ღირს, — განაცხადა ფელდმარშალმა კაიტელმა.

— ადამიანის ფასი გროშია, — გაიმეტა ჰიმლერი.

დოქტორი ლეი თითო უფრიახელ მსახურ ქალს 10-15 წუთს უყვებოდა.

გერინგი შინაურ ცხოველებს უფრო მეტად აფასებდა, ვიდრე ადამიანებს.

ჰიტლერმა კი ადამიანი სულ ნოლს გაუთანაბრა და კვადრატული ფეხის ამოღებაც სცადა მისგან.

არც იმისი მოერიდათ ტილებისა და მატლებისთვის შეედარებინათ მათთვის საძულველი რასების წარმომადგენელი და, ჰანს ფრანკისა არ იყოს, დაეტრახათ, პოლონეთში ტილები და ებრაელები მოვსპეთო. ჰიმლერი კი ამბობდა, ებრაელების გაქვება ჰიგიენის საკითხია და არა პოლიტიკისო. და განა მარტო ებრაელების, სხვა ერების წარმომადგენლები კიდევ უფრო მეტი დაიღუპა საკონცენტრაციო ბანაკებში. მთელი მსოფლიო შეძრწუნებული იყო ამ საშინელებებით. უკვე არც ისე ხშირად იგონებდნენ დანტეს ჯოჯოხეთს. ამის ნაცვლად ამბობდნენ: მაიდანეი! ოსვენციმი! ტრემბლინკა! დახაუ!.. და როცა დანაშაულმა სულ კომპარული სახე მიიღო, ჰიტლერული გერმანია დამსობილი იქნა და მართლმსაჯულების ქალღმერთმა თემიდამაც აღმართა თავისი მახვილი..

...მე ახლაც ერუანტელი მივლის, როცა ვიგონებ ნიურნბერგის პროცესზე გერმანელების ამ შემადრწუნებელ დანაშაულთა დემონსტრაციის დღეებში რომ ახსენეს დიდი გოეთეს სახელი... დარბაზს თითქოს სინათლე მოემატა. ასე მგონია, ცხადადაც ვნახე, როგორ შემოვიდა ის — მალალი, ახოვანი, სახენათელი, უსაშველოდ დიდი შუბლითა და ლომის ფაფარით. თითქოს შეწუხებული სახე ჰქონდა, ნაღვლიანი თვალები, თუმცა არავის არ უყურებდა და არც არაფერს ხედავდა, გარდა საკუთარი ფიქრებისა. დინჯი ნაბიჯებით ავიდა იგი ხალხთა სამსჯავროს მალალ ტრიბუნაზე და გაიმეორა ამ ასორმოცდაათი

წლის წინ წარმოთქმული წინასწარმეტყველური სიტყვები:

„ერთხელაც იქნება და ბედისწერა დასჯის გერმანელ ხალხს, დასჯის იმით, რომ მან უღალატა თავისთავს და არ სურს იყოს ის, რაც არის. სამწუხაროა, რომ მას არ ესმის მომხიბლაობა ქვეყნარტებისა; საზიზღარია, რომ იგი გატაცებულია ნისლით, კვამლითა და გულისამრევი არაზომიერებით; სინანულის ღირსია, რომ იგი ემორჩილება ნებისმიერ უკუანაკლებ ვიგინდარას, რომელიც თამაშობს მის ქვენა ინსტინქტებზე, აქეზებს მის დანაშაულებრივ მიდრეკილებებს და შთაავონებს პატრიოტიზმი ვაიგოს, როგორც რბევა და სისასტიკე“...

ხალხთა სამსჯავრო...

„ერთხელაც იქნება“ — გოეთემ რომ სთქვა, ის დღეც დადგა. მართლმსაჯულების ქალღმერთი თემიდა ჩამოვიდა ნიურნბერგის იუსტიციის სასახლის სხდომათა დარბაზის პორტალიდან და „ორპირად აღლესული მახვილით“ ჩაღვა მოსამართლეთა შორის. აპოკალიპსური მითი ჯერაც არყოფილი „საშინელი სამსჯავროს“ შესახებ მაშინვე გაეთამაშა სინამდვილეს, „რამეთუ მოვიდა დღე იგი დიდი რისხვისა მისისა... დათრგუნვად შალალი ბოროტებისა კაცთა ზედა, რომელთაცა აქუნდა ბეჭედი იგი მხეცისა...“

ჩვენ ვიცით, რომ ის „საშინელი სამსჯავრო“ არ შემდგარა, მაგრამ არც ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მსგავსი რამ მოსწრებია მანამ კაცობრიობას. არ ყოფილა შემთხვევა, რომ საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე წარმდგარიყო ერთი ერის ათ მილიონამდე წარმომადგენელი. მათი მთავრობა, პარტია, არმიის სარდლობა და სხვა დანაშაულებრივი ორგანიზაციები. ეს აპოკალიპსური მითიც ჩვენს დროში იქცა სინამდვილედ. მართალია პირველი მსოფლიო ომის შემდგავ

სცადეს მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა გასამართლებას, მაგრამ შორისო მორალისა და ხელმძღვანელებთან წმიდათა-წმიდა ძალის უკიდურესი შეურაცხყოფის გამო“. ანტანტის სახელმწიფოებმა სპეციალური ტრიბუნალიც შექმნეს, მაგრამ პროცესი არ შემდგარა. კაიზერმა ვილჰელმ მეორემ პოლანდიის სამეფოს შეაფარა თავი, როგორც „საერთაშორისო კონფლიქტის მსხვერპლია“. ფელდმარშალი ჰინდენბურგი, გენერლები ლუდენდორფი და მაკენზენი, ბავარიის კრონპრინცი რუპრეხტი, აღმირალი ტირპიცი, კანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი და სხვები არ გამოცხადდნენ ტრიბუნალში და არც არავის შეუწყუბებია ისინი. არც დანარჩენ 890 სამხედრო დამნაშავესათვის დაუდევით რამე სასჯელი...

ამჯერად კი, როგორც ჩანს, „გულუბრყვილოებით“ გონს მოვიდნენ და გაიმართა ეს გრანდიოზული პროცესი, რომელსაც მთელმა მსოფლიომ — ისევ იმ ბიბლიური „საშინელი სამსჯავროს“ ასოციაციით — „ხალხთა დიდი სამსჯავრო“ უწოდა. საბჭოთა კავშირის, ინგლისის, შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობების შეთანხმებით. ბრალდებულთა კომიტეტმა პასუხისცემაში მისცა 24 მთავარი სამხედრო დამნაშავე: 1. რაიჰსმარშალი ჰერმან გერინგი, 2. ჰიტლერის მოადგილე 1941 წლამდე, რუდოლფ ჰესსი, 3. საგარეო საქმეთა მინისტრი იოაჰიმ ფონ რიბენტროპი. 4. რაიჰსლაიტერი რობერტ ლეი, 5. ფელდმარშალი ვილჰელმ კაიტელი, 6. საიდუმლო პოლიციის უფროსი ერნსტ კალტენბრუნერი, 7. აღმოსავლეთის ოკუპირებული რაიონების საიმპერიო კომისარი, ფილოსოფოსი ალფრედ როზენბერგი, 8. პოლონეთის გენერალ-გუბერნატორი ჰანს ფრანკი, 9. იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი ვილჰელმ ფრიკი, 10. გაულაიტერი იულიუს შტრაიხერი, 11. ეკონომიკის მინისტრი ვალტერ ფუნკი, 12. გერმანიის საიმპერიო ბანკის პრეზიდენტი იალმარ შახტი, 13.

მრწველი გუსტავ კრუპა ფონ ბოლენუნდ პოლბახი, 14. გერმანიის წყალქვეშა ფლოტის სარდალი, გროსადმირალი კარლ დენიცი, 15. გერმანიის საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი, გროსადმირალი ერიკ რედერი, 16. „პიტლერული ახალგაზრდობის“ ყოფილი მეთაური, ვენის გაულაიტერი ბალდურ ფონ შირახი, 17. მუშახელის გამოყენების გენერალური რწმუნებული. გაულაიტერი ფრიც ფონ ზაუკელი, 18. გენერალი ალფრედ იოდლი, 19. პარტიული კანცელარიის უფროსი. რაიხსლაიტერი მარტინ ბორმანი. 20. ყოფილი ვიკე-კანცლერი ფრანც ფონ პაპენი, 21. აესტრიის ყოფილი კანცლერი, ნიდერლანდეთის საიმპერიო კომისარი არტურ ზენს-ინკვარტი, 22. შეიარაღების მინისტრი ალბერტ შპეერი, 23. საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ბოჰემიისა და მორავეთის საიმპერიო პროტექტორი კონსტანტინ ფონ ნოირატი, 24. გერმანიის დეპეშთა სააგენტოსა და რადიოკომიტეტის უფროსი ჰანს ფრიჩე. აგრეთვე 6 დანაშაულებრივად გამოცხადებული ორგანიზაცია: 1. მთავრობის კაბინეტი, 2. ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა. 3. დამცველი რაზმები ამ პარტიისა (SS), უშიშროების სამსახურის (SD) ჩათვლით, 4. სახელმწიფო საიდუმლო პოლიცია (გესტაპო), 5. ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მოიერიშე რაზმები (SA), 6. შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი და უმადლესი სარდლობა. ამ სიას გამოაკლდნენ რობერტ ლეი, რომელმაც პროცესის დაწყებამდე სატუსალოში თავი ჩამოიხრჩო და გუსტავ კრუპაში — მძიმე ავადმყოფობის გამო. მარტინ ბორმანი, როგორც ფიქრობდნენ, მიიშალა და გაასამართლეს დაუსწრებლად. მთავარზე უმთავრესმა სამხედრო დამნაშავეებმა ადოლფ ჰიტლერმა, იოსებ გებელსმა და ჰაინრიხ ჰიმლერმა თვითმკვლელობით სცადეს თავი აერიდებინათ მართლმსაჯულებისათვის. მაგრამ ამაოდ. იურისტები კი ამბობენ მკვდრებს არ ასამართლებენო, მაგრამ ლიტერატორები იტო-

ვებენ ამის უფლებას. სტენდალ ნერს: „არიან მკვდრები, რომელნიც სკანდულით დასჯას იმსახურებენ...“ იყენენ ჰიტლერი, ჰიმლერი, გებელსი და ლეი, რომელთა გვარები წამდაუწუმ ისმოდა ხალხთა დიდ სამსჯავროში. არც თემიდას თვალებს გამოპარვია მათი დანაშაული. იგი საბრალმდებლო სკამზე სვამდა ყველას, ვისაც რამე ბრალი მიუძღოდა ამ კატასტროფულ ბოროტებაში. ამით ხალხთა სამსჯავროს მასშტაბები იმდენად გაიზარდა, რომ მე მის წინასწარ მოსახაზავად ისევე მითითრისა და ნამდვილის გადაჯვარედინების ხერხს მივმართავ. კერძოდ, ვაჟა ფშაველას მშვენიერ ალეგორიას...

...ვახსოვთ მოთხრობაში „სახალწლო სიზმარი“, როგორ აგვიწერს ის თავის „მამა-პაპურ“ დარბაზს, რომლის გამჭვარტლული კედლები, უზარმაზარი მუხის ბოძები და დიდი თავზე, გონების ძალით ჯერ კიდევ სუსტად განათებულ ქვეყნის ალეგორიას წარმოადგენს? მერე ამ დარბაზში ზღაპრული სილამაზის ქალი შემოდის — ქვეშაირიტების გახსნილი სახე.

„ღმერთო, რა ვნახე რა იყო ის სულ კურთხეულის გაჩენილი! — წამოიძახებს ვაჟა—ღმერთი იყო, სწორედ ანგელოზი იყო. არ ვიცი რა იყო... ქალი იყო. ძველი კაბა ეცვა, ფეხშიშველი, მაგრამ ლამაზი, სამოთხე ვარდაქმნილიყო ქალად და მოვიდა ჩემთან. მკერდი ნახევრამდე გადადებული ჰქონდა. ზედიე და ვარდი ჰყვოდა. იმის თვალეზშიდ ღმერთებს დაესადგურებიათ, დიდი ოკეანე იმის თმად ქცეულიყო, მთელი ჩვენი პლანეტი იმის სახედ“.

ასე ჰიპერბოლურად წარმოიდგინა ვაჟამ მთელი ქვეყნის მშვენიერება (დიდი რგოლი) ლამაზი ქალის სახით (მცირე რგოლი), რასაც გოეთე უწოდებდა „იდეის ბილულობას სახეში“. მერე ის ქალი „თითქოს თავლი იღვრებო“, ისე მსუბუქად დაჭდა ცეცხლის პირას სამფეხა ჩიკა სკამზე და „ლამაზი, სანთე-

ლივით ანთებული თითები მიაპყრო მოვიზვიზე ცეცხლს.

ათასი საუკუნე რომ ერთმანეთს გადამბოდა მაინც ვერ გაძლებოდაო კაცი იმისი ცქერით — ამბობს ვაჟა და ვანაგრძობს ალევგორიას: იმ ქალის შემოსვლა და, ვაჟას ჩაბნელებული დარბაზი უცებ განათდა, გადიდდა და თითქოს მთელ ქვეყნიერებად იქცა...

— როგორ დამშვენდა, როგორ ტურტა შეიქმნა მაშინ ის ჩემი ჭეკრტიანი დარბაზი, — ამბობს ვაჟა — იმაზე კარგს სად რასა მნახავდი, ცოდვილო ადამიანის შვილო... და სხვა. ასე წარმოიდგინა მან ბუნების საიდუმლოების გახსნილი სახე. გოეთეც ზომ მითიურ ელენეს აჩრდილს მოუხმობდა ამისთვის და ამბობდა ბუნება თავის საიდუმლოებას მშვენიერების სახით გვიხსნიოს... ვაჟას გამჭკვარტლული ქოხის გაჩირაღდნებულ დარბაზად ქცევაც ამისი ალევგორიაა...

...ქალმერთ თემიდას შემოსვლამდე ნიურნბერგის იუსტიციის სასახლის სხდომათა დარბაზიც, სადაც პროცესი მიმდინარეობდა, ისევე სანახევროდ ჩაბნელებული იყო, როგორც ვაჟას მამა-პაპური ქოხი. ამერიკელებმა, რომელნიც იქ მასპინძლების როლს ასრულებდნენ, მართლაც სცადეს რელიგიური „საშინელი სამსჯავროს“ გათამაშება. დადგმაც ბიბლიური ხასიათისა იყო. დეკორაციებიც, მთავარი სამხედრო დამნაშავენი ჩასვეს ციხეში, რომელიც გვირაბით უერთდება ნიურნბერგის იუსტიციის სასახლეს. ამის შემდეგ ამერიკელებმა იუსტიციის სასახლის საკნებში, დერეფნებსა და დარბაზში ჯერ კიდევ პროცესის დაწყებამდე ამოკოლეს ყველა ფანჯარა და მძიმე ფარდები ჩამოაკიდეს, რომ მსჯავრდებულებს უკვე არასოდეს არ ეხილათ მზის სინათლე, ანუ „მთიები აღმობრწყინებულნი“ „და რათა არა მოიძიონ ივინი უფალმან ზეგარდმოდ, არცა რათა მოვიდეს მას ზედა ნათელი, და რათა შეიპყრეს ივინი

ზნელმან, და აჩრდილმან სიკუდილისა მან“...

ამის გამო მთელი ამი თვის განმავლობაში პროცესი ელექტროშუქზე მიმდინარეობდა. მიზანსცენაც თავისებურად იყო დაწყობილი. სხდომათა დარბაზში გარდა ერთი კარისა, რომლის პორტალზეც ის თვალემახვეული თემიდა იდგა, დანარჩენი გაუქმებული იქნა. ამ ერთი კარით უნდა შემოსულიყო და გასულიყო ყველა, ვინც, მართლმსაჯულებას ემსახურებოდა ან მისი მახვილის სიმძიმეს მოელოდა, ვითომ იმის ნიშნად, რომ სამართალს სხვა გზა არა აქვს, გარდა ერთისა. არც ბედისწერას ადამიანისას!..

...ასე დაიწყო მითების თამაში სინამდვილესთან. მერე ის თემიდა წამოდგა და გონების თვალი მოავლო იქაურობას.

დარბაზი მაშინვე განათდა, ისე როგორც ვაჟას მამა-პაპური ქოხი. კედლებმაც განზე გაიწია, ჭერიც ამაღლდა და ამ დარბაზმაც „მთელი ქვეყნიერება“ მოიცვა. თვალახვეულ თემიდას წინაშეც მთელი მსოფლიო ან, ისევე ვაჟას ენით რომ ვთქვათ, „მთელი პლანეტი“ გადაიშალა. პროცესმაც მაშინვე დაეკარგა რეალური განზომილებანი და რაღაც მითიურ უსასრულობაში გადაიზარდა. გონების თვალი გაყვა ამ უსასრულობას და იმ 21 მთავარ სამხედრო დამნაშავეთა შორის, რომელთაც თავზე თეთრმუზარადებიანი სამხედრო პოლიციელები ადგნენ ხელკეტებით, დაინახა ათ მილიონამდე კიდევ სხვა, იმ ეჭვისი დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები, მეთაურები და აქტიური ფუნქციონერები, რომელთაც ამავე პროცესზე ასამართლებდნენ. აქვე გამოჩნდნენ ისინი, ქმრებსა და შვილებს რომ წერდნენ ფრონტზე: „ვილი, ძვირფასო, გამომიგზავნე სურათები როგორ ხოცავ პარტიზანებსო“. არც ისინი დარჩნენ შორს საკონცენტრაციო ბანაკებში და ხოცილთა ტანისამოსს რომ ინაწილებდ-

ნენ და სისხლს თუ შენიშნავდნენ საჩივრებს გზავნიდნენ, რატომ წინასწარ კარგად არ წმენდნენო. მსჯავრს ვერც ის „სინიდისისა და პასუხისმგებლობისაგან“ გათავისუფლებული გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები აცდნენ, დაპყრობილ ქვეყნებში რომ აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას... და კიდევ ვინ იცის რამდენი მილიონი იტაცებდა თავზე ხელს, ვინმეს რომ უფრო ხმაშაღლა დაეძახა, დამნაშავეებს ქუდი ეწვიოთ.

ეს კიდევ არაფერი. მერე ბრალდებულების უკან გამოჩნდა 50 მილიონამდე მსხვერპლი ამ ომისა და ორი ამდენი ჩამქრალი თვალით მიაჩერდა იმათ, ვინც მოწოდებული იყო მსჯავრი დაედო დამნაშავეებისათვის. როგორც ხედავთ, აქაც გაცოცხლდა აპოკალიპსური მითი საშინელი სამსჯავროს შესახებ, სადაც გამოჩნდნენ „სულნი იგი მოკლულთანი წამებისათვის იესოისა და სიტყვისათვის ღმრთისა, და რომელთაცა არა თავუპნი სცეს ხატსა მას მხეცისასა და არც მიიღეს ბუქედი მისი შუბლთა ზედა, ანუ ხელთა მათთა“...

ეს მხოლოდ ისინი, ვინც ომმა შეიწირა და ვინ იცის მათ გვერდით კიდევ რამდენი ასეული მილიონი ჭირისუფალი იდგა — მშობლები, შვილები, დები, ძმები, ნაცნობები და მეგობრები, რომელნიც მოითხოვდნენ მართლმსაჯულებას, იქნებ შურისძიებასაც!

მოსამართლეებს შორის ჩადგა ყველა, ვისაც ოდესმე სამართლის კვერთხი აღუმართავს. იარუსზე კი 250 კორეს-პონდენტთან ერთად იყო დანარჩენი მსოფლიო, რომელიც ინტერესით აღევნებდა თვალყურს პროცესის მიმდინარეობას და ფიქრობდა თავის მომავალზე.

არც ესაა ყველაფერი. მერე რომ ამ ომის მსხვერპლნი ერთბაშად ადგნენ და ჰკითხეს ცოცხლებს: თქვენ სად იყავითო, როცა ეს ამბები ხდებოდა, ვინ იცის, კიდევ რამდენმა მილიონმა იგრძნო თავი სამსჯავროს წინაშე, იურიდიულისა თუ არა, მორალურისა მაინც, თე-

მიდას თვალებს ხომ არაფერი გამოება-რება. ის კარგად ხედავს უმჯობესეს: ერთავითვე აფრთხილებდა მსხვერპლს მისი ჰიტლერი — ომია, და ამ ომშიც უდიდესი მსხვერპლი გაიღო, რათა კაცობრიობა ეხსნა ყავისფერ ჭირისაგან. თემიდას თვალებს ვერც ისინი ეშალებოდა, წლების მანძილზე რომ ხელს უმართავდნენ, აიარალებდნენ და აქეზებდნენ ჰიტლერს. ყველამ კარგად იცის, რომ იყო მიუხედავად და ისიც რამდენი! ახლაც იგივეა. გუშინ დამხობილები დღეს რევანშისტის ეშალებოდა. მათაც ჰყავთ თავიანთი მიუხედავები ჩემგერლები და დალაღიები, რომლებიც ამბობენ, კიდევ ერთი თაობა წამოიზარდა ომისთვისო. როგორც ჩანს, ისევ მილიონები უნდათ გაგზავნონ მათთვის სასურველ მომავლის სამსხვერპლოზე. იმაზე კი არ ფიქრობენ, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარს ვალად რომ აწევს გამოისყიდოს პირველი ნახევრის დანაშაული. პროცესზეც თქვა: იმისდა მიხედვით თუ როგორ გავასამართლებთ ამათ. ჩვენც ისე გავასამართლებსო ისტორია. ასეც მოხდება, მაგრამ ვინ იცის, მაშინ ვინ იქნება ვისი მსაჯული!

„ძალმომრეობის კანონი დღეს ერთისაა, ხვალ სხვისაო“... ამბობს აკაკი.

ჯოჯოხეთის მეტაფიზიკა...

...ასეთია კოორდინატები და განზომილებები იმ ათასი ფუთი ბრალდებისა, რაც თბრობის დროს უნდა დავდოთ თემიდას სასწორის ერთ — ცოდვა-ბრალის თასზე და დავამატოთ სიმძიმე იმ სულიერი დეპრესიისა, რაც ამ საშინელმა ამბებმა გამოიწვია. ის დღესაც მძიმე ტვირთად აწევს დასავლეთის აზროვნებას. ვინც ამ ამბებს მხოლოდ უარყოფის ნიშნით შეხება აბსოლუტური გულგატეხილობის პოზიციამდე მივიდა. სუსტი ნებისყოფის ხალხმა ვერ გაუძლო ბოროტების ასეთ მოძალუბას და დიწყო ისტერია. მახსოვს, იმ დღეს პროცესზე რომ შემოიტანეს „ძვალსამტკრევი მან-

ქანა“, პატიმრების ქონისგან დამზადებული საპონი, ცოცხალი ადამიანის ტყავისაგან გაკეთებული ნივთები — აბაეურები, ხელჩანთები, საფულეები და სხვ. მდივანმა ქალმა ვერ აიტანა და იკივლა. გაიყვანეს. მთარგმნელ გოგონას ვული შეუღონდა... ისიც, ბრალდებულთაგან ზოგმა თავი ჩაღუნა, ზოგმა შავი სათვალე აიფარა, პაპენმა და შახტმა ზურგი შეაქციეს დარბაზს... ამერიკელმა ბრალდებულმა კი ხელში ლექსების წიგნი შეათამაშა და სთქვა:

— აი, ლირიკული ლექსების კრებული, რომლის ყდაც ცოცხალი ადამიანის ტყავისაგანაა გაკეთებული...

ახლა ჩემს გვერდით მჯდომმა ფრანგმა პოეტმა, რომლის შესახებაც შემდეგ ვიამბობთ, ვერ მოითმინა, ფეხზე წამოხტა და ისტერიულად იყვირა:

— სალუტ, ცივილიზაცია, სალუტი!.. სახეზე ადამიანის ფერი არ ედო, თვალები უზომოდ გაფართოებოდა და მთელი ტანით ცახცახებდა. ვეცით, რომ გარეთ გაგვეყვანა... გაგვიძალიანდა, ყელსახვევი ჩამოიგლიჯა და ერთხელ კიდევ შესძახა:

— სალუტი!..

ძლივს გაიყვანეთ. გარეთაც ბორავდა და ყვიროდა:

— უნდა ვალიაროთ! სხვა ვზა არ არის, უნდა ვალიაროთ!

ჯერ მის სიტყვებს ყურადღება არ მივაქციეთ, მერე ისევ რამდენჯერმე წამოიყვირა:

— თუ ასეა, უნდა ვალიაროთ!

— რა უნდა ვალიაროთ? -- ჩავეკითხე მე.

თითქოს მის დაძაბულ სხეულს ერთბაშად ძვლები გამოეცალაო, ისე მოეშვა, მოდუნდა და ჩვარივით დაეცა სკამზე. მერე თვალბზზე ხელები აიფარა და უფრო გაკუდული ხმით თქვა:

— უნდა ვალიაროთ:

— რომ ქვეყანა შეიშალა,

— რომ ბრძოლა უაზროა,

— რომ სიკეთე შეუძლებელია,

— რომ ყველაფერი დამთავრებულია და...

— რომ ჩვენც მალე... *მეტი* ვიწყებთ ყმუილს!..

ასეთივე ხმები გაისმოდა მაშინ მთელ ევროპაში:

— ადამიანი გაკოტრდა!

— პიროვნება უახლოვდება არაფერს!

— კაცობრიობა კატასტროფული სისწრაფით მიექანება უფსკრულისაკენ!

— ქვეყანა ჯერ საგაყეთად იქცევა, მერე კრემატორიუმად!

— ყველაფერი უაზროა!

— ჩვენი სიღრმე უფსკრულია!

— რაკი სიკვდილი აუცილებელია, რა საჭიროა დროსთან ვაჭრობა?

— ქვეყანაზე ისეთი არაფერია, რაც ზიზღით არ დაიძლევა!

— მივენდოთ ცხოვრების უღმობელ სისასტიკეს!

— თუკი არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, რა საჭიროა შესწილობამდე მივიდეთ?

— დინოზავრებს წინააღმდეგობას არ უწყევნს, ქალიშვილო!

— ცოცხალი ძალის სჯობია მკვდარ ღმრს!

— რისთვის ვიცხოვროთ? — კითხულობდა სასოწარკვეთილი.

— „სისხლი, იავოს სისხლი“! — ყვიროდა შურისმაძიებელი!

— „ელოდეთ წარღვნას, ან სასწაულს!“ — ქადაგებდა „წინასწარმეტყველი“ — ემზადეთ... მოსამზადებლად...

ემზადეთ, რომ მოემზადოთ მოსამზადებლად... ემზადეთ, რომ მოემზადოთ მომზადებულად... ემზადეთ... და ასე შემდეგ... — ლოცულობდა ყველაფერზე ხელჩაქნეული.

— „დადუმდა ჩვენში მუსიკა, რომლის ჰანგზე ძლივს ფეთქდა სიცოცხლე. მორჩა და გათავდა. ახალგაზრდული სული მოკვდა — სადღაც, ქვეყნის დასასრულთან, ქვეშაირიტების ძიების ხანგრძლივობაში“ — წერდა ის, ვინც სიკვდილსაც ნისიად არიგებდა... ყველაფე

რი ეს იმ სულიერი დებრესიის შედეგი იყო. მათი აზრით, ბოროტება ბუნებაა ადამიანისა და არა თვისება, ისე ყველა დამნაშავეა და ცოდვილი. ადამიანში ჯერაც არ არის დაძლეული ველურობა. არც არასოდეს დაიძლევა, რადგან ეს ბუნებაა მისი. ყველა ერთნაირია. შესაფერ გარემოში ყველა გამოაჩენს თავის მხეცური ინსტინქტებს. თავისთავად არც სიკეთე არსებობს და არც ბოროტება. ამას ადამიანები ქმნიან. სიკეთე ფარისევლობაა, ნიღაბი: ბოროტება — არსი! ამიტომ:

- ყველა ბოროტია!
- ყველა დამნაშავეა!
- ყველა ცოდვილია!
- ყველა აგებს პასუხს!
- ყველა უნდა დაისაჯოს!

ცხოვრებაც ასეთია: დღეს რომ ბრალმდებელი ხარ, ხვალ ბრალდებული იქნები. ან პირიქით. ეს სიტუაციაზეა დამოკიდებული. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ჯალათიც იქნები და მსხვერპლიც; პატიოსანიცა და არამზადაც. ასეც შეიძლება და ისეც... ამაშია პარადოქსი ადამიანური არსებობისა, რასაც ასეთი შინაგანი იუმორითა და ალეგორიით გამოხატავს სარტრი თავის პიესაში „ოთხ კედელს შორის“...

...გარსენი სასტუმროში შევიდა და პორტიეს კბილის ფუნჯი სთხოვა. არა გვაქვსო, უთხრა პორტიემ. გარსენმა ახლა სარკე ითხოვა, არც სარკე გვაქვსო, უთხრეს და იგი გაბრაზებული წავიდა თავის ნომერში. პორტიემ მხრები აიჩეჩა და გაიკვირვა:

— გადასარევია, რად უნდა ამ კაცს აქ კბილების წმენდა?

თურმე ყოფილმა ჟურნალისტმა გარსენმა არც იცის, რომ ის უკვე მკვდარია — დახვრეტილი, როგორც დეზერტირი; ახლა კი ჯოჯოხეთშია, მაგრამ აქაურობა თურმე ისე ჰგავს იმქვეყნიურ ცხოვრებას, რომ ვერც ამჩნევს ამას. ნომერში რომ შევიდა, ნახა ოთხი უფანჯრო კედელი და ერთი კარი. რომე-

ლიც არსად არ გადის. სარკე არც აქაა, რომ „შეიმეცნოს თავი მარტოობისა“ — გოს ვინ არის, თორემ ინიც არ იცის აქ რატომ არის, მარტოა, თუ სხვებიც არიან? თვითონ კი უნდა, რომ მარტო იყოს, რათა გაერკვეს საკუთარ არსებობაში, მაგრამ ჩნდება მეორე — ინესი, ისიც დამნაშავე, საკუთარი ბავშვის მკვლელი, თანაც ისეთი, კაცები კი არა, ქალები რომ უყვარს. მერე კიდევ ერთი გამოჩნდება, მესამე — ესტელი, ქარაფშუტა როსკიპი, რომელსაც, პირიქით, ქალები კი არა, კაცები უყვარს და თავი ვაზით მოიწამლა.

ნომერში ეხლა სამნი არიან. ერთად თუ ცალცალკე — სულერთია. არც ის იციან. შემთხვევითია მათი ერთად ყოფნა, თუ კანონზომიერი? ეს არც გარსენმა იცის, არც სხვებმა, რადგან ისინი მართლა სხვებია; ე. ი. სამი ერთი, და ორი სხვა: გარსენისათვის — ინესი და ესტელი; ინესისათვის — ესტელი და გარსენი; ესტელისათვის — გარსენი და ინესი. ყველა მათგანს უნდა მარტო იყოს. მაგრამ მარტოობას მხოლოდ მაშინ შეუძლია მარტოდ ყოფნა. როცა მარტო იქნება, თუ მეორე იქნა, მარტოობა აღარ იქნება — გაჩნდება სხვა. ან თუ მესამეცაა — სხვები. ნომერში ახლა სამია, მაშისადამე, ერთი „მარტოობა“ და ორი „სხვები“. იმ ერთს ორის შემოხედვა აწუხებს, რადგან ის მარტო თავისთვის კი არ არის, არამედ სხვებისთვისაც, როგორც იმ სხვების სხვა. ე. ი. ყველა სხვაა სხვისთვის. არც ერთმა „სხვამ“ არ იცის თვითონ რაა. ამისათვის სარკეა საჭირო: სარკე კი არ არის; სამაგიეროდ არის მეორე, რომელიც შეიძლება სარკეც იყოს. ყველას აინტერესებს როგორია ის მეორის სარკეში. უნდათ კიდევ სხვებში რომ თავიანთი თავი დაინახონ, მაგრამ ერთის ფიქრი მეორის თავში იწყებს ხმაურს, მეორესი მესამეში, ბოლო მესამესი პირველში და ასე ყველაფერი ყველაფერში. ეს იმას ნიშ-

ნავს, რომ შეიძლება მათ შორის კავშირი დამყარდეს.

ესტელს უნდა გარსენის ყურადღება მიიპყროს. აბა, რა ჭნას? სხვა გზა თუ არ არის, ერთად უნდა იარსებონ. გარდა ამისა, მას მამაკაცები უყვარს, გარსენი კი მამაკაცია, თანაც ერთადერთი, მერე ინესიც შეუერთდება მათ. რადგან ესტელთან უნდა ყოფნა. ის ქალია, მაგრამ მაინც ხომ ქალები უყვარს!

ამის შემდეგ სამივენი ერთად არიან და ერთმანეთს უამბობენ თავიანთ ცხოვრებისა და სიკვდილის ამბებს. რა თქმა უნდა, სამივე ტყუის, მაგრამ ტყუილი მხოლოდ ერთთან შეიძლება, ორთან არა. ამიტომ ერთისთვის დანარჩენ ორში მეორე ყოველთვის ზედმეტია. უხერხული და შემზღვეველი, ე. ი. ჯალათი. ამიტომ თითოეული მათგანი იმავე დროს ჯალათია ორი დანარჩენის. ამის გამო ჯოჯოხეთის ხელისუფლებამ შტატების შემცირების დროს სულ გააუქმა ჯალათის თანამდებობა და აღამიანები თვითმომსახურებაზე გადაიყვანა, ე. ი. თვითონ აქცია თავიანთი თავის ჯალათებად. ახლა ვინც დასახელია იმავე დროს ჯალათიცაა, ყოველი ერთი — დანარჩენი ორის. მაგ., თუ გარსენისათვის ორ სხვაში პირველი ესტელია, მეორე ინესი — ჯალათი იქნება ორივესთვის; ინესისათვის თუ ესტელია ორში პირველი — მაშინ მეორე, გარსენია ჯალათი და ა. შ.

ყველა ჯალათია და ყველა მსჯავრდებული, როგორც ერთმანეთის სხვები. ეს „სხვები“ წარმოადგენენ ჯოჯოხეთს. ესე იგი „ჯოჯოხეთი — ეს სხვებია!..“

... ასეთია იმათი ფიქრი, ვინც დარწმუნებულია, რომ ყველა ერთნაირია, ყველა ჯალათია და ყველა ერთად ჭმნის ჯოჯოხეთს. სიკვდილამდე თუ სიკვდილის შემდეგ—სულერთია! აქაც ისაა, რაც იქ! ცხოვრება უაზრობაა, მარადიული დამე, შავით შავზე წერა, არაფერი, ანუ უფრო ცოტა, ვიდრე არაფერი... დროც გაჩერებულია. საათის ისრები არ მოძრაობენ. ყველაფერი ერთი და იგი-

ვეა და ამ ერთიდაიგივეობის ჯაი ყოველთვის ნოლია. ეს კი „კიკვილი“ წრეების ბრუნვას ჰგავს. მკითხველს მცირის, სულერთია, მაინც ერთნაირად აუცილებლისა და შეუძლებლის. ისიც ხომ დასაშვებია, რომ ერთიდაიგივეობის მონაცვლეობა ჰქმნიდეს მათ მოჩვენებით სახესხვაობას? ან იმ წრეების ბრუნვაში ჩნდებოდეს განსხვავება თუ მათში მახვილ კუთხეს წარმოვიდგენთ? ერთი ხომ ერთია, მაგრამ მეორესთან ისიც მეორედ იქცევა, თუკი მესამე აღმოაჩენს მათ ერთად ყოფნას. ხომ შეიძლება ამ სამში ყველა პირველიც იყოს, მეორეც და მესამეც! პირველი მეორისა და მესამის, მეორე პირველისა და მესამესი, ხოლო მესამე—პირველი ორის? რაც სამკუთხური რგოლი იქნება ერთიდაიგივეობის წრეში?.. ასეთ მოჯადოებულ წრეში ბრუნავს ყველა, ვინც დაკარგა წონასწორობა და იმედი,—ვინც დამარცხდა ცხოვრების „უღმობელ სიდიადესთან“ ბრძოლაში და მინებდა...

...თავი უხერხულად ვიგრძენი, რომ ამგვარი თვალსაზრისის გამოთქმის დროს ინგლისელმა ბრალმდებელმა შექსპირის სიტყვები გაიხსენა:

— სისხლი და ნგრევა იქცევა ისეთ ჩვეულებრივ ამბად, ხოლო უსაშინლესი სანახაობანი იმდენად ყოველდღიურად, რომ დედები მხოლოდ გაიცინებენ, როცა შეხედავენ ბრძოლის ველზე ოთხში ამოყვანილ თავიანთ შვილებს. სიბრალულის გრძნობას სრულად მიჩაღუნებებს ბოროტების ჩადენის ჩვეულება...

იუმორს ვერც ასეთ დროს წაუხვალ თურმე! გერმანული იგავია: ორი დედა ხვდება ერთმანეთს, ორივე შავებშია, რადგან ორივეს ომში დაეღუპა შვილი:

— სად მოჰკლეს თქვენი ვაჟი? — ეკითხება ერთი მეორეს.

— ლაიპციგში! — მიუგებს მეორე.

— ოო, ლაიპციგი მშვენიერი ქალაქია! — ამბობს პირველი.

ამის შედეგია, ვრძნობების მოჩლუნგება, განურჩევლობა და ცინიკური აზრი:

— როცა მე ყავას ვსვამ და გაზეთში ვკითხულობ ამა და ამ ქვეყანაში წყალდიდობის დროს ამდენი ათასი კაცი დაიღუპაო, ჩემზე ყავის სურნელება უფრო მოქმედებს, ვიდრე ის ტრაგიკული ამბავი...

ასეთი ადამიანები უკვე აღარ იბრძვიან, არც არაფერს მოითხოვენ, სურვილიც არა აქვთ საკუთარი. ერთადერთი, რაც მათ ხელს აძლევს, ეს არის არსებობის „ტყბილი საზიზროების“ შეგნება და შეგუება...

წინააღმდეგობის ძალა...

მერე სიკეთე-მადლის მთელი ძალა ერთბაშად აიშალა ჯოჯოხეთისა და მისი პანდემონიუმის წინააღმდეგ, მსოფლიოს ყველა კუთხის კეთილი ნების ადამიანები შეკავშირდნენ და წინ აღუდგნენ ბოროტების ამ გაუგონარ მოძალედს. სიცოცხლის შეშფოთებულმა ინსტიქტმა ისე გაიბრძოლა ადამიანში, რომ სიკვდილი შედრკა მის წინაშე. ან სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როცა სიცოცხლეა და არა სიკვდილი ბუნების მიზანი. ვაჟა ამბობს, რომ ბუნებაში ყველაფერი სიცოცხლისკენაა მიმართული, ანუ „მქნელია სიცოცხლისა“. ბუნება „სიკვდილის სიცოცხლედ მაქცეველია“, რადგან სიკვდილ-სიცოცხლე ორივე მის ხელთ არის; და თუ ადამიანი „კაცური კაცია“ ანუ „კაი ყმაა“, იგი „თვით სიკვდილშიც სიცოცხლეს ჰპოულობს“, ეს ქმნის სიცოცხლის უძლეველობისა და მარადიულობის მოდუსს. ვინ იცის, რამდენ ადამიანს უცხოვრია ამ ქვეყნად, რამდენი სახე არსებულა, რამდენი ფიქრი და ოცნება, სიყვარული და მწუხარება, რამდენი ფორმა შექმნილა და კვლავ დაშლილა, რამდენი და რამდენნაირი მცენარე ამოსულა მიწიდან და კვლავ დაბრუნებია მიწას, რამდენ რამეს უარსებია: ტყეში—ნადირს, ცაში—

ფრინველს, ზღვაში—თევზს, დედამიწაზე—ქვეწარმავალს... ყველაფერი სიცოცხლეობის უფსკრულშია შესაქმნელია, მაგრამ არსებობა მაინც გრძელდება, სიცოცხლე ისევ ხარობს... ბუნებაში არაფერი არ იკარგება, არც ნადგურდება. ყველაფერი რაც იყო, არის ისევ ყველაფერი! დრო-ჟამი სახეებისა და ფორმების ცვალებადობაა. საწუთრო—ჟამის დღე-ღამეობა! აქ დღეს ღამე მოყვება, ზაფხულს—ზამთარი, სიცოცხლეს კი სიკვდილი, მაგრამ ბუნების მარადიული გაზაფხულების წესი და რიგი უკანვე აბრუნებს ამ ჯარას და ღამეს დღით ცვლის, ზამთარს—ზაფხულით, ხოლო სიკვდილს — სიცოცხლით. ამიტომაც უკვირს ვაჟას, გული რატომ უნდა დაღონდეს, ან ნისლით გაიბეროს? სულ ხომ ასე არ ვიქნებით ყინულით დაქრუნჩხულნი? ზაფხული ისევ „მოალის“, მზე გაანათებს, მთები გულშეკრდს გადაიხსნიან და ქვეყანა შევებით ამოისუნთქავს.

ასეთია სიცოცხლის ძალა, მისი მარადიულობის კანონი... ვაჟაც ამიტომ ამბობს.

... და უფსკრულს დასცქერს პირიშზე მოღვრებულის ყელითა!..

იგი შეხარის თავის არსებობას, მზეს, ქვეყანას და თუ ვინმე სიცოცხლის ძალის უძლეველობისა და მარადიულობის ემბლემის შექმნას მოისურვებს, აი, ეს უფსკრულის პირას ყელმოღვრებული პირიშზე გამაოდგება სახედ იმისი, რაც მუდამ მზეს უყურებს და მზითვე ხარობს... ეს ცარიელი სიტყვა კი არ არის, არც პოეზია, პირაქით, შიშველი სინამდვილეა ბუნებისა...

... ქალაქის ქუჩებში ხომ ეინახავთ ჩვილი ბალახი რომ მტკაველის სისქე ასფალტს ამოხეთქავს? არ გაგვირევიბიათ? ან არ გიკითხავთ მაინც, რა აძლევს მას ისეთ ძალას, რომ პნევმატიკური ბურღის ძალით ანგრევს ამგვარ დაბრკოლებას? — სიცოცხლე უნდა, სითბო და სინათლე. ესაა, სხვა არაფერი...

... მახსოვს, ერთხელ ბუნების დიდ მგოსან მიხეილ მამულაშვილთან ჩავედი მცხეთაში და ვთხოვე ისეთი თაიგული გამიკეთე, რომ თვით ყვავილების ქვეყნის დედოფალიც გავაკვირვო-მეთქი.

თავისებურად ირიბად შემომხედა და მითხრა:

— მერე შენ გესმის, რას ნიშნავს ასეთი თაიგული?

— ალბათ, მესმის, რომ ამისთვის თბილისიდან თქვენთან ჩამოვედი-მეთქი.

მაშინ მამულაშვილთან არც ისე ხშირად დადიოდნენ თბილისელები და ნათქვამი ესიაშვანა. „ე, მანდ დადექო“ — მომამბანა და ყვავილების ვიწრო ხეივანში გაუჩინარდა.

ცოტა ხნისშემდეგ ისევ მოვკარი თვალი, სხვა მხრიდან მოდიოდა, თავისებურად, ცალგვერდულად, წელში მოხრილი და თვალბგაბრწყინებული. ხელში რაღაც ეჭირა, ისე სათუთად, ისე ფაქიზად, თითქოს საკუთარი გული მოაქესო.

მოვიდა და მართლაც ხელისგულის ოდენა ფიქალი ქვის ბრტყელი ნატეხი გამოამიწოდა, მოშავო, რუხი ფერისა, რომელსაც ერთ მხარეს ჭავსის ოდნავ შესამჩნევი ბუსუსი მოკიდებოდა; შუაში კი მორცხვად თავდახრილი პაწია პირიშზე ამოსულიყო...

გავეოცდი! სიცოცხლისადმი სწრაფვის რა განუზომელი ძალა იმალებოდა ამ პაწია მცენარეში, რომ ასეთ სიბჭვაზედაც ახერხებდა არსებობას.

მერე მამულაშვილის სიტყვებიც გავიგონე:

— დახე, რა ძალა აქვს სიცოცხლეს, ამ ვერანასა!

ხმა ვერ გავეცი! იმისიც შემეშინდა, ვაი, თუ თბილისამდე არც ჩამყვეს ბუნების ეს უნაზესი (თუ, ვინ იცის, იქნებ უძლიერესი!) ქმნილება-მეთქი, მაგრამ ისევ მან გამამხნევა:

— ნუ გეშინია, თავი მზისკენ დაუჭირე და არ მოიწყენსო.

წამოსვლისას ასეთი სიტყვებიც დაჰმადგენა:

— ახლა წადი, შვილსა, და გიყვარას, რას უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე პირიშებს, თუ იმ ელემენტარულ აგერ იქ რომ ავიშენებიათო...

... რა უნდა მეთქვა. განა ასე ადვილია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა? ვინ იცის, სად რა ძალა იმალება, ან რითი შეიძლება მისი გაზომვა... ჩვენ თითქოს ყველაფერს ვწონით და ვზომავთ— დედამიწის სიმძიმეს, მანძილს ვარსკვლავებამდე, მაგრამ მამულაშვილის მიერ დასმულ კითხვაზე მაინც ვერ ვუპასუხებ ვერც მაშინ, ვერც ეხლა. ამიტომაც ვფიქრობ, იქნებ თემიდას სასწორის ალეგორიამ ახსნას ფარდა ნეიტის ამ საიდუმლოებას. მჯერა კიდევაც იმ სასწორის ერთ თასზე რომ კაცობრიობის დანაშაულებათა მთელი სიმძიმე დაიდოს და ზედაც ის ათასი, თუ ასჯერ ათასი ფული ბრალდება დაემატოს, თუ მეორე თასზე სიცოცხლის ძალისა და უკვდავების სიმბოლოს— პირიშეს დავდებთ, ერთბაშად გადასწონის მთელ იმ სიმძიმეს, თუნდაც მილიონჯერ მეტიც იყოს ის. ასეთია სიკვდილ-სიცოცხლისა და სიკეთე-ბოროტების შეფარდება... მეც ამ რწმენით წამოვედი მაშინ მამულაშვილისაგან და თან წამოვიღე ცხოვრების ის ცოცხალი ემბლემა— სიბჭვაზე ამოსული პაწია პირიშზე...

მერედა რამდენი ასეთი პირიშვა ბუნებაში? რამდენი მცენარე, მწერი და ცხოველი, ქვეწარმავალი თუ ფრინველი? ყველაფერი ასეთი ძალით მისწრაფის სიცოცხლისაკენ, ხელს უწყობს მას. ვაჟა წერს: „სიცოცხლე მინდვრად, სიცოცხლე ტყეში, სიცოცხლე ზღვაში, წყალში, სიცოცხლე ცაში, სად გაიხედავ, რომ სიცოცხლე არ იყოს, იგი ყველაფერშია, რასაც სიკეთე და სილამაზე ჰქვია, რადგან „ლამაზი, მიშობღველი არაფერია სხვა თვინიერ სიცოცხლისა. ტურფა მშვენიერი, ბუნების ამოდენა გარდაქმნა ცვალებადობაში, არა რა არს გარეშე გაზაფხულისა“. გაზაფხული კი მქნელია, მშობელია სიცოცხლისა. „ყველა და ყველაფერი, სადაც კი თვალი და

ყური მიუწვდება ადამიანს, გულაპრა-
კება შემდეგ: მე ცოცხალი ვარ, ცოც-
ხალი და მიინდა კვლავ ვიცოცხლო, სი-
ცოცხლე ჩემი უნდა იყოს დაუსრულე-
ბელი“.

ასეთია საგანთა ბუნების წესი...

... ადამიანისა, მით უმეტეს. „არ შე-
იძლება მოკვდეს ლამაზი არსი ჩვენი
კაცობისა“—წერს ვაჟა. მან იცის, რომ
ადამიანის სულსაც თავისი გაზაფხული
აქვს. „როცა ადამიანის სულის გაზაფ-
ხულზე ჩამოვადგეთ სიტყვა — გვას-
წავლის ის — მაშინ ვერ დავივი-
წყებდით სიცოცხლეს. ვინაიდან გა-
ზაფხული იგივე სიცოცხლეა, და,
როცა ადამიანის სულს გაზაფხუ-
ლი უდგება, უეჭველია, მაშინ იგი
უნდა ცხოველმყოფელი სიცოცხლის
მქნელი იყოს“. ასეთი კი სული ადამიან-
ისა მხოლოდ მაშინ იქნება, თუ ის თ ა-
ვ ი ს უ ფ ა ლ ი ა. „მაღალი, ქვეყნის
მოყვარე სული შეიძლება მხოლოდ იქ-
ნეს სიცოცხლის მქნელად და სრულის
სიმშვენიერით მოგვევლინოს, მხოლოდ
თუ თავისუფალია იგი.—წერს ვაჟა,—
ადამიანი თუ არ ჰგრძნობს თავს ბედნი-
ერად, ვერც სულის გაზაფხულობას გა-
ნიცდის, და იგი, ვინც სიყვარულს არის
მოკლებული, ვერა დროს ვერ ეღიხება
გაზაფხულს სულისას“.

და ბოლოს ვაჟა აცხადებს: „მე, რამ-
დენადაც შემეძლო, დავასაჩივრე მოკ-
ლედ გაზაფხული თვითელი ადამიანის
სულისა, სხვა თქვენ გთხოვთ წარმოიდ-
გინოთ, თუ როგორი უნდა იყოს გაზაფ-
ხული ერის სულისა...“

უწყიდეთ მხოლოდ, ეს იქნება მსგავ-
სი ბუნების გაზაფხულისა, მისი განსა-
ზიერება და გამოხატველი მთა და ბა-
რის, ცისა და დედამიწისა.

გაზაფხული ერთის სულისა უმშვენი-
ერეს სურათს დაგვიყენებდა ერის სუ-
ლისას“...

... ამიტომ იბრძვის ასე თავდადებით
ყოველი ადამიანი და ერი მთლიანად
თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის,
ამიტომაც აღდგა მაშინ მთელი თავი-

სუფლებისმოყვარე მსოფლიო ფაშის-
ტური მონობის წინააღმდეგ სრული
ადამიანი მზად იყო გაეწირა თავი სამ-
შობლოს თავისუფლებისათვის, არა სიკ-
ვდილი, არამედ სიცოცხლე იყო მთი
მიზანი, მაგრამ სიცოცხლეს თამამად
მიჰქონდათ ქვეყნისა და ხალხის თავი-
სუფლების სამსხვერპლოზე.

უამრავია ამის მაგალითი! ასი, ათასი,
მილიონი და უფრო მეტიც! ვინ მოს-
თვლის, რამდენი ერის რამდენმა შეილ-
მა ჰპოვა გმირულ სიკვდილში თავისი
უკვდავება. მთელი მსოფლიოს ხალხე-
ბი, მათი ლიტერატურა, ხელოვნება,
პრესა, რადიო თუ ტელევიზია, აგერ 25
წელზე მეტია, რაც დიდების შარავან-
დებით მოსაეს მათ სახელს და მე
ასეთ საერთო დაღადისს რა უნდა შეე-
ვატო; ვარდა პირადად განცდილი და
გავგონილი ამბებისა. ერთ-ორ მაგალითს
ამისას ახლაც გიამბობთ, შემდეგ კი მი-
ნდა მთელი ამ თხრობის პათოსი იმის
ჩვენება იყოს, თუ სიცოცხლისა და სი-
კეთის ნათელი როგორ სძლეეს წყვი-
ადს ბოროტებისას...

...ნიურნბერგის დარბაზში შემოიყვა-
ნეს ქალარა ქალი, ცნობილი ფრანგი პო-
ეტის ვაიან ჯეტიურის მეუღლე, კლოდ
მარი—საპატიო ორდენის კავალერი და
გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. იგი
ნელნელა ავიდა ტრიბუნაზე, არა მარ-
ტო როგორც მოწმე, არამედ ბრალმდე-
ბელიც. მოსამართლეებმა უკვე იცოდ-
ნენ, რაც მას ვადახდა საკონცენტრაციო
ბანაკში. ეს ისე შემამჩრწუნებელი იყო,
რომ ტრიბუნალი შიშობდა კიდევ „შუ-
რისძიების გრძნობას არ დაეზნელებინა“
სიმართლის ძალა და, ამ ერთადერთ
შემთხვევაში, ნაწილობრივ შესცვალა
ტრადიციული ფიცის ტექსტი: „გფი-
ცავ, რომ ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ
სიმართლეს და არაფერს ვარდა სიმარ-
თლისა“.

ამის ნაცვლად თავმჯდომარემ, ლოუ-
რესმა, წარმოთქვა იმავე ფიცის შესწო-
რებული ტექსტი, რაც კლოდ მარიმ
სიტყვა-სიტყვით გაიმეორა:

„ვეიცავ, რომ ყოველგვარი გაბოროტებისა და შურისძიების გრძნობის გარეშე, ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს ვარდა სიმართლისა!“...

ამის შემდეგ მან სამსჯავროს უამბო, თუ როგორ გაიყვანეს სამასი ფრანგი ქალი საკონცენტრაციო ბანაკის ეზოში, გააშვილეს და სამი საათის განმავლობაში ამყოფეს 10-15 გრადუს ყინვაში. შემდეგ სიცვიისაგან დაკრუნჩხულებს გამოუცხადეს ოთხმწკრივად მოეწყვეთ, რომ სადღეინფექციო კამერაში გაგატაროთო. კლოდ მარიმ იცოდა, რა კამერაც იყო ეს და, როდესაც 300 შიშველი ქალი მწკრივებად მოეწყო, გესტაპოელებს მიმართა:

— არ გვინდა სიმარცხენო სიკვდილი ვახკამერაში. ჩვენ მზად ვართ პირდაპირ წავიდეთ კრემატორიუმში და ცოცხლად დავიწვით!..

მერე თავიანთ თანამემამულეებს მიუბრუნდა და შესძახა:

— მეგობრებო! ვაჩვენოთ ამ ბოშებს, როგორ კვდებიან ფრანგი ქალები!..

და წამოიწყო მარსელოზა! 300 ქალი აყვა ამ სიმღერას და ისე გაემართნენ კრემატორიუმისაკენ!..

გესტაპოელები დაიბნენ. ჯერ კლოდ მარის სტაცეს ხელი და სადღაც გააქრეს. მერე სხვებს დაერივნენ და ჯობებით შერეკეს „სადღეინფექციო კამერაში“.

ნახევარი საათის შემდეგ კვამლს გაპყვა მათი სიცოცხლე. კლოდ მარი კი სპეციალურ საწამებელ ბანაკში გაგზავნეს.

ადამიანური გრძნობების შეურაცხყოფა იქნება იმის მოყოლა, რაც მას იმ ბანაკში გადახდა... მაგრამ ყველაფერს გაუძლო, ცემას, ფრჩხილების დაგლეჯას, სხეულის დაშანთვას, თმებით დაკიდებას. ახლა ძნელიცაა იმის თქმა, თუ რა ძალამ აატანინა ამ ნაზი აგებულების ქალს ამდენი წამება. თვითონ კი ოდნავ შესამჩნევი სევდიანი ღიმილით ამბობდა:—განსაკუთრებით მძიმე წუთებში, როცა აუტანელი ტკივილებისაგან სიგი-

ვის ფრთების შეხებას ვგრძნობდი. კბილს კბილზე ვაჭერდნენ და ვეღარ ვიძვლებდი ვიძვლებდი: მთელი გაღების მიერ ვაჭმულს ვაჭმულს ვიძვლებდი:

— სანამ ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი!..

არც გამოიბენია და არც მოემკვდარვარ... ვავძელი, გადავიტანე... და აი, ახლა ვდგევარ თქვენს წინაშე, რომ გამცნოთ ეს ამბები!

თურმე ტყუილა შიშობდა ლოურენსი. კლოდ მარის სულაც არ ეტყობოდა გაბოროტება, ან შურისძიების გრძნობით გამსჭვალვა. პირიქით, ამ შემადარწუნებელი ამბების მოყოლა რომ დაამთავრა, ხელები ზეცისკენ აღაპყრო და წყნრად წარმოსთქვა:

— შეუდოს მათ უფალმა დანაშაულო, რამეთუ ისინიც ადამიანები არიან!..

... ნიურნბერგის ე. წ. „პოლონურ საქმეებში“ ასეთი ამბავი ამოვიკითხე: ერთი სოფლის მთელი მოსახლეობა გაიყვანეს მოედანზე და რომ დაემცირებინათ ისინი, უბრძანეს, დაეჩოქათ. არც ერთი მათგანი არ განძრეულა. ბრძანება გაიმეორეს. იგივე სურათი! გესტაპოელებმა ავტომატები მომართეს და დაემუქრნენ, ვინც არ დაიჩოქებს, დაგვრეტო. არც ამან გასჭრა. ყველა გაქვავებული იდგა. რამდენიმე წუთის შემდეგ გაისმა ავტომატების სროლის ხმა და ათიოდე კაცი დაეცა. სხვები მაინც არ განძრეულან. მუქარა გაიმეორეს, მაგრამ ისევ არავითარი პასუხი. გესტაპოელები გააცეზლდნენ. შტურმფიურერმა იყვირა:

— მოემზადეთ!

ავტომატები ისევ მომართეს, ხალხი კი მაინც სლუმდა. მერე ოციოდე წლის ყმაწვილი წამოიწია წინ, მუშტი აღმართა და დაიძახა:

— ძირს პიტლერი, გაუმარჯოს პოლონეთს!..

გაიყვანეს და იქვე დახვრიტეს ყველას თვალწინ. ამის პასუხად ხუთმა ახალგაზრდამ შესძახა:

— ძირს პიტლერი, გაუმარჯოს პოლონეთს!..

ხუთივე დახვრიტეს. ვერც ამით დაამინეს პატრიოტები.

ახლა ოციოდე მამაკაცი გამოვიდა წინ და იგივე გაიმეორა: ოცივე ტყვიებით დაცხრილეს! მოედანი კი ერთხმად გუგუუნებდა:

— ძირს პიტლერი, გაუმარჯოს პოლონეთს!..

... მთელი ხალხი უჭერდა მხარს პატრიოტების ასეთ თავგანწირულ ბრძოლას. ვერავითარმა ძალამ ვერ აიძულა ისინი შეეწყვიტათ წინააღმდეგობა... მერე ტერორმა სულ კომპარული ხასიათი მიიღო. დაიწყო პოლონეთის „განხალხება“. ციხეებმა და ბანაკებმა ვერ დაიტია მოზღვავებული „სალიკვიდაციო მასალა“. ვერც ტრანსპორტი აუვიდა პატიმართა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანას. ამ სიძნელეებით შეწუხებულმა პოლონეთის გენერალ-გუბერნატორმა პანს ფრანკმა შეკრიბა გესტაპოს უფროსი მოხელეები და უყვირა:

— რას მიათრევთ მათ საკონცენტრაციო ბანაკებში, მოსხვით ადგილობრივს!.. იმ დღიდან პოლონელ პატრიოტებს პირდაპირ ქუჩებში ხვრეტდნენ. შეძრწუნებული მოსახლეობა ფარდებფარებულ ფანჯრებიდან და დერეფნებიდან უთვალთვალებდა ამ საშინელ სურათს. მერე, როცა მკვლელები წავიდოდნენ, კაცები ჩუმად გამოდიოდნენ სახლებიდან და მარხავდნენ დახოცილთ, ქალები კი თანამემამულეების სისხლით გაელენთილ მიწას იღებდნენ პეშვით, ლარნაკებში ყრიდნენ და მიჰქონდათ ეკლესიაში, რომ იქ პარაკლისი გადაეხადათ მათი სულის მოსახსენებლად...

... ასე იბრძოდნენ ყველა ქვეყანაში. სადაც კი გერმანელმა ვანდალებმა დადგეს ფეხი. პატრიოტები თავს სწირავდნენ მათი ხალხის თავისუფლებისა და უკეთესი მომავლისათვის, სიცოცხლისა და სიყვარულისათვის...

— მოვკვდე იმ იმედით, რომ დადგება

უკეთესი დრო, ამაზე მშვენიერი არის! — უთვლიდა მშობლებს ფრანგი სიკვდილით დახვრიტეს.

— დეე, სიყვარული და არა სიძულვილი ბატონობდეს ქვეყნად! — წერდა სიკვდილმისჯილი შვილი დედას.

— მშვიდობით, — ნეტავი ყველა თქვენთაგანი იქნეს ჩემი ღირსი! ამყობდა თავისი სიკვდილით ფრანგი პარტიზანი.

ასეა. გმირული სული სიკვდილსაც სიცოცხლის დიდებლად აქცევს. ვინ იცის, რამდენი ასეთი „გაურუჯავი სული“ გამოიწრთო იმ ომსა და დავიდარებაში, რამაც თანდათან ტოტალური ხასიათი მიღო. მასში დედამიწის ხუთივე კონტინენტი იღებდა მონაწილეობას — იარაღით ხელში, თუ შრომით, სულერთია, მიზანი ერთი იყო: გერმანია-იტალია-იაპონიისა და მათი სატელიტების აგრესიული პოლიტიკის დამხობა. ნაციისტური გერმანიის მიერ ერთხელ აგორებული ქუჩკვი წლების განმავლობაში ისე გაიზარდა, რომ მთელ დედამიწას მოედო, ნაციზმი თავის კანში ვერ ეტეოდა. პიტლერმა ჯერ ავსტრია შეიერთა, მერე ჩეხოსლოვაკია დაიპყრო და, რაკი წინააღმდეგობა არავინ გაუწია, პოლონეთს დაეტაკა. შეშინებულმა ინგლისმა და საფრანგეთმა მაშინვე ომი გამოუცხადეს გერმანიას, თუმცა პოლონეთის დასახმარებლად ხელიც არ გაუწოდებიათ. ამით ისარგებლეს გერმანელებმა, ადვილად დაამარცხეს პოლონეთის შედარებით სუსტი სამხედრო ძალები და იოლი გამარჯვებებით გათამამებულნი ევროპის სხვა სახელმწიფოებს მიესივნენ. არც აქ შეხვედრიათ ჯეროვანი წინააღმდეგობა და ზედიზედ დაიპყრეს დანია, ნორვეგია, პოლანდია, ბელგია, საფრანგეთი, იუგოსლავია და საბერძნეთი. ამავე დროს, დაიმორჩილეს და მოკავშირედ გაიხადეს უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და ფინეთი. „ნეიტრალური“ ესპანეთი, თურქეთი და შვეიცარია კი თავიანთი ეკონომიური ვალებს ქვეშ მოაქციეს. ამით გერმანია-იტალიის სამხედრო პოტენციალი და რესურსე-

ბი ერთი ორად და უფრო მეტად გაიზარდა. ომის არენა კი კატასტროფული სისწრაფით გაფართოვდა. გერმანიის, იტალიის და ინგლისის ფლოტებს დიდი შეტაკებები მოუხდათ ატლანტიკის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვაში. მერე ომის ტალღებმა აფრიკის კონტინენტამდე მიიღწია, ცხარე ბრძოლები გაიმართა აბისინიაში, ლიბიაში, ტუნისსა და აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროებზე. თავდაპირველად, გერმანიის ფლოტმა აქაც ვარკვეულ წარმატებას მიიღწია. ორ-ნახევარი წლის საზღვაო ბრძოლების შედეგად ინგლისმა ორი ათასსუთასზე მეტი სამხედრო და სავაჭრო ხომალდი დაკარგა. გაძლიერდა საპაერო თავდასხმები. ჰიტლერელებს უნდოდათ უკვე მისუსტებული ინგლისიც თავიანთ მოკავშირედ გაეხადათ და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაეთრიათ, მაგრამ რაკი ეს არ გამოვიდა, გადაწყვიტეს დაეწყოთ დიდი ხნით ადრე მომზადებული გეგმის, „ბარბაროსას“ განხორციელება. 1941 წლის 22 ივნისს ისინი თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს, რითაც ისედაც შორსგაქცეული ფრონტი კიდევ 2 ათასი კილომეტრით გაზარდეს. ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე გიგანტური ბრძოლები გაიმართა. ომის რადიუსი კი სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ბოლოს იაპონიაშიც გამოიღო ხელი და მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში აწარმოებდა ომს, 1941 წლის 8 დეკემბერს თავს დაესხა ამერიკის ფლოტს პაეაის კუნძულებზე—პირლ-ჰარბორში. ამის შემდეგ ომის ცეცხლი აზიის კონტინენტსაც მოედო. დიდი საზღვაო-სახმელეთო ბრძოლები გაჩაღდა წყნარი ოკეანის აუზში, ჩინეთში, ინდო-ჩინეთში, ინდონეზიაში, ფილიპინების კუნძულებზე და სხვაგან. ამით ომმა თანდათან გლობალური ხასიათი მიიღო და მთელი „ჩვენი პლანეტა“ მოიცვა. მილიონობით სახმელეთო, საზღვაო და საპაერო ძალები ჩაებნენ ამ ჭეშმარიტად ზღაპრულ ბრძოლაში. ისევ აღდგა ბიბლიური „მსოფლიო წარღვნის“ ალეგორია. ეს იყო ცეცხლისა

და ლითონის ნიაღვარი, თვითმფრინავების გაბმული გუგუნი ჰაერში, ბანების განუწყვეტელი ზღვების მუხლუხობებითა და ყუმბარებით გადათხრილი მინდორ-ველები, დანგრეული ქალაქები და გაპარტახებული სოფლები. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს მთელი ჩვენი პლანეტა შედგა ყალუხე და ზიზღისაგან გააძაძაგა, რომ ეს ყვესფერი ჭუჭუი ჩამოიშოროს. მერე ისე სწრაფად დატრიალდა, რომ ყველაფერი ერთმანეთში აირია—ცა და დედამიწა, ზღვა და ხმელეთი, ქვეყნები და სახელმწიფოები. ძველები ამბობდნენ, ისევ სატანის ხელი აბრუნებდა დედამიწას, სხვები კი ზუმრობდნენ, მესამედ მოსვლის ნიშანიაო... მეორის შემდეგ!

თითქოს მართლაც წარღვნამ წაღეკა დედამიწა! ქიანტელების ბუდეებივით აშლა მათი ნასახლარი ადგილები და მილიონობით იარაღსამული ადამიანები მოფანტა დედამიწის ყველა მერიდიანზე.

ნეტავ სად თოვა და წვიმაო, ამდენი ხალხი! საიდან სად გადმორეკა ომის ტალღებმა ეს ამოდენა ჯარი. ან რა ძალამ აიძულა ისინი თავიანთი სახლ-კარიდან ამ დასაკარგავში გადმოხვეწილიყვნენ. უწინ რომ იტყოდნენ, „დუნიას იქითო“, ქვეყნის მიღმა მხარეს გულისხმობდნენ. ახლა ეს „დუნიაც“ უკან დარჩა... ვინ რას გაიგებდა სადაური სად იცადა თავის სამშობლოს საზღვრებს: ციმბირელი ოდერზე, ინგლისელი საპარაში, ამერიკელი კი მარიამის კუნძულებზე. ადრე რომ ეკითხათ, ბევრი რუკაზედაც ვერ იპოვიდა იმ ადგილებს, სადაც მერე სისხლს ღვრიდა, ან უბრალო ადამიანებს რა ჰქონდათ ერთმანეთში გასაყოფი. მართლაც, ეშმაკის ხელი რომ არ აბრუნებდეს ჯოჯოხეთის ამ მანქანას. თანაც რამდენი დოვლათი და ადამიანის ენერჯია უნდა მის ამუშავებას, რამდენი შრომა და ჯაფა! მთელი ომის განმავლობაში განუწყვეტლოვ მოედინებოდნენ რკინის არტერიებით — ეშელონები; ზღვები-

თა და ოკეანეებით — სამხედრო ზომადები; ჰაერით — თვითმფრინავები; მოქონდათ იარაღი და საქურველი. ასეულო მილიონობით მუშახელი სჭირდებოდა მათ დამზადებას — ტყვიამფრქვევებსა და ზარბაზნებს, რეაქტიულ ნაღმტყორცნებსა და ჯავშნოსან მანქანებს, სახაზო გემებსა და კრეისერებს, ნაღმოსნებს, წყალქვეშა ნავეებს, ბომბდამშენებსა და გამანადგურებლებს.

იყო ერთი ალაჩოთი დღისით და ღამით! განუწყვეტელი შრომა და შეუწყვეტელი ბრძოლა. ამის მსგავსი ჯერ არაფერი მოსწრებია კაცობრიობას. ან ვის შეუძლია რამეს შეადაროს ეს გრანდიოზული ბრძოლები. სად, როდის, რა ყოფილა ამისი მსგავსი? ყველაფერი შეიძლება მოვიგონოთ: ალექსანდრე მაკედონელისა და ჩინგისხანის ლაშქრობები, ფრიდრიხ დიდისა და ნაპოლეონის ურდოების თარეში, სამოქალაქო და მსოფლიო ომები, შეიღწლიანიცა და ოთხწლიანიც, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არავის არ მოსწრებია. ეს გააფთრებული ბრძოლები ჰაერში, ხმელეთსა და ზღვებში, ზესკინელსა თუ ქვესკნელში შეუდარებელია ყველაფერთან, რაც იყო. ისევ ანტიკურ მითებში თუ შეხვდებით მსგავსი მასშტაბების ბრძოლებს. საოცარია, მაგრამ ფაქტი, რომ ათასეული წლების წინ ხალხის ფანტაზიის მიერ შექმნილი ბრძოლების მითური სურათები უფრო ჰგავს ამ ომის სინამდვილეს, ვიდრე ყველაფერი, რაც ოდესმე მომხდარა და აღწერილა. წარმოვიდგინოთ ოლიმპის მეუფეებისა და ტიტანების ბრძოლა. ზევსი, რომელიც კლდეებსა და ჰეჰა-ჰეზილს სტყორცნის მოწინააღმდეგეებს და შევადაროთ ყუმბარების სეტყვას თანამედროვე ომში.

სხვისი არ ვიცი და, როცა ცეცხლის-მფრქვეველ ურჩხულებზე ვხედავ, მე მაშინვე რეაქტიულ ნაღმტყორცებზე ვფიქრობ, ან თუ მრავალთავიანი მფრინავი ვეშაპები შევბმიან ერთმანეთს, ოთხმოტორიან ბომბდამშენებისა და გამანადგურებლების საპაერო ბრძოლებს ვიგონებ. ეს საშინელი ჯავშნიანი ციკლოპებიც — ტანკებს გვანან, წყალქვეშა ნავეები კი ზღვის დრაკონებს. მერე გიგანტებიც ერევიან ბრძოლაში. ცა ირყევა და მიწა ზანზარებს მათი სიმძიმით. ზევსი კი ისევ მგრვეინავ მებს და ელვას უშენს კრონოსის მოძრეთ. ათი წელი გრძელდება ეს მართლაც ტიტანური ომი. მერე ასთავიანი ტიფონიც წამოვა ბრძოლის ველისკენ. ასი თავი ასწირად გაჰყვირის და შიშის ზარს სცემს ყველას. ისმის ძაღლების ყმუილი, გახელებული ხარების ბლავილი და ლომების გრგვინვა... თვით ღმერთებიც შედრკებიან მისი შეხედვით. მეზმტყორცნი ზევსი კი ისევ უშიშრად ეძგერება მას. ისევ გაისმის ჰეჰა-ჰეზილი, ცეცხლის ალი მოედება მთელ ქვეყანას. ზღვაც კი დულს ტიფონის მოახლოვებით. ხმელეთზე ქვა დნება გაჩაღებული ბრძოლის მხურვალეობით... და მიუხედავად ყველაფრისა, ცაში მაინც ზევს-ოლიმპიელის „ავიაცია“ ბატონობს, ხოლო ზღვაზე პოსეიდონის „ფლოტი“.

ასე აირია ერთმანეთში მითი და სინამდვილე... ყველაფერი, რაც ოდესმე ყოფილა წარმოსახვასა და სინამდვილეში, გაფერმკრთალდა კიდეც ამ ომთან შედარებით. გაოგნებული ხალხი ამბობდა, სისხლისაგან იცლებოა ჩვენი პლანეტა. სახტად დარჩენილი პოეტები კი წერდნენ: დედამიწა სისხლით იბანს პირს და ყუმბარებით ივარცხნის ომებს...

(ვაგრძელება იქნება)

ნიკოლოზ ჯაფარიძე

კიევი—გმირი ქალაქი

კიევის, ისევე როგორც მთელი ჩვენი დედა-სამშობლოს შვიდობიანი განვითარება შეწყდა 1941 წლის ივნისში პიტლურული გერმანიის ვერაგული თავდასხმის გამო. ომის პირველ დღეებში ფაშისტურმა ავიაციამ ბარბაროსულად დაბომბა ქ. კიევი.

თავიანთ პატრიოტულ გრძნობებს, უსაზღვრო სიყვარულს კომუნისტური პარტიისადმი, სამშობლოსადმი, საბჭოთა აღაშინალები გამოხატავდნენ თხოვნაში — დაუყოვნებლივ გაეზავნათ ისინი ფრონტზე. ომის პირველ დღეებში კიევში საბჭოთა არმიის რიგებში წავიდა 200 ათასი კაცი, მათ შორის 16 ათასზე მეტი კომუნისტი და 40 ათასამდე კომკავშირელი.

30 ივნისს პიტლურელებმა ქ. ლვოვი აიღეს. ფაშისტებმა მოუხშირეს ავიაციის თავდასხმები უკრაინის დედაქალაქზე. კიევი თანდათან ფრონტისპირა ქალაქად იქცეოდა.

ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კიევის ფაბრიკა-ქარხნების, სახელმწიფო ქონების, სასწავლებლების ევაკუაციას ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში.

მოსკოვისა და ლენინგრადის მავალით ივლისის დასაწყისში კიევის ქარხნებსა და ფაბრიკებში ჩამოყალიბება იწყეს სახალხო ლაშქრის რაზმელებმა, რომლებშიც შედიოდნენ კაცები და ქალები, მოხუცები და ახალგაზრდები, მუშები და მოსამსახურეები, მეცნიერ-მუშაკები და სტუდენტები. უკვე ომის პირველ დღეებში კიევში პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით შეიქმნა 13 გამანადგურებელი ბატალიონი და სახალხო ლაშქრის 19

რაზმი, რომელთა რიგებში 33 ათასამდე კაცი იყო. სახალხო ლაშქარი მოკლედროში მტრისათვის საშიშ ძალად გადაიქცა და ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში წითელი არმიის ერთ-ერთი თანაშემწე გახდა.

კიევთან ფრონტის ხაზის მოახლოებასთან ერთად სახალხო მასების მონაწილეობა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში სულ უფრო ფართო და აქტიურ ხასიათს ღებულობდა, რაც გამოიხატა სამხედრო-თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობაში, მთელი მოსახლეობის სამხედრო სწავლების გაძლიერებაში, კომუნისტური იატაკქვეშეთის მომზადებაში და ა. შ.

კიევის მისადგომებთან ქალაქის მოსახლეობის ძალებით 55 კილომეტრის სიგრძეზე მოეწყო ტანკაწინააღმდეგო თხრილები, აიგო სხვადასხვა სახის დაბრკოლებები. ამ სამუშაოების შესრულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა 200 ათასამდე კიეველი. კიევის ვამაგრებული რაიონი მთლიანად საბრძოლო მზადყოფნაში იქნა მოყვანილი, შეიქმნა კიევის თავდაცვის შტაბი. 1941 წლის 10 ივლისს საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის შორეულ და ახლო მისადგომებთან სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა.

გერმანულ-ფაშისტთა სარდლობას გადაწყვეტილი ჰქონდა 9 აგვისტოს აეღო კიევი. ქალაქს სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა. თავდაცვის შტაბმა გასცა განკარგულება რაღაც უნდა დამჭდარიყო შეეჩერებინათ პიტლურელთა შეტევა წითელი არმიის ახალი ნაწილების მოსვლამდე. მებრძოლები, მეთაურები და სახალხო ლაშქრის მეთაურები გმირულად იცავდნენ მშობლიური მიწის ყო-

ველ მტკაველს, არაერთხელ გადადიოდნენ კონტრშეტევაზე და მტერს საგრძნობ ზარალს აყენებდნენ. კიევის დამცველები ბრძოლის ველს არ ტოვებდნენ მაშინაც, როდესაც დაჭრილები იყვნენ. ასე მაგალითად, პოლიტბელმა ბოიკომ, მძიმე ჭრილობის მიუხედავად, შეტევაზე წაიყვანა მებრძოლები. ლეიტენანტ ნეჩაევის ქვედანაყოფმა ზიშტებით მოსპო მტრის ჯარების ასეული.

კიევის დაცვისას დიდი მამაცობა და გამირობა გამოიჩინა ქართველი ზალხის საამაყო შვილმა კაპიტანმა ჩიკვაიძემ. იგი ერთერთ ბრძოლაში დაიჭრა და საჭირო გახდა მისი ჰოსპიტალში გამგზავრება. მაგრამ მან უარი განაცხადა და მიუხედავად იმისა, რომ სისხლისაგან იცლებოდა ხელმძღვანელობდა საბრძოლო ოპერაციას.

საბჭოთა მთავარსარდლობამ კიევთან ახალი დივიზიები ჩააბა ბრძოლაში. მტრის შეტევა შეჩერებულ და უკუგდებულ იქნა. მკაცრი ბრძოლების მსვლელობაში საბჭოთა სამხედრო ნაწილებმა ავიაციისა და პირველად აქ გამოყენებული რეაქტიული არტილერიის მხარდაჭერით მტერს დიდი ზარალი მიაყენეს. პიტლერული მთავარსარდლობა იძულებული გახდა 12 აგვისტოს გამოეცა ბრძანება კიევთან შეტევის დროებითი შეჩერების შესახებ.

მსურველ პატრიოტიზმის, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის, მამაცობისა და გამირობის უამრავ მაგალითებს ავლენდა საბჭოთა ახალგაზრდობა კიევის გმირული დაცვის დღეებში. კომკავშირელმა სანიტარმა ნადეჟდა სკაჩკომ ბრძოლის ველიდან რამდენიმე ათეული დაჭრილი საბჭოთა მეომარი გამოიყვანა. იმის მიუხედავად, რომ თვითონაც მძიმედ დაიჭრა, მაინც არ მიატოვა მოწინავე ხაზი. მამაცობისათვის იგი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით. კომკავშირელმა ეკატერინე მუხინამ ბრძოლის ველიდან 28 საბჭოთა მეომარი გამოიყვანა. იგი გმირულად დაეცა კიევისათვის ბრძოლებში.

კიევის გმირულ დაცვასთან დაკავშირებული პარტიზანული მოქმედებების დაწყება. პიტლერული მტერის ქალაქის დაცვის პირველი დღეებიდანვე მოქმედებდა 13 პარტიზანული რაზმი და ორი პარტიზანული პოლკი, რომელიც 5 ათასამდე კაცს ითვლიდა.

1941 წლის სექტემბრის დასაწყისში კიევის მისადგომებთან ახალი ძალით გაჩაღდა სასტიკი ბრძოლები. იმ დღეებში კიევის გმირულ დაცვაზე, ისევე, როგორც ლენინგრადისა და ოდესის გმირულ დაცვაზე, მთელი მსოფლიო ლაბარაკობდა. სექტემბრის შუა რიცხვებში კიევის რაიონში მდგომარეობა საგრძნობლად გართულდა; 12 სექტემბერს პიტლერულთა სატანკო ნაწილმა გადალახა დნებრი ქ. კრემენჩუგთან, მეორე დღეს კიევის სარკინიგზო კავშირი ზურგთან შეწყდა. მტერმა კიევის გარშემო თავი მოუყარა 15 დივიზიას, ტანკებისა და ავიაციის დიდ რაოდენობას. 15 სექტემბერს ფაშისტებმა ქალაქზე მთლიანი შეტევა განახორციელეს. საბჭოთა არმიის უმადლესი მთავარსარდლობა იძულებული იყო მჭელო ვადამწყვეტილება კიევის დატოვების შესახებ. 17-19 სექტემბერს წითელი არმიის ნაწილებმა დაიწყეს დნებრის მარცხენა ნაპირზე გადასვლა. 20 სექტემბერს მტერი შევიდა ქალაქ კიევში.

უკრაინის დედაქალაქის მისადგომებთან, საბჭოთა არმიამ გაანადგურა ფაშისტთა 10 რჩეული დივიზია, მოსპო მტრის 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

კიევის გმირული დაცვა ერთერთი მიზეზი იყო იმისა, რომ პიტლერულთა სარდლობამ თავისი ავანტურისტული ლაშქრობა მოსკოვზე მხოლოდ 1941 წლის ოქტომბერში წამოიწყა.

778 დღე და ღამე იმყოფებოდა კიევი ოკუპანტების ხელში. ორი წლის მანძილზე ფაშისტები ანგრევდნენ და ძარცვავდნენ ქალაქს, ხოცავდნენ და ელტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. კიევში, ისევე როგორც დროებით ოკუპირებულ

ყველა ქალაქში, დამყარებული იყო ფაშისტურ-პოლიციური რეჟიმი, შემოღებული იყო მონეტრი შრომა.

1941 წლის სექტემბრის ბოლოს ფაშისტმა ავანაქებმა ბაბი იარში შეკრიბეს და რამდენიმე დღეში დახვრიტეს 90 ათასზე მეტი კიეველი მოქალაქე. ოკუპაციის პერიოდში კიევეში ჰიტლერელებმა 200 ათასამდე მოქალაქე გამოასალმეს სიცოცხლეს, 100 ათასზე მეტი კიეველი გაიგზავნა საკატორლო სამუშაოებზე გერმანიაში.

კიეველები ოკუპაციის მძიმე წლებშიც არ დაემორჩილნენ მტერს. ისინი დაადგნენ ჰიტლერელების წინააღმდეგ ბრძოლის გზას. პარტიული ორგანიზაციის მითითებით ჯერ კიდევ 1941 წლის ივლისში ჩამოყალიბდა კომუნისტური იატაკქვეშეთი. ამ პერიოდში შეიქმნა იატაკქვეშა საოლქო პარტიული კომიტეტი, ძირითადი და სათადარიგო, სარეზერვო პარტიული საქალაქო და ცხრა რაიონული კომიტეტი.

პარტიის კიევის ძირითადი იატაკქვეშა საქალაქო კომიტეტი შეიქმნა ცხრა კაცისაგან, მის მდივნად დამტკიცდა ქარხანა „ბოლშევიკის“ საამქროს ყოფილი უფროსი ვ. ხობლოვი. პარტიის ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ, აგრეთვე, კომკავშირული იატაკქვეშა კომიტეტები.

იატაკქვეშელები დიდ პოლიტიკურ მასობრივ მუშაობას ეწეოდნენ მოსახლეობაში, ავრცელებდნენ საბჭოთა სინფორმაციო ბიუროს ცნობებს, ამზადებდნენ რეზერვებს პარტიზანული მოძრაობის საწარმოებლად, აწყობდნენ დივერსიებსა და საბოტაჟს. დივერსიულ-ძირგამომთხრელი მუშაობის შტაბს სათავეში ედგა პარტიის კიევის იატაკქვეშა ძირითადი საქალაქო კომიტეტის წევრი, შესანიშნავი კომუნისტი, ინჟინერი ვ. კუდრიაშოვი.

1942 წლის ივნისში პარტიის კიევის კომიტეტმა ქალაქში შექმნა პარტიზანული რაზმი 100 კაცის შემადგენლობით, რომელშიც შედიოდნენ პარტიული კომკავშირული აქტივისტები, წითელი

არმიის ყოფილი მეთრეები, რაზმის მეთაურად დაინიშნა ვ. კუდრიაშოვი. რაზმმა დიდი ძირგამომთხრელი მუშაობა გააჩაღა ქალაქში, აწყობდა დივერსიებს. ანადგურებდა პოლიციელებს, მოლაღობებდა. პროვოკატორმა გასცა იატაკქვეშელები. 38 დღეამის განმავლობაში გესტაპოელები სასტიკად აწამებდნენ კიევის იატაკქვეშეთის ხელმძღვანელებს, აიძულებდნენ გაეცათ ამხანაგები. განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ ჰიტლერელები ვ. კუდრიაშოვს; ყოველი დაკითხვისა და წამების შემდეგ საკანში მყოფი ამხანაგები უხვევდნენ ჰრილობებს, ხოლო რკინის საწოლზე უფენდნენ თავიანთ ტანსაცმელს და ისე აწვენდნენ კუდრიაშოვს, რომელსაც მხოლოდ მუცელზე შეეძლო წოლა. პარტიოტმა — კომუნისტმა მამაციურად გადაიტანა ტანჯვა-წამება და ერთი სიტყვაც არ წამოსცდა კომუნისტური იატაკქვეშეთის შესახებ. სიკვდილით დასჯის წინ ვ. კუდრიაშოვმა მოახერხა გადაეცა წერილი თავისი მშობლებისადმი და ამხანაგებისადმი. ეს წერილი იატაკქვეშელებმა შემდეგ გადაწერეს თეთრ ქსოვილზე, ხოლო მამაცმა მეკავშირემ ზ. სირომიანოვიცამ იგი ჩააქერა კაბის საყელოში და 1942 წლის ზაფხულში გადასცა უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

კომუნისტი—პარტიოტის წერილი აღსაყვანი იყო საბჭოთა ხალხის გამარჯვების, ფაშისტთა უცილობელი განადგურების ურყევი რწმენით. საბჭოთა მთავრობამ ვ. კუდრიაშოვს სიკვდილის შემდეგ მინიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

1942 წლის ზაფხულის პერიოდში კიევეში მუშაობას ეწეოდა 40 იატაკქვეშა ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა თავის რიგებში 250 კომუნისტს, 119 კომკავშირელსა და 377 უპარტიოს. კიევეში მოქმედებდნენ სხვადასხვა იატაკქვეშა პარტიული ორგანიზაციები: „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს“ (ხელმძღვანელი ვ. კოჩუბეი), „არსენალელი“

(ხელმძღვანელები დ. ნესტეროვსკი და ნ. ვაიცანი), „კიევის მუშა“ და სხვ.

1942 წლის ივლისში უკრაინის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი მუკავშირის საშუალებით მითითება მისცა პარტიის რკინიგზის იატაკქვეშა რაიკომის მდივანს, ა. პიროგოვსკის, შეესრულებინა კიევში საქალაქო კომიტეტის ფუნქციები. მან ფართოდ გაშალა მუშაობა იატაკქვეშა ორგანიზაციების შემდგომი გაფართოებისაკენ. უკვე 1943 წლის დამდეგს კიევში მოქმედებდა 66 პარტიულ-კომკავშირული იატაკქვეშა ორგანიზაცია.

1943 წლის 29 ოქტომბერს, ანუ კიევის განთავისუფლებამდე ერთი კვირით ადრე, გესტაპომ მიავანო რკინიგზის იატაკქვეშა რაიკომის კვალს. მათ დააპატიმრეს კიევის იატაკქვეშელთა უშიშარი მეთაური, ა. პიროგოვსკი, და 5 ნოემბერს დახვრიტეს. გერმანულ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის საბჭოთა მთავრობამ ა. პიროგოვსკის სიკვდილის შემდეგ მიანიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

კიევის იატაკქვეშა პარტიულმა ორგანიზაციებმა კავშირი დაამყარეს ს. კოვპაკისა და ა. საბუროვის პარტიზანულ შენაერთებთან, აგრეთვე, სხვა პარტიზანულ რაზმებთან, რომლებსაც ისინი ამარაგებდნენ ხალხით, საჭურვლით, მედიკამენტებით, სადაზვერვო მონაცემებით.

ასრულებდა რა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებას, პარტიის კიევის იატაკქვეშა საქალაქო კომიტეტმა ოლქის სოფლებში გაგზავნა 50-ზე მეტი აქტივისტი, რომლებმაც საგრძნობი მუშაობა გასწიეს პარტიზანული რაზმებისა და არალეგალური ორგანიზაციების ჩამოყალიბების საქმეში. ერთ-ერთი ასეთი აქტივისტი იყო კიევის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი, პ. მ. ბუიკო. პიტლერელებმა იგი სამედიცინო კომისიაში ჩააბეს.

მიუხედავად გესტაპოს მკაცრი კონტროლისა, მან მოახერხა კავშირის შენარჩუნება კატორღაში გაგზავნილთაგან 1000-ზე მეტი კიეველი. სისხლიანი ფაშისტური ტერორის პირობებში პ. ბუიკომ შექმნა იატაკქვეშა ჯგუფების ფართო ქსელი, გადაარჩინა დახვრეტას საბჭოთა აქტივი, მოაწყო წითელი არმიის მებრძოლებისა და პარტიზანების საიდუმლო მკურნალობა. 1943 წლის დამდეგს მისი ხელმძღვანელობით მოქმედებდა პარტიზანული რაზმი, რომელშიც 700-ზე მეტი კაცი ირიცხებოდა. პარტიზანთა მამაცი მეთაურის საქმიანობა შეუღმწეველი არ დაჩინდა. 1943 წლის ოქტომბერში, პარტიზანების სამედიცინო დახმარების დროს მძიმედ დაჭრილი პროფესორი პ. ბუიკო შეიპყრეს პიტლერელებმა, ბენზინი შეასხეს და დასწვეს.

თავიანთი საქმიანობით კიევის იატაკქვეშელებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს გერმანულ-ფაშისტ დამპყრობთა განადგურების საქმეში. 1941 წლის დამდეგიდან 1944 წლის მარტამდე მათ გაანადგურეს 31 ათასამდე პიტლერელი და მათი დამჭაშები—უკრაინის ბურჟუაზიული ნაციონალისტები, მოსპეს 269-დღე სარკინიგზო ეშელონი და 3 კავშირის მატარებელი, მწყობრიდან გამოიყვანეს 300-ზე მეტი ორთქლმავალი და 3 ათასამდე ვაგონი, დაანგრეს 63 სარკინიგზო ზიდი, მოსპეს მტრის 300-ზე მეტი საწყობი, გაანადგურეს 103 გერმანული გარნიზონი, 249 საპოლიციო კომენდატურა, 300-დღე რაიონული და სასოფლო მმართველობა.

მარტო რვა თვის განმავლობაში კიევის იატაკქვეშა ორგანიზაციებმა მოამზადეს და გაამგზავრეს პარტიზანულ რაზმებში 2000-მდე მებრძოლი, 25 ტყვიამფრქვევი, 500-ზე მეტი ავტომატი, ათასზე მეტი შაშხანა, 130 ათასზე მეტი მანეთის მედიკამენტები და სხვა მასალები.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა კიევის იატაკქვეშელთა პარტიზანთა მოღვაწეობას, ოთხ პატრიოტს

მიანიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და 1317 კაცი დააჯილდოვა ორდენებითა და მედლებით.

გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურებამ ვოლგოგრადას და საბჭოთა არმიის ბრწყინვალე გამარჯვებამ კურსკთან, დასაბამი მისცა საბჭოთა მიწა-წყლიდან პიტლერელ დამპყრობთა მასობრივი განდევნის დაწყებას.

საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა გადაუმტერიეს ზერხეშალი პიტლერულ არმიას, მაგრამ მტერი მიანიჭ მედგარ წინააღმდეგობას უწყევდა ჩვენს ნაწილებს. გერმანელ ფაშისტთა საარდლობის სტრატეგიულ გეგმებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა დნებრის მიჯნის შენარჩუნებას. მარჯვენა ნაპირის უკრაინაში მტერმა თავი მოუყარა 100 დივიზიას, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე არსებულ სატანკო ჯარების სამ მეოთხედსა და მოტორიზებული ნაწილების თითქმის ნახევარს.

1943 წლის 21 სექტემბერს ჩვენი სატანკო ჯარების ნაწილები კიევის მახლობლად მიაღწენ მდინარე დნებრს, მეორე დღეს ჩვენმა დანაყოფებმა ორ ადგილას გადალახეს დნებრი და დაიკავეს პლაცდარში ქალაქის სამხრეთით. დნებრის გადალახვისას უკრაინის პირველი ფრონტის მებრძოლები მასობრივ გმირობასა და სიმამაცეს იჩენდნენ. პირველად დნებრი კიევთან გადალახა მამაც გვარდიულ მებრძოლთა ოთხეულმა, კომკავშირელების ნიკოლოზ პეტუხოვის, ივანე სემონოვის, ვასილ სისოლიატინის და ვასილ ივანოვის შემადგენლობით. ნავით მათ გადალახეს დნებრი და ბრძოლა გაუმართეს სოფლად ჩასაფრებულ ფაშისტებს. მტრის მთელი ცეცხლი თავს დაატყდა ოთხეულს, რითაც ისარგებლეს ჩვენმა ნაწილებმა და გაუადვილეს სხვებს მდინარის გადალახვა.

ამ მძიმე შეტაკებაში გმირული სიკვდილით დაეცა მებრძოლი ნ. პეტუხოვი, მძიმედ დაიჭრა ვ. სისოლიატინი.

29 სექტემბერს სასტიკი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა გატეხეს პიტლერელთა წინააღმდეგობა, უკუაგდეს

მტერი დნებრის მარჯვენა ნაპირზე და ხელთ იგდეს კიევის მარცხენა ნაპირის რაიონი — დარანიცა. ამ ბრძოლაში განადგურებულ იქნა მტრის 6 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 69 ტანკი და 78 ქვემეხი. ოქტომბრის დასაწყისში ჩვენმა ჯარებმა დნებრის მარჯვენა ნაპირზე დაიკავეს 20-ზე მეტი პლაცდარში. დნებრის გადალახვამ დეზორგანიზაცია შეიტანა მტრის თავდაცვაში. საბჭოთა არმიამ შესძლო მალე ცალკეული პლაცდარები დნებრის მარჯვენა ნაპირზე გადაეჭვია ერთიან მძლავრ პლაცდარმად, საიდანაც შემდეგ ჩვენმა ჯარებმა რამდენიმე ასეულ კილომეტრზე მძლავრი შეტევა განახორციელეს სახელმწიფო საზღვრებამდე.

დნებრის გადალახვისა და მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის შექმნაში საბჭოთა არმიის ნაწილებს ფასდაუღებელ დახმარებას უწყევდნენ პარტიზანული რაზმები.

1943 წლის ოქტომბრის თვეში საბჭოთა ჯარები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ დნებრის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის გაფართოებისათვის.

კიევისათვის სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა 5 ნოემბერს. საბჭოთა მეომრებს ქალაქის ქუჩებში მტერი დიდ წინააღმდეგობას უწყევდა. ქალაქის ცენტრში — კრემჩატიკზე ერთერთი პირველი გაიჭრა კაპიტან ნიკიფორე შოლუდენკოს ტანკი. არაერთი ფაშისტი გამოასალმა სიცოცხლეს საბჭოთა ოფიცერმა. მაგრამ მტრის ტყვიამ განგმირა იგი. მომავლადემა მეთაურმა, როდესაც მასთან მისცვივდნენ მებრძოლი მეგობრები, მოასწრო ეთქვა: „არაფერია, კიევი ხომ ჩვენია“. ღამით ჩვენმა მზვერაგებმა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაზე აღმართეს წითელი ალამი.

1943 წლის 6 ნოემბერს დილის 4 საათზე საბჭოთა არმიამ სახულდამოდ გაათავისუფლა კიევი. საბჭოთა უკრაინის დედაქალაქისათვის ბრძოლებში (3-6 ნოემბერი) ჩვენმა ჯარებმა განადგურეს

მტრის 12 დივიზია და დიდძალი ნადავლი ჩაიგდეს ხელთ.

კიევის მოსახლეობა მხურვალედ მიესალმა თავის განმათავისუფლებლებს. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი — მოსკოვი სალუტით მიესალმა საბჭოთა არმიის ნაწილებს, რომლებმაც გაათავისუფლეს კიევი. მეორე დღეს 1943 წლის 7 ნოემბერს საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის მცხოვრებნი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საზეიმოდ აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26-ე წლისთავს.

უკრაინის განთავისუფლებისათვის, კიევისათვის თავგანწირვით იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების შვილები. მტერს შიშის ზარს აყენებდნენ ქვემეხები, რომელთაც მეთაურობდა საბჭოთა კავშირის გმირი, თავიკი ხადი კინეაევი.

კიევის განთავისუფლებისათვის მამაცურად იბრძოდა ჩეხოსლოვაკთა ცალკე ბრიგადა გენერალ ლ. სვობოდას მეთაურობით.

საბჭოთა ხალხმა ღირსეულად შეაფასა დნებარ-კიევის ბრძოლების გმირთა მამაცობა: 800-ზე მეტ მებრძოლს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ათასობით მეომარი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. საბჭოთა კავშირის გმირებს შორის, დნებრისათვის და კიევისათვის ბრძოლების მონაწილეთა შორის საბჭოთა კავშირის 30 ეროვნების წარმომადგენელია. დნებრის ფორსირებისათვის საბჭოთა კავშირის გმირი მალაღი წოდება დაიმსახურეს: რუსმა — ალექსანდრე ალექსეევმა, უკრაინელმა — ალექსეი რომანენკომ, ბელორუსმა — ვლადიმერ ალექსეენკომ, ქართველმა აკაკი ტერეღაძემ, ბაშკირმა — მიხეილ ახმედოვმა, თათარმა — რომილ აბრუშინმა, ყირგიზმა — ანატოლ ჩერტკოვმა და მრავალმა სხვამ. მრავალი ქართველი იბრძოდა კიევისათვის, უკრაინის მიწაზე მამაცთა სიკვდილით დაეცნენ ქართველი ხალხის საამაყო შვილები; საბჭოთა კავშირის გმირები; კაპიტანი ვ. ჩიქოვანი, უფროსი ლეიტენანტი ა.

ტერეღაძე, ლეიტენანტი ბ. სორდია, ზემდევი ნ. გოგინაიშვილი, რეკონსტრუქტორ-ძოლი გ. ბერდაშვილი და მრავალი სხვა.

საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს არმიის გენერალ ნ. ვატუტინის მთავარსარდლობით უკრაინის პირველი ფრონტის ნაწილებმა, გენერლების მოსკალენკოს, ჩერნიახოვსკის, რიბალკოს, ტროფიმენკოს და სხვათა ჯარებმა.

საბჭოთა არმიის 60-დე შენაერთს და ნაწილს, რომლებმაც თავი ისახელეს კიევის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მიენიჭათ „კიევის“ სახელწოდება.

პიტლერელ ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში კიევის მცხოვრებთა გმირობა ქალაქის დაცვისას და მტრისაგან მისი განთავისუფლებისას საბჭოთა მთავრობამ მაღალი ჯილდოთი აღნიშნა, გმირი ქალაქი ლენინის მეორე ორდენით დაჯილდოვდა. დაწესდა მედალი „კიევის დაცვისათვის“, რომელიც ათასობით საბჭოთა მოქალაქეს გადაეცა.

დამთავრდა კიევისათვის მეტად ხანგრძლივი, მეტად ტრაგიკული დღეები. ერთი წუთითაც არ კარგავდნენ კიეველები იმედს განთავისუფლებაზე: ვერც დამცირებამ, ვერც გაჭირვებამ, ტანჯვამ და შიმშილმა, ვერც სიკვდილმა ვერ გატეხეს საბჭოთა ადამიანების ნებისყოფა, მათი ერთგულება სამშობლოსადმი. ასეთი ერთგულების მკაფიო მაგალითია კიეველი ბიონერის კოსტია კრავჩუკის მამაცობა, იგი მტრის ოკუპაციის მძიმე წლებში სათუთად ინახავდა საბჭოთა არმიის პოლკების დროშებს, რომლებიც მას 1941 წლის სექტემბრის დღეებში გადასცეს დაჭრილმა საბჭოთა მეომრებმა.

ფაშისტებმა მძიმე ჭრილობები მიაციენეს კიევს. მათ გაძარცვეს და გერმანიაში გაიტანეს ფაბრიკა-ქარხნების, სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების სატრანსპორტო საწარმოთა მოწყობილობა, ნედლეულის სამრეწველო ნაწარმის, პროდუქტების მთელი მარაგი, დაანგრიეს 1000-ზე

მეტი სამრეწველო საწარმო, მოსპეს 6 ათასზე მეტი შენობა. კიევს მტერმა მიაყენა ერთი მილიარდი მანეთის ზარალი. მრავალი მცხოვრები იძულებული იყო მიეტოვებინა ქალაქი. 1943 წლის შემოდგომაზე კიევში სულ 180 ათასამდე მცხოვრები ითვლებოდა.

სამამულო ომის ფრონტებზე საბჭოთა არმია ვერ კიდევ გამირულ ბრძოლას აწარმოებდა მოსისხლე მტერთან, როდესაც კიევში უკვე გაჩაღდა დიდი სამუშაოები საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის აღსადგენად, მრავალი მუშა ჩამოვიდა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. კიეველებს დიდი დახმარება აღმოუჩინეს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებმა.

კიევის აღდგენა სწრაფი ტემპით ხორციელდებოდა, ომის შემდგომი პირველი ხუთწლეულის განმავლობაში ქალაქის თითქმის ყველა სამრეწველო საწარმო აღდგენილ იქნა და აღიჭურვა ახალი, მოწინავე ტექნიკით. დიდი განვითარება ჰპოვა ზუსტმა მანქანათმშენებლობამ. ფართოდ ვითარდებოდა ელექტროტექნიკური, ქიმიური, საფეიქრო, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგები.

ომის შემდგომ წლებში კიევში დიდი სამუშაოები შესრულდა ახალი საცხოვრებელი სახლების, სკოლების, ბიბლიოთეკების, კინოთეატრების, სამეცნიერო

და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობათა ასაგებად. აღდგენილ იქნა კიევის მშენებელი, მთავარი საინჟინერო კრეშიატიკი, რომელიც გერმანელმა ოკუპანტებმა თითქმის მთლიანად დაანგრიეს.

ოცი წელი გავიდა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან. ეს დრო კიევის ცხოვრებაში დიდი არაა, მით უმეტეს ისეთი ქალაქის ცხოვრებაში, რომელიც თავისი არსებობის ათას წელიწადზე მეტს ითვლის.

ამის მიუხედავად ამ ხნის განმავლობაში კიევმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკანასკნელი 30 წელი, როდესაც იგი საბჭოთა უკრაინის დედაქალაქად გამოცხადდა.

საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება ჩვენი ქვეყნის ერთი უდიდესი სამრეწველო და კულტურული ცენტრის, ორგზის ლენინის ორდენოსანი, ვიბრი-ქალაქის, მოძმე უკრაინელი ხალხის დედაქალაქის — კიევის უკვდავი მამაცობა და უმაჯილო თო შემართება.

გიორგი შატბერაშვილი

19 აპრილს გარდაიცვალა მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შატბერაშვილი. მოულოდნელად ხელიდან გამოგვეცალა საყვარელი, კეთილი, გულისხმიერი მეგობარი, დაუცხრომელი და ნაყოფიერი ფუტკარი ახალი ქართული ლიტერატურისა. მწერალი, რომელმაც ბევრი კარგი და ღირსეული ქმნილებით გაამდიდრა ჩვენი პოეზია, პროზა, დრამატურგია.

ძნელია შეურიგდე იმ აზრს, რომ ამიერიდან ჩვენ შორის აღარ არის გიორგი, რომ ამიერიდან მისი კალმის მადლი ახალი ლექსებით არ გაახარებს ქვეყნის პოეზიის მოყვარულს, მისი ახალი დრამატული ნაწარმოები არ ამეტყველდება ჩვენი თეატრების სცენიდან და არ აათრთოლებს ჩვენს გულს, რომ ამიერიდან აღარ დაგვათრობს თავისი სურნელებით ქართლის ველებზე და ბღვენახებში აღმოცენებული სიტყვა მისი პროზისა. გ. შატბერაშვილის ნათელი გონება და სალი აზროვნება, მისი გულის მგზნებარება, მის ლირიკულ ლექსებში, პოემებში, მოთხრობებსა და პიესებში შემონახული, სამარადისოდ რჩება ჩვენთან, მის თანამედროვეებთან. რჩება ჩვენთვის და ჩვენი შემდგომი თაობებისათვის, რომ მისი წიგნები მუდამ იქნება ჩვენი სულიერი ცხოვრების თანამგზავრი, რომ დაღბინებისა თუ გაჭირვების ყამს ჩვენ არა ერთხელ ვიკრძნობთ შინაგან მოთხოვნილებას წიგნის ფურცლებიდან ხმა მოგვაწვდინოს, გამოგვესაუბროს, ჩვენს ფიქრსა და აზრს გაეხმაუროს გიორგის ნაფიქრი და ნააზრევი, ასე წარუშლელად და ცხოვლად აღბეჭდილი მის ლირიკასა, პროზასა და დრამატურგიაში. ჩვენ კიდევ და კიდევ გადავიკითხავთ მის ლექსებს — „მეც მესხი ვიყავ“, „ყვავილის მიწას“, „აი მთაზე“, ლექსებს მისი კრებულებიდან „სამაია“, „გზა, განვლილი გზა“, ლირიკულ პოემას „გაზაფხულის დამის ქრონიკას“, გადავიკითხავთ, რომ კვლავ განვიცადოთ სიტკბო და სიამე სიცოცხლისა, სიყვარულისა და სილამაზისა. ჩვენ კვლავ მწყურვალეობით დავეწაფებით გამჭვირვალე, ლაღი და ძარღვიანი ქართულით დაწერილ მის მოთხრობებს, საუკეთესოს მათ შორის: „უკვდავ ფესვს“ და „მკედრის მზეს“, დავეწაფებით, რომ კვლავ მოვიხიბლოთ მკვეთრად და ცხოვლად გამოკვეთილი ეროვნული ხასიათებით. ქართული ხალხური სიბრძნით, ქართველი კაცის სულიერი სილამაზით, კეთილშობილებით და ვაჟკაცური შემართებით.

ჩვენი მოზარდი თაობის საყვარელ საკითხავ წიგნებად დარჩება გიორგი შატბერაშვილის საბავშვო ნაწარმოებები: „კარგი ბიჭი“, „მტკვრის სათავეებთან“, „სათაფლია“ და „ხილთა ქება“, წიგნები, რომლებიც დაწერილია ბავშვის ცნობისმოყვარეობისა და სულიერი მიდრეკილების ღრმა ცოდნით და მშვენიერი ქართული ენით.

ქართული მხატვრული სიტყვის შემოქმედის და ქართული სიტყვის გველვარის სულეერი ცხოვრებისაგან განუყრელი იქნება გიორგი შატბერაშვილი როგორც „თვალადური ქართულის ჰაშნიკის“ ავტორი, რომელმაც ცხოვრების მართული სიტყვის საიდუმლოებაში ჩაწვდომის ნიჭი და მისი ამოხსნის უტყუარი უნარი. ეს წიგნი — ლექსიკონი, სადაც მოცემულია მხოლოდ ერთი სოფლის, გიორგი შატბერაშვილის მშობლიური სოფლის თვალადის ლექსიკონი და ილიომატურ გამოთქმათა მხოლოდ მცირე ნაწილი ჰაშნიკის სახით, მოწმობს თუ რა დაუშრეტელი მარაგის შემცველია ქართული ხალხური მეტყველება. როგორც თვით გიორგი აღნიშნავს შესავალ წერილში, „თვალადური ქართულის ჰაშნიკი“ თავისებური აღნაგობის და ხასიათის ნაწარმოებია... ეს არის ფიქრები ქართულ სიტყვაზე, მის აღნაგობაზე, გენეზისზე, ქართული ენის სხვადასხვა კილოების ნათესაობაზე, შინაარსით თუ ფორმით მსგავსებაზე. ეს ჩანაწერები ერთგვარი ანგარიშია სიტყვებზე დაკვირვებისა, ცდებია ქართული ენის არსში ჩაწვდომისა. იქნება, ეს „ანგარიში“ სხვასაც გამოადგეს და ქართული ენის შესწავლას ოდნავ მაინც შეუწყოს ხელი.

დიდაც ეს ასეა და ასეც იქნება. ის სიხარული, რომელიც გ. შატბერაშვილის ამ ნაშრომმა აღძრა მწერალთა, მეცნიერთა და მკითხველთა წრეში, დიდაც მოწმობს, რომ ავტორი არ შემცდარა თავის მოლოდინში. მართლაც, „თვალადური ქართულის ჰაშნიკი“ ახალ პერსპექტივებს შლის ქართული ენის და მისი ილიომატიკის საიდუმლოების ამოხსნის წინაშე და ამით ძლიერ ბიძგს აძლევს ქართული ფილოლოგიის განვითარებას ამ მიმართულებით.

გიორგი შატბერაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობისათვის ერთი თვალის გადავლენაც კი საკმაოა იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ, თუ რა მრავალმხრივი, რა ნაყოფიერი, რა გამოცდილი და განსწავლული შემოქმედი დაკარგა ქართულმა საბჭოთა მწერლობამ გიორგი შატბერაშვილის სახით.

განსაკუთრებით მძიმე და სამწუხაროა ეს დანაკლისი ჟურნალ „მნათობის“ რედაქციისათვის, სადაც იგი პროზის განყოფილებას განაგებდა და იყო პირუთენელი, გულისხმიერი, მზრუნველი, მრჩეველი, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ავტორებისა და სათუთი რედაქტორი მათი ნაწარმოებებისა. ამ მხრივაც მას დიდი გამოცდილება ჰქონდა. სხვადასხვა დროს გიორგი შატბერაშვილი იყო საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კონსულტანტი, ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისიის ხელმძღვანელი, პროზაიკოსთა სექციის ბიუროს თავმჯდომარე. უაღრესი კეთილსინდისიერებით და პასუხისმგებლობით ასრულებდა რა თავის მოვალეობას ამ თანამდებობებზე, გ. შატბერაშვილი ზრდიდა ლიტერატურულ ახალგაზრდობას არა მარტო კეთილი, შთამაგონებელი, დამარწმუნებელი სიტყვით, არამედ საქმით — თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი პრაქტიკის მაგალითით: იგი მრავალი წლის მანძილზე მასწავლებლად იყო სოფელში, ხალხში ტრიალებდა, იყო მისი ცხოვრების შუაგულში, მისი ლხენის და ჭირვარამის მოზიარე. ხალხის მეტყველებაში ეძებდა და პოულობდა ნედლ, გაუხუნარ სიტყვებს და გამოთქმებს ადამიანის სულეერი სამყაროს გასახსნელად და დასახატავად. სწორედ ამიტომ, როგორც ამას ქართველი მწერლების კოლექტივი გიორგისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში აღნიშნავს, გიორგის წიგნებში ცოცხალი გიორგი ლაპარაკობს, ფიქრობს, ლეღავს, განიცდის, ჩვენ ვუსმენთ და ჩვენც გვახარებს მისი ყოველი სიტყვა, და ყოველივე ამას სიკვდილი ვერ მოერევა. შესანიშნავი მწერლისა და ადამიანის — გიორგი შატბერაშვილის სახელი მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში, ჩვენი ხალხის ხსოვნაში.

წიგნი ქართული სოფლის გირი აღამიანეზე

სიმონ წვერაგა სამწერლო სარბიელზე ჩვენი საუკუნის ოციან წლებში გამოვიდა, უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია, სისტემატურად და აქტიურად თანამშრომლობს ქართულ ქერნალ-განვითგებში, არის ავტორი მრავალი ნარკვევის, მოთხრობის, პუბლიცისტური სტატიებისა საზოგადოებრივი ცხოვრების და ლიტერატურის საკითხებზე. ვამაყუთრებით აღსანიშნავია ის, რომ იგი თანაბარი გულმოდგინებით ასახავს როგორც სოფლის მეურნეობის, ისე ინდუსტრიის მიმდინარე პროცესებს, ეკონომიკასა და აღამიანთა სოლიერ ცხოვრებაში მომხდარ ძვრებზე და ცვლილებებს. შარშან ცალკე წიგნად გამოცემულ ს. წვერაგას წიგნში „ჩემი სოფლის სურათები“ ჩვენ ვეცნობით ქართველი გლეხობის მიერ განვლულ გზას, მის ნაყოფიერ შრომას და შეუპოვარ ბრძოლას სასოფლო-სამეურნეო წარმოების და ყოფა-ცხოვრების განახლებისათვის. თავისი მშობლიური კუთხის კოლმეურნეთა ცხოვრების მაგალითზე ს. წვერაგა შეითხველს უნერგავს იმ აზრს, რომ შრომა ავითლწობილებს აღამიანს, აყვარებს ზიცოცხლეს, აწრთობს მას, გადააღაზვინებს ყოველგვარ დაბრკოლებას და სიმწრესს.

„ჩემი სოფლის სურათების“ ერთერთმა პერსონაჟმა მეველე იასონმა სიკვილის წინ ცხენისწყლის ზეობა, მისი მიდამოები და წყაროები მოინატრა, მოინატრა სწორედ ის ადგილები, სადაც მისი კატური-კაცობა ყოველდღიურ შრომაში იწრთობდა. და, როცა სურვილი შეურბლეს, ეს პატიოსანი, მშრომელი გლეხი, ზარბაღ დაეწავა ციე წყაროს, და ასე ეგონა რომ მისი მიმკენარი, მიმკვდარებული სტეული განედლდებოდა, ისეე სიცოცხლეს დაუბრუნდებოდა.

საინტერესოა ამ ნაწარმოების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურის — ივანეს ცხოვრება. მწერალი წიგნის დასაწყისშივე გვეცნობს ამ სიმპათიურ, შრომისმოყვარე, კვიიან გლეხს. მწერალთან მისი საუბარი ერთგვარი მბოლოგია, საიდანაც უკვე ჩანს რაზე იქნება ლაპარაკი ნა-

წარმოებში. ივანე ენაწელიანი მოსაუბრეა, თავისი ქვეყნის მოყვარული. დიდი გულისტყვილი განიცდის იგი კოლმეურნეობაში შემწნულ ნაყს და გულთ ხარობს კოლმეურნეთა მიღწევებთან.

როცა ამ აღამიანის გამოკვეთილ ხასიათს, მის ბუნებას, მის ყოფას, ცხოვრების დაჩქავში დაბრძენებული ამ აღამიანის აზრებს ეცნობთ, გრძობთ, რომ ივანეს სახით გაცოცხლებულია ჩვენი სოფლის წარსული და დღევანდელი სინამდვილე.

ამიტომ მიგვიჩნია ივანე ამ ნაწარმოების მთავარ გმირად. ივანესი სჯერა, როგორც მისი თაობის აღამიანებს, ასევე ახალგაზრდობასაც.

უფრო სრულყოფილად რომ წარმოედგინა ივანეს პიროვნება, მისი წარსული და დღევანდელი დღე, მწერალმა ეს პერსონაჟი დახატა დიდი რვეოლუციონერის აღექსანდრე წულუკიძის მოღვაწეობის მოკონების ფონზე, რამაც მაცოცხლებული ფერებით გაამდიდრა ამ შესანიშნავი აღამიანის პორტრეტი. რვეოლუციური ბრძოლის ეპიზოდები თრგანულად არის ჩართული წიგნში. რაც კოლორიტულს ზდის ივანეს სახეს და მიმზიდველს — მის რვეოლუციურ დამსახურებას.

სრულ მშრომელი გლეხების — იასონის, სარდიანის, ბაგრატის, პლატონის, პავლია მეწისქვილის და სხვათა სახით ავტორმა დაგვიხატა გლეხთა ძველი თაობის წარმომადგენლები, მეორე მხრივ შექმნა ჩვენი ახალი თაობის ტიპები. ასეთებია ბუხტური, თამრიკო, კაკენა, დათო, კალა, დალი და სხვები. ესენი არიან ყაზარის გამტეხნი, სოფლის ცხოვრებაში მომხდარი ახალი ძვრების მოთავენი და სულის ზამღმეკლნი.

მწერალმა დაგვიხატა ჩვენი ახალგაზრდობის ერთ დენაში შემწნეული უარყოფითი სახეები. კოჭოიისთანა ახალგაზრდებზე მართებულად თან გულისტყვილით ამბობს ივანე: ეინე არ შრომობს, რატომ უნდა კამდესომ და რომ უშრომლად, არჩვიანდ არ ცხოვრობდნენ ასეთები, სოფელი კიცხავს და არცხვენს კოჭოისთანებს, მაგრამ აქვებს და ტაშს უტრავს შრომისმოყვარე



ახალგაზრდებს. ერთი ამ მოწინავე ახალგაზრდათაგანია ყამბრიდან ახლად დაბრუნებული მებულდოზურე ბუხუტი. მან ჩამოსვლისთანავე ახალგაზრდებისაგან შეადგინა კომუნისტური შრომის რგოლი, და, დასაბამიდან კაცს რომ ხელი არ უხლია, ისეთ ნაწიას შეეპირა. ათი პეტრარი ჰეარნალის ვასატებად დიდი ნებისყოფა, შეუპოვრობა და ფიზიკური ძალა იყო საჭირო. ბუხუტი ერთერთ მოწინავე მესიმინდედ იქნა აღიარებული მთელს რაიონში. ამავე დროს მწერალმა წრფელი გულით დაგვიხატა ის თბილი, მაღალადამიწური სიყვარული, რომელიც ბუხუტისა და თამარის შორის ვაიბა

დღევანდლობის ამოცანების ღრმა შეგრძნებითაა გამსჭვალული ამ წიგნის ერთ-ერთი გმირის, სიმინდის უხვი შოსავლის ოსტატის, ვასილ ფშეღლიძის ცხოვრება და საქმიანობა.

თავისი ბავშვობისდროინდელი სურათების ხატვისას მწერალი გადმოგვცემს მენშევიკების დროისა და საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების შრომელი ახალგაზრდობის დაუცხოველ გარჯას და ყოფა-ცხოვრებას.

სიყვარულით არის დახატული ქართველი დედის, ქერივი შინადორას სახე, რომელმაც გაჭირვებასა და სიღარიბეში ვაზარდა შვიდი ობოლი ბავშვი და ყველანი სასარგებლო აღმზარებად აქცია. ეს ღვაწლმოსილი პიანია,

თხზილია დათ წელს მიღწეული ქართველი დედა, ისევე შრომისკენ მიიწვევს.

განსაუფრებით უნდა აღინიშნოს ნეტანა ჩხაიძის — ჩაის მკრეფელის მკვლამ მკვლახის წარმომადგენლის, სახელოვანი გმირი ქალის შრომითი ცხოვრების ასახვა. ამ ამბის თსრობა წიგნში ორგანულად არის ჩაქსოვილი. ასევე ინტერესით იკითხება ის თავები, სადაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ამბებია მოთხრობილი.

სიმონ წვერავას „ჩემი სოფლის სურათები“ — თანამედროვე საკულმეტრეთ ცხოვრების მრავალ მხარეს მოიცავს. ენრობობავად იგი უფრო დოკუმენტურ პროზას განეკუთვნება. ნაწარმოების ძარღვი ივანეა, რომელიც ანსახიერებს შრომისმოყვარე, ჭკვიანი კოლმეტრანისა და ძველი ბოლშევიკის ყველა კარგ თვისებას. ივანეს პირით მწერალი უფრო თვისებურად და გაბეჭულად ლაპარაკობს კოლმეტრეობის კარგა და ზრდილოვან მხარეებზე. ივანეს სათქმელი თვითონ მწერალს რომ ეთქვა, მის ის მაღლი არ ტყნებოდა, როგორც ივანეს საუბარს აქვს. გარდა ამისა, როგორც დასაწყისში ეთქვით, ივანეს პიროვნება აერთიანებს ნაწარმოების მრავალ ეპიზოდს და ჰქვავს ერთ ნაწარმოებად.

ბ. კახახიძე

საინტერესო მიმოხილული ნაშრომი

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურას შეემატა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის არ. მარტიაროსოვის ისტორიულ-მეცნიერებითი ხსნათის გამოკვლევა „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში“, რომელიც გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ.

პირველ თავში წარმოდგენილია სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა და ნაცვალსახელი შესწავლის ისტორია. აქ გარკვეულია ზოგადი საკითხები, რომლებიც შეეხება ნაცვალსახელთა წარმოშობას, მათ რაობასა და დანიშნულებას. მომდევნო თავში ნაცვალსახელები დახასიათებულია სემანტიკური თვალსაზრისით.

სარეცენზიო ნაშრომის მთავარ ნაწილს წარმოადგენს მესამე თავი, რომელშიც ვრცელადა გაშუქებულია ნაცვალსახელთა გენეზისის საკითხები. ქართულ, ზანურ და სვანურ ენათა მასალის ისტორიულ-მეცნიერებითი შესწავლის შედეგად გარკვეულია ყველა ნაცვალსახელის შედგენილობა და გამოვლენილია თითოეული მათ

თგანის თავდაპირველი სახე. შრომის ამავე ნაწილში ცალკეა განხილული პირის ნაცვალსახელთა და ზმნის პირის ნიშანთა გენეტრული თვითებობის საკითხი. ავტორის იმოსვლილი დებულებაა: პირის აღმნიშვნელი ფიქსები ზმნის სათანადო ნაცვალსახელებიდან მომდინარეობენ.

მეოთხე თავში წარმოდგენილია ადგილის, დროისა და ეთარების ზოგი ზმნისართის, ვეშორისა და წინდებულ-თანდებულის ანალიზი. ამ მხრივ პირველ რიგში გათვალისწინებულია ხმოვანთავსართიანი, ანუ ე. წ. ძირეული ზმნისართები, რომელთაც ფუძისეული მასალა საერთო აქვთ სათანადო ნაცვალსახელებთან. გამოყოფილია ყველა განხილული ზმნისართის, ნაცვალსახელისა და კეშორის ძირეული მასალა და საწარმოებელი ელემენტები.

წიგნის ბოლო, მეხუთე თავი მთლიანად დამოძობილი აქვს ნაცვალსახელთა მორფოლოგიურ ანალიზს. აქ მოცემულია რიცხვისა და ბრუნების გრამატიკული კატეგორიების ამომწურავი დახასიათება. როგორც უნობილია, ეს კატეგორიები სპეციფიკურია არსებითი სახელისა, ზედსართავისა და რიცხვითი სახელისათვის.

არ. მარტიაროსოვი, „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში“, საქ სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1964.

წიგნში ვრცლად არის განხილული ჩვენებით ნაცვალსაბელთა ბრუნების სპელტური წარმოება. სწორად არის შენიშნული, რომ ბრუნებისას სახელობითი ბრუნვის ფუძის დაპირისპირება ირიბ ბრუნვათა ფუძესთან უწვეულია სხვა სახელათვის. ისტორიულ ასპექტშია წარმოდგენილი თავისებური შემთხვევები, როცა მრავლობითი რიცხვის ახლებურად გააზრების საფუძველზე მორიდებულ, თავაზიან სუბრისას ან ოფიციალურ მიმართვისას ზვეწ, თქვენ პირის ნაცვალსაბელები ერთი პირის აღსანიშნავად იხმარება.

ცალკე უნდა აღინიშნოს საანალიზო მასალის საკითხი. ნაშრომში უხეადაა გამოყენებული ძველი და ახალი ქართული ენისა და მისი დიალექტების მდიდარი მასალა. ასევე სათანადო სისრულთაა წარმოდგენილი ქართულის მოამე ენების ზანურისა და სგანურის მონაცემები.

ზუნებრივია, თუ ასეთი ვრცელი და, ამავ დროს, შედგენილობით რთული ნაშრომი სპეციალისტ-მკვლევარს აღუძრავს ზოგიერთ შენიშვნას.

წიგნის 154-ე გვერდზე საინტერესო დებულებათა წამოყენებული ქართული ენის დიალექტებში დამოწმებული **ამდონეთი**, **იმდონეთი**-ს გენეზისის შესახებ. სარწმუნოა, რომ ეს ნაცვალსაბელები მომდინარეობენ საშუალო ქართულის **ამდენ** ერთი და **იმდენ** ერთი შესიტყვებიდან, მაგრამ სასურველი იყო, ამ სიტყვებში ო-ს გაჩენის შესახებაც ავტორის რაიმე ეთქვა.

„განსაზღვრებითი ნაცვალსაბელის მნიშვნელობით გვევლინება აგრეთვე **შავანი**... ამ დანიშნულებით შესხურ-ჭაიხურში გვხვდება **ამომავალი** **ამაშავალი**“-ო (გვ. 232). მსჯელობას ახლავს სათანადო მაგალითებიც, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ სიტყვების შესახებ საჭირო იყო, თქმულიყო:

ა) **შავანი** საშეცნორო ლიტერატურაში მიჩნეულია უცხო სიტყვად, ბ) **ამომავალი** ქართულ ზღაპრებში ნიშნავს აღმოსავლელს (არქიმოვი) ვალი **ზენჭიფე** — აღმოსავლეთის სენჭიფე) და შესხურ-ჭაიხურში მომხდარია ამ სიტყვის მნიშვნელობის ცვლა (აღბაო, იმის გამო, რომ უკვე აღარ იყო გასაგები ამ სიტყვის წინანდელი მნიშვნელობა).

ჩვენი აზრით, ვითონი ავტორს უნდა განზიხლა არა კითხვით, არამედ განსაზღვრელობით ნაცვალსაბელბთან, რადგანაც ძველ ქართულში მას ზვეწლებრივ ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა.

ავტორი წერს, რომ **ზოგ** ფუძიდან ახალ ქართულში მიღებულია **ზოგიერთი**, **ზოგი ვინმე**, **ზოგი რაიმე** და სხვა. დებულება არაა ზუსტად ჩამოყალიბებული.

„...ზიორია შემთხვევები, როცა... (რამდენი-ს, ჰ) ძირეული ნაწილი მიცემითშია დასმული. ამასთან, ბრუნვის ნიშანი -ს მომდენეთ დ-სთან ასიმილაციას განიცდის: **სდ > ზდ**...“ (გვ. 196). აქ დასახელებულ მაგალითებში ხსენებული მოვლენის (რახდენი > რაზდენი) ნიმუში არაა მოტანილი.

ვითარ კითხვითი ნაცვალსაბელის განხილვისას დამოწმებულია ნ. მარისა და თ. შარაძენის ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებები, თვით ავტორის პოზიცია კი ამ საკითხის გარშემო არა ჩანს.

ნაშრომი დაწერილია კარგი ქართული ენით. სილუსტრაციო მასალაც კარგადაა შერჩეული, თუმცა ადგილ-ადგილ შეიძლება მისი შემცირება. აღსანიშნავია ისიც, რომ ტექსტში განხილული ზოგი ფორმა არაა შეტანილი საძიებლებში.

პ. ბაჩაჩილაძე

8360 80 433.



ИНДЕКС
049360-11
502-0010128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“